114
993/3

ISSN 0132-599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება



4

1993

ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ 69-Ე № 4 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ, 1993 Წ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲑᲘᲑᲚᲘᲐ, ᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲦᲗᲥᲛᲐ. გაგრძელება 3

ᲞᲠᲝᲖᲐ, ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔ — ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲑᲝᲠᲒᲐᲚᲘ. რომანი. გაგრძელება 21
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲥᲕᲚᲘᲕᲘᲫᲔ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 148
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲣᲐᲩᲘᲫᲔ — ᲜᲐᲛᲪᲔᲪᲔᲑᲘ. გაგრძელება 152

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ — ᲣᲙᲕᲐᲚᲝᲓ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲔᲑᲘ 170

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, გ. გვერდწითელი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, გ. კალანდია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

20.559

ბიბლია, ძველი აღთქმა

თავი პირველი

წინასიტყვა

სიბრძნე იესო ზირაქის ძისა

რაკი ბევრი დიდებული რამ გადმოგვეცა რჯულის, წინასწარმეტყველთა და სხვათა, მათ მიმდევართა წყალობით, რის გამოც ქების ღირსია ისრაელი, მისი მოძღვრებისთვის და მისი სიბრძნისთვის; და რაკი აუცილებელია, რომ არა მხოლოდ თავად მკითხველებმა მიიღონ ცოდნა, არამედ სწავლის მოყვარულებმა გარეთ მცხოვრებნიც უნდა დამოძღვრონ ზეპირი სწავლებით და წერილობით, ამიტომაც ჩემმა პაპამ, იესომ, მას შემდეგ, რაც დიდის გულმოდგინეობით შეისწავლა რჯულის, წინასწარმეტყველთა და მამათა სხვა წიგნები, და შეიძინა საკმარისი ცოდნა, გადაწყვიტა თავადაც დაეწერა რაიმე მოძღვრებაში და სიბრძნეში, რათა სწავლის მოწადინენი ჩაღრმავებოდნენ მის ნაშრომს და წარმატება ჰქონოდათ რჯულიერ ცხოვრებაში.

მაშ, მოგიწოდებთ უურადღებით წაიკითხოთ ეს წიგნი და შემინდოთ, თუ ზოგჯერ მიუხედავად ჩემი სიბეჯითისა, სწორად ვერ მითარგმნია ზოგიერთი სიტყვა. რადგან იგივე მნიშვნელობა არა აქვს შერჩენილი ებრაულ სიტყვებს, როცა ისინი სხვა ენაზეა გადატანილი. არა მხოლოდ ეს წიგნი, არამედ თავად რჯული, წინასწარმეტყველნი და დანარჩენი წიგნები მცირედ როდი განსხვავდებიან მათი დედნისგან.

როცა ევერგეტეს მეფობის ოცდამეთვრამეტე წელს ეგვიპტეში ჩამოვედი და რაოდენიმე ხანი დავყავი, დავინახე არამცირედი სხვაობა სწავლებაში. სასიკეთოდ და აუცილებლად ჩავთვალე მეზრუნა ამ წიგნის სათარგმნელად. ამ ხნის მანძილზე ბევრი უძილო ღამე გავათენე, არ დავიშურე ძალა და ცოდნა, რათა დამესრულებინა ეს წიგნი და მიმეწვდინა დიასპორაში მყოფთათვის, ვისაც სწავლის წყურვილი აქვს და გადაუწყვეტია რჯულიერი ცხოვრებისთვის გაამზადოს თავი.

1. ყოველი სიბრძნე უფლისაგანაა
და მასთან არის საუკუნოდ. **2.** ზღვათა ქვიშა, წვიმის წვეთები
და დღენი მარადისობისა ვინ აღრიცხოს? **3.** ზეცის სიმაღლეს, მიწის სიფართეს,
უფსკრულსა და სიბრძნეს ვინ გამოიკვლევს? **4.** ყოველთა უწინარეს წარმოიშვა სიბრძნე
და გონების გამჭრიახობა უკუნისიდან. **6.** ძირი სიბრძნისა ვის
გამოეცხადა და ხელოვნებანი მისი ვინ შეიცნო? **8.** ერთია ბრძენი, ფრიად საშიში,
თავის ტახტზე დაბრძანებული. **9.** უფალმა თავად შექმნა სიბრძნე,
იხილა და აღრიცხა იგი, მოასხურა იგი
თავის ყველა საქმეს. **10.** მყოფობს ყოველ ხორციელში მისი ნიჭის მიხედვით;
მიმადლა იგი მის მოყვარულებს. **11.** უფლის შიში დიდება და პატივია,
შვება და გვირგვინია სიხარულისა. **12.** უფლის შიში გულს ატკბობს
და შვებას, სიხარულსა და დღეგრძელობას ანიჭებს. **13.** უფლის მოშიშს ბოლო კეთილი
ექნება და იკურთხება თავისი აღსასრულის დღეს. **14.** სიბრძნის სათავე
უფლის შიშია და მორწმუნეებს
საშოდანვე დაჰყვება თან. **15.** ადამიანებში ბუდედ გაიკეთა საუკუნო საფუძველი
და მათ შთამომავლებს მიენდობა.

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 3.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

16. უფლის შიშია სიბრძნის სისავსე
და გააძღობს მათ მისი ნაყოფით. 17.
მთელს სახლს აუვსებს სასურველით
და საჭურჭლეებს თავის ქმნილებებით.
18. სიბრძნის გვირგვინია უფლის ში-
ში, მშვიდობისმყოფელი და განმკურ-
ნებელი ასაყვავებლად. 19. იხილა და
აღრიცხა იგი, ხელოვნება და ცოდნა
მეცნიერებისა დააწვიმა და მისთა
მფლობელთა დიდება აამაღლა. 20. უფ-
ლის შიში სიბრძნის ძირია და წვერო-
ები მისი დღეგრძელობაა. 22. ვერ
გამართლდება უსამართლო რისხვა,
რადგან სიმძიმე მისი გულისწყრომისა
დაამხობს მას. 23. დრომდე დაითმენს
სულგრძელი და ბოლოს სიხარულს მი-
იღებს ჯილდოდ. 24. დრომდე დაიმა-
რხავს თავის სიტყვებს და მრავალთა
ბაგენი მის კეთილგონიერებას აღია-
რებენ. 25. სიბრძნის საგანძურებშია
გონიერი იგავები, ცოდვილისათვის კი
საძულველია ღვთისმოშიშება. 26. თუ
სიბრძნე გსურს ,მცნებები დაიცავი და
უფალი მოგმადლებს მას. 27. რადგან
უფლის შიშია სიბრძნე და განსწავ-
ლულობა, მისდამი სასოება — რწმენა
და სიმშვიდე. 28. ნუ განუდგები უფლის
შიშს და ორგულობით ნუ მიეახლები
მას. 29. პირში ნუ ელაქუცები ადამია-
ნებს და გაუფრთხილდი შენს ბაგე-
ებს. 30. თავს ნუ აიმაღლებ, რათა
არ დაეცე და შენს სულს უპატიობა
არ მოაწიო, რადგან უფალი გააცხადებს
შენს დაფარულს და საკრებულოში
დაგამხობს, რომ არ მიეახლე შიშით
უფალს და გული სავსე გქონდა მზაკ-
კვრობით.

თავი მეორე

1. შვილო, თუ უფალს მიეახლები
სამსახურად, განსაცდელისთვის გაა-
ზადე თავი. 2. გული დაიმორჩილე, მო-
თმინებით აღიჭურვე და ნუ აჩქარდები
განსაცდელის ჟამს. 3. მიეახლე მას
და ნუ განშორდები, რათა ამაღლდე სა-
ბოლოოდ .4. რაც შეგემთხვევა, ყველა-
ფერი მიიღე და სულგრძელობით და-
ითმინე დამცირებანი. 5. რადგან ოქრო
ცეცხლში გამოიცდება, უფლის სათ-
ნონი კი — მორჩილების ქურაში. 6.
ერწმუნე მას და შეგეწევა, სწორად
წარმართე გზები და მისი იმედი იქონიე.
7. უფლის მოშიშნო, მის წყალობას
ელოდეთ და ნუ მიიქცევით, რათა არ
დაეცეთ. 8. უფლის მოშიშნო, გწამდეთ
მისი და არ დაგეკარგებათ საზღაური.
9. უფლის მოშიშნო, იმედი გქონდეთ
სიკეთისა, საუკუნო სიხარულისა და
წყალობისა. 10. გადახედეთ ძველ თა-
ობებს და იხილეთ: ვინ ირწმუნა
უფლისა და შერცხვენილ იქნა?
ან ვინ იყო მის შიშში და მიტოვებულ
იქნა, ანუ ვინ მოუხმო მას და უგულე-
ბელყო? 11. რადგან უფალი შემბრა-
ლეა, ცოდვათა მიმტევებელი და მხსნე-
ლი გასაჭირის ჟამს. 12. ვაი, გულ-
მხდალებს და ხელძაბუნებს, და ცოდ-
ვილებს, ორი გზით მავალთ. 13. ვაი,
გულს დაძაბუნებულს, რადგან არა
სწამს, ამიტომაც დაცული არ იქნება!
14. ვაი, თქვენ, მოთმინების დამკარგავ-
ნო! რას მოიმოქმედებთ, როცა უფალი
მოგაკითხავთ? 15. უფლის მოშიშნი
ურწმუნოდ არ მოეკიდებიან მის სიტ-
ყვებს და მისი მოყვარულნი მის გზებს
დაიცავენ. 16 უფლის მოშიშნი მის
წყალობას ეძიებენ და მისი მოყვარულ-
ნი აღივსებიან რჯულით. 17. უფლის
მოშიშნი თავიანთ გულებს გაამზადე-
ბენ და მის წინაშე თავს დაიმდაბლე-
ბენ. 18. ჩავვარდეთ უფლის ხელში და
არა კაცთა ხელში, რადგან რა დიადი-
ცაა იგი, იმგვარივეა მისი წყალობა.

თავი მესამე

1. მე, მამას, მისმინეთ, შვილებო, და
ისე მოიქეცით, რომ გადარჩეთ. 2. რა-
დგან უფალმა შვილებზე აამაღლა მა-
მა და დედის მსჯავრი დაამტკიცა ძეთა
ზედა. 3. მამის პატივისმცემელი ცოდ-

ვათაგან განიწმინდება. 4. და საუნჯის მაუნჯებელივით არის დედის მადიდებელი. 5. მამის პატივისმცემელი შვილებით გაიხარებს და მისი ვედრების ჟამს შესმენილ იქნება. 6. მამის მადიდებელი დღეგრძელი იქნება და უფლის მორჩილი თავის დედას შვებას მოუტანს. 7. როგორც ბატონებს, ისე დაემორჩილება თავის მშობლებს. 8. საქმით და სიტყვით პატივი ეცი მამას, რათა მისი კურთხევა გადმოვიდეს შენზე. 9. რადგან კურთხევა მამისა შვილთა სახლებს განამტკიცებს, წყევლა დედისა კი საძირკველითურთ აღმოფხვრის. 10. ნუ განდიდდები მამაშენის უპატიობით, რადგან შენთვის პატივი არ იქნება მამის შეურაცხყოფა. 11. რადგან დიდება კაცისა მამის პატივისცემაა და სირცხვილია შვილებისათვის შეურაცხყოფილი დედა. 12. შვილო, მამაშენს სიბერეში შეეწიე და ნუ დაამწუხრებ მას სიცოცხლეში. 13. თუ გონება მოაკლდეს, გულმოწყალება იქონიე და მთელი შენი ძალით ნუ შეურაცხყოფ მას, 14. რადგან მამის შეწყალება არ დაგეკარგება და ცოდვათა მიუხედავად აშენდები. 15. შენი გასაჭირის დღეს გაგიხსენებენ და როგორც ყინული სიცხისაგან, ისე დადნება შენი ცოდვები. 16. მამის მიმტოვებელი ღვთის მგმობელია და დედის განმარისხებელი დაწყევლილია უფლისაგან. 17. შვილო, მშვიდად წარმართე შენი საქმეები და ღვთის სათნო კაცი შეგიყვარებს. 18. რამდენადაც დიდი ხარ, იმდენად დაიმდაბლე შენი თავი და უფლის წინაშე მადლს იპოვ. 19. რადგან დიდია უფლის მეუფება და და მორჩილთაგან იდიდება იგი. 20. შენთვის მეტისმეტად საძნელოს ნუ ეშურები და შენს ძალაზე აღემატებულს ნუ გამოიკვლევ. 21. რაც გებრძანა, ის გულისხმაჰყავ, რადგან დაფარული არ გჭირდება. 22. შენს მრავალ საქმეთაგან ზედმეტს ნუ ეშურები, რადგან მასზე მეტი გამოგეცხადა, რისი შეცნობაც ადამიანს შეუძლია. 23. რადგან მრავალი აცდუნა მათმა განზრახულმა და უკეთურმა ოცნებამ დაღუპა მათი გონება. 24. გულქვას ბოროტი მიეგება საბოლოოდ და საფრთხის მოყვარული მასში ჩავარდება. 25. გულქვას სალმობანი დაამძიმებს და ცოდვილი ცოდვაზე ცოდვას მიუმატებს. 28. განსაცდელი ქედმაღლისათვის განკურნება არ არის, რადგან ბოროტების ნერგი ფესვგადგმულია მასში. 27. გონიერი გული იგავს მიხვდება და მსმენელი ყური სიბრძნის მწყურვალია. 28. აგიზგიზებულ ცეცხლს წყალი ჩააქრობს და ცოდვებს განწმედს გულმოწყალება. 29. წყალობისათვის სამაგიეროს გამღები მომავალზე ზრუნავს და თავისი დაცემის ჟამს საყრდენს იპოვის.

თავი მეოთხე

1. შვილო, გლახაკის ქონებას ნუ მიიტაცებ და მთხოვნელს თვალს ანუ აარიდებ. 2. მშიერის სულს ნუ დაამწუხრებ და ნუ განარისხებ კაცს მის გასაჭირში. 3. განრისხებულ გულს ნუღარ შეაჭირვებ და მთხოვნელს მიცემას ნუ დაუგვიანებ. 4. შეწევნის მთხოვნელს, დაჩაგრულს, უარს ნუ ეტყვი და პირს გლახაკისაგან ნუ მიიბრუნებ. 5. მთხოვნელს თვალს ნუ მოაარიდებ, კაცს თავს ნუ დააწყევლინებ. 6. რადგან იმ კაცის ვედრებას, ვინც გამწარებული სულით დაგწყევლის, შეისმენს მისი დამბადებელი. 7. თავაზიანად მოიქეცი საკრებულოში და მთავრის წინაშე თავი მოიდრიკე. 8. ყური მიაპყარ გლახაკს და მშვიდად და ალერსით უპასუხე. 9. იხსენი უსამართლოდ დაჩაგრული უსამართლოს ხელიდან და განსჯისას სულმოკლე ნუ იქნები. 10. იყავი ობოლთათვის როგორც მამა და მათი დედისათვის ქმრის მაგიერი, და შეიქნები ვითარცა ძე უზენაესისა, რომელიც დედაზე უფრო შეგიყვარებს. 11. სიბრძნემ აამაღლა თავისი ძენი და შეეწია თავის

მაძიებელთ. 12. მის მოყვარულს სიცოცხლე უყვარს და მისთვის რიჟრაჟზე წამომდგარნი სიხარულით აღივსებიან. 13. მისი მფლობელი დიდებას დაიმკვიდრებს, სადაც კი მივა უფალი აკურთხებს. 14. რომელნიც მას მსახურებენ, წმიდას ემსახურებიან. და მისი მოყვარულნი უფალსაც უყვარს. 15. მისი მორჩილი წარმართებს განსჯის და, ვინც მას რწმენით მიეახლება, დამკვიდრდება. 16. რომელიც ირწმუნებს, დაიმკვიდრებს მას და მისი შთამომავალნი გახდებიან მფლობელნი მისნი. 17. რადგან ჯერ მრუდე გზებით ივლის მასთან ერთად, შიშსა და ძრწოლაში ეყოლება, გასტანჯავს მას თავისი წვრთნით, ვიდრე არ დარწმუნდება მასში და თავის მცნებათა განსაცდელში არ გაატარებს. 18. კვლავ მოიქცევა სიწრფელით მისკენ და გაახარებს მას, განუცხადებს თავის საიდუმლოთ. 19. თუ შეეცდება, მიატოვებს მას და მის დამამხობელს ჩაუგდებს ხელში. 20. გაფრთხილდი, ჟამი არ გამოგეპაროს, ბოროტისაგან დაიცავი თავი და შენი თავისა არ შეგრცხვება. 21. რადგან არის სირცხვილი, რომელსაც ცოდვა მოაქვს, და სირცხვილი, რომელიც დიდება და მადლია. 22. ნუ თვალთმაქცობ საკუთარი თავის წინაშე და შენი დაცემისა ნუ გრცხვენია. 23. ნუ დააბრკოლებ სიტყვას საჭიროების ჟამს, 24. რადგან სიბრძნე სიტყვით შეიცნობა და ცოდნა — ენის მეტყველებით. 25. წინ ნუ აღუდგები ჭეშმარიტებას და შენი უმეცრებისა გრცხვენოდეს. 26. ნუ შეგრცხვება აღიარება შენი ცოდვებისა და მდინარის დინებას ნუ შეაჩერებ. 27. უგუნურ კაცს თავს ნუ დაუმორჩილებ და შეძლებულს ნუ მიეკერძოები. 28. სიკვდილამდე იღვაწე სიმართლისთვის და უფალი ღმერთი იბრძოლებს შენთვის. 29. ნუ იქნები კადნიერი ლაპარაკში და ზარმაცი და დაუდევარი საქმეში. 30. ნუ იქნები ლომივით შენს სახლში და შარიანი სახლეულებთან. 31. ნუ გექნება ხელი გაწვდილი მისაღებად და ამომუჭული გასაცემად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეხუთე

1. ნუ გეიმედება შენი ქონების და ნუ იტყვი, საკმარისი მაქვსო. 2. ნუ აყვები შენს სულსა და შენს შეძლებას, ნუ ივლი გულისთქმის კვალზე. 3. ნუ იტყვი: ვინ გამიბატონდება? რადგან უფალია შენი დამსჯელი. 4. ნუ იტყვი, შევცოდე და რა დამემართაო, რადგან სულგრძელია უფალი. 5. შეწყალების იმედით უშიშარი ნუ იქნები და ცოდვას ცოდვაზე ნუ დაურთავ. 6. ნუ იტყვი, გულმოწყალება მისი დიდია და მრავალ ცოდვებს შემინდობსო, რადგან შეწყალებაცა და რისხვაც მასთანაა და ცოდვილებზე გადმოვა მისი გულისწყრომა. 7. ნუ აყოვნებ მოქცევას უფლისაკენ და სახვალიოდ ნუ გადადებ, რადგან მყისვე გადმოვა უფლის რისხვა და შურისგების ჟამს წარიწყმიდები. 8. ნუ გეიმედება უსამართლოდ მონახვეჭი, რადგან განსაცდელის დღეს სარგებლობას ვერ მოგიტანს. 9. ნუ აჰყვები ყველა ქარს და ყოველი გზით ნუ ივლი, როგორც ორპირი ცოდვილები იქცევიან. 10. იყავი მტკიცე შენც ცოდნაში და ერთი იყოს სიტყვა შენი. 11. იყავი სწრაფი მოსასმენად და პასუხი სულგრძელობით გაეცი. 12. თუ გაქვს ცოდნა, მოყვასს უპასუხე, თუ არა და, ბაგეზე გედოს ხელი. 13. პატივი და უპატიობა სიტყვებშია და კაცის გამდუპველი მისი ენაა. 14. ნუ განითქმები დამსმენად და ენით ნუ იმზაკვრებ, რადგან ქურდს სირცხვილი, ორპირს კი სასტიკი განაჩენი ერგება წილად. 15. ნურც დიდში და ნურც მცირეში უგუნური ნუ იქნები, თუ მოყვარე ხარ, მტრულად ნუ მოიქცევი, რადგან აუგიანი სახელი სირცხვილსა და კიცხვას დაგიმკვიდრებს ორპირი ცოდვილივით.

თავი მეექვსე

2. ნუ აღზევდები შენს ფიქრებში, ხარივით რომ არ დაიფლითოს შენი სული. 3. შეჭამ შენს ფოთლებს და დაღუპავ ნაყოფს და დარჩები გამხმარ ხესავით. 4. ბოროტი სული დაღუპავს თავის პატრონს და მტრების დასაცინად აქცევს. 5. ტკბილი ბაგე მეგობრებს იმრავლებს, ამოდმეტყველი ენა კი — კეთილ განწყობას. 6. მშვიდობისმყოფელნი მრავლად გეყოლოს, რჩევის მომცემნი კი — ათასიდან ერთი. 7. თუ მეგობრის შეძენა გსურს, განსაცდელში შეიძინე და მყისვე ნუ მიენდობი მას. 8. რადგან ზოგი მეგობარი თავისთვის ზრუნავს, გასაჭირის დღეს მხარში არ ამოგიდგება. 9. ზოგი მეგობარი, მტრად გადაგექცევა და იბრძოლებს შენს დასამცირებლად. 10. ზოგი მეგობარი პურს გატეხს შენთან, მაგრამ გასაჭირის დღეს მხარში არ ამოგიდგება. 11. შენს მოკეთეთა შორის შენსავით მოიქცევა და შენს სახლეულებთან გულწრფელად ისაუბრებს; 12. მაგრამ თუ დაეცემი, გადაგიდგება და აღარ დაგენახვება. 13. მტრებს მოერიდე და ფრთხილად იყავი მეგობრებთან. 14. ერთგული მეგობარი მტკიცე სიმაგრეა, მისი მპოვნელი საგანძურის მპოვნელია. 15. ერთგულ მეგობარს ვერავინ შეცვლის და მისი სიკეთე არ განიზომება. 16. ერთგული მეგობარი ცხოვრების წამალია: უფლის მოშიშნი იპოვნიან მას. 17. უფლის მოშიში მეგობრობას ისე წარმართავს, რომ როგორიც თვითონაა, იმგვარივე იყოს მისი მახლობელი. 18. შვილო, სიყრმიდანვე იზრუნე სწავლაზე და იპოვი სიბრძნეს, ვიდრე ჭაღარით შეიმოსებოდე. 19 მხვნელმთესველივით მიეახლე მას და მის კეთილ ნაყოფს დაელოდე; რადგან მასზე ზრუნვაში მსუბუქად დაიღლები, მის ნაყოფს კი სწრაფად იგემებ. 20. ის სასტიკი ჩანს უსწავლელთათვის და უგუნური მასთან ვერ დარჩება. 21. დასძალავს მას მძიმე საჯილდაო ლოდივით და არ დააყოვნებს მის გადაგდებას. 22. რადგან სიბრძნე თავისი სახელით არის და მრავალთ როდი ეცხება. 23. მისმინე, შვილო, მიიღე ჩემი შეგონება და ნუ უგულებელყოფ ჩემს რჩევას. 24. ფეხებზე მისი ბორკილები დაიდევი და ქედზე მისი ჯაჭვი. 25. ბეჭები მიუშვირე და იტვირთე იგი, ნუ მოგბეზრდება მისი ბორკილები. 26. მთელი შენი სულით მიეახლე მას და მთელი შენი ძალით დაიცავი მისი გზები. 27. გამოიკვლიე და ეძებე, და შეიცნობ მას; და როცა მისი მფლობელი შეიქნები, ნუღა მიატოვებ. 28. რადგან საბოლოოდ მასში ჰპოვებ შვებას და სიხარულად მოგიბრუნდება. 29. მისი ბორკილები შენთვის ძლიერი საფარველი იქნება, ხოლო ჯაჭვი მისი — შესამოსელი დიდებისა. 30. რადგან ულელი მისი ოქროსია, ხოლო ბორკილები მისი — იაკინთისაგან დაწნული. 31. როგორც დიდების სამოსით, ისე შეიმოსები მისით და სიხარულის გვირგვინს დაიდგამ. 32. თუ ისურვებ მას, შვილო, განისწავლები; თუ სულით მიენდობი, დახელოვნდები. 33. თუ სიყვარულით მოუსმენ, შეითვისებ, და თუ ყურს მიუპყრობ, ბრძენი გახდები. 34. მოხუცთა საკრებულოში დადექ. ვინ არის ბრძენი? მას მიეახლე. 35. ყველა საღმრთო ამბის მოსმენა ისურვე და ბრძნული იგავები არ გამოგეპაროს. 36. თუ სწავლულს იხილავ, დილაადრიანად ეწვიე; გაცვითოს შენმა ფეხებმა მისი კარის ზღურბლი. 37. ჩაუფიქრდი უფლის ბრძანებებს და დღენიადაგ სწავლობდე მის მცნებებს. ის განამტკიცებს შენს გულს და სიბრძნის წყურვილი მოგეცემა.

თავი მეშვიდე

1. ნუ ჩაიდენ ბოროტებას და არც შენ გეწევა ბოროტი. 2. განუდექი უსამართლოს და ისიც მიიქცევა შენგან. 3. შვილო, ნუ თესავ უსამართლო-

ბის კვლებში და არ მოიმკი მას შვიდ-
წილად. 4. ნუ ითხოვ უფლისაგან ხელ-
მწიფებას და ნურც მეფისაგან საპატიო
ადგილს. 5. თავს ნუ იმართლებ უფ-
ლის წინაშე და წინაშე მეფისა ნუ
ბრძენობ. 6. ნუ ცდილობ, მსაჯული
გახდე, ვინძლო არ გამოჩნდეს შენი
უძლურება უსამართლობის მოსპობაში,
რომ მიკერძოება არ გამოიჩინო ძლი-
ერის მიმართ და შენს სიწრფელეს
ჩრდილი არ დაადგეს. 7. ნუ სცოდავ
მოქალაქეთა წინაშე და ბრბოში თავს
ნუ დაიმცირებ. 8. ორჯერ ნუ ჩაიდე(
ცოდვას, რადგან ერთის გამოც ვერ
გადარჩები დაუსჯელი. 9. ნუ იტყვი, მო-
ხედავს იგი ჩემი ძღვენის სიმრავლეს
და, როცა მაღალ ღმერთს მივართმევ,
შეიწირავსო. 10. სულმოკლე ნუ იქნე-
ბი შენი ვედრებისას და მოწყალების
გაცემას ნუ უგულებელყოფ. 11. ნუ
დასცინი კაცს, სულგამწარებულს, რა-
დგან არსებობს ის—დამამდაბლებელი და
აღმაზევებელი. 12. ნუ თესავ ტყუილს
შენს ძმაზე და ნურც მეგობარს მოექ-
ცევი ასე. 13. ნურასოდეს შეთხზავ
სიცრუეს, რადგან მისი გახშირება სი-
კეთეს არ მოგიტანს. 14. ნუ მრავალ-
სიტყვაობ მოხუცთა საკრებულოში და
ნუ გაიმეორებ სიტყვას ვედრების დროს.
15. ნუ შეიძულებ მძიმე სამუშაოს და
მიწისმუშაკობას, რომელიც უზენაესის-
გან არის დაწესებული. 16. თავს ნუ
ჩაირიცხავ ცოდვილთა კრებულში; გა-
ხსოვდეს, რისხვა არ დააყოვნებს. 17.
ძლიერად მოთრგუნე შენი სული, რად-
გან ცეცხლი და მატლია ურჯულოთა
სასჯელი. 18. ნუ გაცვლი მეგობარს
ფულზე, ნურც ღვიძლ ძმას—ოფირის
ოქროზე. 19. ნუ მიატოვებ ცოლს,
ჭკვიანს და კეთილს, რადგან მისი მად-
ლი ოქროზე მეტია. 20. ბოროტს ნუ
უყოფ მსახურს, ბეჯითად მშრომელს,
ნურც მოჯამაგირეს, შენთვის თავდა-
დებულს. 21. გონიერი მსახური შეიყ-
ვაროს შენმა სულმა და ნუ დაუჭერ
მას თავისუფლებას. 22. გყავს საქონე-
ლი? მიხედე მას; თუ გჭირდება, შენ-
თვის დაიტოვე. 23. გყავს შვილები?
ასწავლე მათ და ყრმობიდანვე მოახრე-
ვინე ქედი. 24. გყავს ასულნი? იზრუ-
ნე მათ სხეულზე და მათ წინაშე პირ-
მხიარული ნუ იქნები. 25. ასული გა-
ათხოვე და დიდ საქმეს აღასრულებ:
გონიერ კაცს მიეცი იგი. 26. გყავს ცო-
ლი სასურველი? ნუ გაუშვებ მას და
საძულველს ნუ მიენდობი. 27. მთელი
გულით განადიდე მამაშენი და ნუ და-
ივიწყებ დედაშენის ტკივილებს. 28.
გახსოვდეს, რომ მათგან დაიბადე; რას
მისცემ მათ ამის სანაცვლოდ? 29. მთე-
ლი სულით გწამდეს უფალი და პატი-
ვი მიაგე მის მღვდლებს. 30. მთელი
ძალით შეიყვარე შემქმნელი შენი და
მის მსახურებს ნუ მიატოვებ. 31. გეში-
ნოდეს უფლისა და პატივი მიაგე
მღვდელს, მიეცი მას თავისი წილი,
როგორც გებრძანა: ნათავარნი, ცოდ-
ვის გამოსასყიდი, ბეჭთა ძღვენი, გან-
წმედის შესაწირავი და წმიდათა ნა-
თავარი. 32. გლახაკს გაუწოდე ხელი,
რათა აღსრულდეს შენი კურთხევა.
33. მისაცემლის მადლი მიაგე ყოველ
ცოცხალს, მაგრამ წყალობას მკვდარ-
საც ნუ მოაკლებ. 34. ნუ დააკლდები
მტირალთ და მგლოვიარეებთან ერთად
იგლოვე. 35. ნუ დააყოვნებ სნეულის
მონახულებას, რომ შეგიყვარონ ამგვა-
რი საქმისათვის. 36. ყველა საქმეში
შენი აღსასრული გაიხსენე და არასო-
დეს ჩაიდენ ცოდვას. .

თავი მერვე

1. ნუ ებრძვი ძლიერ კაცს, ვაითუ
ოდესმე მის ხელში ჩავარდე. 2. ნუ შე-
ედავები მდიდარ კაცს, ვაითუ დაგძლი-
ოს მისმა წონამ, რადგან ბევრი დაუ-
ღუპავს ოქროს და მეფეთა გონება გა-
დაუბრუნებია. 3. ნუ ებრძვი მოლაყბე
კაცს და მის ცეცხლს შეშას ნუ შეუ-
კეთებ. 4. ნუ გაერთობი უსწავლელთან,
რათა არ შეურაცხყო შენი წინაპრები.
5. ნუ აყვედრი ცოდვისაგან მოქცეულ

კაცს; გახსოვდეს, ყველანი წყევლაში ვართ: 6. ნუ შეურაცხყოფ კაცს მის სიბერეში, რადგან ყველანი დავბერდებით. 7. ნუ იზარებ მკვდარზე, გახსოვდეს, ყველანი მოკვდებით. 8. ნუ უგულებელყოფ ბრძენთა მონათხრობს და მათი იგავების მიხედვით იცხოვრე, რათა მათგან შეიძინო ცოდნა და დიდებულთა სამსახური ისწავლო. 9. ნუ უგულებელყოფ მოხუცთა მონათხრობს, რადგან მათაც თავიანთი მამებისგან ისწავლეს; მათგან ისწავლი განსჯას და პასუხის გაცემას ჟამის შესაფერისად. 10. ნუ გააღვივებ ცოდვილის ნაკვერჩხლებს, ვაითუ მისი ცეცხლის ალით დაიწვა. 11. ნუ აღდგები თავხედის წინააღმდეგ, ვაითუ ჩაუსაფრდეს შენს სიტყვებს. 12. სესხს ნუ მისცემ შენზე ძლიერ კაცს; თუ მისცემ, დამკარგველი იქნები. 13. თავს ნუ იდებ, რაც შენს ძალას აღემატება; თუ თავს იდებ, მოიქეცი როგორც გარდამხდელი. 14. ნუ უჩივლებ მსაჯულს, რადგან მას მისი პატივისამებრ განსჯიან. 15. თავზეხალაღებულს ნუ დაემგზავრები, რათა ტვირთად არ აიკიდო, რადგან იგი თავისი ნებისამებრ მოიქცევა და მისი უგუნურება დაგღუპავს. 16. გულფიცხს ბრძოლას ნუ გაუმართავ და უდაბნოს ნუ გადაიკლი მასთან ერთად, რადგან სისხლი მის თვალში არაფერია და, სადაც შეწევნა არ გექნება, იქ დაგცემს. 17. სულელთან ნუ ითათბირებ, რადგან ვერ შეძლებს სიტყვის შენახვას. 18. უცხოს წინაშე დასამალს რასმე ნუ ჩაიდენ, რადგან არ იცი, რას მოიმოქმედებს. 19. ყველა კაცს გულს ნუ გადაუშლი, რადგან სანაცვლოდ მადლს არ მოგაგებს.

თავი მეცხრე

1. ნუ ეჭვიანობ შენს თანამეცხედრეზე და ნუ მოძღვრავ შენსავე საზიანოდ ბოროტი მაგალითით. 2. ნუ მისცემ ცოლს შენს სულს, რათა წინ არ აღუდგეს შენს უფლებას. 3. ნუ გახვალ მეძავი ქალის შესახვედრად, რათა მის მახეში არ გაება. 4. მომღერალთან დიდხანს ნუ შერჩები, რათა მისმა ხელოვნებამ არ დაგატყვევოს. 5. ქალწულს ნუ უთვალთვალებ, რათა არ შეგაცდინოს მისმა სილამაზემ. 6. ნუ მისცემ მეძავებს შენს სულს, რათა არ დაღუპო შენი მემკვიდრეობა. 7. თვალებს ნუ აცეცებ ქალაქის ქუჩებში და მის უკაცრიელ უბნებში ნუ დახეტიალობ. 8. თვალი მოარიდე ტურფა ქალს და სხვის სილამაზეს ნუ უთვალთვალებ. ქალის სილამაზით მრავალნი შეცდენილან, ცეცხლივით ინთება მისგან სიყვარული. 9. ქმრიან ქალთან არასგზით არ დაჯდე, ნუ მოჰყვები მასთან ღვინის სმას, რათა მისკენ არ მიიქცეს შენი სული და არ დაიღუპო თავი. 10. ნუ მიატოვებ ძველ მეგობარს, რადგან ახალი მას ვერ შეედრება. ახალი მეგობარი ახალი ღვინოა; როცა დაძველდება, სიხარულით შესვამ. 11. ნუ გშურს ცოდვილის დიდება, რადგან არ იცი, როგორი იქნება მისი ბოლო. 12. ნუ მოიწონებ უწმიდურთა მოსაწონს; გახსოვდეს, ჯოჯოხეთამდე არ გამართლდებიან ისინი. 13. შორს დაიჭირე თავი კაცისაგან, ვისაც მოკვლის უფლება აქვს, რადგან არ გაგიჩნდეს სიკვდილის შიში, თუ დაუახლოვდები, არ შეცდე, რათა არ წაგართვას სიცოცხლე. იცოდე, საფრთხის შუაგულში დააბიჯებ და ქალაქის ქონგურებიანი კედლის მიღმა დადიხარ. 14. შენი უნარისამებრ გამოიცანი შენი მახლობელნი და რჩევა ბრძენთაგან გამოიკითხე. 15. გონიერ ხალხთან ისაუბრე და უზენაესის რჯულში იყოს ყოველი შენი ნალაპარაკევი. 16. სამართლიანი ხალხი თანამეინახედ გყავდეს და ღვთის შიშში იყოს შენი განდიდება. 17. ნაკეთობა ხელოვანთა ოსტატობით შეიქება, ხალხის წინამძღოლის სიბრძნე კი — სიტყვით. 18. ქალაქისათვის საშიშია ენაჭარტალა კაცი, შეიძულებს იგი სიტყვაში თავდაუჭერელს.

თავი მეათე

1. ბრძენი მსაჯული თავის ხალხს აღზრდის და გონიერის მმართველობა განმტკიცდება. 2. როგორიცაა მსაჯული ხალხისა, ისეთნივე არიან მისი მსახურნი; როგორიცაა ქალაქის მეუფე, ისეთნივე არიან მისი მცხოვრებნი. 3. უწვრთნელი მეფე თავის ხალხს დაღუპავს, განმგებელთა სიბრძნით კი ქალაქი აშენდება. 4. უფლის ხელშია ქვეყნის მეუფება და საჭირო კაცს დროულად აღაზევებს მასზე. 5. უფლის ხელშია კაცის ვზაკეთილობა და თავის დიდებას აღბეჭდავს მწიგნობრის სახეზე. 6. ყოველ უსამართლობაზე ნუ განურისხდები მოყვასს და საქმით ნუ შეურაცხყოფ ნურავის. 7. უფლისთვისაც და ადამიანებისთვისაც საძულველია ამპარტავნობა, უსამართლობა კი დანაშაულია ორივეს წინაშე. 8. მეუფება ხალხიდან ხალხზე გადადის უსამართლობათა, თავხედობათა და ანგარებათა გამო. 9. რად ქედმაღლობს მტვერი და ფერფლი? ხომ სიცოცხლეშივე იხრწნება მისი შიგნეული. 10. ხანგრძლივი ავადობა მკურნალს საგონებელში აგდებს; დღეს მეფეა, ხვალ კი აღესრულება. 11. როცა ადამიანი კვდება, ქვეწარმავალთა, მხეცთა და მატლთა კერძად იქცევა. 12. ადამიანის ამპარტავნობის დასაბამი უფლისაგან განშორებაა და მისი გულის განდგომა დამბადებლისგან. 13. რადგან დასაბამი ამპარტავნობისა ცოდვაა და, ვისაც იგი აქვს, სისაძაგლეს ამოანთხევს. ამის გამო უფალი მრავალ განსაცდელს უმზადებს და საბოლოოდ კიდეც დაღუპავს მას. 14. უფალმა დაამხო ტახტნი მრავალთა და მათ ნაცვლად თვინიერნი დასვა. 15. უფალმა ძირფესვიანად ამოძირკვა ხალხები და მათ სანაცვლოდ მორჩილნი დააფუძნა. 16. ხალხთა ქვეყნები დაამხო უფალმა და დედამიწის საფუძვლებამდე შემუსრა ისინი. 17. ზოგიერთნი გაახმო და წარწყმიდა, ქვეყნიდან წარხოცა მათი სახსენებელი. 18. ადამიანთათვის არ შექმნილა ამპარტავნობა და არც გულის წყრომა ქალთა ნაშობთათვის. 19. პატიოსანი მოდგმა რომელია? მოდგმა კაცისა. პატიოსანი მოდგმა რომელია? მოშიშნი უფლისა. უპატიოსნო მოდგმა რომელია? მოდგმა კაცისა. უპატიოსნო მოდგმა რომელია? დამრღვევნი მცნებათა. 20. ძმათა შორის უფროსი პატივდებულია; ასევე მოშიშნი უფლისა მის თვალში. 21. სიამაყე მდიდრისა, დიდებულისა თუ ღარიბისა უფლის შიშია. 22. უსამართლობაა შეურაცხყოფა გონიერი გლახაკისა და უჯეროა ხოტბის შესხმა ცოდვილი კაცისათვის. 23. დიდებულიც, მსაჯულიცა და განმგებელიც პატივდებულია, მაგრამ არც ერთი მათგანი არაა უმეტესი უფლის მოშიშზე. 24. ბრძენ მსახურს თავისუფალნი მოემსახურებიან და გონიერი კაცი არ დაიჩივლებს. 25. სიბრძნეს ნუ იკვეხნი საქმის კეთებისას და თავს ნუ განიდიდებ გასაჭირში. 26. მშრომელი, რომელსაც ყოველივე უხვად აქვს, სჯობია მოსეირნე მკვეხარას, ვისაც პურიც კი უჭირს. 27. შვილო, სიმდაბლით განადიდე შენი თავი და ღირსებისამებრ მიაგე პატივი. 28. შემცოდეს საკუთარი სულის წინაშე ვინ გაამართლებს? ვინ განადიდებს თავისი სიცოცხლის შეურაცხმყოფელს? 29. გლახაკს პატივს სცემენ ცოდნის გამო, მდიდარს კი მისი სიმდიდრისთვის ადიდებენ. 30. სიგლახაკეში პატივდებული რამდენად უფრო განდიდდება სიმდიდრეში? სიმდიდრეში უპატიო კი რამდენად უფრო უპატიო იქნება სიგლახაკეში?

თავი მეთერთმეტე

1. თავმდაბალს სიბრძნე აამაღლებს და დიდებულთა შორის დასვამს. 2. ხოტბას ნუ შეასხამ კაცს მისი სილამაზის გამო და ნუ შეიძაგებ მისი გარეგნობისთვის. 3. პატარაა მფრინავთა შორის ფუტკარი, მაგრამ ყველაზე

ტკბილია მისი ნაყოფი. 4. დიდებული შესამოსელით თავი ნუ მოგაქვს და დიდების დღეს ნუ ამაღლდები, რადგანაც საკვირველია უფლის საქმენი და კაცთათვის დაფარულია მისი საქმენი. 5. ხელმწიფეთაგან მრავალნი ისხდნენ მიწაზე, ის კი, ვისგანაც არ მოელოდნენ, გვირგვინს ატარებდა. 6. განმგებელთაგან მრავალნი იქმნენ შეურაცხყოფილნი და სახელოვანნი ხელში ჩაუვარდნენ სხვებს. 7. ვიდრე არ გამოიძიებ, ნუ გაკიცხავ, ჯერ დაფიქრდი და შემდეგ შერისხე. 8. ვიდრე არ მოისმენ, ნუ უპასუხებ და სიტყვას შუაში ნუ გააწყვეტინებ. 9. საქმეზე, რომელიც შენ არ გეხება, ნუ კამათობ და ცოდვილთა დასჯაში მონაწილეობას ნუ მიიღებ. 10. შვილო, ხელს ნუ მოჰკიდებ მრავალ საქმეს, რადგან საქმეთა სიმრავლეში უცოდველი ვერ დარჩები და, თუ გამოეკიდები მათ, ვერ დაეწევი და გაქცევითაც ვერ გაექცევი. 11. ზოგი შრომობს, ოფლს ღვრის და ჩქარობს, მაგრამ მაინც გაჭირვებაშია. 12. ზოგი ზანტია, შეწევნის მთხოვნელი, ძალ-ღონით სუსტი და სიღატაკეში ყელამდე ჩაფლული, მაგრამ უფლის თვალმა სასიკეთოდ შეხედა და მან წამოაყენა იგი მისი სიმდაბლისაგან. 13. აამაღლა იგი და მრავალნი გაოცდნენ მის გამო. 14. სიკეთე და ბოროტება, სიცოცხლე და სიკვდილი, სიღატაკე და სიმდიდრე უფლისაგანაა. 17. წყალობა უფლის ღვთისმოსავებს ეძლევათ და კურთხევა მისი კეთილად გაჰყვებათ საუკუნოდ. 18. ზოგი მდიდრდება თავისი სიფრთხილისა და მომჭირნეობის გამო და ეს არის მისი საზღაურის წილი, 19. რომ იტყვის: ვიპოვე მოსვენება, ახლა დავტკბები ჩემი სიკეთითო. მაგრამ არ კი იცის, როდის მოაწევს ჟამი, როცა ქონებას სხვებს დაუტოვებს, ხოლო თავად აღესრულება. 20. მტკიცედ იდექი შენს აღთქმაზე, მისი ერთგული დარჩი და შეაბერდი შენს საქმეს. 21. ნუ გაგაოცებს ცოდვილის საქმენი, გწამდეს უფლისა და უერთგულე შენს საქმეს, რადგან ადვილია უფლის თვალში სწრაფი და უეცარი გამდიდრება გლახაკისა. 22. უფლის კურთხევა საზღაურია ღვთისმოსავისათვის და მოკლე ხანში ააყვავებს მისი წყალობა. 23. ნუ იტყვი, კიდევ რა მჭირდება, ამიერიდან კიდევ რა სიკეთე უნდა შევიძინოო? 24. ნუ იტყვი, საკმარისია ჩემთვის, ამიერიდან კიდევ რაღა ბოროტება უნდა განვიცადო? 25. ბედნიერების დღეს ავიწყდებათ უბედურება და ჭირის დღეს არ იხსენებენ ბედნიერებას, 26. რადგან ადვილია უფლის თვალში, აღსასრულის დღეს მიაგოს კაცს მისთა საქმეთაებრ. 27. წუთიერი ტანჯვა სიტკბოებათა დამავიწყებელია და ადამიანის აღსასრულისას გაცხადდება მისი საქმენი 28. ნურავის ჩათვლი ბედნიერად სიკვდილამდე, რადგან კაცი მის ნაშობთაგან შეიცნობა. 29. ყველა კაცს სახლში ნუ შემოუშვებ, რადგან დიდია მზაკვრობა ცბიერისა. 30. მახეში მონადირებული კაკბის მსგავსია ამპარტავნის გული და მზვერავივით შენს სისუსტეს უთვალთვალებს. 31. გადააქცევს რა სიკეთეს ბოროტებად, უსაფრდება და რჩეულებს ლაქას სცხებს. 32. ცეცხლის ნაპერწკლისგან მრავლდება ნაკვერჩხალი და ცოდვილი კაცი ჩასაფრებულია სისხლის დასაღვრელად. 33. ერიდე ბოროტს — უკეთურ საქმეთა ოსტატს, რათა ოდესმე საუკუნო ლაქით არ მოგსვაროს. 34. შეიხიზნებ უცხოს და შეგშლის შფოთით, უცხოს გაგხდის შენიანთათვის.

თავი მეთორმეტე

1. სიკეთეს თუ აკეთებ, იცოდე, ვისთვის აკეთებ და მოგენიჭება მადლი შენი სიკეთის წილ. 2. კეთილი უყავი

ღვთისმოსავს და სანაცვლოს იპოვი, თუ მისგან არა, უზენაესისგან მაინც. 3. არ იქნება სიკეთე მისთვის, ვინც განუწყვეტლივ სჩადის ბოროტებას და ვინც მოწყალებას სიხარულით არ გასცემს. 4. მიეცი ღვთისმოსავს და ნუ შეეწევი ცოდვილს. 5. კეთილი უყავი თავმდაბალს და უწმიდურს ნურაფერს მისცემ; დაუკავე მას პური და არ მისცე, რათა მისით არ გძლიოს შენ, რადგან ორმაგ ბოროტებას მიიღებ ყველა სიკეთისათვის, რასაც მას გაუკეთებ. 6. რადგან მოიძულა უზენაესმა ცოდვილნი და უწმიდურებს სასჯელს მიაგებს. 7. მიეცი კეთილს და ცოდვილს ნუ შეეწევი. 8. არ გამოიცნობა მეგობარი სიკეთეში და არ დაიფარება მტერი გასაჭირის ჟამს. 9. ადამიანის ბედნიერებისას მისი მტრები მწუხარებენ, გასაჭირის ჟამს კი მეგობარიც გაეყრება. 10. არასოდეს ენდო შენს მტერს, რადგან სპილენძივით ჟანგდება მისი ბოროტება. 11 თუ დამდაბლდა და ქედწახრილმა იარა, გაფრთხილდი და თავი დაიცავი მისგან; ეყავ მას ვითარცა კრიალა სარკე და შეიცნობ, რომ ბოლომდე როდი განწმედილა ჟანგისაგან. 12. ნუ დააყენებ მას შენს გვერდით, რათა არ ჩამოგაგდოს და შენს ადგილზე არ დადგეს. ნუ დაისვამ მას მარჯვენით, რათა ოდესმე არ მოისურვოს შენი სავარძელი, თორემ ბოლოს ჩასწვდები ჩემს სიტყვებს და სინანულით გაიხსენებ ჩემს შეგონებებს. 13. ვინ შეიწყალებს გველით დაგესლილებს და ყველა იმათ, ვინც მხეცებს მიეახლა? 14. ასევე ცოდვილ კაცთან ერთად მავალს და გამზიარებელს მისი ცოდვებისა? 15. დროებით დარჩება შენთან, მაგრამ თუ იყოყმანებ, ველარ დაითმენს. 16. მტერი თავისი ბაგით გატკბობს, გულში კი ფიქრობს, ორმოში ჩაგაგდოს. მტერი თვალებით იტირებს, მაგრამ თუ დრო იპოვა, სისხლით ვერ გაძღება. 17. თუ თავს უბედურება დაგატყდება, შენზე წინ გაჩნდება იქ და, თითქოს გშველიდეს, ფეხს დაგიდებს. 18. თავს — გადააქნევს, ხელებს შემოჭკრავს, ბეჭრს იჩურჩულებს და სახეს შეიცვლის.

თავი მეცამეტე

1. ვინც ფისს შეეხება, გაისვრება და ვინც ამპარტავანს დაუახლოვდება, მას დაემსგავსება. 2. ნუ ასწევ ტვირთს, შენს ძალღონეზე აღმატებულს, და შენზე ძლიერსა და მდიდარს ნუ დაუახლოვდები. რა გაუვა თიხის ქოთანს სპილენძის ქვაბთან? დაეჯახება ქოთანი და თავად გატყდება. 3. მდიდარმა უსამართლობა ჩაიდინა და თვითონვე იმუქრება; გლახაკი შეურაცხყვეს და თავად ივედრება შეწყალებას. 4. თუკი დასჭირდები, გამოგიყენებს, თუ გაგიჭირდა, მიგატოვებს. 5. თუ რამ გექნება, შენთან იცხოვრებს, დაგახარჯვინებს და თვითონ კი თავს არ შეიწუხებს. 6. თუ რამე გიჭირს, მოგატყუებს, გაგიცინებს და იმედს მოგცემს, ალერსიან საუბარს გაგიბამს და გკითხავს, ხომ არაფერი გიჭირსო? 7. შეგარცხვენს თავისი გამასპინძლებით, ვიდრე ორჯერ ან სამჯერ არ გაგძარცვავს და საბოლოოდ არ იცინებს შენზე. შემდგომად ამისა, თუ დაგინახა, მოგერიდება და მხოლოდ თავსღა დაგიქნევს. 8. უფრთხილდი, რომ არ შეცდე და არ დამდაბლდე შენი სიბრიყვით. 9. როცა ძლიერი მიგიხმობს, თავი აარიდე და უფრო მიგიწვევს. 10. თავს ნუ მოაბეზრებ, რათა არ მოგიშოროს და ნურც მეტისმეტად განუდგები, რომ არ დაავიწყდე. 11. ნუ მისცემ თავს ნებას ესაუბრო, როგორც თანასწორს და მის მრავალსიტყვაობას ნუ მიენდობი, რადგან გრძელი საუბრით შეგაცდენს და თითქოსდა ხუმრობით გამოგცდის. 12. შეუბრალებელია საკუთარი თავის მიმართ, ვინც არ უფრთხილდება სიტყვებს, თავს ვერ დაიცავს სიავისა და ბორკილებისგან.

13. გაფრთხილდი და გულისყურით იყ-
ავი, რადგან საკუთარ უბედურებასთან
ერთად დააბიჯებ. 14. ყველა ცხოველს
უყვარს თავისი მსგავსი და ყოველ
კაცს — თავისი მახლობელი. 15. ყოვე-
ლი ხორციელ თავ-თავისი მოდგმის
მიხედვით ერთიანდება და ადამიანიც
თავისივე მსგავსისკენ მიისწრაფვის. 16.
რა აქვს საერთო მგელს კრავთან? ასე-
ვე ცოდვილს ღვთისმოსავთან? 18. რა
მშვიდობა იქნება აფთარსა და ძაღლს
და გლახაკს შორის? 19. ლომების სა-
ნადირო გარეული ვირებია უდაბ-
ნოში, ასევე გლახაკნი საძოვარია მდი-
დართათვის. 20. საძულველია თავმდაბ-
ლობა ამპარტავნისათვის, ასევე საძულ-
ველია მდიდარისათვის ღარიბი. 20.
მდიდარმა თუ წაიბორძიკა, მეგობრები
შეაშველებენ ხელს, დაცემულ გლახაკს
კი მეგობრებიც მიატოვებენ. 21. გასა-
ჭირში ჩავარდნილ მდიდარს მრავალი
შემწე ჰყავს, აბდაუბდას იტყვის და
გაამართლებენ. გლახაკს გაუჭირდება
და შერისხავენ; ბრძნულად იტყვის და
ყურსაც არ ათხოვებენ. 22. მდიდარი
ამოიღებს ხმას და ყველა დადუმდება;
მის სიტყვას ღრუბლებამდე ასწევენ.
გლახაკი ამოიღებს ხმას და იტყვიან:
ეს ვინღა არისო? თუ წაიბორძიკებს,
ზურგს შეაქცევენ. 23. კარგია სიმდიდ-
რე, რომელსაც არ ურევია ცოდვა, სიგ-
ლახაკე ბოროტებაა უწმიდურის პირში.
24. კაცის გული სახეს შეუცვლის მას—
ან სიკეთისკენ, ან ბოროტებისკენ. 25.
გულის ნიშანი ბედნიერების ჟამს მხია-
რული სახეა და მძიმე ფიქრები იგავ-
თა მთხზველია.

თავი მეთოთხმეტე

1. ნეტარია კაცი, რომელმაც არ
შესცოდა თავისი პირით და ცოდვის
სევდამ არ დაამწუხრა. 2. ნეტარია,
ვისაც არ არცხვენს თავისი სული
და ვისაც არ დაუკარგავს სასოება. 3.
ძუნწი კაცისათვის სიმდიდრე არ არის
სიკეთე; რად უნდა ქონება ბოროტ
ადამიანს? 4. ვინც თავის სულს აკლებს
და ისე აგროვებს, სხვებისთვის აგრო-
როვებს და მისი საუნჯით სხვანი დატკ-
ბებიან. 5. საკუთარი თავისთვის ბოროტი
ვისთვისღა იქნება კეთილი? ვერ გაი-
ხარებს თავისი ქონებით. 6. საკუთა-
რი თავისთვის ბოროტისმყოფელზე
უკეთური არავინაა; ესაა საზღაური მი-
ი ბოროტებისათვის. 7. თუკი სიკეთეს
აკეთებს, გულმავიწყობით აკეთებს და
ბოლოს გამოამზეურებს თავის ბორო-
ბას. 8. უკეთურია, ვისაც შურიანი
თვალი აქვს, პირს აბრუნებს და სძულს
ადამიანები. 9. თვალი ანგარებისმოყვა-
რისა ვერ ძღება რაიმე წილით, ბო-
როტის უსამართლობა სულს აჭკნობს.
10. უკეთური თვალი პურზეც მოშურ-
ნეობს და მისი სუფრა მუდამ მწირია.
11. შვილო, შეძლებისამებრ კეთილი
უყავი შენს თავს და უფალსაც ღირ-
სეულად მიართვი ძღვენი. 12. გახსოვ-
დეს, რომ სიკვდილი არ დააყოვნებს და
ჯოჯოხეთის განაჩენი არ გამოგცხა-
დებია. 13. ვიდრე აღესრულები, სიკეთე
უყავი მეგობარს, გაუწოდე ხელი და
შეძლებისამებრ მიეცი მას. 14. ნუ
მოიკლებ სიკეთის დღეს და წილი
კეთილი ნატვრისა გვერდს არ აგივლის.
15. განა გასაყოფად სხვას არ დაუ-
ტოვებ შენს მონაგარს და ნაჯაფარს —
წილის საყრელად? 16. გაეცი და მი-
იღე, ანუგეშე სული შენი, რადგან
ჯოჯოხეთში ველარ იპოვის სიამეს. 17.
ყოველი ხორციელი ძველდება სამო-
სელით, რადგან დასაბამისად გადაწყ-
ვეტილია: სიკვდილით მოკვდები. 18.
როგორც მწვანე ფოთლებით დაბურუ-
ლი ხიდან ერთი ვარდება, ხოლო მეორე
იშლება, ასევეა მოდგმა ხორცისა და
სისხლისა: ერთი აღესრულება, მეორე
კი იბადება. 19. ყოველი ნაკეთობა
ხრწნადია და ქრება, მასთან ერთად
კვდება მისი შემქმნელიც. 20. ნეტარია,
რომელიც სიბრძნეს ეწაფება და ვინც
თავისი გონიერებით მსჯელობს. 21.

ვინც თავის გულში მის გზებს მოიაზრებს, იგი შეიცნობს მის იდუმალებებს. 22. მისდიე უკან მდევარივით და გზებზე ჩაუსაფრდი. 23. ვინც მის სარკმელში შეიხედავს, ის მის კარებთანაც მოისმენს. 24. ვინც მისი სახლის მახლობლად დაივანებს, ის ჩააჭედებს ლურსმანს მის კედლებში; 25. მის ახლოს აღმართავს თავის კარავს და კეთილ სავანეში განისვენებს. 26. მის ჭერქვეშ დასვამს თავის შვილებს და მის რტოებქვეშ დაიმკვიდრებს. 27. მისით დაიფარავს თავს სიცხისაგან და მის დიდებაში იცხოვრებს.

თავი მეთხუთმეტე

1. უფლის მოშიში ასე მოიქცევა და მტკიცე რჯულით მოიხვეჭს მას. 2. დედასავით მიეგებება მას და სიჭაბუკის ცოლივით მიიღებს. 3. გამოკვებავს მას გონების პურით და სიბრძნის წყაროს შეასმევს. 4. მისით განმტკიცდება და აღარ შეირყევა, მიეკვრება მას და აღარ შერცხვება. 5. აამაღლებს მის მახლობლებზე და გაუხსნის ბაგეს შეკრებილთა შორის. 6. სიხარულისა და შვების გვირგვინს აპოვნინებს და საუკუნო სახელს დაუმკვიდრებს. 7. ვერ მისწვდებიან მას უგუნურნი და ვერც ცოდვილნი იხილავენ. 8. შორსაა იგი ამპარტავანთაგან და ცრუნი ვერ შეიცნობენ. 9. უამურია ქება ცოდვილის პირით, რადგან უფლისაგან როდია მოვლენილი. 10. რადგან ქება სიბრძნით ითქმის და უფალი კეთილად წარმართავს მას. 11. ნუ იტყვი, უფლის განგებით განვდექიო, რადგან თავის საძულველს არ გააკეთებს. 12. ნუ იტყვი, ღმერთმა შემაცდინაო, რადგან არ სჭირდება მას ცოდვილი კაცი. 13. ყოველივე სისაძაგლე შეიძულა უფალმა და არც მისთა მოშიშთა უნდა უყვარდეთ. 14. მან დასაბამიდანვე შექმნა ადამიანი და მისი ხელის ანაბარა დატოვა. 15. თუ მოისურვებ, დაიცავ მცნებებსა და კეთილი რწმენით მოიქცევი. 16. მან დაგიდო წინ ცეცხლი და წყალი, და საითკენაც გენებოს, იქით გაიწოდე ხელი. 17. ადამიანის წინაშეა სიცოცხლე და სიკვდილი და, რომელსაც მოისურვებს, ის მიეცემა. 18. რადგან დიდია სიბრძნე უფლისა, ძლიერია მისი მეუფება და ყოველივეს ხედავს. 19. მისი თვალი მოშიშებს დაჰყურებს და იცის მან ყოველი საქმე კაცისა. 20. ურჯულოება არავისთვის დაუდგენია მას მცნებად და არც არვისთვის მიუცია უფლება ცოდვის ჩადენისა.

თავი მეთექვსმეტე

1. უვარგის შვილთა სიმრავლეს ნუ ისურვებ და ნურც ურჯულო ვაჟებით ხარობ. 2. მათი გამრავლება ნუ გაგახარებს, რადგან არა აქვთ შიში უფლისა. 3. არ ირწმუნო მათი სიცოცხლე და ნუ დაენდობი მათ სიმრავლეს, რადგან ზოგჯერ ერთი სჯობს ათასს და უშვილოდ გადაგება — ურჯულო შვილთა ყოლას. 4. რადგან ერთი გონიერისაგან ქალაქი აშენდება, ურჯულოთა ტომი კი მოოხრდება. 5. მრავალი ამგვარი რამ იხილეს ჩემმა თვალებმა და ამაზე უარესი მოუსმენიათ ჩემს ყურებს. 6. ცოდვილთა საკრებულოში ცეცხლი გაჩაღდება, ურჩ ხალხში კი რისხვა აინთება. 7. არ შეიწყალა ძველი ბუმბერაზები, რომელნიც თავიანთი ძალის იმედით განუდგნენ მას. 8. არ დაინდო ლოთის სახლეულიც, რომელიც მოიძულა მისი ამპარტავნობისთვის. 9. არ შეიწყალა წარწყმედილი ხალხი, რომელიც მედიდურობდა თავისი ცოდვებით. 10. ისევე, როგორც ექვსასი ათასი კაცი, გულქვაობამ რომ შეკრიბა ერთად. 11. თუნდაც ერთი იყოს ქედფიცხელი, მაინც საკვირველი იქნება დაუსჯელი რომ დარჩეს, რადგან წყალობაცა და რისხვაც უფალთანაა და

შეწყალებაც ხელეწიფება და რისხვის
გადმოღვრაც. 12. რამდენადაც დიდია
მისი წყალობა, იმდენად დიდია მხილე-
ბა მისგან და კაცს მისი საქმეების მი-
ხედვით განსჯის. 13. ვერ გაექცევა მას
ცოდვილი ნაძარცვით და მოთმინება კე-
თილმორწმუნეთა ამაო როდია. 14.
ადგილს მიუჩენს ყოველ მოწყალებას
და თითოეული თავის საქმეთა მიხედვით
მიიღებს 15. ნუ იტყვი, დავემალები
უფალს და სიმაღლიდან ვინ გამიხსენე-
ბსო? ვერც კი შემამჩნევსო ხალხის
სიმრავლეში, რადგან რა არის ჩემი
სული ზღვრდაუდებელ სამყაროში? 16.
აჰა, ზეცა და ზეცა ზეცისა, უფსკრული
და მიწა, ირყევიან მისი მზერის ქვეშ;
17. მთანიცა და საფუძველიც დედამი-
წისა ერთნაირად ირყევა ძრწოლით,
ოდეს მათ მოხედავს. 18. ეს ვერ გაუ-
გია გულს და მის გზებს ვინ მოიაზ-
რებს? 19. როგორც ქარი, რომელსაც
ადამიანი ვერ ხედავს, ასევე მისი საქ-
მეების უმრავლესობაც დაფარულია. 20.
ვინ მოგვითხროს საქმენი მისი სამარ-
თლიანობისა? ან ვინ დაელოდება მათ?
რადგან შორსაა აღთქმა. 21. ამგვარად
განსჯის გულით ღატაკი და უგუნური
და ცდუნებული კაციც ამგვარად ფიქ-
რობს. 22. ყური დამიგდე მე, შვილო,
და ისწავლე სიბრძნე და ჩემი სიტყვე-
ბი გულით შეისმინე. 23. აწონილად გა-
მოვაჩენ სწავლას და ზედმიწევნით გა-
ვაცხადებ ცოდნას. 24. დასაბამითვეა
მისი საქმეები და როცა შექმნა ისინი,
დაჰყო ნაწილებად. 25. საუკუნოდ
მოაწესრიგა თავისი საქმენი და მათი
ხელმწიფება თაობათა მიმართ. არც
სწყურიათ და არც იღლებიან, არც
სწყვეტენ თავიანთ მოქმედებას. 26. არ
ავიწროებენ ერთმანეთს და არასოდეს
ეურჩებიან უფლის სიტყვას. 27. შემ-
დგომ ამისა უფალმა მიწას გადმოხედა
და აღავსო იგი თავისი სიკეთით. 28.
ყოველი ცხოველის სულმა დაფარა მი-
სი პირი და მისკენ მიიქცევა ყოველივე.

თავი მეჩვიდმეტე

1. უფალმა მიწისაგან შექმნა ადა-
მიანი და კვლავ მასვე დაუბრუნა იგი.
2. განსაზღვრული დღეები და ჟამი
მისცა მათ და უბოძა ხელმწიფება მი-
წიერებზე. 3. მათი ბუნებისდა მიხედ-
ვით შემოსა ძალით და თავის ხატად
შექმნა ისინი. 4. ჩეუნერგა მისი შიში
ყოველ ხორციელს, რათა ემეუფა ცხო-
ველებზე და ფრინველებზე. 6. მისცა მათ
აზრი, ენა და თვალები, ყურები და
გული, რათა შეეცნოთ ისინი. 7. აღავ-
სო ისინი ცოდნთა და სწავლით და
აჩვენა მათ კეთილი და ბოროტი. 8.
დაადგა თვალი მათ გულებს და თავის
საქმეთა სიდიადე უჩვენა მათ. 10. რათა
ადიდონ წმიდის სახელი და მისი საქ-
მეების სიდიადეზე მოუთხრონ. 11. წინ
დაუდვა მათ ცოდნა და ცხოვრების წესი
დაუმკვიდრა. 12. საუკუნო აღთქმა და-
დო მათთან და უჩვენა თავისი სასჯე-
ლები. 13. დიდების სიდიადე იხილეს
მათმა თვალებმა და დიდებულება მისი
ხმისა გაიგონეს მათმა ყურებმა. 14.
უთხრა მათ: ერიდეთ ყოველგვარ უსა-
მართლობას, და ამცნო თითოეულს მო-
ვალეობა მოყვასის მიმართ. 15. მათი
გზები მარადის მის წინაშეა და ვერ
ემალებიან მის თვალებს. 16. ყოველ
ხალხს დაუდგინა წინამძღოლი, უფ-
ლის ხვედრი კი ისრაელია.
17. მათი ყველა საქმე მზე-
სავით მის წინაშეა და მარადის მათ
გზებზეა მისი თვალები. 18. არ არის
დაფარული მისთვის მათი უსამართ-
ლობანი და ყოველი მათი ცოდვა უფ-
ლის წინაშეა. 19. როგორც ბეჭედი,
მასთანაა კაცის შეწყალება და, როგ-
ორც თვალის გუგას, დაიცავს ადამია-
ნის მადლს. 20. შემდგომად ამისა აღ-
დგება იგი, სამაგიეროს მიუზღავს მათ
და მათ მიერ გაცემულს მათსავე თავზე
მოაქცევს. 21. ხოლო რომელნიც ინა-
ნიებენ, მიუტევებს და გაამხნევებს მათ,
რომელთაც მოაკლდათ დათმენის ღონე.
22. მოიქეცი უფლისაკენ და ცოდვები

მიატოვე, ეეედრე მას და უკელი შეცოდებებს. 26. ამაღლდი უზენაესისკენ, უსამართლობას განშორდი და ძლიერ შეიძულე სისაძაგლე. 24. ვინ განადიდებს უფალს ჯოჯოხეთში, თუ არა ცოცხალნი და ქების შემსხმელნი. 25. მკვდრისგან, როგორც არარსებულისგან, შემწყდარია ქების შესხმა. მხოლოდ ცოცხალი და მრთელი განადიდებს უფალს. 26. რა დიდია უფლის მოწყალება და პატიება მისკენ მიქცეულთა. 27. ყოველივე როდია ადამიანებში, რადგან არ არის უკვდავი ძე კაცისა. 28. რა არის მზეზე ნათელი? მაგრამ ისიც ბნელდება. ასევე ბოროტს განიზრახავს ხორცი და სისხლი. 29. ცის მაღალთა ძალებს ის განაგებს; ყოველი კაცი კი მტვერი და ფერფლია.

თავი მეთვრამეტე

1. ვინც ცოცხლობს საუკუნოდ, მთელი სამყარო მან შექმნა. 2. მხოლოდ უფალი შეირაცხება მართალად. 3. არავის აცხადებინებს თავის საქმეებს და მის დიდებულ ნამოქმედართ ვინ გამოიკვლევს? 5. მისი სიდიადის ძალას ვინ გაზომავს? და ვინ მოსთვლის მის მოწყალებებს? 6. მისი არც დაკლება იქნება და არც გაზრდა, უფლის საკვირველებანი გამოუკვლეველია. 7. როცა კაცი დაასრულებს, ის მაშინ იწყებს და, როცა შეწყვეტს, მაშინ მოისაკლისებს. 8. რაა კაცი და რა სარგებლობა აქვს? რა არის სიკეთე მისი და რა არის ბოროტება მისი? 9. ადამიანის დღეთა რიცხვი თითქოს ბევრია — ასი წელი. 10. მაგრამ როგორც ზღვაში წყლის წვეთი და ქვიშის მარცვალი, ასევე მცირეა მარადისობისთვის მისი წლები. 11. ამიტომაც სულგრძელია უფალი მათ მიმართ და მიაფენს მათზე თავის წყალობას. 12. ხედავს და იცის, რომ სავალალოა მათი აღსასრული, ამიტომაც გაამრავლა თავისი წყალობა. 13. გულმოწყალება კაცისა მისი მახლობლისკენაა, უფლის მოწყალება კი — ყოველი ხორციელისკენ — ამხილებს, წვრთნის და ასწავლის, და მოაქცევს, როგორც მწყემსი, თავის სამწყსოს. 14. შეიწყალებს მათ, ვინც მის შეგონებას შეიწყნარებს და იმათაც, ვინც მის კანონებს ეშურებიან. 15. შვილო, ქველმოქმედებისას საყვედურს ნუ იტყვი და ყოველი გაცემისას გულსატკენ სიტყვას. 16. განა სიცხეს ცვარი არ აგრილებს? ასევე მოწყალებას სჯობია სიტყვა. 17. ლამაზ საჩუქარს ხომ აღემატება სიტყვა? მადლიან კაცს კი ორივე ექნება. 18. უგუნური უმადურად აყვედრის და საჩუქარი შურიანისა თვალებს შრეტს. 19. ვიდრე ალაპარაკდებოდე, მოიფიქრე და, ვიდრე დასნეულდებოდე, სიმართლეს მიხედე. 20. გასამართლებამდე გაჩხრიკე შენი თავი, განკითხვისას იპოვი შეწყალებას. 21. ვიდრე დაუძლურდებოდე, მოთრგუნე თავი და ცოდვის ზღვარზე უკან მოიქეცი 22. ნუ დაბრკოლდები აღთქმის დროზე შესასრულებლად და მის განაღდებას სიკვდილამდე ნუ გადასდებ. 23. ლოცვის დაწყებამდე მოამზადე თავი და უფლის გამომცდელივით ნუ იქნები. 24. გახსოვდეს რისხვა აღსასრულის დღეს და ჟამი შურისგებისა, როცა უფალი პირს მიიბრუნებს. 25. სიმაძღრისას შიმშილობის ჟამი გახსოვდეს, გამდიდრებისას კი — სიღატაკე და გაჭირვება. 26. განთიადიდან საღამომდე იცვლება ჟამი და ყოველივე სწრაფწარმავალია წინაშე უფლისა. 27. ბრძენი კაცი ყოველთვის ფრთხილად იქნება და ცოდვათა დღეებში შეცდომას მოერიდება. 28. ყოველი გონიერი შეიცნობს სიბრძნეს და მის მპოვნელსაც ხოტბას შეასხამს. 29. სიტყვებში გაწაფულნი თავადაც დაბრძენდნენ და გადმოღვარეს ბრძნული იგავები. 30. ნუ აჰყვები შენს გულისთქმათ და სურვილებისაგან თავი შეიკავე. 31. თუ სულს ვნებებისკენ წარუძღვები, მტრების გასართობად გაგხდიან. 32. ნუ ილხენ დიდი ფუფუნე-

ბით და არიფანებს ნუ გადაყვები. 33. არ გაგალატაკოს სესხით გამართულმა ნადიმებმა, როდესაც ქისა ცარიელი გაქვს.

თავი მეცხრამეტე

1. ლოთი მუშა ვერ გამდიდრდება და მცირეთა არად ჩამგდები თანდათან დაკნინდება. 2. ღვინო და ქალები აუკეთებენ გონიერთ და მეძავებთან საქმის დამჭერი მეტისმეტად თავაშვებულია. 3. მღილი და მატლი დაეუფლებიან მას და თავაშვებული სული წარიწყმიდება. 4. მალერმწმენი ჭკუამსუბუქია და, ვინც სცოდავს, საკუთარ თავს ვნებს. 5. გულისთქმას აყოლილს მსჯავრი დაედება, ვნებათა წინააღმდგომი სიცოცხლეს დაიგვირგვინებს. 6. ენის მომთოკავი უშეცდომოდ იცხოვრებს და ლაყბობის მოძულე ბოროტს აიცილებს. 7. ნურასოდეს გაიმეორებ სიტყვას და არასოდეს არაფერი დაგეკარგება. 8. ნურც მეგობარს და ნურც მტერს ნუ ეტყვი და, თუ შენთვის ცოდვა არ არის, ნუ გაამჟღავნებ. 9. რადგან მოგისმენს ვინმე და დაგიდარაჯდება, გავა დრო და შეგიძულებს. 10. მოისმინე სიტყვა? მოკვდეს შენთან ერთად. ნუ გეშინია, არ აგაფეთქებს. 11. სულელს ისე ატკივებს სიტყვა, როგორც მშობიარეს შობადი ჩვილი. 12. რაღა ბარძაყში გარჭობილი ისარი და რაღა სიტყვა სულელის გულში. 13. ჰკითხე მეგობარს, იქნებ მას არ ჩაუდენია; და თუ ჩაიდინა, მომავალში ნულარ ჩაიდენს. 14. ჰკითხე მახლობელს, იქნებ არ უთქვამს და, თუ თქვა, ნულარ გაიმეორებს. 15. ჰკითხე მეგობარს, რადგან ხშირად იბადება ცილისწამება, და ყველა სიტყვას ნუ ირწმუნებ. 16. ზოგი სცოდავს, მაგრამ არა სულით, ენით კი ვის არ შეუცოდავს? 17. ჰკითხე შენს მახლობელს, ვიდრე დაემუქრებოდე, და უზენაესის განგებას გზა მიეცი. 20. ყოველი სიბრძნე უფლის შიშია და ყოველ სიბრძნეში კანონის აღსრულებაა. 22. ბოროტის ცოდნა არ არის სიბრძნე და არც გონიერებაა იქ, სადაც ცოდვილნი ბჭობენ. 23. არის სიჭკვიანე, რომელიც სისაძაგლეა, და არის ბრიყვი, რომელსაც მხოლოდ სიბრძნე აკლია. 24. ჭკუანაკლი, მაგრამ ღვთის მოშიში სჯობს დიდად გაბრძნობილს, მაგრამ რჯულის დამრღვევს. 25. რაღა საფუძვლიანი, მაგრამ უსამართლო სიჭკვიანე და რაღა მადლის წახდენა განაჩენის გამოტანისას. 26. არის ცბიერი, მწუხარებით თავჩაქინდული, მაგრამ შიგნით სავსეა ვერაგობით. 27. სახეს მალავს და მოიყრუებს, მაგრამ სადაც არ ელი, იქ მიგასწრებს. 28. თუ კაცი შეუძლებლობის მიზეზით ვერ სცოდავს, დროს იპოვნის და ბოროტებას მაინც ჩაიდენს. 29. კაცი გარეგნობით იცნობა, ხოლო გონიერი სახის გამომეტყველებით შეხვედრისას. 30. სამოსელი, სიცილი და სიარული ამხელს ადამიანს.

თავი მეოცე

1. ზოგჯერ მხილება უდროოა და ზოგჯერ, ვინც დუმს, ის არის გონიერი. 2. მხილება სჯობს ლიტონ გულისწყრომას, 3. რადგან ნაკლში მხილებული თავს შეიკავებს. 4. რაღა საჭურისისგან ქალწულის გაუპატიურების მცდელობა და რაღა განაჩენის ძალით გამოტანა.5. ზოგის მდუმარებაში სიბრძნე ჩანს, ზოგი კი საძულველია ბევრი ლაყბობის გამო. 6. ზოგი დუმს, რადგან პასუხი არა აქვს, ზოგი კი იმიტომ დუმს, რომ დროს უყურებს. 7. ბრძენი კაცი დრომდე ჩუმად იქნება, მკვეხარა და უგუნური კი დროს არ მოუცდის. 8. სიტყვამრავალს შეიძაგებენ და ძალად მოლაპარაკე შეძულებული იქნება. 9. ზოგჯერ წარმატება კა-

საქართველოს ეროვნული

ცის საზიანოდ არის, ზოგჯერ ზარალიც შენაძენია. 10. ზოგიერთი საჩუქარი სარგებლობას ვერ მოგიტანს, ზოგიერთი საჩუქარი კი ორმაგად ანაზღაურდება. 11. ზოგჯერ დამცირებას დიდება მოაქვს და კაცი სიმდაბლისგან თავს მაღლა ასწევს. 12. ზოგი მცირეთი ბევრს ყიდულობს, ზოგი კი მცირედისთვის შვიდმაგად გადაიხდის. 13. ბრძენი ლაპარაკით აყვარებს თავს, სულელთა მადლი კი ფუჭად იკარგება. 14. უგუნურის წყალობა არას გარგებს, რადგან ერთის ნაცვლად ბევრი თვალი აქვს; 15. ცოტას მოგცემს და მრავალჯერ დაგაყვედრის, გზირივით ექნება პირი დაღებული, დღეს რომ გაასესხებს, ხვალ უკან ითხოვს. საძულველია ამგვარი კაცი. 16. სულელი ამბობს: არ მყავს მეგობარი და არც მადლიერია ვინმე ჩემი სიკეთისათვის; 17. ჩემი პურის მჭამელნი ავსიტყვაობენო. რამდენი დასცინებს მას და რა ხშირადაც. 18. სჯობს მიწაზე დაცურდეს ფეხი, ვიდრე ენაზე. ამგვარად ჩქარა მოაწევს ბოროტთა დაცემა. 19. უმადლო კაცი უდროო არაკია, მუდამ პირზე რომ აკერიათ უმეცართ. 20. სულელის პირით თქმული იგავი უარსაყოფია, რადგან თავის დროზე არ ამბობს მას. 21. ცოდვისაგან ზოგი გაჭირვების გამო თავს იკავებს და, სულს რომ მოითქვამს, აღარ ინანებს. 22. ზოგი მორცხვობით იღუპავს თავს, ზოგი კი ბრიყვული გამომეტყველებით. 23. ზოგი სირცხვილის გამო ჰპირდება მეგობარს და ტყუილუბრალოდ იკიდებს მტრად. 24. სიცრუე ადამიანში ბოროტი ლაქაა, უმეცრებს მუდამ პირზე აკერიათ. 25. ქურდი სჯობია სულმუდამ ცრუმეტყველს, თუმცა ერთსაც და მეორესაც წარწყმედა ელის. 26. ცრუ კაცს თავისი საქციელი არცხვენს და სირცხვილი მისი მასთანაა საუკუნოდ. 27. ბრძენი სიტყვებით გამოაჩენს თავს და გონიერი კაცი დიდებულებს მოეწონებათ. 28. მიწათმოქმედი თავის ზვინს აამაღლებს და დიდებულთა მაამებელს უკანონობაც ეპატიება. 29. ძღვენი და საბოძვარი ბრძენთაც კი უბრმავებს თვალებს და პირში ამოდებული ლაგამივით დააბრკოლებენ მხილებაში. 30. დაფარული სიბრძნე და დამალული განძი! ვის რაში არგია ან ერთი ან მეორე? 31. სჯობს კაცი, თავისი სიბრიყვის დამფარველი, კაცს, რომელიც თავის სიბრძნეს ფარავს.

თავი ოცდამეერთე

1. შვილო, შესცოდე? ნულარ მიუმატებ, არამედ ადრინდელთა მიტევებისთვის ილოცე. 2. გაექეცი ცოდვას, როგორც უხსენებელს, რადგან, თუ ახლოს მიხვალ, გიკბენს. მისი კბილები ლომის კბილებია — ადამიანთა სულების მომაკვდინებელი. 3. ყოველი ურჯულოება ორლესული მახვილივითაა — მისი ნაჭრევი არ განიკურნება. 4. დაშინებით და ძალადობით სიმდიდრე ოხრდება, ასევე მოოხრდება ამპარტავნის სახლი. 5. ღატაკის ვედრება მისი პირიდან ღვთის ყურამდე აღწევს და სწრაფადვე მოდის მისი განაჩენი. 6. მხილების მოძულე ცოდვილის კვალზეა, ღვთის მოშიში კი გულით მოინანიებს. 7. ენით ძლიერი შორიდან შეიცნობა, მაგრამ გამჭრიახი ხედავს, სად წაიბორძიკებს იგი. 8. რაღა სხვისი ხარჯით თავისი სახლის მშენებელი და რაღა საკუთარი საფლავისთვის ქვების შემგროვებელი. 9. ურჯულოთა თავყრილობა ძენძის გროვაა და მათი აღსასრული ცეცხლის ალია. 10. ცოდვილთა გზა ქვებით არის მოკირწყლული, მაგრამ მის ბოლოში ჯოჯოხეთის უფსკრულია. 11. რჯულის დამცველი განაგებს თავის ფიქრებს და სიბრძნე უფლის შიშის განსრულებაა. 12. უნიჭო ვერ განისწავლება, მაგრამ ზოგჯერ ნიჭი სიმწარეს ამრავლებს. 13. ბრძენის ცოდნა წყალდიდობასავით იზრდება და მისი რჩევა სიცოცხლის წყაროა. 14. ბრიყვის გონება გატეხილ ჭურჭელს ჰგავს—ვერავითარ

ცოდნას ვერ დაიჭერს. 15. გონიერი მოისმენს ბრძნულ სიტყვას, შეაქებს მას და თავადაც შეითვისებს; თავქარიანი მოისმენს, არ მოეწონება და ზურგს უკან მოისვრის. 16. ბრიყვის მონათხრობი ტვირთია გზაზე, გონიერის ბაგეებზე კი მადლი იპოვება. 17. ჭკვიანი კაცის პირს საკრებულოში დაუწყებენ ძებნას და მის სიტყვებს გულში ჩაითხრობენ. 18. რაღა დანგრეული სახლი და რაღა სიბრძნე ბრიყვთათვის; ცოდნა უგუნურისა უაზრო სიტყვებია. 19. უჭკუოსთვის წვრთნა ბორკილებია ფეხებზე და ჯაჭვი — მარჯვენა ხელზე. 20. ბრიყვი სიცილის დროს ხმას აიმაღლებს, ჭკვიანი კაცი კი წყნარად გაიღიმებს. 21. წვრთნა ჭკვიანისთვის ოქროს სამკაულია და ძვირფასი სალტე — მარჯვენა მკლავზე. 22. ბრიყვის ფეხები შინისკენ მიიჩქარის, მრავლისგანმცდელი კაცი კი კდემამოსილად შედგება მის წინ. 23. უგუნური სახლში კარებიდან იჭვრიტება, აღზრდილი კაცი კი გარეთ დადგება. 24. უზრდელობაა ადამიანისათვის კარებიდან მოსმენა, გონიერს კი შეაწუხებს ამგვარი ურცხვობა. 25. უგუნურთა ბაგენი ბევრს ლაპარაკობენ, გონიერთა სიტყვები კი სასწორზე იწონება. 26. ბრიყვთა გული მათ პირზეა, ბრძენთა პირი კი — მათ გულში. 27. სატანის წყევლისას ულვთო თავის სულს იწყევლის. 28. მაბეზღარა ბილწავს თავის სულს და მოძულებულია თავის სამეზობლოში.

თავი ოცდამეორე

1. ჭუჭყიან ქვაბს ჰგავს ზარმაცი და ყველა უსტვენს მის უპატიობას. 2. ხარის ნეხვსა ჰგავს ზარმაცი; ყოველი მისი ამღები ხელს იფერთხავს. 3. მამის სირცხვილია უზრდელი ვაჟიშვილის ყოლა, ქალიშვილი საზარალოდ იბადება. 4. გონიერი ასული ქმარს შეიძენს, ურცხვი კი მშობლის დარდია. 5. უტიფარი ქალი არცხვენს მამასაც და ქმარსაც, და ორივესგან შეძულებული იქნება. 6. რაღა უდროო ამბის მოყოლა და რაღა მხიარული ჰანგი ტირილის ჟამს; წკეპლით წვრთნა კი ყოველთვის სიბრძნეა. 7. რაღა ბრიყვის მასწავლებელი და რაღა ნამსხვრევების შემწებებელი, ან მძინარის გამღვიძებელი ღრმა ძილისაგან. 8. გინდა ბრიყვისთვის გიამბნია ამბავი, გინდა მთვლემარისთვის. ბოლოს იკითხავს, რა იყოო? 9. იტირე მკვდარი, რადგამ მოკლებული აქვს ნათელი და იტირე ბრიყვიც, რადგან მოკლებული აქვს გონება; ნაკლებად იტირე მკვდარი, რადგან განისვენა, ბრიყვის სიცოცხლე კი სიკვდილზე უარესია. 10. მკვდარი შვიდ დღეს იგლოვე, ბრიყვი და ულვთო — ყოველდღე, სანამ ცოცხალია. 11. უგუნურთან ნუ მრავალსიტყვაობ და უმეცართან ნუ დადიხარ. მოერიდე, რათა უსიამოვნება არ შეგემთხვეს და არ წაიბილწო მასთან შეხლა-შემოხლისას. აარიდე მას თავი და სიმშვიდეს მოიპოვებ და აღარ შეგაწუხებს მისი უგუნურება. 12. რა არის ტყვიაზე მძიმე? და რა არის სახელი, მისი, თუ არა ბრიყვი? 13. ქვიშის, მარილისა და რკინის ზოდის ზიდვა უფრო ადვილია, ვიდრე უგუნური კაცისა. 16. როგორც სახლის მტკიცედ შეკრული ხის სარტყელი არ დაირღვევა ბიწის ძვრისას ასევე გული, დაყრდნობილი გონივრულ რჩევაზე, არ შედრკება საფრთხეში. 15. გონივრულ განსჯაზე დაფუძნებული გული ჩუქურთმაა გლუვ კედელზე. 16. როგორც მაღალი საბჯენები ვერ გაუძლებს ქარს, ასევე მხდალი გული უგუნური განსჯისას ვერ გაუძლებს შიშს. 17. დაჭრილი თვალი ცრემლებს გადმოღვრის, დაჭრილი გული კი გრძნობებს წარმოაჩენს. 18. ფრინველებს დააფრთხობს გასროლილი ქვა და მეგობრის მაგინებელი დაარღვევს მეგობრობას. 19. თუ მეგობარზე იშიშვლე მახვილი, იმედს ნუ დაკარგავ ,შეგიძლია უკან ჩააგო. 20. თუ მეგობრის წინააღმდეგ პირი გახსენი, ნუ

გეშინია, რადგან შეგიძლია შეურიგდე. მხოლოდ ძაგება, ქედმაღლობა, საიდუმლოს გამჟღავნება და მზაკვრული ქცევა განდევნის ყველა მეგობარს. **21.** მახლობლის ნდობა მის სიღატაკეში მოიპოვე, რათა მასთან ერთად იშვებდე მის კეთილდღეობაში. მასთან დარჩი გასაჭირის ჟამს, რათა მის მემკვიდრეობაში წილი დაიდო. **22.** ცეცხლის გაჩენამდე ღუმელში ალმური და კვამლია, ასევე სისხლის დაღვრამდე — ლანძღვა-გინება. **23.** მეგობრის დაცვისა არ შემრცხვება და მის წინაშე არ დავიმალები. **24.** თუკი მის გამო ბოროტება შემემთხვევა, ყველა, ვინც გაიგებს, მოერიდება მას. **25.** ნეტავ ეყენოს მცველი ჩემს პირს და ესვას გონიერების ბეჭედი ჩემს ბაგეებს, რათა მათგან არ დავეცე და არ დამღუპოს ჩემმა ენამ.

□ბაბრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ფანჯიკიძე

ეშმაკის ბორბალი

რომანი

თავი მეჩვიდმეტე

1

საღამოს შვიდი საათი სრულდებოდა. არჩილ გორდელმა წვერი გაიპარსა და პერანგი გადაიცვა. ის იყო ჰალსტუხი უნდა გამოესკვნა, რომ ტელეფონმა დარეკა.

— დედა, მე ავიღებ! — გასძახა ქეთევანს.

სამზარეულოდან გამოსული ქეთევანი უკან შებრუნდა.

— გისმენთ.

— გამარჯობა, არჩილ.

— გაგიმარჯოს, რომელი ხარ? — განგებ ჰკითხა არჩილმა, თუმცა ხმაზე მშვენივრად იცნო სკოლის ამხანაგი ნუგზარ როინიშვილი. რატომღაც მისი ხმის გაგონება არასდროს სიამოვნებდა, უფრო მეტიც, ვერც იტანდა. თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რას ერჩოდა, გარდა სიკეთისა, მისგან არაფერი ახსოვდა.

— ნუგზარი ვარ, როინიშვილი.

— ჰო, ნუგზარ, გისმენ!

— სოსო ჩამოვიდა.

— ვინ სოსო?

— სოსო, ხომერიკი.

— რას მელაპარაკები!

— რეაბილიტაცია მიუცია.

— რეაბილიტაცია? — გაიოცა არჩილმა, — რა სჭირდა სარეაბილიტაციო, სოსო ხომ თავის ნებით წავიდა ყაზახეთში.

— იქ ხომ გადასახლებულ ქალიშვილს გაჰყვა, მერე ის ქალიშვილი ცოლად რომ მოიყვანა, ეტყობა, არ ჰქონდა ჩამოსვლის უფლება.

— მარტო ჩამოვიდა?

— არა, ცოლით.

— ძალიან მიხარია! — თქვა არჩილმა და იგრძნო, გულზე ყინულის ლოლუები როგორ დაეკიდა.

— რვა საათზე ყველანი სოსოსთან ვიკრიბებით, თუ გინდა, გამოგივლი.

— რვა საათზე?

— ჰო, რვა საათზე.

— სამწუხაროდ, მე ვერ წამოვალ.

— რატომ?

— რვა საათზე რუსთაველის კინოსთან პაემანი მაქვს დანიშნული. კინოში უნდა შევიდეთ.

გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 3.

— ვინ არის, მიდი და მოიყვანე.

— არა, უხერხულია.

— ხომ იცი, ძალიან ეწყინება!

— ვითომ?! — წამოსცდა უცებ არჩილს, ენაზე იკბინა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

— რას ჰქვია „ვითომ", თვითონ დამავალა, შენთვის დამერეკა!

— ჩემთან დარეკვა რომ სდომოდა, თვითონ დამირეკავდა, შენ რას გავალებდა.

— კარგი, არჩილ, არ გრცხვენია?

— ჰო, ძალიან მრცხვენია, — ყალბი ხმით გაიცინა არჩილმა.

— მაშ, გამოგიარო?

— ხომ გითხარი, რვა საათზე რუსთაველის კინოსთან მელოდებიან-მეთქი. ჯერ იქ უნდა მივიდე. ცოტა მოგვიანებით შემოგივლით.

— ძალიან ნუ დააგვიანებ. აბა, გელოდებით.

არჩილმა ყურმილი მძიმედ დადო ბერკეტზე. იგრძნო, გულზე დაკიდებული ყინულის ლოლუები რა სწრაფად იზრდებოდა.

— ვინ იყო, დედა? — ჰკითხა ქეთევანმა.

არჩილმა მოიხედა, კარებში სამზარეულოდან გამოსული ქეთევანი იდგა.

— სოსო ჩამოსულა.

— რომელი სოსო?

— ხომერიკი.

— უი, როგორ გამიხარდა!

არჩილმა ჰალსტუხი ხელში აიღო და სარკესთან მივიდა. არ უნდოდა დედისთვის თვალებში შეეხედა. ის კი ვეღარ განსაზღვრა, დედა რომ შვილის სახეს სარკეში მშვენივრად ხედავდა.

— რა იყო, შვილო, სახე რატომ მოგეღუშა?

— რატომ მომეღუშა? — გაბრაზდა არჩილი.

ქეთევანს გული შეეკუმშა.

— აბა, რა დროს კინოა?!

— შენ რა, ჩუმად მისმენდი? — უბრაზდა არჩილი.

— რომ გამოვედი, ბოლო სიტყვები მოვისმინე. რატომ მეჯავრდები?

— არაფერს არ გეჯავრდები. არ მიყვარს, როცა მისმენ. პირველად გეუბნები?!

— საგანგებოდ არაფერი მომისმენია, შვილო, სამზარეულოდან რომ გამოვედი, ბოლო ფრაზებს მოვკარი ყური! — განაწყენდა ქეთევანი.

არჩილმა ჰალსტუხი გაიკეთა, თმა დაივარცხნა, შემობრუნდა, ვითომც აქ არაფერიაო, დედას გაუღიმა და შუბლზე აკოცა.

— აბა, მე წავედი.

— შინ დროზე მოდი! — კარებამდე მიაცილა დედამ. მერე ფანჯარასთან მივიდა და ქუჩაში მიმავალ შვილს თვალი გააყოლა.

არჩილმა იცოდა, დედა ფანჯრიდან უცქერდა. გაღიზიანებულმა ნაბიჯს მოუმატა, იქაურობას რომ სწრაფად გასცლოდა.

ქეთევანი კარგახანს იდგა ფანჯარასთან და კვლავ იქით იცქირებოდა, სადაც არჩილი გაუჩინარდა. შემდეგ შემობრუნდა და სავარძელში ჩაჯდა. ოქტომბრის ის საშინელი დღეები გაახსენდა, თბილისიდან ღამით რომ ხალხი გაასახლეს. მას შემდეგ ბევრჯერ უფიქრია,სოსო ხომერიკი შუაღამისას რატომ მოვიდა არჩილთან, რა უთხრა, რას ჩურჩულებდნენ, სად და რატომ არ წაყვა არჩილი სოსოს. იმ საღამოს შემდეგ არჩილი ძალიან შეიცვალა, სევდიანი და გულჩათხრობილი გახდა. დედის გული ყველაზე მგრძნობიარე სეისმური სადგურივით ზუსტად განსაზღვრავდა შვილის სულში ჩასახულ უმნიშვნელო მღელვარებასაც კი. დრომ ნელ-ნელა თითქოს დაავიწყა იმ საშინელ ღამეს არჩილისა და სოსოს საიდუმლო ჩურჩული. დღევანდელმა სატელეფონო საუბარმა ხელახლა გაახსენა ყოველი წვრილმანი, ხელახლა ეტკინა გული და ხელახლა დაუმძიმდა გონება. მანანა შელიას არსებობის ამბავი არ იცოდა, თუმცა გუმანით ხვდებოდა, არჩილის

სევდა სიყვარულთან რომ იყო დაკავშირებული.

„რატომ წავიდა სოსო თავისი ნებით გადასახლებაში? ვისი გულისთვის გასწირა თავი? შეყვარებულის გულისთვის, მაგრამ რითი იყო გამოწვეული არჩილის სევდა? იქნებ სოსოს და არჩილის შეყვარებულები ერთად გადაასახლეს იმ საშინელ ღამეს და სოსო სწორედ იმიტომ მოვიდა არჩილთან? იქნებ თავის გაუბედაობას დარდობდა არჩილი, წასვლა რომ ვერ გადაწყვიტა? მერე და გასამტყუნარია? განა თვითონ ჩვენი რეპრესირებული ოჯახი არ მოელოდა გადასახლებას? განა ჩვენ თვითონ მთელი წლის მანძილზე შიშით არ ვკანკალებდით? არა, ჩემი შვილი მშიშარა არაა და უკან გაუბედაობის გამო არ დაუხევია. იცოდა, თუ ამას ჩაიდენდა, დედას და ბაბუას გასწირავდა. ვერ გაიმეტა დედა და ბაბუა გასაწირად. დიახ, ვერ გაიმეტა! სამაგიეროდ, თავისი სიყვარული გასწირა. ამიტომაც გახდა სევდიანი და გულჩათხრობილი, ამიტომ არის უცოლო დღესაც. ნეტავ, რა ამბავი ჩამოიტანა სოსომ? ნეტავ, ჩემს არჩილს მართლა უყვარდა ვინმე? და თუ უყვარდა, სად არის ის ქალი ახლა? იქნებ გათხოვდა კიდეც? მას მერე ხომ თითქმის ათმა წელიწადმა გაიარა! არა, მთლად ასე არ უნდა იყოს საქმე. რატომ არ უნდა ჩემს შვილს ინახულოს სოსო ხომერიკი? სად არის ახლა არჩილი? დავიჯერო, კინოში წავიდა?“

დედა არ ცდებოდა. არჩილი კინოში არ წასულა. პირველივე შემხვედრი ტაქსი გააჩერა. სამსახურში მივიდა, დარაჯს მიესალმა, კიბე სწრაფად აირბინა, კაბინეტში შევიდა და კარი შიგნიდან ჩაკეტა. მწარედ გაეცინა. აბა, ამ დროს კაბინეტში ვინ უნდა შესულიყო! საკმაოდ ბნელოდა. ჯერ იფიქრა, სინათლეს ავანთებო, უმალვე გადაიფიქრა, მიხვდა, სიბნელეში ერჩია ყოფნა. ასე განადგურებულად არასდროს უგრძვნია თავი, მაშინაც კი, გადასახლება და ფიზიკური განადგურება რომ ელოდა. ფიქრს თავი ვერ მოაბა. აზრები ხვლიკებივით წალმაუკულმა დასრიალებდნენ, ერთმანეთში ირეოდნენ, ისედაც დაბნეულს, თავგზას კიდევ უფრო უბნევდნენ.

გამწარებულმა თავი მაგიდაზე იდაყვებით დაყრდნობილ ხელებში ჩამალა, თვალები დახუჭა და შეეცადა არაფერზე ეფიქრა. ამაოდ დაშვრა. თვალდახუჭული კიდევ უფრო კარგად ხედავდა ერთმანეთში არეულ-დარეულ, წალმაუკულმა მოსრიალე ხვლიკებს. ხელები თავზე მთელი ძალით შემოიჭირა, თითქოს უნდოდა. ხვლიკები ერთმანეთზე მიეჭყლიტა.

„ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა, — იპოვა თითქოს გამოსავალი, — მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, ნორმალური ადამიანი. გმირობაზე არასდროს მიოცნებია. რა მოხდა, მერე, თუ სოსომ მაჯობა? ის გავიდა მანანას გასაცილებლად, მე გასვლა ვერ გავბედე. ის გავიდა, იმიტომ რომ რეპრესირებულ ოჯახში არ დაბადებულა და გაზრდილა. შიში, ხელისუფლების საშინელი შიში და ძრწოლა დედის რძესთან ერთად არ შეუწოვია. შიშს თავი დავანებოთ, იქნებ მე ისე არ მიყვარდა მანანა, ამოდენა რისკზე რომ წავსულიყავი?“

ადამიანი იქაც კი ცდილობს გამოსავალი იპოვოს, სადაც არავითარი იმედი არ კიაფობს. არჩილ გორდელი გამწარებული ცდილობდა, მოეძებნა გამოსავალი. ჭირის ოფლში ცურავდა, ნემსის ყუნწში გაძვრებოდა, ოღონდაც მუხლი გაემართა, ოღონდაც ფეხზე წამომდგარიყო. და აი, თითქოს მიაგნო ძაფს, ლაბირინთიდან რომ გამოიყვანდა. განსაკუთრებით ბოლო ფრაზა დაუჯდა ჭკუაში, დაუჯდა და აღარ შეეშვა, ხელი მაგრად ჩაავლო, მთელი არსებით ჩაეჭიდა.

„დიახ, იქნებ იმდენად არ მიყვარდა ის გოგო (ჰმ, „ის გოგო!“), გადასახლებაში რომ გავყოლოდი? ბოლოს და ბოლოს, რატომ უნდა აგო პასუხი ბავშვობის სიყვარულზე, ბავშვურ გრძნო-

ბებზე? განა შეიძლებოდა, იმ ასაკში ვინმე სერიოზულად შემყვარებოდა? კი, ვიცით შემთხვევები, ბავშვური სიყვარული შემდგომ ცოლ-ქმრობით რომ დაგვირგვინებულა, თუნდაც იგივე სოსოს სიყვარული! რასაკვირველია, პირველი სიყვარულის მთლად უარყოფა არ შეიძლებოდა, მაგრამ რამდენი პირველი სიყვარული დაგვირგვინებულა ქორწინებით? ფაქტი ულმობელია. ალბათ ასიდან სამი ან ხუთი!

სოსოს მაგალითი სხვა მხრივაც არ გამოდგება. სად მანანა და სად სოსო! მანანა რომ არ გადაესახლებინათ და სოსო რომ ყაზახეთში არ ჩასულიყო, გაჰყვებოდა სოსოს ცოლად? უფრო მეტიც, მანანას რომ დაბრუნების იმედი ჰქონოდა, ყაზახეთში ჩასვლის მიუხედავად გაჰყვებოდა სოსოს ცოლად?! რაო? ინტელექტუალური სილამაზე? სულიერი სიმტკიცე და სისპეტაკე? რასაკვირველია, არსებობს ინტელექტუალური სილამაზე და სულიერი სისპეტაკე, მაგრამ განა სულიერი სისპეტაკეა, შენზე ასჯერ ღირსეული ქალიშვილი რომ გამოუვალ მდგომარეობაში გამოიჭირო?!"

არჩილი თვითონაც ხვდებოდა, რომ აჭარბებდა. შეიძლება სოსო ფიზიკურად არჩილზე ლამაზი და წარმოსადეგი ვერ იყო, მაგრამ მას სხვანაირი სილამაზე და მტკიცე, ძლიერი გამოხედვა ჰქონდა. სათვალის მიღმა თითქოს მიმალული ჭკვიანი თვალები, მაღალი შუბლი და ნათელი სახე უცნობს უმალვე აგრძნობინებდა, მის წინ ძლიერი და კეთილი პიროვნება რომ იდგა.

„ნეტავ, რატომ დამპატიჟა? რატომ აქვს სურვილი, მანანას შემახვედროს? ჩემს წინაშე თამაშობს ინტელიგენტი, ღირსეული, დიდსულოვანი კაცის როლს, თუ მანანას არწმუნებს თავის კეთილშობილებასა და რაინდობაში? იქნებ მე მაგიჟებს? იქნებ მისი კეთილშობილება მხოლოდ შურისძიებაა? ადვილი შესაძლებელია, შურისძიებაც იყოს. ალბათ ვერ მაპატია, მანანას რომ ვუყვარდი, ვერ გადახარშა ჩვენი სიყვარული. რასაკვირველია, ვერ მაპატია!

იქნებ პირიქით, ჩემი იქ მისვლით უნდა ნაცნობ-მეგობრები დაარწმუნოს, ჩემსა და მანანას შორის რომ არაფერი ყოფილა? ბუნებრივია, მაშინ ბევრმა იცოდა, მე და მანანას ერთმანეთი რომ გვიყვარდა. მე პირში არავინ მეტყოდა, მაგრამ ალბათ ყველა გაოცდა, გადასახლებაში მანანას სოსო რომ გაჰყვა. ისიც ბუნებრივია, მანანას გათხოვება ხალხს დიდ საჭორაო მასალას გაუჩენდა და აი, სოსო ხომერიკს სურს ყველა ლეგენდა ხელის ერთი დაკვრით მოსპოს, ყველა ჰიპოთეზა უსაფუძვლო გახადოს, ყველა ვარაუდი გააქარწყლოს ხალხს დაანახოს, მე და მანანას თბილისშივე, გადასახლებამდე გვიყვარდა ერთმანეთი, არჩილ გორდელი არაფერ შუაშიაო. იქნებ ეს ვერსია უფრო ჰგავს სინამდვილეს? თუ თვითონ ისინი არ ერიდებიან ჩემთან შეხვედრას და პირიქით, პირველსავე წვეულებაზე მიწვევენ, მე რატომ არ უნდა მივიდე მათთან? განა ჩემთვის კია ხელსაყრელი, ქალაქში რომ ხმა გავრცელდეს, სოსოს ხომერიკმა (დამცინავად), არჩილ გორდელს (ხაზგასმული სიამაყით) შეყვარებული წაართვაო? არადა, ეს ჭორი (თუ სინამდვილე) ხომ უკვე იყო ქალაქში გავრცელებული? ჩემი მიუსვლელობა ამ ჭორს კიდევ უფრო განამტკიცებს და გააძლიერებს. მისვლა, მოლხენა, სიმღერა, უდარდელი საუბარი და ხუმრობა, სოსოს მოფერება ყოველგვარ მითქმა-მოთქმას გააქარწყლებს. მაშ რატომ არ უნდა წავიდე?! თუ მათ არაფერი ეუხერხულებათ, მე რატომ უნდა ვიგრძნო თავი უხერხულად? ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა, ბავშვობაში გოგონა მიყვარდა, მიყვარდა ჩვეულებრივად. მაშინ ჩემი ასაკის გოგონები და ბიჭები ყველანი ჩემნაირად იყვნენ შეყვარებულნი. მოხდა ისე, რომ მანანა

გადაასახლეს. მე ვერ წავედი გადასახლებაში. მიზეზები თავშივე ჩამოვთვალე. ვერ გავწირე ისედაც გაუბედურებული დედა და ბაბუა. მე სოსო ხომერიკი არ ვყოფილვარ, მე რეპრესირებული ოჯახის შვილი გახლდით. გადასახლებაში ჩემს წასვლას სხვანაირად გაიგებდნენ. დედაჩემს და ბაბუაჩემს ზედ მომაყოლებდნენ. მქონდა ამის უფლება? რასაკვირველია ,არ მქონდა, და, რაც მთავარია, ჩემი სიყვარული მხოლოდ ბავშვური სიყვარული იყო. ვინ დამიმტკიცებს, მანანა რომ არ გადაესახლებინათ, ჩვენი სიყვარული შეუღლებით დამთავრდებოდა? ახალგაზრდებს, თითქმის ბავშვებს, დღეში ათასი პარასკევი აქვთ. არც ჩვენ ვიქნებოდით გამონაკლისი, ან მე შემიყვარდებოდა სხვა ვინმე, ან მანანას. რატომ არ უნდა წავიდე დღეს სოსოსთან? რატომ უნდა მივიღო დაჩაგრული კაცის პოზა? მე თვითონ რატომ არ უნდა გავფანტო ჩემს ირგვლივ ჩამოწოლილი ნისლი? მითუმეტეს, მათი სახლში დაბრუნება და ქორწინება დღეიდანვე თუ არა, ხვალიდანვე მაინც მთელი ქალაქის სალაპარაკო გახდება. რატომ უნდა ვიყო თბილისის ყურადღების ცენტრში, თანაც ჩემთვის მეტისმეტად არასახარბიელო სიტუაციაში? ახლავე უნდა წავიდე, ცნობისმოყვარე ხალხის თვალში საიდუმლოს ახლავე უნდა ავხადო ფარდა!

არჩილს ხალისი და ენერგია ერთბაშად მოეძალა. ფეხზე წამოიჭრა, კარი გაიხურა და კიბეებზე დაეშვა.

„სინათლე ხომ არ დამრჩა გამოუთიშავი?“ — გაჭკრა უცებ თავში.

„გამოუთიშავი როგორ დამრჩებოდა, არც ამინთია!“ — გაახსენდა უცებ.

მაინც შეეჭვდა. ფოიეში დარაჯს გამოემშვიდობა და თან უთხრა, მაღლა ადი, მგონი, სინათლე დამრჩა ჩართულიო.

ჯიბრზე ტაქსი არსად ჩანდა.,

უცებ მანქანა გამოჩნდა. არჩილშა ხელი ასწია, მაგრამ უმალვე დაუშვა. შორიდანვე შენიშნა, ტაქსი ხალხით იყო სავსე. ანერვიულებულმა ჯიბეში სიგარეტი მონახა და გზა გაგრძელებ ოციოდე ნაბიჯის შემდეგ მანქანის ხმა შემოესმა, მოიხედა, „მოსკვიჩი“ აღმოჩნდა. გულდაწყვეტილმა ჯიბეში ჩაიდო ხელი და სიგარეტი ამოიღო.

„მოსკვიჩმა“ ზუსტად მის წინ დაამუხრუჭა.

— არჩილს გაუმარჯოს! — მოისმა მანქანიდან.

არჩილმა სიგარეტის კოლოფი ჯიბეში ჩაიდო და მანქანაში შეიხედა. საჭესთან მისი ნაცნობი იჯდა, ნიაზ დეისაძე.

— გამარჯობა, ნიაზ! შენ აგაშენა ღმერთმა, ნახევარი საათია, ვერაფერი გავაჩერე! — არჩილმა კარი გამოაღო და მანქანაში ჩაჯდა. „ნახევარი საათი“ მეტისმეტი იყო, მაგრამ მადლიერების გამოსახატად ასე სჯობდა.

— რა იყო, რა დაგემართა?!

— არაფერი არ დამმართნია, უბრალოდ, სადღაც მეჩქარება.

— სამწუხაროა! — თქვა ნიაზმა და მანქანა დასძრა.

— რა არის სამწუხარო?

— სადღაც რომ გეჩქარება. ამდენი ხანია არ მინახიხარ, თითო ჭიქა კონიაკს დავლევდით.

— თითო ჭიქა შეიძლება, ოღონდ სიტყვა სიტყვაა, თითო ჭიქა!

არჩილს გაეხარდა, სოსო ხომერიკთან ცოტა ნასვამი რომ მივალ, უკეთესია, თამამად ვიქნებიო.

— რამ შეგაშინა, მე ვკისრულობ.

— პირიქით, მე ვკისრულობ, — გაიცინა არჩილმა.

— მიყვარს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები!

— რომ არ მეჩქარებოდეს,. რესტორანში შევიდოდით.

— ახლა სად წავიდეთ?

— კაფე „გაზაფხულში“ ხომ არ ავიდეთ, ვერაზე?

— ქართული მოდერნისტული არ-

ქიტექტურის პირველ და უმწეო ნიმუშში? — თქვა დამცინავად ნიაზმა.

— ჰო! — გაეღიმა არჩილს.

— სერიოზულად ამბობ?!

— შემატყვე არასერიოზულობა?!

— პიჟონების აქვარიუმში?! არა გრცხვენია? — შეიცხადა ნიაზმა.

— რატომ, სისუფთავე მაინც არის.

— არა, სიმონ, ყავით გაჭყეპილ გოგო-ბიჭებთან რა გვესაქმება! რაკი ვერა გინდა, იქვე, ტანცგეკურქასთან მივიდეთ.

— შენი ნებაა.

ხუთ წუთში ვერის ბაზართან, „კომუნისტის“ რედაქციის პირდაპირ, პატარა სახინკლეს მიადგნენ.

არჩილს გაუხარდა, სახინკლეში ორი ახალგაზრდის გარდა რომ ვერავინ დაინახა, არ უნდოდა, ვინმე ნაცნობს გადაყროდა.

— გამარჯობა! რა ამბავია, ხალხი რატომ არ არის? — იკითხა ნიაზმა.

— არაფერი მაქვს და იმიტომ.

— მერე რატომ არა გაქვს?

— ხვალ გვკეტავენ.

— რას ჰქვია გკეტავენ — ვაბრაზდა ნიაზი.

— ისე მიბრაზდები, ვითომ ჩემი ბრალი იყოს! გვკეტავენ, მორჩა და გათავდა! ხვალ მოსკოვიდან ვიღაც მაღალი სტუმარი ჩამოდის და ამ ქუჩაზე უნდა გაიაროს, ხომ შეიძლება აქედან ვიღაც მთვრალმა ბოთლი ესროლოს?

— აუ, რამხელა წარმოდგენა ჰქონიათ ქართველებზე! — გაიცინა ნიაზმა, — რაო, ვინ ჩამოდისო?

— მაღალი სტუმარიო.

— მაღალი, თუ დიდიო?

— აბა მე რა ვიცი, ეგრე თქვეს, მაღალიო.

— ჰო, კარგი, მაღალი იყოს. კონიაკი გაქვს?

— კონიაკიც მაქვს და არაყიც. საჭმელი არა მაქვს.

— არ გვინდა საჭმელი, ერთი ბოთლი კონიაკი მოგვეცი.

— რატომ თქვი აუ, რამხელა წარმოდგენა ჰქონიათ ქართველებზეო? — ჰკითხა არჩილმა.

— ჯერ დავლიოთ და მერე ვილაპარაკოთ. აბა, ჩვენი „მაღალი“ სტუმრის ჩამოსვლას გაუმარჯოს! — ნიაზმა სულმოუთქმელად დალია.

— ბატონო ნიაზ, თუ იკადრებთ, ყველსა და პურს მოგართმევთ. — ახალგაზრდამ, გვერდით მაგიდაზე მეგობართან ერთად რომ სვამდა, თეფშით ყველი და პური მოიტანა.

— დიდი მადლობა, — გაუხარდა ნიაზს.

— რატომ ჰქონიათ დიდი წარმოდგენა ქართველებზე? — გაუმეორა ეკითხვა ყმაწვილის წასვლისთანავე.

— ჯერ დალიე!

არჩილმა ჭიქა სულმოუთქმელად დასცალა.

— როდის იყო, სიმონ, ქართველები მტერსა ხოცავდნენ. ქართველები მარტო ერთმანეთს ესვრიან, თანაც, აუ, რა ზუსტად და უმოწყალოდ ესვრიან! ყველს არ მიაყოლებ?

— არ მინდა.

— ყოჩაღ, კონიაკის გემო გცოდნია! თუმცა ამ კონიაკის გემო და ბუკეტი,— ნიაზმა ეტიკეტზე გამოსახული სამი ვარსკვლავი დაინახა, — გინდა გცოდნია და გინდა არა, მაინც სად გეჩქარება?

— ჩემი სკოლის მეგობარი ჩამოვიდა გადასახლებიდან.

— რაზე იჯდა?

— ორმოცდათერთმეტში გაასახლეს... ღამე.

— აა, სამშობლოს „მოღალატის“ შვილია?

— ჰო! — არჩილმა აღარ განმარტა, სოსო გაასახლეს თუ მანანა, ანკი რა აზრი ჰქონდა ყველაფრის დაზუსტებას?!

— ოო, მაშინ უნდა წახვიდე, აბა, თითოც დავლიოთ. ახლა შენ თქვი, ვის გაუმარჯოს.

— შენ გაგიმარჯოს.

— სიმონ, საქმე შემოგელია? „მა-

ღალი“ სტუმრის შემდეგ ჩემი სადღეგრძელოს დალევა იქნება?! აგერ, ქართლოსაც, ქართლოს, ქართლოს! — ნიაზი გარეთ გავარდა და ქუჩიდან ვიღაც ორმოციოდე წლის კაცი შემოიყვანა.

— გაიცანი, ჩემი მეგობარი ქართლოს კერესელიძე.

— არჩილი! — ჩამოართვა ხელი გორდელმა.

— აბა, სიგარეტი მომაწევინეთ!

არჩილმა ნიაზს სიგარეტი მიაწოდა.

ნიაზმა გააბოლა და თან დახლიდარს გასძახა:

— ერთი ჭიქა მოიტანე და ერთი ბოთლი კონიაკიც მოაყოლე.

— ნიაზ, მე დამაგვიანდება! — შეწუხდა არჩილი.

— უკვე სამნი ვართ. ორ ბოთლს ხუთ წუთში გავამშრალებთ. ნუ გეშინია, მე თვითონ წაგიყვან ჩემი მანქანით. აბა, ქართლოს, დალიე, ჩვენ თითო ჭიქა უკვე დალეული გვაქვს.

— გაგვიმარჯოს! — ქართლოსმა კონიაკი ნელ-ნელა დალია და ნიაზს მიუბრუნდა, — იცი რა ძაღლი ვიყიდე? რომ ვეტყვი, წადი პავლიკას დაუძახე მეთქი, მიდის და ეძახის!

— ეგ რაა, ჩემო ქართლოს, ისეთი ძაღლი მყავს, ყოველ დილით მეხვეწება, წავალ, რა, პავლიკას დავუძახებო!

არჩილს გაეცინა.

ნიაზმა ქართლოსს ჭიქა ხელახლა შეუვსო.

— შენ რომ „მაღალი“ სტუმრის სადღეგრძელო არ დაგილევია?

— მაღალი სტუმარი ვინ არის? — ქართლოსმა უნებურად არჩილს შეხედა.

— არა, მე ნამდვილად არა ვარ. „მაღალი“ სტუმარი ხვალ ჩამოდის მოსკოვიდან. — გაიცინა არჩილმა.

— ძალიან მაღალია? — არ დაიბნა ქართლოსი.

— ძალიან მაღალი ყოფილა. არჩილ შენი ჯერია.

— წელან ხომ ვთქვი, შენ გაგიმარჯოს-მეთქი.

— „მაღალი“ სტუმრის შემდეგ?! — რავა გეკადრება, ბატონო, არ ვარ ამ პატივის ღირსი, არა, თავი ნუ მოიკვდება! — მოუქცია იმერულად ნიაზმა.

— აბა, რაც გინდათ, ის დალიეთ. წინასწარ ვსვამ თქვენს მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოს.

— შენა რაღა დაგემართა, სახეზე არ მომწონხარ! — მიუბრუნდა ნიაზი ქართლოსს.

— რა ხასიათზე ვიქნები, დისშვილი აბარებს თეატრალურზე.

— ბიჭია თუ გოგო?

— ბიჭია.

— რომელ ფაკულტეტზე შედის?

— სარეჟისოროზე. ნიჭიერი კია, მაგრამ რად გინდა? კონკურსი დიდია ადგილები კი ცოტა.

— მაინც რამდენი ადგილია?

— ორი.

— ორი ადგილი?! შე კაი კაცო, ფაკულტეტია თუ „ლოდკა?!“

ახალგაზრდა დახლიდართან მივიდა, ფული გადაიხადა, შემდეგ შემობრუნდა და უფროსებს დაემშვიდობა.

— კარგად ბრძანდებოდეთ!

— კარგად იყავით, ბიჭებო! — ხელი ასწია ნიაზმა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, — თქვა მორცხვად მეორე ყმაწვილმაც.

— კარგად ბრძანდებოდეთ, — დიდი მადლობა! — ღიმილით დაუქნია თავი არჩილმა.

დახლიდარმა ერთი ბოთლი კონიაკი კიდევ მოიტანა.

— ეგ რაა? — იკითხა არჩილმა.

— ფული იმ ყმაწვილებმა გადაიხადეს, თანაც ეს ბოთლიც მოგართვეს.

— რატომ გადაახდევინეთ? ალბათ სტუდენტები იყვნენ, ვინ მისცა მაგათ ფული! — შეწუხდა არჩილი და ახალგაზრდების დასაძახებლად ქუჩაში გასვლა დააპირა.

ნიაზმა ხელი წაავლო და არ გაუშვა.

— არ გინდა. ჩვენი უბნელები არიან. უბანში არაფერი არ იკარგება!

უცებ სახინკლეში დაბალი, თავ-

მსხვილა ხანშესული კაცი შემოვიდა. დაღარული სახე ჰქონდა და გადმოკარკლულ, მსხვილ, დაწითლებულ თვალებს ბეჰემოტივით ატრიალებდა. უცნობი დახლთან მივიდა. კედლისკენ შებრუნებული დახლიდარი მობრუნებას არ ფიქრობდა. ნიაზი გაჩუმდა და უცნობს ზიზღით შეხედა. ქართლოსმაც ტუჩებთან მიტანილი ჭიქა მაგიდაზე დადგა და სახედაღარულ კაცს ბოღმით მიაჩერდა. არჩილი დაიბნა, მიხვდა, თანამეინახეების დუმილი მარტო უცნობის გამაღიზიანებელ შესახედაობით არ იყო გამოწვეული, აშკარა იყო, შემთხვევით ან უყურადღებობით არც დახლიდარი აგვიანებდა შემობრუნებას. არჩილს დუმილი არ დაურღვევია, დაელოდა, ნიაზი როდის ალაპარაკდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დახლიდარმა მეხუთედ ჩაათავა ჩეკების დათვლა, სახედაღარული კაცისაკენ შემობრუნდა და უსიტყვოდ ჰკითხა, რა გინდაო. თუმცა, როგორც შემდეგ ნიაზმა თქვა, დახლიდარს მშვენივრად სცოდნია, დაბალ, ხანშესულ კაცს რაც უნდოდა. თურმე ყოველდღე, ზუსტად ამ დროს შემოდიოდა და ორას გრამ არაყს სვამდა. სვამდა პირდაპირ, მოწყურებული კაცივით. არაფერს არ აყოლებდა და უმალვე სტოვებდა იქაურობას.

სახედაღარულმა ორი თითი ასწია.

დახლიდარმა გათლილი ჩაის ჭიქა პირთამდე გაავსო არყით. სახედაღარულმა დალია, ტუჩები მოიწმინდა და წავიდა.

— არ იცოდი, აქ რომ შემოეთრეოდა? — უსაყვედურა ქართლოსმა ნიაზს.

— სულ დამავიწყდა. ერთი მაგის პატრონი დედაც! ჩვენ გაგვიმარჯოს.

— ვინ იყო? — იკითხა არჩილმა.

— თუ არ იცი, არც გირჩევ მაგის გაგებას.

— მაინც ვინ იყო?

— გიორგი მანუკაშვილი. არ გაგიგონია? გიორგი მანუკაშვილი, ოცდაჩვიდმეტში რომ ნახევარი საქართველო ჩაყარა ციხეში.

— გიორგი მანუკაშვილი? — გაფითრდა არჩილი.

— რაო, თქვენებიც მაგ... დაიჭირა?

— ჰო, მგონი, — არ გაართულა საქმე არჩილმა.

— მერე და, აქამდე არ იცნობდი?

— როგორც დარწმუნდით, პირველად ვხედავ.

— მომილოცავს!

— არჩილი გრძნობდა, მუხლი ეკვეთებოდა. რამდენჯერ უნდოდა გიორგი მანუკაშვილი მოენახა, დალაპარაკებოდა, თავისი ოჯახის გაუბედურების მიზეზები გამოეკითხა. ვერასდროს ვერ გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი. უფრო სწორად, ბევრჯერ განგებ აარიდა თავი მასთან შეხვედრას. ან კი რატომ უნდა შეხვედროდა?! რა უნდა ეკითხა, ან მანუკაშვილს ისეთი რა უნდა ეთქვა, რაც არ იცოდა?! თუ ნახავდა, მხოლოდ იმიტომ უნდა ენახა, რომ შური ეძია, სისხლისმსმელი ნაძირალა საკუთარი ხელით მოეხრჩო. იცოდა, არავისი მომხრჩობი არ იყო და ნელ-ნელა მისი სახელი მიივიწყა კიდეც. ახლა, ასე მოულოდნელად რომ შეეჩეხა, ანერვიულებულმა განსჯის უნარი დაკარგა, შეეძლო დასწეოდა, ეცემა, სახეში წიხლები ერტყა. მერე? რით იქნებოდა მასზე უკეთესი?! რა სიამოვნებას მიანიჭებდა მოხუცი ჩეკისტის თუნდაც ჩაძაღლება?! იქნებ ეშინოდა? ხომ იცოდა, პასუხს აუცილებლად მოჰკითხავდნენ. ალბათ ეშინოდა კიდეც. ბოლოს და ბოლოს, მთელი ოჯახი მანუკაშვილს ხომ არ უნდა გადაჰყოლოდა! მერე და რა სხვანაირი ეგონა. ეტყობა, ძველ ჩეკისტებზე ყალბი წარმოდგენები კინოფილმებიდან ჰქონდა ჩამოყალიბებული და დარწმუნებული იყო ისინი, განსაკუთრებით კი ბერიას უშუალო თანამებრძოლები, გერმანელი გესტაპოელებივით მაღლები, დახვეწილი, მაგრამ მრისხანე და დაუნდობელნი იყვნენ. ხელში კი ვინ შერჩა? სუფთა პირუტყვი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბომბეშოსავით თვალებგადმოკარკლული, სისხლით გასიებული ლოთი.

„ღმერთო, ნუთუ ამათ ხელში იყო ხალხის ბედი?“

„მით უარესი, მით უარესი!“

— არჩილ, დაბრუნდი ჩვენთან! — ხელი მხარზე დაჰკრა ნიაზმა და ჭიქა კონიაკით შეუვსო.

2.

დილით რომ გაეღვიძა, ჯერ კიდევ ბნელოდა. საათს დახედა. ხუთიც არ იყო. გვერდით სკამზე ბორჯომის ბოთლი მონახა, იცოდა, დედა აუცილებლად დაუდგამდა ბორჯომსა და ჭიქას.

„მაინც რა უცნაური დღე მქონდა გუშინ“, — უსიამოდ გააჟრჟოლა ტანში. ბორჯომი დალია და ჭიქა ისევ სკამზე დადო.

თვალწინ მანანა დაუდგა.

„ღმერთო, როგორ გალამაზებულა!“

თერთმეტის ნახევარი იყო, ნიაზმა სოსოს სახლთან რომ მიიყვანა.

— დაგელოდო? — ჰკითხა ნიაზმა, სანამ არჩილი მანქანიდან გადმოვიდოდა. — თუ მალე გამოხვალ, დაგელოდები, მერე ჩემთან ავიდეთ და ბოლომდე შევუბეროთ.

— არა, არ ღირს. მე აქვე ვცხოვრობ, შინ ფეხით წავალ.

— მოიცა, სოსო ხომერიკთან ხომ არ მიდიხარ?

— ჰო; სოსოსთან, შენ საიდან იცნობ?

— საიდან? უბნიდან. საიდან უნდა ვიცნობდე. ისიც კარგად მახსოვს, მანანა შელიას რომ გაყვა გადასახლებაში. მაშ, სოსო დაბრუნდა?

— ჰო, სოსო! — უხალისოდ მიუგო არჩილმა.

— ოო, მანანა მაგარი გოგო იყო. მახსოვს, მაშინ თბილისში მანანას გულისთვის კინაღამ სამოქალაქო ომი დაიწყო.

სხვა შემთხვევაში არჩილს ალბათ გაეცინებოდა. „სამოქალქო ომმა“ გულში ტყვიასავით გაუარა. განა ამ სამოქალაქო ომში თვითონ არ იყო გამარჯვებული?!

— ქორწილი ან დაბადების დღე რომ იყოს, ამოვიდოდი. გადასახლებიდან დაბრუნებულ კაცს მხოლოდ შინაურები ეყოლება დაპატიჟებული. უხერხული იქნება, ერთი უცნობი კაცისათვის სუფრა რომ დაიძაბოს.

— როგორც ყოველთვის, მართალი ხარ! დიდი მადლობა! — არჩილმა ხელი ასწია და მეგობარს გამოემშვიდობა.

— ბედნიერად! — მოკლედ მოუჭრა ნიაზმა და მანქანა დასძრა.

— ნიაზ! — იყვირა უცებ არჩილმა.

ნიაზმა მანქანა დაამუხრუჭა.

— ნიაზ, თუ ჩემი ძმა ხარ, დამელოდე. არ მინდა დიდხანს დავრჩე. შეუსვლელობაც არ ივარგებს. შენ რომ აქ იქნები, თავს იოლად გავინთავისუფლებ. მაქსიმუმ, ოც წუთში გამოვალ!

— კი, ბატონო, ოღონდ, ნახევარ საათს ნულარ გადააცილებ.

არჩილი შებრუნდა, პატარა კიბე აიარა და ზარის ღილაკს თითი დააჭირა. უმალვე ინანა. იმავე წუთში ფეხის ხმა შემოესმა, თორემ შეიძლება უკან გაბრუნებულიყო. ფეხსაცმლის ქუსლების ხმაზე მიხვდა, კარის გასაღებად ქალი მოვიდა. ვერ წარმოიდგენდა, თუ მანანა იქნებოდა. უნებურად ჰალსტუხი შეისწორა და კარიც გაიღო. მის წინ მანანა იდგა. მშვენიერი, სიმაღლეში კიდევ უფრო მომატებული და დაქალებული მანანა. უცებ საიდანღაც ორი ბავშვი, ორი ბიჭუნა გამოვარდა, როგორც შემდეგ გაიგო, ხუთი და ოთხი წლისა. ერთი მარჯვენა მხარეს მიეხუტა დედას, მეორე მარცხენა მხარეს და სტუმარი ყურადღებით შეათვალიერეს.

— გამარჯობა, არჩილ! რა იყო, ვერ მიცანი? — გაუღიმა მანანამ.

დაბნეული არჩილი ეზოს მოეგო, ძველებური სახლის ტალანში შეაბიჯა და მანანას ხელი გაუწოდა.

— კიდევ უფრო გამშვენიერებულ-

ხართ, დაქალებულხართ, თანაც სრულებით არ გამოცვლილხართ.

— მართლა? — გაიღიმა მანანამ.

„თქვენობით რატომ ვლაპარაკობთ?“— გაბრაზდა თავის თავზე, თუმცა იმასაც მიხვდა, მანანამ რომ ამის თაობაზე არაფერი უთხრა.

— ბავშვები თქვენია? — სულელურმა შეკითხვამ კიდევ უფრო დააბნია და გააცოფა.

„აბა, ვისი იქნება!“ — დატუქსა საკუთარი თავი.

— დიახ, ჩემია, არა მგვანან?

— ძალიან!

ტალანში სოსოც გამოჩნდა.

— არჩილს გაუმარჯოს! — ღიმილით წარმოსთქვა მან და არჩილს გადაეხვია.

— გამარჯობა, სოსო, ყველაფერს ერთად გილოცავ.

ჯგუფის მეგობრები ღრიანცელით შეხვდნენ არჩილის გამოჩენას.

— სადა ხარ, რას გვალოდინებ?!

— აბა, აგერ დაჯექი, აქ მოუტანეთ დანა-ჩანგალი!

— კიდევ მეტი ვერ დააგვიანე?

— ისეთი რა საქმე გქონდა, აქამდე რომ თავი ვერ გაინთავისუფლე?! ისროდა ყოველი მხრიდან.

— სამწუხაროდ, ახლაც უნდა გავიქცე, დაბლა მანქანა მელოდება.

— აბა, ეგეთები არ იყოს! დიდი ჭიქა მიაწოდეთ! — ბრძანა თამადამ.

არჩილმა იცოდა, ამ ჭიქის დაულევლობა არ გამოუვიდოდა და ჭიქის შევსებას მორჩილად დაელოდა.

სუფრას ძირითადად სკოლის მეგობრები უსხდნენ. უცნობი ახალგაზრდები ალბათ სოსოს უნივერსიტეტის მეგობრები იყვნენ. ნათესავებს არცერთი არ ჰგავდა.

— ნათესავებს ხვალ დავუძახებ! — მიუხვდა სოსო. — აბა დალიე!

— მაცალეთ, შევჭამო ერთი ლუკმა.— არჩილს სასტიკად შიოდა.

— გეტყობა, სუფრიდან მოდიხარ, მაგრამ იქ არაფერი გაჭამეს? — გაეცინა თამადას.

„მოდი, ახლა ამ შტერს აუხსენი, რომ ალკოჰოლიკივით მხოლოდ ვოდკაკს ვსვამდი“.

— კი, მაგრამ, თქვენში შემოსწრებულის სადღეგრძელო არ იციან? —

იქით შეუტია არჩილმა.

— შენ არ ხარ შემოსწრებული, შენ ხარ დაგვიანებული სუფრის წევრი.

— კაი, ბატონო, არ მინდა თქვენი დღეგრძელობა. მომეცი ეგ სასმისია თუ თასი! — არჩილი ფეხზე წამოდგა და მეგობარს გამოწვდილი თასი ჩამოართვა.

ირგვლივ მიმოიხედა. მანანას თვალი ვერ მოჰკრა. ეტყობა, სამზარეულოში იყო გასული.

— სოსო! — დაიწყო არჩილმა ხმამაღლა, უნდოდა მანანასაც მოესმინა რას იტყოდა. აშკარად ღელავდა, ხელი უკანკალებდა.

— მანანა! — გასძახა სოსომ მეუღლეს .ეტყობა, მასაც თავის მხრივ უნდოდა მანანას მოესმინა, არჩილი რას იტყოდა.

არჩილი დაელოდა, სანამ მანანა გამოვიდოდა. სუფრაზე სიჩუმე ჩამოვარდა.

„ვითომ იციან, მე და მანანას ერთმანეთი რომ გვიყვარდა? — აწრიალდა უცებ არჩილი. — ალბათ იციან, აბა თბილისში რა დაიმალებოდა, ან რა იყო დასამალი. მით უფრო მმართებს უდარდელი, მხიარული იერი. მით უფრო მმართებს გავფანტო ყოველგვარი ჭორი და მითქმა-მოთქმა. განა, ძნელი მისახვედრია, რატომ დაგვპატიჟა ჯგუფის მეგობრები, ხოლო მე განსაკუთრებული ყურადღებით?! ამჯერად იგი ჩემგან ელის კეთილშობილებას. თუმცა ჭორების გაფანტვა მე უფრო მჭირდება, ვიდრე სოსოს“.

მანანა შემოვიდა და სოსოს გვერდით დადგა. დედას ორთავე ბიჭი გაჰყვა, ერთი თავისუფალი მხრიდან მიეკრა დედას, მეორემ მამასა და დედას შორის მოინდომა ჩაჩხირვა. უმცროს შვილს შუაში ჩადგომის საშუალება მისცეს

და ერთდროულად მოხუჭუჭი თმაში ხელი შეუცურეს. არჩილს არ გამორჩენია, სოსოს ხელმა როგორ მოინახა მანანას ხელი.

— შეხედეთ, მეგობრებო, — დაიწყო არჩილმა, — საოჯახო პორტრეტის გადასაღებად მომზადებულს არ ჰგვანან? ფოტოაპარატი არავისა გაქვთ? — აშკარად ხელოვნური მხიარულებით წარმოთქვა არჩილმა. — შეხედეთ მანანას, უმშვენიერეს, ულამაზეს ქალბატონს. ერთმა ჩემმა მეგობარმა რომ გაიგო, მანანა შელია გადასახლებიდან დაბრუნდაო, ღიმილით მითხრა, რომელი მანანა, მაგის გულისათვის თბილისში სამოქალაქო ომი რომ კინაღამ დაიწყოო?

ყველამ გაიცინა.

მანანას ბაგეზე ღიმილი გამოესახა. არჩილი ვერ მიხვდა, ირონიული თუ გულწრფელი ღიმილი ამშვენებდა ქალის ბაგეს. ახლა დაკვირვებისა და განსჯისთვის არ ეცალა, მანანას ღიმილი ტვინის უჯრედებში ჩაიბეჭდა და სადღეგრძელო განაგრძო. მიხვდა, კარგად გამოსდიოდა, არ უნდოდა ტემპი დაეგდო.

— ცხოვრების უკულმართობამ წაართვა ულამაზესი წლები, თუმცა მე არ ვთვლი ამ წლებს წართმეულად და დაკარგულად. ალბათ არც მანანა თვლის, დარწმუნებული ვარ, არც სოსო. გადასახლების წლებში იპოვა მან თავისი დიდი მეგობარი სოსო ხომერიკი. იპოვა კაცი, რომელმაც თავი გასწირა სიყვარულისათვის. სოსო ნამდვილი გმირია. მან ხომ არ იცოდა, რომ დრო შეიცვლებოდა. იგი მზად იყო, საყვარელ ადამიანთან სიკვდილამდე ეცხოვრა თუნდაც ჯოჯოხეთში. სოსოს გმირობაზე ამ წლების მანძილზე მთელი თბილისი აღტაცებით ლაპარაკობდა. განა ყველას შესწევს უნარი, ჩაიდინოს მსგავსი გმირობა?! მანანამ კი, მართალია, შეურაცხყოფის, გაჭირვებისა და ტანჯვის ფასად, მაგრამ იპოვა ნამდვილი მეგობარი. თქვენ თითქმის ყველანი დაქორწინებულნი ბრძანდებით, ალბათ მალე მეც გადამესხმება თქვენი წყალი (თვალი მანანასკენ გააპარა, აინტერესებდა, მისი უცოლობის ამბავი რა შთაბეჭდილებას მოახდენდა), ჩვენ შეიძლება ისე წავიდეთ იმ ქვეყნად,, რომ მეუღლეებს ვერასდროს დავუმტკიცოთ მსგავსი ერთგულება. რასაკვირველია, თუკი უნარი და ძალა შეგვწევს მსგავსი გმირობის ჩადენისა! მე ვსვამ თქვენი ჩამოსვლისა და ბედნიერების სადღეგრძელოს. დაგილოცავთ შვილებს, ამ ორ ანგელოზივით ბიჭუნას.

„ვითომ კარგად გამომივიდა? არ გადავაჭარბე? პათეტიკური არ ვიყავი?“— შეტრიალდა ლოგინში არჩილი და წარმოთქმული სადღეგრძელო კიდევ ერთხელ და უფრო სრულყოფილად აღიდგინა გონებაში.

განძრევის უნარი არ ჰქონდა, მოჭრილი, გაურანდავი ხესავით ეგდო ლოგინში.

„კიდევ კარგი, ის სისულელე არ წამომცდა. დროზე მივხვდი, რომ აფერისტის დონეზე დავეშვებოდი“.

არჩილს ძალიან უნდოდა ეთქვა, სადაა კარგი მწერალი, თორემ თქვენი თავგადასავალი უფრო ამაღელვებელი იქნება, ვიდრე „რომეო და ჯულიეტა“ ან „ტრისტან და იზოლდაო“.

„კიდევაც რომ მეთქვა, ვითომ რა დაშავდებოდა ამ სიტყვების თქმით?!

„არაფერი. სხვას რომ ეთქვა, ალბათ ყველა ჩვეულებრივ ამბად მიიღებდა. ჩემგან კი არ გამოდიოდა. განა მანანა ისეთი გულუბრყვილოა, ჩემს საცოდავ ეშმაკობას რომ ვერ მიხვდებოდა?!“

არჩილმა მანანას ღიმილი და გამომეტყველება აღადგინა, სადღეგრძელოს დასაწყისში რომ ტვინში ჩაიბეჭდა.

„ვითომ ირონიულად გაიღიმა?“

„იქნებ არც გაუღიმია ირონიულად, ქალია და იქნებ ესიამოვნა კიდეც ჩემი ქათინაური?!“

„დავიჯერო დამცინა?“

ღიმილს კიდევ უფრო დააკვირდა.

შემდეგ ოჯახური სურათის ყველა დეტალი შეათვალიერა.

აი მანანა და სოსო. მათ შორის უმცროსი შვილია გაჩხირული, უფროსი კი დედას მარჯვენა მხრიდან მიჰკვრია. ;ოლ-ქმარს ხელები პატარა ბავშვის თმაში აქვთ შეყოფილი. სურათი კინოკადრად იქცა და არჩილმა კვლავ დაინახა, სოსოს ხელმა როგორ მონახა მანანას ხელი. სასწრაფოდ კადრი უკან დააბრუნა და ხელახლა იმ ადგილიდან ჩართო, სოსოს ხელმა ფრთხილად რომ მონახა მანანას ხელი. ზუსტად ამ მომენტში მანანას თვალებში შეხედა. ქალს აშკარად ესიამოვნა მეუღლის ხელი.

„იქნებ ვცდები?“ — გაიფიქრა არჩილმა და იგივე კადრი ლამის ხუთჯერ დაატრიალა წაღმა-უკუღმა.

დასკვნა ერთი იყო, ქალს აშკარად ესიამოვნა მეუღლის ხელი.

„ნუთუ სოსო მართლა უყვარს?“

„არა ,სიყვარულით როგორ არ უყვარს, უსიყვარულოდ მანანა ცოლად არავის არ გაჰყვებოდა! სოსო რომ უყვარს, საეჭვო არაფერია. მთავარია, როგორ ან რატომ უყვარს! იქნებ იმიტომ შეიყვარა, რომ იქ, ყაზახეთის მივარდნილ ველებში სხვა არავინ იყო ხეირიანი? არა, არავითარ შემთხვევაში! აშკარაა მანანას არამარტო უყვარს, მოსწონს კიდეც თავისი ქმარი!“

„რა არის აქ გასაკვირი? განა გმირობა არ ალამაზებს ადამიანს? იქნებ სოსოს თავგანწირვამ მანანას თვალში იგი ულამაზეს მზეჭაბუკად აქცია?! რა არის აქ დაუჯერებელი და გასაოცარი?!“

„რასაკვირველია, უყვარს. მოსწონს და უყვარს. არის ამ ორ მოვლენას შორის დიდი განსხვავება. თუმცა ყველაზე დიდი სიყვარული მაინც სხვაა ნამდვილი სიყვარული ღმერთის მიერაა ბოძებული. იგი შენ არაფერს გეკითხება. ნამდვილი სიყვარული ერთი დანახვით სიყვარულია. აი, შეხედავ ქალი-შვილს და... უცებ იგრძნობ რაღაც საოცარ ნეტარებას, დიახ, ნეტარებას, ხანდახან ტანჯვასაც რომ ჰგავს ხოლმე. ამ სიყვარულით მიყვარდა მე მანანა, ამ სიყვარულით ვუყვარდი მანანასაც. ნუთუ შეიძლება უკვალოდ გაქრეს მსგავსი სიყვარული? ნუთუ შეიძლება, ოდნავ მაინც არ ვუყვარდე? ყოველ შემთხვევაში, სრულებით არ ვაგონდებოდე, ანთუ შემხვევით მოვაგონდები, არავითარი განცდა ან თუნდაც უმსუბუქესი სევდა არ ეუფლება ხოლმე?! დავიჯერო, წუხელ ძილის წინ, ერთ წუთს მაინც არ იფიქრებდა ჩემზე? არ გაახსენდებოდა ერთად გატარებული დღეები? დავიჯეროო, არ შემადარებდა სოსოს?“

„კაცმა რომ თქვას, სოსო ძალზე სიმპათიურად გამოიყურება. კიდევ უფრო დამსგავსებია უცხოელს. სახე გამკაცრებია, დავაჟკაცებია. თავის წლებთან შედარებით უფროსად გამოიყურება, უფროსად, თანაც ახალგაზრდულად. დიახ, უფროსად არა ფიზიკური ცვლილებებით, არამედ მკაცრი ცხოვრებით, დიდი და მძიმე განცდებით დამძიმებული გამოხედვით. მან ხომ რამდენიმე წელიწადში გაიარა ცხოვრების ურთულესი გზა სავსე ფათერაკებით, თავგანწირვით, გაჭირვებით, გამარჯვებებით და სიყვარულით“.

...დარწმუნებული ვარ, ძილის წინ ერთი წუთით მაინც იფიქრებდა ჩემზე. მჯერა, ჩემს მისვლამდე გაიგებდა ჩემი წინსვლის, ჩემი დისერტაციის ამბავს. ნეტავ, როგორი შთაბეჭდილება დაეტოვე?“

არჩილი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერცერთი წამიც ვერ გაიხსენა, მანანას რომ ყურადღებით შეევლო მისთვის თვალი. მხოლოდ კარის გაღებისას შეხვდნენ მათი თვალები ერთმანეთს. განსაკუთრებული იქაც არაფერი შეუნიშნავს. მანანამ ჩვეულებრივ შეიპატიჟა შინ. სახეზე გამოსახული ღიმილიც მხოლოდ მასპინძლის ღიმილი იყო და მეტი არაფერი.

„რატომ ხელზე არ ვაკოცე? ან რატომ ლოყაზე არ ვაკოცე მეგობრულად?

ამით ხომ უფრო გავუსვამდი ხაზს, ჩვენს შორის ბავშვობაში („ბავშვობა“ მოეწონა) რომ სერიოზული არაფერი ყოფილა?!“

„მე? მე კი მიყვარს? თუ არ მიყვარს, გუშინ და დღეს რატომ მიტრიალებს თავში მანანას სახე? იქნებ ჩემი აფორიაქება მხოლოდ წარსულის დაუვიწყარი დღეების გაცოცხლებამ გამოიწვია?“

უცებ არჩილმა შავად წამოწოლილი ღრუბელი დაინახა.

„აბა, რატომ ვარ დღესაც უცოლო?“

„იქნებ იმიტომ, რომ ქვეშეცნეულად ჩემს არსებაში ჩამკვიდრებულმა სიყვარულმა გამხადა გულცივი სხვა ქალიშვილების მიმართ?“

„არა, ტყუილია, მანანა არაფერ შუაშია, ხანდახან თვეებიც კი გასულა, მანანას არსებობაც რომ არ გამხსენებია!“

„გახსენებას გავურბოდი, თუ ნამდვილად არ გამხსენებია?!“

„ახლა სულერთია. გამხსენებია თუ არ გამხსენებია, დღეს მანანაზე ფიქრიც კი სისულელეა!

ცოლის მოყვანა კი მართლაც დამიგვიანდა. არც მე შემიძლია, ვინმე უსიყვარულოდ მოვიყვანო. შეყვარებით კი არავინ შემიყვარდა. თუ რაღაც უხილავი ძალებით ბავშვობის დროინდელი სიყვარული მბორკავდა და სხვისი შეყვარების საშუალებას არ მაძლევდა, დღეიდან ხომ არაფერი შემიშლის ხელს?!“

არჩილმა გვერდი იცვალა. თავისი თავი მტკიცედ დაარწმუნა, რომ მანანა შელიას საბოლოოდ მაშინ კი არა, ყაზახეთში რომ გადაასახლეს, არც მაშინ, როცა მისი გათხოვების ამბავი გაიგო, სწორედ დღეს, აი, ამ დილით გამოეთხოვა.

შეეცადა ფიქრი სხვა თემაზე გადაეტანა, უმალვე გიორგი მანუკაშვილი გაახსენდა. თვალები აემღვრა, ტვინში ცივი ჰაერის ნაკადი შეიჭრა და კაპილარებში სისხლი გაუყინა. თავი განგებ არ შეიკავა. ფანტაზიაც ბოლომდე მიუშვა. უნდოდა, თავისი უგუნებობა, დარდი, სინანული მხოლოდ მანუკაშვილთან უნებლიე შეხვედრისათვის მიეწერა. საშინელმა სურვილმა მოუარა, მთელი რისხვა თავზე მხოლოდ მისთვის დაეტეხა. იცოდა, თუ მთელ ბოღმას რკინიგზის მეისრესავით მანუკაშვილის ლიანდაგზე გაუშვებდა, მანანა სადღაც გვერდზე დარჩებოდა. მართალია, წელან თავის თავს გასამხნევებლად შესძახა და ბეჭედიც კი დაუსვა, მანანას საბოლოოდ გამოვეთხოვე, მაგრამ არც ისეთი გულუბრყვილო იყო, ყველაფერი ასე გაიოლებულად წარმოედგინა და დაეჯერებინა.

3.

ელბაქიძის დაღმართზე სარდაფში მოთავსებულ პატარა რესტორან „არაგვში“ მთვრალი ახალგაზრდების ღრიანცელი და შეუწყობელი სიმღერა ისმოდა.

ვიწრო და გრძელი დარბაზის ბოლოში ფარდებით შემოსაზღვრულ კუპეში მაგიდას არჩილ გორდელი და გიორგი მანუკაშვილი უსხდნენ.

არჩილს აღარც კი ახსოვს, პირველად როდის გაიგონა მანუკაშვილის სახელი და გვარი. რატომღაც მაშინ ზიზღი არც კი უგრძვნია იმ კაცის მიმართ, თითქმის მთელი ოჯახი რომ ციხეში ჩაუყარა. შემდგომ, როცა ადამიანებმა შედარებით ამოისუნთქეს და პოლიტიკური პატიმრებიც კი გამოუშვეს, მანუკაშვილის ზიზღმა და შურისძიების გრძნობამ თანდათანობით იმძლავრა. არჩილმა თითქოს მტკიცედ გადაწყვიტა, მოენახა გიორგი მანუკაშვილი. საზოგადოებაში ფრთხილად, სხვათაშორის გაიკითხა, ცოცხალი იყო თუ არა იგი. გაიგო რომ ცოცხალი ყოფილა. თავდაპირველად მთელი სისხლი თავში აუვარდა და კინაღამ კეფა ახადა. ჯალათის მისამართისა და ტელეფონის ნომრის გაგება ვეღარ გაბედა. ეშინოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შემომელახოს, უფრო მეტიც, არ შემომაკვდესო. ყოველ შემთხვევაში, საკუთარი თავის წინაშე მეტ გასამართლებელ საბუთს ვერ პოულობდა. ძილის წინ, ოცნებაში კი, ვინ იცის, რამდენჯერ მოახრჩო, წიხლებით ნეკნები რამდენჯერ ჩაუმტვრია და რამდენჯერ ცოცხლად დაწვა გორდელების ოჯახის ამომგდები. ერთხელ ასფალტის დამწნეხი მანქანის უზარმაზარი ბორბლის ქვეშაც მოაყოლა. ო, რა სიამოვნებით მისჩერებოდა განწირული ხმით მოღრიალე მანუკაშვილს. ხუთტონიანმა ბორბალმა ჯალათს ჯერ ფეხის ტერფები დაუმსხვრია, შემდეგ წვივები და მუხლები, ხოლო როცა ბორბალმა მუცელს მიაღწია, თვალებმა მოწოლილი სისხლის წნევას ველარ გაუძლო და ორთავე ბუდიდან ამოვარდა, თვალების ღრუდან ორტოტა შადრევნად ამოტყორცნილმა სისხლმა იქაურობა პირწმინდად წალეკა.

თითქმის სამი წელი გავიდა მას შემდეგ, ნიაზ დეისაძემ ვერაზე, კაფეში რომ დაანახა გომბეშოსავით თვალებგადმოკარკლული მანუკაშვილი. პირველად იგი გომბეშოს წაამსგავსა, თანდათანობით კი დარწმუნდა, ალიგატორს უფრო ჰგავდა, ვიდრე გომბეშოს. და აი, ერთხელ, შინ რომ ნასვამი ბრუნდებოდა, მანქანიდან მანუკაშვილს ძოჭკოა თვალი. ნასვამი რომ არ ყოფილიყო, ალბათ მაინც აერიდებოდა მანუკაშვილთან პირისპირ შეხვედრას და საუბარს. შოფერს უთხრა, მანქანა გააჩერეო და პირდაპირ მანუკაშვილისაკენ გაემართა.

პატარა კუპეში ცხელოდა. არც ბუზების უკმარისობა იგრძნობოდა.

სანამ ოფიციანტი სასმელს და საჭმელს მოიტანდა, უხერხული დუმილი ჩამოწვა. თითქოს არ შეიძლებოდა, ცარიელ სუფრასთან ესაუბრათ. ბოლოს, როგორც იქნა, ოფიციანტიც გამოჩნდა.

— ალბათ გაგიკვირდათ, უცნობმა ადამიანმა რომ დაგპატიჟეთ, არა?“ ჰკითხა ბოლოს არჩილმა და ჭიქები არყით შეავსო.

— არ გამკვირვებია. თქვენ პირველი არა ხართ, ვინც ჩემთან საუბარი მოისურვა.

— რაკი პირველი არა ვარ, ალბათ უკვე ხვდებით, ჩვენი საუბრის თემას.

— რასაკვირველია, ვხვდები, — მწარედ ჩაიცინა ალიგატორმა, — თქვენ არჩილ გორდელის შვილიშვილი არა ხართ?

— დიახ! — გაოცდა არჩილი. — თქვენ იცნობდით ბაბუაჩემს?

— შორიდან. გულწრფელად უნდა გითხრათ, თქვენ შეგიძლიათ დაიჯეროთ, შეგიძლიათ არა, დიდ პატივს ვცემდი გვარდიის პოლკოვნიკ არჩილ გორდელს. იგი ჭეშმარიტი ოფიცერი იყო და ჭეშმარიტი კომუნისტი, თუმცა პარტიის წევრი არასდროს ყოფილა.

— მართლა გულწრფელად სცემდით პატივს არჩილ გორდელს?! — ლამის თვალები გადმოუცვივდა არჩილს.

— მე უკვე მოგახსენეთ, გნებავთ დაიჯერეთ და გნებავთ არა-მეთქი.

— მერე? რით გამოხატეთ თქვენი პატივისცემა? ცოლი და ცოლის ძმები რომ დაუპატიმრეთ, იმით? ლამის მთელი ოჯახი რომ გაანადგურეთ, იმით?!

— მე არავინ დამიპატიმრებია, არავინ გადამისახლებია და არცერთი ოჯახი არ დამიქცევია. მუშაობდა დიდი სახელმწიფო მექანიზმი, უზარმაზარი, მძლავრი მექანიზმი. მე ამ მექანიზმის ერთი უმნიშვნელო დეტალი ვიყავი. მე თუ არ ვიქნებოდი, ჩემს ადგილს სხვა დაიჭერდა. სახელმწიფო მექანიზმი კი არ გაჩერდებოდა, მოსახდენი მაინც მოხდებოდა.

— არ ვიცი, — დაიბნა არჩილი, — იქნებ თქვენ მართალიცა ხართ, მაგრამ ხომ შეგეძლოთ, ამ საშინელი სამსახურისათვის თავი აგერიდებინათ?

— ყმაწვილო, თქვენ, რამდენადაც ვიცი, ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელი ბრძანდებით. გეცოდინებათ საწარმოო ტრავმათა მრავალსახე-

ობა, მე მხოლოდ ერთს შეგახსენებთ, ჩემს ცხოვრებას რომ შეესაბამება. ერთხელ მილსაგლინავ საამქროში ლილვმა ოპერატორის წინსაფარი ჩაითრია, დიახ, უბედურება წინსაფრიდან დაიწყო და ერთ წუთში ადამიანისგან მხოლოდ დაფლეთილი ხორცისა და დალეწილი ძვლების გროვა დარჩა. არ იფიქროთ, ჩვენი სამსახურის ხალხი პირდაპირ ადამიანების დაპატიმრებით და სისხლის სმით იწყებდა თავის კარიერას. რასაკვირველია, გამონაკლისებიც იყვნენ — სადისტები, გულქვა, ულმობელი ადამიანები, ხალისითა და სიამოვნებით რომ ასრულებდნენ ყველაზე ბინძურ დავალებებს.

— მე საიდან მიცნობდით?

— ბაბუათქვენის გასვენებაზე გნახეთ.

— როგორ, თქვენ იყავით ბაბუაჩემის გასვენებაზე?

— დიახ, ვიყავი, პროცესიას ბოლოში მივყვებოდი. საფლავთანაც მოშორებით ვიდექი.

— რატომ? რამ გაიძულათ? — უნდოდა დაემატებინა, იქნებ სინდისმა შეგაწუხათო, მაგრამ თავი შეიკავა.

— ეჰ, ყმაწვილო, მოდით, ამ მიმართულებით ნულარ ვილაპარაკებთ.

— ბებიაჩემი რატომ დაიჭირეთ?

— მე არ დამიჭერია. დაიჭირა მან, ვინც საქმე შეუდგინა და განაჩენი გამოიტანა. მე შევასრულე დავალება. მე არ შევასრულებდი, კიდევ ვიმეორებ, სხვა შეასრულებდა.

— იცოდით, რომ უდანაშაულო იყო?

— რასაკვირველია, ვიცოდი.

— არ შეგეძლოთ, პროტესტი განგეცხადებინათ?

— გულუბრყვილოდ ნუ ლაპარაკობთ. მაშინ ხომ მსხვერპლის რაოდენობა ერთი ერთეულით გაიზრდებოდა!

— მაინც რას ერჩოდნენ, რატომ დაიჭირეს?

— ვარლამ ბერძენიშვილის მშვენიერმა ბინამ დაგლუპათ, ბერიას თავისი საყვარლისთვის ბინა სჭირდებოდა.

— მერე?

— მერე, არაფერი! იყო ერთი სამმართველოს უფროსი, ბერიას მარჯვენა ხელი ოთარ კესაშვილი. თავის სასიყვარულო ამბებში ბერია მას და კიდევ ორ კაცს ენდობოდა. ბინის გამონახვაც მას დაევალა.

— ბინა ვისთვის იყო საჭირო?

— ნუთუ თქვენ არასდროს დაინტერესებულხართ, ვინ ცხოვრობდა ბებიათქვენის ძმის, ვარლამ ბერძენიშვილის ბინაში? — გაოცდა მანუკაშვილი.

— არ დავინტერესებულვარ. არ მეგონა, თუ იქ მობინადრეს რაიმე კავშირი ექნებოდა ჩვენს უბედურებასთან.

— პირდაპირი კავშირი, ახალგაზრდავ, პირდაპირი კავშირი, — თვალები წამოენთო მანუკაშვილს, — იქ დღეს უკვე პროფესორი არჩილ გედიშვილი და მისი ერთ დროს მომხიბვლელი მეუღლე მარიცა ცხოვრობენ. სწორედ მარიცას გამო დატრიალდა თქვენი ოჯახის თავზე უბედურების კარუსელი. გედიშვილებს ცუდი ბინა ჰქონდათ. ბერიამ თავის სატრფოს ძვირფასი საჩუქარი მიართვა, სისხლიანი საჩუქარი!

— მერე? მათ, ინტელიგენტმა ადამიანებმა, მიიღეს ასეთი საჩუქარი?

პასუხად მანუკაშვილმა ხმამაღლა გაიცინა და არაყი დალია. იცოდა, ასეთ სუფრაზე სადღეგრძელოების დრო არ იყო.

— თქვენ ამბობთ, მიიღესო! ხა, ხა, ხა! მიიღეს რომელია, ახალგაზრდავ, მიიღეს და დიდი სიხარულითაც მიიღეს! ავეჯიც დაიტოვეს, ჭურჭელიც და სხვა წვრილმანებიც. ვარლამ ბერძენიშვილი უშვილო კაცი გახლდათ, მემკვიდრე არ ჰყავდათ. ორი კვირა მოუნდნენ ავეჯისა და ნივთების გადარჩევას. რაც არ მოეწონათ, ზიზღით მოიშორეს, დაწუნებული ნივთები ჩვენი რიგითი თანამშრომლების გასატანი გახდა.

— არჩილ გედიშვილმა იცოდა, რაში მიიღო ასეთი დიდებული, მაგრამ სისხლიანი საჩუქარი?

— რასაკვირველია, იცოდა, მშვენივ-

რად იცოდა! ისიც კარგად იცოდა, ერთი წლით მოსკოვში რატომ გაუშვეს კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

— ღმერთო, სანამდე შეიძლება დაეცეს ადამიანი! — აღმოხდა არჩილს.

ალიგატორმა ხმამაღლა გაიცინა და არაყი დალია. კისრის ქონი ინდაურის ბიბილოების ფერი გაუხდა. წითელ ლოყებზე ამოცვენილი კაპილარები კიდევ უფრო დაებერა და ჩაუსისხლიანდა.

— ჭერ წარმოიდგენთ, როგორ მეცინება, ჰუმანიზმზე და კაცთმოყვარეობაზე დაწერილ სტატიებს რომ ვკითხულობ, ან რადიო და ტელეგადაცემებს რომ ვისმენ. ბევრი ჩემი თაობის კაცი, ახლა რომ აქტიურობს, მე ხომ ვიცი, ვინც არიან. მე ხომ ვიცი, რა ანონიმურ თუ ხელმოუწერელ წერილებს გვიგზავნიდნენ. ერთმანეთს როგორ აბეზღებდნენ ჩემთვის და თქვენთვის კარგად ნაცნობმა და საყოველთაოდ აღიარებულმა კაცმა ერთი წერილით, ერთი დასმენით კაცი დაახვრეტინა. დღეს კი მორალს ქადაგებს, წარსულს ჯოჯოხეთს ადარებს, ადამიანებს სიწმინდისაკენ მოუწოდებს. გეკითხებით, რითია იგი ჩემზე ნაკლები ნაძირალა? მე ერთი ჩვეულებრივი კაცი ვარ, ის კი ერის სასახელო შვილი. გთხოვთ, მიპასუხოთ, განა ის ასგზის დამნაშავე არ არის? მას ხომ სამსახურებრივი მოვალეობა არ ავალდებულებდა, უმსგავსო საქციელი ჩაედინა. იგი ხომ იძულებული არ გამხდარა, სხვისი ბრძანება შეესრულებინა. საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა, ამხანაგო, საკუთარი ინიციატივით! ბოღმა და შურღლი ამოძრავებდა. კოლეგას ნიჭით რომ ვერ სჯობნიდა, ფიზიკურად ანადგურებდა.

— მერე? რატომ დუმხართ? რატომ არ გამოხვალთ და არ ამხელთ ყველას?— უცნაური ხმით აღმოხდა არჩილს.

— ძველ უბედურებას ახალი დავუმატოთ? უფროსების შურღლი არ კმარიდა, ახლა შვილები და შვილიშვილები გადავკიდოთ ერთმანეთს?!

ვიღაცამ კუპეში თავი შემოყო.

— უკაცრავად, სიგარეტი ხომ ნულარ გექნებათ?

არჩილმა კოლოფი უკმაყოფილოდ გაუწოდა.

— ორი ცალი შეიძლება? — გაიღრიჭა ოცდათხუთმეტიოდე წლის მთვრალი გოლიათი.

— სამი აიღეთ!

— დიდი მადლობა! — უცნობმა კოლოფიდან სამი ღერი სიგარეტი ამოიღო და წავიდა.

— მერე, თქვენ გგონიათ, მხილებით და დასჯით ეშველება კაცობრიობას? არა, მეგობარო! დასჯით მხოლოდ დამნაშავენი დაისჯებიან და, მე თქვენ სავსებით გეთანხმებით, უნდა დაისაჯონ კიდეც. მაგრამ სწორად მინდა გამიგოთ, ვერავითარი ღონისძიებით ვერ შეცვლი ადამიანის ბუნებას. მტკიცე, კანონიერ სახელმწიფოში შეიძლება მინიმუმამდე დაიყვანო დანაშაული, გასაქანი არ მისცე ადამიანის ქვენა გრძნობებს, მაგრამ ნუ შეგიპყრობთ და ნუ დაგამშვიდებთ ილუზია, რომ თქვენ ადამიანის ხარბი და გაუმაძღარი ბუნება შეცვალეთ და გააკეთილშობილეთ. აი, თქვენი თაობა ხომ თავს დებს პატიოსნებაზე, ჰუმანიზმზე, კეთილშობილებაზე, შემწყნარებლობაზე, ღმერთმა ნუ ქნას, რომ დრო აირიოს, ღმერთმა ნუ ქნას, რომ უნამუსობას გასაქანი მიეცეს! აბა, მაშინ ნახავთ, როგორ დაერევით და როგორ დაჭამთ ერთმანეთს. დაბეზღება და დასმენა ყველაზე მსუბუქი იქნება იმ დანაშაულებთან შედარებით, ადამიანები რასაც ჩაიდენენ. გუშინდელი მეგობრის სისხლს დალევენ, სულ უბრალო შეკამათებაზეც ერთმანეთისთვის ტყვიას არ დაიშურებენ. თქვენ არ იცნობთ ადამიანებს, თქვენ არ გინახავთ თვით სახელოვანი ადამიანებიც კი ისეთ უბინძურეს სიტუაციებში, მე და ჩემს სისხლისმსმელ კოლეგებს რომ გვინახავს.

— ნუთუ ღირსეული და ნორმალური არავინ შეგხვედრიათ?

— ღირსეული და ნორმალური? — მანუკაშვილმა არაყი მოსვა.

არჩილმა მხოლოდ ახლა აღიქვა, ამდენი ხნის მანძილზე მანუკაშვილს საჭმელისთვის პირი არ დაუკარებია.

— ღირსეულებიც შეგვხვედრია. იშვიათად, მაგრამ მაინც შეგვხვედრია. ღირსეულები რომ არ იყვნენ, ქვეყანა დაიღუპებოდა. ერთი ღირსეული კაცის მაგალითი ასი უღირსი კაცის ნამოქმედარს ანეიტრალებს. ღირსეული ადამიანები რომ არ შეგვხვედროდა, ჩვენ ალბათ, პირუტყვებად, კაციჭამიებად გადავიქცეოდით. თქვენ წელან გაგიკვირდათ კიდეც, ბაბუათქვენის გასვენებაზე რომ ვიყავი. ბებიათქვენის ძმა ვარლამ ბერძენიშვილი შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ახლო მეგობარი იყო. მე ხომ ვიცოდი, მისი გადასახლების ბრალდება საიდანაც მოდიოდა. მაინც გავრისკე, ჩემს უშუალო უფროსს ოთარ კესაშვილს ვუთხარი, ხომ იცით, ვარლამ ბერძენიშვილი მინისტრის პირველი მოადგილის ახლო კაცია-მეთქი. იცით, ამ სიტყვების თქმით რამოდენა რისკზე წავედი? იცით, მაშინ რას ნიშნავდა თუნდაც ასეთი მოკრძალებული ინფორმაციის შეპარება? კესაშვილს რომ ჩემი მოცილება სდომოდა, ამ სიტყვებს ბერიას მიუტანდა და დღეს მე და თქვენ „არაგვში“ ვერ ვისაუბრებდით. დიახ, მოკრძალებით შევახსენე, იქნებ არ იცით-მეთქი... მანამდე მე ვარლამ ბერძენიშვილს არც ვიცნობდი, როცა საბოლოო ვერსიის შედგენაში მონაწილეობა მიმაღებინეს, მაშინ შევისწავლე იმ უბედურის მთელი ცხოვრება, მთელი თქვენი ოჯახის ცხოვრება. პასუხად იცი, რა მითხრა კესაშვილმა? „ვარლამი მეგობარია, მაგრამ სამშობლო უფრო დიდიაო“. არც ის იყო ძნელი გამოსაცნობი, ვის კაბინეტში გაიგონა კესაშვილმა ეს ფრაზა.

— სად არის ახლა კესაშვილი?

— კესაშვილი? — მწარედ ჩაიცინა მანუკაშვილმა, — კესაშვილი . სად უნდა იყოს თქვენი აზრით? ალბათ ბევრჯერ გინახავთ სათავგადასავლო ფილმები და ხშირად გაგიგონიათ ბანალობამდე დასული ფრაზა — „მან ძალზე ბევრი რამ იცოდა“. ოთარ კესაშვილმაც ბევრი რამ იცოდა, ამხანაგო არჩილ, ძალიან ბევრი!

თავი მეთვრამეტე

1

— ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვაო, რომ ამბობენ მინდა ხმამაღლა გადავიხარხარო. რას ემყარებოდა ამხანაგი დარვინი ამ თეორიის შექმნისას? არაფერს მეცნიერულს, არაფერს ლოგიკურს! მხოლოდ ერთადერთ რამეს,— მაიმუნი რაღაცნაირად ჩამოჰგავს ადამიანს! თანაც ყველა კი არა, ზოგიერთი ჯიშის მაიმუნი. თუ დარვინის თეორიას გავიზიარებთ, ლოგიკურად უნდა ვაღიაროთ, რომ ზანგები წარმოშობილან ზანგი მაიმუნებისაგან, იაპონელები და, საერთოდ, მათი ჯიშის ერები — ნუშისთვალებიანი მაიმუნისაგან. თეთრკანიანები — თეთრკანიანი მაიმუნისაგან, ინდიელები — მათი მსგავსი მაიმუნისაგან და ასე შემდეგ. განა ეს რეალურია? განა ეს თეორია ამდენი ხნის მანძილზე არ უნდა გადასინჯულიყო? მხოლოდ ერთ მოსაზრებას მოგახსენებთ ამ თეორიის გასანადგურებლად. ადამიანი რომ გაჩნდა, მისი თავის ტვინი, მისი აზროვნების უნარი ზუსტად ისეთივე იყო, როგორიც ახლაა. ის არ ჩამოსულა ხიდან, საუკუნეების მანძილზე არ უსწავლია ადამიანისათვის დამახასიათებელი მოძრაობა და ასე საუკუნეების მანძილზე არ განვითარებულა მისი ტვინი. აბა გავიხსენოთ ყველაზე უძველესი წყაროები? მართალია, სულ რაღაც ასი საუკუნის ჩარჩოებში უნდა ვიტრიალოთ, მაგრამ ასი საუკუნის მანძილზე განა გაიზარდა ადამიანის გონებრივი შესაძლებლობანი? განა

ძველბერძნულ, ეგვიპტურ ლიტერატურას რომ კითხულობს, ატყობ მათ ნაწერს, რომ ისინი აზროვნების უნარით ჩამოგვრჩებიან? განა მარკუს ავრელიუსი დღევანდელი ჭაბუკივით არ აზროვნებს? რითი ვართ ჩვენ მათზე უკეთ მოაზროვნენი? არაფრით, ჩვენ მხოლოდ მეტი ვიცით, გაცილებით მეტი. ეს ცოდნა საუკუნეებმა დააგროვა. გონება კი არ შეცვლილა, მისი შესაძლებლობები არ შეცვლილა. კაცმა არ იცის, რამდენი მილიარდი უჯრედი აქვს ადამიანს ტვინში. მეცნიერები ამბობენ, დღესაც კი ტვინის მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტია ცოდნით დაკავებულიო. დანარჩენი კი, თურმე წარმოადგენს ადამიანის შესაძლებლობების უზარმაზარ მარაგს. თუ ადამიანი მაიმუნისაგან წარმოიშვა და იგი ნელ-ნელა ამაღლდა ადამიანამდე, მისი გონებაც ხომ თანდათან უნდა განვითარებულიყო და უნდა ვითარდებოდეს ცოდნის, გამოცდილების ზრდასთან ერთად? თუ ჩვენ დარვინის თეორიას გავიზიარებთ, ეს ასე უნდა იყოს, ჩვენი გონების დღევანდელი შესაძლებლობები უნდა ეთანაბრებოდეს ადამიანის, კაცობრიობის დღევანდელ მონაპოვარს, მაშ საიდან გაჩნდა უჯრედთა ამოდენა მარაგი ადამიანის ტვინში? ეს ხომ უკვე აღარ ემორჩილება ადამიანის თანდათანობით განვითარების, ევოლუციის თეორიას?! რას იტყვით? მეთანხმებით, არა? უმორჩილესად გთხოვთ, ზრდილობის გულისთვის ნუ დამეთანხმებით. მშვენივრად ვიცი, ადამიანები ერთმანეთს სამ შემთხვევაში ეთანხმებიან ხოლმე. ეთანხმებიან მაშინ, როცა ნამდვილად ეთანხმებიან. ეთანხმებიან მაშინ, როცა მის მოსაზრებას არ იზიარებენ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო არ სურთ კამათში ჩაებან და განსხვავებული მოსაზრება გამოთქვან. ყველაზე უსიამოვნო მაინც მესამე შემთხვევაა, როცა ეთანხმებიან იმიტომ რომ იგი ღირსეულ მოკამათედ არ მიაჩნიათ. მე რომელი შემთხვევის იმედი უნდა ვიქონიო? პირველის? ამას ზრდილობის გამო არ ამბობთ? აგაშენებთ ღმერთი! (კონიაკი, სიგარეტი) იცით, რა მაფიქრებს კიდევ ყველაზე უფრო? თავი ხომ არ მოგაბეზრეთ? პირიქით? ძალიან კარგი. მე თითქოს თემიდან გადავუხვიე, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და არ შემიძლია კიდევ ერთი ჩემი მოსაზრება არ მოგახსენოთ. იცით, რამდენი სახის სიცოცხლეა ქვეყანაზე? ამჟამად ამბობენ, რომ ათი მილიონი სახისა. ხოლო რაც გადაშენდა, გაცილებით მეტი ყოფილა. რატომ არის, რომ ამდენი მილიონი სახის სიცოცხლიდან მხოლოდ ერთს, ადამიანს აქვს აზროვნების უნარი? დელფინი? როგორ გეკადრებათ, ბატონო ჩემო! დელფინი სხვა ცხოველებთან შედარებითაა მოაზროვნე, თორემ ადამიანთან რას მივა! მისი აზროვნება ადამიანის აზროვნების ერთი პროცენტის მეათასედია. რატომ არის ასე? ხომ შეიძლებოდა, ამ პლანეტაზე ღმერთს რამდენიმე მოაზროვნე არსება გაეჩინა? ვთქვათ, ადამიანი და კიდევ რომელიმე მოაზროვნე ცხოველი, რომელიც უკვე ცხოველი აღარ იქნებოდა! ისიც ხომ შეიძლებოდა, მეორე მოაზროვნე, სხვა ტიპის ადამიანი, ზღვაში გაეჩინა? თავი დავანებოთ იდენტური აზროვნების ორ სახეობას. ხომ შეიძლებოდა ცხოველთა შორისაც ყოფილიყო მეტნაკლებად განვითარებული აზროვნება? ვთქვათ ადამიანზე ნაკლები, მაგრამ მაინც აზროვნება. რატომ არის ყველა ცხოველის არსებობა ინსტინქტებზე აგებული? ხომ არ გეჩვენებათ, რომ ყოველივე ეს ვიღაცის ან რაღაცის მიერ შეგნებულად არის შექმნილი და დადგენილი?! და თუ ეს ასეა, სრულიად უბრალო და ჭეშმარიტი გზით ხომ არ მივადექით ღმერთს?! (პაუზა). კაცმა რომ თქვას, რასაც ახლა გეუბნებით, საერთო არაფერი აქვს ჩემს ცხოვრებასთან. თუმცა ვფიქრობ, ჩემი აზროვნების სტილი, მანერა და შესაძლებლობანი მაინც შეავსებს თქვენი

გონებით და თვალით დახატულ ჩემს პორტრეტს.

მეც ადამიანი გახლავართ. არ ვიცი, როგორი, მაგრამ მაინც ადამიანი. რაღაცას მივაღწიე, განათლებასაც, თანამდებობასაც. ქალაქშიც საკმაოდ კარგ წრეებში მიცნობენ და ვფიქრობ, ჩემთან მეგობრობას არ თაკილობენ. თუმცა განსხვავებაც ხომ არის ადამიანებს შორის! განა ყველა ერთნაირია? არა, განათლებას, ინტელექტს, ნიჭსა და კულტურას როდი ვგულისხმობ! განა ყველას ერთნაირი სული და გული აქვს? მე ერთი ჩემი სოფელი ბიჭი მაგონდება. ფეხბურთს რომ ვითამაშებდით და გადაღლილები მინდორზე წამოვწვებოდით, იგი წამოდგებოდა და იტყოდა, წავედი ახლა ჩიტების ბუდეების დასანგრევადო. მართლაც მიდიოდა! ბურდულებს, ეკალხლართებს არ ერიდებოდა, ბუდეებს პოულობდა და ანგრევდა. გვინდოდა გაგველახა, მაგრამ ჩვენზე ღონიერი იყო და გვეშინოდა. რა სიამოვნებას ანიჭებდა ჩიტის ბუდეების ნგრევა? ვერაფერს გეტყვით? იქნებ ესაა სადიზმი? არ ვიცი, ექიმები მის მოქმედებას რა უმშვენიერეს ლათინურ ტერმინს მოუნახავენ, მაგრამ მე ვიცი, რა განსხვავებული სულის არიან ადამიანები. ჯერ კიდევ რიგითი მუშაკი რომ ვიყავი, გეოლოგიური სამმართველოს ერთ-ერთი განყოფილების გამგესთან ერთად ტყიბულში მივდიოდი სასწრაფო საქმეზე, თუ გნებავთ, გვარსაც მოგახსენებთ იმ კაცისას, მაგრამ აქ მე პიროვნებას კი არ ვკილავ და ვლანძღავ, ადამიანის სულის ამოუცნობ ხვეულებზე მინდა გესაუბროთ. ის კაცი, ბატონო ჩემო, ფრიად სერიოზული მეცნიერი და ორგანიზატორი გახლდათ. სამსახურში ყველანი პატივს ვცემდით, დიდი და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა. დინჯი გახლდათ და თავშეკავებული. ჰაიჰარად არაფერს იტყოდა, არც ერთბაშად წამოენთებოდა. კორექტული და თავდაჭერილი იყო ყველა საქმეში და ჩემს თვალში იგი სიკვდილამდე ასეთი დარჩებოდა, ერთი შემთხვევის გამო რომ მის სულში არ ჩამეხედა. ჩამეხედა-მეთქი, რომ ვამბობ, თვითონვე მინდა გავიღიმო. აბა, მე რისი ჩამხედავი ვარ! ეგ ალბათ თქვენ, მწერალს უფრო შეგიძლიათ გააკეთოთ. მე, უბრალოდ, მივხვდი რომ ეს გიორგი... ხედავთ, სახელიც წამომცდა! მაგრამ, მადლობა ღმერთს, იგი ის კაცი არ გახლავთ, მარტო სახელი რომ რამეს გეუბნებოდეს. დიახ, მივხვდი, რომ ამხანაგი გიორგი ის კაცი არ იყო, ჩვენ ყველას — მის ნაცნობ-მეგობრებს და ალბათ ოჯახის წევრებსაც რომ გვეგონა. იქნებ მე ვცდები, იქნებ ვაზვიადებ? არ ვიცი, ნეტავ ასე იყოს! დასკვნები მას მერე თვითონვე გააკეთეთ, ერთი შეხედვით უბრალო ამბავს რომ მოგიყვებით.

ზაჰესს რომ გავცდით, იქ, ჯვრის მონასტრისაკენ გადასახვევ ხიდზე უამრავ ხალხს მოვკარით თვალი.

გიორგიმ შოფერს უბრძანა, მიდი და გაიგე რა ხდებაო. ხიდთან რომ მივედით, შოფერს თვითონ დაასწრო გადმოსვლა და რაღაც უცნაური, ჩქარი ნაბიჯით შეჯგუფებული ხალხისაკენ გაემართა.

— რა მოხდა? — მხარზე ხელი დაჰკრა ვილაც ახალგაზრდას.

— ქალი მოუკლავთ და ხიდიდან გადაუგიათ.

— ქალი? მერე რატომ არ ჩანს?

სუსტი ტანისა იყო, მაგრამ შეჯგუფებული ხალხი ენერგიულად გაარღვია, ხიდის მოაჯირთან მივიდა და ხარბი მზერა მდინარეში ჩამდგარ ბიჭს მიაპყრო, მილიციელები რომ **რაღაცას** ჰკარნახობდნენ.

ხალხი ცნობისმოყვარეა, ბატონო ჩემო, თითქოს ყოველი მეორე მანქანა ჩერდებოდა და კითხულობდა, რა ამბავიაო. გაიგებდნენ მკვლელობის ამბავს, გადმოვიდოდნენ, ხიდიდან გადაიხედავდნენ, იმედგაცრუებულნი, რომ გვამი არ ჩანდა, თავს უკმაყოფილოდ გაიქნევდნენ და მიდიოდნენ. ჩვენი განყოფი-

ლების გამგე კი ადგილიდან არ იძვ
როდა. დაბლა საოცარი ინტერესით
იცქირებოდა. ხიდის ქვეშ მტკვრის ტო-
ტი საკმაოდ ადიდებული იყო. ბიჭები
ნავით მაღლა ადიოდნენ, შემდეგ
დაეშვებოდნენ და რკინის კაუჭებიან კე-
ტებს იმ ადგილზე ჩაუშვებდნენ, სადაც
ალბათ მოკლული ქალი ეგულებოდათ.
არ ვიცი, უკვე მერამდენედ ავიდნენ აღ-
მა, მერამდენედ დაეშვნენ დაღმა. რკინის
კაუჭი ვერა და ვერ მოსდეს მიცვალე-
ბულს.

დრო გადიოდა, აღარ ვიცოდი, რა
მექნა. მე ახალი დაწყებული მქონდა
მუშაობა და ამოდენა გავლენის მქონე
საპატივცემულო კაცს, ყველაზე დიდი
განყოფილების გამგეს, როგორ შევბე-
დავდი, ტყიბულში გვაგვიანდება-მეთ-
ქი. შიმშილი რომ ვიგრძენი, კიდევ
ერთხელ დავხედე საათს. უკვე ოთხი
დაწყებულიყო. მივედი და მანქანაში
ჩავჯექი, სადაც შოფერს უკვე კარგა
ხანია ეძინა. უკვე ვთვლემდი, ხალხის
აღშფოთებული, კვნესისმაგვარი შეძა-
ხილები რომ მომესმა. მანქანიდან გადა-
ვედი და გიორგისთან მივედი. ქალის
გვამი უკვე ნაპირთან მიეცურებინათ
და ახლა წელამდე წყალში ჩამდგარი
ახალგაზრდები ცდილობდნენ ნაპირზე
აეტანათ. ალბათ ოცი წლისა თუ იქნე-
ბოდა საცოდავი. ყოველ შემთხვევაში,
ზემოდან ასე სჩანდა. მზერა გიორგისა-
კენ გავაპარე. და აი, აქ შემეშინდა ყვე-
ლაზე უფრო. გინახავთ დიდი დოზით
აღგზნებული ნარკომანის თვალები? აი,
ისეთი თვალებით მისჩერებოდა უბედუ-
რი გოგონას გვამს!

●

არჩილ გორდელმა ჩიბუხი გამოასუფ-
თავა და ჯიბეში ჩაიდო. ჩემი უცნაური
ნაცნობის ნაამბობმა სულით ხორცამ-
დე შემაძრწუნა, მაგრამ მის საქციელზე
კინაღამ გამეცინა. ვიცოდი, ნახევარი
წუთიც არ გავიდოდა და ჩიბუხს ისევ
ამოიღებდა. არც მოვტყუებულვარ. კაც-
მა რომ თქვას, გამოსაცნობიც არაფე-
რი იყო. ამ შეხვედრებს მანძილზე
უკვე შევისწავლე მისი ჩვევები. კონია-
კის ჭიქას დასწვდა, მოსვა და ჩიბუხი
ისევ ამოიღო. ხანდახან შთაბეჭდილება
მექმნებოდა, რომ მას ჩიბუხის გაწყო-
ბა, მოკიდება და მარცხენა ხელში ჭერა
უფრო სიამოვნებდა, ვიდრე თამბაქოს
ბოლი. შევჩერებოდი და ვფიქრობდი,
ამოდენა შესავალს რას უკეთებდა, ვე-
რაფრით ვერ ვხვდებოდი, ყოველივე ამ
მონათხრობს რა მოჰყვებოდა, ამბავი
სიუჟეტურად როგორ განვითარდებო-
და.

●

—ნაპირზე მდგომმა მილიციელმა მან-
ქანას ანიშნა, ნაპირთან მიდიო. გვამი
უკვე რიყეზე იდო. გიორგი დაიძრა და
ხიდის მეორე მხარისაკენ გაეართა.
აშკარა იყო, გვამის ახლოდან დანახვა
სურდა. ბედად, მანქანა სწრაფად მია-
ყენეს ნაპირთან, საკაცე გადმოიღეს,
მიცვალებული ბრეზენტით გადახურული
მანქანის ძარაზე მოათავსეს და უმალვე
დაიძრნენ.

შვებით ამოვისუნთქე, ჩემმა უფროს-
მა ხიდის გადაჭრა ვერ მოასწრო, მი-
ცვალებულიანი მანქანა რომ ტრასაზე
გავიდა. გამეხარდა. რომ შეფერხებულ-
იყო, იძულებული გავხდებოდი, გი-
ორგისთან ერთად გვამთან მეც ახლოს
მივსულიყავი. პანაშვიდებზეც კი
თვალს ვარიდებ მიცვალებულს. წარ-
მოიდგინეთ, ჩემი გულის კაცმა, ახლო-
დან შეხედოს ახალგაზრდა ქალის უს-
იცოცხლო სხეულს. ჩემი განყოფილე-
ბის გამგე უკვე მილიციელს ელაპა-
რაკებოდა. ახლოს აღარ მივსულვარ.
გუნებაგაფუჭებული ვიდექი და ვე-
ლოდებოდი, ლაპარაკს როდის მორჩე-
ბოდა. ბოლოს მილიციელს თავი დაუქ-
ნია და უკან გამობრუნდა. გვერდზე რომ
ჩამიარა, ჩემთვის არც შემოუხედავს,

უფრო სწორად, ვერ შემამჩნია. უკან გავედევნე. გორში ისე ჩავედით, დუმილი არცერთს არ დაგვირღვევია.

— ხომ არ გვესადილა? — მკითხა უცებ უჩვეულოდ მხიარული ხმით.

გვამის დანახვის შემდეგ, აღარ მეგონა, თუ იმ დღეს რამეს შეეჭამდი, მაგრამ პირუტყვი ყოფილა ადამიანი!

აი, რა ხალხი გვახვევია ირგვლივ, ვისთან გვიწევს ცხოვრება! სავალალო ისაა, რომ იშვიათად ვიცით, ვინ რა არის! ადამიანებს საოცარი უნარი შესწევთ შენიღბვისა. თუმცა ჩვენ კი ვართ სრულფასოვანნი?! არა, ბატონო, თქვენ არ გგულისხმობთ. ზოგადად დავსვი შეკითხვა. დიახ, ზოგადად, ჩვენ როგორები ვართ? იქნებ ვერც კი ვამჩნევთ რა ნაკლი გვაქვს, რა უბედურება გვჭირს?! განა ადამიანები ასე მკვეთრად იყოფიან ორ ნაწილად, ცალ მხარეს ბოროტები დგანან, ხოლო მეორე მხარეს კეთილები?!

განა მეტნაკლებ ბოროტები არ არიან კეთილი ადამიანები და მეტნაკლებ კეთილნი ბოროტები? იქნებ კაცი საერთოდ არ მოკლა. მოკლა კი არა, არც გალახო, იქნებ ქათამიც არ დაკლა მთელი სიცოცხლის მანძილზე, მაგრამ, ნება მომეცით, გკითხოთ, თანამდებობის გულისათვის, მოწინააღმდეგის ჯიბრით და შურით მცდარ ნაბიჯს რომ შეგნებულად გადადგამ, ნაკლები დანაშაულია? მკვლელმა ქალი მოკლა და ხიდიდან გადააგდო! საშინელი დანაშაულია! ენით აუწერელი ბოროტებაა, ბარბაროსობაა! გეთანხმებით, სავსებით გეთანხმებით! მაგრამ დიდი თანამდებობის კაცი ხელს რომ შეგნებულად აწერს მცდარ პროექტს, გაუმართლებელ მშენებლობებს, შემდგომში ხალხისა და ქვეყნისათვის აურაცხელი ზარალი რომ მოჰყვება, განა ეს არ ითვლება ბოროტებად? განა მის მიერ შეგნებულად გადადგმული მცდარი ნაბიჯი მკვლელობაზე ნაკლები დანაშაულია?!

სამწუხაროდ, ჩვენი ყურადღება იმ ადამიანებზე ფოკუსირდება, ვთქვათ, კაცს რომ მოკლავს. რატომღაც ვერ აღვიქვამთ ხოლმე მასშტაბურად გაშლილ ბოროტებას. ალბათ იმიტომ, რომ იქ ვერ ვხედავთ სისხლსა და გვამებს. თუმცა ხშირად უსისხლო და უმსხვერპლო დანაშაული ასეულობით ადამიანის სიკვდილის დამაჩქარებელი მიზეზი გახლავთ ხოლმე!

მეც ადამიანი გახლავართ, და რაოდენ ვწუხვარ, რომ მეც მაქვს ცოდვები. გულწრფელად უნდა გითხრათ, თვით ამ ერთი წლის წინათაც კი არ მიფიქრია ამ საკითხებზე. ერთი წლის წინ არაფერში მიმაჩნდა თავი დამნაშავედ. დღეს კი ზოგიერთი ჩემი ნაბიჯი იმდენად მაწუხებს, სულსა და გონებას იმდენად მიმღვრევს რომ ლამის საბოლოოდ დავკარგო მოსვენება. ამ რამდენიმე წლის წინ დავასაბუთე საქართველოს ერთ-ერთ მთიან რაიონში დარიშხანის დამამუშავებელი ქარხნის აშენების აუცილებლობა. პროექტის მიხედვით სამი სოფელი უნდა აგვეყარა, დაახლოებით ოთხასი ოჯახი, და სხვაგან უნდა გადაგვესახლებინა. კარგად მოგეხსენებათ, რას ნიშნავს ხალხის აყრა ისედაც გაჩანაგებულ ჩვენს მთიანეთში. სწორედ მე გახლდით საექსპედიციო კომისიის თავმჯდომარე და ჩემს სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. სამი სოფლის აყრას კიდევ ვინ დაეძებდა, უნდა დაგვებინძურებინა უსუფთავესი მდინარეები, ანკარა წყაროები. მოგეხსენებათ, დარიშხანის მონოკრისტალის მიღებას უსუფთავესი ნაკადულები სჭირდება. შემდგომ კი, ვინაიდან გარემოება საშუალებას არ იძლეოდა დაცული ყოფილიყო უსაფრთხოების ზონა, ტექნიკურ წყალს რაიონის ცენტრი უნდა გაევლო და იქვე, რაიონის განაპირას მდებარე ტექნიკუმის ეზოს მახლობლად უნდა გაწმენდილიყო. სულ რაღაც ორასიოდე მეტრზე. ეს მაშინ, ბატონო ჩემო, როცა უსაფრთხოების ელემენტარული წესების მიხედვით, გამწმენდი ნაგებობა ოთხკი-

ლომეტრიანი რადიუსით უნდა ყოფილიყო დაშორებული სოფლისა თუ რაიონის მოსახლეობას. განა მე ეს არ ვიცოდი? ვიცოდი, მშვენივრად ვიცოდი, მაგრამ ხელი მაინც მოვაწერე და არამარტო მოვაწერე, შევებრძოლე კიდეც პროექტის ოპონენტებს, შევებრძოლე მთელი ენერგიით და მონდომებით. ვამტკიცებდი იმას, რაც მე თვითონ არ მჯეროდა. არა, დაჯერებას ვინ დაეძებს, სხვას რომ იგივე გაეკეთებინა, სადღაც სხვაგან, რომელიმე სხვა სამმართველოში, ალბათ პირველი მე დავესხმოდი თავს, მთელ რესპუბლიკას ავუჯანყებდი. აქ კი რა ჩავიდინე? გაოცებული მიყურებთ არა? აქამდე თქვენთვის არაფერი მომიყოლია ჩემი სისუსტის თაობაზე. ნუ გაგაკვირვებთ ჩემი სისუსტე, გახსოვდეთ, საერთოდ, ადამიანები გარკვეულ სიტუაციებში ყველანი სუსტები ვართ. განა სადმე არსებობენ აბსოლუტურად პატიოსანი ადამიანები? განა ვინმეს იცნობთ, ვინც ბოროტებასთან, თუნდაც უმცირესთან, კომპრომისზე არ წასულა და, უფრო მეტიც, განა გეგულებათ ვინმე, რომელსაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც, თავისი პირადი კეთილდღეობიდან გამომდინარე, მცდარი ნაბიჯი შეგნებულად არ გადაედგას? მეც ერთი იმათგანი ვარ, თუმცა ოდნავ ის მაინც მიმშვიდებს აფორიაქებულ სულს, სინანულის გრძნობა რომ შემრჩა. ვფიქრობ, დასაფასებელი ნაბიჯია, თქვენნაირ ადამიანს რომ გული გადავუშალო და საკუთარი თავი აუგად მოვიხსენიო. ამას ხომ ძალზე ცოტანი აკეთებენ ან ახერხებენ! და აი, ახლა, ამ წუთში, თქვენს წინაშე ვკიცხავ ჩემს თავს, განა რაიმეთი ვჯობივარ იმ მკვლელს, ოციოდე წლის გოგონას რომ მკერდში დანა ჩაერტყა? მან ერთი ადამიანი მოკლა. ჩვენი აშენებული ქარხანა კი, კაცმა არ იცის, რამდენს მოკლავს, რამდენს შეურყევს ჯანმრთელობას. როგორ აყრის ოთხას ოჯახს და როგორ შეკუჭავს რკინაბეტონის მახინჯ კუბებში, რუსები „პასიოლოკ გარადსკოგო ტიპას“ რომ ეძახიან.

ნუ იჩქარებთ, ნუ იჩქარებთ, ბატონო ჩემო, ვიცი, რაც უნდა მითხრათ! ვალიარებ, სამართლიანი იქნება თქვენი მკაცრი და აღშფოთებული შეძახილი, ეს როგორ ჩაიდინეთო! ოღონდ ცოტა მაცალეთ, სული მომათქმევინეთ და სათქმელიც ბოლომდე მათქმევინეთ!

●

კინაღამ გამეცინა. გულწრფელად რომ გითხრათ, არაფრის წამოძახებას მე არ ვაპირებდი, იმდენად ჩვეულებრივი იყო ჩემთვის იმის მოსმენა, რასაც იგი ასეთი მგზნებარებით და იქნებ გამოგონილი გულწრფელობითაც მიყვებოდა. მსგავსი ღალატი ქვეყნისა და ხალხის მიმართ ხომ ჩვეულებრივ ამბად იქცა ჩვენს უბედურ დროში.

●

— დიახ, ნუ იჩქარებთ, ნაადრევად, განუსჯელად, საკითხის, სიტუაციის აუწონ-დაუწონავად ნუ გამასამართლებთ. კატეგორიულად ვიმეორებ, მაშინ მე არ შემეძლო დარიშხანის ახალი ქარხნის ზუსტად იმ ადგილზე აშენების წინააღმდეგ წავსულიყავი. არ შემეძლო, რადგან ასე სურდა რესპუბლიკის ლიდერს. მას კი თავის მხრივ საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი უჭერდა ყელში ხელს, რაც შეიძლება უხვად გვინდა დარიშხანის მონოკრისტალები ჩვენი წყალქვეშა სამხედრო გემების ლაზერული პროჟექტორებისათვისო. გასაგებია? აი, რა მიბორკავდა ხელებს, აი, რა მიმღვრევდა სულს! არ მოვაწერდი მე ხელს და მოაწერდა სხვა! მე კი, თავადაც მოგეხსენებათ, რა დღეც დამადგებოდა, მათ წინააღმდეგ თუ ხელს აღვმართავდი!

. . .

მის აღგზნებულ და ამავე დროს შემკრთალ თვალებს რომ შევხედე, უმალვე მივხვდი, არ სჯეროდა, რომ ყველაფერი ვირწმუნე, რაც მან ასეთი დიდი არტისტიზმით და ექსტაზით მომითხრო, თუმცა იმასაც მივხვდი, თვითონ მას ამ წუთში მართლაც სჯეროდა, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად ასე მოხდა. ინტუიციამ კი მიკარნახა, საქმე უფრო რთულად და უფრო შავად უნდა ყოფილიყო.

2

— ერთი რამ მინდა, ვაღიარო, თითქოს მონანიების გრძნობაც გამიჩნდა ნოდარ ქედიშვილის მიმართ. მგონი, ერთხელ უკვე გესაუბრეთ ამ პიროვნებაზე, არა? დიახ, ნოდარ ქედიშვილზე. არასოდეს არ მიხსენებია? თუმცა როდის ვახსენებდი, ამ თემაზე ხომ პირველად გესაუბრებით. დიახ, იგი ჩემი თანაკურსელი, უფრო მეტიც, ჩემი ჯგუფელი გახლდათ. თითქმის ოთხი წლის მანძილზე, იგი მეორე კურსზე გადმოვიდა ჩვენს ჯგუფში, ვეჯიბრებოდი ერთი შეხედვით უფერულ, ჩუმ, მოსაწყენ ჩემს ტოლ ყმაწვილს. საზოგადოებაში, მეგობრებში, ნაცნობებში, თუ უცნობებში, განა შეიძლებოდა ჩვენი ერთმანეთისათვის შედარება? ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და საზოგადოებაში შემეძლო სანთელივით ჩამექრო მოუქნელი და ჩუმი, შესახედავად საშუალოზე ნაკლები თანაჯგუფელი. სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, რა სიტუაციაშიც არ უნდა აღმოჩენილიყავით, ყოველთვის მე ვიყავი ლიდერი, ყოველთვის მე წარვმართავდი საუბარსა თუ მოქმედებას. მაშ რაღა მშურდა მისი? რას ვეტოქებოდი? რატომ ვიბოღმებოდი? თუ ჩემი უპირატესობა - აშკარა იყო, რაღა მაწუხებდა, რა მივსებდა შურით გულს, რატომ თვითონ მე ვერ ვიჯერებდი ჩემს პირველობას?! ყველა თითქოს მე მაღიარებდა, ჩემთან შეგობრობას ეშურებოდა, მით უფრო მიკვირდა, ნოდარ ქედიშვილს რატომ აძლევდნენ მაინც უპირატესობას? თუმცა, სხვაზე რა საყვედური უნდა ვთქვა, რომ, მართალია, თავს არ ვუტყდებოდი, მაგრამ თითქოს შინაგანად მე თვითონაც ვგრძნობდი ქედიშვილის რაღაც უპირატესობას. მაშინ თითქოს მიჭირდა ამ განცდათა სიღრმეში ჩაწვდომა. თუ ჩვენს ცოდნასა და მეცნიერულ შესაძლებლობებს ერთმანეთს შევადარებდით, განსხვავება თითქმის შეუმჩნეველი იყო. კაცმა გულახდილად რომ თქვას, მეცნიერებაში ვარსკვლავებს არცერთი არ ვწყვეტდით. ეს ცხოვრებამაც დაადასტურა. ნოდარ ქედიშვილი ამჯერად პროფესორი გახლავთ, კარგი პროფესორი. არც ესაა ხელწამოსაკრავი ამბავი, მაგრამ ისეთი მეცნიერი როდია, თუნდაც საკავშირო მასშტაბით რომ ხმაურობდეს. მაშ რით დაგვარწმუნა ამ უფერულმა კაცმა თავის სიძლიერეში? დიდხანს ვერ ამოვხსენი ეს ამოცანა. მხოლოდ გვიან, ძალიან გვიან გავიგე, რომ მისი ძალა დიდი შინაგანი ენერგია და პატიოსნება ყოფილა.

●

არჩილ გორდელმა ჩიბუხი მოქაჩა და თვალი მაგიდას გაუშტერა. ვცდილობდი, გამომეცნო, საუბარი რა მიმართულებით წავიდოდა. ნოდარ ქედიშვილი ჩვენი საუბრების ახალი პერსონაჟი გახლდათ. ნაწილობრივ მივხვდი, მათი განვლილი ურთიერთობა ძალზე დრამატული ეპიზოდებით უნდა ყოფილიყო სავსე. დუმილი გრძელდებოდა. იგი კვლავ დაჟინებით დასცქეროდა მაგიდას. ვგრძნობდი, არჩილის სხეულში უმაღლესი ძაბვის დენი როგორ მიმოდიოდა. მის შუბლს უკან თითქოს

კბილანების ბრუნვასაც ვხედავდი, თითქოს მათი ხმაც მესმოდა. უცებ შეინძრა, თუმცა დუმილი კვლავ არ დაურღვევია. ამჯერად სკამის საზურგეს მიაწვა და თვალი ჭერს გაუშტერა.

არ ვიცოდი, რა მექნა, დუმილი რით დამერღვია, რა მეკითხა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, შესაკითხიც არაფერი მქონდა. ჭიქა ხელში ავიღე და კონიაკი მოვწრუპე. ჩემმა მოძრაობამ თითქოს გამოაფხიზლა. ჩიბუხი მოქაჩა და თვალებში შემომხედა.

●

— შეიძლება ითქვას, თუმცა, არავითარი „შეიძლება"! თქვენ ერთადერთი კაცი ხართ, ვისთანაც ვაღიარე ნოდარ ქედიშვილის უპირატესობა. ისიც შეიძლება თამამად ითქვას, რომ პირველად დღეს ვაღიარე მისი უპირატესობა. ჩემს თავს ამაში მაშინაც კი არ გამოვტყდომივარ, როცა ქედიშვილი დავამარცხე, თითქმის გავანადგურე! (მრავლისმეტყველი აღგზნებული შემოხედვა, წამიერი დუმილი, შემდეგ ღრმა ამოსუნთქვა და ჩიბუხი). წესით უნდა მეზეიმა. იგი არა მარტო დავამარცხე, არამედ ჩემი საქმეც გავინაღდე, დაწინაურებისათვის დიდად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგი. მაგრამ... დიახ, მაგრამ... გამარჯვებამ სიხარული ვერ მომიტანა. ვერ მომიტანა, პირიქით, გულმა მიგრძნო, რომ დავმარცხდი. დიახ, დავმარცხდი. დამამარცხა მისმა პატიოსნებამ. თუმცა, არ მინდა მოვლენებს გავუსწრო წინ. თუ ყველაფერი არ გიამბეთ, ვერ მიხვდებით ჩემი, გამარჯვებული კაცის სულიერი დამარცხების მიზეზებს. ყავა ხომ არ შევუკვეთოთ, ბატონო, არ ვჩქარობ. როცა მოგესურვებათ, მაშინ შევუკვეთოთ. (პაუზა, კონიაკი). ჩვენს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით მაშინ გამწვავდა, ინსტიტუტში რომ ხმა გავრცელდა, კათედრის გამგე ნოდარ ქედიშვილს ასპირანტურას უხსნისო. ურთიერთობა გამწვავდა-მეთქი, რომ ვამბობ, მთლად ზუსტი არ არის ეს გამოთქმა. ურთიერთობა მხოლოდ ჩემს სულში და გონებაში გამწვავდა. არა მგონია, ნოდარ ქედიშვილი ანალოგიურ განცდებს ჰყოლოდა შეპყრობილი. თანაც, ისიც უნდა დავძინო, არც მაშინ და არც შემდგომ, არავის უგრძვნია და შეუმჩნევია ნოდარ ქედიშვილის მიმართ ჩემი დამოკიდებულება. დავუბრუნდეთ ასპირანტურას. დიახ, კურსზე ხმა გავრცელდა, კათედრის გამგე ნოდარ ქედიშვილს ასპირანტურას უხსნისო. გული შემეკუმშა. შურიანი თითქოს არასდროს ვყოფილვარ. თუმცა, შემდეგ რომ გავაანალიზე, მარტო შურით არ მომწამვლია გუნება. სრულიად ახალგაზრდა კაცს, ბავშვობა რომ თითქმის არ მქონია, ცხოვრებამ ბევრი ტკივილი მომაყენა. ამ ტკივილებს ჩემი კარგი სწავლით, ჯგუფში ლიდერობით ვიქარვებდი. ახლა რომ ვაკვირდები, თითქოს ვიღაცის ჯიბრზე ვსწავლობდი, ცხოვრებისგან და პოლიტიკური უკუღმართობებისაგან ლამის განადგურებული მხოლოდ აქ, ინსტიტუტში ვაღწევდი გამარჯვებებს. მთლიანობაში აშკარად ვგრძნობდი ჩემს უპირატესობას. და ამ, მაშინ ქედიშვილის მოსალოდნელი ასპირანტობის ამბავმა კვლავ მეორე რიგში დამაბრუნა. მაშინ, თქვენც კარგად გემახსოვრებათ, დღევანდელივით როდი იყო გაიაფებული ასპირანტობაცა და ხარისხის დაცვაც. რაღა დამრჩენოდა. მალე დიპლომების დაცვა დაიწყებოდა. უცებ კვლავ გამიღვივდა იმედის ნაპერწკალი, კვლავ აღვივსე ხალისითა და ენერგიით. სწორედ დიპლომის დაცვის დროს უნდა დამემტკიცებინა ჩემი უპირატესობა, დიპლომის დაცვის დროს საბოლოოდ უნდა დამემარცხებინა ნოდარ ქედიშვილი. რატომ ნოდარ ქედიშვილი? თქვენს გონებაში არ წამოიჭრა კითხვა, რა დამიშავა ამ კაცმა? არაფერი, ბატონო ჩემო, არაფერი! მე, უბრალოდ, სახელმწიფოსგან, მთავრობისგან დაჩაგრული

და გაუბედურებული ახალგაზრდა კაცი, ჯგუფში პირველობით ვინაზღაურებდი დაკარგულს, ჯგუფში პირველობა მაძლევდა იმედს და ენერგიას, ჯგუფში, კურსზე პირველობას უნდა გაეკაფა ჩემი სამომავლო გზები. დიახ, სამომავლო გზები! ამ დროს კი, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, ნოდარ ქედიშვილი, პეტრე თუ პავლე, სულერთია, ჩემი მოსისხლე მტერი გახდებოდა. მოსისხლე-მეთქი, რომ ვამბობ, თვითონვე მეცინება. არავითარი მოსისხლე მტერი! მსგავსი გრძნობა საერთოდ არ ბოგინებს ჩემს არსებაში, უბრალოდ, მეჩვენებოდა, კურსზე პირველი სტუდენტობა იყო ერთადერთი გზა ჩემთვის, სამომავლო გზები რომ უნდა გაეხსნა. დიახ, მთელი ყურადღება დიპლომზე გადავიტანე, დღეში ლამის თხუთმეტ-ჩვიდმეტ საათს ვმუშაობდი. ხანდახან გადაღლილს გული მიტყდებოდა. „ვითომ ვაჯობებ?"—მილიონჯერ ვიმეორებდი გონებაში, დილით კი კვლავ ენერგიით აღსავსე სადიპლომო ნაშრომს და ნახაზებს ვუბრუნდებოდი. და აი, რამდენიმე თვის შემდეგ, სადიპლომო ნამუშევრებით და ნახაზებით ხელში უზარმაზარ აუდიტორიაში ვსხედვართ და ჩვენს რიგს ველოდებით. ყოველდღიურად შვიდ-შვიდი კაცი ვიცავდით დიპლომს. მოხდა ისე, რომ მე და ნოდარ ქედიშვილს ერთ დღეს დაგვინიშნეს დაცვა. ჩემი სურვილიც ეს იყო. რამდენჯერ მიოცნებია, ჯერ ის წარმდგარიყო საგამოცდო კომისიის წინაშე და შემდეგ მე. რა იყო ჩემი კოზირები? ემოციურობა, არტისტიზმი და, თუ ტრაბახში არ ჩამომართმევთ და არ დამძრახავთ, უკეთესი გარეგნობა. დიპლომების მეცნიერული დონე ალბათ დიდად არ იქნებოდა ერთმანეთისგან განსხვავებული, მაგრამ მე მქონდა კიდევ ერთი კოზირი, სადიპლომო პრობლემის ეკოლოგიური მხარის ანალიზი. სიტყვა „ეკოლოგია" მაშინ თითო-ოროლა კაცმა თუ იცოდა. თუ იმ წლების პრესას გავიხსენებთ, დამერწმუნებით, ეკოლოგიის პრობლემებზე საერთოდ არაფერი იბეჭდებოდა. მაშინ ძალიან ცოტა თუ წარმოიდგენდა, რომ გაივლიდა ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წელიწადი და პლანეტას ამოდენა საშიშროება დაემუქრებოდა. გავიხსენოთ, რა ლოზუნგები ასაზრდოებდა საზოგადოებას, — „ჩვენ ვერ დაველოდებით ბუნების წყალობას, ჩვენ უნდა წავგლიჯოთ იგი ბუნებას!" გახსოვთ?! (ჯიქური შემოხედვა, ანთებული თვალები, ხანმოკლე დუმილი) გახსოვთ, არა? ძალიან კარგი! და აი, სადიპლომო ნამუშევრის წინ კვლავ შემიპყრო ეჭვმა, კვლავ მომეწამლა გუნება. ვიცოდი, ჯგუფში ჩვენ ვიყავით პირველები და, დარწმუნებული გახლდით, ჩვენს დუელს ყველანი მოუთმენლად ელოდნენ. იმ დღეს თითქმის მთელი კურსი მოვიდა დიპლომების დაცვაზე. აუდიტორიაში ტევა აღარ იყო. შიშმა ხელი ისევ დამრია. ეკოლოგიურ ნაწილში ხომ საერთოდ შემეპარა ეჭვი. მოეწონებათ ან, სულაც, გაიგებენ კი ჩემი ეკოლოგიური ანალიზის მნიშვნელობას? იქნებ სულ გამოვტოვო და სიტყვა ეკოლოგია არც კი ვახსენო?! კომისიის თავმჯდომარემ დიპლომის დამცველთა სია წაიკითხა. ნოდარ ქედიშვილი მესამე იყო, მე მეხუთე. ცოტა ამოვისუნთქე. მისი დაცვის შემდეგ მქონდა ანალიზისა და დასკვნების გაკეთების საშუალება.

3

ნოდარ ქედიშვილი მეორე კურსიდან გადმოვიდა გეოლოგიის სპეციალობაზე. მანამდე იგი სამარკშეიდერო ჯგუფში სწავლობდა. იგი საშუალოზე ოდნავ მაღალი, წაბლისფერთმიანი ყმაწვილი გახლდათ. სუსტი აღნაგობის ყმაწვილს თვალებიდან განუწყვეტელივ სევდა ეღვრებოდა, მეგობრებს ყოველთვის მოკრძალებულად, ხაზგასმული ყურადღებით ესალმებოდა, თუმცა ცდილობდა, არავინ გაეშინაურებინა. თვითონ, თუ

რაღაც უშუალოდ ლექციასთან არ იყო დაკავშირებული, არავის არაფერს არ ეკითხებოდა. სევდიანი თვალების მიუხედავად, საკმაოდ ენერგიული და, ხშირად, მკაცრი გამოხედვაც კი ჰქონდა. მის გაღიმებას ჯგუფში დიდი ფასი და მნიშვნელობა დაედო.

თანაკურსელებს ყოველთვის უკვირდათ, ლექტორთან კამათის ან საგნის ჩაბარების დროს სახე როგორ ეცვლებოდა. უფრო სწორად, თვალები წამოენთებოდა ხოლმე. შესვენებების დროს ან მერხზე ჯდებოდა და რაღაცას კითხულობდა, ან ფანჯარასთან მიდიოდა და ქუჩაში იცქირებოდა. თანაჯგუფელებმა თავიდან თითქოს აითვალწუნეს კიდეც სულ მუდამ მდუმარე ყმაწვილი, მაგრამ, როცა არაორგანული ქიმიის კათედრაზე რეფერატი წაიკითხა, ყველანი პატივისცემით განიმსჭვალნენ. მოეწონათ არამარტო კარგი რეფერატი, მოეწონათ მისი ლაპარაკის კულტურა, ასკაციანი აუდიტორიის წინაშე თავის დაჭერა, მოხდენილი, ლოგიკური პასუხები, შიგადაშიგ ემოციური აღელვება.

მარტო არჩილ გორდელს არ მოეწონა ნოდარ ქედიშვილი, თუმცა „არ მოეწონა“ ოდნავადაც ვერ გამოხატავდა იმ რთულ დამოკიდებულებას, მდუმარე თანაჯგუფელის მიმართ რომ გაუჩნდა ინსტიტუტში სწავლის დაწყების პირველი დღეებიდანვე. თითქოს ქვეშეცნეულად გრძნობდა, რომ მომავალში ერთმანეთს შეეჯახებოდნენ. რაც დრო გადიოდა, ნოდარ ქედიშვილი უფრო და უფრო იკვეთებოდა, ნაცნობ-მეგობრებს შორის მისი პიროვნების სიძლიერეში ეჭვი აღარავის ეპარებოდა. კურსზე რამდენიმე ხუთოსანი იყო, მათ შორის — არჩილ გორდელი. თანაც არჩილი ნოდარ ქედიშვილს გარდა სხვებს გაცილებით აღემატებოდა. ზოგ საგანში არჩილი იქნებ უფრო ძლიერიც იყო, ვიდრე ნოდარ ქედიშვილი, მაგრამ მან პიროვნული სიძლიერითა და სიმტკიცით დაჩაგრა არჩილი. თვითონ კი არ დაჩაგრა, ჯგუფმა გააკეთა დასკვნა, რომ ნოდარ ქედიშვილი არამარტო კურსზე, ფაკულტეტზეც პირველი სტუდენტი იყო.

არჩილს ერთი ბოღმაც აწუხებდა. იცოდა, ნოდარ ქედიშვილზე გაცილებით კარგადაც რომ ესწავლა, პირველობაში უკვე ვეღარ შეეცილებოდა.

მეოთხე კურსზე ქედიშვილი სტალინურ სტიპენდიაზე წარადგინეს. მისი აღიარება არავის გაკვირვებია, პირიქით, სამართლიანი წარმატება კურსზე ყველას გაეხარდა კიდეც. მხოლოდ არჩილ გორდელს შეეკუმშა გული. თან, რამდენიმე ამხანაგთან, ვისთანაც ყველაზე ახლო იყო, წამოსცდა კიდეც, სტალინურ სტიპენდიაზე მე ვინ წარმადგენდაო. მეგობრებმა, ბუნებრივია, იცოდნენ, რატომაც არ წარადგენდნენ არჩილს სტალინურ სტიპენდიაზე. ისიც კარგად ახსოვდათ. პარტიაში მიღებაზე როგორ უთხრეს უარი, მაგრამ მაინც არაფერი თქვეს. არჩილს ყველა აფასებდა, მაგრამ ისიც კარგად იცოდნენ, სტიპენდია პირველ რიგში ნოდარ ქედიშვილს ეკუთვნოდა.

4

დილით არჩილ გორდელი გეოლოგიური სამმართველოს უფროსმა ტელეფონით გააფრთხილა, დღეს თორმეტი საათისათვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გამოგიძახებს და ნურსად გახვალ, ადგილზე დახვდიო.

— რატომ? — გაოცდა არჩილი.

— ერთ საკითხზე უნდა მოგელაპარაკოს, შენი აზრი აინტერესებს. შენს ნათქვამს, ადვილი შესაძლებელია, გადამჭრელი მნიშვნელობა მიენიჭოს. იმედია, სწორად ჩასწვდები საქმის ვითარებას.

— მაინც რა საკითხია, ამოდენა თანამდებობის კაცს რომ ჩემი აზრი ასე აინტერესებს? — კიდევ უფრო გაოცებულმა იკითხა არჩილმა. იგი მინისტ-

რთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს არ იცნობდა, უფრო სწორად, თავმჯდომარის მოადგილე არ იცნობდა არჩილ გორდელს.

— მიხვალ და გაიგებ. გეოლოგი კაცი ხარ. დარწმუნებული იყავი, რომ მუსიკის საკითხებზე არ დაგიწყებენ საუბარს!

გეოლოგიური სამმართველოს უფროსმა ყურმილი დაკიდა. არჩილი ყურმილით ხელში კარგა ხანს იდგა გაშეშებული.

„როგორ გავახსენდი, ან საიდან იცის ჩემი არსებობა?“ — გულწრფელად გაოცებულმა ყურმილი ბერკეტზე დადო და სკამის საზურგეს მიაწვა.

„რასაკვირველია, ჩემი კანდიდატურა ვიღაცამ შესთავაზა, ვიღაცამ ურჩია. ესე იგი, მას, ვინც ჩემი კანდიდატურა შესთავაზა, ჩემი იმედიცა აქვს და თავის თანამოაზრედაც მთვლის. კი, მაგრამ ვინ?“ — გორდელმა ჩიბუხი გააწყო, ფეხზე წამოდგა და კაბინეტში ბოლთის ცემას მოჰყვა. ცოტა სასაცილოდ კი გამოიყურებოდა ჩიბუხით ხელში დინჯად მოსიარულე. ეტყობა, ბევრ რამეს სჭირდება ასაკი. ის, რაც ამშვენებს ჭარმაგ პიროვნებას, სასაცილოდ ხდის ახალგაზრდას.

„მაინც ვინ მიაწოდა ჩემი კანდიდატურა?!“

მიხვდა, მკითხაობას აზრი არ ჰქონდა.

„რა ცხელი პრობლემებია დღეს საქართველოს გეოლოგიურ სამსახურში?“

არჩილ გორდელი სწორ გზას დაადგა. ამ საკითხით იგი არასდროს დაინტერესებულა, მაგრამ მეტნაკლებად ყველაფერი იცოდა და თუ იგი ყველა მტკივნეულ ან პრობლემურ საკითხს გააანალიზებდა, აუცილებლად მიხვდებოდა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რისთვის იბარებდა.

„დარიშხანი, რასაკვირველია, დარიშხანი!“ — გაუნათდა უცებ არჩილს გონება. გაახსენდა, რომ დარიშხანის თაობაზე დიდი შეხლა-შემოხლა იყო ცენტრალურ კომიტეტში. თვითონ ამ შეხლა-შემოხლისათვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია. დარიშხანის პრობლემასთან მას შეხების წერტილიც არ ჰქონდა. დაახლოებით მაინც იცოდა, ჩხუბი და გამძაფრებული შეჯახებანი თვით დარიშხანის მოპოვების გამო კი არა, ასაშენებელი ქარხნის ადგილ-მდებარეობის ირგვლივ იყო ატეხილი.

„თუკი სწორად მივხვდი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს რა საკითხზე აინტერესებს მოისმინოს ჩემი აზრი, მაშინ მისთვის ჩემი კანდიდატურა თვითონ გეოლოგიის სამმართველოს უფროსს მიუცია. ამიტომაც დამირეკა ასე საგულდაგულოდ“.

არჩილ გორდელი მაგიდასთან მივიდა, ჩიბუხი გამოფერთხა და სკამზე დაჯდა.

„რასაკვირველია, ბატონმა ოთარმა მისცა ჩემი კანდიდატურა. საეჭვო აღარაფერია!“ — დაასკვნა საბოლოოდ და ისევ გაიხსენა ოთარ ჩიმაკაძის სიტყვები: — „შენს ნათქვამს, ადვილი შესაძლებელია, გადამჭრელი მნიშვნელობა მიენიჭოს. იმედია, სწორად ჩასწვდები საქმის ვითარებას“.

არჩილმა თავი ხელებში ჩარგო.

„სწორად ჩასწვდები საქმის ვითარებას“.

„სწორად ჩასწვდები საქმის ვითარებას“.

ოთარ ჩიმაკაძის ეს ფრაზა ბორბალივით დატრიალდა გონებაში.

„და თუ ცდება გეოლოგიის სამმართველოს უფროსი?! და თუ მართალი არ ბრძანდება ბატონი ოთარ ჩიმაკაძე?! მაშინ რა უნდა ვქნა, როგორ უნდა მოვიქცე?!“ — საგონებელში ჩავარდა არჩილ გორდელი.

„რასაკვირველია, ცდება, სადავო არაფერია, ნამდვილად ცდება“.

არჩილ გორდელმა თვითონ არ იცოდა, დარიშხანის გამამდიდრებელი ქარხანა სად უნდა აშენებულიყო, ამიტომ დასკვნის გამოტანის უფლებაც არ

ჰქონდა. მაგრამ გაახსენდა, ვინ ილაშქრებდა დარიშხანის ქარხნის ხოტეურას ხეობაში, დიახ, ხოტეურას ხეობაში, აშენების წინააღმდეგ. ეს პიროვნება გახლდათ გეოლოგიური სამმართველოს ყოფილი უფროსი, ამჟამად პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგია-მინერალოგიის კათედრის გამგე ვალერიან კობახიძე, უპატიოსნესი პიროვნება და მეცნიერი, ჭეშმარიტი მამულიშვილი!

არჩილ გორდელს იოტისოდენა ეჭვიც აღარ ეპარებოდა, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ გორდაძე სწორედ დარიშხანის ქარხნის აშენების თაობაზე იბარებდა.

მას შეეძლო გონებაში მხოლოდ გვარი, უკიდურეს შემთხვევაში სახელი და გვარი ეთქვა ვლადიმერ გორდაძისა, მაგრამ რატომღაც სიამოვნებდა მისი ტიტულის მთლიანად წარმოთქმა — „მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე...“

ქუჩიდან შემომავალი ხმაური ფიქრის საშუალებას არ აძლევდა. წამოდგა, ფანჯარა დაკეტა და ვენტილატორი ჩართო. არც მისი ზუილი იწვევდა სასიამოვნო განცდებს, თუმცა ქუჩიდან შემოჭრილი ტრანსპორტის ხრჭიალს მაინც სჯობდა. კვლავ სავარძელს დაუბრუნდა. საზურგეზე გადაწოლილს განუყრელი ჩიბუხი მარჯვენა ხელში ეჭირა, ჩვეულებისამებრ, როცა ფიქრობდა, თვალები ყოველთვის დახუჭული ჰქონდა. გონებაში უამრავი აზრი ებადებოდა. ისინი ერთმანეთში ირეოდნენ, იხლართებოდნენ, ერთმანეთს ანადგურებდნენ. საბოლოოდ კი ამ ელვისებურ შეხლა-შემოხლაში მხოლოდ რამდენიმეღა დარჩა ცოცხალი. ამ ცოცხლად გადარჩენილი აზრებისგან არჩილ გორდელმა ერთი მთლიანი და არცთუ ულოგიკო მოსაზრება ჩამოაყალიბა.

„ადვილი მისახვედრია, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რატომაც დაინტერესდა ჩემი აზრით. დარიშხანის ქარხნის ხოტეურას ხეობაში აგებისათვის კარგა ხანია იბრძვის გეოლოგიური სამმართველოს უფროსი ოთარ ჩიმაკაძე. თავისი ანკარა წყლებით ცნობილ ხეობაში ქარხნის აგების წინააღმდეგია სამმართველოს ყოფილი უფროსი და ამჟამად პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგია-მინერალოგიის კათედრის გამგე, პროფესორი ვალერიან კობახიძე. ჩემი მოსაზრება იმდენად არის საინტერესო და ავტორიტეტულიც („ავტორიტეტულის“ გონებაში წარმოთქმისას არჩილ გორდელს საოცრად სასიამოვნო გრძნობა დაეუფლა), რომ ვალერიან კობახიძის შემდეგ გეოლოგთა შორის მე ვითვლები ეკოლოგიის ყველაზე კარგ მცოდნედ. მე, ბუნებრივია, უნდა დავიჭირო ჩემი სამმართველოს მხარე. ჩემმა მოსაზრებამ უნდა გაანეიტრალოს პროფესორ ვალერიან კობახიძის ეკოლოგიური პოზიცია. ყველაფერი გასაგებია და ნათელი, მაგრამ თუ ტყუის ჩვენი სამმართველო? თუ ბატონი ოთარ ჩიმაკაძე ქარხნის ასაშენებელი ადგილის შერჩევისას მხოლოდ ეკონომიკური მოსაზრებებით მოქმედებდა და არად დაგიდევდა ეკოლოგიურ მხარეს?! მაშინ რა ვქნა, ვისი მხარე დავიჭირო?“

არჩილ გორდელს გული შეეკუმშა. მიეხვდი, უფსკრულზე გადებული ბეწვის ხიდი ჰქონდა გასავლელი. სჯეროდა, სამმართველოს უფროსი სტყუოდა. ისიც კარგად იცოდა, ვალერიან კობახიძე უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ არ გაჯიქდებოდა.

„ვალერიან კობახიძე!“

„ვალერიან კობახიძე!“

5

დიპლომის დაცვის შემდეგ ვალერიან კობახიძემ არჩილს ხელით ანიშნა, ჩემთან მოდიო. ახალგაზრდა დიპლომანტი ჯერაც ვერ გამოსულიყო მღელვარების ბურანისაგან. ერთს კი მიხვდა, დიპლომი ძალზე კარგად დაიცვა, კარ-

გად და ეფექტურად! დიახ, თუნდაც ძალზე მაღალი ღირსების მქონე მეცნიერულ ნაშრომსაც ეფექტური მიტანა უნდა სახელმწიფო კომისიამდე..

— ყმაწვილო, დაცვის დამთავრებამდე დამელოდეთ!

არჩილ გორდელს რაღაც უცნაური გრძნობა დაეუფლა. ერთს კი მიხვდა, ძალზე სასიამოვნო და სანეტარო იყო ეს გრძნობა. აუდიტორიიდან აღარ გასულა, სულ უკანა რიგში დაჯდა და ხალხით გაჭედილ უზარმაზარ აუდიტორიას გამარჯვებულის მზერა მოავლო. მიხვდა, ვალერიან კობახიძე ტყუილად არაფერს ეტყოდა. სიხარულით გაბრუებული მომდევნო დიპლომანტის ლაპარაკს თითქოს ყურს უგდებდა, მაგრამ არაფერი ესმოდა. მის გონებაში სულ სხვა აზრები ბრუნავდა.

„ვაჯობე თუ არა ნოდარ ქედიშვილს? ვაჯობე თუ არა მომავალ ასპირანტს? რასაკვირველია, ვაჯობე. აბა რატომ მას არ დაუძახა ვალერიან კობახიძემ?! გეოლოგიური სამმართველოს უფროსმა ხომ არ იცის, მას რომ ასპირანტის ადგილს უხსნიან?!“

სახელმწიფო კომისიაც, დაფასთან მოსაუბრე დიპლომანტიც თითქოს რძისფერ ნისლში იყვნენ გახვეულნი, თვითონ კი სადღაც ზემოთ, ამ ნისლის მიღმა მიცურავდა.

„ნეტავ, რატომ დამიძახა ვალერიან კობახიძემ?“ — კვლავ დაეშვა იგი აუდიტორიაში და თვალი გეოლოგიური სამმართველოს უფროსს მიაპყრო.

„შემომხედავს? დავიჯერო, ერთხელაც არ შემომხედავს?!“

ვალერიან კობახიძე საქმეში იყო ჩართული და აზრადაც არ მოსვლია, არჩილ გორდელისაკენ გამოხედვა.

„მე დამიძახა, ნოდარ ქედიშვილს კი არაფერი უთხრა. არა, ქედიშვილის დიპლომი ნამდვილად კარგი იყო. მეცნიერული ნაწილი იქნებ სჯობდა კიდეც ჩემსას. ვითომ სჯობდა? მაშინ, თუკი სჯობდა, რატომ მას არ დაუძახა? ალბათ ჩემი დიპლომის ეკოლოგიური ნაწილი მოეწონა. ახლაღადა გაახსენდა, სწორედ ამ ნაწილის გაშუქებისას მესაუბრა ვალერიან კობახიძემ ორი შეკითხვა.

„როგორ ვუპასუხე?“ — ვერც გეოლოგიური სამმართველოს უფროსის შეკითხვები გაიხსენა და ვერც ის, როგორ უპასუხა. ოღონდ ვალერიან კობახიძის კმაყოფილებით სავსე სახე თვალწინ მთელი სიცხადით წარმოუდგა.

„მაინც რა მკითხა?! — დაატანა ტვინს ძალა არჩილმა, — ჰო, როგორ გადამვარდა გულიდან, ღია კარიერების დამუშავების ტექნოლოგია და ბუნების დაცვა“.

უმალვე ისიც გაახსენდა, რა უპასუხა. მთელი პასუხი გონებაში სხაპასხუპით გაიმეორა.

უცებ არჩილს თავზარი დაეცა. ვალერიან კობახიძემ საათს დახედა, შეშფოთებული ფეხზე წამოდგა, სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს რაღაც გადაულაპარაკა და გასასვლელისაკენ გაემართა.

არჩილ გორდელს ძარღვებში სისხლი გაეყინა. ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს გულში შემავალი ძარღვები ყინულის ლოლუებივით დაიმსხვრა და გული სადღაც შორს, შორს, შავ ჯურღმულში ჩაექანა.

გავლის წინ ვალერიან კობახიძემ არჩილისაკენ გაიხედა და ანიშნა, გამომყევიო. არჩილი მერხიდან წამოიჭრა და კარისაკენ გაემართა.

„თვალით რა სწრაფად მომნახა. მას ხომ ჩემსკენ ერთხელაც არ გამოუხედავს?! — უკვირდა მღელვარებისაგან აცახცახებულ ჭაბუკს, — ალბათ უკანა რიგისაკენ რომ გავემართე, სხვებივით ბატონმა ვალერიანმაც გამომაყოლა თვალი და დაიმახსოვრა, სად დავჯექი“.

კარი ჯიქურ გამოაღო და დერეფანში გაიჭრა. ვალერიან კობახიძე იქვე ელოდებოდა.

— რა იყო, ბიჭო, რამ დაგაფეთა! — გაუღიმა ვალერიანმა.

არჩილ გორდელი შეცბა, ვერაფერი

უპასუხა. აღელვებულს სახეზე მხოლოდ რაღაც უმწეო, არაფრისმთქმელი გრიმასი გამოეხატა.

— ხვალ თორმეტ საათზე გეოლოგიურ სამმართველოში გელოდები.

გორდელმა მადლობის თქმაც ვერ მოასწრო, ვალერიან კობახიძე ისე სწრაფად შეტრიალდა და წავიდა.

— რა გითხრა? — შემოესივნენ არჩილს დერეფანში სიგარეტის მოსაწევად გამოსული ამხანაგები.

— გეოლოგიურ სამმართველოში დამიბარა! — ისე, სხვათა შორის თქვა არჩილ გორდელმა. თან უდარდელი სახე მიიღო, შეეცადა მღელვარება მოეთოკა და მძიმედ აღარ ესუნთქა. არ უნდოდა თანაკურსელებს ეგრძნოთ, რომ საშინლად ღელავდა.

— მაინც რა მინდაო?

— არაფერი უთქვამს! — არ მოეწონა ამხანაგის ინტონაცია არჩილს და გამხდარ, სათვალიან თანაკურსელს გამომცდელად შეხედა.

— ადრე იცნობდი? — ჰკითხა ერთმა არჩილს და თვალებში გამომცდელად ჩახედა.

„ნუთუ ესეც ჩვენს კურსზე სწავლობდა? — გაუკვირდა არჩილს, — ნეტავ, რომელ ჯგუფში იყო, აქამდე რომ არ შემიმჩნევია?!

— ადრე იცნობდი? — გაუმეორა თანაკურსელმა კითხვა.

— „არა, ნამდვილად არ არის ჩვენი კურსელი, ალბათ, რომელიმე მეგობარს გულშემატკივრობს“

— საიდან უნდა მცნობოდა! — მიუგო გამომწვევად არჩილმა და თავის ტოლ ყმაწვილს თვალებში ჩახედა.

— რატომ ბრაზობ?! მით უკეთესი, თუ არ გიცნობდა! ესე იგი, მოეწონა შენი დიპლომი.

— რატომაც არ უნდა მოსწონებოდა?! — გაიღიმა ერთმა მსუქანმა თანაკურსელმა, ძალზე კეთილი თვალები რომ ჰქონდა.

— აბა, დაგიწყია კარგი სამსახური განაწილების გარეშე! — თქვა ისევ გამხდარმა, სათვალიანმა ბიჭმა. — ვალერიან კობახიძე ტყუილად არავის დიბარებს!

პასუხად არჩილმა გაიცინა და ისევ აუდიტორიაში შესვლა გადაწყვიტა. ახლა აღარსად ეჩქარებოდა. უზარმაზარი ტვირთი უკვე მოხსნილი ჰქონდა და საოცარ სიმსუბუქეს გრძნობდა. თან გამარჯვებით ატაცებულს თავი უბედნიერეს ადამიანად მიაჩნდა. კურსზე მის გარდა ხუთი ან ექვსი კაცი კიდევ დაიმსახურებდა წითელ დიპლომს. თავისთავად წითელი დიპლომი არ იყო მთავარი. სადიპლომო ნაშრომის მაღალი დონე და მისი ეფექტური დაცვა არჩილ გორდელს გამორჩეულს ხდიდა გამორჩეულთა შორის.

„რასაკვირველია, ნოდარ ქედიშვილთან ერთად“, — საიდანღაც წამოფრინდა ეს ფრაზა და გული წამიერად შეეკუმშა.

აუდიტორიის კარი ფრთხილად შეაღო. საგამოცდო კომისიის წევრებს უხმოდ, ღიმილით მოუბოდიშა და ფეხაკრეფით ძველი ადგილისაკენ გაემართა.

მერხზე რომ ჩამოჯდა, მაშინღა გაახსენდა, რომ შინ არ დაურეკია. ისევ წამოდგომა და აუდიტორიიდან გასვლა ძალზე უხერხულად ეჩვენა. თავისი წინდახედულობის ფასი ახლა უკეთ შეიგრძნო. რატომ ვანერვიულო დედაჩემიო, გაიფიქრა ამ ორი დღის წინ და არ უთქვია, დიპლომის დაცვა რომელ რიცხვში ჰქონდა დანიშნული. დედას ამ დილით გაუმეორა, დღეს ჩვენი ბიჭების დაცვას უნდა დავესწრო, ჩემი რიგი ხვალ ან ზეგ მაინც დადგებაო.

5

— დედაჩემი, რასაკვირველია, ელოდა რომ დიპლომს წარმატებით დავიცავდი. მაგრამ საგამოცდო კომისიის წევრს, გეოლოგიის სამმართველოს უფ-

როსს თუ ასე მოვეწონებოდი, ალბათ, ალბათ კი არა, ნამდვილად არ ელოდა. თუმცა მე კი ველოდი?! მეორე დღეს, გეოლოგიის სამმართველოში წასასვლელად რომ ვემზადებოდი, ნამდვილად ვინანე, რატომ ავჩქარდი, დედაჩემს მიწვევის ამბავი რატომ ვუთხარი-მეთქი. არაფერს ამბობდა, მაგრამ ვატყობდი, რომ ღელავდა.

ძალიანაც ვეცადე, მაგრამ თავი ვერ მოვთოკე, განა არ ვიფიქრე, მოდი, დედაჩემს ჯერ ნურაფერს ვეტყვი, დაველოდები, რას მიპირებს გეოლოგიის სამმართველოს უფროსი და მერე გავახარებ-მეთქი, თუკი, რასაკვირველია, რაიმე წინადადებას შემომთავაზებდა. ვერ მოვითმინე. სიხარული იშვიათი რამ გახლდათ ჩვენს გატანჯულ ოჯახში და რა მოხდა, თუ პირველი სიხარულით ატაცებულმა თავი ვერ მოვთოკე, ნერვები ვერ დავიმორჩილე და დედაჩემს ყველაფერი შორიდანვე ვახარე.

საათი თითქოს გაჩერდა, ისრები ადგილიდან არ იძვროდნენ. არადა, ერთი სული მქონდა, გეოლოგიის სამმართველოში როდის წავიდოდი.

დედაჩემი გარეგნულად მშვიდად იყო, შარვალს ჩვეულებისამებრ, დინჯად, აუჩქარებლად მიუთოვებდა და ხმას არ იღებდა. თუმცა აშკარად ვატყობდი, რომ ძალზე ღელავდა.

— დედა, ნუ გეშინია, — ხაზგასმული უდარდელობით და ღიმილით ვუთხარი მე, — ყველაფერი ისე იქნება, შენ რომ გაგიხარდება.

ჩემი ჭკუით, მინდოდა, დედაჩემი დამემშვიდებინა, ვითომც სულაც არ ვნერვიულობ-მეთქი. დედის თვალს კი აბა რა გამოეპარება. მწერალი ბრძანდებით და დედის, არა, მარტო დედის კი არა, საერთოდ, ადამიანის სულიერი მღელვარების ამბავი თქვენზე უკეთ ვის მოეხსენება.

— ბაბუამ რა თქვა? — ეკითხე ლუდას. ერთი სული მქონდა გამეგო, როგორ შეხვდა დიპლომის წარმატებით დაცვისა და გეოლოგიის სამმართველოში მიწვევის ამბავს. იგი ძალიან გაუხარ დაბრუნდა შინ. მე უკვე მეძინა. ლილი კი კვლავ უთენია წასულა სადღაც. დედაჩემმა განგებ არ გამაღვიძა, გრძნობდა, როგორი ნანერვიულები ვიყავი და ძილი არ დამიფრთხო. მხოლოდ ათ საათზე შემანჯღრია, შენი წასვლის დრო მოდისო. მეწყინა, რომ ბაბუა წასული დამხვდა. მაინტერესებდა, რას მეტყოდა ცხოვრებაზე საშინლად გულგატეხილი, უსიტყვო და გულჩათხრობილი მოხუცი პოლკოვნიკი. გუშინდელი დღე ხომ ომის დაწყებიდან ამდენი წლის შემდეგ პირველი სიხარულით სავსე დღე იყო ჩვენს სქელი და ნესტიანი სევდით დამძიმებულ ოჯახში.

— ძალიან გაეხარდა, მაგრამ ხომ იცი, რა სიტყვაძუნწიცაა. მოვიდა, ლოგინში გაკოცა და ოცდახუთმანეთიანი გაჩუქა.

— ოჰო! — გამეხარდა მე. მაშინდელი ოცდახუთი მანეთი, კარგად მოგეხსენებათ, დღევანდელი ორი მანეთი და ათი შაურია. მაგრამ განა არ სჯობდა თუნდაც დღევანდელ ორმოცდაათ მანეთს? დედას ჩემი უკვე დაცვეთილი, გეოლოგის სამხრეებიანი კოსტუმი საგანგებოდ გაეწმინდა და გაეუთოვებინა. გეოლოგის ფორმის შესაფერის თეთრ პერანგზე შავი ჰალსტუხი გავიკეთე, თერთმეტი საათისათვის საბოლოოდ გამოწყობილი და გამზადებული ვიყავი წასასვლელად. ჩემი სახლიდან გეოლოგიის სამმართველომდე მისვლას ბევრი-ბევრი ოცდახუთი წუთი ან ნახევარი საათი დასჭირდებოდა. დარჩებოდა კიდევ ნახევარი საათი. აი, ეს ნახევარი საათი იყო ძნელი გასაყვანი. საქმეც აღარაფერი მქონდა.

— დედა, წავალ, გზას ფეხით გავუყვები. სჯობია, ცოტა აღრე მივიდე, ვიდრე დამაგვიანდეს.

დედამ თანხმობის ნიშნად გამიღიმა და ჩემს საბურავისძირებიან შავ ბათინკებს დახედა.

— ყოჩაღ! რა კარგად აგიპრიალებია! — ახლაღა შევნიშნე საგანგებოდ გაწმენდილი ფეხსაცმელები. დედას ლოყაზე ვაკოცე.

ქუჩაში გამოსვლა მესიამოვნა. შვებით ამოვისუნთქე. ოჯახურ მოფუთფუთე სიტუაციასა და დედაჩემის მღელვარებით სავსე გამოხედვას, როგორც იქნა, თავი დავაღწიე.

მიედიოდი და ვცდილობდი, ვალერიან კობახიძესთან შეხვედრაზე აღარ მეფიქრა. თან ჯიბეში ოცდახუთმანეთიანს თითებით ვეალერსებოდი. თორმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა, სამმართველოში რომ მივედი. შენობაში არ შევსულვარ. იქვე, შორიახლოს მოვიკრუნჩხე, თვალში რომ არავის მოვხვედროდი. დარჩენილი თხუთმეტი წუთი უსასრულოდ გაიწელა. მღელვარებამ თანდათან დამრია ხელი. ხუთი წუთი რომ დარჩა, სამმართველოს ფართო, გრანიტით მოპირკეთებულ სადარბაზოსთან მივედი და კიბეებს ნელა ავუყევი. აღარც კი მახსოვს ვის ვკითხე, მმართველის კაბინეტი სად არისმეთქი. მესამე სართულზე მძიმე, ჩუქურთმებიანი კარი ფრთხილად შევაღე და მოსაცდელში შევედი.

მდივანი რაცაღას ბეჭდავდა. კარის მიჯახუნების ხმაზე გამოერკვა და კითხვის ნიშნით შემომხედა, ბატონმა ვალერიანმა დამიბარა-მეთქი, ძლივს ამოვღერღე. ქალი კვლავ თავის სამუშაოს მიუბრუნდა. მოსაცდელი ოთახი დაკვირვებით მოვათვალიერე. ცოტა გონს რომ მოვედი, კედელთან ჩამწკრივებული სკამები შევნიშნე. ვგრძნობდი, უხერხულად ვიდექი. დაჯდომაც ვერ გამებედა. ბედად, ზარის წკრიალი გაისმა. შესასვლელი კარის თავზე უზარმაზარი საათის ისრები უკვე თორმეტს აჩვენებდა. რატომღაც მაინც ჩემს საათს დავხედე. სუნთქვა შემეკრა. ალბათ ძალზე საცოდავი თვალები გავაყოლე მმართველის კაბინეტისაკენ მიმავალ მდივან ქალს. ეტყობა, ჩემი ყურადღება უმალვე მიიქცია მისმა მაღალმა, ლამაზმა ფეხებმა. უნდა დამიჯეროთ, იმ წუთში არც კი მიგრძვნია, ბატონი ვალერიანის მდივანი ქალის ფეხები თუ მომეწონა. რატომღაც, სამი დღის შემდეგ, როცა ჩემს გონებაში ყველაფერი მოწესრიგდა და თავის ადგილზე დადგა, მხოლოდ მაშინ გამახსენდა მისი მაღალი, ლამაზი ფეხები. საოცარია არა? თუმცა თქვენ მწერალი ბრძანდებით და ამნაირი ფსიქოლოგიური ნიუანსებით რას გაგაკვირვებთ! (პაუზა, ღრმა ნაფაზი). გამოაღო თუ არა მდივანმა ქალმა მუხის მძიმე ჩუქურთმიანი კარი, უმალვე მომესმა კობახიძის ხმა, მგონი, მანდ ყმაწვილი მელოდებაო. მდივანი ქალი შემომიბრუნდა და უხმოდ მანიშნა, შედიო. ვგრძნობდი, ფეხები აღარ მემორჩილებოდა. თითქოს წებოში ვიდექი და საგულდაგულოდ ვცდილობდი, სქელი, შავი წებოდან ფეხები ამომეგლიჯა. გული ისე მიცემდა, შემეშინდა, მისი დაგა-დუგი დიდი კაბინეტის ბოლოში მძიმე, დიდ საწერ მაგიდასთან მჯდომ მმართველს არ გაეგონა. გასაგები სიტუაციაა, არა, პატივცემულო მწერალო! რომ გითხრათ, თამამად შევედიმეთქი, დამიჯერებთ? განა ცოტანი არიან ისეთი თავხედები, მსგავს წუთებში ერთი ძარღვიც რომ არ აუტოკდებათ და უტიფრად რომ შეაბიჯებენ ნებისმიერ პიროვნებასთან, რაოდენ დიდი და საპატივცემულოც არ უნდა იყოს ეგი?! აბა მე, ცხოვრებისაგან სასტიკად დაჩაგრულ, თანაც ჩემი მოკრძალებული ბუნების ახალგაზრდა კაცს, მღელვარება როგორ არ შემიპყრობდა, როცა სულ რამდენიმე წუთში, მმართველის კაბინეტში ჩემი ბედი უნდა გადაწყვეტილიყო.

— ხომ არ ღელავთ, ყმაწვილო? — მითხრა შორიდანვე ღიმილით ვალერიან კობახიძემ, ფეხზე წამოდგა, შემომეგება და ხელი ენერგიულად ჩამომართვა, — აგერ, ამ სკამზე დაბრძანდით.

გეოლოგიის სამმართველოს უფროსი პირველად ვნახე სამთო საქმის გე-

ნერლის ფორმაში. პირველად ვნახე-მეთქი, რომ ვამბობ, თვითონვე მეცინება, სიტყვა „პირველად“ იმ წუთში ამეკვიატა გონებაში, თვითონ წარმოიდგინეთ, რამდენად უადგილო იყო ეს სიტყვა. მე ხომ გეოლოგიური სამმართველოს უფროსს ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ მეორედ ვხედავდი.

სკამზე ჩამოვჯექი. თვითონვე ვგრძნობდი, ვალერიან კობახიძეს მონუსხული მივჩერებოდი.

— თქვენს დიპლომს რომ გავეცანი...

ტელეფონის ზარმა გაწყვიტა ჩვენი, უფრო სწორად, მისი საუბარი.

— დიახ, გისმენთ.

არ მახსოვს, იმ წუთში ვერ შევიგრძენი და ვერც მერე აღვიდგინე გონებაში, მოლოდინისაგან გატანჯულს, მგონი, ხმამაღალი ოხვრა აღმომხდა.

— ხვალ და ზეგ არ მცალია, დიპლომების დაცვას უნდა დავესწრო, კომისიის წევრი ვარ. საღამოს? საღამოს კი, ბატონო! — ვალერიან კობახიძემ კუთხეში მიდგმულ ძველებურ მძიმე საათს გახედა, — საღამოს შვიდი საათიდან შემიძლია. კარგი და პატიოსანი!

სანამ ბატონი ვალერიანი ტელეფონით ლაპარაკობდა, ჩემს გულში ნამდვილი ცეცხლი ტრიალებდა, თან იმ კაცს ვლანძღავდი, ვინც რეკავდა, თან თითქოს შვებაც ვიგრძენი, გარემოს შევეჩვიე, ნერვიულობამ თითქმის გამიარა. კაბინეტიც მოვათვალიერე. მე ხომ პირველად ვიყავი დიდი კაცის კაბინეტში. მაშინ ჩემთვის გეოლოგიური სამმართველოს უფროსი და სამთო საქმის გენერალი უჩვეულოდ დიდი პიროვნება გახლდათ. ყველაზე უფრო მაინც ტელეფონის ხუთმა აპარატმა გამაოცა, გვერდით პატარა მაგიდაზე რომ იყო განლაგებული. მაშინ, მართალია, ჩემზე უმცროსი ბრძანდებით, მაგრამ გემახსოვრებათ, რომ ტელეფონი მხოლოდ მნიშვნელოვანი თანამდებობის პირებსა და ელიტარულ საზოგადოებას ჰქონდა ოჯახებში. ჩვენი ტელეფონიც ჩემი გვარდიის პოლკოვნიკი ბაბუას წყალობა იყო. სხვანაირად თვით ისეთ ნიჭიერ მეცნიერსაც კი, მამაჩემი რომ იყო, ტელეფონს არავინ დაუდგამდა. ბუნებრივია, ერთი ტელეფონი არ გამიკვირდებოდა ამოდენა თანამდებობის პირის კაბინეტში, მაგრამ ხუთი აპარატი რატომ იდგა, ვერაფრით ვერ მივხვდი. ერთი კი უნდა გითხრათ გულახდილად. ტელეფონის ხუთმა აპარატმა გეოლოგიის სამმართველოს უფროსი კიდევ უფრო ააღლა ჩემს თვალში, გენერლის ფორმასთან ერთად კიდევ უფრო დიდ და მნიშვნელოვან პიროვნებად აქცია.

— დიახ, მე გულდასმით გავეცანი თქვენს სადიპლომო ნაშრომს, — გამომარკვია უცებ ვალერიან კობახიძის ხმამ. სამმართველოს უფროსმა ყურმილი ბერკეტზე დადო და დაკვირვებით შემომხედა. — მომეწონა თქვენი ლაპარაკის მანერაც, ლოგიკური, დახვეწილი და საქმიანი აზროვნება. სათქმელის მსმენელამდე მიტანის კარგი კულტურა, ვერ ვიტყვი, რომ ბოლო წლების მანძილზე მაგ დონის ან უკეთესი სადიპლომო ნამუშევრები არ შემხვედროდეს, მაგრამ თქვენ გქონდათ ერთი უპირატესობა, მე გამაოცა საკითხისადმი თქვენმა ფართო და მრავალმხრივმა მიდგომამ. არ დაგიმალავთ და მჯერა, ჩემი შექება თავბრუს არ დაგახვევთ. გულწრფელად გეტყვით, განცვიფრებული დავრჩი, თქვენი დიპლომის ეკოლოგიურ ნაწილს რომ გავეცანი.

— ბატონო ჩემო, მჯერა, მწერალ კაცს გეყოფათ ფანტაზია წარმოიდგინოთ, ამ სიტყვების მოსმენისას რა განწყობილება დამეუფლებოდა.

— დღეს ეკოლოგიის პრობლემებს არავინ აქცევს ყურადღებას, ამიტომაც ნადგურდება უმოწყალოდ მთელი პლანეტა. დღეს ეკოლოგიაზე საუბარი მეცნიერთა უმრავლესობას შეიძლება ძალზე შორეულ და აბსტრაქტულ ცნებად მოეჩვენოს. სრულიად საწინააღმდეგო შედეგების წინაშე კი დავდგებით, ტექნიკის განვითარების დღევანდელ ტემ-

პებს და ერთ სულ მოსახლეზე პროგრესულად მზარდ ენერგეტიკულ ხარჯებს თუ გავითვალისწინებთ. შორს აღარ არის ის დღე, როცა ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროება დადგება კაცობრიობის წინაშე, და თუ დღესვე არ გავაანალიზეთ და დღესვე არ შევიმუშავეთ აქტიური სამოქმედო სტრატეგიული გეგმა, ხვალ გვიან იქნება. თქვენ ჯერ სრულიად ყმაწვილი ხართ და დაიმახსოვრეთ, რა საშინელების წინაშე აღმოვჩნდებით სულ რაღაც ოცდახუთი, ოცდაათი წლის შემდეგ. ოცდახუთი და ოცდაათი წელიწადი შეიძლება ერთი კაცის სიცოცხლეში იყოს მნიშვნელოვანი პერიოდი, მაგრამ რაა იგი პლანეტისათვის? არაფერი, სრულიად არაფერი! მშობლები გყავთ? — მკითხა მოულოდნელად.

საუბრის თემის ასე მკვეთრ შებრუნებას არ ველოდი, და გვერდზე გავიხედე. ვიცოდი, კაბინეტში ჩემს გარდა არავინ იყო, მაგრამ ერთბაშად მაინც გავიფიქრე, შეკითხვა ჩემს გვერდით მჯდომ ვინმეს ხომ არ დაუსვამეთქი. გონს უმალვე მოვეგე.

— დიახ, მყავს! — მივუგე დაბნეულად, ალბათ მიმიხვდებით, ჯერ კიდევ გეოლოგიური სამმართველოს უფროსის ქებით ვიყავი გაბრუებული და მინდოდა ნეტარების ბურუსში ერთხანს კიდევ ვყოფილიყავი გახვეული. თანაც მივხვდი, საუბარმა ძალზე უსიამოვნო მიმართულება მიიღო.

— დაოჯახებული ხართ?

პასუხის ნიშნად უხერხულად გავიღიმე. თან გულზე მომეშვა, მშობლებზე საუბარი ამოწურულად მივიჩნიე.

— რატომ გეღიმებათ? თქვენს ასაკში მე უკვე მყავდა მეუღლე. — ვალერიან კობახიძე სავარძლის საზურგეს მიაწვა და სახეზე საზეიმო იერი დაედო. — მე მინდა, ჩემთან აგიყვანო, გეოლოგიურ სამმართველოში. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნება?

სიხარულისაგან დავიბენი. თანაც მივხვდი „საწინააღმდეკო რომ არაფერი გექნებაო", — დაცინვით კი არ უთქვამს, გულწრფელად მკითხა.

ერთხანს ხმა ვერ ამოვიღე.

— უდიდეს მადლობას მოგახსენებთ,— როგორც იქნა, წამოვიჭერი ფეხზე, — არ იფიქროთ, რომ ვყოყმანობდი და თქვენს შემოთავაზებულ წინადადებას გონებაში ვწონიდი. უბრალოდ, სიხარულისაგან დავიბენი. გთხოვთ, მაპატიოთ!

— ძალიან კარგი, ძირითად პუნქტში უკვე შევთანხმდით, — გამიღიმა ბატონმა ვალერიანმა, — ახლა ზოგიერთი ჩემი მოთხოვნა და პრინციპი მინდა გაგაცნოთ. მე ვეკუთვნი იმ ადამიანების რიცხვს, თანამშრომლებში დისციპლინასა და პროფესიონალიზმს რომ აფასებენ. არიან კარგი პროფესიონალები, თავისი საქმის ჭეშმარიტი დიდოსტატები, მაგრამ უდისციპლინონი და უზნეონი. პირიქითაც ხდება, ყმაწვილო, პირიქითაც! არიან ძალზე წესიერი, კეთილსინდისიერი ადამიანები, მაგრამ გონებაშეზღუდულნი და უუნარონი. მე მჯერა, რომ თქვენში ეს ორივე თვისება ჰარმონიულად იქნება შერწყმული. ინტუიციას ჩემთვის არასდროს უღალატნია. მჯერა, არც ამჯერად მიღალატებს. დაბრუნდით!

— უდიდეს მადლობას მოგახსენებთ, ბატონო ვალერიან!

— დაბრძანდით, დაბრძანდით. მადლობას სხვა დროსაც მოასწრებთ. მინდა გჯეროდეთ, არცერთი ნიჭიერი კაცი, ვინც კი შემხვედრია, უყურადღებოდ არ დამიტოვებია. ასე რომ, თქვენ არ ხართ გამონაკლისი. დაბრძანდით.

— ბატონო ვალერიან! — ეტყობა, ყელიდან საშინელი ხმა აღმომხდა. ვალერიან კობახიძე შეკრთა და გაოცებულმა შემომხედა.

— მე პარტიის წევრი არ გახლავართ, ბატონო ვალერიან!

სამმართველოს უფროსს გულზე მოეშვა, ხმამაღლა გაიცინა და წინ გადმოიხარა.

— სტუდენტებს იშვიათად იღებენ პარტიაში. ეგ არაფერია. ექვსი თვის შემდეგ თქვენც დაგაწერინებთ განცხადებას.

— არა, ბატონო ვალერიან, მე სულ სხვა რამის გამო მინდა გესაუბროთ. თქვენ ისე თბილად შემხვდით, არ შემიძლია, რამე დაგიმალოთ. მინდა, ჩემს ირგვლივ სრული სიმართლე იცოდეთ. ინსტიტუტში შემომთავაზეს კიდეც პარტიაში მიღება. ბუნებრივია, სიხარულით დავწერე განცხადება. კომკავშირის რაიკომშიც მომცეს რეკომენდაცია. მაგრამ...

— რა, მაგრამ? — შეშფოთდა სამმართველოს უფროსი.

— სულ ბოლო წუთში უარი მითხრეს პარტიაში მიღებაზე.

— მიზეზი? — გაფითრდა ბატონი ვალერიანი.

„ყველაფერი დამთავრდა, ყველაფერი დამთავრდა!" — დავასკვენი გონებაში და, თქვენ წარმოიდგინეთ, საოცრად დავშვიდდი. რა იყო ეს? მაღალ ძაბვაში ჩართული იქნებ ერთბაშად გამომრთეს?! იქნებ საბოლოოდ შეეგუე ბედს, რომ საშველი აღარასდროს დამადგებოდა? იქნებ ზუსტად ასეთი ან მსგავსი გრძნობა ეუფლება იმ კაცს, კაზინოში რომ უკანასკნელი გროში წააგო და უბედობას, უიღბლობას შეგუებული სამუდამოდ ტოვებს იქაურობას?!

— მამაჩემი პატიმარი გახლავთ, ბატონო მიხეილ, პოლიტიკური პატიმარი.

— პოლიტიკური?!

გეოლოგიის სამმართველოს უფროსის კაბინეტი თითქოს გამოქვაბულს დაემსგავსა. სადღაც შორს, შორს, გამოქვაბულის სიღრმეში იჯდა ვალერიან კობახიძე, საიდანღაც ჩამოპარული მკრთალი შუქი მის სახეს ოდნავ ანათებდა. ხმაც გაურკვევლად მესმოდა და ექოს მსგავსად შორს, შორს იკარგებოდა.

„პოლიტიკური".

„პოლიტიკური".

„პოლიტიკური".

— განაგრძეთ! — ჩამესმა ვალერიან კობახიძის ხმა.

გამოქვაბულიდან ისევ სამმართველოს უფროსის კაბინეტში აღმოვჩნდი.

— მამაჩემი თავისი თაობისათვის საკმაოდ ცნობილი ფიზიკოსი გახლდათ. უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. ამავე დროს ექსპერიმენტატორის დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ომში მოხალისედ წავიდა. პირველსავე წელს შეწყდა წერილები. გვეგონა, დაიღუპა. ძალიან გვიან გავიგეთ, რომ ტყვედ ჩავარდნილა. ომის დამთავრების შემდეგ, ტყვეობიდან განთავისუფლებული შინ რომ ბრუნდებოდა, დაუჭერიათ და გადაუსახლებიათ. ჩვენ არაფერი ვიცოდით. ბაბუაჩემი გვარდიის პოლკოვნიკი გახლავთ. იგი ფინეთის ომის მონაწილეა და ორი ორდენიცა აქვს მიღებული. მასაც კი არაფერი აცნობეს. პარტიაში მიღებაზე უარი რომ მითხრეს, პირველად მაშინ ჩამესახა იმედი... მივხვდი, მამაჩემი ცოცხალი იყო... უფრო სწორად, სხვებმა მიმახვედრეს...

ბატონი ვალერიანი ფეხზე წამოდგა. მე დამნაშავესავით თავი ჩავღუნე.

— ბარემ ბებიაჩემის ამბავსაც მოგახსენებთ. მისი ძმა, პოლონეთში მუშაობდა. იგი მეორე ძმასთან ერთად სამშობლოს ღალატისათვის დახვრიტეს, ხოლო ბებიაჩემი ციმბირში გადაასახლეს.

სამმართველოს უფროსი ფანჯარასთან მივიდა. თვალი გავაყოლე. იგი ფანჯარაში იცქირებოდა და რაღაცას ფიქრობდა. როგორ მინდოდა ამ წუთში მისი გამომეტყველება დამენახა. უცებ შემობრუნდა და კვლავ მაგიდისკენ წამოვიდა.

მე კვლავ იატაკს დავაჩერდი. დავაჩერდი, მაგრამ ვერაფერს ვხედავდი. მხოლოდ ბატონი ვალერიანის ნაბიჯების ხმა მესმოდა. ასე მეგონა, ჩემი ტვინის ხვეულებში დააბიჯებდა. უცებ ნაბიჯების ხმა შეწყდა. ვერ მოვითმინე და თავი ავწიე. რომელიღაც ამოვარდნილი პარ-

კეტისათვის ფეხი დაეჭირა და მის იატაკში ჩაჭედვას ცდილობდა, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს სამმართველოს უფროსმა ფეხი ჩემი ტვინის რომელიღაც უჯრედს დააჭირა.

უცებ ტელეფონმა დარეკა. ამ ფანტასმაგორიულ სიტუაციაში ვერ წარმოიდგენთ, რა ანაქრონიზმად მეჩვენა ტელეფონის ზარის ხმა. ბატონი ვალერიანი სავარძელში ჩაჯდა, მაგრამ ტელეფონისაკენ არც გაუხედავს. ნიკაპით ხელებზე დაყრდნობილი მოპირდაპირე კედელს ჯიუტად მისჩერებოდა.

„დაიღუპა, ყველაფერი დაიღუპა", — ჩემს გონებაში მოულოდნელად ისევ დატრიალდა სამსიტყვიანი ფრაზა .

„დედაჩემს რა ვუთხრა? დედაჩემს რა ვუთხრა?" — საიდანღაც გამოტყვრა მეორე ფრაზაც.

გამოსავალი იმავე წუთში მოვნახე, თუკი შეიძლებოდა მისთვის გამოსავალი დამერქმია.

„დედაჩემს არც ვუამბობ, ვალერიან კობახიძის კაბინეტში რა დიალოგიც გაიმართა. უბრალოდ, ვეტყვი, რომ დიპლომში რაღაც უმნიშვნელო შეცდომები შემისწორა-მეთქი, ან რაღაც ამგვარი. მორჩა და გათავდა. ერთი სული მქონდა, ვალერიან კობახიძეს საუბარი მოემთავრებინა, ყურადღებისთვის დიდი მადლობა გადამეხადა და სამმართველოს უფროსის კაბინეტი სრულიად დამშვიდებულს დამეტოვებინა.

გავიდა კიდევ რამდენიმე წამი, მე რომ საუკუნედ მეჩვენებოდა.

უცებ ვალერიან კობახიძემ სავარძელი მაგიდასთან მიაჩოჩა და თვალებში შემხედა.

— ეგ ამბავი ძალიან ართულებს საქმეს, ძალიან! მე რომ უბრალო თანამდებობაზე გნიშნავდე, მაშინ საფიქრალი და საყოყმანო არაფერი გვექნებოდა. მე ხომ ჩემი რეფერენტის თანამდებობა მინდა შემოგთავაზო. არაფერია, არაფერი... ჩემი სიტყვა ძალაში რჩება. დღესვე გავგზავნი ინსტიტუტში მოთხოვნას თქვენი ჩემს სამმართველოში განაწილების თაობაზე. ახლა კი წადი ბრძანდით. მომწონს და მისაბაძია თქვენი პატიოსნება. ოღონდ ყველასთან ნუ იქნებით ზედმეტად გულახდილი. არ დაგავიწყდეთ, ქვეყანა ჭრელია...

მწერალი კაცი იოლად ვიმიხვდებით, რა გრძნობაც დამეუფლებოდა. გინდა დამიჯერეთ და გინდა ნუ დამიჯერებთ. მას შემდეგ რამდენი წელი გავიდა, მაგრამ ვერაფრით ვერ გავიხსენე, მადლობა როგორ გადავუხადე, კაბინეტიდან როგორ გამოვედი, კიბეები როგორ ჩავირბინე და, საერთოდ, შინ როგორ აღმოვჩნდი! (მცირე პაუზა) ლაპარაკად ვიქეცი და კონიაკი სულ დაგვავიწყდა, სიკეთეს გაუმარჯოს ქვეყანაზე! (კვლავ მცირე პაუზა, ცეცხლი, ჩიბუხი).

— წლების მანძილზე ვალერიან კობახიძე იყო ჩემი ღმერთი, ჩემი სათაყვანო ადამიანი. მთელ ნაცნობ-მეგობრებში, საზოგადოებაში ერთადერთი კაცი, გულთან რომ მიიტანა ჩემი სატკივარი, სამმართველოს უფროსი არ მოერიდა მოსალოდნელ უსიამოვნებას და მამაშვილურად გამომიწოდა ძლიერი ხელი. მახსოვს, ფიცი როგორ დავდე, მთელი ჩემი ცხოვრება ბატონი ვალერიანისათვის მიმებაძა. მისებრ გულკეთილი, ძლიერი და პატიოსანი ადამიანი ვყოფილიყავი (პაუზა. ირონიული თუ სევდიანი ჩაცინება). აბა მაშინ, გულუბრყვილო, დაჩაგრული და უცებ, მისდაუნებურად, ვალერიან კობახიძის მიერ გახარებული, ცაში აფაცებული ყმაწვილი რას წარმოვიდგენდი, რომ გაივლიდა ოცდაორი წელი და მე შეტაკება მომიწევდა უკვე კათედრის გამგესთან, პროფესორ ვალერიან კობახიძესთან. თანაც, ყველაზე პარადოქსული ის იყო, რომ შეტაკება მოგვიწევდა სწორედ ეკოლოგიის საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6

არჩილ გორდელმა საქმეს გული ვეღარ დაუდო. იცოდა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან თორმეტი საათისთვის გამოიძახებდნენ, მაგრამ მოსალოდნელი საუბრის თემამ აფორიაქა.

მიხვდა, მის ცხოვრებაში დადგა ყველაზე საპასუხისმგებლო დღე. ან უნდა დაეცვა თავისი სამმართველოსა და მისი უფროსის მცდარი პოზიცია და შეენარჩუნებინა პირადი კეთილდღეობა, ან უნდა დაეცვა სიმართლე და საფრთხის ქვეშ დაეყენებინა არამარტო მომავალი კარიერა, არამედ ისიც, რისთვისაც დღემდე მიელწია.

არჩილ გორდელმა ჩიბუხი დინჯად მოქაჩა, წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა.

„და თუ მართალი არ არის სამმართველო, მაშინ როგორ უნდა მოვიქცე?“

გეოლოგებში მას უკვე კარგი სპეციალისტისა და კიდევ უფრო კარგი ორგანიზატორის სახელი ჰქონდა მოპოვებული. არჩილ გორდელი გრძნობდა, გეოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატობა და სამმართველოს თუნდაც ყველაზე დიდი და საპასუხისმგებლო განყოფილების გამგეობა მის ჭერს არ წარმოადგენდა. უფრო მეტიც. იგი ახლა, 45 წლის კაცი, ძალების მოზღვავებას რომ გრძნობდა, სჯეროდა, გეოლოგიურ სამმართველოსაც არავისზე ნაკლებად არ უხელმძღვანელებდა.

„და თუ სამმართველოს უფროსი ამ შეხლა-შემოხლაში მართალი არ არის, როგორ უნდა მოვიქცე? — უკვე მეასედ ეკითხებოდა თავის თავს. — თუ სამმართველოს უფროსს მხარს დავუჭერ, საათობით, დღეობით, წლობით ნაგროვებ ავტორიტეტს წამში დავკარგავ. სამაგიეროდ, მის და არამარტო მის კეთილგანწყობას კიდევ უფრო განვიმტკიცებ“. არჩილმა გონებაში, უკვე მერამდენედ, სწრაფად ჩამოთვალა, ვის სურდა ქარხნის აგება. რასაკვირველია, ამ ადამიანთა სიას სათავეში რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჩაუყენა.

არჩილ გორდელი უკან გამობრუნდა და ისევ საკარძელში ჩაჯდა.

„და თუ მხარს არ დავუჭერ, ხალხში, კოლეგებში კიდევ უფრო დიდ ავტორიტეტს მოვიხვეჭ, რა ვქნა, როგორ მოვიქცე?“

„გორდელმა ჩიბუხი გამოფერთხა, ჯიბეში ჩაიდო და თვალი კედელზე გაკრულ ახალ სამუშაო პროექტს გაუშტერა. თუმცა ახლა იგი ვერაფერს არ ჩევდა, ვერც პროექტსა და ვერც მის ირგვლივ გაკრულ გრაფიკულ გამოსახულებებს.

„ვთქვათ და წავედი რესპუბლიკის გეოლოგიური სამმართველოს წინააღმდეგ (დაწესებულების სახელწოდება გუნებაში განგებ თქვა მთლიანად, რომ მისი სიმძლავრე უფრო თვალსაჩინოდ წარმოედგინა). ესე იგი, დავდექი სიმართლის მხარეს — მე, უკვე აღიარებულ სპეციალისტსა და საკმაოდ დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნებას, ოთარ ჩიმაკაძემ რა უნდა დამაკლოს?!“

არჩილ გორდელმა თვალები დახუჭა და შეეცადა ქულათა თანაფარდობა ფიზიკურად რაღაც ორი აბსტრაქტული სხეულის მოცულობათა სახით განესაზღვრა.

„რასაკვირველია, მე ის კაცი არ ვარ, სამმართველოს უფროსი რომ იოლად მომერიოს. აღარც გზის გამკვალავად მჭირდება იგი. მაგრამ ვნება ხომ მაინც შეუძლია მომაყენოს? სამმართველოს უფროსს უამრავი ნაცნობ-მეგობარი ჰყავს მთავრობაში, საერთოდ, რესპუბლიკის გავლენიან წრეებში. თუ ფრთხილად არ ვიქნები, ბევრგან დამიგებს მახეს. თანაც იგი აშკარა ომს როდი დამიწყებს. გამოცდილმა მელამ მშვენივრად იცის, მართალი კაცის დაჩაგვრა სახელს მას კი არა, დაჩაგრულს მოუტანს. ჩუმად ჩამისაფრდება, ხელსაყრელ მომენტს აუჩქარებლად დაელოდება, მე შენ გეტყვი და დღევანდელ

პირობებში გაუჭირდება შესაფერისი მომენტის პოვნა!“

არჩილმა თვალი გაახილა და საათს დახედა. თორმეტის ნახევარიც არ იყო.

„დღეს მინისტრთა საბჭოში გეოლოგიური სამმართველოს უფროსის წინააღმდეგ წასვლა ომის გამოცხადებას ნიშნავს. დიახ, არ ვაჭარბებ, ომის გამოცხადებას! ომის გამოცხადება კი მშვიდი ცხოვრების დასასრულია. დღევანდელი დღიდან ყოველდღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს უნდა ველოდო საპასუხო დარტყმას. ღირს კი ამ პირობებში დონკიხოტობა?“ თანაც ისიც ხომ უნდა გავითვალისწინო, რა უნდა მთავრობას? იქნებ მთავრობისა და გეოლოგიური სამმართველოს აზრები ერთმანეთს ემთხვევა? უფრო მეტიც, იქნებ სულაც ოთარ ჩიმაკაძე მთავრობის დავალებას ასრულებს და პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს? მაშინ რაღა აზრი ექნება ჩემს გაბრძოლებასა და სიმართლისათვის თავის დადებას?!“

არჩილ გორდელი თანდათან შეიპყრო მღელვარებამ. გრძნობდა, სხეულში ვეღარ ეტეოდა და სადაც იყო, ადუღებული რძესავით გადმოიღვრებოდა.

„მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, ორმოცდახუთი წლისა. განა ბევრი ჰყავთ ჩემნაირი სპეციალისტი და ორგანიზატორი? არა, მე სიმართლე უნდა დავიცვა, სიმართლე! სხვანაირად როგორ შევხედავ თვალებში ვალერიან კობახიძეს ან ჩემს კოლეგებსა და ნაცნობ-მეგობრებს?! ბოლოს და ბოლოს, რას დამაკლებენ?! მთელი ხალხი, მთელი საზოგადოება ჩემს მხარეს დადგება! გამაგდებენ? მერე რა მოხდა. ხალხს უყვარს სიმართლისათვის დაჩაგრული პიროვნება. განა ზოგჯერ დაჩაგრული, გარიყული კაცის პოზიცია უფრო ძლიერი არაა, ვიდრე კომფორტულ კაბინეტში და რბილ სავარძელში მოკალათებული თანამდებობის პირისა? განა საზოგადოებაში სამართლიანი ბრძოლით, თუნდაც წაგებული ბრძოლით უფრო არ იხვეჭს სახელსა და პატივისცემას?! ქვეყანაზე არაფერი არ იკარგება. ხალხს ადამიანის სიკეთე არ ავიწყდება. შეიძლება დღეს დაგჩაგრონ, მაგრამ ხვალ ისეთ ნახტომს გააკეთებ, წამიერად დაფარავს წლების მანძილზე სავალ გზას. ბოლოს და ბოლოს, ჩემი რიგიც დადგა, დიდი და გადამწყვეტი სიტყვა რომ ვთქვა! განა ჩემი პრინციპულობა გმირობის ტოლფასი არ იქნება!“

განა შეიძლება, ენით აიწეროს, თვალები როგორ უბრწყინავდა თავისი ვაჟკაცობით მოხიბლულ და აღფრთოვანებულ არჩილ გორდელს?! განა ასეთი გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა, სიმართლისათვის, მამულისათვის თავდადება და ხალხისათვის თავგანწირვა, მის პირად კარიერას დასასრულს რომ უქადდა, კანონიერ უფლებას არ აძლევდა, წარსულში ფრთხილად, უფრო მეტიც, თუნდაც ლაჩრულად გადადგმული ნაბიჯები ერთხელ და სამუდამოდ გაებათილებინა!

არჩილი წამოდგა და კვლავ ფანჯარასთან მივიდა. ქუჩაში მანქანების მოძრაობის სისწრაფე თავის ფიქრთა სრბოლასთან შედარებით შენელებული კინოკადრებივით მოეჩვენა. საბოლოოდ დარწმუნდა, ჩემს ცხოვრებაში ახალი პერიოდი იწყებაო. სწორედ ახლა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოეწერა ძველი ტვირთი, ახლა უნდა გაესწორებინა წარსულთან ანგარიში!

მაინც რა მიაჩნდა ძველ ცოდვად არჩილ გორდელს? ამაზე ფიქრს გაურბოდა. ყოველდღე, თითქმის ყოველ წუთს აგონდებოდა, მაგრამ ცდილობდა ფიქრი უმალვე სხვა საგნებზე გადაეტანა. მარტო დარჩენისა ეშინოდა. ყველაზე უფრო მარტოობის დროს დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ მანანა და სოსო. მიხვდა, ამდენი წელი მხოლოდ მათ ჯიბრზე ცხოვრობდა, ყოველი წარმატება მხოლოდ მათ ჯიბრზე უხაროდა. თუმცა მისახვედრი რა იყო! უბრალოდ, თავის თავს არ უტყდებოდა. ახლა კი, ძალების მოზღვავება რომ იგ-

რძნო და ეროვნული ნაბიჯის გადასადგმელად რომ მოემზადა, აღარ შეშინებია მათზე ფიქრისა. პირიქით, ატაცებული შემობრუნდა და კაბინეტში ამაყად გაიარ-გამოიარა.

„ერთ საათში მთელ თბილისს ეცოდინება, რომ მე ჩემი უფროსის წინააღმდეგ გავილაშქრე. ჩემი უფროსი რა სახსენებელია, განა იგი პარტიის ცენტრალური კომიტეტის და მინისრთა საბჭოს კატეგორიული მოთხოვნის შესასრულებლად არ იბრძვის?! მაშ, ვის წინააღმდეგ უნდა ვიშიშვლო ხმალი? რასაკვირველია, ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წინააღმდეგ. ვიცი, დავიჩაგრები, ვიცი გამანადგურებენ, მაგრამ ცხოვრებაში ერთხელ მაინც ხომ ვიგრძნობ ჭეშმარიტი სიცოცხლის აზრსა და გემოს, ერთხელ მაინც ხომ ავალაპარაკებ მთელ ერს, მთელ რესპუბლიკას! ერთხელ ხომ მაინც ღირსეულად გავახსენებ თავს მანანას, ერთხელ ხომ მაინც ავიღებ რევანშს „ჩემს მეგობარ“ სოსოსთან...“

არასდროს არ დაუფლებია მსგავსი ნეტარება, არასდროს ასე არ უგრძვნია საკუთარი პიროვნება, საკუთარი მე!

აბა, ამ ქვეყნად ვის სიამოვნებს წარსულის შეცდომებისა თუ ცოდვების გახსენება. და თუ გონებაში მაინც წამოეჭრებათ ხოლმე საკუთარი უბადრუკობის მაგალითები, ცდილობენ თავიანთი უილაჯობა ახალგაზრდულ დაუდევრობას, გამოუცდელობას, „არსებულ სიტუაციასა“ და სხვა ათასგვარ მიზეზს გადააბრალონ.

არჩილ გორდელის გონებაში თითქოს სულ ქვემოთ იყო ჩაწნეხილი მანანასა და სოსოს ამბავი. არაფრით არ უნდოდა ძველი გრძნობები სიღრმიდან მაღლა ამოეშვა, არ უნდოდა მათზე ეფიქრა და საკუთარ თავთან ემსჯელა. არაფერი გამოსდიოდა. უიღბლო სიყვარულთან დაკავშირებულ მოგონებათა ჯაჭვის ჩაძირვა არა და არ ხერხდებოდა. იგი თითქოს ბურთს ჰგავდა. თუ ხელით არ დააწვებოდი, წყლის სიღრმეში არ ჩადიოდა, არ იძირებოდა. ხელს თუ უშვებდი, უმალვე ზედაპირზე ამოტივტივდებოდა. ხომ არ შეეძლო, მთელი ცხოვრება ამ ბურთისათვის ჰქონოდა ხელი დაჭერილი?! მანანას დაკარგვის სინანული, ჭაბუკობისდროინდელი სილაჩრე ერთთავად მისი სულის ზედაპირზე ტივტივებდა. ხანდახან, როცა საქმეში ჩაერთვებოდა, ბურთი თითქოს თვალს ეფარებოდა, თითქოს იძირებოდა კიდეც... დარჩებოდა მარტო და ბურთი ისევ წყლის ზედაპირზე ამოტივტივდებოდა. საშინელი სურვილი იპყრობდა, ბურთთან მიეცურა, დანით დაეჩეხა და სამუდამოდ ჩაეშვა ზღვის ფსკერზე. ვერა და ვერ უახლოვდებოდა. ხანდახან არჩილს სჯეროდა, რომ მანანა უკვე დაივიწყა, რომ ბავშვობისდროინდელ სიყვარულზე ლაპარაკიც კი სასაცილო იყო. თითქოს მხოლოდ თავისი ლაჩრული საქციელი სტანჯავდა, გულსა და სულს უდაღავდა. საკმარისი იყო, მანანასთვის სადმე თვალი მოეკრა, რომ რაღაც მძლავრი და გამოუცნობი გრძნობა ხელახლა იპყრობდა. თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რა იყო ეს გრძნობა. ვითომ სიყვარული? იქნებ სინანული? იქნებ შურისძიების გრძნობა? იქნებ ყველაფერი ერთად?

შურისძიება?

„შურისძიება რის გამო? განა მანანა რამეში ტყუის? განა მან ჰკრა ხელი ჩვენს სიყვარულს? აბა რატომ უნდა შემიპყროს შურისძიების გრძნობამ? იქნებ მხოლოდ იმიტომ, რომ მასთან ურთიერთობისას გამომჟღავნდა ჩემი სისუსტე და სილაჩრე? მანანას ხომ უნდა სცოდნოდა, ჩემი სილაჩრე რომ ჩემი პიროვნული თვისება არ იყო. იგი ხომ იმ განუწყვეტელი შიშის ნაყოფი გახლდათ, ჩემს რეპრესირებულ ოჯახში რომ სუფევდა!“

არჩილ გორდელი მშვენივრად გრძნობდა, ხავსს ეჭიდებოდა. მიხვდა,

თავის მართლებას აზრი არ ჰქონდა. არც არავინ სთხოვდა. იგი მხოლოდ საკუთარ სულსა და გულს ასკდებოდა. და აი, ახლა, სრულიად მოულოდნელად საშუალება ეძლეოდა, საკუთარი თავისათვის ეჯობნა, ძლიერი, თავგანწირული ნაბიჯი გადაედგა და წარსულის ყოველგვარი ლაქა ჩამოერეცხა. რა სახსენებელი იყო თანამდებობისა და კეთილდღეობის დაკარგვა თუ იგი საკუთარი თავის წინაშე საკუთარ თავს აღადგენდა! ერთხელ და სამუდამოდ საკუთარ სულიერ სიწმინდესა და ძლიერებას იწამებდა! ქუჩაში, საზოგადოებაში, ერში, თამამი, თავაწეული სიარულის უფლებას მოიპოვებდა!

უცებ ტელეფონმა დარეკა. არჩილ გორდელი შეკრთა, საათს დახედა. თორმეტს ოცი წუთი აკლდა. ყურმილი სწრაფად აიღო. თორმეტ საათზე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან მობრძანდითო, უთხრეს მოკლედ. სახეზე ხასხასა ფერებით გამოხატული ზეაწეული გამომეტყველება სადღაც გაუქრა. თვალებში, შუბლზე და ლოყებზე უსიამოდ სქელმა და მუქმა ფერმა გადაუარა.

7.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის კაბინეტის მოსაცდელში თითქმის მთელ საათს მოუწია ლოდინმა. გაურკვეველი ეროვნების, გამაღიზიანებლად ლამაზი მდივანი ქალიშვილი, ალბათ ოცდასამი-ოცდახუთი წლისა, ერთთავად ტელეფონზე ლაპარაკობდა. მოპირდაპირე კაბინეტში თავმჯდომარის მოადგილის რეფერენტი ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა კაცი იჯდა. ეტყობოდა, საქმეები მასაც არ აწუხებდა. დროდადრო მოსაცდელში გამოდიოდა, რატომ გაუგრძელდათ თათბირიო, იკითხავდა ისე, თავისთვის და კვლავ თავის მშვიდ კაბინეტს უბრუნდებოდა.

„ალბათ ჩემს გასაგონად ამბობს. წელან, ეტყობა, ამ ყმაწვილმა დამირეკა და ეუხერხულება, ამდენ ხანს რომ ვზივარ მოსაცდელში“, — ფიქრობდა არჩილი, თან უკვირდა, ჩემს გარდა მოსაცდელში რატომ არავინ არ არისო. მხოლოდ რამდენიმე კაცმა შემოყო თავი და იკითხა, თათბირი ხომ არ დამთავრებულაო. ზოგიერთი მდივანი ქალის პასუხსაც არ დაელოდა, ისე გაბრუნდა უკან.

არჩილ გორდელი მდივნის დიაგონალურად იჯდა მოპირდაპირე კედელთან. თავმჯდომარის მოადგილესთან დამუხტული და შემართული მოვიდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, მხოლოდ სიმართლის მხარე დაეჭირა. გრძნობდა, დრო გადიოდა და ენთუზიაზმი, ბრძოლის ჟინი თანდათან უცხრებოდა. უკვე ეჭვიც ეპარებოდა, იქნებ სულ სხვა საკითხის გამო ვარ გამოძახებულიო. უფრო სწორად, სურდა სხვა საქმეზე ყოფილიყო გამოძახებული, დარიშხანის ხათაბალაში რომ თავი არ გაეყო.

„დაწინაურება ან სხვა ადგილზე გადაყვანა გამორიცხულია. მაშინ ხომ მეტყოდა რამეს, ან თუნდაც მიმანიშნებდა სამმართველოს უფროსი!“

ნუ გეშინია, გეოლოგი ხარ და მუსიკის საკითხებზე არ დაგიწყებენ საუბარს. ეცადე, ჩასწვდე საქმის ვითარებასო, — გაახსენდა ოთარ ჩიმაკაძის სიტყვები.

„ეცადე, ჩასწვდე ვითარებას“.

„ეტყობა, მაინც დარიშხანის ქარხნის თაობაზე ვარ გამოძახებული“, — დაასკვნა ბოლოს და თავის კაბინეტში დაწყებული ფიქრი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოსაცდელში გააგრძელა. განა თავის კაბინეტში დაიწყო მანანაზე ფიქრი? განა ეს ფიქრი იმ დღიდან არ აწუხებს, მანანას გადასახლებისას ეშელონთან მისვლა რომ ვერ გაბედა?

„იქნებ სულაც არ ვუყვარდი?! — გაიფიქრებდა ხოლმე ხანდახან არჩილი, — ჩვენ ხომ სულ რამდენჯერმე

შევხვდით ერთმანეთს. დავიჯერო შეუყვარდი?!"

გაუთავებელი, მტანჯველი ფიქრი, ამდენი წლის მანძილზე გრძელი და მრგვალი ნისლივით რომ მოიზლაზნებოდა, ვერა და ვერ გაეწყვიტა. ამას ცდილობდა, როგორმე მიეგნო მისი სათავე, სამუდამოდ რომ მოეშთო.

„არა, ვუყვარდი, ნამდვილად ვუყვარდი. აბა ტყუილად ხომ არ გამომიგზავნიდა წერილს ეშელონიდან?!"

უცებ არჩილს კინაღამ ხმამაღლა გაეცინა. დროზე გამოერკვა, თავს მოერია, მწარე სიცილი გულში ჩაიკლა. ამ წუთში, ამ წამში უდიდესი აღმოჩენის წინაშე დადგა: იგი ყველასთან გაცილებით გულწრფელი იყო, ვიდრე საკუთარ თავთან. მიხვდა, საკუთარი თავისა ეშინოდა, თავისი აზრი აკრთობდა, უფრო მეტიც, აშინებდა, წუხილსა და ტკივილებს საკუთარ თავს ბოლომდე ვერასდროს უმხელდა. რატომ? რა გრძნობა ან რისი შიში თრგუნავდა ასე? იქნებ სირცხვილის გრძნობა, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ რომ გააჩნდა?

მაინც რატომ ეშინოდა ასე საკუთარი თავისა?

თითქოს ახლა მიხვდა, საკუთარ თავთან ბოლომდე გულახდილი საუბარი მისი შეშინებული, მონური სულის, ცხოვრებაში გადადგმული ლაჩრული ნაბიჯების აღიარება იქნებოდა, საკუთარ თავთან გულახდილი საუბარი საკუთარი პიროვნული სისუსტეების გაშიშვლება იქნებოდა, აი, რატომ უფრთხოდა საკუთარ თავს. აი, რატომ ნიღბავდა განვლილ გზას, რატომ იქმნიდა ილუზიას, რომ იგი სხვა კაცი იყო, სხვა პიროვნება. ბოლოს და ბოლოს, მეტი რა უნდა ექნა, რეპრესირებული ოჯახის დათრგუნვილმა შვილმა შექმნა ოჯახი (ჰმ, ოჯახი!), ჰყავს შვილი, დაიცვა ხარისხი, უჭირავს მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობა. აი, თუნდაც, ახლა, გამოიძახეს, რომ ჰკითხონ აზრი ერთი ფრიად ურთულესი პრობლემის თაობაზე, ეკითხებიან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დონეზე. ისიც ხომ ნათელია, დარეშანის გამამდიდრებელი ქარხნის მშენებლობით თვით პირველი მდივანიც რომ არის დაინტერესებული. ჯერ ორმოცდახუთი წელიც არ შესრულებია, მთელს ქალაქში, უფრო მეტიც, მთელ საქართველოში კოლეგებსა და ნაცნობ-მეგობრებს შორის საკმაოდ დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული, თანაც ჯერ ხომ წინა აქვს მეცნიერებისა და ორგანიზატორისათვის ნამდვილი ოქროს წლები.

დიახ, უკვე რამდენი წელი იყო, არჩილ გორდელი საკუთარ თავთან დიალოგს გაურბოდა. და თუ მაინც, განმარტოებული, იძულებული ხდებოდა საკუთარ თავთან ეკამათა, ამ და სხვა მსგავს არგუმენტებს იშველიებდა. და აი, უცებ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოსაცდელში სრულიად მოულოდნელად გამოუტყდა თავს, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე მანანა განსაზღვრავდა მის მოქმედებას, მანანათი იყო დაკავებული მისი ტვინის ყველა უჯრედი.

„ნუთუ კიდევ მიყვარს?"

„არა მგონია, თუმცა ვინ იცის!"

„აბა რატომ არ ამოიშალა იგი ჩემი გონებიდან?!"

„მაინც, რატომ ვფიქრობ მასზე ლამის ყოველდღე, ყოველ საათს?!"

„თუმცა, რატომ მგონია, რომ სულ მასზე ვფიქრობ?"

„ვფიქრობ, როგორ არ ვფიქრობ, როგორც კი საკუთარ თავთან განმარტოების საშუალება მომეცემა, ჩემს გონებაში ხომ უმალვე მანანას სახე ამოტივტივდება ხოლმე! განა ყოველი წარმატება იმიტომ არ მიხარია, რომ მანანამდე მიაღწევს ჩემი წინსვლის ამბავი?!

„თუმცა, ყოველ ჩემს წინ გადადგმულ ნაბიჯს ხომ ისე აღვიქვამ, თითქოს რაღაცით ვიძიე შური მანანაზე?! რატომ მიჩნდება ასეთი გრძნობა, მას ხომ ჩემთვის არაფერი დაუშავებია?!

სოსოზე რომ გამცვალა, მისი ბრალი ხომ არ იყო! მე ხომ მას ვულალატე, მე ხომ შიშით შეპყრობილმა დავკარგე იგი, მაშ რაღას ვერჩი?!"

თუნდაც ახლა, გმირული გადაწყვეტილებით რომ შევდივარ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან, განა მანანაზე არ ვფიქრობ?! განა გუშინ, როცა ჩემი კარიერისათვის, ჩემი ცხოვრებისათვის საზიანო გადაწყვეტილება მივიღე, მანანაზე არ ვფიქრობდი?! არა, არ ვფიქრობდი, დიახ, არ ვფიქრობდი, მაგრამ მაინც ვფიქრობდი. მართლაც რა უცნაურია, არ ვფიქრობდი, მაგრამ მაინც ვფიქრობდი! განა უჩემოდ, ჩემს ჩაურევლად, ჩემდა უნებურად არ მწიფდებოდა გონებაში აზრი, რას იტყვის-მეთქი ჩემზე მანანა, სიმართლისა და ეროვნული საქმის დაცვისათვის ჩემს თავგანწირვას რომ გაიგებს? ჩვენს ძველ სიყვარულზე ოდნავ მაინც არ დასწყდება გული? გული თუ არ დასწყდება, იმას ხომ მაინც იტყვის, არჩილ გორდელი პრინციპული, პატიოსანი და ეროვნული კაცი ყოფილაო".

ტანში სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა. თვით იმის წარმოდგენამ, რომ მანანა გონებაში მაინც იტყოდა მის სახელსა და გვარს, სიხარულით და მღელვარებით აღავსო არჩილ გორდელი.

„იქნებ გაიღვიძოს კიდეც მანანას გულის სიღრმეში ჩამალულმა ტკივილმა? დავიჯერო, მართლა უყვარს სოსო ხომერიკი? იქნებ გული მოუბრუნდეს და გაამართლოს კიდეც ჩემი საქციელი, იმ ყმაწვილივით (სოსოსავით) რომ ვერ გამოვიჩინე ფხა (ჰმ, ფხა!), ეშელონთან ვერ მივედი, ვერ გამოვემშვიდობე და შემდგომ ვერ მოვისაზრე (ჰმ, ვერ მოვისაზრე!) გადასახლებაში მასთან ჩასვლა და შეუღლება";

უცებ კაბინეტის კარი გაიღო.

ღრმა ფიქრში წასული არჩილი გამოერკვა.

კაბინეტიდან რამდენიმე კაცი გამოვიდა. სახეზე ყველას ერთნაირი სერიოზული იერი ედო.

არჩილ გორდელს გული დასწყდა. ამდენი წლის შემდეგ პირველად შესძლო საკუთარ თავთან გულახდილი საუბარი, პირველად ამოვიდა საფარიდან და ყველაზე საკვანძო, იქნებ გარდამტეხ წუთშიც შეაწყვეტინეს დაგვიანებული აღსარება.

„ვინ იცის, განმეორდება ოდესმე მსგავსი წუთები? კვლავ გამიჩნდება სურვილი, გულწრფელად ვეკამათო საკუთარ თავს?"

— შებრძანდით! — ჩაესმა მდივანი ქალის სიტყვები.

არჩილი მკვირცხლად წამოდგა და კაბინეტის მძიმე, უზარმაზარი კარი ისე სწრაფად გამოაღო, თავით კინაღამ მეორე კარს დაეჯახა. მეორე კარის დანახვაზე საბოლოოდ გამოერკვა. იგი გაცილებით დინჯად შეაღო, მუხის პანელებით მოპირკეთებულ უზარმაზარ კაბინეტში შევიდა და ფრთხილი ნაბიჯით თავმჯდომარის მოადგილის მაგიდისკენ გაემართა. თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ გორდაძე ვიღაცას ტელეფონით ელაპარაკებოდა, თან არჩილს მისჩერებოდა, თუმცა ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მას ვერ ამჩნევდა. არჩილი მაგიდასთან იდგა და ელოდებოდა, თავმჯდომარის მოადგილე ლაპარაკს როდის მოათავებდა. თან ცდილობდა ისეთი გამომეტყველება მიეღო, თითქოს ლაპარაკს ყურს არ უგდებდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ვლადიმერ გორდაძემ ყურმილი ბერკეტზე დადო, არჩილს ხელით ანიშნა, აქ დაბრძანდითო და ზედმეტად საქმიანი იერით მეორე ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

არჩილმა იმ რამდენიმე წამში, თავმჯდომარის მოადგილემ რომ ანიშნა, დაბრძანდიო, მისალმების ნიშნად თავი დაუქნია და სკამი გამოსწია.

„რა არის ეს, ფსიქოლოგიური დამუშავება?" — გაივლო გულში და უზარმაზარი კაბინეტი მოათვალიერა. ლე-

ნინი, ბრეჟნევი, გვერდით გრძელი მაგიდა. გრძელ მაგიდაზე ერთადერთი ტელეფონი. რასაკვირველია, მთავრობის სამნიშნა ტელეფონი. ყველაფერი სტანდარტის ფარგლებში იყო მოქცეული. ოღონდ თვით კაბინეტის სიდიდე, ავეჯის მაღალი ხარისხი და კუთხეში მიმდგარი დიდი, ძველებური საათი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის კაბინეტს უფრო მდიდრულ, ზვიად და ნამდვილად სამთავრობო იერს აძლევდა.

— უნდა მაპატიოთ, რა ვქნა, საქმეები არ იცდის! — კაბინეტის თვალიერებით გართულს ჩაესმა უცებ თავმჯდომარის მოადგილის ხმა.

არჩილმა მკვირცხლად შეხედა თვალებში.

კვლავ ტელეფონის ზარის ხმა.

ვლადიმერ გორდაძეს ბოდიშის ნიშნად სახეზე რაღაც გრიმასი გამოესახა და კვლავ ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

არჩილს გაეხარდა კიდეც მორიგი ზარი. გრძნობდა, მღელვარება თანდათან უქრებოდა. ენერგია ისევ მოეძალა. გონება არნახული სისწრაფით აუმუშავდა.

„თუ მთავრობას დარიშხანის ქარხნის აშენება უნდა და მე მათი სურვილის წინააღმდეგ გავილაშქრე, ხომ ორთავე გადავიკიდე, მთავრობაც და გეოლოგიური სამმართველოც!“

არჩილ გორდელმა მშვენივრად იცოდა, რესპუბლიკაში არცერთი საკითხი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის სურვილის გარეშე არ წყდებოდა. მიხვდა, ქარხნის მშენებლობის წინააღმდეგ გალაშქრების შემთხვევაში იგი ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს უპირისპირდებოდა. სხვა დროს იქნებ სიამაყეც კი ეგრძნო, ამოდენა დონეზე რომ გადიოდა, მაგრამ აქ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის კაბინეტში, სიამაყისათვის არ ეცალა.

თავს მაინც მოერია, შიშს მაინც სძლია და თავმჯდომარის მოადგილეს მხნედ, თითქმის გამომწვევად შეხედა.

„ან დღეს, ან არასდროს! სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!“ — მტკიცედ დაასკვნა მან და გონებაში წამოტივტივებულ მანანას თვალი ამაყად გაუსწორა.

— როგორ ბრძანდებით, ხომ სიმშვიდეა გეოლოგიურ სამყაროში? — ღიმილით დაიწყო ვლადიმერ გორდაძემ და ყურმილი ბერკეტზე დადო.

არჩილ გორდელმა პასუხად გაიღიმა. ღიმილი ყველაზე ნაღდი პასუხია და გამოსავალი, როცა არ იცი, დასმულ შეკითხვაზე როგორ უპასუხო.

— რესპუბლიკაში რთული სიტუაციაა, ძალიან რთული! — თავმჯდომარის მოადგილეს სახეზე ღიმილი გაუქრა და მჭმუნვარე იერი დაედო.

„საიდან ვიცნობ ამ კაცს?“ — ფიქრობდა არჩილი.

უცებ გაახსენდა. ამ ოთხიოდე თვის წინ მისი გამოსვლა ნახა ტელევიზიით. მაშინ მოეწონა კიდეც თავმჯდომარის მოადგილის საუბარი. არ უნდა იყოს მთლად უჭკუო კაცი, გაახსენდა თავისი მაშინდელი დასკვნაც.

— პრობლემები საკმაოდ დაგვიგროვდა, მათი გადაჭრა კი არ გახლავთ იოლი საქმე. კადრები ძალიან გვიჭირს. ვცდილობთ, არცერთი ნიჭიერი და საქმიანი სპეციალისტი არ დაგვრჩეს შეუმჩნეველი. სხვათა შორის, თქვენ რას იტყვით, ძალიან ხომ არ გაიბერა გეოლოგიური სამმართველო? იქნებ აჯობებდა ამოდენა ორგანიზაცია ორად გაგვეყო? აი, თუნდაც, ცალკე შეგვექმნა სამთო გეოლოგიის სამმართველო. განა პრობლემის ასეთი გადაჭრა უფრო მიზანშეწონილი არ იქნება?

„ვითომ ამისთვის დამიბარა? არა მგონია. ეს შესაძლია, ეს კვლავ ფსიქოლოგიური დამუშავების შემადგენელი ნაწილია. იგი ახლა მინიშნებით შეიძლება რაღაც თანამდებობასაც კი დამპირდეს, გულში იმედი გამიღვივოს, რომ შემდგომ, სასურველი პრო-

ბლემის გადაჭრისას, გვერდში ამომიყენოს“.

— გულწრფელად რომ გითხრათ, ამ საკითხზე არ მიფიქრია, თუმცა წამიერი შთაბეჭდილებით ძალზე გონივრული მეჩვენება.

— ძალიან სასიამოვნოა. და თუ შეეცდებით, იქნებ განეწყოთ კიდეც მისდამი უფრო დიდი სიმპათიით. თქვენ ძალზე დიდ და საპასუხისმგებლო განყოფილებას უძღვებით, თანაც უძღვებით ძალზე კარგად, აზრიანად და ენერგიულად. ამიტომაც ვფიქრობ, დროა, დამოუკიდებელ სამსახურს ჩაუდგეთ სათავეში.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოულოდნელ და შთამბეჭდავ წინადადებას ხანგრძლივი პაუზა მოჰყვა. არც ეს პაუზა იყო შემთხვევითი. ვლადიმერ გორდაძემ არჩილს დრო და საშუალება მისცა, შეთავაზებული წინადადება კარგად გაეთვითცნობიერებინა, მომავალი თანამდებობის მთელი მომხიბვლელობა კარგად წარმოედგინა.

„არც ისე ჭკვიანი ყოფილა, როგორც მეგონა, — დაასკვნა უცებ არჩილმა და გუნება მოეწამლა. მიხვდა, ამოდენა თანამდებობას იოლად არავინ გაიმეტებდა. სანაცვლოდ ისეთი მსხვერპლის გაღებას მოსთხოვდნენ, მის სინდისს რომ მძიმე და სამუდამო ტვირთად დააწვებოდა, — ნუთუ ჰგონია, რომ ასე იოლად მიყიდის?!“

— ეს სხვათა შორის, — გაიღიმა თავმჯდომარის მოადგილემ და უჯრიდან საქაღალდე ამოიღო, — თქვენ ალბათ იცით, ალბათ კი არა, მშვენივრად იცით, რომ ლუხუნის ხეობაში გვაქვს დარიშხანის საბადოები.

არჩილ გორდელი კვლავ გააოცა თავმჯდომარის მოადგილის სახის გამომეტყველების სწრაფმა ცვალებადობამ. ღიმილი, რომელიც, სხვათა შორის, უხდებოდა კიდეც მის ვაჟკაცურ სახეს, ერთბაშად მჭმუნვარებამ შეცვალა. ეს ისე სწრაფად მოხდა, თითქოს ეკრანზე სლაიდი შეცვალეს.

— საქართველოს ვალუტა სჭირდება! — ვლადიმერ გორდაძემ სათვალე გაიკეთა და საქაღალდიდან ერთ-ერთი ფურცელი ამოიღო, ყურადღებით დახედა და კვლავ არჩილს მიუბრუნდა,— სამწუხაროდ, ბევრი როდი გვაქვს ისეთი რამ, ვალუტას რომ შემოგვიტანს. დარიშხანის მონოკრისტალი კი ერთ-ერთი ის პროდუქტია, უცხოეთში განუსაზღვრელი რაოდენობით რომ გაიყიდება.

არჩილ გორდელს კმაყოფილებით კინაღამ გაეღიმა, იმდენად ზუსტად გამოიცნო მინისტრთა საბჭოში გამოძახების მიზეზი.

— ძველი ქარხანა, რომელიც ლუხუნის ხეობაში მდებარეობს, ოდნავადაც ვეღარ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, ახალი ქარხნის აგება ხოტეურას ხეობაში უფრო უპრიანია.

— ხოტეურას ხეობაში? — ისე გაოცა არჩილმა, ვითომ არ იცოდა, სად ფიქრობდნენ ახალი ქარხნის აგებას.

— დიახ, ხოტეურას ხეობაში! თქვენ იცნობთ იქაურობას?

— საკმაოდ კარგად.

— მერე? არ მოგწონთ ჩვენი არჩევანი?

— გამამდიდრებელი ქარახანა რატომ უნდა ავაშენოთ საბადოებიდან ასე დაშორებით? განა არ სჯობია, ახალი კორპუსები ძველი ქარხნის გვერდით ჩავდგათ იქვე, ლუხუნის ხეობაში?

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ არჩილს თვალი გაუსწორა. მცირეოდენ დუმილს კვლავ თავისი საგანგებო მიზანი ჰქონდა. არჩილ გორდელი უნდა მიმხვდარიყო, რომ მთავრობას სურდა, ქარხანა ხოტეურას ხეობაში აშენებულიყო. მორჩა და გათავდა. თანაც სურდა, რომ მეცნიერებს შეგნებულად დაეჭირათ მათთვის მხარი.

— წეღან მოგახსენებდით, სახელმწიფოს, უფრო ზუსტად ჩვენს რესპუბლიკას, ვალუტა სჭირდება. ლუხუნის ხე-

ობაში ახალი ქარხნის აგება მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებასა და დროს. უნდა გაიყვანონ ახალი გზა. ანკარა წყაროები, რომელიც აუცილებელია დარიშხნის მონოკრისტალის საწარმოებლად, ადგილობრივად არ არის საკმარისი რაოდენობით. წყაროების შორიდან მიყვანა დიდ ხარჯებთან და შრომატევად სამუშაოებთან არის დაკავშირებული. თანაც შორი მანძილიდან მილებით მიყვანილი წყარო კარგავს თავის თვისებებს. ხოტეურას ხეობაში ქარხნის აგებით კი ერთბაშად იხსნება ორი პრობლემა — გზა და წყალი. თუ უფრო გულახდილად ვიმსჯელებთ, პრობლემები იქაც თავზესაყრელად გვექნება. აუცილებელია სამი სოფლის ოთხასამდე კომლის აყრა და სხვაგან გადასახლება. ისინი უკმაყოფილონი არ დარჩებიან, გაცილებით უკეთეს სახლებს ავუშენებთ, მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრაც ხომ დიდ თანხებსა და სამუშაოებს მოითხოვს! აბა, თავს რაღაზე იწუხებთო, შეიძლება მკითხოთ თქვენ. ახლავე გიპასუხებთ, ლუხუნის ხეობაში საბადოების მახლობლად ქარხნის მშენებლობა უპერსპექტივოა. იქ მხრებს ვერ გაშლის ქარხნისთვის საჭირო დასახლება. ამ მხრივ, ხოტეურას ხეობა გაცილებით ხელსაყრელია. დარიშხანის ქარხნის დასახლება უშუალოდ გადაებმება და შეერწყმება რაიონულ ცენტრს. ეს კი გაგვანთავისუფლებს გაზის, ელექტროქსელის, სამედიცინო, სავაჭრო და კულტურული დაწესებულებების გაყვანისა და მშენებლობებისაგან. იგი სულ მალე იქცევა პატარა ქალაქის ორგანულ ნაწილად.

— ოთხასამდე ოჯახის აყრა ისედაც განადგურებულ მთიან მხარეში? — გულწრფელი აღშფოთება ვერ დამალა არჩილ გორდელმა. — თქვენ გინდათ საკარმიდამოებით გალაღებული ხალხი ბარაკებში, თუნდაც ოთხსართულიან რკინა-ბეტონის კუბიკებში შეყაროთ? განა არ იცით, რომ ყველანი მიატოვებენ იქაურობას და ისინი დედაქალაქს მოაწყდებიან?! ვინ დაიკავებს მათ ადგილს? ვინ იმუშავებს დარიშხანის ქარხანაში? თან, არა მგონია, მარტო სამი სოფლის აყრამ უშველოს საქმეს! თვითონვე თქვით, ქარხნის დასახლება პირდაპირ რაიონულ დაბას გადაებმება. წესით კი ქარხანა ოთხკილომეტრიანი რადიუსით უნდა იყოს მოშორებული დასახლებას. ოთხი კილომეტრი თვით რაიონის ბოლომდეც კი არ არის ხოტეურას ხეობიდან. აქედან, ელემენტარული დასკვნა, მთელი რაიონი სახიფათო ზონაში აღმოჩნდება. თანაც სად უნდა გაიაროს ტექნიკურმა წყლებმა? მან უნდა გადაჭრას მთელი რაიონი და ბოლოში უნდა შეუერთდეს მდინარეს. გამწმენდი ნაგებობების სანიტარული ზონაც ოთხი კილომეტრიანი რადიუსით განისაზღვრება. პროექტით კი რა გამოდის? რაიონული ცენტრი და ახლომახლო სოფლები ექცევიან ორმხრივი მოწამვლის ზონაში. ქარხანასა და გამწმენდ ნაგებობას შორის ხომ მანძილი ოთხი კილომეტრიც არ არის!

— თქვენ კარგად იცნობთ პროექტს? — სახე მოეღრუბლა ვლადიმერ გორდაძეს.

— პროექტსაც ვიცნობ და იქაურობასაც, სადაც ქარხანა უნდა აშენდეს.

— ურთულესი და უმნიშვნელოვანესი პროექტის ასე ცალმხრივად განხილვა არ შეიძლება, — აშკარად ვერ დამალა განაწყენება თავმჯდომარის მოადგილემ. — რაიონი, მშვენივრად იცით, დაცლის პირასაა. მოსახლეობა ყოველწლიურად კლებულობს. ახალგაზრდობას იქ გული აღარ უდგება. ქარხანას, თუ თანამედროვე უცხოური ტექნოლოგიური აღჭურვილობით ავაშენებთ, ვნების მოტანა, პრაქტიკულად, აღარ შეეძლება. დიდი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ქარხნის არსებობა კი ბევრ ეკონომიკურ და სოციალურ სიკეთეს მოუტანს რაიონს, გამოაცოცხლებს ჩამკვდარ კულტურულ ცხოვრებას.

— მართალი ბრძანდებით. ყველაფერს აქვს თავისი მეორე მხარე.

— აგაშენათ ღმერთმა! ჩვენი თხოვნა კი ასეთია. ჩაუდექით სათავეში საბოლოო საექსპერტო კომისიას. გულახდილად გეტყვით, თქვენ დასკვნაზე მარტო დარიშხანის ქარხნის აშენება კი არა, თვით სამთო გეოლოგიის სამმართველოს ჩამოყალიბებაც იქნება დამოკიდებული. მე წელან შემთხვევით არ მითქვამს ის სიტყვები. გახსოვთ, არა, საუბარი რითაც დავიწყეთ. როცა კაცს აქ ვიძახებთ (თავმჯდომარის მოადგილემ განსაკუთრებულად ხაზგასმით წარმოთქვა — აქ ვიძახებთო), ზოგიერთი მომენტი წინასწარვე გვაქვს გათვალისწინებული. რას იზამ, ეტყობა, ყოველთვის არ გაგიმართლებს ჩანაფიქრი. მართალი ყოფილა ვალერიან კობახიძე, საექსპერტო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატად რომ დაგასახელათ.

— ვალერიან კობახიძემ?! — ლამის წამოიყვირა არჩილ გორდელმა. —

„აი, თურმე ვის გავხსენებივარ!“

— დიახ, ვალერიან კობახიძემ.

— წინასწარ მინდა ბოდიში მოგიხადოთ ალბათ უხერხული შეკითხვისათვის. ჩვენი გეოლოგიური სამმართველოს უფროსი დაეთანხმა ვალერიან კობახიძის წინადადებას?

„მაინც სად უკაკუნებს ეს ყმაწვილი, რა ინფორმაცია უნდა, რომ დამტყუოს?“

— გულწრფელად რომ გითხრათ, — დაიწყო ვლადიმერ გორდაძემ მცირეოდენი დუმილის შემდეგ, — არ მახსოვს, რა აზრი გამოთქვა. ერთი კი შემიძლია მტკიცედ ვთქვა, წინააღმდეგი არ წასულა. მგონი, პირიქით! მანაც ძალზე მოიწონა ვალერიან კობახიძის მიერ დასახელებული თქვენი კანდიდატურა. სხვა შემთხვევაში ,თქვენ არავინ გამოგიძახებდათ. კარგია, რომ მოწინააღმდეგე მხარეები გენდობიან და კარგი. ოვალით გიყურებენ.

მგონი, შეიძლება საქმე კიდევ გამოვასწოროო, — გაიფიქრა თავმჯდომარის მოადგილემ, ფურცელი წელან რომ საქაღალდიდან ამოიღო, კვლავ უკან ჩააბრუნა და არჩილს გაუწოდა.

— რატომ ჩქარობთ? აჩქარებით საქმე არასდროს გაკეთებულა. აი ამ საქაღალდეში გახლავთ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მოსაზრებები ქარხნის ადგილსამყოფელის თაობაზე. წაიკითხეთ, ღრმად ჩაუკვირდით, ყველაფერი აწონ-დაწონეთ და თქვენი სათქმელი მერე მოგვახსენეთ. როგორ გგონიათ, ჩვენ კი გვინდა საქართველოს ამ მშვენიერ კუთხეს რაიმე ვავნოთ?!

ტელეფონის ზარის წკრიალი არჩილს ხსნასავით ჩაესმა ყურში. მძიმე სიტუაციაში გასარკვევად მცირეოდენი დრო მაინც სჭირდებოდა. საქაღალდე გახსნა და თვალს უმალვე უარყოფითი დასკვნა მოხვდა. გულმა რეჩხი უყო. დასკვნას ვალერიან კობახიძესთან ერთად ხელს ნოდარ ქედიშვილი აწერდა.

„მაშ, ნოდარ ქედიშვილი!“ — ლამის ხმამაღლა წარმოსთქვა არჩილ გორდელმა.

— დიახ, ნუ იჩქარებთ, — გამოარკვია უცებ თავმჯდომარის მოადგილის ხმამ. — საერთოდაც კი, თუ ჩემს რჩევას მიიღებთ, არასდროს იჩქაროთ დასკვნების გაკეთება!

არჩილი აშკარად დაიბნა. ვლადიმერ გორდაძეს არ გამოჰარვია მისი შეცბუნება. უდარდელი სახე მიიღო, ვითომც მისი თანხმობა დიდად არ ედარდებოდა და ამჯერად თვითონ აკრიფა ტელეფონის ნომერი.

„თუკი ნოდარ ქედიშვილი ვალერიან კობახიძესთან ერთად აწერს ხელს, მე რატომღა გავახსენდი? ეტყობა, თავისი სიმართლე ვერ გაიტანეს. ახალი საექსპერტო კომისიის თავმჯდომარედ კი მე იმიტომ დამასახელა, რომ სჯერა ჩემი. ალბათ ჩემი სადიპლომო ნაშრომი და მას მერე გამოქვეყნებული ეკოლოგიური ხასიათის სტატიებიც გაიხ-

სენა. ვინ იცის, იქნებ სულ სხვა ჩანაფიქრიცა ექვს ბატონ ვალერიანს? იქნებ ციხე შიგნიდან უნდა გატეხოს და მე ოთარ ჩიმაკაძეს დამაპირისპიროს? ხომ წარმომიდგენია, როგორი დარტყმა იქნება გეოლოგიური სამმართველოსათვის, მე, ამავე სამმართველოს ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი განყოფილების გამგემ, მათ მიერ დამუშავებული და ასე გაჯანჯლებულ-გახლაფორთებული პროექტის წინააღმდეგ რომ გავილაშქრო!"

— ყველაფერს შინ გაგატანდით, მაგრამ დრო არ ითმენს, — თავმჯდომარის მოადგილემ ყურმილი ბერკეტზე დადო და კვლავ არჩილს მიუბრუნდა,— სამ საათზე პატარა თათბირი მეწყება.

„ნუთუ უკვე სამი საათია?" — გაოცებულმა არჩილ გორდელმა კუთხეში მიდგმული დიდი საათისკენ გაიხედა. სამს ხუთი წუთი აკლდა.

— ხომ ხედავთ, რა დრო გასულა. თქვენ ზუსტად პირველ საათზე შემოხვედით ჩემთან. როგორც ხედავთ, არც შესვენებაა ჩემთვის, არც შაბათი და არც კვირა! თუმცა ამას შეეშვათ. თუ სურვილი გაქვთ და მტკიცე უარს არ ამბობთ ჩემს წინადადებაზე, აგერ, ჩემს დასასვენებელ ოთახში გაბრძანდით და ყველა სახის მოსაზრებას ყურადღებით გაეცანით. ჩემი გულწრფელი თხოვნაა, უარყოფითი მოსაზრებები უფრო სერიოზულად აწონ-დაწონოთ, იქნებ მართლა ვცდებით!

— ნოდარ ქედიშვილი რა როლს ასრულებს ამ საქმეში? იგი მხოლოდ კომისიის წევრი იყო?

თავმჯდომარის მოადგილე მიხვდა, რომ ნოდარ ქედიშვილის სახელმა და გვარმა არჩილი ააფორიაქა.

— თავმჯდომარის მოადგილე გახლდათ. თავმჯდომარეობა კი ვალერიან კობახიძეს ვანდეთ. სხვათა შორის, ძალზე ძლიერი ყმაწვილი ყოფილა.

„ჰმ, ყმაწვილი („ორმოცდახუთი წლის „ყმაწვილი". თვითონ კი არის ორმოცდაათზე მეტის?").

— სხვათა შორის, — გააგრძელა ვლადიმერ გორდაძემ, — დასკვნაში ვერ გადაარჩინეთ, რაგვარად არის დასაბუთებული სამთო გეოლოგიის სამმართველოს ცალკე ჩამოყალიბების აუცილებლობა, ახალი სამმართველოს შექმნის იდეაც და დასაბუთებაც მთლიანად ნოდარ ქედიშვილს ეკუთვნის.

თავმჯდომარის მოადგილემ მცირეოდენი პაუზა გააკეთა და არჩილ გორდელს მახვილი, გამომცდელი მზერა მიაპყრო. მიხვდა, აქ უნდა გაეგო, არჩილ გორდელს სძულდა თუ უყვარდა ნოდარ ქედიშვილი.

არჩილს სიბრძაზისაგან სახე წამოენთო და ყბა ოდნავ შესამჩნევად აუკანკალდა. თავმჯდომარის მოადგილე მიხვდა, არჩილი რა ცეცხლშიც იწვოდა. გორდაძემ უკვე იცოდა, საუბარი როგორ წარემართა.

— ვერ მოგატყუებთ, ერთი რამ აუცილებლად უნდა იცოდეთ. ქარხნის მშენებლობის წინააღმდეგ მთელი რაიონი ააბუნტეს ვალერიან კობახიძემ და მისი კომისიის წევრებმა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ნოდარ ქედიშვილმა „გამოიჩინა" თავი. გულწრფელად უნდა გითხრათ და თანაც უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ამის თაობაზე სიტყვა არავისთან წამოგცდეთ, — სიტყვებისათვის მეტი ძალა რომ მიეცა, თავმჯდომარის მოადგილემ მცირე პაუზა გააკეთა და შემდეგ თითქმის ჩურჩულით უთხრა, — ქარხნის აშენებით პირველი მდივანია განსაკუთრებულად დაინტერესებული. ოპონენტთა დასკვნებს რომ გაეცნო, ძალზე განაწყენდა, განრისხდა კიდეც. ოღონდ, ერთი კია, სამთო გეოლოგიის სამმართველოს ჩამოყალიბების იდეა ძალზე მოეწონა. თუ ჩვენი წინადადება არ გავიდა და ვალერიან კობახიძემ თავისი გაიტანა, სამთო გეოლოგიის სამმართველო მაინც შეიქმნება, ხოლო მის უფროსად ნოდარ ქედიშვილი დაინიშნება, დამეთანხმებით, უხერხული იქნება, კაცს იდეა და დასაბუთება დაუკარგო და

სამმართველოს უფროსად სხვა დანიშნო. მით უმეტეს, თუ იგი მხარეთა ბრძოლაში გამარჯვებული აღმოჩნდება.

თავმჯდომარის მოადგილე ყურადღებით აკვირდებოდა არჩილ გორდელის სახეს. უნდოდა შეუცდომლად ამოეცნო მის არსებაში რა ხდებოდა.

— ჩვენ, რასაკვირველია, შეგვიძლია დავადგინოთ და ავაშენოთ კიდეც ქარხანა. მაგრამ, რა დასამალია, ძალიან გვინდა, ხალხი მხარს გვიჭერდეს და თუ გამოჩნდება კაცი, ურთულეს პრობლემებს მთავრობის სასარგებლოდ რომ გადაჭრის და ხალხს მიიმხრობს, უზარმაზარი, ლამის სამინისტროს ტოლფასი ახალი სამმართველოს უფროსიც ის გახდება. ასეთ კაცად თქვენ მიგვაჩნდით და იმიტომაც დაგიძახეთ.

— კი, მაგრამ, საექსპერტო კომისიის თავმჯდომარედ მე ხომ ვალერიან კობახიძემ დამასახელა?!

თავმჯდომარის მოადგილეს ეგონა, არჩილ გორდელი ჩემს ნათქვამს ვერ ჩაწვდაო და უფრო ნათლად გაუშიფრა.

— გგონიათ წინააღმდეგობაში ჩავვარდი? მით უმეტეს, ჩემო არჩილ, მით უმეტეს! ქვეყანას ეცოდინება, რომ ახალი საექსპორტო კომისიის თავმჯდომარედ თვითონ ვალერიან კობახიძემ დაგასახელათ. და როცა თქვენ გაილაშქრეთ ვალერიან კობახიძის წინააღმდეგ, თვით ამ ფაქტს უზარმაზარი შედეგი მოჰყვება. ჩასწვდით, არა, საქმისა და ჩანაფიქრის არსს?

„ჰმ, „ჩემო არჩილ“, — ჩაიცინა გულში გორდელმა, — ჰგონია, რომ უკვე დამითანხმა?“

— რასაკვირველია, მივხვდი. ან კაცმა რომ თქვას, რა იყო მისახვედრი?!

— სწორი ბრძანდებით, — ისევ მრავლობითზე გადავიდა თავმჯდომარის მოადგილე, — რამდენიმე დეტალი მაინც მინდა გითხრათ. ზუსტად ორი დღის წინ, აქ, ამ კაბინეტში, დიდი შეხლა-შემოხლა გვქონდა. ქარხნის აშენების მოწინააღმდეგენი ვალერიან კობახიძის და ნოდარ ქედიშვილის (ნოდარ ქედიშვილს განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი. უკვე იცოდა, ამით გორდელის გულის სიმებს ხელს მტკივნეულად გამოჰკრავდა) მეთაურობით აგერ, ამ მხარეს ისხდნენ. მათ თან ახლდათ რაიონიდან ჩამოსული აქტივისტი და ორი ჟურნალისტი. ძირითადად ბრძოლა თქვენი სამმართველოს უფროსსა და ვალერიან კობახიძეს შორის გაჩაღდა. ოთარ ჩიმაკაძემ ვალერიან კობახიძეს პრაქტიკულ საქმიანობისაგან მოწყვეტა და მხოლოდ თეორიული კატეგორიებით მსჯელობა უსაყვედურა. გეთანხმებით, ეს მთლად ტაქტიანი ბრალდება არ იყო კაცისაგან, რომელმაც გეოლოგიის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე ვალერიან კობახიძე შეცვალა, მაგრამ რას ვიზამთ, კამათი კამათია და მიზანი— მიზანი! ბატონმა ოთარ ჩიმაკაძემ მოწინააღმდეგეებს საკმაოდ შეურყია პოზიცია. კერძოდ, მან თქვა, რომ საექსპერტო კომისია მხოლოდ კობახიძის კათედრის წევრებით არის დაკომპლექტებული, რომელთა უმრავლესობას არც კი ესმის პრაქტიკული საქმიანობა და ქარხნის მნიშვნელობა. ისინი ხალხს, კუთხეს , ცალკეულ ადამიანებს ეკოპწიაევებიან, თავიანთი პიროვნების, მამულიშვილობის წარმოჩენას ცდილობენ და რესპუბლიკის ეკონომიკა სულაც არ აღელვებთ, და, საბოლოოდ, შერეული კომისიის შექმნა მოითხოვა. არც ვალერიან კობახიძე დარჩა ვალში. მან განაცხადა, თანახმა ვარ შედგეს შერეული კომისია. უფრო მეტიც, თანახმა ვარ, ამ კომისიაში გეოლოგიის სამმართველოდანაც შევიდეს რომელიმე ავტორიტეტული სპეციალისტი, თუნდაც არჩილ გორდელი. იმაზეც თანახმა ვარ, კომისიის თავმჯდომარე არჩილ გორდელი იყოსო. მე მჯერა, ბატონ არჩილმა ეკოლოგია კარგად იცის და არც პატიოსნება აკლიაო.

— გულწრფელად რომ გითხრათ, ოთარ ჩიმაკაძე შეაკრთო ამ სიტყვებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ რა, ცუდად ხართ ბატონ ოთარ-თან?

— როგორ გეკადრებათ, პირიქით! ალბათ არ ელოდა, მოწინააღმდეგენი თუ დამასახელებდნენ კომისიის თავმჯდომარედ.

— ვფიქრობ, სურათი უკვე ნათელია. გთხოვთ, გაბრძანდეთ ჩემს დასასვენებელ ოთახში და შეუდგეთ მასალების გაცნობას.

— მასალებს შინ წავიღებ. მე თანახმა ვარ, ვიყო საექსპორტო კომისიის თავმჯდომარე!

ვლადიმერ გორდაძემ სიხარული ვერ დამალა.

— ვიცოდი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. პირველ მდივანს დღესვე გადავცემ თქვენს თანხმობას. საბოლოო დასკვნის დაწერის დროს ეცადეთ ,სამთო გეოლოგიის სამმართველოს შექმნის აუცილებლობა გაცილებით საფუძვლიანად დაასაბუთოთ, ვიდრე ეს ნოდარ ქედიშვილმა გააკეთა. იგი მაინც თეორეტიკოსი მეცნიერია. თქვენ არ გაგიჭირდებათ წინ წამოსწოთ პრობლემების ეკონომიკური მხარე. გახსოვდეთ, ეს საჭიროა საქმისათვის (ამ სიტყვებს თავმჯდომარის მოადგილემ შეთქმულივით გაუსვა ხაზი) და კიდევ ერთი რამ მინდა წინასწარ მოგახსენოთ. კომისიაში თქვენთან ერთად იქნებიან აკადემიკოსი მიხეილ ტყემალაძე, პროფესორები გიორგი გოლეთიანი და ჯუმბერ კახაბრიშვილი. საჭიროა მათთან მუშაობაც. კიდევ გიმეორებთ, ჩვენ ხალხი უნდა მივიმხროთ. კომისიაში შეყვანილმა საყოველთაოდ ცნობილმა ავტორიტეტებმა უნდა დაამტკიცონ, რომ დარიშხანის წარმოება არავითარ საფრთხესთან არ არის დაკავშირებული და რომ ეს წარმოება ერთადერთი მძლავრი და სწრაფი გზაა ყველა მიმართულებით რაიონის აღორძინებისა. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ბატონ მიხეილ ტყემალაძეს ალბათ შეახსენებთ, რომ საბჭოების არჩევნები კარსაა მომდგარი. ამჯერად ვიცე-პრეზიდენტი შეიძლება ველარც კი ავირჩიოთ დეპუტატად. სამივეს ოსტატურად, შენიღბულად შეახსენეთ ისიც, რომ პირველი ძალზეა დაინტერესებული დარიშხანის გამამდიდრებელი ქარხნის მშენებლობით.

8

— ამბიციურობა, ბატონო ჩემო, მეტნაკლებად ყველა ადამიანს ახასიათებს. სულ სხვაა მძიმე ხვედრისაგან დაჩაგრული და გასაცოდავებული კაცი. იგი თუ წელში ოდნავ მაინც წამოიმართა და წლების მანძილზე სადღაც, გონების სიღრმეში შეკუჭული და დასუსტებული ამბიციურობის ვირუსი გამოუცოცხლდა, აი, ესაა უბედურება! ერთ უჯრედში, მტკიცე გარსში მოქცეული, დასუსტებული ბაცილა უმალვე გაძლიერდება და მთელ სხეულს ცეცხლის ალივით მოედება, გეთანხმებით, სავსებით მართალი ბრძანდებით, რასაკვირველია, გამონაკლისებიც არიან. თუმცა მთელი პასუხისმგებლობით ისიც მინდა დავძინო, გამონაკლისები არასდროს ამინდს არ ჰქმნიან. გამონაკლისი იმ ერთ წვეთად რჩება, რომელიც გნებავთ, ჩავარდნილა ცხოვრების დიდ, მძლავრ მდინარეში და გნებავთ არა! მეთანხმებით, ხომ? ძალიან კარგი. მიირთვით კონიაკი. მე აგერ უკვე მესამე ჭიქას ვივსებ, თქვენ პირველიც არ დაგილევიათ. თუ გნებავთ, ღვინოს მოვატანინებ. არა? კონიაკს ამჯობინებთ? მით უკეთესი. გთხოვთ მიირთვათ.

საოცარია, რომ არ ეწევით! სულ მეგონა, სიგარეტი აუცილებელი რამ იყო მწერლისათვის, მით უმეტეს, მუშაობის დროს. მე რომ ვეწევი, ფიქრი მიადვილდება. ნაფაზის მერე ბოლს რომ ამოვუშვებ, ასე მგონია, მას მოჰყვება ჩემი ნააზრევი. კიდევ მეტი მინდა გითხრათ. მარტო რომ ვარ, ჩიბუხს ვესაუბრები კიდეც. დიახ, ძალიან მიკვირს, რომ არ ეწევით ქალალდთან და

საწერ-კალამთან მარტო დარჩენილი, რაიმე სახეს რომ ეძებთ ან რომანის სიუჟეტურ ბადეს რომ ხლართავთ, ნუთუ იმ წუთში მეგობარი, თანამოსაუბრე არ გჭირდებათ? თანაც ისეთი მეგობარი. ლაპარაკით რომ არ გაწუხებს, შენს აზრებს რომ უსიტყვოდ იზიარებს. ხელს კი არ გიშლის, პირიქით, ახალ ენერგიას განიჭებს! ხომ წარმოგიდგენიათ, ან ხომ გქონიათ შემთხვევა, მძიმე ტვირთი რომ ვერ აგიწევიათ, მხარზე ვერ შეგიდგამთ. ამ დროს ვიღაცის ხელის წამოშველება და ტვირთიც აწეულია! არა, ქალს არ ვგულისხმობ, თვით უსაყვარლეს, შენი შემოქმედებისა თუ საქმიანობის შთამაგონებელ ქალსაც კი. განა ქალთან ერთად წერა შეიძლება? მე უსულო მეგობარზე მოგახსენებთ, გაჭირვების, განსჯის თუ აღმაფრენის ჟამს მეგობარივით რომ ელაპარაკებით. აი, თუნდაც მე რომ ხან ხმამაღლა, ხან ჩურჩულით, ხან კი სრულიად უხმოდ ველაპარაკები ხოლმე ჩემს ჩიბუხს. წარმოიდგინეთ, ხანდახან ვეკითხები კიდეც, რჩევასაც ვთხოვ. იგი ხმას არ იღებს. დიახ, ბუნებრივია, ხმას ვერც ამოიღებს, მაგრამ აშკარად მშველის, საკითხის გადაჭრას აშკარად მიადვილებს. საოცარია, არა? ხშირად, რაღაც რომ მეეჭვება, კვლავ ჩიბუხს ვესაუბრები, თამბაქოს ბოლს ვაკვირდები. არაფერი უფრო უებარი რამ არ გახლავთ ეჭვის გასაფანტავად, ვიდრე ჩიბუხი და თამბაქოს ბოლი. ბარემ მეორე ჭიქაც მიაყოლეთ. წეღან, თუ არ ვცდები, გარდასულ დღეთა სადღეგრძელო, მეგობრების სადღეგრძელო შევსვი. რა მშვენიერი ლექსი და სიმღერაა „მოგონებანი გარდასულ დღეთა“. აი, ასე. ახლა თუ ნებას მომცემთ, მომავლის სადღეგრძელო დავლიოთ. დიახ, მომავალ დღეებს გაუმარჯოს. მართალია, ჩვენი სადღეგრძელო მათ ვერაფერს შემატებს ,ვერ გაალამაზებს, სასურველს ვერ გახდის, ყველაფერი მაინც ისე მოხდება, როგორც ბედისწერამ დაგვიკანონა, მაგრამ სადღეგრძელო, ხომ სურვილია! სურვილისა და ოცნების უფლება კი ადამიანისათვის არავის წაურთმევია. მეცოდება კაცი, რომელსაც ოცნების არც სურვილი აქვს და არც ნიჭი. თუ გარდასულ წლებს გადავხედავთ, როდის ვიყავით ჩვენ ყველაზე ბედნიერნი? რასაკვირველია, ოცნებაში. და თუ კაცს ოცნების უნარს წაართმევ, მას ართმევ თავისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ წუთებს!

პაუზა, ნაფაზი, ჭერისკენ მიპყრობილი მეოცნებე თვალები.

— ერთი რამ მინდა გიამბოთ, ბატონო ჩემო. ერთ ჩემს საოცარ აღმოჩენაზე მინდა გესაუბროთ. მაპატიეთ, ასე უმოწყალოდ რომ ვღლი თქვენ გონებას. თემიდან თემაზე ისე გადავრბივარ, პატარა ბავშვი რომ ბორცვებზე ხტუნაობს. რა ვქნა, ბევრი რამ მინდა გიამბოთ. მოსაყოლი ამბები კი ბადეს ამოყოლილი თევზებივით ერთმანეთში ირევიან და აღარ ვიცი, ლაყუჩებში ხელი რომელს ჩავავლო. აღმოჩენა-მეთქი, რომ მოგახსენეთ, არ შეშინდეთ, არ იფიქროთ, რაიმე მეცნიერულ თეორიაზე ვაპირებდე საუბარს. ერთი შეხედვით სრულიად უბრალო ფსიქოლოგიურ ნიუანსზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება. ერთხელ სოფელში ვიყავი. თანაც წარმოიდგინეთ მთიანი საქართველოს მივარდნილი სოფელი. ქალაქის განათებულ ქუჩებში ღამით სიარულს მიჩვეულმა, გამოგიტყდებით, ცოტა ნასვამმაც, ერთ ჩემს მეგობართან საუბარი რომ მომესურვა, ღამის ორ საათზე დავადე თავი და ერთი სოფლიდან მეორეში წავედი.. მალე სოფელს გავცდი და კუნაპეტ სიბნელეში აღმოვჩნდი. გზას რომ ძლივს ვიკვლევდი, მაშინღა გამოვერკვიე და, თქვენ წარმოიდგინეთ, შიშმა შემიპყრო. მექანიკურად ჯიბიდან ჩიბუხი ამოვიღე. ვერ წარმოიდგენთ, როგორ დავმშვიდდი. უკვე მარტო აღარ ვიყავი. მივდიოდით ორნი, მე და ჩიბუხი. მივდიოდით და ვსაუბრობდით. ერთხელ სიცილიც ამიტყდა. ასე გავლიეთ სამ-

კილომეტრიანი გზა. სოფლის ჩაბნელებულ სასაფლაოსაც კი ჩავუარეთ გვერდით, მაგრამ შიშზე ფიქრისთვისაც კი აღარ მეცალა. უცნაურია არა? (მცირე პაუზა. წამონთებული თვალები, ჩემგან მხარდაჭერას რომ ელოდა), კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ. ჩემი აზრით, ცოტა აუხსნელი, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მაინც აუხსნელი რამ. აი, ვთქვათ, კაცი ზის და საზამთროს ჭამს. ჩავუარეთ გვერდით. არავითარი განცდა, არავითარი ყურადღება, არავითარი ინტერესი. ახლა კი მეორე სურათი წარმოვიდგინოთ ვთქვათ, საღამოს ვზივართ აივანზე და დურბინდით ვიცქირებით მეორე მხარეს. უცებ ერთ-ერთი ფანჯრის მიღმა შევამჩნიეთ, რომ ვიღაც მაგიდასთან ზის და საზამთროს ჭამს. თუკი მსგავსი შემთხვევა არ გქონიათ, მენდეთ, უმალვე ცნობისმოყვარეობა შეგიპყრობთ. კითხვებიც მრავალი შემოგეხვევათ ყოველი მხრიდან: როგორ ჭამს, რას იზამს ჭამის დამთავრების შემდეგ, როგორ წამოდგება, როგორ გადაყრის ქერქებს და ათასი სხვა სისულელე! ამიხსნის ვინმე, მსგავს სიტუაციებში რატომ იპყრობს კაცს ცნობისმოყვარეობა?! თქვენ მწერალი, მაშასადამე ფსიქოლოგი ბრძანდებით. იქნებ თქვენ ამიხსნათ ადამიანის ტვინის საიდუმლო?

პაუზა. ნაფაზი, პასუხის მოლოდინი.

— ახლა რომ შორიდან ვინმემ მომისმინოს, გიჟი თუ არა, შექანებული მაინც ვეგონები! — გააგრძელა უცებ საუბარი არჩილმა, — შეიძლება ამ წუთში უკეთესი აზრი არც თქვენ გაქვთ ჩემზე. მაინც გავბედავ და გთხოვთ, დააკვირდეთ თქვენს თავს. იმდენ საოცრებას აღმოაჩენთ საკუთარ არსებაში, რომ აუცილებლად გაიზიარებთ ჩემს დასკვნებს: ყოველი ადამიანი ორი ადამიანია. ბოდიშს ვიხდი, ზუსტად ვერ მოგახსენეთ ჩემი სათქმელი. ადამიანი თითქოს ორი არსებისაგან შედგება, ერთი თვითონ, რომელიც აზროვნებს და მოქმედებს. მეორე, რომელიც მის სხეულში, მის ტვინში ზის და ძალზე ხშირად თქვენს მაგივრად იღებს გადაწყვეტილებებს. არ ვიცი, რამდენად ზუსტად მოგახსენეთ ჩემი სათქმელი. თუმცა ეს არაა მთავარი. უნებურად გზიდან გადავუხვიე. სულ სხვა საკითხზე მსურდა თქვენთან აზრის გაზიარება, სულ სხვა თეზები კი ამოხტნენ აუზიდან. ადამიანის ამბიციურობაზე დავიწყე საუბარი. გახსოვთ, არა? ძალიან კარგი. ერთმა ჩემმა მეგობარმა მეუღლეს ქურქი უყიდა, თურმე ზუსტად ისეთივე ქურქი ჰქონია სადარბაზოში მოპირდაპირე ბინაში მცხოვრებ მეზობელ ქალბატონსაც. განაწყენებულა ლამაზი ქალბატონი, უპირატესობა დაკარგა მთელ უზარმაზარ შენობაში თუ არა, საკუთარ სადარბაზოში მაინც; და იცით, რა მოიმოქმედა? არაფრად ჩაუგდო ის ამბავიც, მეზობელთან რომ ძალზე მეგობრული, შინაურული ურთიერთობა ჰქონდა და მის ჯიბრზე ქურქი თავის შინამოსამსახურე რუსის ქალს აჩუქა!

პაუზა, ანთებული, უფრო მეტიც, აღგზნებული თვალები და გამოხედვა. უცებ იმედის გაცრუება და გაოცება.

— ბატონო ჩემო, მეგონა, მეტი ემოციით შეხვდებოდით ამ საშინელ მეშჩანობას და სულმდაბლობას!

გამეცინა.

— ხედავთ? იცინით კიდეც. შეიძლება იმიტომ იცინით, რომ თქვენთვის დიდ სიახლეს არ წარმოადგენს ჩემი ფსიქოლოგიური დაკვირვებანი. არა, ჩემი დაკვირვების თაობაზე იმიტომ კი არ გესაუბრებით, ჩემი მეცნიერული თუ ფსიქოლოგიური მიგნებებით რომ თავი მოგაწონოთ. მე ყველაფერი ჩემი შეცდომების გამამართლებელ, ხოლო ზოგჯერ ჩემი უღირსი საქციელის შემამსუბუქებელ ადამიანურ თვისებათა ნათესაობას, უფრო მეტიც, ცხოვრებისეულ კანონზომიერებას ვეძებ. თქვენ მწერალი ბრძანდებით, ბუნებრივია, ჩემზე მეტად და ღრმად

იცნობთ ერის კულტურულ ცხოვრებას. სიმფონიურ მუსიკაზე რა აზრისა ხართ? კარგის? მაშინ, ალბათ, დირიჟორ ენრი დუგლაძის შემოქმედებასაც იცნობთ, არა? ბოდიშს გიხდით, ცოტა უტაქტო შეკითხვა კი გამომივიდა, მაგრამ ახლა ეს არაა მთავარი. მართლაც, რომ მშვენიერი დირიჟორია. მე მომისმენია მისი ეგმონტი, შოსტაკოვიჩის მეხუთე სიმფონია, ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია. შევეშვათ ურთულეს ნაწარმოებებს, გავიხსენოთ თუნდაც „კარმენის" უვერტიურა რომელიმე გალა-კონცერტზე. ალბათ დაჰკვირვებიხართ მის არტისტიზმს. მერე და, როგორი პლასტიურია, რა ლამაზი, დახვეწილი და შთამაგონებელია მისი ყოველი მოძრაობა, ყოველი ჟესტი, შეუძლებელია ,მისი დირიჟორობის დროს თვალი დახუჭო და მთლიანად მუსიკაში ჩაეფლო. მისი ყოველი მოძრაობა ნაწარმოების ორგანული ნაწილია, თვითონ მუსიკაა. იგი ამოდენა ორკესტრში თითქოს ყველა მუსიკოსს, ყველა ინსტრუმენტს ცალკე ესაუბრება. და თქვენ გესმით ეს საუბარი, ხვდებით, რა უნდა დირიჟორს, რას ეხვეწება საყვირებს, ვიოლინოებს... და თქვენ საოცრად წვდებით ურთულესი ნაწარმოების აზრს!

კვლავ გაბრწყინებული თვალები, კვლავ გაოცება, რომ აღტაცებისაგან მეც ისევე არ წამომენთო სახე, როგორც მას. თუმცა გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ მართლა გამაოცა მისმა ნაამბობმა. გამაოცა და დამაეჭვა. დავიჯერო, ასე ღრმადაა იგი ჩახედული სიმფონიურ მუსიკაში, თუ მისი გაწაფული ყური რადარივით იჭერს თბილისის ფსევდოსალონებში გამოთქმულ აზრებსა და შემდგომ ოსტატურად ასაღებს საკუთარ ნააზრევად?!

— მოგეხსენებათ, ბატონ ენრის ოპერების სადირიჟოროდაც იწვევდნენ წლების მანძილზე, თუმცა მას ოპერა არ უყვარდა. არა, სწორად მინდა გამიგოთ. ოპერა კი უყვარდა, როგორ არ უყვარდა, მე ნაწარმოებებს როდი ვგულისხმობ! ეტყობა, ძალიან ვღელავ და სიზუსტე დააკლდა ჩემს ნათქვამს. ოპერა მას არ უყვარს იმიტომ, რომ თვითონ საორკესტრო ორმოში უწევს დგომა, მსახიობები კი სცენაზე ბობოქრობენ. ყოველი არიის შემდეგ ტაში და, მით უმეტეს შეძახილები, მხოლოდ მსახიობს ეკუთვნის. დირიჟორი კი მოთმინებით ელოდება, ტაში როდის შეწყდება, რომ ნაწარმოები გააგრძელოს. რაო, როგორ ვთქვი? მოთმინებით ელოდებამეთქი. არა, ბატონო, უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები, ბოღმით ელოდება, ბოღმით! არა, ღმერთმა დაგვიფაროს, ყველა რომ ასეთი იყოს. მე, კერძოდ, ენრი დუგლაძეზე მოგახსენებთ. თუმცა მარტო ენრი რომ იყოს ასეთი, მაშინ რა გვიშავდა. დიახ, ბატონო ჩემო, ამბიცია კლავს, ტაშის დიდი ნაწილი მსახიობებს რომ ეკუთვნის. სიმფონიური ორკესტრი კი სულ სხვა რამ გახლავთ. იქ დირიჟორი დასაწყისიდან დასასრულამდე მოვლენათა შუაგულში დგას. ამიტომაც ვერ იტანს იგი მსახიობებს, განსაკუთრებით მსმენელთა და მაყურებელთა კერპებს. ყველგან ცდილობს მათ დამცირებას. ინტერვიუებში თუ დიალოგებში მაყურებელთა რჩეულებს ოსტატურად კბილს გაკრავს ხოლმე. სათაყვანებელი მომღერლების მიმართ არაპროფესიონალ მსმენელებს გულში ეჭვსა და უნდობლობას უთესავს (ხანმოკლე პაუზა). თუმცა ალბათ ისეთ რამეს გიყვებით, თვითონაც რომ მშვენივრად იცით. შეიძლება გულში ფიქრობთ კიდეც, შე კაი კაცო, იმას რატომ მიყვები, შენზე უკეთ რომ ვიცი, შენ ის მომიყევი, მეცნიერებაში, კერძოდ, გეოლოგიაში რა ხდებაო. მართალიც იქნებით. დარწმუნებული კი ვარ, რომ თქვენ, განათლებით ინჟინერი კაცი, არც მეცნიერების კულისებში იქნებით გაუთვითცნობი-

ერებელი. რასაკვირველია ,ჩვენი სფეროდანაც უხვად შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითები, მაგრამ ისინი ისეთი კაშკაშა როდი იქნებიან, საყოველთაოდ ცნობილ ადამიანთა შორის გათამაშებულ ინტრიგებს რომ შეედარონ. თუმცა ისიც მინდა დავძინო, მეცნიერებისა და ტექნიკის სამყაროს წარმომადგენლების ამბიციურობამ შეიძლება ძალზე დიდი ვნება მოუტანოს მთელ ერს, მთელ ქვეყანას. საბოლოო ჯამში კი — მთელ პლანეტას! და იცით, ყოველივე ამას რატომ გიყვებით? უფრო სწორად, ამოდენა შესავალი რატომ გამომივიდა? მეც ჩამიდენია სიგლახე, თანაც არა ერთი და ორი! ზოგჯერ უმნიშვნელო, ზოგჯერ პატარ-პატარა სიგლახეები. ვფიქრობთ, უმნიშვნელო მცდარი ნაბიჯები და პატარ-პატარა ამბიციური გამოხტომები ადამიანს ეპატიება. კარგად მოგეხსენებათ, რა დროშიც ვცხოვრობთ. მაგრამ ვერ იქნა და ვერ გადავხარშე, ჩემს თავს ვერა და ვერ ვაპატიე ერთი დიდი დანაშაული, სწორედ ამბიციურობამ, პატივმოყვარეობამ და იქნებ, შურისძიების წყურვილმაც რომ გადამადგმევინა!

9

არჩილ გორდელი სამსახურში აღარ მობრუნებულა. იცოდა, სამმართველოს უფროსი გამოიძახებდა. გულში მაინც ყოყმანობდა. იქნებ უკეთესი იყო, ბატონი ოთარ ჩიმაკაძე ენახა და მისი ინფორმაციაც მოესმინა. მართალია, სამმართველოს უფროსის დასკვნა ხელთ ჰქონდა, მაგრამ ხანდახან პირადი საუბარი, ცალკეული ფრაზის გამოთქმის ინტონაციაც კი უფრო ბევრს მიგვანიშნებს ხოლმე, ვიდრე ქაღალდზე ჩამოყალიბებული მოსაზრებანი. მაინც გადაწყვიტა, ჯერ მასალებს გასცნობოდა, ძირფესვიანად შეესწავლა, ყველაფერი აეწონდაეწონა და ოთარ ჩიმაკაძესთან ყოველმხრივ მომზადებული მისულიყო.

შინ არავინ დახვდა. მაცივარი გამოაღო. მხოლოდ ძეხვის ნაჭერი იპოვა. გაზი აანთო, ყავისათვის ჩაიდნით წყალი დაადგა, ხელები მერე გადაიბანა და ძეხვის ჭამას შეუდგა. ტანზე არ გაუხდია. იქნებ მასალების გაცნობისთანავე სამმართველოში წავიდე და დროის დაკარგვა არ ღირსო. თან ჭამდა, თან საექსპერტო დასკვნებს კითხულობდა და სქემებს დაკვირვებით ჩასჩერებოდა. საქმეში ჩაფლულმა გვიან შეამჩნია, რომ ორთქლი ჩაიდნის სახურავს ბურთივით ათამაშებდა.

კაცმა რომ თქვას, არც ქარხნის აშენების მოსურნეებისა და არც აშენების მოწინააღმდეგეების ახსნა-განმარტებანი და დასაბუთებანი ისეთს არაფერს შეიცავდა, მას რომ დაახლოებით მაინც არ სცოდნოდა. მთავრობა და გეოლოგიის სამმართველოს უფროსი იმიტომ იცავენ დარიშხანის გამამდირებელი ქარხნის მდინარე ხოტეურას ხეობაში აშენების იდეასა და უკვე დამუშავებულ პროექტს, რომ იციან, რაიონული ცენტრის ახლოს ქარხნის აშენება საქმეს ძალზე გააიოლებს და სამი წლით მაინც დააჩქარებს.

მოწინააღმდეგენი მოითხოვდნენ ქარხანა ადგილზევე გაეფართოებინათ. ამით ისინი მოსახლეობას დაიცავდნენ დარიშხანის მავნე ზემოქმედებისაგან. არჩილ გორდელმა, დაწვრილებით არა, მაგრამ მაინც იცოდა, მოსკოვში, სამინისტროში პროექტების განხილვის დროს ოთარ ჩიმაკაძეს მეორე პროექტი ლამის თავზე რომ გადაახიეს.

— უნდა იცოდეთ თქვენც და რესპუბლიკის ხელმძღვანელებმაც, — ბობოქრობდა თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, — ქვეყანას დარიშხანის მონოკრისტალები სჭირდება, სამშობლო საფრთხეშია, დარიშხანის მონოკრისტალებს კი, თქვენც მშვენივრად მოგეხსენებათ, უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება ლაზერულ ტექ-

ნიკაში. განსაკუთრებით, წყალქვეშა გემების პროექტორებისთვის გეჭირდება იგი!

მინისტრმა უფრო ტაქტიანად, მაგრამ ცბიერი ღიმილით მიმართა ოთარ ჩიმაკაძეს. თუ წლინახევრის თავზე ახალი ქარხანა მოგვცემს მონოკრისტალს, ჩათვალეთ, რომ ლენინის ორდენი უკვე მკერდზე გკიდიათო.

— შევეცდები, ყველაფერი დადებითად გადავჭრა, — თქვა დაფიქრებულმა ოთარ ჩიმაკაძემ. ისეთი მჭმუნვარე იერი დაედო, თითქოს ლენინის ორდენით დაჯილდოების ამბავი არც გაეგონოს. სინამდვილეში კი ცდილობდა, სიხარული ზედმეტი დაფიქრებით შეენიღბა. — დიახ, შევეცდები, ბატონო მინისტრო ,ოღონდ, მარტო ჩემი მცდელობით ფონს ვერ გავალთ. მაპატიეთ, რომ გითამამდებით, მაგრამ აუცილებელი იქნება თქვენი ზარი პირველ მდივანთან და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან.

— ნუ ღელავთ, მარტო ზარს არ ვიკმარებთ! — კმაყოფილებით გაიღიმა მინისტრმა,— მე თუ ვერ შევძელი, ჩემი პირველი მოადგილე ორთავეს ადგილზე მოინახულებს!

არჩილ გორდელს გული შეეკუმშა, ლენინის ორდენის ამბავი ყურმოკრულად იცოდა. ახლა კი მიხვდა და დარწმუნდა, რომ მოსკოვში მსგავსი დიალოგი ნამდვილად შედგა და გარიგებაც უკვე მოხდა. მიხვდა და სული მოეწამლა:

„ვინ იცის, ლენინის რამდენ ორდენად, ან კიდევ უფრო დაბალი ხარისხის ჯილდოს საფასურად იყიდება ქართული მიწა, საქართველოს ინტერესები!“

უმალვე ხოტეურას ხეობა დაუდგა თვალწინ. დარიშხანის მონოკრიტალის მისაღებად აუცილებელი ანკარა წყაროები, მზამზარეული გზა, იქვე რაიონული ცენტრი. თუ ქარხანას ძველ ადგილზე გააფართოებდნენ, საჭირო გახდებოდა ძველი, ვიწრო და დანგრეული გზის ნაცვლად ახალი გზის გაყვანა, ქარხნამდე ანკარა წყაროების ძალზე შორი მანძილიდან მიყვანა, კულტურული მომსახურეობისათვის შენობების აგება, პოლიკლინიკისა და საავადმყოფოს აშენება. აი, რამდენი პრობლემა ეხსნებოდა გეოლოგიის სამმართველოს უფროსს, თუკი ქარხანას ხოტეურას ხეობაში ააშენებდა. მართალია, სამი სოფელი უნდა აეყარა, მაგრამ საქმე მაინც გაცილებით იოლდებოდა.

„სამი სოფელი, ოთხასამდე ოჯახი ისედაც განადგურებულ რაჭაში. თანაც მთელი რაიონული ცენტრიც ხომ მეტისმეტად საშიშ ზონაში მოექცევა!“

დარღვეული იყო უსაფრთხოების ყველა პირობა, თუმცა პროექტის ავტორებს ყველაფერი ოსტატურად ჰქონდათ შენიღბული. ვინც საქმეში კარგად არ იყო ჩახედული, ვინც იქაურობას კარგად არ იცნობდა, პროექტში გამოსახული მონაცემები აუცილებლად მოატყუებდა.

თვითონ? თვითონ ხომ მშვენივრად იცნობდა იქაურობას? ხომ იცოდა, რაც ელოდა რაიონსა და სამ სოფელს?

სიბრაზე შემოაწვა. ფეხზე წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე ისევ დაჯდა. თვალი დახუჭა და წარმოიდგინა, საკავშირო მინისტრისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის წინაშე როგორ ცახცახებდა ოთარ ჩიმაკაძე. ისიც წარმოიდგინა, როგორი დამცინავი და მუქარით სავსე გამოხედვა ჰქონდა ორთავეს, როგორი ზიზღით შესჩერებოდნენ საქართველოდან ჩასულს გეოლოგიის სამმართველოს უფროსს. არასდროს არცერთი მათგანი არ ენახა, მაგრამ მაინც ნათლად ხედავდა ოდნავ ჩასუქებულ, უფლებებით გალაღებულ, ზედმეტად თვითდაჯერებულ მინისტრს, მბრუნავ სავარძელში მოკალათებული დამცინავად და იმავდროულად რისხვით რომ მისჩერებოდა ოთარ ჩიმაკაძეს. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი უფრო გამხდარი წარმოიდგინა, გამხდარი და მკაცრი. იმდენად უინტელექტო გამოხე-

დვა ჰქონდა, რომ არჩილ გორდელს გულწრფელად უკვირდა, ამ ცივი, გამოფიტული კაცის გონებაში თუ შეიძლებოდა, საერთოდ რაიმე აზრი მომწიფებულიყო. უცებ მინისტრმა ვითომ უჯრა გამოაღო, იქიდან ლენინის ორდენი ამოიღო და ოთარ ჩიმაკაძეს დაანახა. მერე ორდენი ჰაერში რამდენჯერმე შეატრიალ-შემოატრიალა და კვლავ უჯრაში ჩადო.

გამწარებული ფეხზე წამოიჭრა.

„რა ნამუსით უნდა ვიბრძოლო პროექტის გატანისათვის? რა ნამუსით უნდა შევხედო თვალებში ხალხს, კოლეგებს, მეგობრებს?!“

„არა, ასე მსჯელობა არ შეიძლება, სიფიცხე საქმეს არ მოუხდება. ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონო. განა მე ის კაცი ვარ, პროექტის გატანა ან არგატანა რომ შეუძლია? კარგი, ბატონო, მე წავალ და დღესვე ვიტყვი უარს კომისიის თავმჯდომარეობაზე. შეიცვლება ამით რამე? მთავარობას, სამმართველოს უფროსს სამუდამოდ გადავიკიდებ. საქმეს კი არაფერი ეშველება, სხვას დანიშნავენ ჩემს ადგილზე და ყველაფერი ამით დამთავრდება. ბუნებრივია, ჩემს მოსაზრებას დიდ ინგარიშს გაუწევენ. მე ხომ იმ სამმართველოს განყოფილების გამგე ვარ, იმ სამმართველოსი, ვინც ეს პროექტი შექმნა! დიახ, მხოლოდ საქმეს გავართულებ და მეტი არაფერი. თანაც დროებით გავართულებ, მეტი არაფერი. ნახე, როგორ თქვა, აკადემიის ვიცეპრეზიდენტს მოახლოებული არჩევნები შეახსენეო. განა ბატონი მიხეილ ტყემალაძე გაუძლებს ცთუნებას? განა კომისიის წევრებად შემოთავაზებული მეცნიერები გაბედავენ, წინ აღუდგნენ პირველის ნება-სურვილს?“

არჩილ გორდელი უცებ ფეხზე წამოიჭრა, ტანსაცმელი გაიხადა და საწოლზე თავდაყირა დაემხო.. თითქოს აღარაფერზე აღარ უნდოდა ეფიქრა, სურვილი ჰქონდა, .ბათიშულიყო, ოდნავ მაინც დაესვენა. ვერ შესძლო, მისი ტვინი ახლა ადუღებულ წყალს ჰგავდა, სადაც მოჩუხჩუხე აზრები ქაფას ჩაიდნის სახურავივით ათამაშებდნენ.

გულაღმა გადმობრუნდა და ჭერს შეხედა.

„ვთქვათ, დავდექი გეოლოგიის სამმართველოს მხარეს და დავიწყე მტკიცება, რომ დარიშხანის ქარხანა სიკეთის გარდა არაფერს მოუტანს რაიონს. როგორი თვალებით შემომხედავს ვალერიან კობახიძე? არ ვიქნები ღირსი, რომ მომაფურთხოს?! იქნებ სჯობია, მშვიდობიანი გამოსავალი მოვნახო და საექსპერტო კომისიის თავმჯდომარეობა თავიდან ავიცილო?!

სიხარულით ფეხზე წამოვიჭერი.

უცებ გეოლოგიის სამმართველოს ორად გაყოფის იდეა გაახსენდა და ერთ ადგილზე გაშეშდა. შემცბარი და ენერგიაწართმეული ნათურასავით ჩაქრა და ისევ საწოლზე დაემხო.

„თუ მე თავმჯდომარეობას თავიდან ავიცილებ, ახლად ჩამოყალიბებული სამთო გეოლოგიის სამმართველოს უფროსად იმ კაცს დანიშნავენ, ვინც მე შემცვლის საექსპერტო კომისიის თავმჯდომარედ. თუ ვალერიან კობახიძის მხარეს დავდგები, პროექტის წინააღმდეგ გავილაშქრებ და გავიმარჯვებთ, სამმართველოს უფროსად იდეის ავტორს ნოდარ ქედიშვილს უარს ვეღარ ეტყვიან. მე კი იმავე წუთში უნდა დავიხურო ქუდი და წავიდე სამსახურიდან. თვითონ რომ არ წავიდე, იძულებულს გამხდიან, მოვშორდე იქაურობას. მართალია, გამარჯვებაში ლომის წილი ჩემი იქნება, მაგრამ გამარჯვებულის გვირგვინს მაინც ნოდარ ქედიშვილი დაიდგამს თავზე.

„ქედიშვილი! ისევ ქედიშვილი!“

არჩილი უხალისოდ წამოდგა, სამზარეულოში გავიდა, ჭიქა მონახა და წყალი მოუშვა. დაელოდა, სანამ საკმაოდ ცივი წყალი წამოვიდოდა. ფიქრი ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია. ღრმა ფიქრმა ისე გაიტაცა, დაავიწყდა კიდეც,

წყლის დალევა რომ უნდოდა. შემდეგ, თითქოს გონს მოეგოო, წყალი ხარბად დალია, ჭიქა ისევ გაავსო, ონკანი დაკეტა, კვლავ თავის კაბინეტში გადავიდა, სავარძელში ჩაჯდა და წყლით სავსე ჭიქა, იქვე, იატაკზე დადო.

„ვთქვათ და გავილაშქრე დარიშხანის ახალი ქარხნის აშენების წინააღმდეგ. კომისიის თავმჯდომარედ უმალვე სხვა დაინიშნება და ქარხანა მაინც აშენდება. დიახ, ქარხანა აუცილებლად აშენდება. ასე სურს პირველს. რაკი სურს, ვერავითარი ძალა წინ ვერ გადაუდგება. მაშ, რატომ აჯანჯლებენ საქმეს? რატომ ირთულებენ ცხოვრებას? განა გარკვევით არ უთხრა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ჩვენ, უბრალოდ, არ გვინდა ხალხი ავალაპარაკოთ, თორემ ეგ საკითხი გადაწყვეტილიაო. დიახ ხალხის მომხრობა უნდათ და საექსპერტო კომისიის დასკვნაც იმიტომ სჭირდებათ, ყველაფერი უკუღმა უნდა დავხატოთ, ხალხი უნდა დავაჯეროთ, რომ დარიშხანის ქარხნის აშენება მხოლოდ სიკეთეს მოიტანს. დიახ, მხოლოდ სიკეთეს, ასეთია პარტიისა და მთავრობის ჩანაფიქრი.

ბუნებრივია, ქარხნის აშენების წინააღმდეგ თუ გავილაშქრებ, საზოგადოების, კუთხისა და კოლეგების პატივისცემას მოვიპოვებ. ისიც ხომ ნაღდია, ჩემი თავგამოდების ამბავი ერთი წლის შემდეგ აღარავის ემახსოვრება. სანაცვლოდ, სამუდამოდ გადავიკიდებ ოთარ ჩიმაკაძეს და იძულებული გავხდები, მივატოვო სამსახური. ბატონი ვალერიან კობახიძე დიდი სიამოვნებით მიმიწვევს კათედრაზე, მაგრამ კათედრაზე ჩემი მისვლა და შემდგომი მეცნიერული კარიერა უკვე დაგვიანებულია. მართალია, მეცნიერებათა კანდიდატი ვარ, თანაც საკმაოდ ცნობილი პრაქტიკოსი, მაგრამ სადოქტორო ხარისხზე მუშაობა მეცნიერებასთან ამდენწლოვანი მოწყვეტის შემდეგ ალბათ გამიჭირდება. თანაც იქ უკვე დამხვდება კათედრის მომავალი გამგე, პროფესორი და იქნებ მომავალი აკადემიკოსიც, ნოდარ ქედიშვილი.

„ნოდარ ქედიშვილი, ისევ ნოდარ ქედიშვილი!“

ტელეფონის ზარმა ფიქრი გააწყვეტინა. ქალბატონ ლონდას კითხულობდნენ.

— შინ არ გახლავთ! — ცივად მოჭრა არჩილმა და ყურმილი ბერკეტზე დააგდო.

„დიახ, ქარხანა მაინც აშენდება. და თუ აშენდება, არ სჯობია, ახლადშექმნილი სამთო გეოლოგიის სამმართველოს უფროსად მე დავინიშნო?! ბოლოს და ბოლოს, ცხოვრებაში ერთხელ ხომ მაინც უნდა მომეცეს საშუალება, დამოუკიდებლად ვიმუშავო, ყველაფერი ჩემს ჭკუაზე ავიწყო, საქმეც, ადამიანებიც ჩემს გონებას, ჩემს შეხედულებებს, ჩემს ორგანიზატორულ ნიჭსა და უნარს დავუმორჩილო! ბოლოს და ბოლოს, მედალს მეორე მხარეც აქვს. არც ისეა საქმე, ერთი შეხედვით რომ გვეჩვენება!

ბოლო ფრაზა მოეწონა, ღმერთმა იცი თითქოს ხსნასავით მოუვლინა. ფეხზე წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

„დიახ, არც ისეა საქმე, ერთი შეხედვით რომ გვეჩვენება. განა პროექტში ნათლად არ არის ჩამოყალიბებული, ქარხნის მშენებლობა რაიონს რამდენ სიკეთეს მოუტანს?! გაზი, სკოლები, საბავშვო ბაღები, ახალი საავადმყოფო, კინოთეატრი, ახალი აპარატურით აღჭურვილი პოლიკლინიკა სათბურები, და ვინ მოთვლის კიდევ რა!“

ბინაში შესასვლელი კარის საკეტის ხმამ ფიქრი გააწყვეტინა. უმალვე სავარძელში ჩაჯდა, უსიამოვნო გრძნობამ შეიპყრო. არ განძრეულა. გაღიზიანებულს ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ლონდამ დანაშაულზე წაასწრო. აზროვნების ძაფი გაუწყდა, ფიქრი ვერა და ვერ გააგრძელა. თვალი დახუჭა. ფიქრი მანამდე აღარ გაუგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძელებია, სანამ მეუღლემ საწოლი ოთახის კარი არ შეიკეტა.

არჩილ გორდელიც ჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ და ბუნებრივია, მთელი მისი განსჯა და პროტესტი მხოლოდ ნიღაბი იყო, ნიღაბი საკუთარი თავის წინაშე! არ უნდოდა, იოლად ელიარებინა, გარეწარი და ეგოისტი ვარო. ცდილობდა საკუთარი თავი დაერწმუნებინა, რომ ჭეშმარიტი პატრიოტი და მოქალაქე გახლდათ თავის ერისა. ან კი რატომ არ უნდა დაერწმუნებინა? განა ფიქრი და განსჯა დაკლო დარიშხანის ქარხნის მშენელობის საკითხს?! განა მისი უარყოფითი და დადებითი მხარეები არ შეუფარდა ერთმანეთს?! განა ცხოვრებისეული ყველა ნიუანსი არ გააანალიზა?! განა იმასაც არ მიხვდა, რომ მისი, არჩილ გორდელის პროტესტი საქმის ვითარებას არ შეცვლიდა?! განა ღირდა მომავლის, კარიერის უაზრო გაწირვა?! და ბოლოს, განა თვითონვე არ მივიდა აზრამდე, „არც ისეა საქმე, ერთი შეხედვით რომ გვეჩვენებაო?! ბოლოს და ბოლოს, პირველი წინადადებისთანავე ხომ არ დასთანხმებია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ხომ გამოთქვა თავისი უარყოფითი მოსაზრებანიც!

უცებ შვებით ამოისუნთქა, სინდისის ყოველგვარი ქენჯნა მოეხსნა. სიმართლისათვის მებრძოლი მამულიშვილის სცენა, საკუთარ თავს რომ ჩაუტარა, საკმარისი აღმოჩნდა, მტკიცე გადაწყვეტილება მიეღო და საქმეს უყოყმანოდ შესდგომოდა. ბუნებრივია, აღარავითარი სურვილი არ ჰქონდა თავის თავს გამოსტყდომოდა, კუთხის, ერის წინაშე დიდ დანაშაულს ჩავდივარო. პირიქით, რაკი საკუთარი თავი საბოლოოდ დააჯერა, მართალი ვარო, დღეიდანვე სხვებიც უნდა დაერწმუნებინა თავისი გადაწყვეტილების სიმართლეში. იულიუს კეისარივით ახლა უკვე შეეძლო ეთქვა, წილი ნაყარიაო. საბუთები საქალალდეში ფრთხილად მოათავსა და გეოლოგიის სამმართველოს უფროსის ტელეფონის ნომერი აკრიფა.

10

საექსპერტო კომისიის სხდომა მეცნიერებათა აკადემიის მცირე დარბაზში გაიმართა. ვალერიან კობახიძეს თავდაპირველად უნდოდა, სხდომა ინსტიტუტში, მის კაბინეტში ჩატარებულიყო. უმალვე გადაიფიქრა, მიხვდა, არაფერი გამოუვიდოდა. კამათის მარცხით დაწყება არ ღირსო, დაასკვნა კობახიძემ და მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის წინადადებას, სხდომა აკადემიაში ჩავატაროთო, უყოყმანოდ დეთანხმა.

არჩილ გორდელი გულწრფელი სიყვარულით გადაეხვია ვალერიან კობახიძეს, როგორ ბრძანდებით, ოჯახში ხომ კარგად ხართ, მაპატიეთ, რომ მოუცლელობისა და ტყე-ღრეში ხეტიალის გამო ყურადღებას ვეღარ გაქცევთო, — დააყარა სეტყვასავით. მერე ნოდარ ქედიშვილსაც გადაეხვია და სკამი უხმოდ შესთავაზა.

ვალერიან კობახიძის დანახვამ წინასწარ შემუშავებული გეგმა თითქმის მთლიანად დაუნგრია. კვლავ დაეუფლა უხერხულობისა და სირცხვილის განცდა. აწრიალდა, აღარ იცოდა, რა ექნა.

— ბორჯომი ხომ ცივია, ქალბატონო ნათელა? — ჰკითხა უცებ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის მიხეილ ტყემალაძის მდივანს.

— რასაკვირველია! — იწყინა ვიცე-პრეზიდენტის მდივანმა. იგი ვერ მიხვდა ,რომ აწრიალებული არჩილი ადგილს ვერ პოულობდა, აღარ იცოდა, რა ეთქვა და ბორჯომის ტემპერატურითაც მიტომ დაინტერესდა.

ქარხნის აშენების მოწინააღმდეგენი დროზე ადრე მოვიდნენ. არჩილმა ყველანი ყურადღებით შეათვალიერა და ღიმილით მიესალმა. უცებ დარბაზში

ორი უცნობი ახალგაზრდა შემოვიდა.

„ალბათ ესენი არიან ჟურნალისტები“, — გაიფიქრა არჩილმა და ორთავე მუშტრის თვალით გაზომა.

მალე პროფესორი ჯუმბერ კახაბრიშვილიც გამოჩნდა, მას ფეხდაფეხ პროფესორი გოლეთიანიც მოჰყვა.

— ვიღას ველოდებით? — უკმაყოფილოდ იკითხა ვალერიან კობახიძემ და საათს დახედა.

— ბატონ მიხეილს! — ღიმილით მიუგო არჩილ გორდელმა და თან საკუთარ თავზე გაბრაზდა, ამ ოც წუთში რომ გავიღიმე, ამდენი, მგონი, მთელი წლის განმავლობაში არ გამიღიმიაო.

დუმილი ჩამოვარდა, არჩილმა აღარ იცოდა, რა ეთქვა. მთელი ძალებით საკუთარ თავს ებრძოდა. ცდილობდა, წეღანდელი დაბნეულობა გაეფანტა, გონს მოსულიყო და საბრძოლო შემართება დაებრუნებინა.

ჟურნალისტები მაგიდის მოპირდაპირე მხარეს, ფანჯარასთან ჩამოსხდნენ სკამებზე, ვალერიან კობახიძემ, ნოდარ ქედიშვილმა და პროექტის მოწინააღმდეგე კიდევ ორმა მეცნიერმა თავმჯდომარიდან მაგიდის მარჯვენა მხარე დაიჭირეს. მარცხნივ გიორგი გოლეთიანი და ჯუმბერ კახაბრიშვილი დასხდნენ. თავმჯდომარის მხარეს პირველი სკამი თავისუფალი დატოვეს, სადაც, სუბორდინაციის ყველა წესის დაცვით, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი მიხეილ ტყემალაძე უნდა დამჯდარიყო. არჩილი ფეხზე იდგა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ლამის ოფლს იწურავდა.

დუმილი აუტანელი ხდებოდა. მოწინააღმდეგენი ცდილობდნენ, ერთმანეთისათვის თვალებში არ შეეხედათ. თითქოს ეშინოდათ, კამათი ნაადრევად არ დაწყებულიყო და ბრძოლის წინასწარ შემუშავებული გეგმა არ დანგრეოდათ.

ბოლოს მიხეილ ტყემალაძეც გამოჩნდა. ვიცე-პრეზიდენტი ყველას მიესალმა ,ბოდიში მოიხადა და თვალით მისთვის დატოვებული თავისუფალი სკამი მონახა.

— თავში დაბრძანდით, ბატონო მიხეილ! — შესთავაზა არჩილმა.

დაჯექი, საქმეს მიხედეო, კვლავ უსიტყვოდ ანიშნა მიხეილ ტყემალაძემ, მერე მაგიდაზე გადაიხარა და ვალერიან კობახიძეს ხელი ჩამოართვა.

არჩილ გორდელმა თავისი ადგილი დაიჭირა და დარბაზში მსხდომთ თვალი შეავლო. ძალთა თანაფარდობა ოთხი ოთხზე იყო, თუმცა ქარხნის აშენების მოწინააღმდეგეებს ორი ჟურნალისტი ჰყავდათ სამარქაფოდ.

— ბატონებო,—დაიწყო მხნედ არჩილმა, — ვერ წარმოიდგენთ, რა უხერხულ დღეში ვარ... (პაუზა, ღიმილი). მე გახლავართ ამ საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე, რომლის წევრებიც გეოლოგიისა და სამთო საქმის ამდენი კორიფე ბრძანდებით.

— მეც კორიფეებში გამიყვანეთ? — ცოტა არ იყოს, დამცინავად გაიცინა ნოდარ ქედიშვილმა.

არჩილი შეკრთა, ბუნებით წყნარი ქედიშვილისაგან ამგვარ გამოხდომას ნამდვილად არ ელოდა.

— არა გრცხვენიათ? თქვენ მაგას როგორ გაკადრებდით, ბატონო ნოდარ! — ისეთი შეწუხებული ხმით თქვა არჩილ გორდელმა, რომ წინასწარ სასტიკი ბრძოლისათვის მომზადებულ ვალერიან კობახიძესაც კი სიცილი წასკდა.

ქედიშვილმა ტუჩზე იკბინა. მიხვდა, სიტყვიერი დუელი მისი საქმე არ იყო.

— დიახ, — ვითომც აქ არაფერიაო, ისე გააგრძელა სიტყვა არჩილმა და ამჯერად ხაზგასმულად გაიმეორა წეღან ნათქვამი ფრაზა, — ნამდვილად მეუხერხულება, იმ საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე რომ ვარ, რომლის წევრებიც გეოლოგიისა და სამთო საქმის ამდენი კორიფე ბრძანდებით. ვფიქრობ, თავმჯდომარეობა არცერთ თქვენგანს იმიტომ არ შეკადრეს, რომ პრობლემის გადასაჭრელად ბევრი პრაქ-

ტიკული და საორგანიზაციო საკითხი იყო მოსაგვარებელი. წვრილმანი საქმეებით თქვენი შეწუხება კი ნამდვილად არ იქნებოდა ლამაზი და გამართლებული. ამიტომაც იყო ალბათ, რომ პირველ კომისიას ბატონი ქედიშვილი თავმჯდომარეობდა, ხოლო მეორეს — მე!

არჩილმა ქედიშვილს შეხედა და პატარა პაუზა გააკეთა.

მისი თვალები და სახე ერთდროულად დაცინვით, ზიზღითა და რისხვით იყო სავსე. წელანდელი დაბნეულობა სადღაც გაუქრა. გორდელმა ერთბაშად იგრძნო ენერგიის მოზღვავება და ბრძოლის ჟინი. ნოდარ ქედიშვილი გულში რომ მწარედ ნანობდა, რა ძალა მადგა, ვერ დავეტიე ჩემს ტყავშიო, ვერც კი გრძნობდა, მოწინააღმდეგე საბრძოლველად როგორ განაწყო.

— წვრილმანებზე თქვენი შეწუხება კი ნამდვილად არ იქნებოდა ლამაზი და გამართლებული, — გაიმეორა არჩილმა, — დიახ, ერთია საორგანიზაციო მხარე, უამრავი გულისგამაწვრილებელი დეტალი, მეორეა სახელოვანი მეცნიერების ავტორიტეტული მოსაზრებანი და ობიექტური დასკვნები. მართალია, დარიშხანის ქარხნის მშენებლობის საკითხს დაწვრილებით არ ვიცნობდი, მაგრამ მშენებლობის არსი, მეტნაკლებად ჩემთვის ცნობილი იყო. კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნისთანავე ღრმად გავეცანი პროექტს, ყველა მოსაზრებას, დადებითსაც და უარყოფითსაც. ამიტომაც აღარ შემიწუხებია კომისიის წევრები, კერძოდ, ბატონი ვალერიან კობახიძე. თქვენი მოსაზრებანი ჩვეული მეცნიერული სიღრმითა და სიზუსტით არის ჩამოყალიბებული საექსპერტო დასკვნებში. ამ ოთხი დღის წინ ბატონი მიხეილი, ბატონი გიორგი, ბატონი ჯუმბერი და მე ვიმყოფებოდით ლუხუნისა და ხოტეურას ხეობებში. პირადად ჩემთვის ორთავე ხეობა ნაცნობი გახლავთ, მაგრამ მაინც მინდოდა ყველაფერს დაწვრილებით გავცნობოდი, ყველა ნიუანსი შემესწავლა და გამეთვალისწინებინა. მიხეილ, ჩემი მოსაზრებანი და შეხედულებანი მთლიანად რომ დაემთხვა ჩემთვის საპატიო მეცნიერების აზრს. არ ვიცი, როგორი იქნება ჩვენი შეკრების შედეგი, ერთი რამ კი მჯერა, თქვენი რანგის მეცნიერები და, რასაკვირველია, პირველ რიგში, ერის სახელოვანი შვილნი, არ გადადგამენ ისეთ ნაბიჯს, საქართველოს ამ უმშვენიერესი კუთხისათვის რომ იქნება საზიანო.

კიდევ ერთხელ გავბედავ და მოკრძალებით შეგახსენებთ, საკითხს ცალმხრივად ნუ მივუდგებით. პირდაპირ მინდა ვთქვა და უმორჩილესად გთხოვთ, სითამამეში ნუ ჩამითვლით, მეცნიერი რომელიც არ იცნობს წარმოების რთულ მექანიზმს და მისთვის ქვეყნის ეკონომიკას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, დასკვნების გამოტანისას გაცილებით თამამია და კატეგორიული. იგი ითვალისწინებს საკითხის მხოლოდ ერთ მხარეს და საერთოდ ავიწყდება რესუბლიკის ეკონომიკის, ხალხის საყოფაცხოვრებო პრობლემების გადაჭრის აუცილებლობა.

ვალერიან კობახიძემ და ნოდარ ქედიშვილმა ერთმანეთს გადახედეს. მათთვის ყველაფერი ნათელი იყო. ხედავთ, რა პოზიცია უჭირავს თქვენს მიერ საექსპერტო კომისიის თავმჯდომარედ დასახელებულ და თქვენი ხელშეწყობით აღზევებულ არჩილ გორდელსო!— იოლად ამოიკითხავდით ნოდარ ქედიშვილის სახეზე.

უფრო მრავლისმეტყველი იყო ვალერიან კობახიძის სახეზე გამოსახული ტკივილი. მის თვალებში, მის ტვინშიც კი, რომელიც თითქოს მოჩანდა კიდეც ნათელი შუბლის უკან, მკვეთრი ფერებით იყო დახატული გულწრფელი სინანული, სასოწარკვეთა, იმედის გაცრუება.

— ბატონო არჩილ!—საკმაოდ უხეშად იყვირა ვალერიან კობახიძემ, ბოდიშს გიხდით, რომ გაწყვეტინებთ!

არჩილს სიტყვა პირზე შეახმა.

— ბატონო საექსპერტო კომისიის თავმჯდომარევ, მინდა კატეგორიულად გკითხოთ და თქვენც ასევე ნათლად და მიუკიბ-მოუკიბავად უნდა მიპასუხოთ. მე, წლების მანძილზე რესპუბლიკის გეოლოგიის სამმართველოს უფროსი, ამჟამად წარმოებაში გაუთვითცნობიერებელ მეცნიერად ვითვლები თუ ჯერ კიდევ მაქვს უფლება, ჩემი თავი წარმოებიდან გუშინწინ წამოსულ კაცად ჩავთვალო?!

— ბატონო ვალერიან! — დაიბნა არჩილ გორდელი, — აბა, აქ მსხდომთა შორის აზრად ვის მოუვა, თქვენ მსგავსი რამ გაკადროს?! ან ჩემი სიტყვები რატომ გგონიათ, რომ თქვენი მისამართით იყო ნათქვამი?! სწორედ თქვენი ავტორიტეტის გამოა, რომ დამატებითი კომისია შეიქმნა. თქვენ რომ ქარხნის აშენების მომხრე ყოფილიყავით,, ქარხნის მშენებლობა უკვე დაწყებული იქნებოდა. მხოლოდ თქვენმა, დიახ, პირადად თქვენმა საწინააღმდეგო აზრმა განაპირობა ახალი კომისიის შექმნა. არ დაგიმალავთ, სწორედ თქვენმა ავტორიტეტმა გამოიწვია აღგილობრივი მოსახლეობის ამოდენა პანიკა და აფორიაქება.

— მხოლოდ ჩემმა ავტორიტეტმა? — ფეხზე წამოიჭრა გაცოფებული ვალერიან კობახიძე.

არჩილ გორდელმა ხმა ვეღარ ამოიღო. იგი გაოცებული და დაბნეული მისჩერებოდა სიდინჯით, ტაქტით განთქმულ ყოფილ უფროსსა და მფარველს. ჯიუტად არ უნდოდა მიმხვდარიყო, რომ თვითონ მან, ცხოვრებაში ვალერიან კობახიძის ხელდასმულმა და ამჯერად მის მიერვე კომისიის თავმჯდომარედ დასახელებულმა დაუნდობლად ჩასცა გულში ლახვარი..

არჩილმა, მეტი რომ ვერაფერი მოახერხა, ხელები გაშალა და საზოგადოებას გაოცებულმა გადახედა. მისი ჟესტი ნათელი იყო, — პირდაპირ არ ვიცი, რა გიპასუხოთო.

— ბოდიშს გიხდით! — თქვა უცებ ვალერიან კობახიძემ — და სკამზე დაჯდა. თან გამოკვეთილად გამოხატა, ბოდიშს კომისიის თავმჯდომარეს კი არა, თქვენ, კომისის წევრებს გიხდითო.

არჩილ გორდელმა საკმაოდ ხანგრძლივი პაუზა გააკეთა. ყველანი დუმდნენ. ამ წუთში არავინ იცოდა, რა უნდა ეთქვა. გორდელმა იცოდა, დუმილი ახლა მის სასარგებლოდ მოქმედებდა.

— კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს!— წამოდგა ისევ დუმილით შეწუხებული ვალერიან კობახიძე.

— ბატონო ვალერიან, აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. თუ ის გაღიზიანებთ, თქვენს ყოფილ თანამშრომელს და თქვენი დიდი ზრუნვით გზაგაკაფულ კაცს რომ განსხვავებული აზრი აქვს, რომელიც ჯერჯერობით არც კი გამოითქვამს! პირდაპირ, აღარ ვიცი, რა მოვიმოქმედო. თქვენს განაწყენებას, მთელი ჩემი გულწრფელობით გეუბნებით, მირჩევნია ყველაფერზე უარი ვთქვა და ახლავე დავტოვო აქაურობა.

— გააგრძელეთ, ყმაწვილო, გააგრძელეთ! — დამცინავად გასცრა კობახიძემ.

„ჰმ! ყმაწვილო!“

უცებ არჩილ გორდელს გონება გაუნათდა. იგი მიხვდა, ვალერიან კობახიძეს რაც უფრო მალე გამოიყვანდა წონასწორობიდან, მით უფრო მომგებიანი სიტუაცია შეიქმნებოდა ქარხნის აშენების მომხრეთათვის. იმასაც მიხვდა ,დღევანდელი დღიდან ვალერიან კობახიძისათვის იგი აღარ არსებობდა და მეტ თავაზიანობასაც აზრი აღარ ჰქონდა. ახლა მთავარი იყო გამაღიზიანებელი სიდინჯე და გეგმაზომიერი შეტევა, მთავარი იყო ზრდილობიანი უზრდელობა!

— მე, „ყმაწვილი“, ვერ გავბედავ, ჩემზე გაცილებით უფროს და დამსახურებულ ადამიანს, გამოჩენილ მეცნიერსა და დიდ პრაქტიკოსს თავდაჭერილობისაკენ მოვუწოდო.

— ყმაწვილო! — იყვირა მთელი ხმით ვალერიან კობახიძემ, სათვალე მაგიდაზე დაახეთქა და კვლავ ფეხზე წამოიჭრა; თვალები რისხვით წამოენთო, ყბაც საკმაოდ შესამჩნევად აუკანკალდა.

— ბატონო ვალერიან, ბოლოს და ბოლოს, გვაცალეთ მუშაობა! — ვალერიან კობახიძის ყვირილის შემდეგ ჩამოვარდნილ სიჩუმეში ძალზე გამოკვეთილად გაისმა მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის მიხეილ ტყემალაძის დაბალი, მაგრამ მკაცრი ხმა.

დარბაზში კვლავ დუმილი გამეფდა. არჩილ გორდელმა თავისას მიაღწია, ვალერიან კობახიძე საბოლოოდ გამოიყვანა წონასწორობიდან. ახლა მთავარი იყო, თვითონ არ დაეშვა სადმე შეცდომა, თვითონ არ აჰყოლოდა ნერვებს. უნებურად ჟურნალისტებს შეხედა. მათ სახეებზეც დაბნეულობა ამოიკითხა და რწმენა კიდევ უფრო განუმტკიცდა.

ვალერიან კობახიძე ერთხანს ფეხზე იდგა, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი ვერა და ვერ მოენახა. მიხეილ ტყემალაძის სიტყვამ კიდევ უფრო დააბნია. მერე სინანულით თავი გააქნია, გამწარებულმა ირონიულად ჩაიცინა და კვლავ სკამზე დაჯდა. ალბათ ახლა ეს იყო უხერხული სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი.

არჩილ გორდელმა არც მისი დაჯდომის შემდგომ გააგრძელა ლაპარაკი. ისეთი სახე მიიღო, თითქოს დაბნეული იდგა და არ იცოდა, რა უნდა ექნა. სინამდვილეში ახალი სვლა მოფიქრებული ჰქონდა და მალულად ზეიმობდა კიდეც ახალი სვლის სიძლიერეს.

— ბატონო მიხეილ, — მიუბრუნდა იგი მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, — ჯერ არაფერი მითქვამს და ბატონმა ვალერიანმა ლამის ჩაქოლვა მომინდომა. წარმომიდგენია, რა მოხდება, ჩემს მოსაზრებას რომ გამოვთქვამ, თანაც, ახლავე ვაცხადებ, ბატონი ვალერიანის მოსაზრების დიამეტრალურად საწინააღმდეგოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილი შეჩერდა. თითქოს დაელოდა, მის მიერ წარმოთქმულ ბოლო ფრაზას რა რეაქცია მოჰყვებოდა. თანაც ისე ხმადაბლა და სასოწარკვეთილი ლაპარაკობდა, მსმენელს ეგონებოდა, სადაცაა თვალზე ცრემლი მოადგებაო.

— ბატონო მიხეილ, — გააგრძელა კვლავ იმავე ხმით, — ეტყობა, ბატონი ვალერიანი შეურაცხყოფილია, რომ მისმა ყოფილმა თანამშრომელმა, ერთ დროს მის კალთას შეფარებულმა ახალგაზრდამ, მის მიერვე საექსპერტო კომისიის თავმჯდომარედ დასახელებულმა კაცმა ამაგი ვერ დაუფასა და იმედები ვერ გაუმართლა. იმედი მაქვს, გამიგებთ, რა ღღეშიც ვარ და თქვენ გააგრძელებთ კომისიის სხდომას!

არჩილი წამოდგა და ჯუმბერ კახაბრიშვილის გვერდით დაჯდა.

ვალერიან კობახიძე მშვენივრად მიხვდა, გორდელმა კვლავ რამოდენა შეურაცხყოფა მიაყენა. თითქოს იგი კომისიის თავმჯდომარედ იმიტომ დაასახელა, რომ სიჭაბუკეში მისთვის გაწეული მამობრივი ზრუნვის სანაცვლოდ თანადგომას და თანამზრახველობას მოითხოვდა. იმასაც მიხვდა, ახლა ამ შეურაცხყოფაზე გამოკიდება საცილო მდგომარეობაში ჩააყენებდა. წეღანდელმა რამდენიმე აფეთქებამ თითქოს დაამშვიდა კიდეც და სწორად განსაზღვრა, არჩილ გორდელის განცხადებას მისი პიროვნების შეურაცხყოფის გარდა რამოდენა ტაქტიკური მიზანი ჰქონდა. თუ სხდომას მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გააგრძელებდა, ოქმში დაუფარავად და მკაფიოდ აისახებოდა, ვალერიან კობახიძემ როგორ მიმართა ფსიქოლოგიურ ტერორს და როგორ აიძულა საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე, სხდომის ჩატარება ვიცე-პრეზიდენტისათვის ეთხოვა. მთავრობის ლაქიები არც იმის ფორმულირებას ითაკილებდ-

ნენ, საექსპერტო კომისიის თავმჯდომარედ ყოფილი თანამშრომელი რა მიზნით დაასახელა და, სამაგიეროდ, რა მოუსყიდველი და პრინციპული აღმოჩნდა არჩილ გორდელი. მიხვდა, ხაფანგში გაება, სასოწარკვეთილმა ტუჩები ჩაიკვნიტა და დუმილი ამჯობინა.

მიხეილ ტყემალაძეც არ დაბნეულა, იოლად მიხვდა კომისიის თავმჯდომარის სვლას, სხდომის წაყვანაზე უარი არ უთქვამს, იმავე წუთშიც არ წამომდგარა, არჩილს დაჯდომა აცალა. მერე ხელები გაშალა, მეტი გამოსავალი არ არისო და თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა. ზუსტად მოზომილი პაუზის შემდეგ კი ფეხზე წამოდგა.

— ბატონებო, გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ გაოცებული ვარ ღრმად პატივცემული ვალერიან კობახიძის, არ ვიცი, როგორ ვთქვა, ალბათ მაინც ასე სჯობია, მოუთმენლობით.

ვიცე-პრეზიდენტი გაჩერდა და ხალხს თვალი მოავლო, მზერა განსაკუთრებით ჟურნალისტებზე შეაჩერა, თითქოს ებოდიშებოდათ, უნებურად უხერხული სიტუაციის მოწმენი გახდითო. გულში კი გამარჯვებას ზეიმობდა. შესანიშნავად მიხვდა, ვალერიან კობახიძემ ბრძოლა თავშივე წააგო.

— ბატონო ვალერიან, — მიუბრუნდა იგი კობახიძეს, — ჩვენი ამდენი ხნის მეგობრობის, თუ თქვენი სურვილით ამ ურთიერთობას მეგობრობას ვერ დავარქმევთ, ამდენი ხნის თბილი და საქმიანი ურთიერთობის მანძილზე პირველად შეგამჩნიეთ ასეთი განერვიულება. ჩვენ აქ იმიტომ ვართ და მეორე კომისიაც იმიტომ შედგა, რომ მიუხედავად პარტიისა და მთავრობის დაჩქარებისა, დინჯად და პროფესიულად განვიხილოთ ყოველი საკითხი, დეტალი თუ წვრილმანი. აქ, მგონი, არ თქმულა და შეიძლება ჩვენმა სტუმარმა ჟურნალისტებმა არც კი იციან, რომ საექსპერტო კომისიის თავმჯდომარედ თვითონ თქვენ დაასახელეთ არჩილ გორდელი.

— ვიცით, ბატონო, ვიცით, — ჩაურთო ერთ-ერთმა ჟურნალისტმა.

— ძალიან კარგი, თუ იცით! — გაღიმება სცადა ვიცე-პრეზიდენტმა, მაგრამ მიხვდა, გაღიმება სიტუაციას განმუხტავდა და უმალვე მოიღრუბლა.— გეთანხმებით, ბატონო ვალერიან, გეთანხმებით, ქარხნის კი არა, მდინარეზე უბრალო ბოგირის გადებაც რომ ბუნებაზე ზემოქმედებაა. მაშ, რა ვქნა, აღარაფერი ავაშენოთ?! ისევ გამოქვაბულებს დავუბრუნდეთ?!

— ბატონო მიხეილ! — მაინც ვერ შეიკავა თავი ვალერიან კობახიძემ და კვლავ ფეხზე წამოდგა. — მე წელან ბოდიში მოვიხადე ჩემი აფეთქების გამო და, თუ საჭიროა, კვლავ მოვიხდი ბოდიშს. ოღონდ ყველა აქ გამომსვლელს და პირადად თქვენც უმორჩილესად გთხოვთ, მიჭირს ამ სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ სხვა უფრო რბილი და ტოლფასი სიტყვა ვერ გამოვძებნე, დემაგოგიას თავი დაანებოთ! ვინ არის ქარხნის აშენების წინააღმდეგი?! განა მე, ამდენი წლის მანძილზე რესპუბლიკის გეოლოგიის სამმართველოს უფროსსა და პრაქტიკოს მეცნიერს არ მესმის, რომ გეოლოგიური ფუფუნების წლები დასრულდა და ახლა ყოველი კილოგრამი მადანი, უწინ რომ სამრეწველო მნიშვნელობას არ ვაძლევდით, უნდა მოვიპაროთ და დავამუშაოთ? მინდა აქ დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ განვუმარტო ჩემი პოზიცია. დარიშხანის გამამდიდრებელი ქარხანა უნდა აშენდეს, უფრო მეტიც, აუცილებლად უნდა აშენდეს! მაგრამ იგი უნდა აშენდეს იქვე, ლუხუნის ხეობის დაუსახლებელ ადგილზე, ძველი გამამდიდრებელი ქარხნის გვერდით. მართალია, იქ ქარხნის აშენება, ძალზე ძნელია, დიდი დროც დასჭირდება და ათჯერ ძვირიც დაჯდება, მაგრამ კვლავ კატეგორიულად ვაცხადებ, დროის მოსაგებად და სახსრების დასაზოგად რაიონის, საქართველოს ისედაც გაჩანაგებული კუთხის აოხრება

არ შეიძლება. ბოდიშს ვიხდი, რომ მკაცრად და კატეგორიულად ვლაპარაკობ მაგრამ მეტ გამოსავალს ვერ ვხედავ. გესმით კი რას ნიშნავს ისედაც დაცლილი კუთხისათვის სამი ღონიერი სოფლის აყრა და რაიონული ცენტრის მოწამვლა?!

— დაწყნარდით, ბატონო ვალერიან, უმორჩილესად გთხოვთ, დაბრძანდეთ. არა მგონია, რაიმე დემაგოგია ყოფილიყო იმ ორ საცოდავ წინადადებაში, წელან რომ წარმოვთქვი. წონასწორობიდან ნუ გამოხვალთ და უკადრებელს ნუ გვაკადრებთ, ესაა ჩვენი ერთადერთი თხოვნა.

ვიცე-პრეზიდენტის მშვიდმა ტონმა ვალერიან კობახიძე მიახვედრა, საქმის ბოლომდე მისაყვანად მარტო სიმართლე რომ არ კმაროდა. საჭირო იყო დიპლომატია, საჭირო იყო სიმშვიდე და მოქნილობა.

— მე ვღელავ, ბატონო მიხეილ, მე ვღელავ, ბატონებო! ამიტომაც მოვითხოვ, რომ ყურადღებით მომისმინოთ. დიახ, ძალიან ვღელავ, რადგან ჩვენ მხარეს მხოლოდ სიმართლეა, თქვენს მხარეს კი... საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი მარშალი უსტინოვი!

ვალერიან კობახიძემ კიდევ ვერ მოზომა, კიდევ ერთხელ დაუშვა საბედისწერო შეცდომა.

— ეს უკვე მეტისმეტია, ბატონო ვალერიან, — ხმას აუწია მიხეილ ტყემალაძემ, — მსგავსი გამოხდომები თუ კიდევ გაგრძელდება, ჩვენ შევწყვეტთ კომისიის სხდომას. და, საერთოდ, ვფიქრობ, ბევრი ანგარიში გაგიწიეთ! სხდომის გაგრძელება მე იმიტომ ვიკისრე, რომ მინდოდა სიმშვიდე ჩამომეგდო და ნორმალური მუშაობის საშუალება მოგვცემოდა. კომისიას ჰყავს თავისი თავმჯდომარე. მისი კანდიდატურა, მადლობა ღმერთს, თქვენ დაასახელეთ, იგი თქვენთვის თავზე არავის მოუხვევია! მით უმეტეს, თქვენ არ გაქვთ არავითარი უფლება, ეჭვი შეიტანოთ არჩილ გორდელის კეთილსინდისიერებაში. მეც ვიხდი ბოდიშს დამსწრე საზოგადოების წინაშე, რომ და-ძაბულობის განმუხტვის მიზნით სხდომის წარმართვა ვიკისრე. ბატონო არჩილ, გთხოვთ, თქვენი ადგილი დაიჭიროთ და სხდომის მუშაობა გააგრძელოთ!

11

— ბატონო ჩემო, არაფერია უფრო გულდასაწყვეტი, ვიდრე შეგრძნება საშინელებისა, რომ შენს ირგვლივ არ არის ერთი ადამიანიც კი, მისაბაძად რომ გამოდგება პროფესორი, აკადემიკოსი, ვიცე-პრეზიდენტი, პრეზიდენტი, მინისტრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, თუნდაც პირველი მდივანი... რა მერე? ხედავთ ვინმეში რაიმე განსაკუთრებულს? არა ტალანტზე როდი მოგახსენებთ, ინტელიგენტობას ვგულისხმობ, პატიოსნებას, სიმართლისათვის თავდადებას, ჭეშმარიტ თავდადებას და არა გულისამრევად ყალბ შეგონებებს. რა ბედნიერია ის ადამიანი, სცენაზე გათამაშებული ტრაგედია, თუნდაც კომედია რომ სჯერა. აბა წარმოიდგინეთ, რა ჰარმონიას ხედავს იგი მსახიობთა ურთიერთობაში, სპექტაკლის ბოლოს სცენაზე ხელიხელჩაკიდებული ნაზი ღიმილით რომ ესალმებიან და ამავდროულად ეთხოვებიან კიდეც სახეზე ბედნიერებაგადაკრული მაყურებლებს. რა იციან იმ საცოდავებმა, რა ხდება კულისებში, რა ხდება კულისებს მიღმა.

მახსოვს, ბავშვობაში, რაიმე დიდი ავარია რომ მოხდებოდა, როგორ მამშვიდებდა გაზეთებში გამოქვეყნებული ერთი ფრაზა: „შექმნილია ავარიის გამოძიების მიზეზების შემსწავლელი სახელმწიფო კომისია!“ კარგად ჟღერს არა, „სახელმწიფო კომისია!“ გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ ლამის ღმერთის

სამსჯავროს ტოლფასი იყო „სახელმწიფო კომისიის“ საქმიანობა. სად არიან ეს სახელმწიფო კომისიები. სად არის მათ მიერ გამოძიებული საქმეები?! მოჰყოლია რომელიმე დასკვნას სერიოზული მსჯელობა, სერიოზული ღონისძიებანი?! (პაუზა, ჩიბუხი). თითქმის სამი წლის მანძილზე მლანძღავდნენ, მოსვენებას არ მაძლევდნენ, ტელეფონით მირეკავდნენ, წყევლა-კრულვას მიგზავნიდნენ, თითქოს მართლა ჩემი დასკვნის შედეგად დაწყებულიყო იმ ქარხნის მშენებლობა. წყევლა-კრულვას კიდევ გაუძლებს კაცი. სამწუხარო სულ სხვა რამაა. სამწუხარო ისაა, რაც შემდეგ მოხდა. კომისიის პირველი სხდომა ჩაიშალა. გულწრფელად რომ გითხრათ, გამეხარდა. მივხვდი, ჩვენ მხოლოდ სანახევროდ ვიყავით მზად. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში შეგვეძლო ვიცე-პრეზიდენტის მეოხებით გადამწყვეტი სიტყვა ჩვენ გვეთქვა. მიხეილ ტყემალაძე განაცხადებდა, რომ დარიშხანის ახალი ქარხნის აშენებას თვით აკადემიის პრეზიდენტი უჭერდა მხარს. და ყველაფერს წერტილი დაესმებოდა. ალბათ მიმიხვდით, ამის თაობაზე წინასწარ ვიყავით შეთანხმებული. სხდომის ჩაშლა მაინც გამეხარდა. პრეზიდენტის ავტორიტეტის მოშველიების გზით გამარჯვება არ კმაროდა. მთავარი იყო კომისიის ერთსულოვანი გადაწყვეტილება! ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობა მაინც უნდა ყოფილიყო ქარხნის აშენების მომხრე. მთავარი იყო, ჩვენი სიმართლე ხალხს დაეჯერებინა, საჭირო იყო მოწინააღმდეგეებთანაც იმავე მეთოდით ემუშავნათ, მანამდე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტთან და ორ პროფესორთან რომ იმუშავეს: ერთს მოახლოებული არჩევნები და დეპუტატობა შეახსენეს, მეორეს სამთო ინსტიტუტის დირექტორობაზე ჩამოუგდეს გადაკრულად საუბარი, მესამეს კი იმ ეტაპზე მეორის გამონთავისუფლებული ადგილიც აკმაყოფილებდა. რა ბრძანეთ? ვალერიან კობახიძეს როგორღა დაიყოლიებდნენ?! ახლავე მოგახსენებთ, მგონი, წელან გთხოვეთ, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ-მეთქი. გული ყველაზე უფრო მაინც ვალერიან კობახიძის დაყოლიებამ მატკინა. თან გამეხარდა, რომ ვაჯობე, თან მეწყინა კიდეც, საშინლად მეწყინა. გამეხარდა, რომ გავიმარჯვე, ვალერიან კობახიძე იმ უხეში სიტყვებისათვის დავსაჯე, მე რომ სხდომაზე მაკადრა. რაც მთავარია, ნოდარ ქედიშვილსაც ბოლოს და ბოლოს, სასტიკი დარტყმა, ვაგემე. არ დაგიმალავთ და ტკბილი ყოფილა შურისძიება, ძალიან ტკბილი. თუმცა რა იყო ჩემი შურისძიება, ან რა დამიშავა ნოდარ ქედიშვილმა?! განა მან შეგნებულად გამიკეთა რაიმე ცუდი?! უბრალოდ, ალბათ, ის მაგიჟებდა, ფინიშთან რომ ყოველთვის პირველი მიდიოდა. გეთანხმებით, გეთანხმებით, ჩემი საქციელი არ შეჰფეროდა ინტელიგენტი კაცის ბუნებას, კიდევ ერთხელ გეთანხმებით! ამავე დროს, გთხოვთ, ცხოვრების უსამართლობისაგან უმიზეზოდ დაჩაგრული კაცის გულშიც ჩაიხედოთ. დიახ, იმას მოგახსენებდით, ტკბილი ყოფილა შურისძიება. წარმომიდგენია, როგორი დამათრობელი იქნება დიდი შურისძიების სიტკბო, სახელმწიფო მასშტაბის შურისძიების სიტკბო! ალბათ ამიტომაცაა ყველა ერთმმართველი ტირანი. თუმცა სჯობია, ფილოსოფიას შევეშვათ და კვლავ ჩვენი ამბის დინებას მივყვეთ. წელან მოგახსენეთ, მეწყინა-მეთქი ვალერიან კობახიძის განიარაღება. არ გეგონოთ, თვალთვმაქცობდე, ან კეთილშობილი კაცის როლს ვთამაშობდე. იცით, რატომ მეწყინა? განა მარტო იმიტომ, რომ ნამდვილი მამობა გამიწია. მან ხომ ხელი მაშინ გამომიწოდა, ჩემი სახელისა და გვარის გაგონებაზეც რომ უსიამოვნოდ იჭმუხნებოდნენ და ახლოს არ მიკარებდნენ. რასაკვირველია, ამიტომაც მაწუხებდა სინდისის ქენჯნა, ამიტომაც ვიტანჯებოდი ქვეშეცნეუ-

ლად, რომ ვაწყენინე, ნდობა ვერ გავუმართლე. რწმენა შევურყიე, მაგრამ ეს ძალზე უმნიშვნელო წუხილი იყო იმ გულისტკივილთან შედარებით, რასაც ახლავე მოგახსენებთ. ვალერიან კობახიძე ჩემთვის ობლად მოკიაფე სანთელი იყო დიდ სიბნელეში. ამ ერთადერთი სანთლის ჩაქრობამ დამწყვიტა ყველაზე უფრო გული. იქნებ მეც შევუწყე ხელი ჩემთვის წყვდიადში გზის მანათობელი ერთადერთი სანთლის ჩაქრობას? იქნებ მეც მიმიძღვის ბრალი, რომ ირგვლივ სიბნელე ჩამოწვა არავითარ შემთხვევაში! არც მე და არც საექსპერტო კომისიას ბრალი არაფერში მიუძღოდა. ყველაფერში ცხოვრების ყოველდღიურობაა დამნაშავე და... არ შეგაკრთოთ ჩემმა დასკვნამ, ალბათ ქვეყანაზე არ არსებობენ ჭეშმარიტად დიდი ბუნების ადამიანები (პაუზა, ჩვეულებისამებრ წამონთებული თვალები). დიახ მაშინ მთავარი მაინც ის გახლდათ, ვალერიან კობახიძეს დაეყარა ფარხმალი, დანარჩენი კი, როგორც მოჭადრაკეები იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო. პრესა და ტელევიზია ჩვენს ხელთ იქნებოდა, ქოთანს საიდანაც გვინდოდა, ყურს იქიდან გამოვაბამდით. ქარხნის მშენებლობაც უმტკივნეულოდ დაიწყებოდა. იცოცხლეთ, თეორიულად ყველაფერი კარგად ჟღერდა, მაგრამ ვინ შეაბამდა კატას ეჟვანს? ან გაგვაჩნდა კი ეჟვანი? ეჟვანიც მალე ვიპოვეთ. სრულიად შემთხვევით გავიგე... ვითომ სრულიად შემთხვევით? არ ვარ მართალი. ერთი კვირის მანძილზე მთელი მისი სატკივარი შევისწავლე. ვალერიან კობახიძეს კარგად ვიცნობდი და ჩემი ყოფილი მფარველის ცხოვრების ხვეულებში გზას იოლად ვიკვლევდი. თან ვიცოდი, სად უნდა მეძებნა მისი სუსტი წერტილები. სრულიად შემთხვევით გავიგე-მეთქი, რომ მოგახსენეთ, ნაწილობრივ მართალიც გახლავთ, მაგრამ ბუნებრივია, სრულიად შემთხვევითს მაინც ვერ დავარქმევთ. თურმე მისი ვაჟიშვილი ვალერიანი, დიახ, ვალერიან ვალერიანის ძე კობახიძე პირველსავე ბიუროზე უნდა დაემტკიცებინათ ქალაქ თბილისის განათლების განყოფილების გამგედ. თავდაპირველად გამიკვირდა, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ არ იცოდა ვალერიან ვალერიანის ძის (დამცინავდ) რაიონის განათლების განყოფილების გამგის თანამდებობიდან ქალაქის განათლების განყოფილების გამგედ დაწინაურების ამბავი. ალბათ იმიტომ არ იცოდა, რომ ბატონი მიხეილის ვაჟიშვილი, ფილოლოგი თუ ისტორიკოსი გახლდათ და სულ სხვა ლიგაში თამაშობდა. კომისიის სხდომა კიდევ ერთი კვირით გადავდეთ და უმალვე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს დავურეკე... ვერ მოვზომე, ვის ველაპარაკებოდი და პირდაპირ შუბლში დავჯახე, ვალერიან ვალერიანის ძის საკითხის ბიუროზე გატანა უნდა შეაფერხოთ-მეთქი.

— როგორ გეკადრებათ! — გაბრაზდა იგი — როდის იყო. ჩვენ სხვა სამინისტროების საქმეებში ვერეოდით?! ვფიქრობ, არ დამიმსახურებია, ასე ფამილარულად მელაპარაკოთ! ჩვენ მივესალმებით ყველა ნიჭიერი კაცის წინსვლას და წარმატებას!

— დიახ, ეს სიტყვები მომახალა და ყურმილიც დამიკიდა. ალბათ ერთი სული გაქვთ შეიტყოთ, საქმე როგორ განვითარდა, არა? ჩაერია, ბატონო ჩემო, თანაც როგორ ჩაერია. განათლების მინისტრმა გამოიძახა ვალერიან ვალერიანის ძე და თუმცა კაბინეტში მათ გარდა არავინ მჯდარა, ნახევრად ჩურჩულით აუწყა, რატომღაც შენი საკითხის ბიუროზე გატანა გადადეს და საქმე უკან დაგვიბრუნესო. (პაუზა, ჩიბუხი). ძნელი ყოფილა შვილის სიყვარული, ბატონო ჩემო! მოწინააღმდეგეთა ციხის თავზე უმალვე თეთრი დროშა აფრიალდა. ბუნებრივია, ვალერიან კობახიძემ რომ მე კი არა, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზი-

დენტს დაურეკა და საკმაოდ შემრიგებლური კილოთი დარიშხანის ქარხნის მშენებლობის ირგვლივ დამატებითი მასალები მოითხოვა. მიხეილ ტყემალაძემ უმალვე თავისთან მიიხმო და საქმის სასიკეთოდ (ჰმ, სასიკეთოდ!) შემობრუნების ამბავი მამცნო. დამატებითი მასალები იმიტომ მოითხოვა, რომ უკან დასახევ გზებს ეძებს-მეთქი, — ვუთხარი ვიცე-პრეზიდენტს, — ჩვენ ტექნიკურად უნდა მივცეთ უკან დახევის საშუალება, თან უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება თავმოყვარეობის ნაკლები შელახვის ფასად მოხდეს მისი კაპიტულაცია. კი, მაგრამ როგორო, — მკითხა ბატონმა მიხეილმა, სრულიად უბრალოდ-მეთქი, — ვუთხარი მე, — ოღონდ საჭიროა მსხვერპლი. მეტი გამოსავალი არა გვაქვს. ქარხნის მშენებლობის საქმეს უნდა შეეწიროს ძველი ქარხნის დირექტორი ვასილ კოპაძე--მეთქი. კი, მაგრამ რატომაო? ვერ მიხვდა ჩემს ჩანაფიქრს ვიცე-პრეზიდენტი. ან კი საიდან უნდა მიხვედრილიყო. გთხოვთ კარგად დააკვირდეთ, ბატონო ჩემო, იგი იმ კაცის ბედმა როდი შეაწუხა, ახალი ქარხნის მშენებლობისათვის რომ უნდა შეგვეწირა. ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, მისი მოხსნით ვალერიან კობახიძისათვის როგორ უნდა მიგვეცა უკან დახევის საშუალება. ახლავე მოგახსენებთ-მეთქი,—ვუთხარი მე,—დარიშხანის დამუშავების დროს გამოყოფილი შხამები უნდა დაბრალდეს არა მადნის მოპოვებისა და დამუშავების ტექნოლოგიას, არამედ დირექტორის დოყლაპიობასა და დაბალ პროფესიულ დონეს.

— მერე, ფაქტები! — აღტაცება ვერ დამალა ვიცე-პრეზიდენტმა. — გვაქვს კი დამაჯერებელი, ჟღერადი ფაქტები, საზოგადოებრიობას რომ ააღელვებს და აალაპარაკებს?

— ბატონო ჩემო, — ვუთხარი მე, — ნებისმიერ საბჭოთა წარმოებაში დირექტორის მოსახსნელად საჭირო ფაქტებს იმდენს იპოვით, რამდენიც გინდათ. საკითხს თუ უფრო ღრმად შეისწავლით, კრიმინალსაც იოლად წააწყდებით. მით უმეტეს, სადღაც მთაში უკონტროლოდ მიტოვებულ კარიერზე. ბატონო მიხეილ, მოგეხსენებათ, რომ დარიშხანის წარმოების ნარჩენები რვა მეტრის სიღრმეზე უნდა დაიმარხოს საგანგებო ბეტონის კონტეინერებით. ის ადგილი კი საგანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული რეგიონის რუქაზე. ვასილ კოპაძეს თავი არასდროს შეუწუხებია რვამეტრიანი სამარხის გაჭრისათვის. ორი წლის უკან ბულდოზერმა ამოაგდო კიდეც ბეტონის კუბო. მაშინ მხოლოდ პარტიული სასჯელით გადარჩა სამსახურიდან განთავისუფლებას. ჩვენ კვლავ შეგვიძლია დარიშხანის სამარხების საქმე ამოვწიოთ და ვასილ კოპაძეს ტელევიზიით დავემუქროთ. აქეთ შეგვეხვეწება, გამანთავისუფლეთო. მით უმეტეს, ხმაურს არ ატეხს, თუ თბილისში გადმოყვანასაც შევპირდებით. ხომ წარმოგიდგენიათ, მსგავსი ფაქტების გამომზეურება რა აჟიოტაჟს გამოიწვევს ადგილობრივ მცხოვრებლებში. დიახ, საქვეყნოდ ვიტყვით, დარიშხანის დამუშავება სრულიად უსაფრთხო საქმე გახლავთ, თუ წარმოებას სათავეში უდგას საქმიანი და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი. დამიჯერეთ, ბატონო ვიცე-პრეზიდენტო, ვალერიან კობახიძე ორთავე ხელით ჩაეჭიდება ჩვენს მიერ მიწოდებულ ფაქტებს და უკან დასახევ უმტკივნეულო გზას იოლად გამონახავს.

— გენიალურია, ნამდვილად გენიალურია, — სახე გაუბრწყინდა ბატონ მიხეილს, — ოღონდ თქვენს მიერ შემოთავაზებულ (ჰმ, შემოთავაზებულ!) გეგმას ერთი სუსტი წერტილი გააჩნია. — ნოდარ ქედიშვილი. ხომ არ გვავიწყდება, რომ პირველი კომისიის თავმჯდომარე ნოდარ ქედიშვილი იყო და არა ვალერიან კობახიძე?!

მართალი ბრძანდებით-მეთქი, — გამეცინა მე, — ოღონდ ერთი რამ მინდა მოკრძალებით შეგახსენოთ. კომისია,

რომლის თავმჯდომარეც იყო ნოდარ ქედიშვილი, ხოლო წევრი ვალერიან კობახიძე, აღარ არსებობს. სამაგიეროდ, არსებობს კათედრა, რომლის გამგეც ბატონი ვალერიან კობახიძე გახლავთ, ხოლო წევრი — ნოდარ ქედიშვილი.

— გასაგებია, — ყველაფერი გასაგებია! — ხელები კმაყოფილებით მოიფშვნიტა ვიცე-პრეზიდენტმა.

უნდა გენახათ, სახეზე რა კმაყოფილი იერი ჰქონდა გადაკრული. ნათლად წარმოვიდგინე, როგორ მოახსენებდა პირველ მდივანს, თქვენი დავალება შესრულებულიაო. არა, ასე ნამდვილად ვერ გაუბედავდა. უბრალოდ, ეტყოდა, დარიშხანის მშენებლობის საკითხი დადებითად გადავწყვიტეთო. მას ხომ წესით არ უნდა სცოდნოდა პირველი მდივნის პოზიცია. დარიშხანის ქარხანა ხომ ისეთი სახიფათო საქმე გახლდათ, სხვისი ხელით ნარის გლეჯას რომ მოითხოვდა. დიახ, დარიშხანის ქარხნის მშენებლობის საქმე ქვემოდან უნდა დაწყებულიყო, ხოლო პირველ მდივანს „იძულებით" უნდა გაეწია ანგარიში სპეციალისტებისა და მეცნიერების რეკომენდაციებისათვის. შეუმჩნეველი არ დამრჩენია, ვიცე-პრეზიდენტის სახეზე კმაყოფილება სიმკაცრემ რომ შეცვალა. ალბათ გაიფიქრა, ნამეტანი ხომ არ გავუშინაურდი მეცნიერებათა კანდიდატსო, შეთქმულებაში ზედმეტად ხომ არ აღმოვჩნდი ჩაბმულიო. მაგიდასთან საქმიანად მივიდა, სავარძელში ჩაჯდა და თვალი გამისწორა.

— დღეს, ვფიქრობ, კმარა, გააგრძელეთ მუშაობა, თუ საჭირო იქნება, დამირეკეთ! — მითხრა ცივად.

მივხვდი, საიდუმლო სერობა დამთავრდა. ჩვენი ერთობლივი მუშაობაც ფინიშს მიუხალოვდა. ის კვლავ ვიცე-პრეზიდენტი იყო, მე — მეცნიერებათა კანდიდატი და გეოლოგიის სამმართველოს განყოფილების გამგე. დარწმუნებული ვარ, ბატონ მიხეილს, ჩემი დანახვა უკვე აღარ სიამოვნებდა. ან კი რა სასიამოვნო იყო, იერარქიულ საფეხურზე გაცილებით დაბლა მდგომ პიროვნებასთან ერთად ბინძური დავალების შესრულება. მე ხომ უკვე უტყვი, მაგრამ მაინც მოწმე ვიყავი მისი სულმდაბლობისა და პატარა კაცობისა.

ფეხზე წამოვდექი, თავი მოკრძალებით დავუქნიე, კარგად ბრძანდებოდეთ-მეთქი, ვთქვი ხმადაბლა და კაბინეტი დავტოვე. აღარც კი მახსოვს, თვითონაც მითხრა თუ არა გამოსამშვიდობებელი სიტყვები. საქმე დასასრულს უახლოვდებოდა და, ბუნებრივია, ყველა თავის ნავსადგურში უნდა დავბრუნებულიყავით, ზოგი დიდში, ზოგიც პატარაში.

(პაუზა, ჩიბუხი).

მთავრობამ სიტყვა არ გატეხა. ქარხნის მშენებლობის პროექტი კომისიამ ერთხმად დაამტკიცა. სამი თვის შემდეგ შეიქმნა სამთო გეოლოგიის სამმართველო და მმართველად მე დამნიშნა. ეს იყო ჩემი პირველი დიდი გამარჯვება, რომელსაც სიხარული არ მოუტანია.

თავი მეცხრამეტე

1.

დილის ხუთი საათი იყო, არჩილ გორდელმა რომ გაიღვიძა. ზუსტად ხუთი, არც მეტი, არც ნაკლები. რაღაც უცნაური, უსიუჟეტო სიზმრიდან ვერა და ვერ გამოერკვა. საკუთარი საძინებელი ოთახი, უფრო სწორად, სამუშაო კაბინეტი, სადაც უკვე ხუთი წელი იყო დივანზე ეძინა, ველარ იცნო. პირველად ეგონა, სიზმარი გრძელდებაო, შემდეგ სიბნელეს თვალი ნელნელა შეაჩვია. თანდათან გამოიკვეთა ბროლის ჭაღის, წიგნის თაროებისა და საწერი მაგიდის ნაცნობი კონტურები. თავი უკმაყოფილოდ გააქნია, მა-

რჯვენა, ხელი დინჯად გადასწია და პატარა ტუმბოზე მოთავსებული ნათურა აანთო.

ელექტრონის შუქი არ ესიამოვნა. თვალები ისევ დახუჭა. ერთხანს ასე იყო, მერე კვლავ გაახილა თვალი. ამჯერად მკრთალი სინათლე „მწვანე ქუდიანი ნათურიდან რომ სცემდა“, წელანდელივით აღარ დასჯახებია. იქვე მაგიდის საათი და სათვალეც იდო. ჯერ სათვალე გაიკეთა, მერე საათს დასწვდა და დახედა. ექვსის სამი წუთი იყო.

ასე ადრე რამ გამაღვიძაო, — გაიფიქრა უკმაყოფილოდ. საათი კვლავ ტუმბოზე დადო, სათვალეც მოიხსნა, სინათლე ჩააქრო და კედლისკენ გადაბრუნდა.

ველარ დაიძინა.

განერვიულებულმა გვერდი იცვალა და ფანჯრისაკენ გაიხედა. ბნელოდა ქუჩის მკრთალი სინათლე ოთახამდე ვერც კი აღწევდა.

დღე როგორ დაპატარავდაო, — გაიფიქრა და მწარედ გაეღიმა. თითქმის ჩაიცინა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, რაღაც დაცინვაშერეული სიცილის შემცველი ბგერათ კომპლექსი აღმოხდა.

ვის ან რას დასცინოდა გეოლოგიური სამმართველოს უფროსი?

საკუთარ თავს.

თუმცა ვერც გარკვეულიყო, საკუთარი თავის დაცინვას რა კავშირი ჰქონდა დღის დაპატარავებასთან. სრულიად უბრალო. ზუსტად იმავე წამს, გაახსენდა, რომ ორმოცდაათი წელი შეუსრულდა.

ვითომ მხოლოდ ახლა გაახსენდა?!

არა, უკვე ორი თვეა, „ხსოვდა! იმ დღიდან ახსოვდა, საპატიო სიგელით დასაჯილდოებლად რომ წარადგინეს.

„დამაჯილდოვებენ კი? — გაიფიქრა უცებ სინანულით, — ვითომ იქნება დღეს ბრძანებულება გაზეთში?“

რატომ შეეპარა ეჭვი გეოლოგიის სამმართველოს უფროსს? უბრალოდ, შიშმა შეიპყრო, თუ ჰქონდა ეჭვის მიზეზი?

სამწუხაროდ, ჰქონდა. ჯერ კიდევ რვა თვის წინ გამოიძახეს და მინისტრთა საბჭოში განყოფილების გამგის თანამდებობა შესთავაზეს. ანკეტები შეავსებინეს, საბუთები მიატანინეს. დღედღეზე ელოდა ბიუროზე საკითხის გატანას, მაგრამ ამაოდ. თვითონაც მიხვდა, საქმეს ხელს რა უშლიდა, მღელვარებამ მაინც შეიპყრო.

„ვაითუ გადაიფიქრეს?“ — ბორგავდა არჩილ გორდელი.

თბილისში უკვე ყველამ იცოდა მისი მოსალოდნელი დაწინაურების ამბავი. უამრავმა ხალხმა წინასწარ მიულოცა კიდეც ახალი თანამდებობა. არჩილ გორდელი მოლოცვებს არ იღებდა, ტყუილია, ბატონო, არსად არ გადავდივარო, თუმცა მილოცვებს კმაყოფილებით ისმენდა და ბედნიერი კაცის ღიმილს ვერ მალავდა.

გავიდა თითქმის ორი თვე. საქმე კი არ იძროდა. მთავრობის ტელეფონის ყოველ ზარზე მღელვარება იპყრობდა, გული გამალებით უცემდა. სასურველი ზარი არა და არ ირეკებოდა.

ერთხელ ვერ მოითმინა და თათბირის შემდეგ მინისტრს სთხოვა, თუ შეიძლება ორი წუთი დამითმეთო.

— არ იფიქრო, დაწინაურება-არდაწინაურების ამბავს განვიცდიდე, — უმალვე დაიწყო გაფითრებულმა, როგორც კი კაბინეტში მარტონი დარჩნენ. რასაკვირველია, განყოფილების გამგედ გადაყვანის ამბავი რომ მითხარით, ძალზე გამეხარდა. ახალი სამსახური, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ახალისებს ადამიანს. დიახ, რასაკვირველია, გამეხარდა, მაგრამ ანკეტის შევსების შემდეგ მერვე თვე მიიწურა. ალბათ არის რაღაც მიზეზები, ჩემი დანიშვნა რომ შეაფერხა. ან იქნებ გადაიფიქრეთ კიდეც. ეს არაა მთავარი. გულს სხვა რამე მიკლავს. ჩემი დაწინაურების ამბავი მთელმა საქართველომ გაიგო. სათვალავი არა აქვს, რამდენმა კაცმა მო-

მილოცა. ღმერთი, რჯული, მე სიტყვა არსად წამომცდენია, ჩემზე კარგად იცით, თბილისში არაფერი იმალება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა საშინლად მანერვიულებს და მაღიზიანებს. პირდაპირ მითხარით, რა მიშლის ხელს, იქნებ ჩემი შვილის დაპატიმრების ამბავი? სჯობია, სიმართლე ვიცოდე, რომ ჩემი საქმიანობა დამშვიდებულმა გავაგრძელო. რა დასამალია და, ისე ვარ გაორებული, საქმეს გულს ვეღარ ვუდებ, თანამშრომლებს ვეღარ ველაპარაკები.

— დამშვიდდი, — მიუგო მინისტრმა და მაგიდას დააშტერდა. თან მარჯვენა ხელით სათვალეს დაუწყო წვალება. — ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდა, არავის აზრი არ შეუცვლია. სხვა კანდიდატურა, თავადაც კარგად იცი, არ არსებობს. საქმე, უბრალოდ, შეფერხდა. თვითონვე წამოიწყე, თორემ არ გეტყოდი, შენი შვილის ამბავმა, რასაკვირველია, ხელი შეგვიშალა. გულწრფელად გეტყვი, ის კაცი რომ მომკვდარიყო, აღარაფერი გიშველიდა. გიშველიდა კი არა, შენი თანამდებობის დატოვებაც მოგიწევდა. საბედნიეროდ, გადარჩა, თან, რამდენადაც ვიცი, ხმას არ იღებს და თქვენს ვაჟს ხელს არ ადებს. მჯერა, თვითონ იყო დამნაშავე და სინდისმა შეაწუხა. ახლა მთავარია, ჩაქრეს ეგ საქმე, შეწყდეს მითქმა-მოთქმა. შენმა ვაჟიშვილმაც მოთოკოს თავი. რა აყვირებს, თავში ბოთლი მე ჩავარტყი, მოკვლა მინდოდაო?! კარგად იცი, სასკანდალო სენსაციები არ აკლია ჩვენს საზოგადოებას. მომდევნო სკანდალი შენი შვილის ამბავს ხალხს სრულიად მიავიწყებს და შენი დაწინაურებაც წყნარად, უხმაუროდ მოხდება. ჩვენ გვჭირდება შენნაირი ერთგული და გონიერი ხალხი. ჯერაც არ დაგვიწყნია, დარიშხანის ომი ვინ მოგვაგებინა. — მინისტრმა თავი ასწია, არჩილ გორდელს თვალებში შეხედა და გაუღიმა. — დამშვიდდი, ნერვები დაიოკე. ყველაფერი ისე იქნება, ჩვენ რომ გვინდა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

არჩილს გულში მწარედ გაეღიმა. ორი თვის წინ მისი სიგელით დაჯილდოება რომ გადაწყვიტეს, ჯერ გაუხარდა, მერე კი შეფიქრიანდა, ვაითუ დაწინაურება უკვე გადაიფიქრეს და მხოლოდ სიგელზე გადამატარონო.

თუ ჩემი დაწინაურება საბოლოოდ არ გადაუფიქრებიათ, ალბათ სასამართლოს შედეგს ელოდებიანო. დათომ კი არადა არ გადათქვა თავისი სიტყვა, ბოთლი თავში მე ჩავარტყიო. ის კაცი არ უჩიოდა, იმასაც კი ამბობდა, ეგ ახალგაზრდა რესტორანში საერთოდ არ დამინახავსო. ვერსიაც კარგად იყო მოფიქრებული, დავით გორდელი სხვის დანაშაულს თავის თავზე იღებსო, მაგრამ გაცოფებულ ჭაბუკს ჩვენება ვერა და ვერ შეაცვლევინეს.

„მაინც რა დროს შემიშალა ხელი! მაინც სად ჯანდაბაში გადაეყარა იმ ნაძირალას....“

ფიქრი უცაბედად გაწყვიტა, არ უნდოდა „იმ ნაძირალას“ სახელი და გვარი თუნდაც გონებაში წარმოეთქვა. არც იმ მიმართულებით უნდოდა ფიქრი გაეგრძელებინა, შვილის გამწარებაში და მის მიერ ჩადენილ დანაშაულში ბრალი რომ თვითონ მიუძღოდა.

„ორმოცდაათი წელი!“ — თქვა გულში და სინანულით ამოიოხრა.

„ესეც ორმოცდაათი!“ — ხელი კვლავ ტუმბოსაკენ გადაყო და სიგარეტი მონახა. შინ, ადრე დილით, ან გვიან საღამოს, მარტო რომ დარჩებოდა, ჩიბუხის გაწყობას სიგარეტის წევას ამჯობინებდა.

კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა ამოეოხრა სამთო გეოლოგიის სამმართველოს უფროსსა და მომავალ მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგეს თავის საიუბილეო დღეს?! მართალია, ტრაგიკული წლებიც განვლო, თითქმის მთელი ცხოვრება შიშსა და გაჭირვებაში იცხოვრა, მაგრამ უკანასკნელი ოცდაოთხი წლის მანძილზე ხომ სწრა-

ფად და საფუძვლიანად გაიკვალა გზა, მიაღწია იმ მწვერვალებს, რომლებზეც ოცნებაც სტალინის სიკვდილის შემდგომ წლებშიც კი შეიძლება სიგიჟედ მოსჩვენებოდა რეპრესირებული ოჯახის შვილს. ძველმა ტკივილებმა, შიშმა და დამცირებამ ბევრი ჭრილობა დაამჩნია მის სულსა და გულს. მაგრამ შემდგომ წლებში ნიჭითა და ენერგიული გარჯით მოპოვებულმა წარმატებებმა ხომ სულ სხვა რანგის სიხარული და ტკბობა მოუტანა ,სულ სხვა რწმენა, ძალა და ენერგია შესძინა მას, ერთ დროს ოჯახის უბედურებით სულიერად დათრგუნვილ ჭაბუკს. განა ამ გამარჯვებათა ფასს როდესმე შეიგრძნობს გალაღებული ოჯახის შვილი, მამა რომ წინ ბულდოზერივით უკვალავს გზას?!

„გამარჯვებები!“

სიგარეტის ნამწვავი საფერფლეზე დააგდო და ფანჯარას გახედა.

„აღარ თენდება, ეს ოხერი!“

მაშ რატომ აღმოხდა დამცინავი სიცილისმაგვარი ხმა საკუთარი თავის მიმართ? იქნებ იმიტომ, რომ შვილს ამ სამი თვის წინ ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს?

რასაკვირველია, ამიტომაც, რომელი ნორმალური ადამიანი არ იქნება სულით ხორცამდე შეძრწუნებული შვილის დაპატიმრებით, არჩილ გორდელი რომ არ ყოფილიყო?!

არჩილს კი ათმაგად უკლავდა გულს შვილის პატიმრობა. უკლავდა, რადგან კაცმა არ იცოდა, ვინ უფრო დასაჯა დავით გორდელმა, ის ვინც სასიკვდილოდ გასწირა და ბოთლი თავზე გადაამტვრია, თუ საკუთარი მამა, რომელმაც თავისი ღირსება ვერ დაიცვა.

ცხრა ახალი დაწყებული იყო, ლონდამ რომ კარზე დაუკაკუნა.

„ვინ უნდა იყოს?!“ — გაოცდა არჩილ გორდელი, და თვალი გააბილა. დილის ხუთი საათიდან ბევრი იწვალა, ვერა და ვერ დაიძინა. როგორც იქნა, ათი-თხუთმეტიოდე წუთის წინ წასთვლიმა და კარზე დაკაკუნებამაც გააღვიძა.

„ვინ უნდა იყოს?“ — გაუმეორა შეკითხვა საკუთარ თავს და დივანზე წამოჯდა.

„სტუმრად არავინ მოსულა, ზარის ხმა არ გამიგია. იქნებ ზარმა დარეკა კიდეც, მაგრამ ვერ გავიგონე?“

— შემობრძანდით.

კაბინეტში ლონდა შემოვიდა.

არჩილმა გაოცება ველარ დაფარა. რამდენი წელია, მეუღლე ასე ადრე გაღვიძებული არ უნახავს. თანაც უკვე მეშვიდე წელი გავიდა, რაც ცალ-ცალკე ეძინათ. იმ დღიდან მოყოლებული, ლოგინი რომ კაბინეტში გაიტანა და დივანზე გააწყო, ლონდას იქ ფეხი აღარ შეუდგამს.

მდიდრული ხავერდის ხალათი ლონდას კოჭებამდე სწვდებოდა. სწორად ჩამოვარცხნილი სქელი, შავი თმა მხრებზე გადაჰფენოდა. უჩვეულოდ მოეჩვენა მეუღლის ვარცხნილობა, ბოლო წლებში ლონდა თმას ისე იყენებდა, რომ ლამაზი კისერი გამოსჩენოდა. ასაკის შესაბამისად ცდილობდა სხეულისა თუ სახის სილამაზე შესაბამისად წარმოეჩინა. ქალმა სიგარეტი ხარბად მოქაჩა, მაგიდასთან მივიდა და საფერფლე თავისკენ მიაცურა. შემდეგ მაგიდას მიეყრდნო, ფეხები ერთმანეთზე გადააჭდო, თავი მაღლა ასწია და ბოლი ჭერისაკენ გაუშვა. წელს ქვემოთ გახსნილი ხალათი გვერდზე გადაცურდა და ოდნავ მსხვილი, მაგრამ მაინც ახალგაზრდული ფეხი გამოუჩნდა. ლამაზი მუხლის ზემოთ ჯიშიანი თეთრი ბარძაყიც ისე ვნებიანად გამოიკვეთა, რომ არჩილს გული შეუქანდა. შვიდი წელი იყო, მეუღლეს რომ აღარ გაჰკარებია, შვიდი წელი მის გულში შურისძიებისა და ზიზღის გრძნობა კუპრივით დუღდა. აი, ახლაც, წამიერ ცთუნებას უმალვე ადუღებული შავი კუპრი გადაესხა.

დუმილი დიდხანს არ გაგრძელებულა.

— გილოცავთ დაბადების დღეს! — თქვა უცებ ლონდამ და სიგარეტის ბოლი კვლავ ჭერისკენ გაუშვა.

— გმადლობთ! — დამცინავად წარმოსთქვა არჩილმა. თვითონვე გაუკვირდა თავისი გამომწვევი ხმა.

ლონდა, ცოტა არ იყოს, შეაცბუნა მეუღლის (დამცინავმა ინტონაციამ) უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე, მათ შორის რომ ყოველგვარი ცოლქმრული ურთიერთობა დამთავრდა, არჩილი გაცილებით კორექტულად ელაპარაკებოდა, ვიდრე მანამ, სანამ თავი ბედნიერი მეუღლე ეგონა.

— დღეს რას ვაპირებთ?

„ჰმ! „ვაპირებთ!" — ხმამაღლა თქვა გულში არჩილ გორდელმა.

— რას უნდა ვაპირებდეთ?! მე არაფერს არ ვაპირებ!

— უკვე გუშინდლიდან ქვეყანა რეკავს. ჰო, მართლა, მომილოცავს, რადიოთი გადმოუციათ შენი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოების ამბავი, თამილამ დამირეკა.

— გმადლობთ!

— შეეშვი დამცინავ ლაპარაკს, სჯობია საქმეზე ვილაპარაკოთ! — ლონდას თვალები რისხვით წამოენთო.

2

არჩილ გორდელს ძილში ბუნდოვნად ჩაესმა ზარის გაბმული ხმა. ღრმად ჩაძინებულის გონებამ ზარის წკრიალი ვერ აღიქვა და ლოგინში, მხოლოდ შეინძრა. მალე ზარი განმეორდა, ამჯერად უფრო ხანგრძლივად.

არჩილი დივანზე წამოჯდა, თვალები ბნელ სივრცეს გაუშტერა, გონს კიდევ ვერ მოეგო. ზარი აღარ განმეორებულა. ალბათ მომეჩვენაო, გაიფიქრა და კვლავ დაწოლა დააპირა. თავი ბალიშთან არც კი ჰქონდა მიტანილი, რომ ზარმა ისევ დაიწკრიალა.

გორდელი დივანზე წამოჯდა, თავთან მიდგმულ ტუმბოზე მოთავსებული ღამის ნათურა აანთო და საათს დახედა. ოთხი იყო დაწყებული.

„ამ შუაღამისას ვინ უნდა იყოს? ალბათ დათომ დაკარგა გასაღები", დაასკვნა ბოლოს და ნელა წამოდგა.

უცებ კარებისკენ მიმავალი მეუღლის ნაბიჯების ხმა გაიგონა, კვლავ დივანზე ჩამოჯდა და გაიზმორა.

„ვინ არის?" — იკითხა ლონდამ. პასუხს აღარ დაელოდა და მძიმე კარი გააღო.

შეკრთა. ალბათ მანაც გაიფიქრა, დათომ გასაღები თუ დაკარგაო და შვილის მაგივრად უცნობი კაცი რომ დაინახა, გული გადაუქანდა.

— არჩილი სახლშია? — დაასწრო უცნობმა.

— დიახ, მობრძანდით, მოხდა რამე?

— ისეთი არაფერი!.. — დაიბნა უცნობი და ჰოლში შემოვიდა.

— კაბინეტში მიბრძანდით, წუხელ გვიან მოვიდა და რატომღაც იქ არჩია ძილი.

არჩილმა იცნო ნოდარ ნებიერიძის ხმა. სწრაფად ფეხზე წამოიჭრა. სპორტული პიჟამო ჩაიცვა და სინათლე აანთო.

— გამარჯობა, არჩილ!

— მოხდა რამე? — მიაგება პასუხის ნაცვლად გორდელმა.

ნოდარი დაიბნა.

არჩილი მიხვდა, ნოდარს არ სურდა კაბინეტში შემოსასვლელი კარის ფრთაზე მიყრდნობილ შეშინებულ ლონდას მათი საუბრისათვის დაეგდო ყური.

— გადი და მერე დაგიძახებ! — მიუბრუნდა მეუღლეს არჩილი.

დაბნეული ქალი უმალვე დაემორჩილა ქმრის თითქმის ბრძანებით წარმოთქმულ სიტყვებს.

დუმილი მაშინაც გაგრძელდა, ლონდამ კარი რომ გაიხურა. თითქოს ორივენი დაელოდნენ, სანამ ქალი საძინებელ ოთახში შევიდოდა.

— რა მოხდა? აგერ ჩამოჯექი! — არჩილმა სკამზე მიუთითა, თვითონ კი სავარძელში მოკალათდა და სიგარეტს მოუკიდა. აშკარად ცდილობდა, მღელვარება არ დასტყობოდა.

— დათომ იჩხუბა!

— მერე, დააკავეს?

— კაცი დაჭრა.

— კაცი დაჭრა?! — თავი ვეღარ დაიმორჩილა არჩილმა. სავარძელში წამოიწია და ხელის მტევნებით სავარძლის სქელ სახელურებს დაეყრდნო.

— მძიმედ დაჭრა.

— პირდაპირ მითხარი, მოკლა?

— არ ვიცი, საავადმყოფოში თქვეს, ვერ გადარჩებაო.

— დათო სად არის?

— მილიციაშია.

— შენ საიდან გაიგე?

— მილიციის მორიგე ჩემი ნათესავია. იცის, შენი მეგობარი რომ ვარ და დამირეკა. შველა ახლავე უნდა, მერე გვიან იქნება.

— ვინ არის ის ბიჭი?

— ბიჭი არაა, ჩვენი ტოლა კაცია.

— ჩვენი ტოლა? — თვალები კიდევ უფრო წამოენთო ისედაც გაფითრებულ და აცახცახებულ არჩილს.

— ჰო, ჩვენი ტოლა. ვიღაც ოთარ ტატიშვილი ყოფილა.

— ოთარ ტატიშვილი? — ლამის წამოყვირა არჩილმა. ერთთავად გაფითრებულს სიგარეტი იატაკზე დაუვარდა. ძარღვებში სისხლი შეუდედდა.

— შენ რა, იცნობ, ვინ არის?! — ჰკითხა გაოცებულმა ნოდარმა, თან ფეხზე სწრაფად წამოიჭრა, იატაკიდან სიგარეტი აიღო და საფერფლეზე დააგდო.

— არა, არ ვიცნობ, სახელი და გვარი თითქოს ნაცნობი მომეჩვენა. წარმოდგენა არა მაქვს, ვინ არის... — ამოილუღლუღა არჩილმა, სავარძლის საზურგეს მიეყრდნო და თვალები დახუჭა. თვალზე ცრემლი მოადგა. ცოტაც და ატირდებოდა. იგრძნო, მის მძლავრ და დიდ სხეულში პატარა პიროვნება პლასტმასის მომცრო ბურთულასავით დაგორავდა და კედლებს ეასკდებოდა. ცრუობდა, საშინლად ცრუობდა. განა მშვენივრად არ იცოდა, ვინც იყო ოთარ ტატიშვილი? განა პირველად, წამიერად, მაგრამ მაინც სიხარულის გრძნობამ არ შეიპყრო, მისი მოკვლის ამბავი რომ გაიგო? განა დროზე არ გაანადგურა გონებაში უცბად წამოჭრილი ფრაზა, — ბოლოს და ბოლოს ჩაძაღლდა ეგ გარეწარიო?! ნოდარმა ვერ შენიშნა, თორემ თავდაპირველად განა არჩილ გორდელს სიხარულისაგან არ წამოენთო თვალები?

კიდევ კარგი, ერთბაშად მოეგო გონს. მისმა ერთადერთმა შვილმა, ერთადერთმა მემკვიდრემ, მისი ცხოვრების ერთადერთმა აზრმა და მიზანმა კაცი მოკლა!

„დაიღუპა, ყველაფერი დაიღუპა. შვილიც დამეღუპა და ჩემს მომავალ ცხოვრებასაც დაესვა წერტილი!“

— არჩილ, ახლავე ჩაიცვი და წამოდი. სასწრაფოდ უნდა ვიმოქმედოთ. იქნებ ის კაცი გადარჩეს კიდეც. მაშინ საქმე გაიოლდება. თუ ფხიზლად ვიქნებით და ენერგიულად ვიმოქმედებთ, საქმეს მოევლება.

— მე ვერ წამოვალ. აზრი არა აქვს. არც საავადმყოფოში და არც მილიციაში ჩემი გამოჩენა არ არის საჭირო. ხალხს გავაღიზიანებ და საქმეს გავართულებ. ჩემი სახელით ისევ შენ უნდა იმოქმედო! არაფერი დაიშურო, არც ენერგია და მონდომება, არც სხვა რამ... ჯერ საავადმყოფოში გავარდი, თუმცა, არაა საჭირო, მილიციას საავადმყოფოსთან აუცილებლად ექნება კავშირი. იქ ყველაფერი ეცოდინებათ. მე ტელეფონთან ვიჯდები.

ნოდარი ფეხზე წამოდგა. არჩილმა წელი ძლივს წამოსწია და კარებამდე მუხლმოკვეთილმა მიაცილა. კარი მანამ არ დახურა, სანამ ნოდარმა სადარბაზოს კიბეები არ ჩაირბინა.

ძლივს შეგმობრუნდა. ერთი სული ჰქონდა, სავარძლამდე მიეღწია. ეშინო-

და, გზაში არ წაქცეულიყო. სავარძელში როგორც კი ჩაჯდა, ღრმად ამოისუნთქა თუ ამოიკვნესა, სავარძლის საზურგეს მიაწვა და თვალები დახუჭა.

ლონდამ კარის გაჯახუნების ხმა რომ გაიგონა, საწოლი ოთახიდან გამოვიდა და ქმარს ფეხდაფეხ შეჰყვა. იგი წელანდელივით კვლავ კარს მიეყრდნო და შეშინებული თვალები ქმარს ვედრებით მიაპყრო. არჩილ გორდელი გრძნობდა, ლონდა რომ დაჟინებით მისჩერებოდა. ხმის ამოღებას არ ჩქარობდა.

— აღარ იტყვი, რა მოხდა? — თქვა უცებ ლონდამ.

— სიგარეტი მომაწოდე.

გაოცებულმა ლონდამ სიგარეტის კოლოფი და კვესი თვალებდახუჭულ ქმარს პირდაპირ ხელში მიაჩეჩა. უკვე შვიდი წელი სრულდებოდა, ქმარს მისთვის არაფერი დაუვალებია. საჭმელსაც თვითონ იცხელებდა და ისხამდა. თეფშსაც მოსამსახურე ქალი ულაგებდა, ტანსაცმელსაც ის ურეცხავდა და უუთოვებდა. თუ დათო შინ არ იყო, ერთმანეთს არც ელაპარაკებოდნენ. არჩილმა თვალი გაახილა, სიგარეტს მოუკიდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

— ხმა ამოიღე, ადამიანო! — თვალები წამოენთო ლონდას.

არჩილი მიხვდა, მეუღლის ხმას ძველებური სიამაყე, სიმკაცრე და სიფიცხე აკლდა.

„იქნებ ტანმა უგრძნო? იქნებ მისმა არსებამ რაღაც საგანგაშო იმპულსი მიიღო?“

ლონდამ იცოდა, არჩილი არ იყო ის კაცი, სხვა დროს მსგავსი რამ გაებედა. ამიტომაც შეიპყრო შიშმა. მიხვდა, რომ მოხდა რაღაც საშინელება, გამოუსწორებელი საშინელება!

— დათომ კაცი მოკლა!

— რა თქვი? — შეჰკივლა ლონდამ.

— დათომ კაცი მოკლა!

— ვინ, სად, როდის? — დააყარა კითხვები სასოწარკვეთილმა ქალმა.

— შენ კარგად იცი, ვისაც მოკლავდა.

— მეეე? მე საიდან... — იყვირა გაცოფებულმა ლონდამ.

უცებ ხმა გაებზარა. მიხვდა, არჩილი ვისაც, გულისხმობდა. მიხვდა და იგრძნო, ფეხქვეშ იატაკი როგორ გამოეცალა. შეშინებულმა ხელი კარის სახელურს მოავლო, შეეშინდა, უფსკრულში არ ჩაკარგულიყო.

არჩილ გორდელმა მეუღლეს შეხედა, მთელ სიცოცხლეს გაიღებდა, ოღონდ კი გაეგო და ეგრძნო, არა, უფრო მეტი, ვიზუალურად დაენახა ის აზრები, ამ წუთში, ამ წამში ლონდას გონებაში რომ იბადებოდა და ტრიალებდა. თავდაპირველად არ უნდოდა შურისძიების გრძნობა რომ დაუფლებოდა და ლონდას ტანჯვით დამტკბარიყო. ცდილობდა, თავს მორეოდა, ღირსების გრძნობა არ დაეკარგა. სამწუხაროდ, უმწეო აღმოჩნდა, თავისი შინაგანი ბუნება დაემორჩილებინა. ო, შურისძიებით როგორ დატკბებოდა, მკვლელი რომ საკუთარი შვილი არ ყოფილიყო!

ლონდამ ძალ-ღონე ძლივს მოიკრიბა, საწოლ ოთახში ლასლასით გავიდა, ლოგინში თავდაღმა ჩაემხო და აქვითინდა.

„ნეტავ რომელს უფრო ტირის, შვილს თუ საყვარელს?“

არჩილი ფეხზე წამოდგა, კვლავ სიგარეტს მოუკიდა და ფანჯარასთან მივიდა. ქუჩაში კაცი არ ჭაჭანებდა, გადაღმა მხარეს მხოლოდ ორ კატას მოჰკრა თვალი, სადარბაზოში რომ გაუჩინარდნენ.

„ნუთუ დათომ ყველაფერი იცოდა?!

„რასაკვირველია, იცოდა, ბავშვს რას გამოაპარებ!“

იმ სკანდალური კონფლიქტის შემდეგ შვიდი წლის წინ რომ მოხდა, არჩილ გორდელმა საბოლოოდ გაწყვიტა მეუღლესთან კავშირი. მიხვდა თუ არა თავის ტრაგედიას, არჩილისათვის კაბინეტი იქცა საწოლ ოთახად. თავდაპირველად უნდოდა საწოლი გადმოეტანა, მაგრამ გადაიფიქრა, ვაითუ ბავ-

შვი რამეს მიხვდესო. არც ის უნდოდა, შინამოსამსახურე ქალს ეგრძნო, ცოლქმარს შორის რომ სამუდამოდ აღიმართა მძიმე, მტანჯველი კედელი..

„ის ნაძირალა ვაითუ მოკვდეს. მერე ხომ დამეღუპა შვილი!“ — გაიფიქრა არჩილ გორდელმა და გულში მწარედ გაეცინა. — ესაა ჩემი ცხოვრება? იქამდეც დავეშვი, რომ საძულველი ადამიანის გადარჩენას ვნატრობ? ადამიანისა, რომელიც შემიძლია დღეში ასჯერ ჩამოვახრჩო, დავხვრიტო, დავანაკუწო, ნელ ცეცხლზე დავწვა?!“

დრო მეტისმეტად ნელა გადიოდა, ამაოდ მისჩერებოდა არჩილი ტელეფონს. ზარის ხმა არა და არ ისმოდა. სიგარეტის მეორე კოლოფი თითქმის გაანახევრა კიდეც, ტელეფონმა რომ დარეკა. უმალვე ყურმილს ეცა. ლონდაც გამოვარდა და ნახევრადგამოღებულ კარში გაეჩხირა.

— გისმენ, — მოუთმენლად წარმოსთქვა არჩილმა.

— მგონი, გადავრჩით, არ მომკვდარა. ექიმებმა თქვეს, იცოცხლებსო.

ლონდა მეუღლეს გაფაციცებული მისჩერებოდა. უნდოდა რეაქციაზე ამოეკითხა, არჩილს რას ეუბნებოდნენ.

— გასაგებია! — მოკლედ თქვა არჩილმა.

— ჩვენების ჩამორთმევა გადავადებინე. დათოს აღგზნება და საშინელი მღელვარება მოვიმიზეზე, არადა ბიჭი არ ცხრება, იძახის, მე მოვკალიო. შეხვედრა მინდოდა. დათომ უარი შემომითვალა, მოვკალი, მორჩა და გათავდაო. არ მომკვდარა-მეთქი, შევუთვალე მე. გამწარებული აღრიალდა, სულ ერთია, რომ გამოვალ, მერე მოვკლავო. არ ვიცი, შენ რომ, მოხვიდე, უშველი თუ არა საქმეს. იქნებ სჯობია, დილამდე ვაცალოთ. ღვინო გამოეყრება, ენერგიაც გამოეცლება და დამშვიდდება. მე აქ ვიქნები, ჯერჯერობით ჩვენებას არ ჩამოართმევენ.

— გასაგებია, ყველაფერი გასაგებია. დილის ცხრისათვის მოვალ, ასე სჯობია!

არჩილმა ყურმილი დადო.

— რაო, რა გითხრა?

— მაინც სად ჯანდაბაში გადაეყარა...

არჩილმა სათქმელი აღარ დაამთავრა, ლონდას თანდასწრებით ფრაზას შესაბამისი გაგრძელება ვეღარ მოუნახა.

— გამაგებინე, რა გითხრა!

ო, როგორ აღარ ჰგავდა ლონდა საკუთარ თავს, მკაცრ, მრისხანე, ამაყ და დამცინავ ლონდას!

— რა უნდა მითხრას! ვერაფრით ვერ გადაათქმევინეს, რომ ის ნაძირალა მან მოკლა. გაიძახის მე მოვკალიო, მორჩა და გათავდა!

არჩილმა მეუღლეს არ გაუმხილა, ოთარ ტატიშვილი რომ ცოცხალი გადარჩა. ან კი რატომ უნდა გავუმხილო. დილამდე ინერვიულოსო, — გადაწყვიტა გულში.

დუმილი ჩამოვარდა. ბოლოს ლონდამ კარი გაიხურა და საწოლ ოთახს მიაშურა. სასოწარკვეთილმა სიგარეტს მოუკიდა, სინათლე ჩააქრო და სავარძელში ჩაჯდა.

ქალი მიხვდა, შვილთან არც არჩილის, არც მისი მისვლა ამ წუთში არ შეიძლებოდა, განსაკუთრებით დედისა. დათო კიდევ უფრო გადაირეოდა და გაღიზიანდებოდა. უფრო სიღრმეებში აღარ მიდიოდა. იმის გაფიქრებისაც კი ეშინოდა, ჰქონდა თუ არა უფლება, შვილს დანახვებოდა. არც იმაზე ფიქრი სურდა, მეუღლისა რცხვენოდა, თუ იმის დარდი კლავდა, არჩილ გორდელი სულიერად განადგურებულ მეუღლეზე მორალურ გამარჯვებას რომ ზეიმობდა. მართალია, სჯეროდა, რომ ისიც შვილის ბედით იყო გამწარებული და განადგურებული, მაგრამ შურისძიების ნეტარი გრძნობით რომ ტკბებოდა, ეჭვი არ ეპარებოდა.

არჩილი დივანზე გაუხდელად წამოწვა.

ბევრი მწარე დღე უნახავს არჩილ გორდელს, ბევრი შიში და შეურაცხყოფა გადაუტანია, მაგრამ მსგავსი საშინელი დღე არასდროს დასდგომია. ყველაზე დიდი უბედურება მაინც ის იყო, რომ საკუთარი თავი ეზიზღებოდა. უფრო შეურაცხმყოფელი და გულისმომკვლელი შეიძლება რამე იყოს, ვიდრე ნატრობდე იმ ქვეწარმავლის გადარჩენას, რომელმაც შენი კაცობა შეურაცხყო, ოჯახი დაგინგრია და ერთადერთი შვილი ციხის კარამდე მიიყვანე?! განა სულში ჩაფურთხება არ იყო, რომ შვილის გამოხსნაში ისევე იმ კაცის იმედი ჰქონდა, ვინც მისი შვილი ამ დღემდე მიიყვანა?! ვითომ იკისრებს, ხელი დაადოს დათოს? იქნებ იკმაროს ამდენი გარეწრობა და ახალგაზრდა კაცი აღარ გასწიროს ბოლომდე?

დროდადრო გულზე რაღაც შინაგანი ტკბობაც ეუფლებოდა. თუ აქამდე თავი დამარცხებულად მიაჩნდა, ამჯერად გამარჯვებას ზეიმობდა. მიხვდა, რომ ლონდას ანგარიში საბოლოოდ გაუსწორა. თუმცა, მან გაუსწორა?! სულ ერთია, მიხვდა, ლონდა სამუდამოდ გაითელა და განადგურდა. ძალიან ძვირი კი დაუჯდა მისი განადგურება, საკუთარი შვილის ციხეში ჩაჯდომის ფასად, მისი მომავლის გაწირვის ფასად...

არჩილმა სპორტული პიჟამო გაიხადა და ლოგინში ჩაწვა.

„იქნებ ერთი საათი მაინც დავიძინო. დილიდანვე უზარმაზარი ნერვიულობა მელის და ენერგიამ არ უნდა მიმტყუნოს. არც ენერგიამ და არც ნერვებმა...“

3.

„შეეშვი დამცინავ ლაპარაკს, სჯობია, საქმეზე ვილაპარაკოთ!“ — დაუტრიალდა გონებაში ლონდას მიერ ულტიმატუმივით ნასროლი ფრაზა.

— მაინც რა საქმეზე უნდა ვილაპარაკოთ?

— მშვენივრად იცი, რა გუნებაზეც ვარ. შენი დაბადების დღე მაინც უნდა აღვნიშნოთ. ჩვეულებრივი თარიღი რომ იყოს, არაფერს ვიტყოდი. ორმოცდაათი წელი შეგისრულდა. მთავრობამ სიგელით დაგაჯილდოვა. ხომ გესმის, ტელეფონი არ ჩერდება. ბანკეტი ბევრ მითქმა-მოთქმას და გაუგებრობას გაფანტავს. ბავშვს სასჯელს აუცილებლად შეუცვლიან და პირობითს მისცემენ. ბოლოს და ბოლოს, იჩხუბა, მეტი ხომ არაფერი მომხდარაო ორ საათში უკვე შეიძლება „ივერიაში“ შევუკვეთო სამოცკაციანი დარბაზი. ვფიქრობ მეტი არაა საჭირო.

არჩილი მეუღლეს რაღაც გამოუცნობი გამომეტყველებით მისჩერებოდა და ხმას არ იღებდა.

„ნუთუ სულით და ხორცით ამოდენა გარეწარია? ნუთუ სრულებით არ გრძნობს დანაშაულს, ნუთუ ოდნავ მაინც არ აწუხებს სირცხვილის გრძნობა, ნუთუ არ სტანჯავს სინდისის ქენჯნა, ერთადერთი შვილი რომ მისი გულისთვის შეიძლება ციხეში ჩაჯდეს“. თუმცა, რას ვამბობ! განა ადამიანს შეაწუხებს იმისი ქენჯნა, რაც არა აქვს?!“

ლონდა აქვარიუმში მოცურავე თევზებივით ხედავდა არჩილის ტვინში მბრუნავ აზრებს, მაგრამ არაფერს იმჩნევდა, პირიქით, სიამოვნებდა მეუღლის თავმოყვარეობაზე უბოდიშოდ რომ დააბიჯებდა.

— უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე განა ერთხელ და ორჯერ გვითამაშნია ბედნიერი წყვილის როლი? — დამცინავი ღიმილით განაგრძო ლონდამ.— ამჯერადაც დავუყენოთ მტერს თვალი, ამჯერადაც გავახაროთ მეგობრები და გულშემატკივრები, თუკი ისინი ნამდვილად გვყვანან!

„ხედავთ, როგორ გათამამდა? იმ ნაძირალას ჩვენებამ გაათამამა, სასამართლოს რომ მისცა, ამ ყმაწვილს ჩემთვის არაფერი დაუშავებია, უფრო მეტიც, იქ საერთოდ არ შემიმჩნევია, პირველად ვხედავო“, — გაიფიქრა არ-

ჩილმა და ისიც გაახსენდა, მის სიტყვებს დათო როგორ გაუცოფებია, მე გაგიჭეჭყე თავი და ვაი, რომ ვერ მოგკალიო, — ყვიროდა თურმე გამწარებული ჭაბუკი. დათოს კატეგორიული მოთხოვნით მშობლები სასამართლოს არ დასწრებია. თუმცა დათოც რომ წინააღმდეგი არ ყოფილიყო, ვერცერთი, ალბათ, უხერხულობის გამო, სასამართლოზე ვერ მივიდოდა, იმ ნაძირალას თანდასწრებით ვერცერთი შვილს თვალებში ვერ შეხედავდა.

არჩილ გორდელის სულში დატრიალებულმა ქარიშხალმა ზღვის ფსკერზეც ჩააღწია და მთელი ზღვა აატორტმანა.

— აქედან გაეთრიე, გესმის? სანამ ცოცხალი ხარ, აქედან გაეთრიე! — იყვირა მთელი ხმით არჩილმა და ტელეფონის აპარატს ხელი წამოავლო.

ლონდა დაიბნა. არჩილის ამგვარ აფეთქებას ნამდვილად არ ელოდა. პირველად ნახა წონასწორობიდან გამოსული და გაშმაგებული მეუღლე. განსაკუთრებით უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე შეეგუა ქმრის დუმილს, ინერტულობას, კულტურული ნორმების შესაშური და ხაზგასმული გულმოდგინებით დაცვას,საზოგადოებრივი აზრისათვის ანგარიშის გაწევას. მილიონი მიზეზის გამო, ვინ მოთვლის, არჩილ გორდელს რამდენჯერ ჩაუკლავს გულში შეურაცხყოფა, რამდენი საათი, დღე და კვირა ბოღმა ვერ გადეოუნთხევია, პროტესტი ვერ განუცხადებია და გადამწყვეტი ნაბიჯი ვერ გადაუდგამს. აბა, ახლა რა მოხდა? რა არის ეს, წამიერი გაცოფება? იქნებ, უბრალოდ, ამდენი განცდების შემდეგ ნერვები ვერ მოთოკა? იქნებ არჩილ გორდელის არსებაში რაღაც შეიცვალა, რაღაც მნიშვნელოვანი ძვრა მოხდა?

„არა, არავითარი ძვრა მის არსებაში არ მომხდარა, — დაასკვნა ლონდამ, უბრალოდ, ნერვებს ვერ მოერია. შვიდი წლის ნაგროვებმა ბოღმამ ახლა ამოხეთქა. ეგ არის და ეგ! განა არჩილ გორდელს შესწევს უნარი აჯანბაზს საკუთარ თავს? განა ცხოვრებაში ერთხელ მაინც გადაუდგამს გადამწყვეტი ნაბიჯი, თუნდაც ერთი ბეწოთი ამაღლებულა საკუთარ თავზე? აი, ახლაც, ამოანთხევს წლების მანძილზე დაგუბებულ შხამსა და ბალღამს, ამოანთხევს და დამშვიდდება. კვლავ კორექტულ, ძველ არჩილ გორდელად იქცევა. კვლავ უზადოდ ჩაიცვამს და ნაცოდვილარი ინგლისური მანერით გააბოლებს თავის სასაცილო ჩიბუხს“.

ლონდა ადგილიდან არ განძრეულა, თითქოს ელოდა, ქმარი როდის ესროდა ტელეფონის აპარატს. მშვენივრად იცოდა, არჩილი ამის გამკეთებელი არ იყო და ბაგეზე გამოსახული ოდნავ შესამჩნევი ირონიული ღიმილით თითქოს ეუბნებოდა, აბა ერთი მიჩვენე, რისი მსროლელი ხარ, შე უბედურო.

არჩილი ნელ-ნელა დაცხრა და აკანკალებული ხელით ტელეფონის აპარატი ისევ თავის ადგილზე დადო, სავარძლის საზურგეზე მიესვენა და თვალები დახუჭა.

ლონდამ მარცხენა წარბი მრავალმნიშვნელოვნად ასწია, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, სიგარეტის ნამწვავი ქმრის საფერფლეზე დააგდო და კიდევ უფრო აშკარად გამოსახული დამცინავი ღიმილით კაბინეტიდან გავიდა.

4.

— ხვალ მივლინებაში მივდივარ! — უთხრა არჩილმა მეუღლეს, წელზე ხელი მოხვია და თვალებში სიყვარულით ჩახედა.

ლონდამ მეუღლეს თვალი ყურადღებით გაუსწორა და ოდნავ გაიღიმა.

— რამდენი დღით? — ჰკითხა უცებ ქმარს.

არჩილი გაოცდა. კარგახანია მიეჩვია, ცოლი არასდროს ეკითხებოდა,

მივლინებაში სად ან რამდენი დღით მიემგზავრებოდა.

— ცხრა დღით, მოსკოვში.

— ცხრა დღით?

— ჰო, ცხრა დღით, ხომ არაფერს დამაბარებ?

— არაფერს! — გაიღიმა ლონდამ, ხელი გააშვებინა, მაგიდასთან მივიდა, სიგარეტს დასწვდა და მოუკიდა. — სახლიდან რომელ საათზე გადიხარ?

— დილის შვიდ საათზე. სულ არაფერს დამაბარებ?

— როდისმე დამიბარებია რამე? შენ საქმეზე მიდიხარ, დრო და საშუალება თუ გექნება, ვიცი, არაფერი შეგეშლება.

— ხომ არ წამოხვალ? ბავშვი სოფელშია. ამ სიცხეში მარტო ყოფნას არ სჯობია!

ლონდამ ღრმა ნაფაზი დაარტყა და ბოლი, ჩვეულებისამებრ, ჭერისაკენ გაუშვა, მერე ქმარს შეხედა და ირონიულად გაიღიმა.

— ახლა მეუბნები?

— რატომ იღიმები? მივლინებაში წასვლა დღეს გადაწყდა. გადაწყდა მოულოდნელად. თვითმფრინავის ბილეთი ნუ გაღელვებს. ახლავე დავრეკავ და ყველაფერი წამიერად მოგვარდება. მივდივართ, არა?

არჩილის თვალებიდან გულწრფელი სიხარული იფრქვეოდა.

— სამწუხაროდ, შენს აღტაცებას ვერ გავიზიარებ.

— რატომ? — შეცბა არჩილი.

— მე ის ქალი ვარ, მოსკოვში წასასვლელად რამდენიმე საათი რომ ეყოფა?!

— მაშინ, ხვალ წამოდი, ან ზეგ!

— არა, ძვირფასო, წვალებად არ ღირს. სჯობია, სოფელში მამაჩემსა და ბავშვს ჩავაკითხო. ზუსტად მითხარი, როდის ჩამოხვალ და თბილისში დაგხვდები.

— მაინც დაფიქრებულიყავი.

— კარგად იცი, ზედმეტი ლაპარაკი არ მიყვარს! — ლონდამ სიგარეტის ნამწვი საფერფლეზე დააგდო და საწოლ ოთახში გავიდა.

ძილის წინ არჩილმა აბაზანა მიიღო და ფრანგული ოდეკოლონი იპკურა. ლოგინში ჩაწოლისთანავე ტუმბოზე მოთავსებული ნათურა ჩააქრო და ცოლს მოეხვია.

— იცი, როგორი დაღლილი ვარ?!— უკმაყოფილოდ თქვა ლონდამ.

— ცხრა დღე ვერ გნახავ, ცხრა დღე ხუმრობა ხომ არ არის! — არჩილმა მეუღლის ტუჩები მონახა.

ამჯერადაც, როგორც მთელი თორმეტი წლის მანძილზე, ლონდამ ცივად შეასრულა თავისი მოვალეობა. არჩილი მეუღლის სიცივეს მიჩვეული იყო. მან მშვენივრად იცოდა, ქალების უმრავლესობა რომ ცივები არიან. ისიც იცოდა, ქალის სიცივის ძირითადი მიზეზი მეუღლეები რომ გახლავან. საკუთარ ტემპერამენტზე საკმაოდ დიდი წარმოდგენა ჰქონდა და ვარაუდობდა, ლონდას ერთი წლის მანძილზე მაინც გავუღვიძებ ქალობასო. მეორე წელს უკვე მიხვდა, ლონდას მთელი გარეგნული ვნებიანობა მხოლოდ მისი ჯიშიანი ტუჩებისა და მომწვანო-მოცისფრო თვალების წყალობა რომ იყო. მიხვდა და გუნება მოეწამლა. ყოველი მისი ცალმხრივი ალერსი თანდათანობით ამაზრზენ სახეს იღებდა. ისეთი განცდა იპყრობდა, თითქოს ლონდას რაღაც ტკივილს, შეურაცხყოფასაც კი აყენებდა. გვერდზე რომ გადაბრუნდებოდა, ქალიც უმალვე აბაზანას მიაშურებდა ხოლმე და იქიდან თითქმის მთელი საათი არ გამოდიოდა. მეუღლის გამოსვლამდე აღარც არჩილს ეძინებოდა. უსიამოვნო გრძნობა ეუფლებოდა. რატომღაც სჯეროდა, რომ არჩილის ხორციელი სიახლოვით ზიზღმორეული ქალი თავს გაუპატიურებულად მიიჩნევდა და ტანს საგანგებოდ იხეხავდა, არჩილთან შეხების ყოველ-

გვარ კვალს სპობდა. მეუღლესთან ხორციელი კავშირისას ხანდახან იმისი ეჭვიც კი კლავდა, რომ ლონდას თვალები ღია ჰქონდა და ქუჩიდან შემომავალი მკრთალი შუქით ოდნავ განათებულ ჭერს მისჩერებოდა. მისჩერებოდა და თან ელოდა, ქმარი თავის საქმეს როდის მოათავებდა. დროთა განმავლობაში ამასაც მიეჩვია. უხერხულობის გრძნობაც დაკარგა, ალერსს მორჩებოდა თუ არა, თავის საწოლში გადაგორდებოდა და იმავე წუთში იძინებდა.

ამჯერადაც გადაწყვიტა უმალვე ძილს მისცემოდა, მაგრამ თვალი ვერა და ვერ მოხუჭა. საერთოდ, ფრენის წინა ღამეს ძილი არ ეკარებოდა. ლონდა აბაზანიდან გამოსვლას აგვიანებდა. არჩილს გაახსენდა, წელან, ალერსის დროს, ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ლონდას სანახევროდ ეძინა კიდეც. გაახსენდა და უსიამო გრძნობამ შეიპყრო. ფიქრი უმალვე მოსკოვზე გადაიტანა, გონებაში ათასჯერ დაწყობილი სამოქმედო გეგმა ათასმეერთეჯერ გადასინჯა. ძილი მაინც არ მიეკარა. როგორც იქნა, ლონდა სააბაზანოდან გამოვიდა და ლოგინში ჩაწვა. არჩილმა იფიქრა, გამოველაპარაკებიო, უმალვე უარყო. იცოდა. ქალი მხარს მაინც არ აუბამდა. უბრალოდ, ენერგიულად შეინძრა, მეუღლეს აგრძნობინა, ჯერ კიდევ არ მძინავსო და თავი ბალიშში ჩარგო.

დილით, ექვს საათზე კაბინეტიდან მაღვიძარა საათის სუსტი ხმა შემოესმა. მაღვიძარა კაბინეტში იმიტომ დადგა, ზარის ხმას რომ ლონდა არ შეეწუხებინა.

ლოგინიდან ფრთხილად წამოდგა, კაბინეტში გავარდა და საათის ზარი გამორთო. ერთ საათში მზად იყო წასასვლელად. უკანასკნელი ნაფაზი დაარტყა, სიგარეტი საფერფლეზე მოსრისა, „ადიდასის“ ფირმის შავ ლამაზ ჩანთას დასწვდა და მეუღლე რომ არ გაეღვიძებინა, კარისაკენ ფეხაკრეფით გაემართა.

თვითმფრინავის პირველ სალონში ნაცნობებს მოჰკრა თვალი. რატომღაც მხოლოდ საერთო სალამი თქვა, სავარძელში სასწრაფოდ მოკალათდა და აეროპორტის ჯიხურში ნაყიდი გაზეთი გაშალა. უგუნებოდ იყო. არ უნდოდა, ვინმე გამოლაპარაკებოდა. თვითმფრინავის აფრენისთანავე გაზეთი დაკეცა, წინა სავარძლის ჯიბეში ჩადო, იქნებ დავიძინოო, გაიფიქრა და თვალები დახუჭა, არა და არ ეძინებოდა. საერთოდ, თვითმფრინავში ძილს ვერ იტანდა. იცოდა, სავარძელს მიწოლილი მძინარე მგზავრი რა საცოდავად გამოიყურებოდა. თვალებდახუჭული, ოდნავ პირგაღებული და სახემორღვეული მძინარე კაცი მნახველში, მით უმეტეს ნაცნობის თვალში, ძალზე დაკნინებული, უმწეო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

გუნებამოწამლულს კვლავ ლონდა გაახსენდა. მეუღლის სიცივესა და გულგრილობას. კარგახანია შეეჩვია. უწინ ამ გულგრილობას ლონდას ხასიათით ხსნიდა. ფიქრობდა, იგი დაბადებით არის სიტყვაძუნწი, უემოციო, ფლეგმატური და აუღელვებელი პიროვნებაო. თუმცა ლონდას სიამაყე და თავდაჭერა როდი აკლდა. უფრო მეტიც, ქალის სიამაყე ხშირად ამბიციურობაში იზრდებოდა. არაერთხელ და ორჯერ მომხდარა, რაიმე საზეიმო სუფრაზე მიწვეულებს სუფრა რომ მიუტოვებიათ. სუფრასთან მისხდომიდან ოცი, ოცდაათი წუთის შემდეგ ქმარს ყურში ეტყოდა, შინ წავიდეთო. ქორწინების პირველ წელს არჩილ გორდელს რამდენჯერმე ძვირად დაუჯინა გაწეული წინააღმდეგობა. შემდეგ მიეჩვია. მეუღლის ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებდა. ცნობისმოყვარეობა კლავდა, მაგრამ ვერცერთხელ ვერ გაიგო, ლონდა სუფრას რა მიზეზით ტოვებდა. შეკითხვაზე მეუღლისგან ყოველთვის ერთიდაიგივე პასუხი ესმოდა, უბრალოდ, იქ ჯდომა არ შემეძლოო.

მხოლოდ ორი წლის შემდეგ მიხვდა მეუღლის უცნაური ქცევის ნამდვილ მიზეზს. მეგობართან იყვნენ სტუმრად. ლონდამ თავიდანვე მიიქცია ყველას ყურადღება. მისმა, შავი თმისთვის თითქოს შეუფერებელმა მომწვანო-მოლურჯო თვალებმა, უზადო ჩაცმულობამ და სხეულის შეგრძნებისა და ფლობის დახვეწილმა უნარმა უცნობები უმალვე მოხიბლა. განა ცოტა გვინახავს ლამაზი ქალი, სხეულს რომ ვერ იმორჩილებს და უხერხულად დაბიჯებს?! ბევრი სიარულის თუ ხელის მოძრაობის ხელოვნებას დაუფლებულიც გახლავთ, მაგრამ სილამაზე, სხეულის აღნაგობა არ უწყობთ ხელს. ზოგიერთები საკუთარ ნაკლზე, ვთქვათ, დაბლა წელზე, სახის დისპროპორციაზე, ზედმეტად მსხვილ ან პირიქით, ზედმეტად წვრილ ფეხებზე ბევრს ფიქრობენ, და სიარულისას ან ლაპარაკისას საკუთარი ნაკლის შენიღბვით დაკავებულნი თავისუფლად, ლაღად და ბუნებრივად ვეღარ მოძრაობენ. ლონდას პირიქით, შეეძლო თავისი თუნდაც ოდნავ მსხვილი ფეხები და ზედმეტად ვნებიანი ტუჩები ულამაზესად წარმოეჩინა, კაბას ყოველთვის ისეთი სიგრძისას იცვამდა, მარჯვენა მხარეს გაკეთებული ჭრილი მის მუხლს კიდევ უფრო შთამბეჭდავს და რაღაც საიდუმლოებით მოცულს რომ ხდიდა, თუკი შეიძლება „საიდუმლოებით მოცული“ ამ შემთხვევაში სწორად ნაპოვნი გამოთქმა იყოს. ოდნავ მსხვილი, მაგრამ მკვრივი წვივები კაბაში შემალული ბარძაყის ჯიშიანობაში გარწმუნებდა. კაბაზე ჭრილის სიგრძე იმდენად ოსტატურად იყო შერჩეული, რომ ყველაზე მკვეთრი მოძრაობისას მხოლოდ მუხლი ჩანდა. თანაც იმედს გიტოვებდა, რაღაც მომენტში, წამიერად, შეიძლება მუხლს გარდა ცოტა მეტიც გამოჩენილიყო, და ვნებიანი ცნობისმოყვარეობა დაგეკმაყოფილებინა.

ლონდა ფეხზე დგომისას გაცილებით შთამბეჭდავად აღიქმებოდა, მარტო იმიტომ კი არა, მთელი ტანით — რომ ჩანდა, უბრალოდ, ძალზე ლამაზი დგომა იცოდა. ხელის მოძრაობა, საყრდენი ფეხის შენაცვლება, დროდადრო თავის ნაზი გაქნევით თმის შესწორება, სიგარეტის მოკიდება თუ მოწევა იმდენად ბუნებრივად და ლამაზად გამოსდიოდა, არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიგექცია. ერთი წუთითაც არ მოდუნდებოდა ,თვალი არ გაექცეოდა, დაღლილობას ან მოწყენილობას არ შეიმჩნევდა. ლაპარაკში იშვიათად ებმებოდა. საოცარი უნარი ჰქონდა, თანხმობაც, უარიც, ეჭვიც, ყოყმანიც, წყენაც კი ღიმილით გამოეხატა. დახვეწილი მანერებით არაერთხელ გაუფერმკრთალებია გაცილებით ლამაზი ქალები. შთაბეჭდილებას შავი თმა და მომწვანო-მოლურჯო თვალები კიდევ უფრო აძლიერებდა. ერთის შეხედვით ერთმანეთთან შეუხამებელი ფერები, დუმილითა და ღიმილით „ლაპარაკი“ ლონდას ჩაუწვდომელს და ამოუცნობს ხდიდა. ბოლომდე ვერასდროს ვერ გაიგებდი, გეთანხმებოდა თუ არ გეთანხმებოდა. თუ გეთანხმებოდა, ნამდვილად გეთანხმებოდა, თუ მხოლოდ ზრდილობის გულისთვის გიკრავდა ღიმილით თავს. საოცარი უნარი ჰქონდა, ყველაზე ახლობელ ადამიანთანაც კი მანძილი შეენარჩუნებინა. ახლოს არავინ მიეშვა, მასთან კამათის დროს მეგობრებს საკუთარი თავის რწმენა ეკარგებოდათ, დათრგუნვილებივით მსჯელობდნენ და თავის სიმართლეში დაეჭვებულნი ცდილობდნენ, ლონდას სახეზე გამოსახული ღიმილითა და სახის გამომეტყველებით გამოეცნოთ, იზიარებდა თუ არა იგი მოკამათეთა მოსაზრებებს. თუ ვინმე ზედმეტად ჩააცივდებოდა, ლონდა სიგარეტს ლამაზად მოქაჩავდა და თან ძლივს შესამჩნევ დამცინავი ღიმილით იტყოდა: „ალბათ, ძვირფასო, ალბათ!“

წვეულების დროს თითქმის არაფერს ჭამდა. სიგარეტს ეწეოდა, ან შამპა-

ნურით სავსე ბროლის ბოკალს ხელში მოხდენილად ათამაშებდა და დროდადრო წრუპავდა. ყავას, სუფრასთან მიჯდომიდან ნახევარ საათში რომ მოითხოვდა, პირს თითქმის არც აკარებდა. ხმასაც იშვიათად იღებდა. თუმცა, ჩვეულებისამებრ, სათქმელს ღიმილით და სახის ლამაზი გრიმასებით უფრო გარკვევით ამბობდა. თამადაც და მაგიდის დანარჩენი წევრებიც, განსაკუთრებით მამაკაცები, სიტყვის წარმოთქმისას თითქმის ყოველთვის ლონდას მისჩერებოდნენ, თითქოს მას ელაპარაკებოდნენ. თითქოს ლონდას მომხიბვლელი ღიმილი კამერტონის როლს ასრულებდა. მოსაუბრენი თუ მოკამათენი მის ღიმილს უწყობდნენ შესაბამის ინტონაციას, მახვილსიტყვაობას, პათეტიკას, სერიოზულ კამათს...

და აი, იმ დღეს, მეგობარს რომ ეწვივნენ, არჩილ გორდელისათვის ყველაფერი ნათელი გახდა. სუფრასთან ოცი წუთის მიმსხდარნიც არ იყვნენ, ზარის ხმა რომ გაისმა. ორიოდე წუთის შემდეგ სახეგაბადრული მასპინძელი სასადილო ოთახში სილამაზით განთქმულ ერთ თბილისელ ქალბატონს შემოუძღვა.

— ვფიქრობ, ქალბატონ მარიკას წარმოდგენა არ სჭირდება! — საზეიმოდ გამოაცხადა მასპინძელმა.

ერთბაშად დუმილი ჩამოვარდა. მერე თითქოს გამოერკვნენო, მამაკაცები უმალვე ფეხზე წამოიჭრნენ.

— დაბრძანდით, დაბრძანდით, უმორჩილესად გთხოვთ, ნუ წუხდებით!— თითქოს სასოწარკვეთილი ხმით ამბობდა ქალბატონი მარიკა. თუმცა ხმაშიც და სახეზეც აშკარად ეტყობოდა, ძალზე რომ სიამოვნებდა საყოველთაო ყურადღება.

ლონდას ტუჩებზე ღიმილი უკვალოდ წაიშალა. გუნებაგაფუჭებულმა სიგარეტი მონახა. მოპირდაპირე მხარეს მჯდომი უცნობი სიმპათიური მამაკაცი უმალვე ფეხზე წამოიჭრა და კვესი შეაგება. ლონდამ მოუკიდა, მადლობის ნიშნად თავი ოდნავ დაუქნია, ღრმა ნაფაზი დაარტყა და ბოლი ჭერისკენ გაუშვა.

არჩილ გორდელი ახლადა მიხვდა, მეუღლის გულში რა ბოროტი ცეცხლი აგიზგიზდა. იმასაც მიხვდა, ნახევარ საათში რომ უნდა წასულიყვნენ. არც მოტყუებულა, ქალბატონი მარიკას შემოსვლით გამოწვეული აღტაცება ჯერ კიდევ არ იყო განელებული, ქმარს რომ ყურში ჩასჩურჩულა, ნახევარ საათში მივდივართო. არჩილმა თანხმობის ნიშნად თავი ოდნავ დაუქნია და ვითომც აქ არაფერიაო, ჭიქების შევსება დაიწყო.

ქალბატონი მარიკა ლონდაზე ათითორმეტი წლით მაინც იქნებოდა უფროსი. ლონდას იგი მეტოქედ არც უნდა ჩაეთვალა. ბოღმას მაინც ვერ მოერია. სუფრის წევრთა ყურადღების გაყოფა ვერ აიტანა. მიხვდა, მარიკას გამოჩენამ სუფრის ტონალობა მთელი ოქტავით მაღლა ასწია. მამაკაცები ლაპარაკისას უკვე მხოლოდ ლონდას როდი უყურებდნენ. მოეჩვენა, რომ უმრავლესობა მარიკას შესციცინებდა თვალებში. ო, ამ წუთში როგორ სძულდა ყოველი მათგანი, როგორ აღიზიანებდა მათი საცოდავი, ღატაკი სული და მეშჩანური ბუნება, ოჯახების უსაზღვროდ ერთგულნი, მაგრამ შეჩვეულ, მობეზრებულ მეუღლეებთან დაუძლურებულნი, უცნობ ლამაზმანებთან რომ რაინდობდნენ და ყელყელაობდნენ. ყველაზე უფრო კი ამ წუთში საკუთარი მეუღლე ეზიზღებოდა. ცდილობდა უცნობი ლამაზი ქალებით თავბრუდახვეული და აცუნდრუკებული მეუღლე წარმოედგინა. მაშინაც და შემდგომ წლებშიც, რამდენჯერაც კი დაუფლებია მსგავსი განწყობილება, იმდენჯერ თვალწინ დასდგომია ჩიბუხით ხელში მოსაუბრე არჩილი. რა საოცარია, ვინ მოთვლის რამდენჯერ ყოფილა მსგავსი შემთხვევა და ყოველთვის

ერთნაირად დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ არჩილ გორდელი. ეტყობა, გონებაში ჩამოუყალიბდა მთავარი დამახასიათებელი დეტალები: თეთრი მანჟეტები, ძვირფასი ბეჭედი, ყოველთვის უკანასკნელი მოდის იაპონური საათი და ჩიბუხი. აშკარად ხედავდა, მეუღლის ხმა ყურშიც კი ჩაესმოდა, როგორ ცდილობდა იგი თავისი მარტივი სილამაზე უფრო ინტელექტუალური გაეხადა.

არჩილმა საათს დახედა. ერთი საათის საფრენი კიდევ რჩებოდა. უცებ სურვილმა მოუარა, მეუღლესთან გატარებული თოთხმეტი წელი თავიდან ბოლომდე გაეანალიზებინა. სხვა დროსაც ბევრჯერ დაბადებია მსგავსი სურვილი. ზოგჯერ განვლილი ეპიზოდების გახსენებაც კი დაუწყია, მაგრამ უმალვე ფიქრი სხვა თემაზე გადაუტანია. გუნება მოეშხამა. ამდენი წლის მანძილზე ბედნიერ მეუღლეს თამაშობდა, ლონდას უცხაური მომხიბვლელობა სიამაყით ავსებდა. მოსწონდა, საზოგადოება რომ მას აღტაცებით და მოკრძალებით ხვდებოდა. იმ წუთებში თავს მართლაც ბედნიერად გრძნობდა. ამიტომაც მიუხაროდა სათეატრო პრემიერებზე, კონცერტებზე, ხალხმრავალ წვეულებებზე. ლონდა არჩილს ყოველთვის მხარს უბამდა, ბედნიერი, კმაყოფილი მეუღლის როლს თამაშობდა. სამწუხაროდ, მისი მრავალმნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი ღიმილი მანქანაში ჩასხდომისთანავე ქრებოდა, ხოლო შინ უსიამო მდუმარება ისადგურებდა. ზოგჯერ არჩილი ცდილობდა, მეუღლე საუბარში ჩაეთრია, თუ პრემიერაზე იყვნენ, საოცარი სურვილი იპყრობდა, დადგმა შეეფასებინა და მეუღლის წინაშე თავისი ერუდიცია და გემოვნება გამოემჟღავნებინა. ლონდა თითქმის არ უსმენდა, ან თუ უსმენდა, საუბარში არ ებმებოდა და მეუღლის უყურადღებობით გულმოკლულ არჩილსაც აიძულებდა, გაჩუმებულიყო.

5.

— გამოგიტყდებით და გეტყვოთ, მანანას გადასახლების შემდეგ ქალიშვილებისაკენ არც კი გამიხედავს. მეგონა, ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა. შინაგანად შევეგუე კიდეც მარტოხელა კაცის ბედს. სამარტოხელო რა მჭირდა, ჯერ კიდევ ჭაბუკი ვიყავი, ოცდაორი თუ ოცდასამი წლის ბიჭი. უდიდესმა სულიერმა ტრავმამ საბოლოოდ გამტეხა. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე ვფიქრობდი. არ მეგონა, თუ მომავალში ვინმე შემიყვარდებოდა. თითქოს შევეგუე ჩემს ბედს. თითქოს მხიბლავდა კიდეც ჩემი მომავალი ცხოვრების პერსპექტივები. თავისუფლება, სრული თავისუფლება. ქალს კი, მოგეხსენებათ, რა გამოლევს ამ ქვეყანაზე. გეღიმებათ არა? ალბათ თქვენც შეუპყრიხართ სიჭაბუკეში მსგავს ფიქრებს.

პაუზა. ერთი ყლუპი კონიაკი.

— ოცდარვა წლის გახლდით, ბათუმში რომ გავემგზავრე დასასვენებლად. კარგად მახსოვს, ბათუმში სამ აგვისტოს ჩავედი. მანამდე ბიჭები ყოველ წელს ხოსტაში ან სოჭში ვისვენებდით. იქ, მოგეხსენებათ, უფრო იოლი იყო ჩამოსულ გოგონებთან დაახლოება. იმ წელს, რატომღაც, ბათუმში დასვენება განვიზრახე. რატომ? თვითონაც არ ვიცი. ეტყობა, ჩემი ბედი წინასწარ ყოფილა განსაზღვრული და რაღაც შინაგანმა ძალამ გადამაწყვეტინა, აუცილებლად ბათუმში წავსულიყავი. უცოლო მეგობრებიდან არავინ წამომყვა. ბიჭებმა კვლავ ხოსტა არჩიეს. ცოლიანებმა სოფლებს, კიკეთს და კოჯორს მიაშურეს. მგონი, უკვე მოგახსენეთ, ოცდარვა წლის ვიყავი და იმედი მქონდა, პლაჟზე მაინც ბევრ ნაცნობს თუ საინტერესო უცნობს შევხვდებოდი. თუ ვერავის აღმოვაჩენ, ჩემს თავთან მაინც დავრჩები-მეთქი მარტო, — ვფიქრობდი გამგზავრების წინ და ვცდილობდი, ბათუმში გასატარებელი დღე-

ებისადმი წინასწარ კარგად განვწყობილიყავი.

ჩემმა სამეცნიერო ხარისხმა „ინტურისტის“ ადმინისტრატორზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მოგეხსენებათ, მაშინ დღევანდელივით პანტაპუნტით როდი იცავდნენ ხარისხებს. ოროთახიანი ლუქსი მომცეს. აივანი პირდაპირ ეზოს დასჩერებოდა. ვაგონში თითქმის არ მძინებია. წარმოუდგენლად ცხელოდა. ბათუმში დილით ჩავედი, სიცხით და უძილობით მოთენთილმა გადავწყვიტე, ჯერ ზღვაზე გავსულიყავი და შემდეგ მესაუზმა. პატარა ჩემოდნიდან შინდისფერი საცურაო ტრუსი და პირსახოცი ამოვიღე, ტანსაცმელი გამოვიცვალე და ზღვას მივაშურე. პლაჟზე რომ შევედი, შევჩერდი და მოხერხებულ ადგილს დავუწყე ძებნა.. რატომღაც, შესასვლელიდან მარცხენა მხარეს მიყვარს ხოლმე ადგილის შერჩევა. ამჯერადაც შევნიშნე თუ არა მარცხენა მხარეს ზედ ზღვის პირას თავისუფალი ადგილი, უმალვე იქით გავეშურე. თავჩაღუნული მივდიოდი. თითქოს მეშინოდა, ნაცნობს არავის გადავყროდი. ვგრძნობდი, ყველა მე მომჩერებოდა, მუშტრის თვალით მწონიდა. მივხვდი, ირგვლივ ყველანი უკვე იცნობდნენ ერთმანეთს, მხოლოდ მე ვიყავი „ახალი“. ვიცოდი, თუ ვინმე ჩემიანი დამინახავდა, დამიძახებდა ან პირდაპირ მომაშურებდა.

ეტყობოდა, სრულიად უცხო გარემოში მოვხვდი. პირსახოცი გავშალე და შარვალი გავიხადე. გვერდით ქალიშვილები დავლანდე. ერთი სული მქონდა, მათკენ გამეხედა. თავი მოვთოკე. ვითომც აქ არაფერიაო და ზღვაში შევედი. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და კარგად ვცურავდი. მაშინ, გემახსოვრებათ, ბევრმა როდი იცოდა სწორი ცურვა. ზღვაზე დღევანდელივით ვერ დადიოდა ხალხი. უბრალოდ, არ ჰქონდათ საშუალება. ალბათ ისიც გახსოვთ, დღევანდელთან შედარებით რა საცოდავად და ღარიბულად გამოიყურებოდა მაშინდელი პლაჟი. ეტყობა ჩემმა სწორმა „კროლმა“ და „ბელფინმა“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მივცურავდი და ვგრძნობდი, რამდენი წყვილი თვალი მომაცილებდა. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ვტრაბახობ? არა, ხომ? ძალიან კარგი. ვიცოდი, პირველსავე შესვლაზე შორს წასვლა არ შეიძლებოდა, ცთუნებას ვერ გავუძელი და კილომეტრამდე მაინც შევედი სიღრმეში. უკან მობრუნებისას გადავწყვიტე, ბარემ „ბრასიც“ და ზურგზე ცურვის კლასიც მეჩვენებინა. უმალვე გადავიფიქრე. არ მინდოდა ვინმეს ეგრძნო, რომ მათ გაოცებასა და ყურადღების მიპყრობას ვცდილობდი. ზღვიდან რომ ამოვედი, შევეცადე არავისთვის შემეხედა. კენჭებზე გულაღმა დავწექი და შავი სათვალე გავიკეთე. მართალია, თქვენ ჩემზე ახალგაზრდა ბრძანდებით, მაგრამ ვფიქრობ კარგად გემახსოვრებათ, რა იშვიათობა იყო მაშინ შავი სათვალე. თანაც უცხოური და კარგი ხარისხისა.

კონიაკი. ნაფაზი.

— რას იზამთ, ჩემო ბატონო, ადამიანები ვართ. ყველას გვსიამოვნებს ყურადღება. განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. არ შეიძლებოდა, ვიღაცას შორიდან არ ვცნობდი. დარწმუნებული ვარ, ჩემზე ლაპარაკობდნენ, ალბათ ისიც იცოდნენ, სრულიად ახალგაზრდა კაცი, მეცნიერებათა კანდიდატი რომ ვიყავი. რასაკვირველია, მაშინ ისიც დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა, ლუქსში რომ ვცხოვრობდი. სასტუმროში დაბრუნებისთანავე აბაზანა მივიღე. მგელივით მშიოდა. წუხანდელს შემდეგ ლუკმა არ ჩამსვლოდა პირში. გადავწყვიტე, სადმე სხვაგან მესაუზმა, თუ მესადილა .კაფეში არ მინდოდა შესვლა ,ვიცოდი, ვინმე ნაცნობი გამოჩნდებოდა და მალე გავშინაურდებოდით. მე კი ძალიან მსიამოვნებდა, ცნობისმოყვარეთა თვალები რომ მიმაცილებდა. იმედია, არ დამძრახავთ. თქვენ მწერალი ბრძანდებით და იოლ-

ად ჩასწვდებით ახალგაზრდა კაცის სულს. დარწმუნებული ვარ, არც თქვენთვის იქნებოდა უცხო მსგავსი განცდები, ჭაბუკური ვნებები და სისუსტენი.

მეორე დილით, პლაჟზე რომ გავედი, ვიგრძენი, რომ ათობით წყვილი თვალი გუშინდელზე მეტი ინტერესით მიმაცილებდა. მე კი, ვითომც აქ არაფერიაო, წინა დღით შერჩეულ ადგილზე მივედი, გავიხადე და წამოვწექი. ზღვაში შესვლას არ ვჩქარობდი. ერთხანს თავდაღმა ვიწექი. მერე გულაღმა ამოვბრუნდი. ხუთი თუ ექვსი წუთის შემდეგ წამოვდექი და ზღვას მივაშურე.

სხვა დროს, ალბათ, ძალიან მესიამოვნებოდა მოტორტმანე თბილი ზღვა. ალბათ ახლაც მსიამოვნებდა, მაგრამ ვერ ვგრძნობდი. დიახ, ვერ ვგრძნობდი, რადგან ამ წუთებში სხეულს მე სულ სხვა სიამოვნება მიჟრჟოლებდა. ვიცოდი, ჩემი ცურვა რომ დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა. არც მოვტყუებულვარ. შემდგომ, როცა ირგვლივ მსხდომი ქალიშვილები ნელ-ნელა გავიცანი, ყველანი რობოტებივით იმეორებდნენ, რა მშვენივრად ცურავთო.

სამას მეტრზე ვიქნებოდი შესული, წინ, ორმოცდაათიოდე მეტრის მანძილზე, გასაბერ ლეიბზე თავდაღმა დაწოლილი ქალიშვილი რომ შევნიშნე. მაშინ ლეიბებიც იშვიათობას წარმოადგენდა და თითო-ოროლას თუ მოჰკრავდით ზღვაზე თვალს.

შორიდან სახის გარჩევა გამიჭირდა. თვალი კი უმალ მომტაცა მზის სხივებზე მბზინავმა შავმა თმამ. ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო, ახლოდან მენახა იგი. ბედად, გეზის შეცვლა არ დამჭირვებია. ლეიბი ჩემს პირდაპირ ტივტივებდა და ქალიშვილს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა ეფიქრა, რომ საგანგებოდ მისკენ მივცურავდი.

ლეიბამდე თხუთმეტიოდე მეტრიღა რჩებოდა. ტემპი ოდნავ შევანელე და ვცდილობდი, რაც შეიძლება, ლამაზად მეცურა. კროლი ცურვის ყველაზე ეფექტური სახეობაა, რასაკვირველია, თუ სწორად ცურავ და სხეულის აღნაგობაც თუ გიწყობს ხელს!

ამ უკანასკნელი სიტყვებისათვის თითქოს ხაზი არ გაუსვამს, მაგრამ საკმაოდ შთამბეჭდავად ვიგრძენი, რა უსაზღვროდ სჯეროდა თავისი ფიზიკური აღნაგობის უნაკლობისა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, სამოც წელს მიახლოებულ და ოდნავ შესუქებულ კაცს ჰქონდა კიდეც საფუძველი, საკმაოდ მაღალი აზრისა ყოფილიყო თავის ათლეტურობაზე.

— თავს ზღვიდან სანახევროდ და შებრუნებულად რომ ამოჰყოფ, ბევრი ვერაფრის დანახვას ასწრებ. ლეიბს რომ შვიდიოდე მეტრზე მივუახლოვდი, ბრასზე გადავედი, ახლა უკვე მქონდა საშუალება, ქალიშვილისთვის კარგად შემეხედა. თუმცა ვცდილობდი არ მეგრძნობინებინა, რომ წყლიდან თავის ამოყოფისას მას მივჩერებოდი. გულწრფელად გეტყვით, მისმა სახემ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მართალია, არ შემეძლო ქალიშვილის სახის სილამაზე დაკვირვებით შემეფასებინა, მაგრამ შავი თმის ქვემოთ მოლივლივე ზღვისფერმა თვალებმა, სახის მოდერნული ნახატის მსგავსმა ნაკვთებმა გული უცნაურად შემიტოკა. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი განცდა მანამდე არასოდეს დამუფლებია. იქნებ შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებდა, ქალიშვილს რომ ჩემთვის არაფერი ყურადღება არ მოუქცევია? იგი ლეიბზე გარინდული იწვა და ხელებზე ნიკაპით დაყრდნობილი პლაჟისკენ იცქირებოდა. განაწყენებული კვლავ კროლზე გადავედი, გეზი ოდნავ მარცხნისაკენ ავიღე და ზღვის სიღრმეს მივაშურე. ორმოცდაათიოდე მეტრი კიდევ რომ გავცურე, წამიერად უკან მოვიხედე. ვინ იცის, იქნებ ლეიბი შემოაბრუნა და ამჯერად მე მიცქერისმეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ! რეზინის გასაბერი ლეიბი კვლავ იქვე ირ-

წეოდა, ხოლო იმაკე პოზაში გაქვავებული ქალიშვილი ჯიუტად კვლავ პლაჟს გასჩერებოდა. დაბოლმილი შევბრუნდი და ორას მეტრამდე კიდევ შევცურე. „ნუთუ ვერაფერი ეფექტი ვერ მოვახდინე?“ — ვფიქრობდი გამწარებული და თან წინ მთელი სიჩქარით მივცურავდი. უკან რომ შემოვბრუნდი ლეიბს თვალი ველარ მოვკარი. გული შემეკუმშა. ზურგზე გადავბრუნდი და კარგა ხანს ცას შევჩერებოდი. ღრუბლის ნასახიც არსად ჩანდა. ლურჯი გუმბათი მხოლოდ ზღვის ზედაპირის მახლობლად ბაცდებოდა. უცებ საშინელმა სურვილმა მომიარა, ცაში ავჭრილიყავი, თავს დამხობილი ლურჯი გუმბათი გამერღვია და სადღაც შორს, გუმბათს იქით გაშლილ უსასრულობაში გავვარდნილიყავი. ჩემს სულელურ ფიქრზე თვითონვე გამეცინა, შემოვბრუნდი და ნაპირისაკენ გამოვცურე. აშკარა იყო, ცხოვრება საინტერესო ხდებოდა. „ნეტავ როგორია ჩაცმული?“ — ვფიქრობდი გზადაგზა. სიშიშვლე და მზეზე გარუჯული, გაჯანსაღებული სხეული ხშირად მატყუარაა. ტანის ნამდვილ სილამაზესა და პროპორციებს უტყუარად მხოლოდ ჩაცმულობა გამოაჩენს.

„ვიცნობ კი ჩაცმულს?! — უსიამოდ გამკენწლა გულში. — როგორ არ შევიცნობ. განა მისი შავი თმისა და ზღვისფერი თვალების არცნობა შეიძლება?“ — დავიმშვიდე უმალვე თავი.

ნაპირზე ამოსვლისას სახეზე და ტანზე კვლავ ვიგრძენი ცნობისმოყვარეთა თვალების ლაციცი. რატომღაც მზეზე წამოწოლა აღარ ვისურვე, პირსახოცს დავწვდი და ტანის გამშრალებას შევუდექი. თან, ვითომც აქ არაფერიაო, შეუმჩნევლად პლაჟს ვათვალიერებდი, შავ მბზინავთმიან ქალიშვილს ვეძებდი. თვალი ვერსად მოვკარი. ნელა ჩავიცვი, შავი სათვალე გავიკეთე და სასტუმროსკენ გავეშურე. შავი სათვალეებით ირგვლივ უფრო თამამად ვიხედებოდი, ვიცოდი, ჩემი თვალების მიმართულებას ზუსტად ვერავინ გამოიცნობდა. შავთმიანი, ზღვისფერთვალებიანი ქალიშვილი მაინც ვერსად შევნიშნე. ნომერში აბაზანა მივიღე და ლოგინზე გულაღმა დავეგდე.

მაშინ რა ვიცოდი, რომ გაივლიდა კიდევ ხუთი დღე და ის ქალიშვილი ჩემი მეუღლე გახდებოდა! დიახ, ჩემი მეუღლე, გაოცდით? ახ, ელოდით კიდეც ასეთ ფინალს?! თუმცა თქვენ მწერალი ბრძანდებით. რა არის გასაკვირი?! თავად ისეთ რთულ სიუჟეტებს იგონებთ, ჩემი მონაყოლი ალბათ სრულიად მარტივ ამბად მოგეჩვენებათ. თუმცა მოგონილსა და სინამდვილეს შორის არის დიდი განსხვავება. დიახ, ხუთი დღის შემდეგ ლონდა ნაკაშიძე ჩემი მეუღლე გახდა.

ჩიბუხი. კონიაკი. ხანმოკლე პაუზა.

— იმ მომხიბვლელ, შავთმიან და ზღვისფერთვალება გოგონას ორი დღე ამაოდ ვეძებდი პლაჟზე თუ ქალაქში. მესამე დღეს, საღამოს, მოწოლილ გრძნობებს ველარ გავუძელი და „ინტურისტის“ რესტორანში შევედი. თვითონაც არ ვიცი, რამ მიბიძგა. განა საქართველოში, ისიც საღამოს, რესტორანში მარტოდმარტო შესვლა შეიძლება? ცალკე ხომ არ დავჯდებოდი და ვივახშმებდი?! მაინც შევედი. რატომღაც მჯეროდა, რომ ლონდა რესტორანში იქნებოდა. ვთქვათ და ყოფილიყო კიდეც. რით იყო გამართლებული იქ ჩემი მარტოდმარტო შესვლა? იქნებ იმის იმედი მქონდა, რომ სუფრასთან ვინმე ჩემი ნაცნობი აღმოჩნდებოდა და მიმიპატიჟებდა? არ ვიცი. მაშინ ამდენი არ მიფიქრია. გულმა მოულოდნელად გამიწია და დავემორჩილე კიდეც მის უსიტყვო კარნახს.

კარი რომ შევაღე, დავიბენი. რესტორანი ხალხით იყო სავსე. ღვინოს თავისი საქმის გაკეთება უკვე მოესწრო. ხმამაღალი სიცილი და ლაპარაკი ყურს უსიამოდ ხვდებოდა. იქაურობა სიგარეტის ბოლში იყო გახვეული.

უცებ, რესტორნის ბოლოში, მარჯვე-

ნა მხარეს ლონდას მოკკარი თვალი, მომეჩვენა, რომ ჩვენი თვალები ერთმანეთს დაეჯახა. შემდეგ, როცა დავქორწინდით, ვკითხე, შემოსვლისთანავე ხომ შემამჩნიე-მეთქი. არაო, მითხრა. სუფრასთან რომ მიგიწვიეს, მხოლოდ მაშინ შეგამჩნიეო. არ ვიცი, რამდენად გულწრფელი იყო იგი, ამ სიტყვებს რომ ამბობდა. მე კი მომეჩვენა, რომ ჩვენს თვალებს შორის ორი მანათობელი პარალელური სხივი გაიჭიმა.

დავიბენი. აღარ ვიცოდი, რა მექნა. ბედად, ლონდას მაგიდასთან ერთი ჩემი მეგობარი მჯდარა, ნიკო კილაძე, ჩვენი სამმართველოს გეოლოგი, რაჭალეჩხუმის გეოლოგიური პარტიის უფროსი. დამინახა თუ არა, უმალვე ფეხზე წამოიჭრა და ღიმილით ჩემსკენ გამოემართა. შვებით ამოვისუნთქე. რატომღაც დავიჯერე, რომ რესტორანში ლონდას ბედისწერამ შემახვედრა. მთელი სხეული სიხარულით ამევსო. მეგობარს გადავეხვიე და ჯიბეში სიგარეტი მოვნახე.

— დიდი ხანია, ჩამოხვედი? — მკითხა ნიკომ, მარჯვენა ხელი ბეჭზე შემომადო, მარცხენა ხელი სუფრისკენ გაიშვირა და მანიშნა, ჩვენთან მობრძანდიო.

— სამი აგვისტოდან აქა ვარ.

— მერე? აქამდე რატომ ვერ შევხვდით ერთმანეთს?! თუმცა რას შევხვდებოდით, შენი ამბავი რომ ვიცი, ალბათ ზღვიდან არ ამოდიხარ, ჩვენ კი ჯერ ზღვაზე არც გავსულვართ, აქ, ამ ბითურ რესტორანში ვზივართ დილიდან საღამომდე.

მაგიდას რომ მივუახლოვდი, მღელვარებამ შემიპყრო. მინდოდა მეკითხა, ეს შავთმიანი, და ზღვისფერთვალება ქალიშვილი ვინ არის-მეთქი. ვერ გავბედე. მარტო უტაქტობის გამო არ შევყოყმანებულვარ. უბრალოდ, მღელვარება მომეძალა და ხმა იმიტომ ვერ ამოვიღე.

— არჩილ გორდელი, გეოლოგიური სამმართველოს განყოფილების გამგე, მეცნიერებათა კანდიდატი, კარგი სპორტსმენი, მოცურავე და მოთხილამურე. კარგი მომლხენი და მომღერალი. ხომ არაფერი გამომრჩა? — წარმადგინა ღიმილით მეგობარმა და სკამი შემომთავაზა.

სუფრის სამი წევრი, დაახლოებით ჩემი ასაკის ბიჭები ფეხზე წამოიჭრნენ და ხელი ჩამომართვეს. ლონდამ წამიერად შემომხედა და თავი მძიმედ დამიკრა. მის გვერდით მჯდომმა, წარმოსადეგმა, მამაკაცისათვის ზედმეტად ლამაზმა ყმაწვილმა კაცმა, მისალმების ნიშნად სკამიდან ოდნავ რომ წამოიწია, გამიღიმა, უმალვე დაჯდა და კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო.

— მგონი, ვიღაცას ელოდით, არა?— ვკითხე ნიკოს და წინასწარ გაწყობილ თეფშებზე, ჭიქებსა და დანა-ჩანგალზე მივანიშნე.

— არავისაც არ ველოდით. უბრალოდ, ყოველი შემთხვევისათვის, ოფიციანტს თავიდანვე გავაწყობინე. ხომ ხედავ, ინტუიციამ არ მიღალატა.

„გავაწყობინე“. ესე იგი ნიკო ყოფილა მასპინძელი“, — დავასკვენი მე და უხერხულობის გრძნობა გამიქრა. არავითარი სურვილი არ მქონდა, ვინმე უცნობის სტუმარი ვყოფილიყავი.

— მეგობრებო, გთხოვთ, ჭიქები შეავსოთ და შემოსწრებული სტუმარი ვადღგრძელოთ, — თქვა ნიკომ.

●

ლოგინში რომ ჩავწექი, გადავწყვიტე, ყველაფერი დაწვრილებით გამეანალიზებინა. რამ მიბიძგა რესტორანში შესვლა, რა უხილავმა ძალამ მაგრძნობინა, რომ ლონდა რესტორანში იქნებოდა?! როგორ აღმოვჩნდი რესტორანში, რა მოვიმოქმედე სუფრასთან?!

რატომღაც ფიქრი და ანალიზი დასასრულიდან დავიწყე.

სუფრა რომ აიშალა, ნიკო ნომერში ამყვა.

— ბიჭოს, შენ კარგად მოწყობილხარ! — მითხრა ნიკომ, სავარძელში ჩაეშვა და სიგარეტი ამოიღო.

— რა ვქნა, მიყვარს კარგი ცხოვრება! — გავიღიმე მეც. აბაზანაში შევედი, ხელ-პირი დავიბანე და სასტუმრო ოთახში გამოსვლისთანავე მოპირდაპირე სავარძელში ჩავჯექი, — შენ რომელ ნომერში ხარ?

— პირველ სართულზე, მეცხრამეტე ნომერში.

— ის გოგო ვინ იყო? — ვკითხე სხვათშორის და ღრმა ნაფაზი დავარტყი.

— კარგი გოგოა, არა? — თვალები წამოენთო ნიკოს.

— დედა რა ვნახეო, არ არის! — გავიცინე მე.

— რატომ? ვერ დაგეთანხმები. ძალიან სხვანაირი სილამაზე აქვს.

— ჰო, სხვანაირი კია, რომელიღაც მოდერნისტი მხატვრის მიერ დახატულ პორტრეტს მაგონებს.

— ძალიან მაგარი ვინმეა. შენ რა, დღემდე არ იცნობდი?! თბილისში ძალიან ცნობილი გოგოა, ლონდა ნაკაშიძე. თანაც არ დაგავიწყდეს, დავით ნაკაშიძის ქალიშვილია, აკადემიკოსი დავით ნაკაშიძე ხომ იცი, ფიზიკოსი“.

— ვიცი, როგორ არ ვიცი. ლონდა ნაკაშიძე.... გამიგონია, ოღონდ არ მენახა. „ინსტურისტშია“ გაჩერებული?

— არა, ბიძასთან ცხოვრობს, აქვე, სასტუმროს გვერდით.

— ის ბიჭი, გვერდით რომ უჯდა, ვინ იყო? — ვკითხე ვითომ უინტერესოდ, თან ფეხზე წამოვდექი, პასუხს არ დაველოდე, ტუალეტში გავედი და საფერფლე სანაგვეში ჩავცალე.

— ოთარ ტატიშვილი არ გაგიგონია? არქიტექტორი. უმაღლესი მოსკოვში დაამთავრა და იქვე ცხოვრობდა. ორი წელი არც იქნება, თბილისში რომ გადმოსახლდა. როგორ არ გაგიგონია, ყველაზე მოდური კლიენტია. მაგის გულისთვის მთელი თბილისის გოგონები თმას იპუტავენ.

— ლონდაც იპუტავს?

— ლონდა სხვა გოგოა, ჩემო არჩილ!

— ტატიშვილს მოსწონს?

— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვი. ამ დღეების მანძილზე რამდენჯერმე ვნახე ლონდასთან ერთად, თუმცა სამაგისო არაფერი შემიტყვია.

— მთელი საღამო რატომ დუმდა?

— ლონდაზე მეკითხები?

— ჰო, ლონდაზე გეკითხები.

— აბა რა ვიცი. ეგეთი ტიპია. არ უყვარს ლაპარაკი. მეოთხედ რომ შევხვდი, პირველად მაშინ გავიგონე მაგის ხმა. სულ დუმს. თუმცა ღიმილით და გრიმასით ისე კარგად გესაუბრება, გგონია, რომ გელაპარაკება. ალალად მითხარი, მოგეწონა?

— რა ვიცი, როგორ გითხრა.

— ესე იგი, მოგეწონა.

— ჰო, ალბათ ესაა მოწონება.

— თუ მოგეწონა, უკან არაფერზე დაიხიო. უკეთეს გოგოს ძნელად თუ იპოვი.

— გამეცინა. თუმცა, უნდა გამოგიტყდეთ, ტანში სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა.

— რა გაცინებს?

— განსაკუთრებული არაფერი. შენ რომ მითხარი, უკან არაფერზე დაიხიო, იმიტომ გამეცინა.

— რა ნახე ამ სიტყვებში სასაცილო?— განაწყენდა ნიკო.

— კიდევ გეუბნები, რომ არაფერი. ცოლი რომ მოვიყვანო, ორი აუცილებელი რამაა საჭირო. პირველი, მე იგი უნდა მიყვარდეს...

— მეორე, — ჩამომართვა სიტყვა ნიკომ, — მასაც უნდა უყვარდე!

— აგაშენა ღმერთმა! — გავიცინე მე.

— პირველი პირობა განაღდებულია, შენ იგი გიყვარს!

— ვინ გითხრა, რომ მიყვარს? — ვიუარე მე. ვიგრძენი, ლოყები როგორ ამეწვა.

— სიტყვები რა საჭიროა, განა შენი თვალები უფრო გულწრფელად არ მეტყველებენ?! თუ არ გჯერა, სარკეში ჩაიხედე.

— სარკეში რატომ უნდა ჩავიხედო?!

— უბრალოდ, დაინახე, ლოყები რომ გავარვარებულ თონესავით აგიწითლდა.

— ოჰო, არა მქონია სახუმაროდ საქმე!

— მე ვერაფერს გამომაპარებ. გულით გეუბნები, ეგეთ გოგოს იოლად ვერ იპოვი.

— ვთქვათ, შენ მართალი ხარ და პირველი პირობა დაკმაყოფილებულია, მე ლონდა მიყვარს. მეორე პირობას რა ვუყოთ? ლონდასაც ხომ უნდა ვუყვარდე?!

რაც შემეძლო, ვცდილობდი, საუბრისათვის იუმორისტული ელფერი მიმეცა. ვთქვათ და არაფერი გამომსვლოდა, რატომ უნდა სცოდნოდა ნიკოს ჩემი უიღბლო სიყვარულის ამბავი?

— მთავარია, შენ გიყვარდეს, ქალის სიყვარულის მექანიზმი სულ სხვაგვარად არის მოწყობილი. ყურადღებაც, ოღონდ გულწრფელი ყურადღებაც კი საკმარისია, რომ ქალიშვილმა შეგიყვაროს. მთავარია, ჩასწვდე მის ხასიათს, მთავარია, მოარგო გასაღები. იშვიათად რომ ქალიშვილებმა, ბიჭების მსგავსად, ვინმე ერთის ნახვით შეიყვაროონ.

— იქნებ ლონდას უყვარს მოსკოვიდან ჩამოსული არქიტექტორი? — სახელი და გვარი განგებ არ ვთქვი. უკვე აღარ მსიამოვნებდა მისი სახელისა და გვარის წარმოთქმა.

— არა მგონია! რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ეგენი ასცდნენ ერთმანეთს. ისე, ჩემო ძმაო, ლონდას სილამაზეს რომ თავი დავანებოთ, აკადემიკოსის ქალიშვილი გახლავთ. დედამისიც დოცენტია თბილისის უნივერსიტეტში, ქიმიკოსი. თანაც დავუმატოთ ვაკეში ხუთოთახიანი დიდებული ბინა! არც ის უნდა დაგვავიწყდეს, ლონდა დედისერთა ქალიშვილია. საფიქრალი და სადარდებელი არაფერი გექნება. არ გეყო, რაც იწვალე და რა ჯოჯოხეთური წლები განვლე?!

— მამამისის აკადემიკოსობა და მდიდარი ოჯახი არაა მთავარი. ყველაზე ნაკლებად ეგ მაღელვებს.

— მართალი ხარ, მთავარი სიყვარულია. სავსებით გეთანხმები. ოღონდ ერთს მაინც დავძენ, როცა სიყვარულის საქმე ღვთიური ძალითაა გაცისკროვნებული და გადაჭრილი, კარგი ცხოვრება კიდევ უფრო აძლიერებს და ალამაზებს ამ დალოცვილ გრძნობას.

— ბიჭოს, შენ ფილოსოფოსიც გამხდარხარ! — გავიცინე მე. თუმცა ეჭვი იქვე შემეპარა, რომ სიტყვა „ფილოსოფოსი“ მართებულად ვიხმარე.

— სიყვარულის ფილოსოფია ყველაზე მარტივია, ამავე დროს ყველაზე ძლიერი და ლოგიკური. ძილი მომეკიდა. აბა, კარგად იყავი.

ნიკომ სიგარეტის ნამწვავი საფერფლეზე დააგდო, ფეხზე წამოდგა და ხელი გამომიწოდა.

— თუ მოგწონს, იცოდე, ლონდა არაა ხელიდან გასაშვები.

— ვნახოთ, ვიფიქრებ ამაღამ! — გავიცინე მე, ხელი გავუწოდე და კარებამდე მივაცილე.

„ლონდა სხვა გოგოა, ჩემო არჩილ!“— წამომიტივტივდა გონებაში ნიკოს მიერ წარმოთქმული ფრაზა.

აბაზანაში შევედი. ტანზე წყალი გადავივლე და ლოგინში ჩავწექი. თვალწინ კვლავ ლონდა დამიდგა. მისი ოდნავ მოგრძო, არაპროპორციული სახე, მუქი, მბზინავი შავი თმა და ზღვისფერი თვალები.

„ნეტავი როგორი ხმა აქვს? — გავიფიქრე უნებურად. — როგორ შეესაბამება ლონდას ხმა მისსავე გარეგნობას?“

უცებ ისიც გამახსენდა, ჩემი იქ ყოფნის პერიოდში ლუკმა რომ არ ჩაუდვია პირში. მხოლოდ ყავა მოსვა ორჯერ. ეს იყო და ეს. არა და გარეგნობაზე სულაც არ ეტყობოდა უჭმელობა.

მსუქანიაო, ვერავითარ შემთხვევაში ვერ იტყოდი, მაგრამ ყველაფერი ჯიშიანი და ჯანმრთელი ჰქონდა.

„დავიჯერო, ლონდას უყვარს ის არქიტექტორი?“ — გამიელვა უცებ გონებაში. ვგრძნობდი, ამ ხნის მანძილზე ეს ფრაზა ნელ-ნელა მწიფდებოდა. უფრო სწორად, ჩამოკიდებული წყლის წვეთივით ნელ-ნელა მძიმდებოდა და ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოწყდებოდა. მოწყდა კიდეც. გულში ცივი ჰაერის ნაკადი შეიჭრა.

„არა, არავითარ შემთხვევაში! — დავასკვენი კატეგორიულად, — მათ შორის რომ თუნდაც ფლირტი იყოს, ნიკოს აუცილებლად ეცოდინებოდა. არც სუფრაზე იგრძნობოდა რამე. უბრალოდ, ერთად ისხდნენ. მეორე მხრიდანაც ხომ უჯდა ვიღაც ბათუმელი ბიჭი, რატომ მასზე არ ვიეჭვიანე? იმიტომ რომ იგი არ იყო ოთარ ტატიშვილივით გამორჩეულად ლამაზი. ზედმეტად ლამაზი! არაფერი იმაზე ამაზრზენი და გამაღიზიანებელი არ არის, როგორც მამაკაცის ზედმეტი სილამაზე! რასაკვირველია, მათ შორის არაფერი არ არის. უბრალოდ, ერთად რომ სეირნობენ ან სხედან, მნახველის ყურადღებას იქცევენ და მათ ბედს უნებურად ერთმანეთს უკავშირებენ“.

არ ვიცი, როდის ჩამეძინა. დაახლოებით, ალბათ, სამ საათზე. დილით ისე ხალისიანად და ენერგიით სავსემ გავიღვიძე, თითქოს წუხელი არ დამელიოს და ძილიც არ გამტეხოდეს. მაინც რა მიხაროდა, რა მავსებდა სიხარულით და ენერგიით? თქვენ წარმოიდგინეთ, საკუთარ თავსაც კი არ მინდოდა გამოვტყდომოდი.

ზღვაზე რომ გავედი, სიღრმეში, ნაპირიდან დაახლოებით ორასი მეტრის მანძილზე ლონდას თეთრ-წითელ გასაბერ ლეიბს მოვკარი თვალი. ზღვაში რომ შევცურე, გეზი ისე ავიღე, რომ ლეიბისათვის ოთხი მეტრის დაშორებით ამევლო გვერდი. არ მინდოდა ლონდა მიმხვდარიყო, რომ მისკენ მივემართებოდი. ზღვა წყნარად, ოდნავ შესამჩნევად ტორტმანებდა.

თბილი წყალი სხეულს სასიამოვნოდ ელამუნებოდა. შეუმჩნეველი დინება მარცხნივ, სარფისკენ მიემართებოდა. თუ პირდაპირ გავცურავდი, ლეიბს რომ გავუსწორდებოდი, იგი ჩემგან ხელმარცხნივ აღმოჩნდებოდა, თუ, რასაკვირველია, მზის სხივებზე ლონდა კვლავ გაუნძრევლად ინებივრებდა და ლეიბს მიმართულებას არ შეუცვლიდა. გადაწყვეტილება უმალვე მივიღე. მარჯვენა მხარე დავიჭირე და ირიბად შევცურე. შორიდანვე შევნიშნე, ლონდა გულაღმა იწვა.

„ვაი თუ ვერ შემამჩნიოს“, — შევწუხდი მე და ცურვის ტემპი შევანელე.

ჩვენს შორის მანძილი ოცდაათი მეტრიღა იქნებოდა. ხელებს ოდნავღა ვუსვამდი, თითქოს ადგილზე ვტივტივებდი.

უცებ ლონდა შეირხა და გულდაღმა დაწვა, ნიკაპით ხელის მტევნებს დაეყრდნო და ნაპირს გახედა.

„ნეტავ, შემამჩნია?“ — მღელვარებამ უმალვე დამრია ხელი და ტემპს მოვუმატე. სულ რამდენიმე წამში ჩვენს შორის მანძილი ათიოდე მეტრიღა დარჩა. ვითომ ახლა შევამჩნიე, ცურვა შევწყვიტე და ლონდას გავხედე. შავი სათვალე ეკეთა, თვალების მიმართულებას ვერ ვხედავდი. მაინც დავასკვენი, რომ ჩემსკენ იმზირებოდა. უნებურად გავიღიმე და მივესალმე. პასუხად გამიღიმა. სიხარულისაგან დავიბენი. აღარ ვიცოდი, რა მექნა. ისევ გაცურვა ვამჯობინე და მოტივტივე ლეიბი ლამაზი კროლით უკან მოვიტოვე.

„ვითომ შემობრუნდება ჩემსკენ? — ვფიქრობდი გზადაგზა. — არა მგონია... რატომ? იქნებ შემობრუნდეს კიდეც!“

ერთი სული მქონდა, უკან მომეხედა.

„არა და არა!“ — კატეგორიულად ვეუბნებოდი ჩემს თავს.

კარგა ხანს ვიცურე. უკან რომ შემოვბრუნდი, ლეიბს უკვე ნაპირთან მოვკარი თვალი. ჩემს თავზე გული მო-

მივიდა. რა ცურვა ამიტყდა! ქალიშვილი გაშლილ ზღვაში დავიხელთე, თუ რამის თქმა მინდოდა, უკეთეს ადგილს სად ვიპოვიდი?! ანერვიულებულმა ღრმად ჩავისუნთქე და გეზი ნაპირისაკენ ავიღე.

ხომ გაგიგონიათ, ზოგი ჭირი მარგებელიაო. მთელი დღე დაბოღმილი დავაბიჯებდი, ადგილს ვერსად ვპოულობდი, სადილობა საერთოდ არ გამხსენებია.

„მაინც რა პოზიორობა ამიტყდა? პატარა ბიჭი ხომ აღარა ვარ, — ვფიქრობდი გამწარებული, — ორი სიტყვა მაინც მეთქვა. იქნება პაემანზეც არ ეთქვა უარი!“

საღამოს კუჭმა თავი მაინც შემახსენა. ნომრიდან ანერვიულებული, თუმცა ენერგიით სავსე გამოვედი. არ ვიცოდი, სად მევახშმა. უცებ გადავწყვიტე, იმ სახლისკენ წავსულიყავი, ლონდა რომ ცხოვრობდა. ეტყობა, რაც გიწერია, მას ვერ ასცდები. მე, როგორც ინჟინერი, ბედისწერის თაობაზე სერიოზულად არასდროს დავფიქრებულვარ. დიახ, მსჯელობის დროს ბევრჯერ მითქვამს, ადამიანი ბედისწერას ვერ გადაურჩება-მეთქი, მაგრამ ეს უფრო სიტყვის მასალა იყო, ვიდრე სერიოზული განსჯისა და ფილოსოფიური, გნებავთ, უფრო ხმადაბლა რომ ვთქვათ ,ცხოვრებისეული შედეგი. ბედისწერა სწორედ იმ დღის შემდეგ ვიწამე, ლონდას სახლისკენ რომ გავემართე. რატომღაც ავიჩემე, სახლს რომ გავუსწორდებოდი, თუ სადარბაზოდან ლონდა გამოვიდოდა, იგი აუცილებლად ჩემი მეუღლე გახდებოდა, დიახ, ჩემი მეუღლე! ნაბიჯი შევანელე. მინდოდა დრო მომეგო და ლონდას შეხვედრის შანსი გამეზარდა. თურმე ნუ იტყვით და, კიდევ ვიმეორებ, რაც გიწერიათ, ვერაფრით ვერ ასცდებით. ის იყო, სადარბაზოს გავუსწორდი, რომ ლონდაც გამოჩნდა!

მჯერა, ადვილად წარმოიდგენთ, რა გრძნობაც შემიპყრობდა! აღელვებული ადგილზე გავქვავდი. შიშმა შემიპყრო, სიხარულისაგან საკუთარი სხეულიდან არ ამოვმხტარიყავი. ლონდამ შორიდანვე შემნიშნა, პატარა სკვერი გადმოჭრა და ჩემსკენ გამოემართა. ვაჭარბებ, ბატონო ჩემო, აშკარად ვაჭარბებ, დიახ, იმას ვგულისხმობ, ჩემსკენ გამოემართა-მეთქი, რომ მოგახსენეთ. სადარბაზოდან ტროტუარამდე გაზონი რომ გადმოეჭრა, მხოლოდ ის ბილიკი არსებობდა, რომლის თავშიც მე ვიდექი. ერთი სიტყვით, უნდოდა თუ არ უნდოდა, გვერდს ვერ ამივლიდა.

— საღამო მშვიდობისა! — გავულიმე მე.

მან თავი უსიტყვოდ დამიკრა და შეჩერდა.

ნეტარების ბურუსში გავეხვიე. სხეულს ველარც კი ვგრძნობდი. ვიდექი და ხმას არ ვიღებდი. გაუთავებლად ვიღიმებოდი. ისეთი გრძნობა დაბეუფლა, თითქოს ლონდა უთქმელად მიმიხვდა სათქმელს. მიმიხვდა და სიყვარულზე თანხმობაც განმიცხადა.

— მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი, რომ არ გამიშვათ? — ჩამესმა უცებ მისი ხმა.

ელექტრონის დამუხტული ფირფიტებივით ერთბაშად განვიმუხტე. მივხვდი, რატომაც გაჩერდა ლონდა. გაზონზე გამავალი ბილიკი, ტროტუარს რომ უერთდებოდა, მე მქონდა ჩაკეტილი. ნირწამხდარმა ისიც წარმოვიდგინე, მთელი ამ დროის განმავლობაში, ნეტარებით თავბრუდახვეული რომ ვიღიმებოდი, როგორი იდიოტური გამომეტყველება მექნებოდა. სირცხვილმა დამწვა. გვერდზე გავდექი და გზა დავუთმე.

ჩვეულებრივ, მსგავს უხერხულ სიტუაციაში, კაცი უნდა დაიბნეს და წამიერად თავისი უმწეობაც უნდა შეიგრძნოს. მე კი, რატოღაც, წამიერი დაბნეულობის შემდეგ ერთბაშად გამოვფხიზლდი. არა, არც ახლა ვამბობ მართალს. კი არ გამოვფხიზლდი, თითქოს ვიღაც ალაპარაკდა ჩემში, თით-

ქოს იმ ვიღაცამ დაიმორჩილა ჩემი სხეული, სული და გონება.

— მე თქვენ მიყვარხართ, ლონდა! — წარმოვთქვი თუ წამოვიძახე უცებ.

— რა ბრძანეთ? — აღმოხდა გაოცებისგან თვალებგაფართოებულ ლონდას.

— მე თქვენ მიყვარხართ, ლონდა! — ამჯერად ნათქვამი გაცილებით ხმადაბალი და დინჯი გამომივიდა.

ჩემი მოულოდნელი წინადადებისაგან გაქვავებული ლონდა არ შერხეულა. მისი დიდრონი, ზღვისფერი თვალები კვლავ გაოცებული შემომჩერებოდა.

— ხუმრობთ, არა? — გაიღიმა მან.

რასაკვირველია, მიხვდა, რომ არ ვხუმრობდი, უბრალოდ, იმ წამს სხვა ვერაფერი მოიფიქრა. ან კი რა უნდა მოეფიქრებინა.

— მზად ვარ, ხვალ მოვაწეროთ ხელი! — მტკიცედ წარმოვთქვი მე.

დაბნეულობამ გამიარა. ახლა უკვე რაღაც შინაგანი ძალა კი არ მმართავდა, მე თვითონ განვაგებდი ჩემს თავს.

— რასაკვირველია, თქვენც თუ თანახმა იქნებით! — დავძინე მოგვიანებით და თან ოდნავ შესამჩნევად გავიღიმე. თუმცა არ მინდოდა ღიმილს მდგომარეობა განემუხტა და ჩემი სიტყვებისათვის სერიოზულობა დაეკლო.

— მაინცდამაინც კარგი ადგილი ვერ მოგინახავთ სიყვარულის ასახსნელად!— გაიღიმა კვლავ ლონდამ.

ქალიშვილის სიტყვებში ირონია ვერ შევნიშნე, ყოველ შემთხვევაში იმ წუთში ყველაფერი პირდაპირი მნიშვნელობით გავიგე და უმალვე უახლოეს ყავახანაში მივიპატიჟე.

ლონდამ საათს დახედა. მივსვდი, ეს უკვე თანხმობას ნიშნავდა!

— გეჩქარებათ სადმე? — ვკითხე ზრდილობისათვის, თუმცა უკვე მჯეროდა, მიპატიჟებას აუცილებლად მიიღებდა. და რაკი იმ სიტყვების შემდეგ ყავახანაში მოსალაპარაკებლად წამომყვებოდა, ეს უკვე თითქმის თანხმობას ნიშნავდა.

— ერთ ოჯახში ვარ დაპატიჟებული. არაფერია, მოიცდიან. დარწმუნებული ხართ, რომ ყავახანაში მყუდროდ ვიგრძნობთ?

— ვნახოთ, იქნებ ვიგრძნოთ კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ვცადოთ.

გულწრფელად გამოგიტყდებით, საქმის ასე იოლად წარმართვას არ ველოდი. იქვე, ბულვარში, უახლოესი ყავახანისკენ რომ მივდიოდით, ეჭვიც კი შემეპარა, ხომ არ მცდის, ხომ არ დამცინის-მეთქი, აკადემიკოსის შვილი, თანაც ულამაზესი ქალიშვილი, ყავახანაში ასე იოლად როგორ წამომყვა-მეთქი. თანაც თითქმის სრულიად უცნობს. წუხელ, რესტორანში, არც კი გამოვლაპარაკებივარ! გაცნობისას ხელიც კი არ ჩამოგვირთმევია ერთმანეთისათვის. ამ დილით, „ზღვაში“ სალამზე მხოლოდ ღიმილით მიპასუხა. პირველი სიტყვა, მან რომ ჩემგან გაიგონა, იყო, „მე თქვენ მიყვარხართ, ლონდა!“ და აი იგი ჩემს გვერდით მოაბიჯებს. იქნებ დამცინის? გალაღებული და იქნებ გათამამებული მესამე კურსის სტუდენტი უბრალო ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, როგორ ავუხსნი სიყვარულს ათი-თორმეტი წლით უფროსი კაცი?! ვინ იცის, იქნებ პირიქით, ჩემმა ათლეტურმა აღნაგობამ... უმორჩილესად გთხოვთ, ნუ დამცინებთ ჩემი მაშინდელი ფიქრებისა და საკუთარ თავზე ჭაბუკური წარმოდგენებისათვის, დიახ, იქნებ ჩემმა ათლეტურმა აღნაგობამ, კარგმა ცურვამ, უკვე დაცულმა ხარისხმა მაინც მოახდინა ზეგავლენა უმშვენიერეს ქალიშვილზე? კიდევ შეგახსენებთ, მაშინ არამცთუ ხარისხი, თვით სწორი ცურვაც კი იშვიათი რამ იყო. ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები ჩემს გონებაში საშინელი სისწრაფით ანადგურებდნენ ერთმანეთს. ხან იმედი მიპყრობდა, ხან სასოწარკვეთა. და აი, მივადექით უახლოეს ყავახანას, ქვე, დიდი მაგნოლიის ქვეშ რომ იყო მოთავსებული.

— ხედავთ, რამდენი ხალხია? — ჩამესმა ლონდას ხმა.

მაშინღა მივხვდი, გზაში რომ არცერთს დუმილი არ დაგვირღვევია.

— რა ვქნათ? — წარმოვთქვი უცებ მე.

— აგერ, ხის ძირში, მგონი, წასვლას აპირებენ.

უმალვე იქით გავეშურე. ახალგაზრდა წყვილს ცოტა უზრდელად დავადექი თავზე. რა მექნა, მეტი გამოსავალი არ მქონდა. ოცი, ოცდაერთი წლის ბიჭმა უკმაყოფილოდ ამომხედა, ფეხზე ღინჯად წამოდგა, ჯიბეში ხელი ჩაიყო და ახალგაზრდა ოფიციანტისაკენ გაემართა. მისი მეგობარი ქალიშვილი წამოდგომას არ ჩქარობდა. მე ბამბუკის სკამის საზურგეს ხელებით დავეყრდენი და ლონდას ვანიშნე, მობრძანდი-მეთქი. ლონდამ ბიჭს გახედა, ოფიციანტს რომ ფულს უხდიდა და მაგიდისაკენ ნელი ნაბიჯით დაიძრა. ზუსტად გამოთვალა. მაგიდასთან მაშინ მოვიდა, როცა ქალიშვილი ფეხზე წამოდგა და უკან მობრუნებულ ჭაბუკთან ერთად წავიდა.

— გმადლობთ! — მივადევნე მე. მივხვდი, რომ მაინცდამაინც ტაქტიანად ვერ მოვიქეცი და მადლობა ბოდიშის მოხდის მიზნით წარმოვთქვი.

ქალიშვილმა უკან მოიხედა და თავი ღიმილით დაგვიკრა. ჭაბუკმა მოხედვის ღირსადაც არ ჩაგვთვალა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ჩემი ხმა კარგად გაიგონა.

— ალბათ, გაოცებული ხართ, არა? — მკითხა, ლონდამ მაგიდას რომ მივუსხედით.

— გაოცებული?!

— დიახ, გაოცებული.

— რატომ?

— როგორ თუ რატომ. ქუჩაში, სრულიად მოულოდნელად, სრულიად უცნობი ადამიანი მიხსნის სიყვარულს. მართალია, წუხელ ერთმანეთი გავიცანით, მაგრამ თქვენ ჩემთვის მაინც სრულიად უცნობი პიროვნება ბრძანდებით. მე კი პირველი წინადადებისთანავე წამოგყევით ყავახანაში.

— მართალი ბრძანდებით, — თუმცა მჯერა, ჩემს გულწრფელობაში ეჭვი არ შეგპარვიათ.

ლონდამ გაიღიმა. შავ თმაზე ხელი გადაისვა. ოფიციანტ გოგონას, ყავა რომ მოგვიტანა, მადლობის ნიშნად თავი დაუქნია და ისევ მე შემომხედა.

— შამპანური ხომ არ შევუკვეთოთ? — ვკითხე მე.

— არ არის საჭირო. მით უმეტეს, რომ მე ბევრი დრო აღარ მაქვს.

— თქვენ უპასუხოდ დატოვეთ ჩემი ბოლო ფრაზა, უფრო სწორად, უკომენტაროდ.

— რომელი ფრაზა?

— მჯერა, რომ ჩემს გულწრფელობაში ეჭვი არ შეგპარვიათ-მეთქი.

— ოო, როგორ გეკადრებათ! — გაიცინა ლონდამ.

შემეშინდა, ჩვენს საუბარს უბრალო ფლირტის სახე არ მიეღო და მოვიღუშე. შევეცადე საუბარი უფრო სერიოზულ ლიანდაგზე გადამეყვანა.

— იცით, ლონდა, მე პატარა ბიჭი არა ვარ, სიტყვები უბრალოდ წამოვისროლო და წარმოთქმულის შინაარსს ანგარიში არ გავუწიო. მე თქვენ მიყვარხართ, მიყვარხართ და მზად ვარ, ხვალვე აქ, ბათუმში მოვაწეროთ ხელი!

ბოლო ფრაზა რაღაც უცნაური ინტონაციით წარმოვთქვი. თვითონ მე გამაკვირვა ჩემი ხმის თან მტკიცე და კატეგორიულმა, თან კი სევდიანმა ჟღერადობამ. ეტყობა მიზანს მივაღწიე. ლონდას ტუჩებზე ღიმილი ნელ-ნელა, შენელებული კადრივით წაიშალა. ქალიშვილმა თვალი თვალში გამიყარა. მზე კარგა ხნის ჩასული იყო, მაგრამ ბინდი ჯერ კიდევ არ იგრძნობოდა. უფრო სწორად, ბინდი ის ის იყო, წვებოდა. ალბათ ამიტომაც ლონდას თვალები ზღვისფრად აღარ ლივლივებდა, თუმცა სილამაზე და მიმზიდველობა ოდნავადაც არ დაკარგვოდა.

პირიქით, ერთის შეხედვით თითქოს საერთო იერიდან ამოვარდნილი ზღვისფერი თვალები, ამჯერად თითქოს თაფლისფრად უელავდა და უფრო ბუნებრივად აღიქმებოდა.

— მანამდე გინახივართ სადმე? — შკითხა მოულოდნელად ლონდამ და ყავა მოსვა.

— რომ მენახეთ, ახლა ხომ ჩემი მეუღლე იქნებოდით!

პასუხად ლონდამ გაიცინა.

— მომწონს თქვენი თვითდაჯერებულობა!

— მხოლოდ ეგ?

უცებ შევწუხდი. მივხვდი, წატრაბახებასთან ერთად ცოტა წალაზღანდარავებაც გამომივიდა.

— ხუმრობა იქით იყოს! — უმალვე შევეცადე გამომესწორებინა ჩემი შეცდომა,—ლონდა, უმორჩილესად გთხოვთ, ჩემს ნათქვამს გაგებით და სერიოზულად მოეკიდოთ!

ლონდა მაგიდას დასჩერებოდა და გრძელი, ლამაზი თითებით ყავის ფინჯანს ელაციცებოდა.

— მიცნობთ, ვინა ვარ? — მკითხა უცებ, ალბათ მიმიხვდით, რა ცნობასაც ვგულისხმობ.

შევცბი, ერთხანს დავობენი. არ ვიცოდი, რა მეპასუხნა.

დიახ, რასაკვირველია, გიცნობთ. იქნებ, არც გიცნობთ კიდეც. განა ამას მნიშვნელობა აქვს? დაგინახეთ თუ არა, შემიყვარდით. თქვენ რა, არ გჯერათ ერთი ნახვით სიყვარული?!

ლონდა ფინჯანის წვალებას შეეშვა, თავი ასწია და თვალებში შემომხედა.

— რასაკვირველია, მჯერა, მაგრამ თქვენ ხომ არ იცით, ვინ ვარ?

— სიყვარულს განსჯა არ უხდება. კიდევ ვიმეორებ, მზად ვარ ხელი ხვალვე მოვაწეროთ.

— იქნებ შემდგომ გაგიაროთ ერთი ნახვით სიყვარულით აღტყინებამ? იქნებ სამუდამო სადარდებელი გაგიხდეთ ბედის ჩემთან დაკავშირება? განა თქვენც ისეთივე ჩვეულებრივი ახალგაზრდა კაცი არ ბრძანდებით, როგორც სხვები? მამაჩემის აკადემიკოსობა, ჩემი დედისერთობა, კარგი ბინა და სხვა წვრილმანი კეთილდღეობანი რომ ხიბლავდათ და ხიბლავთ?! არა, ჩემს თავს სულაც არ ვაყენებ შეურაცხყოფას. მჯერა, თუ სილამაზის კლასიკური გაგების ნორმებს ვერ ვაკმაყოფილებ, საკმაოდ თავისებური და მომხიბვლელი გოგონა გახლავართ, ყოველ შემთხვევაში განსხვავებული და თავისებური.

— როგორ, თქვენს თაყვანისმცემლებს შორის არავინ ყოფილა ისეთი, მართლა გულწრფელად რომ ჰყვარებოდით?!

— ვერ გეტყვით. შეიძლება იყვნენ კიდეც. სამგიეროდ, მე არ მომწონდნენ ისინი. მე ჯერ მხოლოდ თვრამეტი წლისა ვარ. ჩემს ტვინში ალბათ ორპირი ქარი ქრის. ჩემი დღევანდელი შეხედულებანი იქნებ მხოლოდ მეოცნებე ქალიშვილის ფანტაზიის ნაყოფია, ცხოვრებასთან რომ არაფერი აქვს საერთო.

ლონდა უცებ გაჩუმდა, თავი დახარა და ყავის ფინჯანში ჩარჩენილ ნალექს დააჩერდა.

— ჩანს რამე სასიკეთო? — ვკითხე ღიმილით.

— რა ბრძანეთ? — მკითხა უცებ ლონდამ.

— ჩანს-მეთქი, რამე სასიკეთო? — გავიმეორე ისევ.

მივხვდი, სულელურად ვიღიმებოდი და ჩემს თავზე გული მომივიდა.

— აბა, რა გითხრათ. მე არ ვიცი მკითხაობა. თქვენ გეგონათ, ნალექში რაღაცის ამოკითხვას ვაპირებდი? უბრალოდ, ფიქრმა გამიტაცა.

მივხვდი, ლაპარაკი კვლავ სხვა გზით წარიმართა. უცებ ავნერვიულდი და მგონი, ცოტა უცნაური ხმითაც კი წარმოვთქვი.

— ვისურვებდი, თქვენი ფიქრი ჩემი წინადადებით ყოფილიყოს აღძრული.

ლონდამ შემომხედა და გამიღიმა.

მივხვდი, თვალებში ჩაღვრილი სით-

ბოთი ვიგრძენი, ეს ღიმილი უკვე თანხმობას ნიშნავდა.

— მაშ, ვაწერთ ხელს, არა? — უმალვე წარმოვთქვი გახარებულმა.

ლონდა დუმდა, ხმის ამოღებას არ ჩქარობდა და კვლავ ღიმილით მომჩერებოდა.

— თუ ჩემს გულის წასვლას ელოდებით, — წარმოვთქვი განაწყენებულმა, — ვერ ჩაგითვლით კეთილშობილურ განზრახვად!

ჩემი განაწყენებული ხმისა მე თვითონ შემეშინდა და ნათქვამს უმალვე ღიმილი მივაყოლე.

დღესაც მაინტერესებს, იმ ღიმილის დროს თვალებიც თუ მიღიმოდა. ალბათ არა, მჯერა, თვალები სევდით და მოლოდინით მექნებოდა სავსე.

უცებ ლონდას სახეზე გამოსახული სინაზე ენერგიულმა გამოხედვამ შეცვალა. ხელებით მაგიდას დაეყრდნო და თვალებში შემომხედა.

— თანახმა ვარ, ხვალვე მოვაწეროთ ხელი. ხვალ ან არასოდეს! მჯერა, პატარა ბიჭი არ ბრძანდებით და უეცრად მოვარდნილ ვნებას არ აჰყვებით. მით უმეტეს, ხვალვე მინდა მოვაწეროთ ხელი. მხოლოდ მაშინ დავიჯერებ, რომ ნამდვილად გიყვარვართ!

— ლონდა! — წარმოვთქვი უცებ ხმამაღლა! შევკრთი, ირგვლივ მიმოვიხედე. მეგონა, ყველამ გაიგონა ჩემი წამოყვირება და რაოდენ გაოცებული დავრჩი, ჩემსკენ მოპყრობილი თვალები რომ ვერ შევნიშნე. შვებით ამოვისუნთქე და კვლავ ლონდას შევხედე.

იგი ძველებურად იღიმებოდა. ღმერთო ჩემო, რა მშვენიერი და მომხიბვლელი იყო მისი ღიმილი...

კონიაკი. ჩიბუხი.

— ჩემს გულწრფელ აღსარებას რომ ისმენთ, ალბათ გულში დამცინით, არა? დამცინეთ, რამდენიც გნებავთ, იმდენი დამცინეთ, ნება მომიცია. თუმცა, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა დამცინოდეთ? განა მსგავსი სიტუაცია თქვენ კი არ გქონიათ? დარწმუნებული ვარ, ჩემზე მეტჯერ ყოფილხართ ბავშვივით აღტაცებული, გულწრფელი, სულიერად განწმენდილი, მთელს სამყაროზე შეყვარებული. მართალი ვარ, ჩომ? ძალიან კარგი.

პაუზა. ხანმოკლე, მაგრამ რატომღაც დაძაბული პაუზა.

— ლონდა, — წარმოვთქვი კვლავ მეგულწრფელად გამოგიტყდებით, მეშინოდა, ლონდას გადაწყვეტილება არ შეეცვალა, ნათქვამი არ გადაეფიქრებინა. კიდევ უფრო საშინელებასაც გეტყვით. ერთბაშად ეჭვმა შემიპყრო, მომეჩვენა თუ მართლა მითხრა ლონდამ თანახმა ვარო?!

— ლონდა! — წარმოვთქვი უკვე მესამედ. — ირგვლივ ხალხი რომ არ იყოს ალბათ ვიცეკვებდი. გულახდილად გეტყვით, დღევანდელი დღიდან იწყება ჩემი ცხოვრება, თუ, რასაკვირველია, ამაღამ სიხარულისგან გული არ გამისკდება...

— ნუ გეშინიათ, არ გაგისკდებათ!— კვლავ ღიმილით თქვა ლონდამ.

— ლონდა, განა შეიძლება იმის წარმოდგენა, რა სიხარული მომანიჭეთ?

მინდოდა შენობით მელაპარაკა, მაგრამ უმალვე გადავიფიქრე, შემეშინდა თანხმობისთანავე შენობაზე გადასვლა, გათამამებად და წამიერ გაშინაურებად არ ჩაეთვალა.

უცებ ლონდამ თვალებში მტკიცედ ჩამხედა.

— წეღან გითხარით, ერთ ოჯახში ვარ-მეთქი დაპატიჟებული. თქვენ წამობრძანდებით. სუფრის დასაწყისშივე არა, მაგრამ დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ხელსაყრელ მომენტს რომ იპოვით, გამოაცხადებთ, რომ ჩვენ ხვალ ხელს ვაწერთ და ყველას დაპატიჟებთ. იქ მხოლოდ ჩემი მეგობრები იქნებიან. თანახმა ხართ?

ლონდა წამოდგა.

— რასაკვირველია, თანახმა ვარ! — წამოვიჭერი მეც.

ერთხანს ჩუმად მივდიოდით. რატომღაც ხმას ვერ ვიღებდი. ლონდას მოულოდნელმა თანხმობამ თითქოს დამაბნია, გამბედაობა წამართვა. ჩემს თავზე გული მომდიოდა. სათქმელსაც თავი ვერ მოვაბი, აღარ ვიცოდი, რაზე მელაპარაკა. უცებ დიდი მაგნოლიის ქვეშ აღმოვჩნდით. შევჩერდი. გადავწყვიტე, ლონდასთვის მეკოცნა. კოცნა ხომ ლოგიკური წერტილი უნდა ყოფილიყო ჩვენი შეთანხმებისა. ლონდა თითქოს კი არა, ნამდვილად მიმიხვდა. იქნებ მისახვედრი არც არაფერი იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გული ისე მიცემდა, მისი ბაგაბუგი ალბათ ლონდასაც მშვენივრად ესმოდა.

— მან მარჯვენა ხელი მაღლა ასწია, თითი ტუჩებზე დამადო და მითხრა.

— ნუ ჩქარობთ, ყველაფერს მოვასწრებთ.

შეცბუნებულმა ისღა მოვახერხე, რომ თითზე ვაკოცე.

6

პირველმა ღამემ ლონდა სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. საშინელი სევდა შემოაწვა და უხმო ტირილი აუვარდა.

— რა გატირებს, ჩემო ძვირფასო!— შეეკითხა არჩილი.

— ჩუმად, ნუ მელაპარაკები! — ლამის შეეეედრა ლონდა .

— იქნება გინდა, იქით ოთახში გავიდე?

არჩილი მიხვდა, ლონდას დუმილი თანხმობას ნიშნავდა. ნელა წამოდგა, მეუღლეს ცრემლიან ლოყაზე აკოცა და მეორე ოთახში გავიდა. მეუღლის ცრემლები თან აღელვებდა, თან სიხარულით ავსებდა. დაახლოებით ასეც წარმოედგინა პირველი ღამე. დარწმუნებული იყო, ლონდას ცრემლები და უხმო ტირილი ქალიშვილობასთან გამოთხოვებას ნიშნავდა. კმაყოფილმა სიგარეტი მოძებნა. მოუკიდა და აივანზე გავიდა.

„ინტურისტის“ ეზოს იქით ლამპიონები ძლივს ანათებდა. ნაწვიმარი ქუჩები მკრთალ სინათლეს საკმაოდ ძლიერად შთანთქავდა. გახურებული ასფალტი სწრაფად შრებოდა და ნისლი თითქოს ლამპიონებისაკენ მიისწრაფოდა. ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა.

„ნეტავ რომელი საათია? — გაიფიქრა არჩილმა.

საათი იქით ოთახში დარჩა. შესვლა არც გაუფიქრებია.

„დაისვენოს ბავშვმა“, — გაივლო გულში ნაზად.

უცებ ისევ წამოწვიმა.

არჩილი ოთახში შებრუნდა და სავარძელში ჩაჯდა. ერთი გაიფიქრა, გავალ, ლოგინს გამოვიტან და დივანზე გავშლიო, მაგრამ უმალვე გადაიფიქრა. მაინც არ მეძინება, ამასობაში ლონდაც დაწყნარდება და კვლავ იქ შევბრუნდებიო. ნეტარების ბურუსში გახვეულს კვლავ ლონდას ჯანსაღი, ხორცსავსე სხეული ედგა თვალწინ. ერთი სული ჰქონდა, შევარდნილიყო, კვლავ დამტკბარიყო მისი მშვენიერებით, მაგრამ გრძნობდა ქალის ორგანიზმში, სულსა და გონებაში რა რთული ცვლილებებიც ხდებოდა და არ უნდოდა საყვარელი არსება კიდევ უფრო გაეღიზიანებინა.

სიგარეტის წევა დაამთავრა თუ არა, უმალვე მეორეს მოუკიდა. ფიქრები ყოველმხრივ ეხვეოდა. ლონდას ჯანსაღი და ნორჩი სხეულის სასიამოვნო სუნს ისევ გრძნობდა, მისი თეთრი, მკვრივი მკერდი, ვნებიანი ტუჩები და მაღალი ყელი კვლავ თვალწინ ედგა, მაგრამ, პარალელურად, სხვა ფიქრებიც საკმაოდ დანავარდობდნენ არჩილის გონებაში. თითქოს არ უნდოდა საკუთარ თავს გამოტყდომოდა, მაგრამ მაინც სიამოვნებით ცდილობდა წარმოედგინა, მისი ქორწინების ამბავი თბილისში როგორ ჩავიდოდა. ჯერ თავისთავად ლონდას მამის სიძეობაც არ იქნებოდა ნაკლებ შთამბეჭდავი! ლონდას აზრი არ იცოდა, მაგრამ ქვე-

შეცნეულად გრძნობდა, განებივრებული დედისერთა ქალიშვილი საცხოვრებლად რომ მასთან არ გადავიდოდა. ისიც იცოდა, საკითხს პრინციპულად ვერ დაუსვამდა და იძულებული გახდებოდა, ნაკაშიძეების ოჯახში გადასულიყო.

არჩილმა სიგარეტი მოქაჩა და კმაყოფილებით გაიზმორა. ყოველდღიური სიახლეები, წინ რომ ელოდა, სიამოვნებითა და მოუთმენელი მოლოდინის გრძნობით ავსებდა. დავით ნაკაშიძის სახელი და გვარი მის პოზიციებს კიდევ უფრო გაამაგრებდა. არამარტო გაამაგრებდა, საზოგადოების იერარქიულ კიბეზე ლამის სულ თავში უჩენდა ადგილს.

„ნეტავ, კიდევ ტირის?“ — გაიფიქრა საოცარი მზრუნველობით, სინაზითა და სიყვარულით. ყურადღება დაძაბა, უნდოდა გაეგონა, ლონდა კვლავ ტიროდა თუ არა. რას გაიგონებდა, ოთახში შესვლა მაინც ვერ გაბედა.

„დაე, მოიოხოს გული!“ — გაიფიქრა ბოლოს, თვალი დახუჭა და კვლავ მოძალებულ ფიქრებს მიეცა. იგი თითქოს, თითქოს კი არა, ნამდვილად ყველა ფიქრთა შორის ერთ განმარტოებულ მუშტრის თვალით უცქერდა და ცდილობდა საუკეთესო მათგანი ამოერჩია. უცებ მტრედებივით მოფრთქიალე ფიქრთა შორის ერთ განმარტოებულ ფიქრზე შეაჩერა ყურადღება.

„მანანა?“

ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ვიღაცამ უზარმაზარი ნემსი მკერდში გულამდე ჩაურჭოო. შიშმა შეიპყრო. იგრძნო, გული ნელ-ნელა როგორ უცივდებოდა.

„მანანას მოეწონება? ჩემი დაქორწინების ამბავს რომ გაიგებს, სულ არ დასწყდება გული? სულ არ ეწყინება? კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა ეწყინოს? განა მე მეწყინა, ის რომ გათხოვდა? ვითომ არ მეწყინა?“

წვიმამ უმატა.

არჩილს გული დაუმძიმდა. ამაოდ ცდილობდა, მოფრთქიალე ფიქრები თავიდან მოეშორებინა, აივანზე გამავალ ღია კართან მივიდა და სივრცეს გახედა.

არ ახსოვს, რამდენ ხანს იდგა ასე. არც ის ახსოვს, ფიქრობდა თუ არა რამეს. უცნაურ პოზაში გაშეშებული ქსელიდან გამოთიშული რობოტივით უძრავად იდგა და უაზრო თვალები დანისლული სივრცისთვის გაეშტერებინა.

●

უცებ საშინლად დაიქუხა.

ლონდა შეკრთა.

წვიმამ კიდევ უფრო დაუშვა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ფანჯრის მინებზე ჩანჩქერი ჩამოდიოდა.

ფანჯარა წელან დაკეტეს, წვიმა რომ დაიწყო, სასტუმრო ოთახში აივანზე გამავალი კარი და ფანჯარა ღია ჰქონდათ. საწოლ ოთახში ჰაერი იქიდან შემოდიოდა. არჩილი სასტუმრო ოთახში რომ გავიდა, კარი გაიხურა. საწოლ ოთახში ჰაერი უმალვე ჩაიხუთა, თუმცა სასოწარკვეთილ ლონდას არაფერი შეუმჩნევია. ახლა კი, ქუხილმა რომ შეაკრთო, ერთბაშად იგრძნო, ოთახში რა სიცხეც იდგა. იფიქრა, წამოვდგები, სასტუმრო ოთახში გამავალ კარს გამოვაღებო, მაგრამ უმალვე გადაიფიქრა. იცოდა, არჩილი გამოელაპარაკებოდა და ტანში უსიამოდ გააჟრჟოლა. გადაწყვიტა წვიმის გადაღებას დაველოდები, ფანჯარას მერე გამოვაღებო. წვიმა კი გადაღებას არა და არ აპირებდა.

გუნება კიდევ უფრო მოეწამლა. მილიონჯერ სცადა, გაეანალიზებინა ამ ორი დღის მანძილზე რაც მოიმოქმედა, საბოლოოდ გამორკვეულიყო, იჩქარა თუ სწორი ნაბიჯი გადადგა. ვერ შეძლო, ფიქრს თავი ვერ მოაბა. გული ისე დაუმძიმდა, დროდადრო სერიო-

ზულად სჯეროდა, რომ ვერ წამოდგებოდა, მკერდში უზარმაზარი ცივი ლოდივით დამძიმებულ გულს ვერა და ვერ მოერეოდა.

მაინც რატომ დაეუფლა ან როდის დაეუფლა ქვაზე მიმპალი ხავსივით უსიამოდ სლიპინა ნაღველი? იქნებ ამ რამდენიმე საათის წინ, პირველად რომ შეეხო მისი სხეული მამაკაცის სხეულს? იქნებ პირველი ღამე სულ სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი იქნებ რაღაც უფრო ლამაზს, ამაღლებულს, ჩაუწვდომელ სამყაროში შესვლას ელოდა?

„ნეტავ, რომელი საათია? ალბათ მალე ირიჟრაჟებს. — გაიფიქრა ლონდამ და გული კიდევ უფრო დაუმძიმდა. ჩუმად ამოიოხრა და ლოგინში ჩაემხო. თვალები მაგრად დახუჭა. ფანჯრიდან შემოსული, ნისლში გახვეული ლამპიონების სინათლე ნერვებს უშლიდა. უნდოდა სულ მარტო ყოფილიყო, თავისი თავის მეტი არაფერი ეგრძნო. ეს კი მხოლოდ კუნაპეტ სიბნელეში შეიძლებოდა. თვალები ისე მაგრად დახუჭა, ქუთუთოები ეტკინა. მისაღები ოთახიდან არჩილის ფეხის ხმა შემოესმა. ზიზღით გააჟრჟოლა. შეეშინდა, არ შემოვიდესო. ზამბარების ჭრაჭუნზე მიხვდა,—არჩილი სავარძელში ჩაჯდა და გულზე მოეშვა. ახლა იგი აღიზიანებდა, ყველაზე უფრო კი იმის ეშინოდა, არჩილი კვლავ ლოგინში არ ჩაწოლილიყო და არ შემოხვეოდა.

„რა არის ეს, ზიზღი? იქნებ პირველი ღამით გაუთვითცნობიერებელი გრძნობა. შემდეგ კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგება?“ — ფიქრობდა ლონდა.

მანამდე, ჯერ კიდევ სკოლის ასაკში ბევრი რამ წაეკითხა ქალისა და კაცის ურთიერთობაზე. თეორიულად თითქმის ყველაფერი იცოდა. მაგრამ მას შემდეგ ოთარ ტატიშვილსა და ნატას რომ წაადგა თავზე, თითქოს ყველაფერი თავდაყირა დადგა. სინამდვილემ თეორიული ცოდნა გააცამტვერა და არარაობად აქცია. კარგად ახსოვს, როგორ გაშეშდა ახლაც ყურში უდგას ვნებით გონგადასული ნატას ნეტარებით სავსე კვნესა.

„ოთარ ტატიშვილი“.

„მიყვარს?“ — ვინ იცის, მერამდენედ დაუსვა საკუთარ თავს შეკითხვა.

„ალბათ მიყვარს!“ — დაასკვნა გაუბედავად და უმალვე შეკრთა, — ნუთუ ახლაც მიყვარს, გათხოვების შემდეგ? არჩილ გორდელს ხომ ჩემი ნებით გავყევი, ძალით არავის გავუთხოვებივარ. ან რა სჭირს ჩემი დასაწუნი? ენერგიით სავსე კაცია, ლამაზი, მომხიბვლელი, ნამდვილი სპორტსმენი, მერე როგორ ცურავს! მთელი პლაჟი მასზე ლაპარაკობს. უკვე კანდიდატია, ამოდენა განყოფილების უფროსი. რატომ არ უნდა მიყვარდეს? იქნებ დღევანდელი ზიზღი მხოლოდ ფიზიოლოგიური ზიზღია, პირველი ღამის მოულოდნელობებით გამოწვეული?! ხვალ, ალბათ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ხვალიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებ. სრულიად ახალს“.

თვითონვე არ სჯეროდა თავისი ნალაპარაკევისა. უმალვე ყურში ნატას ნეტარებით სავსე კვნესა ჩაესმოდა. უმალვე თვალწინ მუხლებზე დაჩოქილი ოთარ ტატიშვილი წარმოესახებოდა, ნატას ზღვაზე გარუჯულ ბარძაყებს გაშმაგებული რომ უკოცნიდა. აი, ახლაც, თვალნათლივ ხედავდა ჭერისკენ აღპყრობილ და ნეტარებით აღსავსე ნატას ნახევრადდახუჭულ თვალებს. აშკარად ხედავდა ქალის ნაზ, გრძელ თითებს, ვაჟის თმაში რომ ჰქონდა შეცურებული.

„არა, ეს სიყვარული არ არის. ეს ვნებაა. პირველად დავინახე მსგავსი რამ და იმიტომ დამარეტიანა, თავგზა იმიტომ ამიბნია“.

ლონდას გაახსენდა, რომ მას შემდეგ, თითქმის ყოველღამე მხოლოდ ამაზე ფიქრობდა და ტატიშვილზე ფი-

ქრით ნეტარების ბურუსში ჩაფლული იძინებდა.

„რატომ მე ვერ ვიგრძენი ნატას მსგავსი ნეტარება? — იკითხა გულში და საკუთარ თავს პასუხიც თვითონვე გასცა, — ეს ხომ პირველი ღამე იყო. პირველ ღამეს კი ჯერ თითქმის არცერთ ქალს არ უგრძვნია თავისი ქალობა, არცერთ ქალს არ უგრძვნია სიყვარულის ნეტარება“.

ლონდამ სამედიცინო წიგნებიდან მშვენივრად იცოდა, ქალის მამაკაცთან ნეტარების საიდუმლო. იცოდა და თავის დამშვიდებას ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

„ვაი თუ აქ მარტო „ის“ არ არის მთავარი. ვაი თუ მიყვარს ოთარ ტატიშვილი.

უცებ გუშინწინდელი სუფრა გაახსენდა. მასპინძელმა სტუმრები სუფრასთან რომ მიიწვია, ლონდა დაელოდა, ოთარ ტატიშვილი სად დაჯდებოდა და შემდეგ მის პირდაპირ სკამს მიაშურა. ადგილი ისე შეარჩია, რომ არჩილი და თვითონ ტატიშვილის პირდაპირ დამსხდარიყვნენ, თვითონ კი არჩილისგან მარცხნივ დაიკავა ადგილი. არ უნდოდა, მათი თვალები პირდაპირ შეხვედროდა ერთმანეთს. ოდნავ გვერდიდან უფრო უკეთ უთვალთვალებდა. უფრო კარგად დაინახავდა და შეიგრძნობდა, მისი გათხოვების ამბავი ოთარ ტატიშვილზე რა შთაბეჭდილებას მოახდენდა. არჩილი საგანგებოდ გააფრთხილა, მე რომ განიშნებ, სუფრას მაშინ აუწყე ჩვენი გადაწყვეტილების ამბავიო.

მღელვარებამ მოიცვა. ცდილობდა თავი დაემორჩილებინა. სუფრაზე სიჩუმე ოდნავ რომ ჩამოვარდებოდა, ეშინოდა, მისი გულისცემა არავის გაეგო.

თითქმის საათი გავიდა, ხელსაყრელი სიტუაცია არა და არ შეიქმნა.

უცებ თამადამ სიყვარულის სადღეგრძელო წამოიწყო. ლონდამ არჩილს ბარძაყზე ხელი დაადო და ოდნავ მოუჭირა. არჩილი თვითონაც მიხვდა, ხელსაყრელი მომენტი რომ დადგა და უნდოდა ლონდასთვის ენიშნებინა, დრო, ხალხს ჩვენი გადაწყვეტილება — გავაგებინოთო, მაგრამ ლონდამ დაასწრო. მას ლონდასავით მღელვარება არ შეჰპარვია. პირიქით, ერთი სული ჰქონდა, სათქმელს როდის იტყოდა. თითქოს ეშინოდა, ლონდას არაფერი გადაეფიქრებინა. უმალვე ჭიქას ხელი წამოავლო და ფეხზე წამოდგა. თამადა ენად გაიკრიფა, რაღაც ლექსიც წარმოსთქვა. თამადის გრძელსიტყვაობით აღშფოთებულმა ლონდამ დაასკვნა, ლექსის ავტორი ალბათ თვითონ იქნებაო. ბოლოს და ბოლოს, დადგა ის წამიც, არჩილმა რომ თამადის მცირე პაუზით ისარგებლა, და ჭიქა მაღლა ასწია. სუფრამ თითქოს იგრძნო, რაღაც მნიშვნელოვანი რომ უნდა მომხდარიყო და სიჩუმე ჩამოვარდა.

ლონდას სუნთქვა შეეკრა, ფერი დაკარგა და მოულოდნელად თვალი ოთარ ტატიშვილისაკენ გააპარა. ტატიშვილს ხელი ხელზე გადაეჭდო და, სკამის საზურგეს მოხერხებულად მიყრდნობილი, არჩილს ცნობისმოყვარეობით შესჩერებოდა.

— მეგობრებო, — წამოიწყო გორდელმა.

ლონდას არ მოეწონა არჩილის ინტონაცია. მოეჩვენა, რომ იგი ზედმეტად პათეტიკური და ყალბი იყო. თავი ოდნავ დახარა, ორი თითი შამპანურით სავსე ბოკალის წვრილ ფეხს შეავლო და თვალი მაგიდას გაუშტერა.

— თამადამ დიდებული სადღეგრძელო შესვა, სიყვარულის სადღეგრძელო, მინდა თამადის მიერ ლამაზად ნათქვამი სიტყვა საქმით დავამშვენო. დავამშვენო და დავაგვირგვინო. ხვალ მე და ლონდა ხელს ვაწერთ, გთხოვთ, დღის პირველ საათზე უკლებლივ ყველანი „ინტურისტის“ წინ შევიკრიბოთ! ერთბაშად ყველამ ლონდას შეხედა. ქალიშვილის ლოყებმა იგრძნო ათი წყვილი თვალის მცხუნვარე სხივები. იმდენად მოულოდნელი იყო არჩილ გორდე-

ლის განცხადება, რომ დაიბნენ, ვერ გაერკვნენ, რა ხდებოდა. თანაც იმდენად კარგად იცოდნენ ლონდას ბუნება და ხასიათი, თავდაპირველად ის კი გაიფიქრეს, არჩილი ხომ არ ხუმრობსო.

— ხუმრობთ, თუ მართალს ამბობთ? — იკითხა უცებ თამადამ.

— განა ასეთ ამბებზე ხუმრობენ?!— გაიცინა არჩილმა, — ლონდა, განა ჩვენ ვხუმრობთ?!

ლონდამ თავი ასწია და პირველად ოთარ ტატიშვილის თვალებს წააწყდა.

ტატიშვილი მიხვდა, არჩილი და ლონდა არ ხუმრობდნენ.

ლონდამ თავი ასწია და პირველად იგი წამოდგა ფეხზე და შამპანურით სავსე ჭიქა მაღლა ასწია.

— გმადლობთ! — გაუღიმა ლონდამ და წამიერად თვალი გაუშტერა.

ო, როგორ უნდოდა ტატიშვილის თვალებში ამოეკითხა, მის გულსა და გონებაში რა ხდებოდა. თუმცა, ხდებოდა კი რამე?

ლონდა სწრაფად გამოერკვა და სხვებსაც გაუღიმა. ბიჭები ყველანი ფეხზე იდგნენ. ოთარ ტატიშვილის სიტყვებმა სიტუაცია თითქმის განმუხტა და ყველა გონს მოეგო.

ქალიშვილები საკოცნელად წამოიშალნენ. სუფრა აზრიალდა. ლონდა დაიბნა. ვეღარაფერს ხედავდა, ვეღარაფერს გრძნობდა. ხალხს მილოცვებზე მექანიკურად პასუხობდა. გულსა და გონებაში კი ერთი აზრი უტრიალებდა.

„ნეტავ, ეწყინა?“

„იქნებ ელდაც ეცა?“

„იქნებ სულაც არაფრად ენაღვლება, მე რას მოვიმოქმედებ?!“

„მიხვდა კი, რომ მის ჯიბრზე ვთხოვდები?“

ლონდამ ძალღონე მოიკრიბა, მღელვარებას საბოლოოდ მოერია და თვალი ყველას ღიმილით მოავლო. საბოლოოდ მზერა მაინც ტატიშვილზე შეაჩერა.

ოთარს ხელში ბოკალი ეჭირა და შამპანურს ნელა წრუპავდა.

ლონდას მოეჩვენა, რომ ტატიშვილს ხელი უკანკალებდა და სახეც გაფითრებული ჰქონდა.

სიხარული დაეუფლა. შურისძიებამ, თუკი ამას შურისძიება შეიძლებოდა დარქმეოდა, ნეტარებით აღავსო, ენერგია შემატა, ატაცებულმა თითქოს წონაც დაკარგა, ეგონა, სადაცაა ცაში ავფრინდებიო.

„შურისძიება“.

რას ერჩოდა ოთარ ტატიშვილს? დაუშავა რამე? მერე რა, რომ ოთხი თუ ხუთი დღის წინ თამამად მოექცა, ლამის შეურაცხყოფა მიაყენა. განა თვითონ არ მისცა გათამამების მიზეზი?! განა თვითონ არ აგრძნობინა, რომ მასთან სიახლოვე სურდა?! არა, უბრალო სიახლოვე კი არა, ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარულით სავსე სიახლოვე, ქორწინებით რომ დაგვირგვინდებოდა! განა მაშინ წარმოიდგენდა, რომ ქალიშვილების საყოველთაო ყურადღებით გათავხედებული არქიტექტორი პირდაპირ მხრებში წაავლებდა ხელს და ტუჩებზე დაეკონებოდა? თან როგორ აკოცებდა! ძლივს დაუსხლტდა ხელიდან, ძლივს გაინთავისუფლა თავი და ლოყაზეც გამეტებულად გაულაწუნა. მოეჩვენა, თუ მართლა ასე მოხდა?

„იქნება ეგონა მაგ ვაჟბატონს, რომ ჩემგანაც გამორჩებოდა რამეს?!“

გული სიამაყით ევსებოდა. ორჯერ ასწავლა ჭკუა ტატიშვილს, ერთხელ მაშინ, ტუჩებზე რომ დაეკონა და მეორედ ახლა, ამ წუთში, გათხოვების ამბავი რომ აუწყა. იძია კი შური?! იმავე დღეს, განსაკუთრებით კი იმავე საღამოს, ლოგინში რომ მოუსვენრად ტრიალებდა, გრძნობდა, რაღაცაზე გული სწყდებოდა.

მაინც რას დარდობდა, რას განიცდიდა, რა უკმარობის გრძნობას ჰყავდა შეპყრობილი? დიახ, მაინც რას? უფორმო გრძნობა და უფორმო ფიქრი თანდა-

თან ყალიბდებოდა. სიამაყის გრძნობა სიამაყის გრძნობად რჩებოდა. მაგრამ არც იმ კოცნის გემო ავიწყდებოდა, არც ის სასიამოვნო ჟრუანტელის მომგვრელი ელექტროდენი, ვაჟის ბაგეებიდან გადმომდინარე მთელ სხეულში რომ დაურბოდა. უმალვე ის სცენა ახსენდებოდა, მუხლებზე დაჩოქილი ოთარი ნატას რომ ბარძაყებს უკოცნიდა, ყურში კვლავ ის ნეტარებით სავსე კვნესა ჩესმოდა (ნუთუ კვნესა ეთქმოდა იმ საოცარ, სიყვარულით და ექსტაზით სავსე ხმას?!), თავაწეული და თვალდახუჭული ნატა ღრმა სუნთქვას რომ აყოლებდა. ეს კვნესა კი არა, თითქოს ნეტარებად შედედებული ამოძახილი იყო. მერე? ახლაც როგორ უდგას თვალნათლივ, ოთარი კოცნით მუცელს როგორ აუყვა და ძუძუებზე როგორ დაეკონა. მაშინ კიდევ უფრო უმატა ნატამ კვნესას, მაინც რა საოცრად გამოკვეთილად მოჩანდა თეთრი ძუძუები მზისგან გარუჯულ სხეულზე.

აზრი თითქოს ღრმულში წყალივით გუბდებოდა. ბოლოს გუბე გაივსო და წყალმა თავისი გზა იპოვა. ლონდამ გადალახა უხერხულობის ზღვარი და თავის თავს აღარ ეპოზიორებოდა, აშკარად ნანობდა, რომ ვაჟს ცოტა მეტი არ დაანება, სულ ცოტა მეტი... ვითომ ცოტა მეტი? მაინც როგორი განცდაა ძუძუებზე კოცნა?!

თამადამ ლონდას და არჩილის სიყვარული ადღეგრძელა. წაიტრაბახა კიდეც, წელან სიყვარულის სადღეგრძელოს დალევა ინტუიციამ მიკარნახო. ნეტარების ბურუსში გახვეული ლონდა თითქოს უკიდეგანო სივრცეში ცურავდა. სადღეგრძელოები ხან შორიდან, ძალიან შორიდან მოესმოდა, ხან თითქოს ვიღაც ყურში ჩასჩურჩულებდა. სხვებს თითქოს ველარც კი ამჩნევდა. თუმცა ეჩვენებოდა, რომ მეგობარი ქალიშვილების თვალებიდან სიხარული და შური ერთნაირად იღვრებოდა.

7

— ბათუმში გატარებული დღეები და ქორწინება ყველაზე ბედნიერი პერიოდია ჩემი ცხოვრებისა. ჯერ მარტო ის რას ნიშნავდა, რომ დავქორწინდი იმ ქალიშვილზე, თავდავიწყებამდე რომ მიყვარდა. ამ ქორწინებით ბევრი რამ შეიცვალა ჩემს არსებაში. მივხვდი, ჩემს ცხოვრებაში დაიწყო თვისობრივად ახალი ფაზა, ახალი საფეხური. ქორწინებამ ერთბაშად სხვა კაცი გამხადა, უამრავი საზრუნავი მომიმატა. უამრავი მაგრამ სასიამოვნო. სხეულმა და სულმა მეტი სილაღე იგრძნო. თავდაპირველად მეგონა, რომ ჩემი ფიზიკური და სულიერი სილაღე მხოლოდ საყვარელ ქალიშვილზე დაქორწინების შედეგი იყო. უფრო გვიან მივხვდი, უფრო გვიან-მეთქი, რომ ვამბობ, არ გეგონოთ, რამდენიმე წელს ვგულისხმობდე. ამ შემთხვევაში გამოთქმა „უფრო გვიან“ მხოლოდ ორ ათეულ დღეს მოიცავდა. პირველი დღეები, ბუნებრივია, ფილოსოფიური განსჯებით არ გადამიტვირთავს. უბრალოდ, ერთ მშვენიერ დღეს, აკადემიკოს დავით ნაკაშიძის დიდებულ კაბინეტში რომ ვიჯექი, კაბინეტში რომელიც უკვე მეც მეკუთვნოდა, მივხვდი, რომ ჩემს ბედნიერებას სხვა მოვლენებიც აძლიერებდა. თქვენ არ გაგიჭირდებათ მიმიხვდეთ, ამ მოვლენებში რას ვგულისხმობ. დიახ, დიახ, სწორი ბრძანდებით. ამჯერად პოლიტიკური მოვლენები მაქვს მხედველობაში. არ დაგავიწყდეთ, მე რეპრესიებით განადგურებული ოჯახის შვილი ვიყავი. ბავშვობიდანვე ჩემს არსებაში შიშმა და არასრულფასოვნების კომპლექსმა ჩაიბუდა. უკვე გიამბეთ, ქორწინებამდე სამი წლით ადრე, ხრუშჩოვის ჩამოსვლის დროს, როგორ მაწამეს უშიშროების კომიტეტის საკანში. არა, ფიზიკურ წამებას არ ვგულისხმობ. ფიზიკურად არავის ვუწამებივარ. სულიერ წამებას ვგულისხმობ. არ ვიცი, რამდენად კარ-

გად გადმოგეცით იქ გატარებული დღეები. ერთი კი მჯერა, თქვენ, მწერალი კაცი, უკეთ წარმოიდგენთ, ვიდრე მე გიამბეთ და დაგიხატეთ.

ჩიბუხი. კონიაკი.

— სამი წელი! რა არის სამი წელი? არაფერი. განა სამი წელი კმარა, ბავშვობიდან ტვინის უჯრედებში, სულში და გულში ჩაბუდებულ-ჩაცემენტებული შიში ამოძირკვო და უკვალოდ ამოფხიკო?!

თქვენ წარმოიდგინეთ, ქორწინების შემდეგ, დიახ, იმ ორი ათეული დღის შემდეგ, წელან რომ მოგახსენებდით, კაბინეტში, მოჩუქურთმებულ ძველებურ მაგიდასთან, ასევე ძველებურ დათვისფეხებიან სავარძელში მოკალათებულმა ვიგრძენი და გავაანალიზე კიდეც, რომ ჩემი აღმაფრენის მიზეზი მარტო იღბლიანი ქორწინება არ ყოფილა, დიახ, დიახ, ძალიან გთხოვთ სწორად გამიგოთ. ნუ შემაწყვეტინებთ, ვიცი, თქვენ უკვე მიმიხვდით, რასაც ვგულისხმობ. მე, უბრალოდ, ნიუანსებით მინდა ჩემი სულიერი ცვალებადობის ნათელი სურათი დაგიხატოთ. უცებ ვიგრძენი, რომ შიშმა გამიარა. ერთბაშად აღმოვაჩინე, რომ რეპრესირებულ ოჯახში გაზრდილი კაცის კომპლექსი სადღაც გაქრა. დიახ, დიახ, სავსებით გეთანხმებით, სრულებით როგორ გაქრებოდა! მცირეოდენი შიში აგერ, დღეს, მთლად დანგრევის პირას რომ მივიდა იმპერია, მაინც მაქვს სხეულში გამჯდარი. მაგრამ განა დღევანდელი შიში შეიძლება შევადაროთ მაშინდელს?! დღევანდელი შიში სახსენებელი არ არის, იმ შიშთან, ჩემს არსებაში რომ იყო ჩაბუდებული. ჩემთვის გასაგები გახდა, რომ იმპერიის სათავეში მდგომმა კაცმა თავისი სისულელით, სიკეთით თუ სხვა იძულებითი პოლიტიკური მოსაზრებებით დემოკრატიას გზა გაუხსნა. შეიძლება იგი არც კი ელოდა, შეგუბებული წყალი კაშხალის განგრევის შემდეგ როგორ იხუვლებდა და ყველაფერს როგორ წალეკავდა. მივხვდი, პროცესის შეჩერება აღარ მოხდებოდა. მივხვდი, კაშხალთან გადმოვარდნილ წყალს უკან ვეღარავინ შეაბრუნებდა. რასაკვირველია, ყველაფერს მივხვდი, მაგრამ, დამერწმუნებით, ორგანიზმში ღრმად გამჯდარ და ჩაცემენტებულ შიშს მარტო თეორიული მსჯელობით, მარტო მოვლენების განვითარების ლოგიკით ვერ აღმოფხვრი. დიახ, დიახ, შიში, სიყვარული, სიძულვილი, გულუხვობა, სიხარბე და სხვა კიდევ მრავალი ადამიანური თვისება ისეთი რამ გახლავთ, ადამიანს რომ არ ემორჩილება. ისინი თითქოს დამოუკიდებლად არსებობენ ადამიანის ტვინსა და არსებაში. არა გჯერათ? გთხოვთ, მაპატიოთ! როგორ არა გჯერათ! ჩემი პათეტიკური თუ რიტორიკული შეკითხვა ნუ გეწყინებათ! გჯერათ კი არა და, ალბათ, ჩემზე ღრმად ხართ ჩახედული ადამიანის მბორგავ სულში. ვთქვათ, ნახეთ ძალიან ლამაზი ქალი, შეგიძლიათ იგი გონებით შეიყვაროთ? რასაკვირველია, არ შეგიძლიათ. სიყვარული თქვენ არ გემორჩილებათ. აი, დაინახავთ ქალიშვილს, არ იცით, ვინ არის, რას წარმოადგენს, უკვე გიყვართ, გრძნობით, უმისოდ სიცოცხლე არ შეგიძლიათ. ბუნებრივია, მეთანხმებით, მაგრამ შეგიძლიათ ამიხსნათ, როგორია ამ პროცესის, შეყვარების მექანიზმი? განა არ იცით, რომ ღამით ტყეში ან სასაფლაოზე მარტოდმარტო გავლისას არავითარი საფრთხე არ გელით? იცით, მშვენივრად იცით, მაგრამ იქ გავლისას მაინც გეშინიათ. რატომ გეშინიათ? თქვენ გეშინიათ? იქნებ იმ დამოუკიდებელ გრძნობას ეშინია, თქვენს არსებაში, თქვენს სხეულში რომ არის ჩაბუდებული?!

პაუზა. წამიერი, მაგრამ მაინც პაუზა.

— რა მინდოდა ამით მეთქვა? ფილოსოფიური თუ პოლიტიკური მსჯელობის შედეგი როდი გახლდათ, მე რომ რეპრესირებულ ოჯახში გაზრდილი კაცის კომპლექსი მომეხსნა. ამ მოვლე-

ნის მექანიზმი კი ვერა და ვერ ამიხსნია. იცით, ყველაფერი როგორ მოხდა? არ ვიცი, როგორი მაგალითი მოვიყვანო. აი, ვთქვათ, რაღაც გტკივათ, უცებ ტკივილმა გაგიარათ. გაგიარათ და აღარც კი გახსოვთ, გუშინ რომ, ვთქვათ, კბილი საშინლად გაწუხებდათ. დიახ, რაღაც ამის მაგვარი განცდა დამეუფლა. ალბათ დემოკრატიის გაძლიერებამ, სამსახურში წარმატებებმა, სიყვარულით ქორწინებამ, არ მრცხვენია, ვთქვა, ამ ქორწინებით მიღებულმა კეთილდღეობამ, ყველაფერმა ერთად, ეტყობა, გაანეიტრალა ჩემს სხეულში ჩაბუდებული ეჭვი და შიში. კი, ბატონო, გეთანხმებით, მთელი ჩვენი თაობა ისეთ პერიოდში დავიბადეთ და გავიზარდეთ, რომ ბოლომდე თავისუფალი პიროვნებანი ვერასდროს ვერ გავხდებით, მაგრამ განა შეიძლება ჩვენი დღევანდელი სულიერი ცხოვრება, აზროვნება, ჩვენი დღევანდელი აზროვნების თავისუფლების მასშტაბები შევადაროთ იმ წლების სულიერ ცხოვრებასა და აზროვნებას, მამა რომ შვილთან თავისუფლად ლაპარაკს ვერ ბედავდა და შვილი მამასთან?!

ერთი ყლუპი კონიაკი.

— ბათუმში ერთი კვირა დავყავით. მინდოდა დედაჩემისთვისაც შემეტყობინებინა დაქორწინების ამბავი და მეულლის ოჯახისთვისაც. ლონდამ არ დამანება, მშობლები წინასწარ რატომ ვამკითხაოთ და ვანერვიულოთ, ჩავალთ თბილისში და ფაქტის წინაშე ერთბაშად დავაყენოთო. მართალიც იყო, თბილისში ჩასვლამდე დედაჩემი ცალკე უნდა მომკვდარიყო ფიქრით, ჩემმა შვილმა ვინ მოიყვანაო და ლონდას მშობლები ცალკე. თქვენ წარმოიდგინეთ, მშობლებთან შეხვედრამ უმტკივნეულოდ ჩაიარა. დედაჩემს მოეწონა რძალი. ეტყობა, ჩემი დანახვით არც ლონდას მშობლებს გახეთქიათ გული. დედაჩემი მხოლოდ ერთმა რამემ გაანწყენა, დიახ, მიხვდით, არა? ბუნებრივია, მეულლე შინ უნდა შიმეყვანა. თავიდანვე ვერ ვიტანდი ჩასიძებულ ადამიანებს. თვით სიტყვა „სიძეც“ კი საშინლად მეჯავრებოდა. რაღაც დამამცირებელი ჟღერადობა აქვს და იმიტომ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება. ჩასიძებული კი ორჯერ დამამცირებლად ჟღერს. აკადემიკოსს რომ ორი შვილი ჰყოლოდა, ბუნებრივია, ლონდა ჩემთან წამოვიდოდა. ვერ შეელია ოჯახი ერთადერთ ქალიშვილს. ვიცი, რა კითხვაც დაგებადათ გულში, ისინი ცოლ-ქმარი მაინც იყვნენ ოჯახში, დედაშენი კი სულ მარტო დარჩაო. სწორი შეკითხვაა, სავსებით სწორი! ახ, არ დაგბადებიათ? გგონიათ, აკადემიკოსის დიდებულმა სახლმა მომხიბლა? არა, ბატონო, გულწრფელად გეტყვით, ლონდას ვერ გავუტეხე ხათრი. მას ძალიან უნდოდა მშობლებთან ცხოვრება. თუ გნებავთ, სისუსტეში ჩამითვალეთ, ცოლის სურვილს რომ წინ ვერ აღვუდექი. კეთილდღეობას კი, გულწრფელად გეტყვით, არ დავხარბებივარ.

ცოლი რომ სიყვარულით მოვიყვანე, ამის შეხსენება, მე მგონი, არ დამჭირდება. თანაც, როცა ლონდა გულში ჩამივარდა, საერთოდ არ ვიცოდი, ვინ იყო ან ვისი შვილი იყო. უბრალოდ, ლონდას ხათრი ვერ გავუტეხე. დედაჩემს, ბუნებრივია, გული ეტკინა. თქმით არაფერი უთქვამს: მაგრამ თქმა რად უნდოდა, ყველაფერი სახეზე ეწერა. პირველ წლებში თითქმის ყოველდღე მასთან ვსადილობდი, ვეფერებოდი, ჩემი აზრით, მარტოობას ვუადვილებდი, თუმცა კარგად ვიცოდი, დედაჩემისათვის ყველაზე მძიმედ გადასატანი ღამით მარტო დარჩენა იყო.

ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, მაინც ეგუება ბედს. რა მეტი გზა ჰქონდა, დედაჩემიც შეეგუა მარტოობას. დათოს დაბადებამ უჩვეულოდ გაახალისა და გამოაცოცხლა. ერთი კი ეწყინა, ძალიან ეწყინა, რომ ბიჭს მამაჩემის სახელი არ დავარქვით. გეთანხმებით,

უნდა დამერქმია. შეიძლება მტრებს და, ალბათ, მოყვრებსაც ირონიული ღიმილის საბაბი მივეცი, სიმამრს წითელი კვერცხი გაუგორაო. დიახ, შეიძლება ასე იფიქროს კაცმა. არავის წინაშე თავს არ ვიმართლებ. უბრალოდ ვიტყვი, იმ წლებში სულ სხვა პრობლემებით ვიყავი გართული. ამნაირი რიტუალები, მგონი, სწორად ვერ ვიხმარე ეს სიტყვა, ამნაირი ტრადიციული წესები ცოტა არ იყოს, სასაცილოდაც მეჩვენებოდა. ბავშვი რომ წამოიზარდა, „წამოიზარდა“ ხმამაღლა ჟღერს, ორი წლის რომ გახდა, ხშირად კვირაობით ვტოვებდით დედაჩემთან. ვერ წარმოიდგენთ, პატარა დათუნამ რა ბედნიერება მიანიჭა დედას. ქალი ლამის გაახალგაზრდავდა. ცუდად მაშინ ხდებოდა, ბავშვი რომ უკან მიგვყავდა. კიდევ კარგი, ლონდა არ ჯიუტობდა და დათუნა თითქმის დედაჩემთან იზრდებოდა.

ღმერთო, რამდენი რამ არ იცის ახალგაზრდა კაცმა! მიხაროდა, რომ დედას მარტოობის სევდას ვუმსუბუქებდი. ბავშვი სკოლის ასაკამდე თითქმის მთლიანად მასთან იზრდებოდა. სკოლაში რომ შევიყვანეთ, კარგა ხანს ვერ შევამჩნიე, სევდა და გულჩათხრობილობა. მე ბავშვს მხოლოდ დილით ვხედავდი. საღამოს, სამსახურიდან დაღლილი რომ მოვიდოდი, დათუნას ეძინა. შაბათობით კვლავ დედაჩემთან მიგვყავდა. ლონდა არაფერს მეუბნებოდა. იქნებ ვერც ატყობდა, რომ ბავშვი მეტისმეტად მეოცნებე და სევდიანი იზრდებოდა. იქნებ ყურადღებას ისიც გვიდუნებდა, შესანიშნავად რომ სწავლობდა. მერვე კლასამდე ისე მივიდა, ერთმანეთთან თითქმის არ გვქონია სერიოზული კონტაქტი. მარტო მოფერება, კოცნა, საღამოს რამდენიმე წინადადებიანი დიალოგი. არც კი მაგონდებოდა, რომ ბავშვის სულში უნდა ჩამეხედა. საღამოობით, შინ რომ დაღლილი ვბრუნდებოდი, შვილის თვალებში სევდა თითქმის არასდროს შემინიშნავს. ალბათ, დაღლილობის გამო, ალბათ დათოს სანიმუშო წესიერებისა და კარგი სწავლის გამო. დიახ, შეიძლება თამამად ვთქვა, რომ ბავშვმა თვითონაც შეუწყო ხელი ჩვენი ყურადღების მოდუნებას. და აი, ერთხელ, როცა დასასვენებლად ბათუმში ჩავედით, ვიგრძენი, რომ ჩემს შვილს საერთოდ არ ვიცნობდი. ერთხელ გადავწყვიტე, დათუნასთვის მეამბნა, დედამისი როგორ გავიცანი. სახე მოელუშა, თვალებში უსაზღვრო სევდა ჩაუდგა. აშკარად მაგრძნობინა, რომ არ სურდა ჩვენი სასიყვარულო ისტორიის მოსმენა. მესამე თუ მეოთხე დღეს შევამჩნიე, რომ იგი საერთოდ დუმდა, არაფერზე თავის მოსაზრებას არ გამოთქვამდა. პლაჟზე რომ გავიდოდით, ან ზღვაში ცურავდა, ან მზეს ეფიცხებოდა. ტოლებთან ნაცნობობასაც შეგნებულად გაურბოდა.

თავდაპირველად ვიფიქრე, კვიცი გვარზე ხტის-მეთქი. დუმილი და უსიტყვო ლაპარაკი ხომ ლონდას თანდაყოლილი თვისება იყო. ვიფიქრე, ბავშვის არსებაში დედის გენები სჭარბობს-მეთქი. უფრო გვიან მივხვდი, რომ ვცდებოდი. დროდადრო მეჩვენებოდა, რომ შვილს არ ვუყვარდი. იცით რა საშინელი განცდაა, როცა გრძნობ, რომ შვილს არ უყვარხარ?! ღმერთმანუ გამოგაცდევინოთ! ბუნებრივია, ყველა მამას უხარია, შვილი რომ მამით ამაყობს. ზოგს მამის თანამდებობა ეამაყება, ზოგს სახელი და დიდება, ზოგს ახალთახალი მანქანა, ზოგსაც მშობლების შესახედაობა. წამოგიყვანიათ, როდესმე პატარა შვილი სკოლიდან? წამოგიყვანიათ, არა? აბა, შენიშნავდით, კიდეც... თუმცა ბოდიშს ვიხდი, თქვენ, მწერალი თუ არ შენიშნავდით, სხვა ვინ შენიშნავდა და შეამჩნევდა, უმანქანო მშობლებიანი ბავშვები როგორი სევდიანი თვალებით აცილებენ კრიალა მანქანებში ჩამსხდარ თანაკლასელებს?! შეგიმჩნევიათ, არა? მე ყოველთვის მეცოდებოდა და

მეცოდებიან ის ბავშვებიცა და მათი მშობლებიც. ბავშვებს უკვე მიაჩნიათ, რომ მათი მშობლები გაცილებით დაბალი რანგისანი არიან. ვიდრე მანქანიანი ბავშვების მშობლები.

ერთხელ მეგობრებთან ერთად სანადიროდ ვიყავით. ბევრს ხომ არ ვლაპარაკობ? თემას ხომ არ დავცილდი? მრავალსიტყვაობა უნდა მაპატიოთ. რატომღაც მეჩვენება, რომ კარგად ვერ გაგებინებთ, რის თქმაც მინდა. დიახ, სანადიროდ ვიყავით, ჩვენს შორის ერთი ცნობილი მონადირე იყო— რეზო შუბითიძე. გაგიგონიათ? ახლოსაც იცნობთ? აგაშენებთ ღმერთი! მაშინ რეზოს ვაჟიშვილი ლაშაც გეცოდინებათ. შვილი თურმე სკოლაში, ნაცნობებსა და მეგობრებში ძალიან ამაყობდა, მამა რომ ცნობილი მონადირე ჰყავდა. მაშინ ლაშა მეშვიდე კლასწავლოსო. არც მაშინ წამოიყვანსანადიროდ. მანამდე შეგნებულად არ დაჰყავდა, ჯერ ბუნების, ფრინველებისა და ცხოველების სიყვარული ისწავლოსო. არც მაშინ წამოიყვანეო. და, ბავშვს რომ არ აეჩემებინა, გინდათუ არა, წამიყვანეო. ხოხობზე ვნადირობდით, აზერბაიჯანში. მთელი დღე უშედეგოდ დავიკაწრეთ ტყე-ღრეში სიარულით. ძაღლებმა ვერცერთი ხოხობი ვერ წამოაფრინეს. ვიღაცამ დაგვთარსაო, თქვა უცებ რეზომ და თოფი დაკეცა. ლაშამ სასტიკად მოიწყინა. ისიც კი შევნიშნე, თვალზე ცრემლი მოადგა. „რა იყო, დაიღალე?“ — ვკითხე მანქანაში ჩასხდომის წინ. ვერც კი მივხვდი, ბავშვი რატომ დასევდიანდა. მერე ყურადღება სხვა რამეზე გადავიტანეთ. თუ არ ვცდები, მაგნიტოფონი ჩავრთეთ. გზაზე ვრცელი ნამკალი გადავჭერით. რეზომ მანქანა გააჩერა. ერთი გადავიდეთ, მწყერზე მაინც გავინადიროთო. ნამკალში პირველი ძაღლები გადახტნენ. მანქანიდან ხეირიანად არც კი ვიყავით გადმოსული, რომ რეზოს ძაღლი მწყერის წინ გაქვავდა. შებინდებამდე რეზომ რამდენი მწყერიც წამოუფრინდა, იმდენი ჩამოაგდო. მე და ჩემი მეგობარი რეზოს სროლაში ვერ შეევედრებოდით. თუ ყოველ მეორეს ჩამოვაგდებდი, ჩემი სროლით კმაყოფილი ვიყავი ხოლმე. იმ დღეს საერთოდ არ გაგვიმართლა არც მე და არც ჩემს მეგობარს. ვერ წარმოიდგენთ, პატარა ლაშიკომ როგორ გაიხარა, აღფრთოვანებული ჭყლოპინებდა, ჩამოგდებული მწყერისაკენ ერთი ტკრციალით გარბოდა! მე მაშინღა მივხვდი, ბავშვის წელანდელი დაღონების მიზეზს. ვინ იცის, როგორი წარმოდგენა ჰქონდა თავის სახელგანთქმულ მონადირე მამაზე. ვინ იცის, როგორ ტრაბახობდა თანაკლასელებში თუ ეზოს მეგობრებში! და აი, ხოხობზე ნადირობისას დაიმსხვრა მისი წარმოდგენები. ბედად, გზად მწყერზე განადირებამ ბავშვის თვალში მამის იმიჯი ისევ გაამთელა, ახალი ძალით შთაბერა სული. ბავშვის ფსიქოლოგიური მექანიზმი ყველაზე ურთულეს ტექნიკურ მექანიზმზე უფრო რთულია. რთულია. თუნდაც იმიტომ, რომ ურთულეს ტექნიკურ მექანიზმს ემოციის ნასახი არ გააჩნია. აი, რა გვაიწყდება ხოლმე ყოველდღიური ცხოვრებითა და დაძაბული სამსახურით გადაღლილ მშობლებს. სწორ აზროვნებას მაშინ ვიწყებთ, უტყუარი დასკვნები მაშინ გამოგვაქვს, როცა ურემი კარგახნის გადაბრუნებულია ხოლმე.

პაუზა. ჩიბუხი.

— არ იფიქროთ, შვილს ვუჩიოდე. პირიქით, ჩემი ვაჟიშვილი უგანათლებულესი ახალგაზრდა გახლავთ და... ცოტა სხვაგვარად მოაზროვნეც, ალბათ მიხვდით, რასაც ვგულისხმობ. მე ვამაყობ ჩემი შვილით. ვიცი, ის არ არის ჩემნაირი ორდინალური პიროვნება, ვიცი, მისი სული სულ სხვა სიმაღლეებს ეპოტინება, მისი აზრი და ოცნება სხვა იდეალებს და სიმაღლეებს ეალერსება და ეჭიდება. ოღონდ ეგაა, ჩვენ ვერ

ვუგებთ ერთმანეთს. გვიან მივხვდი, რომ შვილის გაზრდა მარტო უსაზღვრო სიყვარული და მოფერება როდია. მე ვერ ჩავიხედე მის სულსა და გონებაში. როცა მოვინდომე, გვიან იყო. მისმა ჩემდამი დამოკიდებულებამ კომპლექსები გამიჩინა. მეჩვენებოდა, რომ არ მოვწონდი, მეჩვენებოდა, რომ ცხოვრებისადმი, საზოგადოებისადმი, კიდევ უფრო შორს წავალ, ხელისუფლებისადმი ჩემეულ დამოკიდებულებას ამრეზით უყურებდა. კარგად რომ ვიხსენებ და ვაანალიზებ, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე მეტისმეტად ხანმოკლე პერიოდები თუ მაგონდება, ნამდვილად ბედნიერად რომ ვგრძნობდი თავს. ცხოვრების ყოველ პერიოდში ახალი პრობლემა იჩენს ხოლმე თავს, ახალი თავსატეხი და საზრუნავი. რა უნდა იყოს მშობლისათვის უფრო დიდი სატანჯველი, თავს უცხო ადამიანივით გრძნობდეს ერთადერთ შვილთან. დიახ, დიახ, თან მეამაყება ჩემი განათლებული, ძლიერი, მებრძოლი შვილი, უკვე ჩამოყალიბებული და მტკიცე პიროვნება. მეორეს მხრივ, გულს მიკლავს მშობლების მიმართ მისი სიცივე. წელან მოგახსენეთ, კომპლექსები გამიჩინა-მეთქი. ვიცი, არ მოსწონს ჩემი განვლილი ცხოვრების გზა, შიშისა და კომპრომისების, უკან დახევისა და თავის შენარჩუნების არცთუ ვაუკაცური გზა. ისიც ვიცი, დღევანდელი თაობა, რომლის თავზეც ის საშინელი ქარბორბალა არ დატრიალებულა, ვერასდროს ვერ გაიგებს, მით უმეტეს, ვერ გაამართლებს ჩვენი ცხოვრების წესსა და ნორმას, ჩვენი აზროვნების მასშტაბსა და დიაპაზონს, მაგრამ ყოველივე ამის ცოდნა სულაც არ მიიოლებს ცხოვრებას, სულაც არ მაძლევს დამშვიდების უფლებას.

8

არჩილი სასადილოთ-ოთახში სავარძელში იჯდა და მეუღლის ჩამოსვლას ელოდა.

„ალბათ დღეს ჩამოვა, აუცილებლად დღეს ჩამოვა. შესანიშნავად იცოდა, მე რომ ხვალ უნდა გადმოვფრენილიყავი მოსკოვიდან“.

მესამეჯერ დაცალა საფერფლე. სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. ჩიბუხი აღარც კი გახსენებია, ანერვიულებს და აღგზნებულს მისი გაწყობის თავი აღარ ჰქონდა.

საშინელ გრძნობებს ჰყავდა შეპყრობილი. მეუღლისგან ჩაწიხლული, დამცირებული და გათელილი მიხვდა, ახლა მისი ჯერი დგებოდა და შურისძიების მოლოდინში თითქოს რაღაც საზეიმო გრძნობასაც კი ჰყავდა შეპყრობილი..

მაინც რას იტყვის, რომ ჩამოვა?!“

„რას იტყვის?“ — გაიმეორა ხმამაღლა, ფეხზე წამოდგა და ფანჯრისკენ გაემართა. მისვლა გადაიფიქრა, უცებ შემობრუნდა და საათს შეხედა.

ექვს აღარაფერი უკლდა.

„მაინც სად უნდა წასულიყო? ბათუმში? იქნებ გაგრაში? არა, საქართველოში ვერსად გაბედავდა წასვლას. ალბათ სოჭში ან სადმე მის მახლობლად, ხოსტაში ან მაცესტაში. იქნებ სულაც ბაქოში ან ერევანში?!“

მწარედ გაეღიმა. უკან გამობრუნდა და კვლავ სავარძელს მიაშურა.

„მაინც რა ნელა გადის დრო. ახლა ექვსია. არ შეიძლება რვა-ცხრა საათამდე არ გამოჩნდეს“.

სავარძელთან შეჩერდა, ჩაჯდომა გადაიფიქრა, სიგარეტის ნამწვი საფერფლეზე დააგდო და ახალს მოუკიდა, ნიკოტინით გაჯერებული ნაფაზს თითქმის არ ურტყამდა. სიგარეტს მხოლოდ ქაჩავდა და ბოლს უმალვე ვიწრო ნაკადად უშვებდა. მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, სწრაფი ნაბიჯებით საწოლ ოთახში გავიდა და მეუღლის

საწოლის პირდაპირ გარდაცვლილი სიმამრის სურათს შეხედა. გადიდებული სურათიდან მომღიმარი დავითი იცქირებოდა, აკადემიკოსი დავით ნაკაშიძე.

კიდევ ერთხელ იგრძნო შურისძიების დამატკბობელი გრძნობა. უკან გამობრუნდა, ერთხანს ოთახებში იწრიალა, აკადემიკოსის საწოლ ოთახშიც შეიხედა და საბოლოოდ მაინც სასადილო ოთახში გავიდა.

„ნეტავ როგორ ჩაიარა სიმპოზიუმმა? მოეწონათ ჩემი რეფერატი? ვინ იცის, იქნებ არც არავის წაუკითხავს! — გაიფიქრა სინანულით და თვალები დახუჭა. — ამ დონის სიმპოზიუმებზე ვინ იცის, კიდევ როდის მიმიწვევენ“.

არჩილმა თვალები დახუჭა და ფიქრით მოსკოვში გადაინაცვლა.

9

ლიფტიდან გამოვიდა თუ არა, ერთბაშად საშინელი შიმშილი იგრძნო. გაუკვირდა. ეტყობა, მანამ ისე იყო ფიქრსა და საქმეში ჩაფლული, სადილობა არც გახსენებია. ახლა კი, სასტუმროში დაბრუნებულს, კუჭმა ერთბაშად და ენერგიულად შეახსენა თავი.

მორიგის მაგიდასთან მაინც დინჯი ნაბიჯებით მივიდა. არ უყვარდა, ვინმე ფაციფუცს რომ შენიშნავდა. მოსკოვში განსაკუთრებით ცდილობდა, ქალაქის სიგიჟემდე მისულ რიტმს არ აჰყოლოდა და ჩვეული სიდინჯე შეენარჩუნებინა.

— ცხრაასმეშვიდე, — მოკლედ მიმართა მორიგე ქალს.

ორმოციოდე წლის სიმპათიური სათვალიანი მორიგე რაღაც დავთარს ჩასჩერებოდა. მცირეოდენი პაუზის შემდეგ მან დავთარი დახურა და გასაღები მოძებნა.

— თქვენს სახელზე დეპეშაა.

— დეპეშა? — გაოცდა არჩილი გაოცდა და თან შეშინდა, ქალის თვალებში თითქოს წუხილი და თანაგრძნობა ამოიკითხა.

— დიახ, დეპეშა. ინებეთ.

არჩილმა ცნობისმოყვარეობა დაიოკა და დეპეშა მანამ არ წაიკითხა, სანამ ნომერში არ შევიდა.

„გარდაიცვალა დავით ნაკაშიძე...“

არჩილი სავარძელში ჩაჯდა. დანარჩენი ტექსტი აღარც წაუკითხავს.

„დღესვე უნდა გადავფრინდე!“

ფეხზე წამოიჭრა, დეპეშა მაგიდაზე მიაგდო, სააბაზანოში შევიდა, ხელპირი დაიბანა და უკან გამობრუნებულმა კვლავ მაგიდაზე მიგდებულ დეპეშას დახედა.

„გარდაიცვალა დავით ნაკაშიძე, ვასაფლავებთ კვირას, ოცდასამ ივლისს. ნოდარ ჩალაძე“.

„ოცდაოთხ ივლისს, დღეს ცხრამეტია, სულერთია, მაინც დღესვე უნდა გადავფრინდე, თუნდაც უკანასკნელი რეისით. ხვალ დილით, პირველი რეისითაც რომ წავიდე, მთელი დღე დამეკარგება“.

საათს დახედა, ორი სრულდებოდა, შიმშილი სულ გადაავიწყდა.

„ახლავე სამინისტროში უნდა გავიქცე. დეპეშას რომ ვაჩვენებ, სიმპოზიუმიდან გამანთავისუფლებენ. რეფერატს სამდივნოს ჩავაბარებ, იქიდან პირდაპირ აეროპორტში გავვარდები“.

გული კი ძალიან სწყდებოდა. სამინისტროში ორი დღის მანძილზე რა გამოსვლებიც მოისმინა, მიხვდა, მისი ანგარიში არავისზე ნაკლები არ იქნებოდა.

კარადიდან სპორტული ჩანთა გამოიღო, შიგ ყველაფერი დაუდევრად ჩაყარა და ნომერი ჩააბარა.

მორიგემ დანარჩენი ექვსი დღის ფულის ქვითარიც მისცა და ლიფტისკენ მიმავალ სიმპათიურ მობინადრეს თვალი თანაგრძნობით გააყოლა. დიდი მიხვედრა არ უნდოდა, დეპეშა წაკითხული ჰქონდა. არჩილის აფორიაქე-

ბული სახე რომ დაინახა, დაასკვნა, ეტყობა, ძალზე ახლობელი ადამიანი გარდაცვალაო.

საღამოს ათი საათი იყო, თბილისში რომ ჩაფრინდა. ნოდარ ჩალაძე და შოფერი აეროპორტის გასასვლელშივე შეეგებნენ. ჯერ ნოდარმა მოუსამძიმრა არჩილს, შემდეგ შოფერმა.

— აბა, დროს ნუ დავკარგავთ! — საქმიანად თქვა არჩილმა, —სად არის მანქანა?

შოფერმა ჩანთა ჩამოართვა და ყველანი მანქანისაკენ გაემართნენ.

არჩილი ფიქრმა გაიტაცა. დუმილს არც ნოდარი და შოფერი არღვევდნენ.

— ლონდა იქ არის, არა? — ჰკითხა კარგა ხნის შემდეგ შოფერს.

— დიახ. იგი ხომ თქვენი გამომგზავრების მეორე დღესვე გაემგზავრა სოფელში.

— როდის გარდაიცვალა?

— გუშინ, შუაღამისას. სამსახურში ამ დილით დაგვირეკეს, ცხრა საათზე. — მიუგო ნოდარმა.

— აკადემიაში იციან რამე?

— როგორ არა. მე თვითონ ვიყავი. ნეკროლოგი უკვე დაწერეს. თუმცა რედაქტორი უთქვენოდ არ გაუშვებს. კარგი სურათიც ვერ იშოვეს.

— სურათს შინ მოვძებნი.

მანქანაში კვლავ დუმილმა დაისადგურა.

ავლაბარში საცობში მოყვნენ.

— ესღა გვაკლდა! — ჩაილაპარაკა გაცოფებულმა არჩილმა და ყელში წაჭერილი ჰალსტუხი ჩაიხსნა. — რა ამბავია თბილისში? — იკითხა მაინც.

— არაფერი, ბატონო არჩილ! დღეს მესამე დღეა, რაც წახვედით. სამ დღეში რა უნდა მომხდარიყო?

„მართლაც და სამი დღის მანძილზე რა უნდა მომხდარიყო? — გაიფიქრა არჩილმა, — თუმცა მეტი რა უნდა მომხდარიყო, აკადემიკოსი დავით ნაკაშიძე გარდაიცვალა. სამი დღისათვის არ კმარა?!“

მწარედ გაეღიმა და უკან შეშობრუნდა. ნოდარ ჩალაძემ ღიმილით შეხედნა და დაიბნა, გასაღიმებელი არაფერი უთქვამს და ვერ მიხვდა, არჩილ გორდელს ტუჩებზე ღიმილი რატომ გამოესახა. უნებურად ირგვლივ მიმოიხედა. საცობში მოყოლილი მანქანები კვლავ უძრავად იდგნენ და მათი სალონებიდან მხოლოდ გატანჯული ნერვებაშლილი ადამიანების სახეები მოჩანდა.

„მაინც რატომ გაეღიმა?“ — გაიფიქრა დაბნეულმა ჩალაძემ და უცებ, სულ რომ არ ფიქრობდა, არჩილს ხმამაღლა ჰკითხა:

— ბატონ დავითს თბილისში როდის გადმოასვენებთ?

— თბილისში? რატომ? — გაიკვირვა არჩილმა.

— მას ალბათ უნივერსიტეტის ეზოში დაასაფლავებენ.

— ეგ გამორიცხულია. იმიტომ კი არა, რომ არ ერგება. თავიდანვე ჰქონდა აჩემებული, სოფელში მშობლების გვერდით დამასაფლავეთო. ამ სამი წლის წინ, რა, არ გახსოვს, მეუღლე სოფელში რომ წაგვასვენებინა?!

მანქანების კოლონა ნელ-ნელა დაიძრა. იქაურობა გამონაბოლქვ გაზებში გაეხვია.

— ფანჯრები დავხუროთ! — თქვა არჩილმა და თავისი ფანჯრის სახელური დააატრიალა.

მანქანა კიდევ უფრო ჩაიხუთა. სამთავეს შუბლები ოფლით დაენამა.

როგორც იქნა, ბარათაშვილის ხიდი გადაჭრეს და სანაპიროზე გავიდნენ. საბწრაფოდ ოთხივე ფანჯრის მინა დაბლა ჩააცურეს და შვებით ამოისუნთქეს.

●

საღამო იყო, სოფელს რომ მიაღწიეს. არჩილმა თან მხოლოდ ნოდარ ჩალაძე წაიყვანა. დანარჩენ თანამშრომლებს კი უთხრა, მეტი არავინ მჭირ-

ღება, სოფელში ყველაფერს გააკეთებენო. თუ სურვილი გექნებათ, დაკრძალვის დღეს ჩამობრძანდით, თუ არა და არც ესაა საჭირო, დეპეშით დაკმაყოფილდითო.

თავმდაბალ კაცს თამაშობდა ბატონი არჩილი. კარგად იცოდა, უკლებლივ ყველანი რომ ჩაბრძანდებოდნენ დაკრძალვაზე. თანამშრომლების ჩამოსვლა არ ეეჭვებოდა. გუნებაში იმ ცნობილი ადამიანების სახელებს და გვარებს იხსენებდა და თვლიდა, ვისი ჩამოსვლის იმედიც უნდა ჰქონოდა. მათ შორის ორი მინისტრი და ათამდე პროფესორი მაინც იყო. მინისტრის მოადგილეებს არც ანგარიშობდა. იცოდა, სოფელში „მინისტრი“ ათჯერ უფრო შთამბეჭდავად ჟღერდა, ვიდრე მინისტრის თუნდაც პირველი მოადგილე.

ტირილი შორიდანვე შემოესმათ. არჩილს გული შეეკუმშა. აქამდე არც კი დაფიქრებულა, ეწყინა თუ არა სიმამრის სიკვდილი. უბრალოდ, საქმეებში ჩაფულულმა აკადემიკოსზე ფიქრისათვის ვეღარ მოიცალა.

სტყუოდა არჩილ გორდელი. თვითმფრინავში საკმაო დრო ჰქონდა, სიმამრის გარდაცვალებაზე ეფიქრა. იფიქრა კიდეც. ბუნებრივია, გული დასწყდა, უფრო მეტიც, ეტკინა კიდეც. დავით ნაკაშიძე გულკეთილი და მოყვარული სიმამრი გახლდათ. თანაც საკმაოდ მოულოდნელი იყო მისი სიკვდილი. ცოტას კი ავადმყოფობდა, მაგრამ სასიკვდილო არაფერი სჭირდა. ახლაღა გაახსენდა და შერცხვა, პირველად რომ გაიფიქრა, ბოლოს და ბოლოს, აკადემიკოსის დიდებული კაბინეტი ახლა მარტო მე მეკუთვნისო. მართალია, იქ არჩილსაც ედგა თავისი მაგიდა და თაროების საკმაო ნაწილიც მისი წიგნებით იყო სავსე, მაგრამ კაბინეტს მაინც აკადემიკოს დავით ნაკაშიძის კაბინეტი ერქვა. სახელი რა მოსატანია, უბრალოდ, როცა დავითი იქ მუშაობდა, თავის მომცრო მაგიდასთან მიმჯდარი სამუშაოს გულს ვერ უდებდა, რაღაც უცნაური გრძნობა იპყრობდა. მაინც რანაირი იყო ეს უცნაური გრძნობა? არჩილს ძალიანაც რომ მოენდომებინა, ვერ აღწერდა, ვერ გაგაგებინებდათ, რანაირი იყო ეს გრძნობა. მაგიდასთან სამუშაოდ მიმჯდარს თავში რომ აზრები მოსდიოდა, უხერხულობისგან იწმაწნებოდა, ასე ეგონა, აკადემიკოსი ხედავდა, სიძის თავში რა აზრებიც იბადებოდა. ხანდახან ისეთი განცდაც კი ეუფლებოდა, თითქოს რაღაც დანაშაულზე წაასწრესო.

დიახ, პირველი, რაც გაიფიქრა, ის იყო, რომ კაბინეტი მთლიანად მას დარჩებოდა. კაბინეტიც და სახლიც. სიგარეტსა თუ ჩიბუხს სადაც უნდოდა და როგორც უნდოდა, ისე მოსწევდა, სტუმრებსაც როცა უნდოდა, მაშინ დაპატიჟებდა. აქამდე, აკადემიკოსის ხათრით ლამის საგარეო ტანსაცმელში გამოპრანჭული რომ დადიოდა, შინ შილიფად ივლიდა. დავითი გულღია და მოყვარული კაცი გახლდათ. სიძეს დიდად აფასებდა და უყვარდა. ძალზე კორექტულიც იყო მოხუცი აკადემიკოსი, ისეთს არაფერს იტყოდა, სიძეს რომ თავი უხერხულად ეგრძნო. არჩილი მაინც შებორკილი კაცის ცხოვრებით ცხოვრობდა. თვითონ აკადემიკოსის წესიერება და შინაგანი კულტურა მასზე დამთრგუნველად მოქმედებდა. ვერასდროს ვერ გაბედავდა, თუნდაც კვირა დღეს, სიმამრთან ერთად მაგიდას წვერგაუპარსავი მისჯდომოდა.

ჭირისუფლებმა და დავითის თანასოფლელებმა შორიდანვე იცნეს არჩილის შავი „ვოლგა“. ჭიშკართან დავითის ძმისშვილი შემოეგება, გიორგი ნაკაშიძე.

— ლონდა არ ჩამოიყვანე? — ურთიერთმისამძიმრების შემდეგ იკითხა გიორგი ნაკაშიძემ და თან მანქანის სალონში შეიხედა, ხომ არ ვცდებიო.

— ლონდა?!

— ჰო, ლონდა!

არჩილმა უცებ მთელ სხეულში საშინელი ტკივილი იგრძნო. თითქოს სხეულიდან ამოძვრა და შორიდან დაინახა, თავში დინამიტი როგორ აუფეთქდა. ტვინმა შადრევანივით ამოასხა და ირგვლივ რძისფერ შხეფებად მიმოიფანტა.

გონს მაშინ მოეგო, შვილმა რომ ეზო სირბილით გადმოჭრა და გახარებული რომ შეახტა. მამამ პატარა დათო აიტაცა, გულში ჩაიკრა, რამდენჯერმე აკოცა და ძირს დაუშვა.

— ლონდა მოსკოვში დავტოვე! — გასცა ნაგვიანევი პასუხი ცოლის ბიძაშვილს, — ავად არის, საავადმყოფოში დავაწვინე. არ ვიცი, სწორად მოვიქეცი თუ არა, მამის სიკვდილი რომ არ გავუმხილე.

— სერიოზული სჭირს რამე? — შეწუხდა გიორგი ნაკაშიძე.

— როგორ გითხრათ, თირკმელში უზარმაზარი კენჭი აღმოაჩნდა, სასტიკი შეტევები აქვს, შეიძლება უოპერაციოდ ვერ გადარჩეს. დღესდღეობით კი მისი დაძვრა არ შეიძლება.

— აბა, სწორად მოქცეულხარ! — თქვა ვიღაცამ.

არჩილმა მიმოიხედა. ახლაღა შეამჩნია, რომ ცოლის ნათესავების ალყაში იდგა.

— ბოდიშს გიხდით, ისე დავიბენი, ველარც მოგესალმეთ...

●

გასვენების დღეს იქაურობა მანქანებით და ხალხით გაიჭედა, თბილისიდანაც არჩილის უამრავი კოლეგა და მეგობარი ჩამოვიდა. სხვა დროს არჩილ გორდელი ყოველი მათგანის სახეს გონებაში ჩაიბეჭდავდა. ახლა კი მადლიერების გამოსახატავად ძალა არ ჰყოფნიდა. კუბოსთან მდგომი სამძიმარს რომ იღებდა, ყველაფერს მექანიკურად აკეთებდა, გამოლაპარაკებისას პასუხებსაც მექანიკურად იძლეოდა. მხოლოდ დროდადრო თუ მოეგებოდა გონს, თბილისიდან ჩამოსული მაღალი თანამდებობის პირი რომ მიუსამძიმრებდა. განსაკუთრებით ლონდას მეგობრების ჩამოსვლამ გააღიზიანა. იცოდა, რაოდენ დიდი იქნებოდა მათი გაოცება, მამის გასვენებაზე ლონდა რომ ვერ იხილეს. თუმცა ვინ იცის, იქნებ ჩამოსვლისთანავე გაიგეს კიდეც ლონდას ავადმყოფობის ამბავი, თვითონ რომ გაავრცელა შინაურებში.

არჩილს ეჭვი არ ეპარებოდა, ლონდას ავადმყოფობის ამბავი რომ ყველამ დაიჯერა, ყველამ, ლონდას მეგობრების გარდა. მათ ალბათ დიდი ხანია იცოდნენ ლონდას სასიყვარულო ისტორიები, ალბათ იმასაც მიხვდნენ, სად იქნებოდა და ვისთანაც იქნებოდა.

„მაინც ვისთან?!"

„ვისთან, ან სად?"

— რამდენი ხანია, რაც მღალატობს?"

„ვინ იცის, იქნებ შეუღლების დღიდანვე?"

„იქნებ იმიტომაც იყო ჩემს მიმართ ცივი?"

შავი ფიქრები წურბლებივით ირეოდნენ, მერე სხეულზე ეწებებოდნენ, კბენდნენ და სისხლს დაუნდობლად სწოვდნენ.

„რა ვქნა? როგორ მოვიქცე? იქნებ სჯობდეს, ახლავე მივატოვო აქაურობა?",

„იქნებ!"

უცებ გულში თითქოს იმედის ნაპერწკალი გაუღვივდა. იქნებ სადმე მეგობართან არის წასული და მე ტყუილად ვნერვიულობ?!"

„ღმერთო ჩემო, რა გულუბრყვილო ვარ!"

„არა, ახლა არაფერი უნდა შევიმჩნიო, ქვეყნის სასაცილო არ უნდა გავხდე. ჩემს პატარა დათოს გული არ უნდა მოვუკლა".

არჩილი ცდილობდა, სისხლით დაბერილი წურბლები როგორმე სხეულიდან მოეგლიჯა. იგლეჯდა კიდეც. უმ-

ალვე ახალი, მშიერი წურბელის კბენას გრძნობდა, მის დაღლილ სისხლს რომ ეწაფებოდნენ.

„არა, ბედის გამოცდას როგორმე უნდა გავუძლო, ავადმყოფი ცოლის პატრონის როლი ბოლომდე უნდა ვითამაშო. მაგრამ თბილისიდან ჩამოსულ ლონდას ნაცნობ-მეგობრებს რაღა ვუთხრა?! განა ყველამ არ იცოდა, მე რომ მოსკოვში წავედი, იგი სოფელში გაემგზავრა შვილთან და მამასთან?! თუმცა გამოსავალი აქაც არსებობს. ვიტყვი, ჩემი გამგზავრების წინ თირკმელში კენჭმა გაუარა, მამასთან წასვლა გადაიფიქრა და მოსკოვში წამომყვა-მეთქი. გამოსავალი, რასაკვირველია, არსებობს... მაგრამ ვის ვატყუებ, ვის? მთავარია, არაფერი შემეტყოს, მთავარია, თბილისს საჭორაო არ გავუჩინო. სახლიდან წასვლას ყოველთვის მოვასწრებ. წავალ მშვიდად, წყნარად. კაციშვილი ჩვენი განშორების ნამდვილ მიზეზს ვერ გაიგებს. უბრალოდ, ხასიათებით ვერ შევეწყვეთ-მეთქი, ვიტყვი ხალხში. მორჩა და გათავდა! განა ცოტა ოჯახი დანგრეულა ხასიათების შეუწყობლობის გამო?! კოდექსი, თუ არ ვცდები, ხვრინვასაც კი ითვალისწინებს და განქორწინების სამართლიან საბუთად მიიჩნევს. დიახ, წავალ მშვიდად, ყოველგვარი სკანდალის გარეშე. ბავშვიც არ დაიჩაგრება. რატომ უნდა იცოდეს დათომ, დედამისმა რაც ჩაიდინა?! დედის საქციელმა ხომ შეიძლება სამუდამო და მძიმე ტრავმა მიაყენოს მის სულსა და გონებას?“

„დათო არ უნდა დაიჩაგროს!“

„დათომ არაფერი არ უნდა გაიგოს!?

„დათოს დედა უნდა შევუნარჩუნო!“

„უფლება არა მაქვს, ბავშვს დედა შევაზიზღო და დავუკარგო“.

არჩილ გორდელი ოდნავ დაწყნარდა. მიხვდა, რაღაც დასაყრდენი მონახა. უფრო სწორად, უზარმაზარ ქვევრში ჩავარდნილი გორდელი ზემოდან ჩამოშვებული თოკის ბოლოს მისწვდა. მისწვდა და ჩაებღაუჭა. მშვენიერად იცოდა, თოკი ბევრს არაფერს — ნიშნავდა, იმედიც არ ჰქონდა, რომ ღონე ეყოფოდა, თოკზე ჯამბაზივით ამოცოცებულიყო, მაგრამ ცოტაოდენი იმედი ხომ მაინც გამოჩნდა! ვინ იცის, შემდგომ დღეებში ხომ შეიძლება, იმედი კიდევ უფრო გაიზარდოს?!“

სულიერად განადგურებული სამძიმარს ისე იღებდა, ადამიანებს ველარც კი ხედავდა. მის წინ თითქოს მხოლოდ უსახური, უფორმო მასა მოძრაობდა. ქალების მოთქმა და კივილი სადღაც შორიდან, ძალიან შორიდან ჩაესმოდა.

„არის კი დათო ჩემი შვილი?!“

დინამიტი ისევ აფეთქდა არჩილის თავში.

„დავით!“ — იყვირა განწირული ხმით და ხელები თავზე წაივლო, თითქოს უნდოდა, ტვინისთვის ამოფრქვევის საშუალება არ მიეცა.

„დავით!“ — იყვირა კიდევ და იქვე ჩაიკეცა.

შემდგომ აღარაფერი ახსოვს. გონს რომ მოვიდა, მეორე ოთახში ჰყავდათ გაყვანილი. თავზე ორი მოხუცი ქალი, ორიც ახალგაზრდა და გიორგი ნაკაშიძე ადგნენ. იქვე, პატარა დათო იდგა და ტიროდა.

თვალი რომ გაახილა, თავდაპირველად ვერავინ დაინახა. მერე თითქოს რძისფერ სქელ ნისლში ნელ-ნელა გამოიკვეთა ადამიანთა კონტურები. თვალებს უაზროდ აცეცებდა, ვერ გამორკვეულიყო, სად იყო, რა მოხდა. უცებ შვილის ტირილის ხმა ჩაესმა. ნისლი ერთბაშად გაქრა, სადღაც გადაიკარგა და ნათლად დაინახა მისკენ დახრილი შეწუხებული სახეები. უმალვე გამოერკვა, ფეხზე წამოიჭრა და შვილს მივარდა.

— ასე სწრაფად არ გინდა, დედა! — შეწუხდა ერთი მოხუცი ქალი.

არჩილმა შვილს მხრებში ხელი ჩაავლო და სახეზე დააშტერდა. სირცხ-

ვილმა გახურებული თონესავით დასწვა სახე, პატარა დათო, დედის მომწვანო მოლურჯო თვალების გამოკლებით, მამის ასლი იყო. არჩილი მუხლებზე ჩაცუცქდა, ბავშვს ხელები მოხვია, გულში ჩაიკრა და თვალები დახუჭა.

ვერავინ გარკვეულიყო, რა ხდებოდა, ყველანი იდგნენ და მამა-შვილს გაოცებულები შესცქეროდნენ.

დათო დაწყნარდა, აღარ ტიროდა, ოღონდ დროდადრო სლოკინებდა. არჩილს კარგად ესმოდა შვილის გულისცემა. გრძნობდა, ამ წუთში შვილი ჩვეულებრივზე ასჯერ უფრო უყვარდა. პატარა დავითი ახლა მისთვის მარტო სისხლი და ხორცი როდი იყო, ცოლისაგან გათელილი, შეურაცხყოფილი მამა დედისაგან გათელილ, შეურაცხყოფილ შვილს უბედურების თანამოზიარედ მიიჩნევდა.

არჩილმა თვალი გაახილა, ბავშვი ხელის არტახებისაგან გაანთავისუფლა და სკამზე ჩამოჯდა. პატარა დავითი მამასთან მივიდა, კისერზე ხელი შემოხვია და თავი მკერდზე დაადო.

— ხომ კარგად ხარ, დედა? — ჩაეკითხა არჩილს მოხუცი ქალი.

— ნუ გეშინიათ, კარგად ვარ! — თქვა არჩილმა ყველას მისამართით და შვილს შუბლზე აკოცა.

●

თბილისში დაბრუნებულს მთელი გზა ხმა არ ამოუღია. სიმამრის დაკრძალვისა და ქელეხის შემდეგ ნოდარ ჩალაძეც აღარ დაიტოვა, ჩამოსულებს გაჰყევი, ხვალ სამსახურში საქმეებს მიხედე, მე მარტო შოფერიც მეყოფაო.

●

სახლის კარი რომ შეაღო, კვლავ სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. ჩანთა იქვე, ჰოლში მიაგდო და სასადილო ოთახს მიაშურა. ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და საკარმიდამოში ჩაეშვა. ორი საათის მანძილზე თვალდახუჭული იჯდა და ცდილობდა, ფიქრები ახლოს არ გაეკარებინა, კაცს რომ შორიდან შეეხედა, ჩაძინებული ეგონებოდა.

უცებ არჩილმა თვალები გაახილა და ფეხზე ენერგიულად წამოიჭრა. ტანთ გაიხადა, სპორტული პიჟამო ჩაიცვა და კაბინეტში შევიდა, პირველად სიმამრის საწერ მაგიდას დაეჭიდა, ჰოლში გამავალი კარის ორივე ფრთა გახსნა და გარეთ ვააჩოჩა. შემდეგ აკადემიკოსის საწოლი ოთახის კარიც გააღო, მაგიდა იქ შეათრია, თვალით შესაფერისი ადგილი მონახა, მუხის მძიმე მაგიდა მოხერხებულად დადგა და შუბლზე ოფლი ჩამოიწმინდა. შემდეგ კვლავ კაბინეტში შევარდა და სიმამრის ნივთები, წიგნები და საქაღალდეები საწოლ ოთახში გაიტანა, ზოგი საწოლზე დაყარა, ზოგიც მაგიდაზე და სკამებზე. სულ ბოლოს აკადემიკოსის მოხერხებული, რბილი საჯდომი სკამიც საწოლ ოთახში შეიტანა და მაგიდასთან დადგა. შემდეგ კვლავ კაბინეტში დაბრუნდა. და იქაურობა ყურადღებით მოათვალიერა, სიმამრის საძინებელ ოთახში გასატანი ხომ არაფერი დამრჩაო. მოშიშვლებული ადგილი, სადაც წელან აკადემიკოსის მაგიდა იდგა, თვალში უსიამოდ მოხვდა. გამონთავისუფლებულმა ადგილმა თითქოს დაარღვია ოთახის პროპორცია და ცალ მხარეს უშნოდ გაფართოვდა.

მოულოდნელად გადაწყვიტა, თავისი მაგიდა, აქამდე მოუხერხებლად რომ იყო თაროებიან კედელთან მიდგმული, სიმამრის მაგიდის ადგილზე დაედგა. უმალვე გადაიფიქრა, მაგიდის გადადგმას მერეც მოვასწრებო. სიგარეტის მოწევა მოუნდა. ჯიბეში ხელი ჩაიყო და კოლოფი ამოიღო. კოლოფი ცარიელი აღმოჩნდა. სასადილო ოთახში გავიდა და ახალი კოლოფი გახსნა, სიგარეტს მოუკიდა და ხარბად მოქაჩა. მა-

გიდის გადადგმას მერეც მოვასწრებო,— გაახსენდა წელან გაფიქრებული ფრაზა და მწარედ გაიღიმა.

მიხვდა, გონებაში დაბადებული წელანდელი ფრაზა უკვე ბედთან შერიგებას ნიშნავდა.

მხოლოდ წელანდელი ფრაზა?! განა მანამდე კი გადაწყვიტა, მეუღლეც და მისი სახლიც სამუდამოდ მიეტოვებინა? განა არ შეეძლო საცხოვრებლად დღეიდანვე დედასთან, საკუთარ სახლში გადასულიყო?!

გული შეეკუმშა. საკუთარი თავი შეზიზღდა. შეეცადა ფიქრი სხვა თემაზე გადაეტანა. არ გამოუვიდა. დიდი ხნის გამოცდილებით იცოდა, ამ დროს ყველაფერს სჯობდა, რაიმე გამოსავალი ეპოვა, თუნდაც დროებითი, გადამჭრელი ნაბიჯის გადადგმას რამდენიმე დღით მაინც რომ გადასწევდა.

„დღეიდან ჩვენ ერთად ვეღარ დავიძინებთ!“ — უცაბედად მიიღო გადაწყვეტილება და ერთგვარი კმაყოფილების გრძნობაც დაეუფლა. მიხვდა, გადამწყვეტ ნაბიჯამდე ბევრი რჩებოდა, მაგრამ რაღაც საპროტესტო ნაბიჯი მაინც გადადგა.

კაბინეტში დივანი გაშალა, საწოლი ოთახიდან ახალი ზეწრები და ბალიში გამოიტანა.

„ამიერიდან აქ დავიძინებ, უფრო სწორად, ლონდას მიტოვებამდე აქ ვიქნები. ახლავე რომ წავიდე, ხალხს სალაპარაკოს გავუჩენ. ყველა მიხვდება, რომ ლონდა მამის გასვენებაზე ავადმყოფობის გამო კი არა, სულ სხვა მიზეზით არ ყოფილა“..

„სხვა მიზეზით...“

ერთი თვის შემდეგ, იქნებ ორი ან სულაც სამი თვის შემდეგ სჯობია, აქაურობა რომ მივატოვო. სამი თვის განმავლობაში ბევრჯერ გვნახავენ ერთად პრემიერებზე, ბევრიც დაგვპატიჟებს. შემდეგ კი... ყველაფერი უსკანდალოდ ჩაივლის. მე დედასთან გადავალ...“

„სხვა მიზეზით...“

უცებ გაახსენდა, დედასთან რომ არ დაურეკია. წასვლის წინ დედამ სთხოვა, იქნებ მეც წამოვიდეო. შენი წამოსვლა არ ღირს, სჯობია ლეპეშა გამოგზავნოო, — ურჩია დედას არჩილმა. ქალი გაჯიუტდა, ჩემი წამოუსვლელობა არ ივარგებსო. არჩილს არა და არ უნდოდა დედის წაყვანა. ერჩია, თავისუფლად ყოფილიყო, მით უმეტეს, იქიდან მეუღლე უნდა წამოეყვანა. ქეთევანს წნევამ აუწია და იძულებული გახდა, თვითონვე ეთქვა უარი წასვლაზე. რომ ჩამოხვალ, იმავე წუთში დამირეკეო, შეეხვეწა დედა. ერთი კი გაიფიქრა, დედაჩემს დავურეკავო, მაგრამ უმალვე გადათქვა. ლაპარაკის თავი არ ჰქონდა, დედა კი აიძულებდა, ყველაფერი დაწვრილებით მოეყოლა. მერე ალბათ იმასაც სთხოვდა, ლონდას დამალაპარაკეო. ლონდას და ქეთევანს დიდი მეგობრობა და სიყვარული არ აკავშირებდათ. თავდაპირველად რძალი ძალიან მოეწონა. მერე კი თანდათან მიხვდა, რომ გულცივ და თითქმის მიუკარებელ ლონდასთან თბილი ურთიერთობა არასდროს არ ექნებოდა. შვილის გადაწყვეტილებამაც გული მოუკლა, ახლაც ყურში უდგას შვილის სიტყვები, საცხოვრებლად ლონდასთან უნდა გადავიდე, იმისმა მშობლებმაც რა ქნან, ერთადერთი შვილი ჰყავთო. ყოველ შემთხვევაში, პირველი წლები იქ ვიცხოვრებ. იქნებ ერთი წლის შემდეგ მეუღლესთან ერთად დავბრუნდე კიდეცო.

საბრალო ქეთევანმა წყენა გულში ჩაიკლა. მიხვდა, არჩილი შინ დამბრუნებელი აღარ იყო. მარტო დარჩენა კი არ აფიქრებდა, ბოლოს და ბოლოს, აქვე იცხოვრებს, ყურის ძირშიო, მაგრამ უსიტყვოდ სიდედრ-სიმამრთან გადაბარგება ცუდად ენიშნა. მიხვდა, არჩილი მეუღლის გავლენის ქვეშ მოექცა და აკადემიკოსის მშვენიერ სახლსაც დაეხარბა.

ყველაფერი რომ მოათავა, სასადილო ოთახი და კაბინეტი ყურადღებით კიდევ ერთხელ მოათვალიერა, სიმამრის

ოთახში გასატანი ხომ არაფერი დამრჩაო. შემდეგ სოფლიდან ჩამოტანილი დავითის გადიდებული სურათი ლონდას საწოლის პირდაპირ ჩამოკიდა. გასადიდებელი და სანეკროლოგე სურათი სოფელში წასვლის წინ თვითონვე შეარჩია. ნეკროლოგი დავითის დასაფლავების დღეს გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“. დასაფლავებამდე ორი საათით ადრე ვიღაცამ ასამდე გაზეთი მოიტანა. თბილისში წამოსვლის წინ ოცი ცალი უკან გამოატანეს, აუცილებლად დაგჭირდებათო და თბილისში ალბათ ველარ იშოვით, გაყიდული დაგხვდებათო.

ოცივე გაზეთი სურათის ქვეშ მოთავსებულ წითელი ხის დესაოზე დადო. შემდეგ კი აბაზანას მიაშურა. ცხელი წყალი ესიამოვნა, თვალები დახუჭა და შეეცადა ცოტა ხნით მაინც გათიშულიყო.

ნაბანავები ერთხანს სავარძელში იჯდა. თერთმეტი საათი რომ შესრულდა, ლოგინი კაბინეტში, დივანზე გაიშალა და დაწვა.

„მაინც სად უნდა იყოს წასული?“

„რასაკვირველია, საქართველოს გარეთ, თორემ გაზეთს რომ ნახავდა, ხომ გაიგებდა მამის გარდაცვალების ამბავს. მარტო „თბილისის“ სამ ნომერში თხუთმეტამდე განცხადება მაინც იყო დაბეჭდილი, ხოლო „კომუნისტში“ მთავრობის ოფიციალური განცხადება მკითხველს პირველსავე გვერდზე აუწყებდა აკადემიკოს დავით ნაკაშიძის გარდაცვალებას“.

„მაინც ვინ, ვინ ჩამაფურთხა სულში?!“

„მაინც ვის გააქელვინა ჩემი კაცობა?!“

უცებ არჩილს გონება გაეხსნა. მიხვდა, ვისთან იყო მისი ცოლი გაპარული. თვალწინ ბათუმი წარმოუდგა, „ინტურისტის“ რესტორანი. გაახსენდა, რომ მაშინვე იეჭვიანა „ის“ და ლონდა ცოლქმარი ან შეყვარებულები ხომ არ არიანო. შემდეგ კი დანამდვილებით გაიგო, რომ მათ შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა, მათ ურთიერთობაში საეჭვო თვითონაც არაფერი შეუნიშნავს. შემდეგ ისიც დააზუსტა, რომ „ის“ ლონდას უფროს მეგობარს ნატას უყვარდა.

არა და არ უნდოდა, გულში არქიტექტორ ოთარ ტატიშვილის სახელი და გვარი ეხსენებინა.

არჩილ გორდელმა ბათუმში გატარებული დღეებისა და ქორწინების უწვრილმანესი დეტალებიც კი გაიხსენა. შემდეგ ისინი საბოლოოდ დაამონტაჟა და გონებაში ვიდეოფირივით ათჯერ მაინც დაატრიალა. ყველაფერი რომ აწონ-დაწონა, საბოლოოდ დაასკვნა, ლონდა ოთარ ტატიშვილის ჯიბრზე გამომყვაო. ალბათ იმიტომაც განაცხადა თანხმობა, ხელი ხვალვე მოვაწეროთო. იმიტომაც მითხრეს, დღეს ერთ ოჯახში ვარ დაპატიჟებული, შენც იქ წამოხვალ და სუფრას რომ შემოვუსხდებით, დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, შესაფერის მომენტს რომ იპოვი, ჩვენი გადაწყვეტილების ამბავი ხმამაღლა გამოაცხადეო.

„რასაკვირველია, ლონდას ის უყვარდა“.

„რასაკვირველია, უყვარდა“.

არჩილ გორდელი ფეხზე წამოიჭრა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

„ახლა, ამ წუთში, მთელს მსოფლიოში არის ვინმე ჩემზე გაბრიყვებული და გათელილი? სახლში ვბორგავ და ველოდები, საყვარელთან გაქცეული ცოლი როდის ჩამობრძანდება. ამჟამად ალბათ სოჭიდან მომავალნი თბილისს მოახლოებულნი საერთაშორისო ვაგონის კუპეში ნებივრობენ. არა, მატარებლით წამოსვლას ვერ გაბედავენ, ბოლოს და ბოლოს, მორიდების ვრძნობა თუ დაკარგეს, შიშის გრძნობა ხომ აღარ ექნებათ დაკარგული! მატარებელში არ შეიძლება ნაცნობებმა არ შეგნიშნონ, ალბათ თვითმფრინავით ჩამოფრინდებიან. დიახ, თვითმფრინავით, მაგრამ რატომ მაინცდამაინც სოჭიდან? იქნებ ბაქოდან ან ერევნიდან? სიგარეტს სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეტზე ვეწევი და ველოდები, დიახ, ველოდები!"

„არ მიკვირდა, ისეთი ცივი რომ იყო?! არ მიკვირდა, მასში ქალური გრძნობის ნასახი რომ ვერ აღმოვაჩინე? თურმე სხვა უყვარდა. ვინ იცის, იქნებ ჩემი შეხება მხოლოდ ზიზღს ჰგვრიდა და მეტს არაფერს?!"

არჩილ გორდელმა ამ მიმართულებით ფიქრი აღარ გააგრძელა. მიხვდა, საშინელ უფსკრულს უახლოვდებოდა და თუ ყველაფერს ბოლომდე წარმოიდგენდა, შეიძლება უძირო და ბნელ უფსკრულში გადაჩეხილიყო. საბოლოოდ დარწმუნდა, ლონდა ცივი ქალი კი არ იყო, უბრალოდ, მას სხვა უყვარდა და საკუთარი ქმარი ეზიზღებოდა. არჩილისათვის ნათელი გახდა, ყოველი ცოლ-ქმრული აქტის შემდეგ ლონდა სააბაზანოდან მთელი საათის მანძილზე რატომ არ გამოდიოდა, არჩილის ხორციელი სიახლოვით ზიზღმორეული ქალი თავს გაუპატიურებულად მიიჩნევდა და ტანს საგანგებოდ იხეხავდა, თითქოს არჩილთან შეხების ყოველგვარ კვალს სპობდა. ამდენი წლის მანძილზე ლონდას ვნება არასდროს შემოსწოლია. პირიქით, არჩილს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მეუღლესთან ხორციელი კავშირის დროს ქალი მოთმინებით ელოდა, კაცი თავის საქმეს როდის მოათავებდა. დროთა განმავლობაში არჩილი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისი მეუღლე ფრიგიდული ქალების ჯგუფს მიეკუთვნებოდა და ლონდას სიცივე აღარ აღელვებდა. ვნებას დაიოკებდა თუ არა, გადაბრუნდებოდა და იძინებდა.

თურმე როგორ ცდებოდა!

„რატომ არ მივდივარ"? რატომ არ მივატოვებ ამ საზიზღარ სახლს? არ სჯობია, დღესვე გადავიდე დედაჩემთან?! ხომ ეტირება დედის სული, საწოლ ოთახში მამის გადიდებულ სურათს რომ ნახავს, ხოლო დესაოზე დადებულ გაზეთებში მამის ნეკროლოგს რომ წაიკითხავს? ხომ მიხვდება, რომ მეც საბოლოოდ მივატოვე?!"

„უნდა წავიდე, ამ წუთში უნდა წავიდე!"

არჩილ გორდელმა ენერგიულად დაიწყო ჩაცმა, შემდეგ ჩემოდანი და სპორტული ჩანთები მონახა. კარადიდან ტანსაცმელი გამოიღო და დივანზე დაყარა. გადაწყვიტა, მხოლოდ ის ტანსაცმელი და ნივთები წაეღო, აუცილებლად რომ სჭირდებოდა. დანარჩენს მერეც მოვასწრებო — ფიქრობდა ატაცებული და თან წასაღებ ნივთებს არჩევდა.

გრძნობდა, ენერგია თანდათან აკლდებოდა, აბობოქრებული სული თანდათან უწყნარდებოდა. ჩანთაში ტანსაცმელს უკვე ზანტად დებდა. ბოლოს სულ გაჩერდა, დოინჯშემოდებულმა ირგვლივ უმწეოდ მიმოიხედა.

„კი, მაგრამ, რომ მივდივარ, სად მივდივარ?! ივარგებს გადამწყვეტი ნაბიჯის ასე ნაჩქარევად გადადგმა? რა ან ვინ დამიშლის, დღეს რასაც ვაპირებ, ხვალ მოვიმოქმედო? არ სჯობია, დავრჩე და შურისძიებით დავტკბე?! არ სჯობია, თვითონ დავინახო, სახე როგორ მოექცევა, მამამისის გადიდებულ სურათს რომ დაინახავს?! არა სჯობია, გაფართოებულ თვალებში ჩავხედო, მისი სულიერი განადგურება დავინახო და შევიგრძნო?! მაინც რას იტყვის? თავს როგორ იმართლებს?! განა ირონიული გაღიმება, სიმწრით, შეურაცხყოფით სავსე, მაგრამ მაინც ირონიული გაღიმება გაცილებით ბასრი მახვილივით არ გაერჭობა გულში, ვიდრე ლანძღვა-გინება თუნდაც თმებით დათრევა და წიხლებით ცემა?"

ჩემოდნიდან ყველაფერი ამოალაგა და კვლავ კარადებში მოათავსა. შემდეგ დივანზე თავდაღმა დაემხო და ჩაძინება სცადა. თითქოს გულზე მოეშვა, პირიქით, რაღაც სასიხარულო მოლოდინით აღივსო. ხვალინდელ დღეს სამსჯავროსავით ელოდა. სამსჯავროსავით, სადაც საზიზღარ ადამიანზე შური

უნდა ეძია. დროდადრო სიბნელეში სივრცეს უღიმოდა. გარანტირებული შურისძიებით წინასწარ ტკბებოდა.

10

მაია პლისეცკაიას კონცერტმა თბილისში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. საოპერო თეატრში მოხვედრას ცდილობდნენ ისინიც, თავის ცხოვრებაში ოპერაში რომ ფეხი არ შეუდგამთ. უფრო მეტიც, ოპერის ხსენებაზე ირონიულადაც რომ ეღიმებოდათ.

ბევრისთვის მაია პლისეცკაიას კონცერტზე მოხვედრა პრესტიჟის საქმე იქცა. ბილეთები მთლიანად ცენტრალურმა კომიტეტმა წაიღო. არჩილ გორდელმა ერთი ბილეთი ძლივს იშოვა და იძულებული გახდა, თვითონ შინ დარჩენილიყო. ცოლს კი ურჩია, საოპერო თეატრთან ერთი საათით ადრე მაინც მისულიყო. მერე ისეთი ზედახორა იქნება, ვერ შეაღწევო.

ლონდამ ირონიულად გაიღიმა. არჩილმა კარგახანია ისწავლა ლონდას ღიმილისა და გრიმასების გაშიფვრა. არც ახლა შემცდარა, ზუსტად ამოიცნო მეუღლის ირონიული ღიმილის ქვეტექსტი, როგორმე ოპერის საკითხებში ჩვენ უკეთ ვერკვევითო.

ძნელი სათქმელია, ლონდას გულმა უგრძნო თუ ინტუიციამ, ერთი კი ცხადია, პლისეცკაიას კონცერტზე განსაკუთრებით ბედნიერი და აღტაცებული მიდიოდა. იქნებ ისიც უხაროდა, მეუღლე რომ გვერდით არ ეყოლებოდა. რატომღაც არჩილის თანდასწრებით ემოციების გამოხატვა ყოველთვის ეუხერხულებოდა, მის გვერდით ყოფნა ბოჭავდა, სულს უხუთავდა. თითქოს მის სილამაზეს თუ სულიერ აღმაფრენას რაღაც აკლდებოდა, ფრთები ეკვეცებოდა.

კონცერტის დაწყებამდე საათით და თხუთმეტი წუთით ადრე მივიდა.

ლონდა რიგში დგომას ვერ იტანდა. რიგის ზიზღი ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. კარგად იცოდა, რიგში დგომა ქალის ღირსებასა და სიამაყეს როგორ თრგუნავდა. მით უმეტეს, თუ რიგი კი არა, შესასვლელთან ზედახორა გაიმართებოდა.

საოპერო თეატრის წინ უკვე იდგა ცხენოსანი მილიცია. ირგვლივ ხალხი ირეოდა. უმეტესად უბილეთონი.

— ზედმეტი ბილეთი ხომ არა გაქვთ?— უკვე მერამდენედ ჰკითხეს ლონდას.

უარის ნიშნად თავს ოდნავ აქნევდა.

მარტო ყოფნაც არ სიამოვნებდა. თვალით მეგობრებს ეძებდა. ვერავინ შენიშნა. მიხვდა, ჯერ ძალიან ადრე იყო. ხალხი მოსვლას თხუთმეტი—ოცი წუთის შემდეგ დაიწყებდა. მაინც შესვლა ამჯობინა. ქუჩაში მარტო დგომა არ სიამოვნებდა. ისიც ბილეთის მაძიებელ მაყურებელს ემსგავსებოდა. სჯეროდა, ქუჩაში დგომა და შემთხვევით მოსული მეგობრის მოლოდინი მის ქალურ ღირსებას რაღაცას აკლებდა და აუბრალოებდა. თითქოს საგანგებოდ, იმ დღეს მთელ შენობაში ტელეფონიც გამოითიშა და ბილეთიან მეგობარს ვერავის დაურეკა, ოპერის წინ შეხვედრის დრო ვერ დაუთქვა.

თვალის ერთი გადავლებით ნაცნობი რომ ვერავინ დაინახა, პირდაპირ შესასვლელისაკენ გაემართა.

ოცი წუთის შემდეგ ოპერის წინ მარილაც უბედურება დატრიალდა, მილიცია ხალხს ვეღარ აკავებდა. ბილეთიანთან ერთად ბევრი უბილეთოც მივრბოდა. შემოსულთა შორის უმრავლესობა „ახალი ხალხი“ იყო. საოპერო სპექტაკლებს საერთოდ თავისი მუდმივი მაყურებლები ჰყავს. ისინი სახეზე ცნობენ და ხშირად ესალმებიან კიდევაც ერთმანეთს.

„ახლებს“ განსაკუთრებით კარგად ეცვათ და ძნელი მისახვედრი არ იყო, ვინ იყვნენ, ბილეთები სად იშოვეს, ან საოპერო თეატრში რატომ მობრძანდნენ.

ლონდამ რამდენიმე ახლო მეგობარი იპოვა, მაგრამ ბილეთი მაინც ვერ გადაცვალა, ვერცერთ მეგობართან ერთად ვერ დაჯდა. ზოგს ადგილი არ ჰქონდა კარგი, ზოგის გვერდით კი ერთი ბილეთის გაცვლა ვერ მოხერხდა.

გუნება გაუფუჭდა. უცნობებს შორის პარტერ დაჯდომა არ სიამოვნებდა. გაშოსავალი კი არ იყო. ბოლოს, იძულებული გახდა, ბენუარის მეორე, გვერდით ლოჟაში შესულიყო და თავისი ადგილ დაეკავებინა. ლოჟიდან მთელი პარტერი კარგად მოჩანდა. ლონდა მოაჯერს დაეყრდნო და პარტერში ნაცნობებს დაუწყო ძებნა. გაოცებას ვერ ფარავდა, ამდენი უცნობი ადამიანი ოპერაში სრასდროს ენახა.

უცებ, გული კინაღამ გაუჩერდა, სუნთქვა შეეკრა. ამფითეატრის მესამე რიგში ოთარ ტატიშვილი დაინახა. იგი ოდნავ შებრუნებული იჯდა და უკან ვიღაც სათვალიან კაცს ესაუბრებოდა.

გულაჩქარებულმა ლონდამ ტატიშვილს მზერა მოსწყვიტა და პარტერი შეათვალიერა, შეეშინდა, ჩემი მღელვარება ხომ არავინ შენიშნაო. თავის გულუბრყვილობაზე თვითონვე გაეღიმა და მზერა კვლავ ოთარ ტატიშვილზე გადაიტანა. ამჯერად ოთარი გვერდით მჯდომ ქალს ელაპარაკებოდა. ლონდამ შვებით ამოისუნთქა. ტატიშვილის გვერდით მჯდომ ქალში ვერ შეიცნო მისი მეუღლე.

ბათუმში დაქორწინებიდან მალე სამი წელი გახდებოდა. მას შემდეგ ოთარს სულ ოთხჯერ შეხვდა. შეხვდა შემთხვევით, მხოლოდ შორიდან დაინახა. ერთმანეთს არც მისალმებიან. უბრალოდ, ტატიშვილმა იგი ვერ შენიშნა, თორემ ლონდას მისალმებისაგან თავი სულაც არ შეუკავებია. ლონდამ ოთხივე შეხვედრაზე იგრძნო, ოთარ ტატიშვილი სულსა და გონებას რომ კვლავ ძველებურად უფორიაქებდა.

ცდილობდა დაევიწყებინა, მით უმეტეს, მას შემდეგ, როცა გაიგო, ტატიშვილმა ცოლი მოიყვანაო. ერთხელ სრულიად შემთხვევით, მეგობარმა გიღაც მაღალი, თხელი, ქალი დაანახა და უთხრა, ოთარ ტატიშვილის მეუღლე გახლავთო. ლონდამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ გაიგონა მეგობრის ნათქვამი. ცოტა ხნის შემდეგ კი თვალი გააპარა და საშუალო სიმაღლის ქერა ქალი ყურადღებით შეათვალიერა. აშკარად ლამაზი და მოხდენილი ქალი ოცდახუთი წლისა მაინც იქნებოდა, თუმცა ლონდამ იგი გაცილებით უფროსად აღიქვა. თანაც არც ისეთი ქერა ყოფილა, ერთი დანახვით რომ მოეჩვენა. ანტრაქტის დროს წამიერად მის გვერდით აღმოჩნდა. ტატიშვილის მეუღლეს ინტელექტუალური, თუმცა საკმაოდ მკაცრი გამოხედვა ჰქონდა. ეტყობოდა, ვაგლახად ვერავინ ვერაფერს გაუბედავდა. იგი თითქოს სრულებით არ შეესაბამებოდა ოთარ ტატიშვილის გემოვნებას. საერთო არაფერი გააჩნდა არც ნატასთან და არც იმ ქალებთან, ტატიშვილს მანამდე რომ ჰქონდა სასიყვარულო ისტორიები. „იმ ქალებს“ ლონდა ნატასგან იცნობდა.

„ეტყობა, ოჯახისათვის ამ ტიპის ქალებს ანიჭებს უპირატესობას, სასიყვარულოდ კი ნატას ტიპებს. არა მგონია, მეუღლესაც ისე უკოცნიდეს ბარძაყებს, როგორც ნატას, არც ის მგონია, ამ ქერა, მკაცრ ქალბატონს სიამოვნებას ანიჭებდეს თანამედროვე სექსი“.

ნატა ბათუმში გაიცნო ლონდამ. უფრო სწორად, თბილისში გაიცნო, მაგრამ ბათუმში დაუმეგობრდა. ნატა. მთელი შვიდი წლით იყო უფროსი ლონდაზე. მათ მეგობრობასაც ეტყობოდა ასაკობრივი სხვაობა. ნატა გამორჩეული ლამაზი როდი გახლდათ, მაგრამ სახესა და მიხრა-მოხრაში ჰქონდა ისეთი რაღაც, სხვებისგან რომ გამოარჩევდა. იგი არ იყო ჩვეულებრივი გაგებით ლამაზი ქალი, ყველას ყურადღებას რომ იმსახურებს. თითქმის უპროპორციო, გრძელი სახე, ზომაზე გრძელი წვრილი წარბები, იხელი

ცხვირი და ასევე თხელი ნიკაპი მის გამომეტყველებას ნერვიული და, ამავე დროს, ვნებიანი ქალის იერს აძლევდა. მაღალი, წვრილი კანჭები ჰქონდა და პატარა მკერდი. მთლიანობაში მოდილიანისა თუ ვიღაც მოდერნისტი მხატვრის ნახატს ჩამოჰგავდა.

ნატას სილამაზე უნდა დაგენახა, გეგრძნო, აღმოგეჩინა. მისი აღმოჩენა კი ყველას როდი შეეძლო. ნატას სილამაზეს პლასტებიც განსაზღვრავდა, სიარულის, ხელის მოძრაობის თავისებური მანერა.

თვითონ ჯიშიანი ლონდა აღტაცებული იყო უფროსი მეგობრის სილამაზით. ადამიანებს ხომ ის მოსწონთ, რაც თვითონ არ გააჩნიათ. ლონდა არასდროს არ ყოფილა თავმდაბალი. მან მშვენივრად იცოდა თავისი სილამაზის ფასი. იცოდა, ბიჭებზე როგორ შთაბეჭდილებას ახდენდა მისი ოდნავ მსხვილი მაგრამ მკვრივი, ჯიშიანი ბარძაყები, შავი თმა. და მომწვანო-მოცისფრო თვალები, ვნებიანი ტუჩები და ჯანსაღი კბილები, მაგრამ იმასაც მშვენივრად გრძნობდა, რომ აკლდა გრაცია, დახვეწილი მიხრა-მოხრა, ჰაეროვნება. ლონდამ იცოდა, ქალი შეიძლება ულამაზო ყოფილიყო, მაგრამ არა უბრალო! უფრო მეტიც, ლამაზ, მაგრამ უბრალო ქალს აშკარად ერჩია ულამაზო, მაგრამ დახვეწილი, მდიდრულმანერებიანი ქალი.

ნატა მისთვის იდეალური ქალის ნიმუში იყო. მასში შერწყმული თანამედროვე სილამაზე, დახვეწილი მანერები, აზრიანი, მაგრამ ქალური საუბარი უსაზღვროდ აოცებდა და ხიბლავდა მაშინ სრულიად ახალგაზრდა ლონდას. ოცდახუთი წლის ნატას იგი ქალად აღიქვამდა. მასთან ჯიბრის სურვილიც იმიტომ არ უჩნდებოდა. ლონდა რომ მისი ტოლი ყოფილიყო, ალბათ შურით და ბოღმით აივსებოდა, ალბათ შეეცდებოდა. საზოგადოებაში მეგობრის მიმართ თავისი უპირატესობა დაემტკიცებინა. სწორედ ასაკში ამოდენა განსხვავებამ დაამეგობრა ლონდა ნატასთან. დაამეგობრა მტკიცედ და სამუდამოდ. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე ეგონა ლონდას. იგი ბავშვური გულწრფელობით განიცდიდა ნატას უიღბლო ქორწინებას. არავინ იცოდა, რა მოხდა ნატასა და მის მეუღლეს შორის. იცოდნენ მხოლოდ, რომ მისი ქორწინებიდან ერთი კვირის შემდეგ დაშორდნენ ერთმანეთს. დაშორდნენ უხმოდ, უჩხუბრად. არც ნატა ამბობდა რამეს, არც მისი მეუღლე. თბილისმა ვერა და ვერ დაიკმაყოფილა ცნობისმოყვარეობა, ვერ გაიგო, რა მოხდა სიყვარულით დაქორწინებულ წყვილს შორის. ნატამ განქორწინებიდან მესამე წელს გაიცნო ოთარ ტატიშვილი. მათ შორის კი რომანი როდის და რანაირად გაჩაღდა, ლონდამ არაფერი იცოდა. თვითონაც ძალიან მოსწონდა ოთარი, მაგრამ მეგობრის სიყვარულით და ერთგულებით გულში უკეთური არაფერი გაუვლია, იოტისოდენა შურიც კი არ გასჩენია. ღმერთს იმასაც კი ევედრებოდა, რომ მათი სიყვარული მალე ქორწინებით დაგვირგვინებულიყო. ასე იყო მანამ, სანამ ერთ დღეს მან ნატას სასტუმრო „ინტურისტის“ ნომერში არ მიაკითხა. სწორედ იმ დღემ სულ სხვა მიმართულებით შეატრიალა ლონდას ბედი.

კარი ღია დახვდა. გაუკვირდა. ნატა კარს ღიას არასდროს არ ტოვებდა. იქნებ ეს განგების ბრალი იყო? იქნებ სწორედ ამ შემთხვევაში იყო დიდი კანონზომიერება?

კარზე ფრთხილად დააკაკუნა, არავინ გააგონა. იფიქრა, შეიძლება ნატა სადღაც აქვეა, გვერდით, წამიერად ვინმესთან შევიდა და კარი ღია დატოვაო. გრძელ დერეფანში აქეთ-იქით მიმოიხედა. ვერავინ დაინახა. გადაწყვიტა, შესულიყო და ნომერში დალოდებოდა. კარი რატომღაც ფრთხილად შეაღო. კვნესა შემოესმა, ეს არ იყო ავადმყოფისა და გაჭირვებული ადამიანის კვნესა. ქალის შინაგანმა ინტუიციამ იგრძნო, ნომერში რაც ხდებოდა.

შემდეგ, როცა ლოგინში, თავდაღმა ჩამხობილი და თვალებდახუჭული ლონდა ნატას ნომერში დანახულ სცენებს აცნობიერებდა, მიხვდა, რომ იგი გონებით კი არა, ვიღაცის კარნახით მოქმედებდა. და ეს ვიღაც თვითონ ლონდა იყო, ოღონდ უკვე სრულყოფილი, სრულფასოვანი ლონდა, რომლის სხეულშიაც ქალმა გაიღვიძა.

ნეტარი კვნესა თანდათან უფრო ძლიერდებოდა. კარი ფრთხილად მიხურა, პატარა ჰოლში ნაბიჯი წინ წადგა და თვალი საწოლი ოთახისაკენ გააპარა,

ნატა ფეხზე იდგა, მის წინ მუხლებზე დამხობილი ოთარ ტატიშვილი ქალს ბარძაყებს უკოცნიდა. ლონდას თვალში მოხვდა ნატას ზღვაზე გარუჯულ სხეულზე გამოკვეთილი, ლიფით მზისგან დაცული თეთრი მკერდი.

თვალებდახუჭულ ნატას თავი მაღლა ჰქონდა აწეული, ხოლო ვაჟის თმებში შეცურებულ ხელებს ნელა, ძალიან ნელა ამოძრავებდა და თან საოცარი ნეტარებით კვნესოდა. და აი, ვაჟი ნელ-ნელა აჰყვა მუცლებს, ჯერ ერთ ძუძუზე დაეწაფა, შემდეგ მეორეზე, მარჯვენა ხელი საჯდომს ქვეშ ამოსდო, მაღლა ასწია და ლოგინზე დააწვინა.

ერთ ადგილზე გაქვავებული ლონდა ღრუბელივით ყველაფერს იწოვდა. არაფერი მის თვალს, სმენას, გონებას და გრძნობას არ გამორჩენია. როცა ქალისა და კაცის ვნებიანი კვნესა ერთმანეთში აირია, როცა პირველად დაინახა ის, რაც ყველა ბავშვმა ქვეშეცნობილად იცის ბავშვობიდან, მაგრამ მაინც დაუჯერებელი და მიუწვდომელი ჰგონია, დაინახა უჩვეულო, არგაგონილი ფორმით, სახეზე საშინლად აილეწა, გონება აემღვრა, უცბად იგრძნო, მკერდი როგორ აეწვა, სხეულში ელექტრონის უცნაურმა ნაკადმა როგორ დაუარა.

ყველაფერი რომ მოთავდა და ვნებადამცხრალი ვაჟი ვნებადაცლილ ქალს უსულო სხეულივით რომ გადაეკიდა, მხოლოდ ერთმა მოძრაობამ მიიქცია ლონდას ყურადღება, თვალებდახუჭული, გულწასულივით მისვენებული ნატა მარჯვენა ხელს მამაკაცს ზურგზე ნელა, მაგრამ საოცარი სინაზით უსვამდა.

მთლად აკანკალებული, თვალებამღვრეული ლონდა შებრუნდა და დერეფანში გავიდა. ბედად გრძელ დერეფანში კვლავ არავინ ჩანდა. კარი ფრთხილად გამოიხურა და დარეტიანებული შინისაკენ წავიდა. ეშინოდა, გზაში არავინ შეხვედროდა, არავისთან ლაპარაკის თავი არ ჰქონდა, არავის დანახვა არ უნდოდა.

ინტურისტიდან იქვე, ორ ნაბიჯზე ცხოვრობდა. მეორე სართულამდე სწრაფად აირბინა, კარი გააღო, შიგნიდან ჩაკეტა, თავის ოთახს მიაშურა და ლოგინში თავდაღმა ჩაემხო. ვინ იცის, გონებაში მერამდენედ დატრიალდა უცნაური, გაუგონარი, დაუჯერებელი ფირი, იმ დროს, დღევანდელი დღისგან განსხვავებით, კინოფილმებში კოცნაც კი ლამის საძრახის ეროტიკად ითვლებოდა. ლონდა მაშინ სულ ბავშვი იყო, მაგრამ კარგად ახსოვდა, იტალიურ ფილმში, პირველად რომ ნახა ნამდვილი კოცნა, დარბაზში აღშფოთებული ხმები გაისმა, მამამისი უხერხულობისგან ლამის გაცოფდა, ლონდამ კი ჩირცხვილისაგან თავი დახარა. თითქოს ყველაფერი იცოდა, წიგნებშიც ბევრი რამ ჰქონდა წაკითხული, მაგრამ რაც ახლა, რამდენიმე წუთის წინ ნახა, არც თვითონ იცოდა და არც არავისგან სმენოდა.

სულ რამდენიმე წუთში ქალიშვილის გული შურით და ზიზღით აივსო. მას აღარ უყვარდა ნატა, აღარც ეცოდებოდა. შურით კი შურდა მისი, უსაზღვროდ შურდა. უცებ საწოლიდან წამოიჭრა, ტანთ გაიხადა და სარკის წინ დადგა. რით იყო ნატაზე ნაკლები? ნატა არც ისეთი თხელი აღმოჩნდა, პლაჟზე ამ ტანსაცმელში რომ ეჩვენებოდა. იმ წუთებში დაბადებულმა საშინელმა შურმაც ვერ აიძულა ეღიარებინა, რომ ნატას მართლაც მშვენი-

ერი სხეული და მკერდი ჰქონდა. მაგრამ რით იყო მისი სხეული ნაკლები, თუ არა უკეთესი? მერე რა, რომ ნატა უფრო გრაციოზულია და ჰაეროვანი? განა ლოგინში გრაციოზულობაა მთავარი?! მთავარი მაინც სხეულია! სხეული და სახე კი ხომ მას გაცილებით ვნებიანი ჰქონდა! ერთბაშად შეეცადა წარმოედგინა, დაჩოქილი ოთარ ტატიშვილი ბარძაყებს როგორ უკოცნიდა. უცებ რატომღაც ისტერიკა მოერია, ლოგინში თავდაღმა ჩაემხო და ცხარედ ატირდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ტირილი შეწყვიტა. თანდათანობით გონს მოეგო. თითქოს შერცხვა კიდეც. ტანსაცმელი ჩაიცვა და სარკეში ჩაიხედა. ტირილისგან თვალები ოდნავ დასიებოდა. ვნებადამცხრალს, საკუთარი თავისა რცხვენოდა, თუმცა ისიც მტკიცედ დაასკვნა, რომ ოთარ ტატიშვილი უყვარდა, კი არ უყვარდა, მთელი არსებით ეთაყვანებოდა!

●

იარუსებზე და გასასვლელებში ტევა აღარ იყო. ბენუარის ლოჟებშიც ხალხი სამ რიგად იდგა ფეხზე. მაყურებლით გაჭედილ დარბაზში ლონდა მხოლოდ ოთარ ტატიშვილს ხედავდა. მეოთხე წელია ცდილობდა ქალიშვილების აღტაცებით გათამამებული კაცის დავიწყებას. ხანდახან თითქოს ეზიზღებოდა კიდეც, მისი სახელის გაგონებაც აღიზიანებდა. დროდადრო. კვლავ უსაზღვრო სიყვარული ეუფლებოდა. ტატიშვილის დაქორწინების ამბავი რომ გაიგო, თვალები ცრემლით აევსო. უმალვე სახლს მიაშურა და ლოგინში თავდაღმა ჩაწოლილმა ცხარედ იტირა. თუმცა ტირილიდან ერთ საათსაც არ გაუვლია, რომ მისი სახელი და გვარი უკვე აღიზიანებდა. დროდადრო, თითქოს მიავიწყდებოდა კიდეც. მაგრამ რამდენჯერაც თვალი მოჰკრა, იმდენჯერ მღელვარებამ შეიპყრო. კიდევ კარგი, ამდენი ხნის მანძილზე, სულ ოთხჯერ დაინახა ოთარ ტატიშვილი. ოთხჯერვე შორიდან. ტატიშვილს არც შეუნიშნავს თვალებგაშტერებული ლონდა. ოთხჯერვე თეთრად გაათენა ღამე. ერთი ღამე მაინც ყველაზე უფრო ღრმად დაამახსოვრდა. არჩილი შინ საკმაოდ ნასვამი მოვიდა და მიალერსება მოინდომა. არასდროს ლონდა ნასვამ მეუღლეს ალერსზე არ პასუხობდა. პირიქით, სასტიკად აუკრძალა, სიმთვრალეში ალერსს მხოლოდ შეურაცხყოფად აღვიქვამო. იმ დღეს რატომღაც წინააღმდეგობა არ გაუწევია. მერე მიხვდა, თითქოს ამით ოთარ ტატიშვილს უხდიდა სამაგიეროს, თითქოს ეუბნებოდა, შენი არსებობა ჩემთვის აღარაფერს არ ნიშნავსო.

მწარედ შეცდა, ენის ჩაკვნეტამდე ინანა!

თვალგახელილი კვლავ ჭერს შესჩერებოდა და გუნებამოწამლული ელოდებოდა, ქმარი თავის საქმეს როდის მორჩებოდა. ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ თვალწინ კვლავ ბათუმის სასტუმროში ნანახი სცენა დაუდგა, ქმრის სხეულმა საშინელი ზიზღი მოჰგვარა და მთელი საათი აბაზანიდან აღარ გამოსულა. ბოლოს, როცა აბაზანიდან გამოვიდა და მძინარე ქმარი დაინახა, სიმთვრალისგან გულაღმა მწოლარე დროდადრო რომ ხვრინავდა, სასადილო ოთახში გავიდა, სავარძელში ჩაჯდა და ხმადაბლა ატირდა.

●

უცებ მათი თვალები ერთმანეთს წააწყდა. უფრო სწორად, ეტყობა ოთარ ტატიშვილმა იგრძნო ლონდას დაჟინებული მზერა და მისკენ გამოიხედა. აღელვებულმა და გახარებულმა ლონდამ ღიმილი ვერ შეიკავა. ტატიშვილი

სანახევროდ წამოდგა და ლონდას ღიმილით მიესალმა.

აღარც ახსოვს, კონცერტის პირველმა განყოფილებამ როგორ ჩაიარა. მართალია, თითქოს ბნელოდა, მაგრამ სცენიდან გადმოღვრილ შუქზე იგი მხოლოდ ოთარს უცქერდა, უცქერდა დაჟინებით, სიყვარულით აღსავსე თვალებით. ერთი სული ჰქონდა, პირველი განყოფილება როდის დამთავრდებოდა. საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ოთარ ტატიშვილი უყვარდა, მხოლოდ ოთარ ტატიშვილი და სხვა არავინ ამ ქვეყანაზე.

ტატიშვილი მთელი პირველი განყოფილების მანძილზე გრძნობდა ქალის დაჟინებულ მზერას. გამოცდილი აშიკი თავს ისე იჭერდა, ვითომც ლონდა სულ გადაავიწყდა. მიხვდა, დადგა დრო, ლონდასთვის თავი რომ გაეხსენებინა.

ანტრაქტში ლონდა პირველსავე შემხვედრ მეგობარს მკლავზე ჩამოეკიდა და ფოიეში სეირნობა შესთავაზა. დაბნეული დადიოდა, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. უსაზღვრო სურვილმა შეიპყრო, ოთარს შეხვედროდა, უფრო სწორად, წინ ვითომ უნებურად შესჩეხებოდა. ოთარი არსად ჩანდა.

— ფოიეში გავიდეთ! — ოდნავ შეშფოთებული ხმით უთხრა მეგობარს.

ვერც ფოიეში წააწყდა ოთარ ტატიშვილს.

— იქნებ, მაღლა ავიდეთ?

მეგობარი ქალი გაოცებას ვერ მალავდა. არასდროს ენახა ასე აღელვებული და დაბნეული ლონდა. საღლა იყო მისი განთქმული თავდაჭერილობა, სიდინჯე, სათქმელის უსიტყვოდ გამოხატვა, ირონიული ღიმილი.

ზარმა მესამედ დარეკა.

გულჩათუთქული ლონდა მეგობარს უსიტყვოდ გამოეთხოვა და ლოჟას მიაშურა. თვალები უმალვე ამფითეატრისაკენ გაექცა, ოთარ ტატიშვილის ადგილზე ვიღაც ხნიერი, სათვალიანი ქალი იჯდა.

„ადგილი დაუთმო, თუ წავიდა?!

„ალბათ წავიდა, თორემ ფოიეში ხომ შევხვდებოდი“.

ტირილს არაფერი უკლდა.

ფარდა გაიხსნა. მეორე განყოფილების პირველ ნომრად გამოცხადდა ცეკვა: „რაიმონდადან“.

უმშვენიერეს ცისფერ კაბაში გამოწყობილი მაია პლისეცკაია სცენაზე გამოვიდა თუ არა, დარბაზში ტაშმა იქუხა.

მხოლოდ ახლა მოეგო ლონდა გონს, მხოლოდ ახლა გაახსენდა, ვის კონცერტზე იმყოფებოდა.

ორკესტრის პირველი ტაქტისთანავე ვიღაცამ მხარზე ხელი ისე დაადო, რომ თითები სანახევროდ ყელს შემოაჭდო.

ეს წამი არასდროს დაავიწყდება ლონდას. ტანში ნეტარების ისეთმა ნაკადმა დაუარა, შეეშინდა, გული არ წასვლოდა. მიხვდა, ვინ იყო. ყელში ბურთი გაეჩარა, თვალზე ცრემლი მოადგა. განძრევა ვერ გაბედა, ვაითუ ხელი აიღოსო. თვალებზე ლიბრი გადაეკრა, სცენაზე თითქოს რძისფერი ნისლი ჩამოწვა. ოთარ ტატიშვილის თითებიდან კი ნატარების უწყვეტი ნაკადი გადადიოდა ლონდას სხეულში.

დარბაზში ტაშმა იქუხა.

ოთარმა ტაშით ისარგებლა, დაიხარა და ლონდას ყურში უთხრა.

— ამ დღეებში ჩემს ზარს ელოდე!— ტატიშვილი შებრუნდა და ლოჟიდან გავიდა.

ლონდა არ განძრეულა. იგი კვლავ სცენისაკენ იცქირებოდა, თუმცა ვერაფერს ხედავდა.

ტაში დარბაზს აზანზარებდა.

„თანხმობა არც მკითხა, თუმცა, ხელი რომ არ ავაღებინე, თანხმობას არ ნიშნავდა?!“

„ამ დღეებში ჩემს ზარს ელოდე“,— იმ ღამით, თეთრად რომ გაათენა, მეორე დღეს, მესამე და შემდგომ დღეებშიც გონებაში მხოლოდ ეს ფრაზა

უტრიალებდა, ყურში მხოლოდ ოთარ ტატიშვილის ჩურჩული ჩაესმოდა.

მეშვიდე დღის შემდეგ მოთმინება ამოეწურა და ნელ-ნელა ბოღმა მოერია. შემდგომ დღეებში ოთარ ტატიშვილი უკვე ეზიზღებოდა. თანდათან დარწმუნდა, გამამასხარავა, ბათუმის სამაგიერო გადამიხადაო და სიბრაზისგან ლამის ცოფებს ყრიდა.

„ერთიც ვნახოთ და მართლა დარეკოს! მაშინ კი მივუზღავ თავისას თავქარიანი გოგოების აღტაცებით გათამამებულ თავხედს!“

ოთარმა მეცხრე დღეს დარეკა და პაემანი დაუთქვა. აკუმულატორივით რამდენიმე დღის მანძილზე უკიდურეს საზღვრამდე დამუხტული ლონდა უმალვე განიმუხტა და შემოთავაზებული წინადადება ყოველგვარი საყვედურის გარეშე მიიღო.

ყურმილის დადების შემდეგ დიდხანს იდგა გაშეშებული.

„მაშ ხვალ პირველად ვღალატობ მეუღლეს“.

„რატომ პირველად? განა იმ დღიდან არ ვღალატობ, ხელისმოწერაზე რომ დავთანხმდი? განა ლოგინი ღალატისათვის აუცილებელი ფაქტორია? ხვალიდან უბრალოდ, ვიწყებ ახალ ცხოვრებას“.

12

მოსკოვი-თბილისის ჩამოსელის დროც გავიდა. სამი საათი დაიწყო, ლონდა არსად ჩანდა.

„სად ჯანდაბაშია წასული?“ — ბორგავდა არჩილი.

„ალბათ მანქანით წაიყვანა. ვინ იცის, ერევანში ან ბაქოში ბრძანდებოდნენ“.

„დიახ, „ბრძანდებოდნენ“. ახლა ისინი, ჯერ თუ თბილისში შემოსულნი არ არიან, მალე შემოვლენ. არჩილი ხომ. თბილისში ხვალ უნდა დაბრუნებულიყო.

„ალბათ გვიან, მაგრამ დღეს მაინც ჩამობრძანდება“.

„ნეტავ, მოაცილებს სახლამდე?“

„რატომ არ მოაცილებს, რისი შეეშინდება, მე ხომ მოსკოვში ვარ!“

არჩილმა მწარედ ჩაიცინა.

ქუჩიდან მანქანების მუხრუჭის ხმა მოისმა. არჩილი ადგილზე გაქვავდა, სიგარეტის კოლოფისაკენ გაშვერილი ხელი ჰაერში გაუჩერდა.

„ვითომ მოვიდა?“

„მეოთხე სართულზე ამოსვლას მაქსიმუმ ათ წუთს მოანდომებს“.

„არა, არ მოსულა“.

არჩილი ფრთხილად წამოდგა და ფანჯრიდან გადაიხედა. ქვემოთ მეზობლის „ვოლგა“ დაინახა.

უკან გამობრუნდა. ამჯერად კაბინეტში გავიდა და საწერ მაგიდაზე ჩამოჯდა

თვითონვე მიხვდა, მთელი დღის მანძილზე თავში ერთი და იგივე აზრები უტრიალებდა. არცერთი ახალი აზრი ან გადაწყვეტილება მისი ტვინის უჯრედებში არ დაბადებულა. ყველაფერი დაახლოებით თხუთმეტ წუთში ეტეოდა და მაგნიტოფონის ფირივით თხუთმეტწუთიანი პერიოდით ბრუნავდა.

უცებ საკეტის ხმა შემოესმა.

უნებურად საათზე დაიხედა. ცხრას ოცი წუთი აკლდა.

საათს რატომ დახედა? ვითომ ჰქონდა რაიმე აზრი ლონდა ცხრის ოც წუთზე ჩამოვიდოდა, თუ ცხრას რომ ოცი წუთი აკლდა?! ამ აზრმა დენივით გაუარა გონებაში. შემდგომ, როცა საათის ამბავს იგონებდა, თავისი სასაცილო საქციელის გამო გულში მწარედ ეღიმებოდა. ახლა კი ანალიზისათვის არ სცხელოდა. ფსიქოლოგიურად თითქოს მომზადებულიც იყო, თითქოს ყველაფერი გადახარშული ჰქონდა, წესით, ლონდას სრულიად დამშვიდებული უნდა შეხვედროდა. ღიმილით უნდა შეგებებოდა, ლოყაზე ეკოცნა და ბავშვი და სიმამრი მოეკითხა, მაგრამ საკეტის

ხმამ ყველაფერი გადაავიწყა. გული თითქოს უზარმაზარი ბუშტივით გაებერა. ეჩვენებოდა, წონა დავკარგეო და გულწრფელად შეშინდა, გაბერილმა გულმა მაღლა არ ამიტაცოსო.

ლონდა რომ ვერაფერს მიმხვდარიყო, არჩილმა კარი შიგნიდან სამივე გასაღებით ჩაკეტა. სამივე საკეტის გაღებას კი დრო სჭირდებოდა. არჩილმა იგრძნო, სხეულს წონა თანდათან როგორ უბრუნდებოდა.

ლონდამ კარი რომ შემოაღო, არჩილი ჰოლში უკვე სრულიად დამშვიდებული იდგა. თუმცა მთლად დამშვიდებულიც არ ეთქმოდა. დაუდგა შურისძიების ნანატრი წუთი. იცოდა, კიდევ რამდენიმე, არა, კიდევ სამი წუთი და ლონდა სულიერად განადგურდებოდა. ახლა მისი რიგი იყო, მეუღლისათვის სულში ჩაეფურთხებინა, გაეთელა და არარაობად ექცია, სიბინძურისა და სიბილწის ლაფში ამოევლო.

ო, როგორ ზეიმობდა მისი სული. ნუთუ ასეთი დამატკბობელია შურისძიება?! ნუთუ შეიძლება ამოდენა ნეტარება მოგიტანოს ჯერ კიდევ ხუთი დღის წინ შენი საყვარელი ადამიანის საბოლოოდ ჩაწიხვლამ და განადგურებამ?!

— არჩილ, შენ? — აღმოხდა გაოცებულ ლონდას.

შეცბუნებულს სახეზე მწვანე ფერმა გადაჰკრა. ყოველ შემთხვევაში, არჩილს ასე მოეჩვენა. ქალმა ძვირფასი, ფრანგული, მოყავისფრო ტყავის ჩანთა იქვე მიაგდო და კარი მიხურა.

სასადილო ოთახში გამავალ კარის ჩარჩოს მიყრდნობილი და გულხელდაკრეფილი არჩილი კვლავ წეღანდელივით იღიმებოდა.

ლონდა შემობრუნდა და ქმრისკენ ღიმილით გამოემართა.

— შენ ხომ ხვალ უნდა ჩამოსულიყავი!

— მოხდა ისე, რომ დღეს დილით ჩამოვედი.

არჩილი მეუღლეს გადაეხვია. მერე მხრებში ხელი მოკიდა და თვალებში ჩახედა.

— დათო როგორ არის? ბატონი დავითი ხომ გამომჯობინდა? — ჰკითხა არჩილმა.

— ორთავენი კარგად არიან.

— მე არაფერი შემომითვალეს?

— მოკითხვის გარდა რა უნდა შემოეთვალათ?!

— აქ ამბავი დამახვედრეს, ბატონი დავითის ჯანმრთელობა გაუარესდაო.

„ბატონი დავითი“, ლონდას არ მოეწონა, არჩილმა რომ მამამისი ზედიზედ ორჯერ ბატონობით მოიხსენია.

— შენ წარმოიდგინე, უკეთ არის.— თქვა ცოტა გაგულისებულმა, მეუღლისგან თავი გაინთავისუფლა და ჩანთას დასწვდა, — შევიდეთ ოთახში და ადამიანურად ვილაპარაკოთ.

— რატომ მიბრაზდები, გეწყინა, შინ რომ დაგხვდი? — არჩილმა ცოლი წინ გაუშვა და თვითონ უკან მიჰყვა.

— რატომ უნდა მწყენოდა? — ძველებური რიხით ვერ უპასუხა ლონდამ,— დავიღალე, სანამ არ მოვწესრიგდები და აბაზანაში არ შევალ, არაფრის თავი არა მაქვს.

— რით ჩამოხვედი?

— რით? — დაიბნა ლონდა. — ავტობუსით.

— მაშ ბატონი დავითი კარგად არის? ძალიან მიხარია!

— რას ამოიჩემე „ბატონი დავითი?“ მტრების გულზე გასახეთქად, მშვენივრად არის! — გაბრაზდა ლონდა.

— არ მეგონა, თუ ასე შევხვდებოდით ერთმანეთს! — თქვა მრავალმნიშვნელოვნად არჩილმა. ყოველ შემთხვევაში, შეეცადა, რომ ნათქვამი მრავალმნიშვნელოვანი გამოსვლოდა.

— ადამიანო, სხვა რა შეხვედრას ელოდი, მერვე დღეა, არ მინახიხარ, დაინგრა ქვეყანა? — ლონდამ საწოლი ოთახის კარი შეიკეტა.

„ხედავ, ამ გარეწარს, სირცხვილის გრძნობაც არ აწუხებს?! უკვე დაავი-

წყდა კიდეც, სად იყო და ვისთან იყო!"

„ნეტავ შეხედა სურათს? ნახა გაზეთები?"

არჩილი კაბინეტში შევიდა. კარი ღია დატოვა, არ უნდოდა, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო ხმაური გამორჩენოდა. საწოლი ოთახიდან კარგა ხანს ისმოდა ლონდას ფეხის ხმა, გარდერობის კარის ჭრიალი.

უცებ სასადილოს კარი გააღო და ლონდა გარეთ გამოვიდა, ხელში ფეხსაცმელები ეჭირა. ისინი იქვე, ჰოლში დაბალ კარადასთან დაყარა და საწოლ ოთახში შებრუნდა.

„ჯერ კიდევ არ შეუმჩნევია ქალბატონს მამის გადიდებული პორტრეტი, ხომ არ შევიდე, ხომ არ დავანახო? განა საინტერესო არ იქნება, როგორ მოექცევა სახე? რა უფრო გააგიჟებს, რა უფრო ჩასცემს ლახვარს, მამის სიკვდილი, თუ თავისი სულიერი და მორალური განადგურება?"

„არა! სჯობია, დაველოდო! მე რომ მამამისის ნეკროლოგი მივაწოდო, უმალვე შეამჩნევს ჩემს შურისძიებით ანთებულ თვალებს. კიდევ უფრო შემიზიზღებს, ლანძღვა-გინებას დამიწყებს და მთელი სიღრმით ველარ შეიგრძნობს, რა ჭაობშიც აღმოჩნდება კეფამდე ჩაფლული. გაცოფებულს შეიძლება ისტერიკაც დაემართოს, მეზობლები შემიყაროს და სახლიდან ენით აუწერელი სკანდალით გამაგდოს".

„რასაკვირველია, უნდა დაველოდო!"

არჩილმა უცებ გაათვითცნობიერა, რომ საწოლი ოთახიდან კარგახანია, ჩამიჩუმი აღარ ისმოდა.

„ალბათ უკვე ნახა. ნეკროლოგიც წაიკითხა. რატომ არ ტირის? მშობელი მამა მოუკვდა და არ ტირის? მიხვდა, რომ განადგურდა, მიხვდა, რომ სიბილწის ძორევში ჩაიხრჩო. ახლავე უნდა შევიდე, უნდა დავინახო, მისი გამომეტყველება, ახლავე უნდა დავტკბე მისი არარაობით!"

არჩილი ფეხზე წამოიჭრა და საძინებელი ოთახის კარი შეაღო. გაშეშდა. მთლად შიშველი ლონდა სარკის წინ იდგა და თმებს ივარცხნიდა. ჩაცმული ქმარი სარკეში დანახა, მაგრამ არ შემობრუნებულა.

ღმერთო, რა ლამაზი იყო! არჩილს უეცრად ვნება შემოაწვა. ამდენი წლის მანძილზე არასდროს უგრძვნია მეუღლის მიმართ ასეთი ვნება, სიშმაგემდე მისული ლტოლვა. ელვის სისწრაფით გაიხადა და მივარდა. ლონდას წინააღმდეგობა არ გაუწევია. ალბათ ოდნავ სინდისიც აწუხებდა და იმიტომაც გადაწყვიტა, ქმრისთვის ესიამოვნებინა.

გაშმაგებულმა არჩილმა ცოლი ერთმანეთზე მჭიდროდ მიდგმულ საწოლზე ირიბად დააწვინა და ძუძუებზე დაეწაფა. ასეთი ვნებით არასდროს უკოცნია მისი სხეული. ასეთი სიმძაფრით არასდროს შეუგრძვნია ხორციელი ნეტარება.

მაინც რამ გააშმაგა ასე? იქნებ თავის ცხოვრებაში პირველად შეიგრძნო საყვარელი ქალის სხეულის მთელი საიდუმლო? იქნებ ეს შურისძიება იყო, უკანასკნელად დასწაფებოდა სხვისი სხეულით დამტკბარი და ამავე დროს შებილწული მეუღლის სხეულს?! დიახ, იქნებ შურისძიებამ გაამძაფრა და უმაღლეს წერტილამდე აღაგზნო მისი ნერვიული სისტემა?

ბოლოს, როცა ვნებადამცხრალმა მეუღლეს მკერდზე თავი დაადო, პირველად ამდენი წლის მანძილზე ლონდამ მოფერების ნიშნად არჩილს მარცხენა ხელი კისერზე მოხვია, ხოლო მარჯვენა თმაში ნაზად შეუცურა.

გაოგნებულმა არჩილმა აღარ იცოდა, რა მოემოქმედებინა. მაინც რა იყო ეს? შემობრუნება თუ სინდისის ქენჯნა? ღალატით გამოწვეული სინანული, თუ ქმრის დაბმის მორიგი სეანსი?

უცებ იგრძნო, სხეული, რომელსაც ორიოდე წუთის წინ გაგიჟებული კოცნიდა, სხეული, რომელსაც ორიოდე წუთის წინ თავისი ყველა უჯრედით, ყველა კაპილარით შეუერთდა, ახლა საშინლად ეზიზღებოდა. მათ შორის

თითქოს ვიღაც იწვა, მათ შორის თითქოს ვიღაცის სუნთქვა ისმოდა, ვიღაცის კანის სუნს გრძნობდა.

უცებ გაახსენდა, ერთხელ, ბავშვობაში ბებიასთან ერთად სოკოზე რომ იყო ტყეში წასული, ერთი ბუჩქის ძირში მარწყვი იპოვა. ბებიამ ჭამა არ დაანება, იქ უხსენებელი იცის და მისი დასუნთქული არ იყოსო. რატომღაც მთელი სხეული გველის და გველზე უარესის დასუნთქულად წარმოიდგინა. ზიზღმორეული ფეხზე წამოიჭრა და სააბაზანოში შევარდა, ტანი სწრაფად დაიბანა და კაბინეტში გავიდა.

ლონდა ერთხანს გაუნძრევლად იწვა. თვალდახუჭული თითქოს თვლემდა კიდეც. სინამდვილეში ყური დაცქვეტილი ჰქონდა, სააბაზანოდან მეუღლის გამოსვლას ელოდებოდა. სანამ გადაიბანდა, არ უნდოდა, ტანზე რაიმე შემოეცვა. სააბაზონოს კარის გამოჯახუნების ხმა რომ გაიგო, ფეხზე წამოდგა, გარდერობიდან შავი კიმონო გამოიღო და სააბაზანოს მიაშურა.

იმ წუთებში, მეუღლე რომ ყველაზე უფრო ეზიზღებოდა, არამცთუ ეზიზღებოდა, ადამიანის მოკვლა რომ შესძლებოდა, იქვე, დაუფიქრებლად და შეუბრალებლად მოახრჩობდა, რატომ დაეუფლა მისი სხეულისადმი დაუოკებელი ლტოლვა?! ენით აუწერელი ვნებით რატომ დაეწაფა საძულველ სხეულს, რატომ იყო სიგიჟემდე სასიამოვნო წეღანდელი აქტი?! მაინც რა იყო ფეხის ფრჩხილებიდან წამოსული ის საოცარი ნაკადი, ტვინის ქერქამდე რომ თანდათან იზრდებოდა და სხეულს რომ ელექტროქსელში ჩართულივით აცახცახებდა!

„მაინც რატომ, რატომ...“

უამრავი „რატომ“ ირეოდა არჩილ გორდელის თავში. მერე ნერვებაშლილი ერთ „რატომს“ მთელი ძალით ჩაებღაუჭა და თითქოს პასუხიც იპოვა.

„იქნებ იმიტომ, რომ ერთმანეთზე უფრო დამატკბობელი სექსი და შურისძიების გრძნობა, მრავალი ქვენა და ზენა სურვილი ერთმანეთში აირია, ერთ ნეტარებად შედედდა, ხისხლში მძლავრ ნაკადად შეიჭრა და მთელი სხეული, თავისა და ხერხემლის ტვინის ყველა უჯრედი უმაღლეს წერტილამდე აღაგზნო?!“

უცებ ლონდას შეკივლების ხმა მოესმა.

არჩილი ფეხზე წამოხტა.

„მაინც როდის გამოვიდა აბაზანიდან?“

ეტყობა, ფიქრში წასულმა ვერ გავიგე საწოლი ოთახის კარის მიჯახუნების ხმა“.

შეკივლება აღარ განმეორებულა.

„ხომ არ მომეჩვენა?“

ერთხანს არ განძრეულა, სმენადაძაბული ცდილობდა, მცირეოდენი ხმაურიც კი არ გამოჰპარვოდა.

ჩამიჩუმი არ ისმოდა. ფეხზე ფრთხილად წამოდგა, ჰოლში გავიდა და აბაზანისაკენ გაიხედა. აბაზანის კარი ღია იყო. ცხადი გახდა, შეკივლება არ მოსჩვენებია, საწოლი ოთახის კარს ფეხის წვერებზე მიუახლოვდა. არც იქიდან ისმოდა ჩამიჩუმი.

გული ვამალებით უცემდა. ვერ გადაეწყვიტა, კარი შეეღო თუ არა.

ბოლოს ღრმად ამოისუნთქა, რატომღაც თმაზე ხელი გადაისვა და კარის სახელურს ხელი მჭიდროდ მოჰკიდა.

ლონდა სავარძელში იჯდა. თვალებდახუჭულს ორთავე მკლავი სავარძლის სახელურებზე ჰქონდა გადაკიდებული. იატაკზე გაზეთი ეგდო, საიდანაც შედარებით ახალგაზრდა აკადემიკოსი დავით ნაკაშიძე იცქირებოდა.

ლონდა უძრავად იჯდა. თითქოს არც სუნთქავდა. კარის ჩარჩოზე მიყრდნობილი არჩილი ზეიმობდა, შურისძიებით ტკბებოდა, მეუღლეს დამცინავი ღიმილით მისჩერებოდა.

ლონდა კვლავ უძრავად იჯდა, მეუღლემ რომ კარი შეაღო, თვალი არ გაუხელია, ოდნავადაც არ შერხეულა. სხვას შეეშინდებოდა, იფიქრებდა, გული წაუვიდაო. არჩილმა იცოდა, ლონ-

დას გული არ წაუვიდოდა. ისიც მშვენივრად იცოდა, ხაფანგში მომწყვდეული და საშინელ დღეში ჩავარდნილი, ახლა მხოლოდ გამოსავალს ეძებდა. იქნებ მეუღლესთან მოსალოდნელი დიალოგის ფრაზებსაც აკოწიწებდა, წუთი-წუთზე რომ უნდა დაწყებულიყო.

არჩილი მეორე ოთახში გავიდა, სიგარეტს მოუკიდა, პატარა საფერფლეთან წამოიღო, კვლავ საძილე ოთახში შევიდა და სკამზე ჩამოჯდა. ლონდა ზუსტად იგივე პოზაში დახვდა, როგორც დატოვა.

მართლა ხომ არ წასვლია გულიო, — გაიფიქრა არჩილმა და საფერფლე დესაოზე დადგა.

— წყალი ხომ არ მოგიტანო? — თავისდაუნებურად ჰკითხა არჩილმა.

ლონდა კვლავ დუმდა.

„ალბათ მაშინ შეჰკივლა, მოულოდნელად რომ ნეკროლოგს წააწყდა, — დაასკვნა არჩილმა, — შემდგომ კი მამის დაკარგვის საშინელი ტკივილი მეორე უფრო დიდმა და შემზარავმა ტკივილმა გადაფარა. მიხვდა, საზიზღარ მახეში გაება. იმასაც მიხვდა, მე თუ ბოლომდე გავწირავ, მთელს ქალაქში თავი სამუდამოდ მოეჭრება, თანაც პიკანტური, ლამის დეტექტური სიუჟეტი მთელს ქალაქს ერთი წლის საჭორაო მასალას მაინც მისცემს. ქმრისგან სკანდალური ისტორიით მიტოვებული, შვილის თვალშიც სამუდამოდ დაეცემა, სატრფოსაც სამუდამოდ დაჰკარგავს. კარგად იცის, ის ნაძირალა ლონდას გულისთვის ცოლს არ მიატოვებს, ოჯახს არ დაანგრევს, სკანდალით ქმართან გაცილებულ ლონდასთან ურთიერთობას აღარ გააგრძელებს.

არჩილი არ სცდებოდა. ხაფანგში მომწყვდეული ლონდა კედლებს აწყდებოდა, კარგად გრძნობდა, რა დღეში ჩავარდა და გამოსავალს ეძებდა. სინდისი კი არ ქენჯნიდა, უხერხულობისა და სირცხვილის გრძნობა კი არ სტანჯავდა, ლაფით სავსე ორმოში ჩავარდნილი, სუფთად ამოძრომის გზებს ეძებდა. ქმარი აქამდეც არ უყვარდა, მასთან ერთად ლოგინში წოლა და ალერსი ვალისმოსახდელ ტანჯვად ჰქონდა გადაქცეული. ახლა, ამ წუთიდან, არჩილის დანახვაც არ უნდოდა, მისი ხმის გაგონებაც კი ტანში ზარავდა. მამა, საბრალო მამა, ვიღას ახსოვდა! ახლა მთავარი იყო, დანაღმული ველი გაეუვნებლებინა. იცოდა, ერთი გაუთვლელი ნაბიჯი და გარდაუვალი აფეთქების მსხვერპლი გახდებოდა. მამის გარდაცვალების შემდეგ პირველი, რამაც სულითხორცამდე შეაძრწუნა, ხელ-ფეხი მოჰკვეთა, თავზარი დასცა და გაანადგურა, გაანადგურა ისე, რომ მამის სიკვდილიც სადღაც შორს, უკანასკნელ პლანზე გადასწია, იყო შიში. დიახ, შიში, ვაი თუ, მამის დასაფლავებისას ყველამ ყველაფერი გაიგოო. ვაი თუ, დღეს მთელი თბილისი მხოლოდ ჩემზე ქილიკობს და ჭორაობსო. ლონდას ქალურმა ფანტაზიამ ნათლად წარმოიდგინა, თუკი ქმარი ბოლომდე გასწირავდა, ამ სკანდალს რაც მოჰყვებოდა, მშვენივრად იცოდა, დღეის იქით ქალაქში თავი არ გამოეყოფოდა.

პირველი ელდა და შიში უმალვე სძლია. ლონდას ტვინში ელვის სისწრაფით მომუშავე უჯრედებმა სწრაფად გათვალეს, რომ არჩილ გორდელი თავის ოჯახს და პირველ რიგში საკუთარ თავს ქალაქს, საზოგადოებას ყბაში არ ჩაუგდებდა. არც საკუთარ შვილს, დავითს, უსაზღვროდ რომ უყვარდა, უღმერთოდ არ გასწირავდა, ბავშვის უმანკო სულს ტრავმას არ მიაყენებდა. დანარჩენს აღარ დაეძებდა, მოსახდენი უნდა მომხდარიყო.

ლონდამ გულზე ჩამოკიდებული ცივი ლოდებიდან ყველაზე მძიმე და ყველაზე ცივი უკვე მოიშორა. მოიშორა და საკმაო სულიერი შვებაც იგრძნო.

სავარძლის საზურგეს კვლავ თვალდახუჭული მიყრდნობოდა. ორთავე მკლავი სავარძლის სახელურებზე ჰქონდა გადაკიდებული. სახეც მშვიდი ჰქონდა და ფერიც ჩვეულებრივი. უცხო

ადამიანს ეგონებოდა, ლონდას მშვიდად მისძინებიაო, მაგრამ არჩილმა ხომ იცოდა, ცოლის შუბლს მიღმა ურთულესი მექანიზმის კბილანები როგორი სისწრაფით ბრუნავდა, ტვინის ყოველი უჯრედი როგორ დაძაბულად მუშაობდა. ეჭვების რკალში მოქცეული, გველივით აქეთ-იქით ეხეთქებოდა, გასაძრომის პოვნას ლამობდა.

მრავალ გზათა შორის ლონდამ ორი შეარჩია. ერთი იყო შეტევა, გაღმა შედავების ნაცადი ხერხი. მეორე, კომპრომისი, რომელიც წაგების ტოლფასი იყო, მაგრამ წაგება, რომელიც სახელს არ გაუტეხავდა, საზოგადოების დასაცინი და გასაკილი არ გახდებოდა.

ამ ორ გზას შორის ლონდამ მეორე აირჩია. თანაც აირჩია ყოველგვარი ყოყმანის გარეშე. ქმრის ხასიათი შესანიშნავად იცოდა და სჯეროდა, თვით ასეთ დამამცირებელ სიტუაციაში ჩავარდნილი არჩილი თავის კარიერას არ გასწირავდა, თან მოყვარული მამა შვილის თავმოყვარეობასაც გაუფრთხილდებოდა.

ლონდამ თვალი გაახილა, ერთხანს დაჟინებით გარდერობს მიაჩერდა, შემდეგ იატაკიდან გაზეთი აიღო და საწოლზე მოისროლა.

არჩილი გამარჯვებული იერით იჯდა და ლონდას თვალს არ აშორებდა. გრძნობდა, ლონდა მის ფერხთა ქვეშ იყო გართხმული. მიხვდა, ქალის სიამაყეს ხერხემალი გადაუმტვრია ,მისი სული ბოღმისა და შხამის მორევში ჩაახრჩო.

უცებ ლონდა ფეხზე წამოდგა, ხელჩანთა მონახა, სიგარეტის კოლოფი და კვესი ამოიღო, ლოგინის თავთან პატარა, ჩუქურთმებიან ტუმბოზე დადებულ საფერფლეს დასწვდა და კვლავ სავარძელში ჩაჯდა.

მშვიდი და მტკიცე იყო მისი ყოველი მოძრაობა. არჩილის წინ თითქოს კვლავ ძველი ლონდა ნაკაშიძე იჯდა, მშვიდი და ამაყი, მტკიცე და საკუთარ თავში უსაზღვროდ დაჯერებული.

ლონდამ საფერფლე სავარძლის სახელურზე დადგა, სიგარეტს მოუკიდა, ფეხი ფეხზე შემოიდო და ბოლის წვრილი ნაკადი, როგორც სჩვეოდა, ოდნავ მაღლა გაუშვა.

ლონდას სავარძელი ისე იდგა, რომ არჩილი მეუღლის პროფილს ხედავდა. თუ ლონდა არ მოიხედავდა, გამორიცხული იყო მათი თვალები ერთმანეთს შეხვედროდა. ამ მხრივ არჩილს უკეთესი პოზიცია ეჭირა, მართალია, პროფილში, მაგრამ მაინც შეეძლო, ლონდას სახეზე გამოსახული გრიმასი შეენიშნა. კამათის დროს, მით უმეტეს, საბედისწერო დიალოგის დროს, ეს ბევრ რამეს ნიშნავდა. არჩილს გაახსენდა, ერთხელ კინოფილმის ჩვენების დროს ვიღაც უკან მჯდომს შენიშვნა მისცა, ნუ ლაპარაკობთო. მან უხეშად უპასუხა. ვალში არც თვითონ დარჩა, მაგრამ მთელი სეანსის განმავლობაში გაიტანჯა, მოწინააღმდეგეს აშკარად უკეთესი პოზიცია ჰქონდა. თითქოს გრძნობდა, უკან მჯდომი უცნობის თვალები კეფას როგორ უბურღავდა.

ახლა მისი თვალები ლონდას სახეზე და სხეულზე დარბოდა. ლონდა კი, თუ არ შემობრუნდებოდა, ქმარს ვერ ხედავდა. იქნებ ქალს ერჩია კიდეც ასეთი პოზიცია? იქნებ თვალებით ბრძოლა სრულებით არ სიამოვნებდა?

დამნაშავეს ყოველთვის უჭირს თვალი გაგისწოროს. ლონდამ იცოდა, რომ დამნაშავე იყო. მშვენივრად იცოდა, რომ მისი გამართლება არცერთი პუნქტით არ შეიძლებოდა. ამიტომ იქნებ მისთვისაც მომგებიანი იყო გვერდულად ჯდომა? იქნებ სულაც არ ჰქონდა სურვილი, ლაპარაკის დროს ქმრისთვის თვალი თვალში გაეყარა?!

ორივენი დუმდნენ და სიგარეტს ხარბად ქაჩავდნენ. და თითქოს მოხდა სასწაული, ისინი უსიტყვოდ ჩაებნენ მწარე, დამამცირებელ დიალოგში, უსიტყვოდ ლანძღავდნენ ერთმანეთს.

„ვიცი, გეზიზღები, რომ შეგეძლოს, ძაღლივით მიმახრჩობ“.

„არ ხარ მიხრჩობის ღირსი?!“

„ვთქვათ, ვარ. თავს არ ვიმართლებ. მხოლოდ ერთი რამ მაოცებს, აი, ახლა, შენს სახესა და თვალებს ვერ ვხედავ, მაგრამ სახეზე ვგრძნობ, როგორი ზიზღით მიყურებ“.

„მერე? მამტყუნებ?!“

„სათქმელი ბოლომდე მათქმევინე!“

„ერთი რამ ვერ გამიგია. ვიცი, დიდი შეურაცხყოფა მოგაყენე. ვიცი, როგორი თვალებითაც მიყურებ. კიდევ ვიმეორებ, რომ შეგეძლოს ძაღლივით მიმახრჩობდი. მით უფრო ვერ ამიხსნია შენი წეღანდელი გაშმაგება. როგორ შეგეძლო ასეთი ვნებით, ასეთი ნეტარებით დაგეკოცნა მთელი ჩემი სხეული? იქნებ ეს სიყვარულთან უკანასკნელი გამოთხოვება იყო?“

არჩილმა შეატყო ქალი უხმო დიალოგში გულწრფელი საუბრისაკენ უბიძგებდა. შეკითხვაზე სწორ პასუხს შეიძლება სანტიმენტალიზმის გზაზე დაეყენებინა და შურისძიებით, მეუღლის დამცირებით ველარ დამტკბარიყო. მოულოდნელად გადაწყვიტა უხეშად ეპასუხნა, ჩიხში მომწყვდეული ქალი კიდევ უფრო დაემცირებინა, მიწასთან გაესწორებინა.

„იცი, რამ გადამრია? შურისძიების გრძნობამ! ვზეიმობდი, რომ ჩემთვის საძულველი ადამიანის სატრფოს ვაუპატიურებდი! გასაგებია?“

არჩილს თვითონვე მოეწონა თავისი პასუხი და ისიც კი დაასკვნა, იქნებ წეღან ქვეშეცნეულად მართლაც ასეთი გრძნობა დამეუფლაო.

„ნაძირალა ხარ, უკანასკნელი სალახანა!“

„მართალი ხარ. ცამდე მართალი ბრძანდები, ეაგრამ შენთან შედარებით ფრთიან ანგელოზად გამოვიყურები!“

„ახლა რას აპირებ!“

„რას უნდა ვაპირებდე?“

„რატომ არ მიმატოვე, რატომ შენს სახლში არ წახვედი? იქნებ აქ იმიტომ დარჩი, რომ საკუთარი თვალით დაგენახა ჩემი განადგურება? დამტკბარიყავი ჩემი უმწეობითა და უსასოებით?“

„სავსებით მართალი ბრძანდები!“

„დღეიდან როგორ ვიცხოვრებთ?“

„დღეიდან? ალბათ, ჩვეულებრივად!“

„როგორ, — „ჩვეულებრივად?!“ — ყველაფერი რომ გადაყლაპო, ხომ იცი, კიდევ უფრო რომ შემზიზღდები?!“

„შენ ისე ვერ შემიზიზღებ, როგორც ეე ეზიზღები. ჩვეულებრივად მეთქი, როცა ვარ, ცხოვრების გარეგან ფორმას ვგულისხმობ. არ მინდა მტერი გავახარო, არ მინდა მთელი თბილისი ჩვენს სახელებზე ვაჯირგალო. კრიერა ჯანდაბას, თანამდებობა და წინსვლა ჯანდაბას! დათოს რას ვერჩით? განა არ იცი, როგორი მგრძნობიარე ბავშვია?!“

პაუზა, ხანგრძლივი პაუზა.

„დღეის იქით მე ამ ოთახში ველარ მიხილავ. ჩემი საწოლი ოთახი კაბინეტი იქნება. მამაშენის საძინებელ ოთახში აკადემიკოსის მემორიალი მოვაწყოთ. მტერს და მოყვარეს დავანახოთ, რა შვილი და სიძე ჰყოლია ბატონ დავითს! ბავშვი ჯერ პატარაა, ვერაფერს მიხვდება, რატომ გვძინავს ცალ-ცალკე კარგი იქნება, თუ რამდენჯერმე ხელსაყრელ სიტუაციაში გააგონებ მას დიდი და სერიოზული პრობლემის გადაჭრა დაავალეს, ამიტომაც იძულებულია ღამღამობით იმუშაოსთქო! ჩვეულებრივ, მოყვარული ცოლქმარივით ვისადილებთ და ვივახშმებთ. საუზმე დღემდე არ გაგიკეთებია ჩემთვის და დღეიდან ხომ არ დაგიფრთხობ დილის ძილს. ასე გავა რამდენიმე წელი. შემდეგ დათოც წამოიზრდება და ალბათ მეც გადავალ დედაჩემთან. ხედავ, საყვარელო, ყველაფერი რა კარგად მოვიფიქრე! ოღონდ ერთი პირობით. იმ გარეწართან ყოველგვარ ურთიერთობას გაწყვეტ. შვილის ხათრით, დათოს ხათრით, გაწყვეტ! გასაგებია?“

პაუზა. ხანგრძლივი პაუზა.

„თუ გათხოვებას დააპირებ, წინ არ გადაგეღობები, უმალვე წავალ აქედან. ახლა მთავარია ჩვენი ბავშვი, ჩვენი დავითი!“

უცებ ლონდა შემობრუნდა, მეუღლეს თვალი თვალში გაუყარა და დიალოგი ხმამაღლა გააგრძელა.

— იმედია, მამაჩემის გასვენებისას შენ უკვე იზრუნე ჩვენი შვილის სულიერი ტრავმისაგან გადასარჩენად.

— დიახ, ვიზრუნე.

— სად ვიყავი მაშინ ან ახლა სად ვიმყოფები?

— მოსკოვში, თერაპიულ საავადმყოფოში, შენ იქ ჩემი გამგზავრებიდან მეორე დღეს გადმოფრინდი. უეცრად თირკმელში კენჭმა გაგიარა. მამის სიკვდილი არ გაგიმხილე. შემეშინდა, რამე არ მოგსვლოდა. იძულებული გავხდი, შენთვის სიცრუე მეთქვა, სასწრაფოდ სამსახურში გამომიძახეს. თან დაგამშვიდე, ნუ გეშინია, ოთხ დღეში უკან ჩამოვფრინდები-თქო. — არჩილმა სიგარეტის ნამწვავი საფერფლეზე დააგდო. — ახლა კი წამოდექი და გაამზადე. ხვალ დილით ქუთაისში წავალთ და მოსკოვში იქიდან გადავფრინდებით. არა მგონია, იქ ვინმე ნაცნობს გადავეყაროთ. მოსკოვიდან შენს რამდენიმე დაქალს დაურეკავ, შენი უკეთ ყოფნით გაახარებ და თან ტელეფონის ნომერს მისცემ, დაე, მათაც დაგირეკონ. რომ ჩამოვალთ, კარგი იქნება, აეროპორტში რომელიმე მათგანი თუ დაგვხვდება. ეჭვი ძირშივე უნდა აღმოიფხვრას. დღეიდან ჩვენ ბედნიერი ცოლ-ქმრის ურთულესი როლები უნდა ვითამაშოთ. დღეს კი ტელეფონი გამოვთიშოთ. მეზობლებმაც არ უნდა გაიგონ, რომ შინ ხარ. დიახ, შენ ხომ მოსკოვში ბრძანდები.

ლონდამ ერთბაშად არაფერი უპასუხა. მიხვდა, ქარიშხალმა გადაიარა. ქმრის წინადადებამ თითქოს გაახარა კიდეც. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი გაირკვა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

— მამამ სიკვდილის წინ ხომ არ იწვალა?

არჩილი მიხვდა, ლონდას მოულოდნელი შეკითხვა, თანხმობას ნიშნავდა.

— სიკვდილი არც გაუგია. თურმე პატარა, ხის სამფეხა სკამზე ჩამომჯდარი გაზეთს კითხულობდა. უცებ გადმოვარდნილა და გათავებულა. გაზეთიც კი არ გავარდნია ხელიდან.

— მამა, საცოდავი მამა! — წასკდა უცებ ტირილი ლონდას. ახლა უკვე მამის ყარდა აღარავინ ახსოვდა. კედელზე დაკიდებულ მამის პორტრეტს შეხედა და მწარედ აქვითინებული საწოლზე თავდაღმა დაემხო.

არჩილი წამოდგა და ოთახიდან უხმოდ გავიდა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ქვლივიძე

ახალი ლექსები

* * *

ამ ბოლო ხანში, გარკვეულ მიზნით
ბევრმა ქართველმა დაღვარა სისხლი,
ზოგმა თავისი, ზოგმა კი — სხვისი.
იმის მიხედვით, თუ სად და რისთვის
საჭირო გახდა გაღება სისხლის —
ბრძოლის ველზე თუ საკუთარ სახლში...

ბევრი რამ მოხდა ამ ბოლო ხანში.

აფხაზეთი. 1998.

რამ დამავიწყოს ის საბრძოლო ჩემი „ნათლობა",
როცა მდინარე ბზიფის პირას, გაგრის მახლობლად,
მტერმა ალყაში მოგვაქცია, შემოგვიტია
და... რაღა ბევრი გავაგრძელო, ყოფა გვიტირა!

მე ახლაც მიკვირს, იმ საშინელ ტყვიების ქარში,
როგორ არ გავტყდი, არ შევშინდი, არ მოვიხარე
და ჩემი სული — სასიკვდილოდ დაჭრილი ბავშვი —
ბრძოლის ველიდან სამშვიდობოს გამოვიყვანე...

მაგრამ, უბედურს ვერ ვუშველე: მხოლოდ იწვალა,
და გონწასული
ჩემს ხელშივე გარდაიცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმი – 1992

ფრიდონ ხალვაშს

საქართველოს ცა და ხმელეთი აქ თავდება და დაბალ-დაბალი სახლებისა და მყუდრო ქუჩების იქით მოულოდ-ნელად ზ ღ ვ ა იშლება. იგი უზარმაზარი ნაცრისფერი სელაპივით გაწოლილა ნაპირთან, თავის ფარფლებიან კი-დურებს ქვებს უტლაშუნებს და ფშვინავს, თითქოს ამით გვანიშნებდეს: ცოცხალი ვარ, ასფალტი არ გეგონოთ და ფეხი არ დამაბიჯოთო!

არადა, მართლა ცოცხალია და ტოლს არავის უდებს გარინდებითა თუ მძვინვარებით, თავისი ახირებული ხა-სიათით.

ბათუმში კი ამ დროს სიმშვიდეა: სროლა არ ისმის, პორტში გემები შემოდიან და სანაპიროზე ხალხი სეირ-ნობს.

თხოვნა

მე გთხოვთ ყველა ჩემს თანატოლს,
ყოფილ ბიჭებს და გოგონებს,
მოგონებებით ავადმყოფს
იქნებ მიშველოთ როგორმე;
ქვეყნისთვის გარჯილ ბერიკაცს
მეც დამიფასოთ ამაგი
და მომარჩინოთ სენისგან,
რომელსაც „ხსოვნა“ დავარქვი!

ქართულ ენაში, თუმცაღა, არსებობს სიტყვა ამგვარი,
სამედიცინო სიტყვარში არაა მისი ხსენება,
მე კი ილაჯი წამერთვა წარსულის გზებზე ყანყალით, —
სულ გარდაცვლილებს ვიხსენებ და წუთით არ მესვენება!

მოდით, გეთაყვა, მომხედეთ! გამართეთ რაღაცნაირად!
მე ვიცი, ჩემი მორჩენა არ უნდა იყოს ადვილი,
მაგრამ ეცადეთ, წარსულ დროს წაართვით ჩემი თავი და
კვლავ დამაბრუნეთ აწმყოში, საცაა ჩემი ადგილი!

* * *

სტიქსის ნაპირზე ვდგევარ
და ველოდები ქარონს.
მოგონებების ტყვე ვარ,
მოგონებებით ვხარობ.

საცაა გავალ გაღმა
და იქ დამხვდება დედა...
მე ჩემს ცხოვრებას ახლა
მარტო სიზმარში ვხედავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა გიორგის

მე რომ მოვკვდები, შვილო, და დამაყრიან მიწას
და მიჩუმდება ხმები სამგლოვიარო მარშის,
შენ ჩემ საფლავთან მოსვლა დაგეზარება ხშირად,
რადგან ათასი საქმე გამოგიჩნდება მაშინ...

მე არ გაყვედრი ამას. მე ახლაც ვიცი, რომ შენ
არ დამივიწყებ, მაგრამ, ორომტრიალში დღეთა,
თუ ჩემ საფლავთან მოსვლა დაგაგვიანდეს, ზოგჯერ
სიზმარში მაინც მნახე, რომ ვიყოთ ისევ ერთად.

* * *

მშიერ-მწყურვალი შეიძლება დანაყრდეს პურით.
შეურაცხყოფილს შეუძლია იძიოს შური.
ვნებამორეულს — დედაკაცთან დაიცხროს ვნება,
ხოლო ავადმყოფს — განიკურნოს და იგრძნოს შვება.
ბოლოს და ბოლოს, ქვეყნად ყველა კმაყოფილდება,
ასე თუ ისე, მიზანს აღწევს,

ჟინს იკლავს,

ძღება:

მშიერი — პურით, ხარბი — ფულით, მოშურნე—სისხლით...
და მხოლოდ იგი, ვისაც უყვარს მოყვასი თვისი,
შეყვარებული —
სიყვარულით მშიერი კვდება!

ისევ გოგია!

ისევ გოგია! ისევ ჩემი ბიჭი გოგია
სიტყვას მოითხოვს და რას იზამ, უნდა დავნებდე.
ის მდინარეა, მე კი მისი კალაპოტი ვარ
და მევალება ჩავიყვანო ოკეანემდე.

ისევ გოგია! ისევ ჩემი ბიჭი გოგია,
ვისაც დღითიდღე ჯანით ავსებს დედა-ბუნება
და მეშინია, არ ამოხტეს კალაპოტიდან
და არ დაჰკარგოს სიმშვიდე და მიმართულება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . . . . .

უბედურია, ვისაც არ ჰყავს, ვის უპატრონოს,
ვისაც გულის წილ, საგულეში უდევს ყინული,
და მე ღმერთსა ვთხოვ, ცოტა ხანი კიდევ მადროვოს,
რომ ჩემი ვალი მოვიხადო ამქვეყნიური:

ქვლივიძეანთ ჯიშის ბარტყო,
პაწაწინა არწივო,
როგორ მინდა ეს სიცოცხლე
შენთვის გავიხანგრძლივო,

დავზოგო და ვიმყოფინო
დარჩენილი წლები, რომ
ვარსკვლავების საუფლოში
ფრენა დაგაწყებინო!

დაბადების დღეს

აბა, შენ იცი, პოეტო მიხო,
წერე და წერე! რაც იყო — იყო!
თავიდან ვიწყებთ ცხოვრებას, ძმაო,
ახლა იხსნება შენი კარიბჭეც
და ნუ გადარდებს, რომ რაღაც სამოც
წელიწადს უკვე გადააბიჯე!
(თუმცა გახსოვდეს: რისიც ხარ ღირსი,
განგება მარტო იმას გარგუნებს
და უკვე დროა იფიქრო ისიც,
რომ... სამოცდაათს მიუკაკუნე!)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ ბუაჩიძე

ნამცეცები

234.

....მუსიკა აუცილებელი იყო თვით მაქს პლანკისთვის, კვანტური თეორიის შემქმნელისთვის. მისი ყველაზე ადრეული ნაშრომია „ტემპერირებული ნორმალური გამა“ — ბახის მუსიკით შთაგონებული.

235.

...ლუნაჩარსკი არაფერი შვილი მეცნიერი თუ მწერალი იყო. ისიც კი თვლიდა, რომ მუსიკა დიდი ძალით ავლენს კოსმოსის, ადამიანთა საზოგადოების და ადამიანური ბუნების ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს კანონებს, გამოსახავს მათ ჰარმონიისა და დისჰარმონიის ჭიდილში და ესწრაფვის ერთგვარ განმუხტვას.

236.

...ზოგიერთი თვლის, რომ ატომური რეაქტორების დაპროექტებაში, სხვა სპეციალისტებთან ერთად, მუსიკოსებიც უნდა მონაწილეობდნენ. ძალიან მაინტერესებს, ჩერნობილის რეაქტორის შექმნაში თუ მონაწილეობდა ვინმე მუსიკოსი? იქნებ, იმიტომაც...

გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 3.

237.

...ჩემს დროს ყველაზე ცნობილი ენათმეცნიერი, სტილისტი და თეორეტიკოსი რუსთა შორის იყო ვ. ვ. ვინოგრადოვი. სტუდენტები ერთმანეთში „სამ ვ-ს“ ვეძახდით (ქართველები ცოტა სხვანაირად). აი, რა თქვა მან: „ყველა ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოები როდია პოეტური ქმნილება, მაგრამ ყოველი პოეტური ნაწარმოები მხატვრული ქმნილებაა“.

თითქოს ბანალური აზრია, ყველამ რომ ვიცით. თავდაპირველად ჩვენც ასე გვეგონა, დავცინოდით კიდეც — ვოლგა ჩადის კასპიის ზღვაში. თუ ჩავუფიქრდებით, მთლად ასე არ არის, მე რომ მკითხოთ, სრულიადაც ასე არ არის. ცოტა ტვინის განძრევაა საჭირო.

238.

...ოთახში მაგიდაზე კატა ზის და იღიმება. ღიმილი კარგად ჩანს, მაგრამ ოთახში კატა არ არის... ბევრი გამოიცნობს, ვინ თქვა ეს და რა იგულისხმება?

239.

...ზოგჯერ გინდა და არგინდა. ამ „მინდა-არმინდას“ შორის მიმდინარეობს ადამიანის მთელი ცხოვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ჯამს მიუახლოვდები, კი „გინდა“, მაგრამ გვიანღაა.

240.

...ვუბრუნდები ვ. ვ. ვინოგრადოვის ნათქვამს და ვუმატებ, რომ კიდევ უფრო დაგაბნიოთ ან პირიქით: თუ მხატვრულობა გაიგივებულია არა ხელოვნების არსთან, არამედ მის გარეგნულ მოჩვენებითობასთან, რომელსაც არსის პრეტენზია აქვს და სხვადასხვა სიბრტყის მოვლენები მხატვრულობისა და პოეტურობისა ერთნაირი მიდგომით იზომება, მაშინ კანონდება ის დებულება, რომ ხელოვნება და ხელოვნების იმიტაცია თანაბარია, სრული თანხმობით თანაარსებობენ, ასევე პოეტური და პოეტურის იმიტაცია თვით განსაჯეთ...

241.

....თეორიაშიც და პრაქტიკაშიც მთავარი ის არის, რომ მხატვრულობა ერთგვარი და თავისებური წყალგამყოფია“ ხელოვნებასა და ხელოვნურობას შორის. ისე, როგორც ადამიანის, ვთქვათ, ცოცხალი ხელი და მისგან აღებული ტვიფრი. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მხატვრულობა კიდევ ერთი დილემის წინაშე 'გვაყენებს: ხელოვნების როგორც მთლიანობის (ხელოვნების სპეციფიკა) გაგებისა და ღირებულებითი (აქსიოლოგიური ასპექტი) ცოდნისა.

242.

...ისევ სულ უბრალოზე და პრიმიტიულზე: სემიოტიკა და სემანტიკა. ბევრი ჩემი სტუდენტი ერთმანეთში ურევდა და ურევს ამ ორ ბერძნულძირიან ტერმინს. განსხვავება დასამახსოვრებლად სულ ადვილია: სემიოტიკა ანუ სემიოლოგია — ზოგადი თეორიაა ნიშანთა თვისებების სისტემებს რომ იკვლევს; სემანტიკა ლოგიკის ანუ მეტალოგიკისა და სემიოტიკის ერთი განყოფილებაა, ერთმანეთთან დაკავშირებულ ცნებათა კომპლექსს, რომ ეძღვნება, რომელთა შორის მთავარია მნიშვნელობისა და აზრის გაგება.

243.

...იმის გადაწყვეტისას, თუ რა უნდა დავინახოთ ნაწარმოებში, ჰეგელს ლიტერატურა დაჰყავდა იდეის დონემდე, იპოლიტ ტენს — ფაქტამდე, ზიგმუნდ ფროიდს — ლიბიდომდე, კარლ იუნგს — არქეტიპამდე, ბოლშევიკებს — ეკონომიკამდე...

244.

...ჩვენთვის კარგად ცნობილი ფერდინანდ ბრიუნეტიერი (იხ. კიტა აბაშიძე) ძირითადად ჟანრების ევოლუციას სწავლობდა, იკვლევდა, ქადაგებდა და ამკვიდრებდა.

245.

...იმ მოდუსის მკაფიო მაგალითი, როდესაც სურთ რთულის გამარტივება, მარტივამდე დაყვანა, ზოგიერთ დღევანდელთა ცდაა, რომ — ლიტერატურა დაიყვანონ ფორმალური სტრუქტურის, სიმბოლოს, სემანტიკური ნიშნის დონემდე. ზოგიერთნი კი ამტკიცებენ, რომ პირიქით, ეს არის მარტივის გართულება, რთულამდე აყვანა.

246.

...ლიტერატურული ხატის (სახის) ბუნება ერთიანია, და ეს ერთიანობა მაშინაა შესაძლებელი, ხატის სხვადასხვა დონეები თუ ერთმანეთს არ გამორიცხავენ, არამედ ავსებენ და ერთმანეთზე ლაგდებიან. ამ აპრიორული მტკიცების შემოწმება მხოლოდ კონკრეტული ნაწარმოების კონკრეტული ანალიზით ხერხდება.

247.

...აბა დააკვირდით: წიგნებს რომ კითხულობდა, ალიოშა პეშკოვი — მომავალი მაქსიმ გორკი — ისე მკაფიოდ წარმოიდგენდა წაკითხულს, იმგვარად |იყო განცვიფრებულ-გაშტერებული ბეჭდური სტრიქონის ჯადოქრული ძალით, იმდენად არ ესმოდა ᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚ სიტყვაში ჩაფლული საიდუმლოება და ეძებდა მას, რომ სინათლის შუქზე ჭვრეტდა წიგნის ფურცდებს, იქნებ დავინახოო.

248.

...ყმაწვილკაცობაში ერთი ახლო ამხანაგი მეუბნებოდა: — ვერ ვიტან კენტ ციფრებს და რიცხვებს, ლუწი რომ შემხვდება, მიხარია და ვეფერებიო. სიმეტრია გიყვარს და ვიზიდავს-მეთქი? — ვეკითხებოდი. ის გაოცებული შემომხედავდა...

249.

...ხანგრძლივი და დამქანცველი ლოდინის შემდეგ მიღებული რაღაც სანახევროდ ჰკარგავს მნიშვნელობას. ან (იშვიათად, უმეტესად ბავშვებში) კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

250.

...ედუარდ სეფირი: „ლიტერატურა, რომელიც იკვებება ენის უმეტესად ქვემო პლასტებით, ფენებით,—ვთქვათ, შექსპირის პიესა, ითარგმნება შინაარსის განსაკუთრებული ზარალის გარეშე. ხოლო თუ ლიტერატურა მოძრაობს უმეტესად ენის ზედა ფენებში თუ დონეზე, — ამის კარგი მაგალითია სუინბერნის ლირიკა— ის, ფაქტიურად, უთარგმნელია“.

251.

...რამდენი წელი გავიდა და დღესაც მაოცებს ბროკჰაუზის ენციკლოპედიების ყოვლისმომცველობა და ობიექტურობა (სხვათა შორის, გერმანელმა ა. ფ. ბროკჰაუზმა (1772—1823) თავისი ფირმა ამსტერდამში 1805 წელს დააარსა).

252.

...ცხოვრებაში, მეცნიერებაში და მწერლურ შემოქმედებაში ფაქტებს სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭებათ (ბუნებრივია, პირობითად). მაგალითად, ლიტერატურული ნაწარმოების შინაგანი აგებულება, თუნდაც გარეგნული კონსტრუქცია და, ცხადია, მხატვრულ სახეთა ლოგიკა მოითხოვს ფაქტების იმგვარ შეთანხმებას, რომ ერთი რიგის ფაქტების მეშვეობით ძალაუნებურად არ უარვყოთ ის, რაც გამომდინარეობს ფაქტების მეორე რიგიდან.

253.

...ჭეშმარიტ მხატვარს ხელეწიფება უმაღლეს ესთეტიკურ დონეზე ის გამოხატოს, რაც არ ძალუძს არც ერთ ისტორიკოსს, ფსიქოლოგს თუ ფილოსოფოსს. ვითარცა გოეთეს უთქვამს — შექსპირის თეატრი ესაა ჯადოსნური ყუთი იმ იშვიათობებისა, რომელშიც მსოფლიო ისტორია დროის თითქოსდა უხილავი ძაფით ჩვენს თვალწინ მართავს მსვლელობას... რა მშვენიერი აღლუმია! მაგრადაა ნათქვამი...

254.

...მეცნიერებისა და ხელოვნების შედარებისას, ბუნებრივია, უნდა გვახსოვდეს: სიმართლე ის კი არაა, რომ ასახვისა და შეცნობის ლოგიკური ხერხი და წესი „უფრო ცუდია“, ვიდრე სახეობრივი შემეცნება, მხატვრული აზროვნება, არამედ ის, რომ ისი-

ნი სხვადასხვანი არიან. თუ რომ მხატვრულობა ამოიწურებოდა სამყაროს გააზრების მეცნიერული ფილოსოფიის ფორმით, ხელოვნება აღარ იქნებოდა საჭირო. ხოლო თუ სამყარო სახეობრივი ფორმით ამოიწურებოდა, მაშინ აღარ დაგვჭირდებოდა მეცნიერება. ხელოვნება შეიძლება იყოს სამეცნიერო ანალიზის საგანი, მაგრამ შეუძლებელია ამ უკანასკნელმა ის შეცვალოს.

255.

...შექსპირს რაც შეეხება, მის ტრაგედიათა მხატვრული ლოგიკა ვერ დაიყვანება ჩვეულებრივ ლოგიკამდე უიმისოდ, რომ მათ არ განიცადონ უდიდესი შინაარსობრივი დანაკარგები და არ დაინგრეს ის მხატვრული სამყარო, რომელიც გვძრავს და გვარყევს.

256.

...თუ ჩვენ ვერ ვამჩნევთ შინაგან მოძრაობას მასალიდან ფორმისკენ და ფორმიდან შინაარსისკენ, მაშინ შეუძლებელია ვიპოვოთ თანაფარდობა სახის აზრისა და სტრუქტურისა, შინაარსისა და სიტყვიერი თუ სხვა მასალისა.

257.

...ფერწერულ და სკულპტურულ ქმნილებათა ასლები, იმავე მასალაში გამეორებულნი და, ამდენად, სახის იმავე სტრუქტურის აღმდგენელნი, მითუმეტეს სიტყვაკაზმულ ნაწარმოებთა თარგმანები ერთი ეროვნული ენიდან მეორეზე, შეუძლებელია ორიგინალის იგივე იყოს. შეუძლებელია „ქართული“ კოლა ბრიუნიონი, ან „რუსული“ ბარათაშვილი, ან „გერმანული“ ომი და მშვიდობა, ან „ინგლისური“ ფაუსტი. მხატვრულ-სტრუქტურული თვალსაზრისით ესენია მათი ანალოგები სხვა ენებზე.

258.

...პროფესიონალები ხომ კარგად დაკვირვებიხართ: რაღაც იდეის გულში ტარებისა და წინასწარი განცდის სტადიაშიც კი, მითუმეტეს მისი მომწიფების პერიოდში, იდეა არ არის მთლად „უსხეულო“, მხოლოდ თავიდან ამოსული, არამედ ასოციაციათა და წარმოდგენათა კომპლექსია, მასალისკენ „დამიწებული“. მოქანდაკისთვის „ყველაფერი ფიგურებად იქცევა“ (ჰეგელი), „მხატვრები უნდა მსჯელობდნენ ფუნჯით, ყალმით“ (ბალზაკი), მოცარტს ერთ წამში მოესმოდა ჯერ კიდევ დაუწერელი მთელი ოპერა ან სიმფონია...

259.

გარეგნულად ზოგიერთ პარადოქსულზე რომ ვიტყვი ან დავწერ ხოლმე, ახალბედა მკითხველთაგან რატომღაც შეცბუნებულნი მეხმიანებიან და ზოგჯერ იმგვარ რაიმეს მთავაზობენ, რომ ეჭვი მეპარება არა მხოლოდ მათ კეთილგონივრულ ზნეობაში, არამედ ნორმალური აზროვნების უნარშიც. და, სამწუხაროდ, ეს ხდება ჭკუა-გონების ტრადიციებით განთქმულ საქართველოში, როცა დღეს სწავლას მოწყურებულმა ახალთაობამ ლამის უმაღლესების კარი შეამტვრიონ, რათა ცოდნას ეზიარონ?... ესაა პარადოქსი და არა ის, ზოგჯერ რომ ვამბობ.

260.

...პოეტური შინაარსი არ უდრის ცხოვრებისეულს. ივარაუდება ნებისმიერი მხატვრული სახის პირობითობა. იმ შემთხვევებშიც კი, როცა იქმნება ობიექტის ასლი. ხომ გახსოვთ, როგორ დასცინოდა გოეთე ასასახველისა და ასახულის გაიგივებას: ქვეყნად ჩნდება ერთის მაგივრად ორი ძაღლი, თანაც ერთნაირი... დაუმსგავსებლობა აუცილებელი მომენტია მიმსგავსებისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის შედეგად ხდება სახეობრივი შინაარსის წარმოქმნა და სათანადო რეალიზაცია.

261.

...„თავისუფლება — ეს ისაა, როცა ყველა და ყველანი მე მეთანხმებიან, მაგრამ მაშინ მე აღარ ვვარსებობ, რადგან ყოველი ჩვენგანი თავისთავს მხოლოდ შეჯახებებში, წინააღმდეგობებში შეიგრძნობს“, — ლევ ტოლსტოი. თქვენ კი ამბობთ, რომ ტოლსტოი წინააღმდეგობის გაუწევლობას ქადაგებდაო!

262.

...ლიტერატურული სტილი, რომელსაც მნიშვნელოვანის პრეტენზია აქვს, არის ტექსტის იმგვარი ორგანიზაცია, შეგნებული თუ შეუგნებელი, აზრის უნივერსალურ დამოუკიდებლობას რომ ვარაუდობს. მასში ნასახიც არ არის არც ფანტაზიის თვითნებობისა და არც უბრალო მოანგარიშის გულგრილობისა. მხატვრულ ნიჭზე დაფუძნებული და მასზე დაქვემდებარებული ანგარიშიანობა არის მწერლის ტექსტი, მოქანდაკის ფიგურა, მხატვრის სურათი, მუსიკოსის ჰანგი, არქიტექტორის შენობა.

263.

...მხატვრულ ტექსტში არსებობს განსაკუთრებული სიტყვიერ-ესთეტიკური კავშირები, რომელთა გაწყვეტას თან სდევს სიტყვიერ-სახეობრივი უჯრედის თუ ქსოვილის რღვევა. ზოგჯერ ეს ავტორის შეუმჩნეველად ხდება. ნორმალური მკითხველი ამას საერთოდ ვერ არჩევს, ხოლო პროფესიონალს ელდა ეცემა ხოლმე.

264.

...მხატვრული ქმნილება, რა სახისაც უნდა იყოს, არ არის ანალოგი არც ნახაზისა და არც მათემატიკური ამოცანის ამოხსნისა, მაგრამ არც „ცოცხალი ორგანიზმია“, ზოგჯერ იტყვიან ხოლმე. ის განსაკუთრებული ფენომენია, მხატვრული სისტემაა, ვერავითარ სხვა სისტემებს რომ ვერ შეედრება. სახის ანუ ხატის თვითმოძრაობის შედეგად ხდება შინაარსის მასალაში ფორმირება და მასალაში შინაარსის კრისტალიზაცია. ამასთან, იგულისხმება ნაწარმოების შიგნით ესთეტიკურ ურთიერთობათა ოპტიმალური ვარიანტის შექმნა. თუმცა ეს ხშირად გაცილებით უბრალოდ, ნიჭიერი შემოქმედის ამგვარი მსჯელობის გარეშე ხდება. მაგრამ რაღაც სიტყვებით ხომ უნდა გადმოვცე ის, რაც ხდება. სხვა, უფრო უბრალო და მკაფიო გამოთქმები ვერ მიპოვია. ალბათ არსებობს, მაგრამ მე არ ვიცი.

265.

...ჯერ კიდევ აბატი პრევო თავისი განთქმული თხზულების შესავალში სვამდა საკრამენტულ კითხვას: „რა არის მიზეზი ადამიანის გულის იმ უცნაური თვისებებისა, რომ სიკეთისა და სრულყოფილების იდეით გატაცებული, საქმით შორდება მათ“. და შემდეგ გვერდზე უმატებს: „სწორედ იმიტომ, რომ ზნეობრივი წესები წარმოადგენენ მხოლოდ განუსაზღვრელ და ზოგად პრინციპებს, ძალიან ძნელი ხდება ცალკეულ ხასიათებზე თუ საქციელზე მათი მიყენება“.

266.

...აქვე გამახსენდა „მანონ ლესკოზე“ ანატოლ ფრანსის ბრძნულად და მწერლურად თქმული: „რაც შეიძლება მსუბუქად შექმნა რა ხელოვნების

ეს სასწაული, პრევომ რომანის წასაკითხავად დამრიგებლური შინაარსის ორი გვერდი დაწერა. ეს თითქოს შალია მადემუაზელ მანონის მხრებზე წამოსხმული. ამ მცირე ნაწყვეტში თავის დამსახურებად იმას თვლის, რომ შექმნა კეთილზნეობის სასარგებლო თხზულება. არ ვკამათობ, მართალი ბრძანდებით. მაგრამ ეს მშვენიერი აზრები თავში მოგივიდათ, ძვირფასო აბატო, მხოლოდ მას შემდეგ, რაც წიგნი დაწერეთ. სანამ კალამს აქეთ-იქით ატარებდით, შთაგაგონებდა მოგონებანი თქვენს პირველ გატაცებებზე, — მხოლოდ ის".

267.

...სწორედ მხატვრულობა არის განსაკუთრებული თვისება, რომელიც აბოლოებს ერთგვარ ჯაჭვს ცხოვრებასა, სახესა და სტრუქტურას შორის. შედეგად წარმოიშობა მხატვრული სიმართლე, რომელიც სიმართლეა იმდენად, რამდენადაც გამოხატავს სიმართლის ობიექტურ შინაარსს, მაგრამ ამასთანავე მხატვრულია იმიტომ, რომ აუცილებლად ახალი სამყაროა. ხელოვნების არსი სწორედ უსასრულო გარდაქმნაა ფორმისა შინაარსში და შინაარსისა ფორმაში.

268.

...ახლა ისეთი დრო დადგა, რომ სტრუქტურული პოეტიკის მომხრენიც აღიარებენ მხატვრული ხარისხის სინთეტურობას, მაგრამ ეს მათ ესმით მხოლოდ თანამედროვე კიბერნეტიკის განვითარების ფარგლებში. მათთვის სახე მხოლოდ უფრო რთული ერთიანობაა ნიშანთა ყველა სხვა სახეობისა, კერძოდ — ინფორმაციულისა, შემფასებლურისა, მიმთითებლურისა და მაფორმირებელისა. მაგრამ ხელოვნებაში სახე რომ არ აჯამებს სხვა ნიშანთა სისტემების თვისებებს? აქ ხომ არ უნდა ვეძიოთ მათი მთავარი ნაკლი ან შეცდომა?

269.

...არისტოტელეს „პოეტიკაში" ... ფუძველჩაყრილი მიბაძვის თეორიის საწყისები,შემდეგ რომ განავითარეს, ერთობლივად მოიცავენ შინაარსობლივ და ფორმალურ მხარეებს მათ აუცილებელ ერთიანობაში. მაგრამ სწორედ ეს დებულება აღმოჩნდა ყველაზე ნაკლებად გამოვლენილი არისტოტელეს მიმდევრების მხრივ და არ ყოფილა საკმარისად ათვისებული ესთეტიკური ტრადიციის მიერ თვით ჰეგელამდე, რომელმაც არსებითად დაამუშავა ის დიალექტიკის საფუძველზე.

270.

...ხელოვნების ისტორია გვიდასტურებს იმ შემთხვევებს, როცა ხდება ფორმით დასაჯერებელი, მაგრამ არსებითად ყალბი ასახვა ცხოვრებისა და პირიქით — გარეგნული ფორმების გაბედული და ნოვატორული ტრანსფორმაციით იქმნება უმართლეს და უბრწყინვალეს სახეთა გალერეა, მაგალითად, რაბლესა და სვიფტის შემოქმედებაში. ბევრი ვეძიე ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში მსგავსი მოვლენა, მაგრამ დღემდე არსებითს ვერაფერს მივაღწიე, თუ არ ჩავთვლი ი. ჭავჭავაძისა და დ. კლდიაშვილის ზოგიერთ პასაჟებს და ლ. გუდიაშვილის ცალკეულ მოტივებს — „ტვინის ჟყლეტა" და იმ სერიის სხვა ნამუშევრები, ლუარსაბს ხომ არ ჩავთვლი პანტაგრუელად? სასცენო ხელოვნებაში ალბათ რ. სტურუასა და რ. ჩხიკვაძის ყვარყვარეს თუ დავასახელებ.

271.

...დიდი მწერალი ყოველთვის გვევლინება თავისი საუკუნის შვილად, რაც უნდა ასწრებდეს გენიალური აზრითა და მზერით კაცობრიობის შეუჩერებელ ნაბიჯებს. მისი შეცნობა მისივე საუკუნის ღრმა შეცნობის გარეშე შეუძლე-

ბელია. იქ დევს სათავე და საწყისი მისი ყველა წამოწყებისა, იდეებისა, აღმოჩენებისა, მხატვრული ქმნილებებისა, რომელთაც მადლიერების გრძნობით ითვისებენ შთამომავლები და გულუხვად ამდიდრებენ იმ სალაროს, რომლის სახელია „კულტურა“.

272.

...ისტორიული, თვითშეგნება, აზროვნება, მსოფლგაგება, ყოველწუთიერი შეგნება, ხსოვნა და გათვალისწინება იმისა, რომ ახლა რასაც შენ აკეთებ, ფიქრობ და ვარაუდობ, მხოლოდ შენ, შენ ახლობლებს, შენ თანამოსამსახურეებს კი არ ეხება. ამ შეგნების მასობრივი დანერგვა, ჩანერგვა, ვფიქრობ, ერთადერთი საპატიო, დასაშვები, ყოველმხრივ გამართლებული საქმეა მთელი ჩვენი იდეოლოგიისა (ძველი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ), თვითეული ჩვენგანისა. ამის მრავალი ხერხი და იარაღი არსებობს — პირდაპირიცა და ირიბიც. ამ უკანასკნელის ყველაზე ქმედითი და მძლავრი საშუალება ლიტერატურასა და ხელოვნებას აქვს.

273.

...მთავარი ის კი არ არის, ვინ იტყვის ყველაზე დიდ სისულელეს ნაპოლეონი, ჰიტლერი თუ მე, არამედ ამ სისულელის შედეგი. მთავარი ის კი არ არის, ვინ იტყვის ყველაზე დიდად ჭკვიანურს მარქსი, ლენინი თუ თქვენ, არამედ ამ ჭკვიანურის შედეგი. შედეგით ფასდება ყოველივე. და იმ შედეგითვე ისტორიულად ისაზღვრება მთქმელის მასშტაბი და მნიშვნელობა. მსურდა, მეტი მეთქვა ამის თაობაზე. ალბათ სხვა დროს...

274.

...დიდად გააყალბეს პიროვნების როლი ისტორიაში—ხან აქეთ ეცნენ, ხან იქით (ორმოცდაათიან წლებს ვგულისხმობ), 9 მარტის ამბებზე როცა ვწერდი, ვამტკიცებდი, რომ ეს არ იყო ნაციონალისტური გამოხტომა (ცუდი გაგებით, თორემ ნაციონალიზმი კარგია) და ნაციონალისტების გამოსვლა. ახლა ამტკიცებენ, რომ ეს იყო ეროვნული მოძრაობის მკაფიო გამოვლინება. თანახმა ვარ. იმაზეც თანახმა ვარ, რომ ჩემი მაშინდელი აზრი შეცდომად ჩამეთვალოს. მაინც იმ აზრზე ვარ, რომლის დამტკიცებასაც მაშინ ვცდილობდი. თუ რატომ და როგორ ვეთანხმები თითქოს ურთიერთ გამომრიცხავ პოზიციებს, ჩემი საქმე — საიდუმლოებაა, რომლის გაშიფვრა სულ ადვილია, თუკი მოინდომებთ.

175.

ამბობენ, ერს არ უყვარს მხდალი წინამძღოლი. თუ სიფრთხილეს სიმხდალე ჰქვია, მაშ რა ეწოდება სიშმაგეს? ერს უყვარს შმაგი წინამძღოლი? საერთოდ, ვინ და რა უყვარს ერს, დაუდგენელია. ვინც ამგვარ ზოგად სიტყვებს ამბობს და იმეორებს, ერთხელ მაინც ყოფილა წინამძღოლის როლში? ეს იგივეა, რომ თქვა: ყვავს არ უყვარს თავისი ბახალა; ყვავს უყვარს თავისი ბახალა და ა. შ. იმდენად მოსაწყენია ეს ყოველივე, ლამის გაზეთი აღარ წავიკითხო, ტელევიზორს აღარ ვუყურო. აღარ დაგვანებებთ თავს თქვენი იაფი სიბრძნით? აღარ კმარა? როცა ახლა ამ ფრაგმენტებს ვათვალიერებ, ეს მეც მეხება. და, შეიძლება, ყველაზე უფრო მეტადაც. დალახვროს ეშმაკმა!

276.

...ჩანაწერი ბეთჰოვენზე: ლუდვიგის პაპა, თვითაც ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი, წარმოშობით ფლამანდიელი კარგი მუსიკალური განათლების მქონე, ბონში დასახლდა, გახდა კურფიურსტის კაპელის მომღერალი, შემდეგ—კაპელმაისტერი. მის ოჯახში მეტად

უსიამოვნო ამბავი მოხდა: ვითარცა ტიპიური ბიურგერი, ლუდვიგი ღვინითაც ვაჭრობდა და ამით ზრდიდა ოჯახის შემოსავალს. ბონში მას ჰქონდა ღვინის ორი სარდაფი, რომლებსაც მისი მეუღლე განაგებდა. ეს ქალი ისე შეეჩვია ღვინის წრუპვას, რომ საფრთხე შეექმნა კაპელმაისტერის პრესტიჟს. თავიდან რომ აეცილებინა მწვავე ოჯახური უსიამოვნებანი და სკანდალები ქალაქში, ლუდვიგმა მეუღლე მონასტრის კედლებში გამოკეტა... ეს ქალი, გენიალური კომპოზიტორის ბებია, იქ გარდაიცვალა.

277.

...მეორე ჩანაწერი ბეთჰოვენზე: ჩერნი ჰყვებოდა: ბეთჰოვენის იმპროვიზაციები უმაღლესი ბრწყინვალება იყო და მსმენელთა განცვიფრებას იწვევდა. რომელ საზოგადოებაშიც უნდა ყოფილიყო, ბეთჰოვენს შეეძლო იმგვარად ძლიერი შთაბეჭდილება მოეხდინა ყოველ მსმენელზე, რომ ისინი ან ცრემლებად იღვრებოდნენ, ან ხმამაღლა ქვითინებდნენ... ერთხელ, იმპროვიზაცია რომ დაამთავრა, ბეთჰოვენი წამოხტა, გადაიხარხარა და დაცინვა დაუწყო მსმენელებს, რომლებიც ასე თავშეუკავებლად ავლენდნენ თავიანთ გრძნობებს... ერთხელ კი თვით ბეთჰოვენმა უამბო გოეთეს და ბეტინა არნიმს: „აცრემლებული მსმენელნი გარს მეხვეოდნენ და ტაშს არ უკრავდნენ. მე მათ ვუთხარი: „ეს ის არ არის, რაც ჩვენ, მხატვრებს, გვსურს. ჩვენ მოვითხოვთ აპლოდისმენტებს“...

278.

...აპოლინერის ლექსებში მკვეთრად გამოიხატა ავანგარდისტული ძიებანი: მას სურდა ახალი სალექსო ფორმით გადმოეცა მეოცე საუკუნის ცხოვრების წყობა და რიტმი. პროზაული მეტყველების ლოგიკური მდინარების საპირისპიროდ, თავის ლექსებს სასვენი ნიშნების (პუნქტუაციის) გარეშე წერდა. მისი ეს სიახლე შეინარჩუნა თანამედროვე ფრანგი პოეტების უმეტესობამ, რომლებიც სხვა მხრივაც დიდად არიან დავალებულნი აპოლინერისაგან (ნამდვილი სახელი იყო ვილჰელმ აპოლინარის კოსტროვიცკი, 1880—1918).

279.

...ადამიანი ნამდვილად ღვთის ქმნილებაა: ამგვარი იდეალური პროპორციები, რაც მის სხეულს ახასიათებს, თანაც ისეთი მიზანდასახულობით და მიზანშეწონილობით გამართლებული, რომ ამაში ეჭვის შეტანა მხოლოდ მაიმუნის დონეზე მყოფ კაცს თუ შეუძლია. განსაკუთრებით ქალის სხეული — ჰარმონიის იდეალი, რომელსაც არავითარი ზადი და ზედმეტობა არ ამძიმებს, არც წინ, არც უკან, არც ზემოთ, არც ქვემოთ. განსაკუთრებით იდეალურად მომრგვალებული მუხლები, თითქმის ყოველთვის რომ სჩანს და მის ზემოთ —არაადამიანური ქმნილება გენიალური ზეშთაგონებისა... ოდნავ შეცდა უფალი კაცის შექმნის დრის — მისი სხეულის ზოგიერთი ორგანო ან მათი პოტენციური თვისება, ხელს რომ უშლის ზოგიერთ ქმედებისას. ამდენად, საკვირველია მისი ნეკნიდან ქმნილი ქალი, — ამბობენ, შეძენილი გამოცდილების შედეგიაო. ღმერთს რა გამოცდილება სჭირდებოდა — მამაკაცს რომ ქმნიდა, განა უკვე მაშინვე არ იცოდა, როგორი უნდა ყოფილიყო ქალი? ვეძებ ქალში ეშმაკის ნამოქმედარს, გარეგნობაში ვერ მიპოვნია. შიგნით? შიგნით ვინ და როგორ შემახედებს? კაცისა? აქ ყველაფერი ღიაა და სახეზეა, ბოდიში, — სხეულზეა...

280.

...ზოგჯერ პატარა ბიჭუნას რომ ვეფერები, უცებ ჟრუანტელივით დამივლის ფიქრი: ამათ რომ ახლავე იცოდ-

ნენ, რა მოელით ცხოვრებაში! ახლა, ამ წუთს რას იზამდნენ? ატირდებოდნენ თუ გაიცინებდნენ? მე რომ ამოდენა ვიყავი და წინასწარ მცოდნოდა, რა მომელის, რას ვიზამდი? ძნელი წარმოსადგენია. ცხადია, გული არ გამისკდებოდა (ბავშვს არა აქვს ამგვარი, ყოველ-ქვათ, ინფორმაციის სრული აღქმის შესაძლებლობა), მაგრამ მაინც რა დამემართებოდა? ალბათ ნორმალურად ვეღარ ვიცხოვრებდი იმის მოლოდინით და შიშით, რომ ახლა მოხდება ის, რაც უნდა მოხდეს...

281.

...კარგად ვიცით, რომ არსებობს ქვეტექსტებით წერა. მაგრამ ამის ცოდნა არაფერს არ იძლევა. როგორც ჩანს, აქაც ბუნებრივი მიდრეკილებაა საჭირო. ბრტყელი ტექსტი (უქვეტექსტო ტექსტს „ბრტყელს" ვეძახი — უნდა მეპატიოს) მკითხველთა გონების ზედაპირზე გაგოგმანდება და ჩაიკარგება; ორმოები და ჩიხები რომ დახვდეს, მძიმედ წავა; ამ მძიმე სვლაში რაღაცას იმ ჩიხებსა და ორმოებში დასტოვებს და შემდეგ, ბუნებრივია, ისიც უხსოვნობაში გადაეშვება...

282.

...საინტერესოა და მეტად აქტუალურია: ბასტილიაში ჩაგდებული ვოლტერი იწერებოდა: „მოწყალეო ხელმწიფევ. უმდაბლესად მოგახსენებთ, რომ მე მცემა ბრგემ და რიხიანმა შევალიე დე როგანმა: მას ეხმარებოდა ექვსი თავზეხელაღებული, რომელთა ზურგსუკან მას ვაჟკაცურად ეკავა პოზიცია. იმ დროიდან მე ვცდილობდი აღმედგინა არა ჩემი ღირსება, არამედ მისი, ეს კი მეტად ძნელი საქმე გამოდგა"...

283.

...სულ მეშინია, ისე უცებ არ გავფშიკო ფეხები, რომ ერთი დაწყებული თხზულების დასრულება ვერ მოვასწრო... (ცოტა გრძელია და არ უნდა დამეწყო?).

284.

...ზოგიერთი უცხოელი მკვლევარი თუ პუბლიცისტი, მაგალითად ფრანგი პიერ დექსი (1955) ამტკიცებს, რომ ოქტომბრის რევოლუცია აგრძელებდა რუსულ ტრადიციას, პეტრე დიდიდან რომ მომდინარეობდა, თვით ეს ტრადიციაც იმ დროიდან მოდის, როცა ვოლტერი ადიდებდა მოსკოველ ლიკურეს, რომელმაც, მისი აზრით, არაფრიდან თანამედროვე ერი შექმნა! თუმცა პ. დექსი იქვე სინანულით აღნიშნავს, რომ ვოლტერი რატომღაც დუმს პეტრე პირველისა და ეკატერინე მეორის დანაშაულებებზე.

285.

...საფრანგეთის განათლების მინისტრი ბ-ნი ანდრე მარი ერთგან (1953 წელს) სრულიად გარკვევით და კატეგორიულად ამბობს: „პოლიტიკური და ფილოსოფიური ნეიტრალიტეტის ურყევი დაცვა წარმოადგენს უცვლელ წესს სახალხო განათლების საქმეში". ამ ნეიტრალიტეტს გაცხარებით ებრძოდნენ ფრანგი კომუნისტები...

286

...როცა 25 წლის ასაკში, უპარტიო, ხალხის მტრის შვილი, უნივერსიტეტის უმნიშვნელო დოცენტი ვიყავი, ვიფიქრებდი, რომ 29 წლისა კულტურის მინისტრი გავხდებოდი?! დანო და ძმანო იმავე ასაკისა, გწამდეთ თქვენი ბედ-იღბლისა, ოღონდ ყოველთვის გახსოვდეთ, რომ უეცარ აღზევებას (ყოველგვარ აღზევებას) აუცილებელი დაცემა მოსდევს. გწამდეთ დ ემზადეთ. მზადებაში იმას კი არ ვგულისხმობ, რომ რომელიმე თანამდებობას დაუმიზნოთ და მისკენ გაესწრაფოთ. არა. მზადება ნიშნავს იმ ნების-

მიერ საქმეში ჩალრმავებას, კომპეტენ-ტურობას, ასე ვთქვათ, პირველობას და შეუცვლელობას, რომელსაც ახლა ადგიხართ. დანარჩენი თქვენ არ გეხებათ — ბედი-მდევარი ისედაც მოგწვდებით, მოგძებნით და მოგწვდებით...

287.

...რა ასაკში იგრძენით, რომ ქვეყანას ჭირდებით? თუ არასოდეს არ გიგრძვნიათ იმას ნიშნავს, რომ არასოდეს არ დასჭირვებიხართ, ან ისე სჭირდებოდით, რომ მისი შეგრძნებისთვის არცკი გეცალათ.

288.

...ზოგიერთ ფრანგ ლიტერატორს (წინათაც და ახლაც) არცკი სურს აღიაროს ის დიდი გავლენა, არაბულ სამყაროს ევროპული შუასაუკუნეების ლიტერატურაზე რომ ჰქონდა, კერძოდ, ყველასთვის ადვილად შესამჩნევი ის წვლილი, რაც არაბულ-ანდალუზურმა პოეზიამ პროვანსული ლირიკის ჩამოყალიბებაში შეიტანა. თუ ეს შეგნებულად ხდებოდა და ხდება, მეტად სამწუხაროა, რადგან გამოცდილებით ვიცით, რომ ანალოგიურ მოვლენას ჩვენში სასურველი შედეგი არც არასდროს ჰქონია და არც ექნება.

289.

...უამრავი ლიტერატურული ჟანრი არსებობს. მათი თანამედროვე კლასიფიკაცია მეტად ზოგადია. ყველაზე მეტად ისტორიულ-ლიტერატურული ესეისტიკის ფორმა მიზიდავს. ხშირად, ოფტად ხშირად მათ საფუძველს ეს „ნამცეცები" წარმოადგენენ ან პირიქით— მათგან ეს ფრაგმენტებიღა რჩება.

290.

...და, საერთოდ, როცა გავლენაზე ვფიქრობ, თვალწინ მიდგება ოდესღაც შეთვისებული სენტ-ბიოვის „საუბრები ორშაბათობით", „კრიტიკული ეტიუდები" ბრიუნეტერისა, თანამედროვეთაგან ემილ ანრიოს „ლიტერატურული ფოსტა" და, ცხადია, რუსული ესეისტიკა ჩაადაევიდან ბერდიაევამდე. ქართველებზე აღარც ვამბობ, ილიადან გერონტიმდე — ყველა...

291.

...ყოველდღე სარკეში ერთი და იმავე ტიპის ყურება აუტანელია...

292.

...კულტურა კულტის გარეშე არ არსებობს. ჩემი კულტია სიკეთე და სამართლიანობა — ყველაზე სუსტი და დაუცველი, რაც კი ქვეყნად არსებობს... და ურთულესი — გზა სიკეთისკენ.

293.

შარშან ზაფხულს (1984-ში) შემთხვევით სამ ქართველ და ერთ მოსკოველ გრაფიკოსთან ერთად (ის მათი სტუმარი იყო) ორიოდე კვირის გატარება მომიხდა ბორჯომში. როგორც ყოველთვის, გვიან საღამოს ან ადრე დილით პატარა წიგნაკში (სატელეფონო ბლოკნოტში) თითო ფრაზით იმას ვიწერდი, რაზედაც დღისით ვსაუბრობდით. იმ ზაფხულს „გრაფიკოსთა ზეიმი" დავარქვი, რაც შორს არ იყო სინამდვილისგან — ყოველი დღე ქართულ ზეიმს ჰგავდა, მიმიხვდით ალბათ, რას ვგულისხმობ. ჩანაწერები დაახლოებით ამგვარია: „გრაფიკის განსხვავება ფერწერისა და ქანდაკებისგან" ე. ი. სპეციფიკა, არა? „გამომსახველობითი შესაძლებლობანი და მათი საზღვრები", „გრაფიკის უპირატესობა (?) ყოვლისმომცველ ფერწერასთან", „როგორ და რატომ ვირჩევთ გრაფიკას მხატვრული ამოცანის შესასრულებლად" და სხვა ამგვარი. ეს, ცხადია, მოწაფური ფორმულებია, მაგრამ ვეცდები გაჩვენოთ, რა მოსდევდა ამ პრიმიტიულ ფრაზებს. შესაძლებელია,

სპეციალისტები, პროფესიონალები კვლავ იმ დონით შემაფასებენ, ზემოთ რომ ვთქვი. რას იზამ? იქნებ სხვას უფრო გამოადგეს ეს ჩანაწერები, ვიდრე გრაფიკოსს (საერთოდ — მხატვარს), რომელნიც პროფესიონალები არ არიან (ჩემსავით), მაგრამ ეს დარგი ან საერთოდ ხელოვნება აინტერესებთ...

294.

...მათემატიკურ თეორიას აქვს დამოუკიდებელი ღირებულება. მისი არსი ვლინდება განმარტებით და წინასწარმეტყველურ ფუნქციებში. პრინციპში, თეორია არის სამყაროს უაღრესად დინამიური, სისტემატიზებული, განვითარებადი და აბსტრაქტული მოდელირება. უბრალოდ რომ ვთქვათ, თეორიის დამოუკიდებლობა მტკიცდება, უპირველეს ყოვლისა, თვით მათემატიკის არსებობით და განვითარებით...

თურმე კარლ მარქსს უთქვამს: „მეცნიერება მხოლოდ მაშინ აღწევს სრულყოფას, როცა ის ახერხებს მათემატიკის გამოყენებას.“ სერიოზულად ვფიქრობ, რომ მეტად ბრძნული დასკვნა თუ შეგონებაა!

295.

...ამ ორმოცი წლის მანძილზე სათანადო წყაროების უსისტემო გაცნობისას მეც იმ დასკვნამდე მივედი — თუმცა ყველაფერს მხოლოდ ლიტერატორის თვალით ვზომავდი, — რომ თანამედროვე ბუნებისმეტყველებაში აზროვნების ალბათური სტილი თანდათან კლასიკური სტილის შემცვლელად ჩანდა.

296.

...ჩვენც, საკავშირო დეპუტატებიცა და, ბუნებრივია, მთელი სატელევიზიო სამყაროც, ერთხელ ამგვარი კონფუზის მოწმენი გავხდით:

პარლამენტის ეკოლოგიური კომისიის თავმჯდომარედ, გორბაჩოვის წინადადებით, შუა აზიის რესპუბლიკების წარმომადგენელი, ერთი თმაჭაღარა კაცი აირჩიეს, პროფესორი, აკადემიკოსი. ტრიბუნაზე რომ ავიდა, დარბაზიდან ვიღაც შეეკითხა:

— პატივცემულო, გვითხარით, რა არის ეკოლოგია?

დიდი პაუზა.

— ეკოლოგია ნიშნავს ბუნების დაცვას...

ხმაური დარბაზში.

შეკითხვა მეორე მხრიდან:

— მაინც რა არის ეკოლოგია?

— გაუგებარია, რად მეკითხებით? ეკოლოგია არის გარემოს დაცვა...

შემდეგ გაახურა ვრცელი სიტყვა იმის თაობაზე, თუ რატომ და როგორ უნდა დავიცვათ შელანძღულ-შეგინებული მშვენიერი ბაიკალის ტბა.

დარბაზი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. იდგა ხმადაბალი საუბრების გაბმული ზუზუნი. საგონებელში ჩავარდნილი ორატორი თავის ადგილზე დაბრუნდა.

რა უნდა ეპასუხნა?

სულ უბრალო:

— ეკოლოგია ბერძნული სიტყვაა, „ოიკოს“ ნიშნავს სახლს, საცხოვრებელს, „ლოგია“ გასაგებია, ერთად — სახლმცოდნეობა...

და შემდეგ — რაც შემდეგ თქვა.

დიდი სირცხვილი ვჭამეთ...

297.

...თავის დროზე ხომ მკაფიოდ ითქვა, რომ ნებისმიერი მეცნიერული თეორია ფარდობითია და, ამდენად, აქვს მოქმედების განსაზღვრული ფარგლები. ფორმალურად ეს იმას ნიშნავს, რომ თეორიაში ყველა ის პარამეტრი არაა წარმოდგენილი, კვლევის ობიექტს რომ ახასიათებს, და რომ პარამეტრებს შორის არსებული დამოკიდებულებანი ობიექტის შინაგანი მდგომარეობის გარ-

დაუვალი ცვლილებების შედეგად მუდმივი ვერ იქნებიან.

298.

...გრაფიკას ვუბრუნდები: მტკიცება რად უნდა — ნახატი ადამიანის არსებობის უძველეს ხანას განეკუთვნება. ახლა გვიანდელი გოთიკისა და ადრეული აღორძინების ნახატი მაინტერესებს, პერიოდი, როცა ისახება ბურჟუაზიული კულტურა, იღვიძებს ინდივიდუალიზმი, ვლინდება პრინციპული განსხვავება ფერწერასა და ნახატს შორის და, რაც მთავარია, ჩემთვის სწორედ ესაა მთავარი (ცხადია, ამ კერძო შემთხვევაში), დგება ქაღალდის პრობლემა. მხატვრებმა ქაღალდის გამოყენება ხომ მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნეში დაიწყეს (თავს ვანებებ ძველი ეგვიპტისა და ძველი ჩინეთის ამბებს). ოღონდ არა ისეთი ქაღალდისა, ახლა რომ ვხმარობთ! ქაღალდის როლი ხატვაში — აი, რა მაინტერესებს. თეთრი ქაღალდი, სხვადასხვა ფერის ქაღალდი — რად ირჩევს მხატვარი სწორედ იმ ფერის ქაღალდს, რომელსაც ირჩევს? პრინციპში, მწერლისთვის სულერთია, რა ფერის ქაღალდზე (ზოგჯერ კარდონზე, პაპიროსის კოლოფზე, კალენდარზე და სხვ.) წერს, მიაწერს, ჯღაბნის, მიაჯღაბნის... უკეთესია, რასაკვირველია, კარგ თეთრ ქაღალდზე წერა (მაგრამ სადღაა?!. ამრიგად, მხატვარი ქაღალდს ირჩევს იმ მხატვრული ამოცანის სრულყოფილად შესრულებისათვის, რაც ძის წინაშე იმ მომენტში დგას. ე. ი. ქაღალდს მისთვის აქვს მხატვრული ფუნქცია. მწერლისთვის ეს პრაქტიკულად სულერთია. იმას მივადექი, რაც ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ახლა სხვა კუთხით, სხვა შედარებით, სხვა გზით და სხვა მსჯელობით მინდა ვაჩვენო ამჯერად და, მგონი ვაჩვენე კიდეც — პრინციპული სხვაობა მხატვრობასა და მწერლობას შორის მათი მიზნების პრინციპული მსგავსების პირობებში, სპეციფიკა. არავინ იფიქროს, რომ სპეციფიკა ინსტრუმენტში (ფარგალი, ფანქარი, და ა. შ.), ტექნიკაში თუ ფორმაში ვლინდება, ან მხოლოდ ჩანაფიქრსა, იდეასა და შინაარსში. ვიმეორებ — მიზნის მსგავსება—ერთიანობის პირობებში.

299.

...რობერტ სილვესტრის „მეორე უძველესი პროფესია" რომ პირველად წავიკითხე (1957), განმაცვიფრა ეპიგრაფმა: „და არ იშრომოთ დიდი მწერლების ჩემი გაზეთისთვის დასაქირავებლად. დიდი მწერლები გაზეთისთვის გამოუსადეგარნი არიან. ისინი ერთმანეთისთვის წერენ, და წარმოუდგენიათ, რომ შთამომავლობისთვის შრომობენ. მე ისეთნი მჭირდება, რომელნიც დღევანდელი დღისთვის წერენ და ხვალ ავიწყდებათ ყველაფერი, რაც დღეს დაწერეს. „გლობისთვის" მე მჭირდება პროფესიონალები... საგაზეთო საქმე ხელოსნობაა და არა ხელოვნება. ეს პროფესია ისეთივე ძველია, როგორც... (პროსტიტუცია, — ეს მე ჩავამატე მრავალწერტილის მაგივრად. თ. ბ.), ერთი სიტყვით, ესაა მეორე უძველესი პროფესია" (ჯონ ბრაუნ ხოჯმენი, გაზეთ „დეილი გლობის" გამომცემელი, ყოველკვირეულ სარედაქციო თათბირზე 1936 წლის 28 ოქტომბერს).

300.

...ადამიანი რომ მთელი ცხოვრება ერთხელ მორგებული ნიღბით დადის, თავის ნამდვილ სახეს როდისღა აჩენს და ამჟღავნებს? — ფიქრში? ღამით ძილში თუ როდის? (ეს კითხვა, მგონი, სადღაც უკვე მქონდა, თუ სადღაც წაკითხულის შედეგია).

301.

...ათი წლის წინათ ვფიქრობდი, რომ ჩემი მთავარი ქმედებანი უკვე წარსულშია უკანაა, რომ ახლა წყნარად უნდა ვიყო. როგორც ბრძენმა ბატონმა ირაკლიმ მაშინ ბრძანა — შენი ბიოგრაფია შედგა, ბიჭო! რა ადრე მიფიქრია?!

302.

...გუშინ ცალი თვალით ოლიმპიადას ვუყურებდი, თან ვწერდი. ხალეიშვილმა რომ მოწინააღმდეგე დაამარცხა, წამოვხტი და კალამი იატაკზე დავანარცხე! ესაა სიხარულის ნორმალური გამოხატვა? სხვას რომ ზოგჯერ ჭკუას ვასწავლი, თვით მე როგორ ვიქცევი?.. ჩანს, ქართულმა ხასიათმა წამიერად ამაგზნო.

303.

...განსაკუთრებული მიდრეკილება ვერცხლის გრიფელისადმი უმცროსმა ჰანს ჰოლბაინმა (დ. 1498) გამოამჟღავნა, უმბრიის სკოლამ პერუჯინოსა და რაფაელის მეთაურობით; მეთექვსმეტე საუკუნეში ეს ინტერესი თანდათან ჩაკვდა (ამის მიზეზს ალბათ სხვაგან ვიტყვი) და, საოცრება! — მეცხრამეტე საუკუნეში კვლავ აღორძინდა — ენგრი! ჩვეულებრივი მოვლენაა მხატვრობის (ყველა სხვა ხელოვნების) ისტორიაში, საერთოდ ისტორიაში და სრულიად კოსმოსში...

304.

...გრაფიტის ფანქარი — მეთექვსმეტე საუკუნიდან (ჯერ ცუდად აკეთებენ); მეჩვიდმეტე-მეთვრამეტეში (ბაროკოს არ უყვარს გრაფიტი) — ჰოლანდიელი ალბერტ კეაპი; მეთვრამეტეს ბოლოდან — სრული აყვავება (ფრანგი კონტე ახალ ფანქარს იგონებს — „კონტეს ფანქარი", კარგი ქაღალდი და საშლელი). ამდენად, — ჟან ოგიუსტ დომინიკ ენგრი, ოგიუსტ როდენი, ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი და უამრავი სხვა... ძნელი დასაჯერებელია? სრულიადაც არა, მართალია, დიდად ჰყვავის ფერწერა, ქანდაკება, მაგრამ ჰყვავის გრაფიკაც! (უკვე ყველა სახის — ამაზე სხვაგან). ამგვარი საუკუნე იყო მეცხრამეტე...

305.

...წარსულის დიადი კულტურული მემკვიდრეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ცოცხლობს, განაგრძობს არსებობას და „მუშაობას", თუ მას შემოქმედებითად უდგებიან. პრობლემა ჩვენი დღევანდელი მოწოდებისა, დანიშნულებისა, ხვედრისა და ბედისა დევს იქ, წარსულში და დგას აქ, აწმყოში...

306.

... მანდილოსანთა საყურადღებოდ. თქვენი უნებური როლი ლიტერატურის განვითარებაში მეტად მნიშვნელოვანია: რომანის აღმოცენება ევროპაში თქვენ სახელთანაა დაკავშირებული — თქვენთვის იწერებოდა რომანი; თქვენთვის, ვინც ლათინური არ იცოდით, იწერებოდა იმ გარდამავალ ენაზე, რომელიც გასაგები იყო უბრალო ხალხისათვის და... ქალთათვის! ჭეშმარიტად, ქალის როლი კულტურის განვითარებაში ამოუწურავია! აღარაფერს ვამბობ თვით რომანისტ ქალებზე, რომლებიც ხან იმას წერდნენ, რასაც ცხოვრებაში თამაშობდნენ და ხან ცხოვრებაში იმას თამაშობდნენ, რასაც წერდნენ...

307.

...ცნობილი შეხედულებაა, რომ უბრალოება ნაირნაირობა-მრავალფეროვნების ვარეშე მოსაწყენ-მოსაბეზრებელია, ხოლო სიმეტრია მხოლოდ მაშინაა მშვენიერი, როცა შესაბამისობა—შესატყვისობას ემსახურება.

308.

...აი, რა არის ჩვენთვის, ქართველებისთვის, საინტერესო: ვინკელმანის მსგავსად, შლეგელიც ისე განიხილავდა ბერძნულ ხელოვნებას, როგორც შედეგს კეთილხელსაყრელი **ბუნებრივი პირობებისა**. მათი გონება და გრძნობა სრულ ჰარმონიაში იმყოფებოდა, მაგრამ **გრძნობები ჭარბობდნენ**. ამდენად, მათ მიერ შექმნილ შედევრთა სილამაზე იმ როლს განასახიერებდა, რომელიც მათ იმ დრამაში ითამაშეს, მსოფლიო ისტორია რომ ჰქვია...

309.

...ჯონ რესკინი: სიყვარული მშვენიერისადმი და ერთგულება სამართლიანობისადმი. მის წინ მდგარი დილემა: მაქვს კი უფლება, რომ მთელი ძალღონე ხელოვნებას მოვახმარო, როცა უამრავ ადამიანთა სული იღუპება, რადგან მათზე მზრუნველი არავინაა? (ეს — ახალგაზრდობაში). ფაქტობრივად, იგივე სიბერეში: მაქვს კი უფლება, განვიხილო ცა და ზღვის ნიჟარები, როდესაც ვიცი, რომ დროთა ნაკადს და ნიაღვარს უამრავი გვამი მოაქვს? რესკინის სიყვარული მშვენიერისადმი გადადის მის სიყვარულში შემქმნელისადმი...

310.

..ყველასათვის ცნობილია, რომ მოსესა და მუჰამედის კანონები კრძალავდნენ ადამიანისა და ღმერთის გამოსახვას. რატომ? სიტყვა მხოლოდ ასახელებს და აღნიშნავს მის გარეშე არსებულს, ფერწერული სახე კი აღადგენს და აორმაგებს უკვე არსებულს, ორიგინალს ეჯიბრება, და ერთის მაგივრად ორი შემოქმედი აღმოჩნდება: ერთი ცაშია და მეორე მიწაზე — ღმერთი და მხატვარი... ის, რაც მწერლისთვის ნებადართული იყო, ყოველთვის ეკრძალებოდა მხატვარს.

311.

...ადამიანის სილამაზის აღწერა ფაქტიურად შეუძლებელია. ეს უკვე ჰომეროსმა იცოდა, როცა კი არ აღწერა მშვენიერი ელენეს სილამაზე, არამედ მხილველთა აღტაცების ჩვენებით შემოიფარგლა.

312.

...ალბათ ყველა მწერალს უნდა ახსოვდეს ჰემინგუეის სიტყვები: „ყველაფრის აღწერა შეიძლება იმ პირობით, თუ იცი, რა უნდა გამოტოვო“.

313.

...შემოქმედებითი მეთოდი განსაზღვრავს სტილს და ვლინდება მასში ვითარცა სამყაროსა და ადამიანის განსაზღვრული კონცეფციას, ხოლო სტილი თავის მხრივ მეთოდის განხორციელების პირობა ხდება, აქვს რა საკუთარი შინაგანი ლოგიკა და კანონზომიერებანი.

314.

...ერთი ეროვნული ლიტერატურის მხატვრული აღმოჩენები მექანიკურად არ გადადის სხვა ეროვნულ მწერლობაში, მისი სრული აღქმა-განმეორება შეუძლებელია, თუ არ დაეყრდნო ამ მეორე ეროვნული სტიქიის მხატვრულ ფორმებსა და აღმოჩენებს. ამიტომაცაა, რომ ამდენი წელია ვამტკიცებ: ის ენა უფრო ღრმად უნდა იცოდე, რომელზეც თარგმნი, ვიდრე ის ენა, რომლიდანაც თარგმნი.

315.

...ხშირად ადარებენ ერთმანეთს ჩაპეკს და კაფკას, ეკზიუპერის და კამიუს მხოლოდ იმისთვის, რომ აღნიშნონ მათ შორის პირველთა ცხოვრებისეული „დადებითობა“ და მეორეთა ცხოვრებისეული „უარყოფითობა“. აქედან ზოგ-

ჯერ იმგვარი დასკვნები გამოაქვთ, რაც ნახსენებ მწერლებს ალბათ არც დასიზმრებიათ...

საერთოდ, ზოგ კრიტიკოსთა თვითნებობა აუხსნელია.

316.

...დასავლური ესთეტიკის აღიარებული მეტრი თეოდორ ადორნო თვლიდა, რომ მოდერნისტული ხელოვნების უმაღლესი დანიშნულებაა შიშის აღძვრა, მისი აზრით, ბეკეტი და კაფკა სწორედ ამას აღწევენ თავიანთი შემოქმედებით.

317.

...უნდა ვთქვა (თუმცა თითქმის ყველა თეორეტიკოს-ისტორიკოსი და თვით ოსტატი აღნიშნავს თუ მიგვანიშნებს), რომ სტილისტური ხერხებით სკულპტურა მეტად უბრალო, თემატიკური რეპერტუარით საკმაოდ შემოზღუდული, ხოლო პრობლემებითა და ამოცანებით მეტად ნათელი და კონკრეტული ხელოვნებაა.

318.

...ბაროკოსდროინდელ სახელგანთქმულ მოქანდაკეს ლორენცო ბერნინის (1598—1680) მეგობრებთან საუბრებში უთქვამს: „თვით ღმერთიც ხომ მოქანდაკეა; მან შექმნა ადამიანი არა ჯადოქრობით, არამედ ნაწილ-ნაწილ, ვითარცა მოქანდაკემ". ხოლო ძველ ეგვიპტელთათვის „ხელოვნება" და „ქანდაკება" ერთმნიშვნელოვანი ცნებები იყო, ერთმანეთს უდრიდა. ვისაც დიდი მოთმინება არ აქვს, ვინც ვერ უძლებს ხანგრძლივ და მძიმე ფიზიკურ შრომას, ის მოქანდაკედ არ გამოდგება.

319.

...ქანდაკების სწორი აღქმის ერთ-ერთი წინაპირობაა ის, რომ გადავეჩვიოთ მისდამი ფერწერულ მიდგომას, მოვიცილოთ პოეტური ნასლი და ბურუსი, რომლითაც ზოგჯერ ცდილობენ შემოსონ ქანდაკების წმინდა მატერიალური, სხეულებრივი ბუნება.

320.

...ისიც ხომ შემჩნეულია, რომ პლასტიკური შემოქმედების ბუნებრივი ობიექტი ადამიანია, ზოგჯერ — ცხოველიც. ზოგჯერ, რადგან მოქანდაკენი (სპეციალისტ-ანიმალისტთა გარდა) იმგვარ ცხოველებს აძლევენ უპირატესობას, რომელნიც რაღაცით ადამიანურ თვისებებს ავლენენ, ადამიანს აგონებენ (არწივი, ლომი, ძაღლი) ან ორგანულად ეფარდებიან ადამიანის სხეულს (ცხენი და მხედარი).

321.

...ორი ცხენოსანი ქანდაკების შედარება: გატამელატას პადუაში მდგარი დონატელოს ნამუშევარი — მაღალი პოსტამენტი, ფიგურა ცის ფონზე, პოსტამენტის მკაფიო ტექტონიკური ფორმა. ის არ ფანტავს ყურადღებას, ანიჭებს მშვიდ საყრდენს; პოსტამენტის დანაწევრება ეთანხმება ცხენის ფეხების განლაგებას, მხედრის სხეულით ხაზგასმულია საერთო ძირითადი ღერძი. და ვენეციაში მდგარი ვეროკიოს ნამუშევარი კონდოტიერი კოლეონი. თავისთავად პოსტამენტი უფრო ლამაზია, პროპორციული, უფრო წმინდა ხაზებია. სწორედ ეს თავისთავადი სილამაზე ვნებს ქანდაკებას, რადგან არქიტექტურა ქანდაკებას ერთ მთლიანობაში არ ერწყმება. პოსტამენტზე ჭარბი დეტალია, მისი ღერძი არ ემთხვევა ქანდაკების ღერძს. ეს ისე, მაგალითისათვის...

322.

...რაც უფრო ადრე იხვეჭ პოპულარობას, მით უფრო ადრე ბერდები (შინაგანად).

323.

...რატომ არის, რომ კარგი სიმღერის ცუდი ტექსტი მაღიზიანებს, ნერვებს მიშლის, ლამის მელოდია შემაძულოს... ბოლოს და ბოლოს, სიმღერაში ტექსტი ხომ არაა მთავარი?... იდეალური შერწყმა ბოლოდროინდელ სიმღერებში — ჩემო კარგო ქვეყანავ! ვფიქრობ, ეს უნდა იყოს საქართველოს ჰიმნი, ვინ დაგიჯერებს?...

324.

...ბევრჯერ მინდოდა, ძუნწი რაინდის გრძნობები განმეცადა, სწორედ და ღრმად რომ აღმექვა პუშკინის თხზულება. არ გამომივიდა. საოცარია ეს ცხოვრება.

325.

...ფუგა ნიშნავს სირბილს, გაქცევას, ცხადია, ლათინურიდან. სად გარბის ქართველი, როცა თავის „ფუგებს" მღერის? ზოგიერთი ქართული ხალხური სიმღერა ფუგებს ჩამოჰგავს — იმიტაციურობა, ერთი და იგივე თემა ყველა ხმაში — პოლიფონიის უმაღლესი ფორმა. მეცინება — განსხვავება, ცხადია, დიდი და არსებითია. იქ ინტერმედიებში თემა არ გადის (გვაქვს კი ინტერმედიები?), სეკვენციები? მაინც მსიამოვნებს ფუგის მოსმენა — ბაჰი, ჰენდელი, მოცარტი... შორეულად მაგონებს რაღაც მშობლიურს.

326.

...ჩვენი მრავალხმიანი სიმღერის შორეულ გამოძახილად მომესმა კლემან ჟანეკენის (დაახლ. 1490—1559) შემოქმედების ნიმუშებში, პირველად შარშანწინ რომ მოვისმინე პარიზში, ის ითვლება აღორძინების ეპოქის ფრანგული მრავალხმიანის სიმღერის ერთერთ შემქმნელად — ჟანრობრივ-გამომსახველობითი („ბრძოლა მარიანოსთან", „პარიზის შეძახილები", „ფრანველთა სიმღერები" და სხვ.).

327.

...ზოგჯერ რომ დავფიქრდები ხოლმე და შვილიშვილებსაც რომ მინდა გადავცე: ვინ შექმნა საერთოეროვნული მუსიკალური ენა, ვინ აიყვანა აქედან მსოფლიო მუსიკალურ საგანძურამდე? ვინ გაიარა გზა ვალტორნისტიდან ორგანისტამდე? ვინ გადათარგმნა გენიალურად თავის ენაზე პეტრე მირიანაშვილის, ვალერიან გუნიას, სანდრო შანშიაშვილის ნაღვაწი და ამ ავტორებსაც მარადიული უკვდავება მიანიჭა? ახლა ჩემთვის უკვე ძნელია იმ გრძნობის ხელახალი ან ახლებური განცდა, სულ ბავშვმა რომ განვიცადე. მაგრამ მაინც, მაინც, მაინც...

328.

...პოლიტიკოსი, **შეიარაღებული** წარსულის უცოდინარობით, უფრო საშიშია, ვიდრე თავზეხელაღებულთა შეიარაღებული ბანდა ბავშვთა გუნდის წინაშე. უფრო უკეთაც ითქმის: პოლიტიკოსი, **განიარაღებული** წარსულის უცოდინარობით, უფრო სუსტია, ვიდრე ქათმები „საქათმეში შეპარული მელას" წინაშე...

329.

...ცოტას დაპირდი და ბევრი გააკეთე — ეს თუ შენი ცხოვრების წესად იქცევა, შინაც ბედნიერი იქნები და გარეთაც, თუმცა ამის გარანტიას არავინ მოგცემს, მაგრამ ვინც მხოლოდ გარანტიებს ეძებს და ელოდება, ის უფრო მეტს ჰკარგავს, ვიდრე იძენს. ძველი ამბავია ეს.

330.

...სწორია, რასაკვირველია, ედმუნდ ბიორკი (1729—1797) და ეს აღიარებულია ანტიკურ ესთეტიკაშიც და დადასტურებულია ბიორკის შემდეგდროინდელ გამოკვლევებშიც, როცა ესთეტიკურ ფუნქციას ახასიათებს. „სილამაზე, — წერს ბიორკი,—არ თხოულობს დახმარებას ჩვენი გონებისგან; ჩვენი ნებისყოფაც არაფერ შუაშია; გარეგნული სილამაზე იმგვარადვე ეფექტურად იწვევს ჩვენში სიყვარულის განსაზღვრულ ძალას, როგორადაც ყინულის თუ ცეცხლის ხილვა იწვევს წარმოდგენას სიცივეზე თუ სიცხეზე“ .

331.

...ბიორკის აზრით, თანაგრძნობა ისაა; რაც ჩვენში ბადებს სიამოვნებას იმიტომ, რომ ის წარმოიშობა მოყვასისადმი სიყვარულითა და თანაგანცდით. ვინაიდან ჩვენმა შემქმნელმა ისურვა, რომ ყველანი ერთმანეთთან სიმპათიით ვყოფილიყავით დაკავშირებულნი, მან ეს კავშირი განამტკიცა თანაფარდი სიამოვნებით, ხოლო ჩვენი სიმპათია სხვას ყველაზე მეტად სჭირდება სწორედ უბედურების შემთხვევაში. ტრაგედიით მონიჭებული სიამოვნება საშუალებას არ გვაძლევს თავი ავარიდოთ უბედურების სცენებს, ტკივილი გვიბიძგებს, რომ შევუმსუბუქოთ მდგომარეობა მათ, ვინც იტანჯება... და ყველაფერი ეს ხდება აზრისა და განსჯის ჩაურევლად, იმ ინსტინქტით, რასაც მივყავართ თავისი მიზნისკენ ჩვენი თანხმობის გარეშე... მკითხველი ალბათ უკვე მიხვდა, რომ აქ საუბარია ტრაგიკულ სპექტაკლებზე.

332.

...იქნებ ქართველი ახალგაზრდობა (ცხადია,პირველ რიგში სტუდენტები და არა მხოლოდ ჩემი) დაინტერესდეს პრომეთე-ამირანის მითის იმ უჩვეულო ინტერპრეტაციით, რასაც პლატონი იძლევა, როცა ხელოვნებას წარმოშობას იძიებს (იხ. მისი „პროტაგორა“). თავდაპირველი განაწილების დროს ღმერთმა ნადირთ და პირუტყვთ ბეწვი და თმა უბოძა სიცივისგან დასაცავად, ბრჭყალები — საკვების მოსაპოვებლად და მტრის მოსაგერიებლად. ამ განაწილების დროს ადამიანს არაფერი შეხვდა. შიშველ და უმწეო ადამიანებზე მზრუნველმა პრომეთემ ღმერთებს ცეცხლი მოპარა, ხოლო ათენასა და ჰეფესტოს — რკინის ჭედვისა და ქსოვილის დამზადების ხელოვნება. ამგვარად გვამცნობს ბერძნული მითი, რომ ხელოვნება სამყაროს მოევლინა ვითარცა ოსტატობა და საშუალება, რათა ადამიანს დაეკმაყოფილებინა საკუთარი საარსებო მოთხოვნილებანი. კულტურის წარმოშობის ამ სახეობრივ სურათში ხელოვნება ისაა, რასაც ადამიანი უმატებს ბუნებას, რათა იბრძოლოს არსებობისთვის. ამდენად, ხელოვნება ესაა ბუნება, სახეცვლილი და დამუშავებული ადამიანის მიერ თავის სასარგებლოდ.

333.

...ყურადღება მიაქციეთ ამ კითხვებს: მხედართმთავარი უნდა განაგებდეს ომისა და მშვიდობის საკითხებს, მაგრამ ვინ იცის, როდის სჯობს ომის დაწყება? ექიმი უნდა ფლობდეს ადამიანის განკურნების ხელოვნებას, მაგრამ ვინ იცის, როდისაა უმჯობესი მკურნალობის დაწყება? პლატონის ამ მსჯელობის დროს მთავარ პრობლემას წარმოადგენს ამ უმაღლესი ოსტატობის ბუნების განსაზღვრება. პლატონი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ადამიანი, რომელიც ამ ხელოვნებას მისდევს, ესაა ფილოსოფოსი—მმართველი („პოლიტიკოსი“).

334.

...პოეზიისა და მუსიკის ხელოვნება ძველბერძნებისთვის ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. იმდროინდელი მსმენელისთვის ჰომეროსის პოემები მხოლოდ საინტერესოდ, რიტმულად და ცოცხლად მოთხრობილი ისტორიები როდი იყო. ეს ისტორიები და თვით ღმერთებს შორის საუბრები მიჩნეული იყო ნამდვილ ამბებად, სახელმძღვანელოდ თეოლოგიაში, სამხედრო ხელოვნებასა და სახელმწიფოს მართვის ხელოვნებაში.

335.

...აბა ვინ გაბედავდა არისტოტელეს ფუძემდებლური ესთეტიკის უარყოფას, თუნდაც მასში დაეჭვებას? ევროპაში ლიტერატურის პირველი კრიტიკოსი, ვინც ძირეული გადატრიალება მოახდინა მის თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობასა და ესთეტიკაში, იყო იტალიელი ჯოვანი ვინჩენცო გრავინა (1664—1718). მან საბოლოოდ უარყო მიბაძვა არისტოტელესადმი და ხელოვნების ქმნილებათა ახსნა დეკარტესეული მეთოდით სცადა.

336.

...მხოლოდ მშრალად ჩამოთვლილი რამდენიმე შეხედულება (სამახსოვროდ), მათში გარკვევა თქვენთვის მოგვინდვია: „სიბერისას დემოკრიტემ იმგვარ გონებრივ სრულყოფას მიაღწია, რომ მთლიანად დაკარგა წარმოსახვის უნარი“, — ხუან უარტე; ფრენსის ბეკონი ამბობს, რომ კომპოზიტორი, მშვენიერი მელოდიის ავტორი, მიაგავს მხატვარს, უნახავი სილამაზის სახეს რომ გვიხატავს არა რაიმე წეს-კანონის მიხედვით, არამედ ბედნიერი ზეშთაგონებით; და რომ ალბრეჰტ დიურერი მეტად სულელურად იქცეოდა, როცა ცდილობდა თავისი ესკიზებისთვის მათემატიკური კანონი ეპოვნა; უფრო ადრე კასტელვერტრო აღნიშნავდა, რომ პოეზიის მიზანია ხალხის მოფერება, მისი სიამოვნება-ტკბობის სურვილთა დაკმაყოფილება; ერთადერთი წესი პოეზიაში — ესაა პოეტის სიმღერა,— განაცხადა ჯორდანო ბრუნომ; ხოლო პლავიჩინომ (1644 წელს) გაათავისუფლა პოეზია სიმართლის აუცილებლობისგან და თვლიდა, რომ ტკბილი ცნებანი, მშვენიერი სახეები და ფანტაზიის უცნაური კაპრიზები პოეზიაში არსებობენ თავისთავად, დამოუკიდებლად....

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

ᲣᲙᲕᲐᲚᲝᲓ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲔᲑᲘ

ძველ ქართულ მწერლობაში თარგმნითი ხელოვნება თავიდანვე ფრიად მაღალ დონეზე იდგა და ორიგინალურ შემოქმედებასთან ერთად, მასთან პარალელურად, სულ უფრო ღრმად იდგამდა ფესვებს ეროვნულ ნიადაგში, სულ უფრო ძლიერად და ინტენსიურად აღვიძებდა მკითხველის ინტერესს როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობისადმი, ახლა უკვე ზუსტად დადგენილია, რომ თარგმანი წინ უსწრებდა ორიგინალურ ლიტერატურას. იაკობ ცურტაველის მოთხრობაში, რომელიც პირველი ძეგლია იმ ქმნილებათაგან, რაც შემორჩა ისტორიას, ნეტარი შუშანიკი, შინიდან რომ გაიქცა, „თან წარიტანა იგი წიგნნი მოწამეთანი“, ხოლო შემდეგ, საპყრობილეში ყოფნის დროს, „ხელთა აღიხუნა დავითნი და მცირედთა დღეთ შემდგომად ასერგასინნი, იგი ფსალმუნნი დაისწავლნა“. მაშასადამე, უკვე არსებობდა მთელი წყება წიგნებისა, რომლებიც ხელთ ჰქონდა შუშანიკს. ეს ხდება მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში, აქედან დაწყებული, ისტორიის მთელ მანძილზე, თარგმანის საქმეს ერთგულად ემსახურებოდა განდეგილთა და წმინდა მამათა მთელი თაობები, რომელნიც უდიდესი პასუხისმგებლობით ჰკიდებდნენ ხელს უცხო ენებზე დაწერილი წიგნების გადმოქართულებას. მაგალითისათვის უნდა დავასახელოთ წერილი დავითის ფსალმუნების ვრცელი განმარტების მთარგმნელის — დაჩისა, რომელმაც თავისი თარგმანი სარედაქციოდ გაუგზავნა სტეფანე მტბევარს ტბეთის კათედრაზე და ასეთი რამ მისწერა:

„შემეშინა თარგმანებად, რამეთუ დიდი ბრალობაᲐ შეემთხუევის თარგმანთა, რომელნი არა განეკრძალნენ. და სრულად უკეთუ ვისმეს პირველად ეთარგმნოს, მეორედ თარგმანებული წინააღმდგომად გამოჩნდების და ამით არა ჯერ-არს. ხოლო მე არა ვპოვე პირველ თარგმანებული და ამისათვის მცირედი ესე გემო ხილვად გამოვთარგმნე და წინაშე ღმრთის — მოყუარებისა შენისა განსაკითხავად მიგიძღუანე. ხოლო შენ მსგავსად მოცემულისა მაგის სიბრძნისა შენისა განიკითხე და ჯერთუ-იყოს შენ მიერ დაენერგენ შორის ეკლესიასა და უკეთუ არა ღირს რა მე იყოს წიგნი ესე, დაწუ და სიუცხე ჩემი დაფარე და მე მამხილე და შევინანო“.

მართლაც რომ შესაშური პრინციპულობა და თავმდაბლობაა — მოგეწონა ჩემი თარგმანი, გზა მიეცი, დაე, გაიცნოს ქვეყანამ, ხოლო თუ არ მოგეწონა, გადაუძახე ბუხარში და დაწვი, მე კი მამხილე, რომ მოვინანიო ჩემი საქციელი! მაგრამ საქმე ის არის, რომ თარგმანი შესრულებულია ბრწყინვალე ძარღვიანი ქართული ენით და ამაო იყო დაჩის შიში — სტეფანე მტბევარმა, როგორც ჩანს, მოიწონა იგი და შეუნახა შთამომავლობას; ეს განმარტებანი შეტანილია „შატბერდის კრებულში“ რომელიც, როგორც ამ კრებულის გამოცემის რედაქტორები — მზექალა შანიძე და ელგუჯა გიუნაშვილი აღნიშნავენ, გადაწერილი: მეათე საუკუნეში, შატბერდის ლავრაში, რომელიც გრიგოლ ხანძთელს აუშენებია. და აგერ ახლა, ათასი წლის შემდეგ, ეს საინტერესო ძეგლი ამშვენებს ახლანდელი მკითხველის წიგნის თაროს. დიახ, ათი საუკუნე გასძლო და გადაურჩა ათას ჭირსა და განსაცდელს, შემოსევასა და რბევა-აწიოკებას. მართლაც ბედი ჰქონია ამ წიგნს, ასეთივე ბედი არ დაჰყვა გოეთეს ლექსების იმ თარგმანებს, რომლებიც შესრულებული იყო მეცხრამეტე საუკუნეში, ზუსტად საუკუნენახევრის წინ და რომელთა კვალი აღარ ჩანს. წინამდებარე წერილი მიძღვნილია სწორედ ამ უკვალოდ დაკარგული თარგმანებისადმი.

* * *

1846 წელს გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე დაიბეჭდა გამოსათხოვარი წერილი ალექსანდრე ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო, რომელსაც

ხელს აწერდა დიმიტრი ყიფიანი. ისინი სიჭაბუკის დღეებიდან დაწყებული, უახლოესი მეგობრები იყვნენ და გასაგებია, რომ ყიფიანმა გულწრფელად დაიტირა ტრაგიკულად დაღუპული გამოჩენილი ქართველი პოეტი. წერილში, სხვათა შორის, აღნიშნული იყო: „იმ სიმღერებიდან, რომლებიც მეტ-ნაკლებად ცნობილია ყველა ქართველისათვის, ორი მესამედი მაინც, ამასთან, ყველაზე საუკეთესონი, ამაღლებული აზრითა და გრძნობით, ეკუთვნის ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ისინი, მნიშვნელოვანწილად, ორიგინალური ნაწარმოებებია, მაგრამ მათ შორის გვხვდება მშვენიერი თარგმანები საადის, ჰაფიზის, პუშკინის, ჰიუგოს, გოეთეს ქმნილებებიდან. იგი თარგმნიდა სპარსული, რუსული, ფრანგული და გერმანული ენებიდან, რომლებიც მან იცოდა ისევე კარგად, როგორც მშობლიური ენა“.

პუშკინისა და ჰიუგოს ლექსებს თვით მთარგმნელის მიერ წარწერილი აქვთ ორიგინალების ავტორთა სახელები; ამ მხრივ ყველაფერი ნათელია, ხოლო ის ამბავი თუ სახელდობრ რა თარგმნა ქართველმა პოეტმა მსოფლიო ლიტერატურის უბადლო გენიოსის —გოეთეს ქმნილებათაგან — აუხსნელი გამოცანასავით დაუტოვა ყიფიანმა თავისი დროისა და მომდევნო თაობების მკითხველსაც. არა და, განა ეს ძალზე საინტერესო არ არის? მწერლის სიდიადე, კაცმა რომ თქვას, ადვილად განსასაზღვრავი ცნება არ არის, იგი იზომება იმითაც, თუ რაოდენ ფართოდ გაშლილია მისი ჰორიზონტი, სად თავდება ეს ჰორიზონტი, აგერ სულ ახლოს, კავკასიონის კალთებთან, თუ სწვდება მთელს ჩვენს ვეებერთელა პლანეტას. ხოლო ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებითი ინტერესი მეტად შორეულ საზღვრებსაც სწვდებოდა. მის პოეზიაში ისე იშვიათი ბუნებრიობით, განსაცვიფრებელი უშუალობით და სილაღით, ისეთი ორიგინალური სიფაქიზით არის შერწყმული აღმოსავლური და დასავლური, აზიური მუხამბაზი და ევროპული მადრიგალი, საადი და ვოლტერი, რომ თავისთავად აღეძვრის კაცს საგანგებო ინტერესი — ცალკე გამოჰყოს და უფრო საფუძვლიანად გაარკვიოს ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი არა მარტო ალ. ჭავჭავაძის ლექსის შესწავლის თვალსაზრისით არამედ საერთოდ, მთელი მსოფლიო ლიტერატურის დასაბამიდან მომდინარე პროცესის შესასწავლად.

დასავლეთ-აღმოსავლეთის მიჯნა! სწორედ აქ იდგა ალ. ჭავჭავაძე. გოეთე უბადლო გენიოსია, ბუმბერაზია როგორც აზროვნების, ისე მხატვრული ოსტატობის თვალსაზრით, და მის გვერდით ასე ვაგლახად ვერავის დააყენებ, მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმას, რომ მსგავსების თვალსაზრისით ერთ-ორი პარალელი გავატაროთ ორ თანამედროვეს — გერმანელ და ქართველ პოეტებს შორის; ამიტომ გოეთესთან გამოხმაურება — ლიტერატურის მკვლევარისა და მკითხველისათვისაც — მწველსა და დაუცხრომელ ინტერესს იწვევს და იმიტომ, რომ ეს ოდითგან მოსდევს და დამახასიათებელი თვისებაა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის — ქართველი კაცი, მოწინავე კაცობრიობის ყველაზე პირველ ოსტატებთან ერთად, ერთ საფიქრალსა ფიქრობს, უკეთ, მისი ფიქრი გადის არა მარტო ეროვნულ, არამედ ზოგადკაცობრიულ ორბიტაზე.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ზემოთაღძრულ საკითხს. ალ. ჭავჭავაძის სახელი, დიმიტრი ყიფიანის შემდეგ, მეორედ გოეთესთან დააკავშირა იმ დროის ახალგაზრდა მკვლევარმა, მიუნხენის უნივერსიტეტის სტუდენტმა ალექსანდრე ცაგარელმა (შემდეგში დიდად გამოჩენილი მეცნიერი, ჯერ პეტერბურგის, და ბოლოს, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი). 1870 წელს მან მიუნხენიდან „დროების“ რედაქციას გამოუგზავნა ვრცელი წერილი — „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, რომელიც რედაქციამ გაზეთის ხუთ ნომერში გაგრძელებებით გამოაქვეყნა.

აღსანიშნავია, რომ თავისი წერილის პირველსავე ქვეთავს ალ. ცაგარელმა ორი ეპიგრაფი წაუმძღვარა — პირველი ეკუთვნის ალ. ჭავჭავაძეს: „მერწმუნეო, ძმანო, მგრძნობელობა სჯობს ყოველთა ნიჭთა ცით მოვლენილთა, გონებასაც და ნებასაც ის ასულდგმულებს“, (ციტატა ზუსტი არ არის. საქმე ის იყო, რომ ავტორმა მთელი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ქართული ლიტერატურის მიმოხილვა ისე დაიწყო მიუნხენში ,რომ ხელთ მარტო ერთი ქართული წიგნი ჰქონდა: ეს იყო „კაცია—ადამიანი“; ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ილიასა და აკაკის ლექსები სულ ზეპირად მოჰყავდა), ხოლო მეორე ეპიგრაფად გოეთეს სიტყვებია მოყვანილი „გრძნობა არის სულყველაფერი (Gefühl ist alles) გეტე—„ფაუსტ“. მართლაც, ეს მეორე ეპიგრაფი აღებულია „ფაუსტის“ პირველი ნაწილიდან, იმ ქვეთავიდან, რომელსაც „მართას ბაღი“ ეწოდება.

აქ ჩვენ შორს წაგვიყვანდა იმისი განმარტება, რომ როგორც თანამედროვე მკვლევარები აღნიშნავენ, „მთელი თავისი ხანგრძლივი და რთული, წინააღმდეგობრივი, მაგრამ შეუხრელად ზეაღმართული განვითარების მანძილზე გოეთე შეუპოვრად იბრძვის „თავისა“ და „გულის“ იმ სინთეზისათვის, რომლის მაღალ, თუმცაღა იდეალისაგან ჯერ კიდევ ძლიერ დაშორებულ მატარებლად ფაუსტს წარმოგვიდგენს“. გოეთესათვის უცხოა ის მძაფრი განხეთქილება გრძნობასა და გონებას შორის, რომელიც აიტაცეს ცალკეულმა რომანტიკოსებმა. მაგრამ ეს ცალ-

კე საკითხია და მისი განხილვა აგვაცდენდა ჩვენი წერილის მთავარი სათქმელისაგან; აქ მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ ალ. ცაგარელი მაღალ შეფასებას აძლევს ალ. ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკას. იგი აღნიშნავს, რომ პოეტი „საკეირველის ძალით ხატავს აღმოსავლეთის კაცის მგზნებარე გრძნობათა და ტრფიალების ძალას... ეს მუდამ სიყვარულზე მომართული ბიმები დახძახიან ყოველთვის უმაღლეს, უმანკო ქალწულოვან, ნაზ და კეთილშობილურ კილოზე, თავის დღეში იმის ლექსი არ დაეშვება ცინიზმამდინ, იმ მდაბალ კილომდინ, სადაც პოეზია ანუ ნამდვილი ადამიანური გრძნობა თავდება.. „გრძნობა არის სულ ყველაფერით", ტყუილად არ ამბობს დიდი პოეტი". (იხ. „დროება", № 2. 1879 წ.).

ასე ხელახლად გაიხსენა გოეთეს სიტყვები ალ. ცაგარელმა. ცხადია, ეს ამბავი ამ კონტექსტში უდავოდ ინტერესს იწვევს და აქ თავდება ყველაფერი. რას გულისხმობდა დიმიტრი ყიფიანი —ეს გამოცანა გამოცანად რჩება, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ არსად ჩანს თუნდაც ერთი სტრიქონი, რომელიც ალ. ჭავჭავაძეს გოეთეს ნაწარმოებებიდან ეთარგმნოს. ამან მისცა საბაბი მკვლევარებს ეჭვქვეშ დაეყენებინათ დ. ყიფიანის ცნობა იქამდე, რომ ცალკეული მკვლევარები სულაც მხედველობაში მიღებასაც კი აღარ უპირებდნენ. თავის წიგნში „გოეთე ქართულ ლიტერატურაში" დავით ლაშქარაძე წერდა:

„თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართული ლიტერატურის მკვლევართა დიდი ნაწილის მიერ საეჭვოდ მიჩნეულ ცნობას დ. ყიფიანისა, თითქოს ალ. ჭავჭავაძეს, რომელიც კარგად ფლობდა გერმანულ ენასაც, უნდა ეთარგმნოს გოეთეს რამდენიმე ლექსი, მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში გერმანული პოეზიაც მხოლოდ ოთხი ნიმუშით არის წარმოდგენილი. სამი მათგანი ეკუთვნის გ. ერისთავს... რაც შეეხება — გოეთეს „მგზავრის ღამეულ სიმღერას" — იგი 1842 წელს ლერმონტოვის თარგმანის მიხედვით გადმოუღია გრ. ორბელიანს".

ამ საფუძველზე დ. ლაშქარაძე დაასკვნიდა, რომ „გოეთეს შემოქმედების პირველ მთარგმნელად ქართულ ენაზე აღიარებულია გრ. ორბელიანი".

ზემოთაღნიშნული ეჭვების გასაფანტავად და მათს საპირისპიროდ აკაკი გაწერელია წერდა:

„ჩვენ შეგვიძლია კატეგორიულად ვამტკიცოთ, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობიდან დღემდე არ მოუღწევია გოეთეს, ჰაფიზისა და საადის ნაწარმოებთა თარგმანებს. ქართულ მწერლობაში ალ. ჭავჭავაძე პირველი მთარგმნელია დასახელებული პოეტებისა. ეს კატეგორიული ცნობა ეკუთვნის დიმიტრი ყიფიანს — პოეტის ოჯახის ახლო მეგობარსა და დიდი ლიტერატურული კეთილსინდისიერებით აღჭურვილ პირს, რომლის სიტყვებში ეჭვის შეტანა მკრეხელობა იქნებოდა. თანაც ცნობა მოყვანილია ალ. ჭავჭავაძის ნათესავთა და თანამედროვეთა თვალწინ, პოეტის გარდაცვალების დღეებში". (დ. ყიფიანის ეს ცნობა გაიხსენა რუსთაველის ინსტიტუტის მიერ გამოცემულმა „ქართული ლიტერატურის ისტორიამაც". ხსენებული ისტორიის მესამე ტომში აკაკი კენჭოშვილი წერდა: „...დ. ყიფიანი ალ. ჭავჭავაძეს გოეთეს ლექსის მთარგმნელადაც მიიჩნევს, რაც ჭერჭერობით არაა დადასტურებული, მაგრამ დ. ყიფიანი უსაფუძვლოდ არ იტყოდა".

დიახაც, არ იტყოდა უსაფუძვლოდ! ჭერ ერთი, თვითონაც მთარგმნელი იყო, შექსპირის „რომეო და ჯულიეტას" სთარგმნიდა, მეორეც, ალ. ჭავჭავაძის უახლოესი მეგობარი იყო და მისი მწერლური ლაბორატორიის საიდუმლოებანი კარგად იცოდა. თანაც, აბა ერთხელ კიდევ გადაავლეთ თვალი მის სიტყვებს, ზემოთ რომ მოგვყავს — როგორ გადაჭრით არის ნათქვამი: დ. ყიფიანი ახახელებს ჭერ გოეთეს და შემდეგ იმასაც დასძენს — ალ. ჭავჭავაძემ გერმანული ენა ისევე კარგად იცოდა, როგორც ქართული ენაო! ყოველივე ამის შემდეგ, აკაკი გაწერელიას თქმისა არ იყოს, მართლაც მკრეხელობა იქნებოდა ეჭვი შეგვეტანა მის სიტყვებში!

რაკიღა ეს ასეა, ახლა უნდა დავუწყოთ ძებნა ამ თარგმანებს მაგრამ სად ვეძებოთ? არქივებსა და სამუზეუმო ფონდებში თუ კერძო კოლექციებსა და განძსაცავებში? ყველა ამ ადგილებში ალბათ არაერთი საიდუმლოებაა გადანახული. საერთოდ ამ ძიების დროს ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: ადრე თარგმნის საქმე ასე მკაცრად განსაზღვრულ წესებსა და რეგლამენტაციებს არ ემორჩილებოდა — ყოველთვის როდი წაწერდნენ ხოლმე საიდან არის ნასესხები ესა თუ ის ლექსი თუ ესკიზი.

ამრიგად ,თარგმანი გოეთედან, საერთოდ გერმანული პოეზიიდან არა ჩანს. ალ. ჭავჭავაძე უფრო მეტ ინტერესს იჩენს ფრანგული ლიტერატურისადმი. ომისშემდგომ წლებში XVIII საუკუნის ფრანგული პოეზიის ნიმუშების თარგმანებს რომ ვათვალიერებდი, ჩემი ყურადღება მიიქცია ვოლტერის ერთმა ლექსმა, რომელიც მიძღვნილი იყო ულამაზესი ფრანგი მანდილოსნის ქ-ნი ბიუფლერისადმი. ვოლტერი მას მიმართავდა: თქვენი თვალები მშვენიერია, მაგრამ თქვენი სული უკეთესია. თქვენ რომ გაბრიელეს დროს გეცხოვრათ, არ ვიცი რას იმღერებდნენ თქვენზე, მაგრამ მასზე აღარაფერს არ იმღერებდნენო. ეს რომ წავიკითხე, უმალ გამახსენდა ალ. ჭავჭავაძის ლექსი „როს ვეკერეტ შენსა სიკეკლუცეს", რომელშიც იგივეა

ნათქვამი, ოღონდ სახელებია შეცვლილი, ლექსი თარგმნილი კი არ არის, გადმოქართულებულია, ალ. ჭავჭავაძე მიმართავს თავის პერსონაჟს: ტარიელის დროს მე არ ვიცი გაქებდნენ თუ გაძაგებდნენ, მაგრამ ის კი ვიცი, ნესტან-დარეჯანს შენთან ადარ აზსენებდნენო. ეს ფაქტი აღვნიშნე კიდევ ჩემს ადრინდელ წერილში, რომელიც 1947 წელს გამოქვეყნდა. ცხადია, ალ. ჭავჭავაძის ლექსი „როს ვეჭვრეტ“ სრულყოფილი თარგმანი არ არის, ეს არის თავისუფალი ვარიაცია ეოლტერის თემაზე.

* * *

ხაქმე ის არის, რომ ალ. ჭავჭავაძის კრებულში გვხვდება ასევე თავისუფალი ვარიაცია გოეთეს თემაზე. ლაპარაკია მის უსათაურო ლექსზე „ეჰა, ჩემო ოცნებავ“. მასში ქართველი პოეტი გადმოგვცემს იმავე განწყობილებებს, იმავე ფიქრებს, რომელსაც შეიცავს გოეთეს „მიძღვნა“, რომელიც წინ უძღვის გენიალურ ტრაგედიას — „ფაუსტს“. ვიდრე მოვაბდენდეთ გერმანული და ქართული ტექსტების შედარებას, მანამდე უნდა გავიხსენოთ თუ რის გამო დაწერა გოეთემ ეს „მიძღვნა“. იგი დაიწერა 1797 წლის 24 ივნისს. ამ ლექსში პოეტი გადმოგვცემს იმ განცდებს, რომელნიც დაეუფლნენ მის გულს, იმის გამო, რომ იგი დაუბრუნდა ფაუსტის თემას, რომლის წერა მან დაიწყო საუკუნის მეოთხედის წინ. მაშინ იგი ოცდახუთი წლის ჭაბუკი იყო და აი ახლა, ორმოცდაათ წელს მიღწეული ჭარმაგი კაცი მიუბრუნდა ადრინდელ ჩანაფიქრს. სწორედ ამ ხანებში გაიხსენა მან ხიურმის მეგობრები, ქალიშვილები, რომლებიც იტაცებდნენ მას სიჭაბუკის წლებში — ფრანკფურტელი გრეთხენი, „პირველი ქალი, რომელმაც ვაჟური აღტყინება პირველად გაადვიძა ვოლფგანგის გულში“, ფრედერიკე ბრიონი, რომელმაც — „ვოლფგანგს შემოქმედების სტიმული გაუთკეცა“, შარლოტა ბუფი — „ვერტერის ვნებანის“ მთავარი პერსონაჟის — „ლოტეს პროტოტიპი“, ლილი შონემანი, რომელიც გოეთეს სახეში „ხედავდა რაღაც ახლის მოციქულს და ღრმა ადამიანს“; შემდეგ, უნდა მოვიხსენიოთ უახლოესი მეგობრები — იოჰან ჰაინრიხ მერკი, იოჰან ჰერდერი; „მიძღვნაში“ გოეთე ამბობს: აღარ ესმით ჩემი ახლანდელი სიმღერები სულებს, რომელთაც მე პირველი ჰანგები ვუმღერე; ხაქმე ის არის, რომ ამ „მიძღვნის“ დაწერის დროისათვის მოკვდა პოეტის დაი კორნელია შლოსერი, აღარ იყვნენ ცოცხალთა შორის „ქარიშხალისა და შტეეის“ მოძრაობის მონაწილე მწერალი იაკობ ლენცი, მაქსიმილიან კლინგერი, რომლის პიესამ სათავე დაუდო ზემოხსენებულ მოძრაობას, აღარსად ჩანდნენ ძმები შტოლბერგები — ქრისტიან და ფრიდრიხ ლეოპოლდი — ორივე პოეტები. ყველა ისინი შეადგენდნენ წრეს, ასე ვთქვათ, განსაკუთრებულ დასს, რომელსაც პოეტი უკითხავდა „ფაუსტის“ პირველ-ჩანაფიქრებს, სწორედ ისინი იქცნენ იმ აჩრდილებად, იმ ლანდებად, რომლებიც მისტიკურ ნათელბილვაში ეცხადებოდნენ პოეტს.

აი კონკრეტულად ვინ არიან წარსულის ეს მოციმციმე აჩრდილები, სახეები, ხატები, მოლანდებანი, სიყვარული, ოჯახი, ბედი, ბოლოს, ...

ბიხა, ის მწველი გახსენება ადრინდელი მეგობრებისა, რომლითაც სავსეა გოეთეს „მიძღვნა". მაშ მოდით ვცადოთ ამ ლექსის უაღრესად გამოწვლილვითი, უაღრესად დეტალური ფილოლოგიური ანალიზი. ალ. ჭავჭავაძის ლექსის დედააზრი ასეთია: ოცნებაში წასულ პოეტს მოენატრება და მის თვალწინ ამოძრავდებიან თუ გაიელვებენ გარდასული სიყრმის მეგობრები და იგი, ეგზალტიურ ხილვებში მყოფი, გრძნობამორევით წამოიძახებს: ოცნებავ, კვლავ რად წარმომიდგინე, რად დამიყენე თვალწინ მთელი დასი სახეებისა, მთელი დასი მცნობთ ჩვენებად ასე უბრალოდ რად მომფინეო! იქნებ სხვა შემთხვევაში საჭირო არ გახდეს ქართული ფრაზის ქართულითვე განმარტება, მაგრამ აქ აუცილებელია ავხსნათ რას ნიშნავს და რას გულისხმობს ეს ოდნავ არქაული — „დასი მცნობთ ჩვენებათ". სიტყვა „დასს" განმარტება არა სჭირდება, ჭავჭავაძის ლექსში მას მოდევს სიტყვა მცნობი, რომელიც დავით ჩუბინაშვილის განმარტებით ნიშნავს ნაცნობს, მცნობობა—ნაცნობობა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ნაცნობი აღარ არის, იგი ჩვენებად, მოჩვენებად, მოლანდებად, სიზმრად არის გადაქცეული, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ჩვენება არის „საკვირველი ხილვა, ზმანება, მოჩვენება" და იქვე საილუსტრაციოდ მოყვანილია ადგილი რაფიელ ერისთავის ლექსიდან: „ვნახე წარმოდგა ბრწყინვალებით მოცული ქალი, ვერ მოვაცილე უცნაურსა ჩვენებას თვალი".

ამრიგად, პოეტის ყურადღების ცენტრში მოქცეულია ეს „უცნაური ჩვენებანი", ეს აჩრდილები, ზმანებანი, მოლანდებანი, ეს სახელები საყვარელი მეგობრებისა, რომლებიც წასულან მიღმა ქვეყნად, ქცეულან ლანდებად, ჩვენი ფიქრის მუდმივ თანამგზავრებად, რომლებიც არიან და, იმავე დროს, აღარ არიან, მაგრამ ამ არყოფნას ადამიანი არ ურიგდება და ფიქრში ხედავს მათ სახეებს, მაგრამ ეს სახეები უმალ ჰქრებიან. ალ. ჭავჭავაძის თქმით, ეს ჩვენებათა მთელი დასია, მთელი კრებული თუ წრე, გუნდია, მთელი თაობაა. გაიხსენეთ გოეთეს „მიძღვნის" სულები, რომელთა ამ ქვეყნიდან წასვლამ დაარღვია მეგობართა წრე, დასი, რომელიც ოდესღაც მტკიცე და ურღვევი იყო. ასევე, ალ. ჭავჭავაძის ლექსის მიხედვითაც, ეს საყვარელნი აჩრდილნი, „წარსულთა მათ ნუგეშნი" და პოეტის „სიცოცხლის ნაზად დამატკბობელნი" იყვნენ. ეს მოჩვენებანი, ოდესღაც კი რეალური ადამიანები, „ბედმან უწყალოდ დათრგუნა", „ნუ დამტოვებო ოცნებავ", — ეუბნება პოეტი, — „დამიბრუნე ძველი ხილვანი", „ძველი ცრემლნი", რომ „წარსულისა სიცოცხლის ნიავმა კვლავ დაჰქროლოს", ეს სანეტარო აჩრდილები, მოჩვენებებად, ლანდებად ქცეული მეგობრები მუდამ თვალწინ ციმციმებენ, წამით გაიელვებენ და უმალ ჩაქრებიან, კვლავ და კვლავ მეორდება ეს ზმანება, ეს სანეტარო ხილვა და ასე იბადება ცენტრალური იდეა — წარსულის რეპროდუქცია, წარსულის გამოძახება თუ გამოსმობა აწმყოში. აი ეს ძველ „ხილვათა" და „სახეთა" მონატრება", „ჩვენებათა მთელი დასის" მონატრება არის ალ. ჭავჭავაძის ზემოხსენებული ლექსის შინაარსი.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ორივე ნაწარმოებში, როგორც გოეთეს „მიძღვნაში", ისე ალ. ჭავჭავაძის ლექსში ყურადღების ცენტრში მოქცეულია ერთგვარი მისტიკური ხილვა; აქცენტი, გარკვეული აზრის, განწყობილების ხაზგასმა აქ ორ რამეზეა გადატანილი: პირველი — ესაა გახსენება სიყრმის მეგობრებისა, რომლებიც ლანდებად ანუ ჩვენებებად ე. ი. მოჩვენებებად ქცეულან და მეორე — წუხილი იმის გამო, რომ დაიშალა მეგობართა წრე. „სახეები სანუკვარი კვლავ აღსდგებიან" — ეს გოეთეს სტრიქონია, ხოლო ალ. ჭავჭავაძე ბედს ასე შესჩივის „რად მიჩვენებ სახესა წარსულსა მათ ნუგეშთა". ბარემ აქვე მთლიანად მოვიყვანოთ ალ. ჭავჭავაძის ლექსი „ეჰა, ჩემო ოცნებავ":

ეჰა, ჩემო ოცნებავ, კვლავ რად
წარმომედგინე
და დასი მცნობთ ჩვენებათ უბრალოდ
რად მომფინე?
რად მიჩვენებ სახესა წარსულთა მათ
ნუგეშთა,
ერთხელ ჩემი სიცოცხლის ნაზად
დამატკბობელთა,
რომელნიცა მე ბედმან უწყალოდ
დამითრგუნა
და, გლახ, მე მარად მტირალს
მცირედიც არ მიბრუნა.

ნუ მიტევებ, ოცნებავ, მომეც ძველნი
ხილვანი,
მომეც მე ძველნი ცრემლნი და ძველნიცა
ოხვრანი,
წარსულისა სიცოცხლის ნიავი კვლავ
დამქროლე
და დამშვრალს სულსა ჩემს სიტკბო მით
განუახლე,
გვედრებ, ნუღა მშორდები, განმიგრძე
სიხარული,
რომე ხსოვნითა ოდენ დავიტკბო
წყლული გული.

ამ მიმოხილვისა თუ ძებნის ერთადერთმა გზამ მიგვიყვანა იმ მიჯნამდე, საიდანაც იწყება მთელი წყება ზმნიზედებისა — „იქნებ", „ალბათ" და „ეგების". იქნებ ალ. ჭავჭავაძეს ნამ-

დვილად ჰქონდა განზრახული ეთარგმნა გოეთეს „ფაუსტი“ და ეს ჩანაფიქრი გაუზიარა თავის უახლოეს მეგობარს — დიმიტრი ყიფიანს. რა არის აქ დაუჯერებელი? ხომ შემოგვრჩა ჭავჭავაძისეული თარგმანის ცალკეულ ფრაგმენტებად კორნელის „სინნა“ და „ჰერაკლე“, რასინის „ფედრა“ და „ესთერი“, ვოლტერის „ალზირა“! იქნებ ასევე ფიქრად ჰქონდა აემეტყველებინა ქართულად გერმანელი ფაუსტი, მაგრამ ამ უზარმაზარი ტვირთის წამოკიდება საზოგადო და სამხედრო საქმეებში ყველამდე ჩაფლულმა პოეტმა ველარ შესძლო და ერთგვარი პირველი გასინჯვის, პირველი მიახლოვების ნაყოფია ეს „ეჰა, ჩემო ოცნებავ“, ასე დარჩა დაპირება დაპირებად და ასე იხსნება ის საიდუმლოება, რომელსაც შეიცავს დიმიტრი ყიფიანის ცნობა ალ. ჭავჭავაძის თარგმანებზე გერმანული ენიდან. სად ეცალა ამ გაუთავებელ ომებში ჩაბმულ მხედარს ლიტერატურისათვის, ან რაც დაწერა, ის როგორ მოასწრო! 1804 წელს — მთიულეთის აჯანყების მონაწილეა, 1805 წელს — გადასახლებულია ტამბოვში იმ აჯანყების გამო, 1809 წელს— პეტერბურგშია ჰუსართა პოლკში, 1810 წელს— მთავარმართებელ მარკიზ პაულუჩის ადიუტანტია, 1812 წელს — მონაწილეობს კახეთის აჯანყების ჩაქრობაში, 1813 წელს — ებრძვის ნაპოლეონის არმიას საქსონიასა და საფრანგეთში, შემდეგ გამარჯვებულნი ტრიუმფით რომ შევიდნენ პარიზში, შემდეგ ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკშია, კახეთში, დედოფლის წყაროში რომ იდგა, 1823 წელს გენერალ ერმოლოვს ახლავს, როგორც საგანგებო დავალებათა შემსრულებელი, „მარჯვენა ფლანგის ჯარების უფროსად თავადი ჩევჩევადზევ დავნიშნეო“, წერს ერმოლოვი თავის მემუარებში, 1827 წელს— ყუბანის ჯარების უფროსია, იმავე იმ წელს — მონაწილეობს რუსეთ-სპარსეთის ომში, 1828 წელს სომხეთის ოლქის მმართველია, იმავე წელს — ოსმალეთთან ომის მონაწილე,1832 წელს — ისევ ტამბოვში გადასახლება, იქიდან პეტერბურგში ჩადის, ასე მიაღწია მან გენერალ-ლეიტენანტის ხარისხს. ამ გაუდმებულ ომებში მას კალამი იშვიათად გაახსენდებოდა ხოლმე.

ზემოთ ჩვენ ვნახეთ თუ რამ დაწერინა უკვე ხანში შესულ გოეთეს თავისი „მიძღვნა“— ეს იყო გახსენება ახალგაზრდობის დროის მეგობრებისა, ეს იყო ნაღვლიანი მოგონება აწ უკვე შორს მყოფი თუ გარდაცვლილი ახლობლებისა, რომლებიც იქცნენ აჩრდილებად, ლანდებად, წუთით რომ დაგიდგება თვალწინ და უმალ გაქრება. ამ ახალგაზრდობის უმრავლესობა განახლების ქარიშხლის — „შტორმ უნდ დრანგის“ მოძრაობის დამწყებნი და მონაწილენი იყვნენ. ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიაში არის ეპიზოდი, რომელიც უნებურად მოგვაგონებს შფოთიანი წარსულის ასეთსავე გახსენებას და შესაფერის განწყობილებას აღძრავს. 1804 წელს, 14 სექტემბერს, ალაზნის ველზე, ალავერდის ტაძრის ეზოში, დღეობაზე თავი მოიყარა მთელი კახეთის რჩეულმა ახალგაზრდობამ. წინა ღამეს არქიმანდრიტმა ბესარიონ ერისთავმა მაც ფიცი დაადებინა სამშობლოს ერთგულებაზე და მოუწოდა მხარში ამოსდგომოდნენ ფარნაოზ ბატონიშვილს, რომელმაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა რუსეთის იმპერიას და სათავეში ჩაუდგა აჯანყებულ მთიულეთს. კახელები აქედან, ახმეტის გზით, დაუყოვნებლივ გაეშურნენ მთიულეთისაკენ. აჯანყებულთა შორის იყვნენ თვრამეტი წლის ალექსანდრე ჭავჭავაძე, დიმიტრი ვახვახიშვილი, ოთხი კაცი ქობულაშვილის გვარდიიდან — გოგია, იოსები, თაბაზი და ევგენი, ხუთი ჩოლოყაშვილი — გრიგოლი, აბელი, დიმიტრი, იოსები და ომანი, რვა კაცი ჯანდიერის გვარდიიდან — სპირიდონი, ომანი, გრიგოლი, ბიძინა, ივანე, დიმიტრი, ოტია და სიმონი, იასე და იოსებ მაყაშვილები, გივი ჩერქეზიშვილი, კოხტა ანდრონიკაშვილი, გლახა ავალიშვილი და კიდევ ვინ მოსთვლის, ერთი სიტყვით — ქუდზე კაცი. თავად-აზნაურობაც და გლეხობაც ერთსულოვნად აღსდგა თავისუფლებისათვის საბრძოლველად, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს აჯანყებაც ჩააქრო რუსეთის არმიამ.

გაივლის სულ რაღაც რვა წელი და ალ. ჭავჭავაძეს უკვე მოპირისპირე ბანაკში ვხედავთ. 1812 წელს იგი თვითონ ებრძვის აჯანყებულ კახელებს და ამ ბრძოლის დროს, სოფელ ჩუმლაყთან იგი დასჭრეს კიდეც. რას იზამ! ასეთი ფერისცვალება არც პირველი იყო და არც უკანასკნელი და იგი არც ისე იშვიათად გვხვდება მარტო საქართველოში კი არა, ყველა ქვეყნის ისტორიაში. სწორედ ამგვარ ფერისცვალებას მოსდევს ის ამოკვნესა და ის მელანქოლია, რომლითაც გამსჭვალულია ლექსი „ეჰა, ჩემო ოცნებავ“.

ლექსი ხომ ხშირად სიზმარსა ჰგავს, სევდით აღსავსეს, მტანჯველსა და გამოუტანელს.

ლიტერატურის ისტორიაში არც ისე იშვიათია ურთიერთ დამთხვევები, უნებური შეხვედრები, როცა ერთიდაიგივე ლიტერატურული მოვლენა, ლექსი იქნება იგი თუ სხვა რომელიმე ჟანრის ნაწარმოები, ანალოგიურ რეაქციას იწვევს სრულიად სხვადასხვა ქვეყნების პოეტებს შორის, ამის კონკრეტულ მაგალითად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ გოეთეს „მიძღვნამ“, „ფაუსტს“ რომ უძღვის წინ, ზუსტად ერთნაირად მოხიბლა არა მარტო ალექსანდრე ჭავჭავაძე, არამედ მისი თანამედროვე, რუსეთის გამოჩენილი პოეტი ვასილ ჟუკოვსკი. რამ დაინტერესა ჟუკოვსკი? გოეთეს ლექსში გამოხატულმა

ხევდამ, იმით გამოწვეულმა, რომ მან სსოვნაში გააღვიძა და თვალწინ დაუყენა აჩრდილები იმ ადამიანთა, რომლებიც უაღრესად ახლოს იყვნენ პოეტთან და ახლა აღარ არიან ცოცხალთა შორის. როგორც თანამედროვენი აღნიშნავენ, ჟუკოვსკის აჩემებული ჰქონდა შემდეგი ორი სტრიქონი გოეთეს ლექსიდან (მომყავს ქართული თარგმანი):

მოგაქვთ თქვენ ჩემსკენ მხიარული დღის
სურათები
და კვალ აჩრდილნი საყვარელნი
მსწრაფლ აღსდგებიან.

თავის ბალადაში „თორმეტი ჩაძინებული ქალიშვილი" ჟუკოვსკიმ პირდაპირ გაიმეორა ეს ორი სტრიქონი:

Ты образы веселых лет примчала
И много милых теней восстает.

პირად ბარათში, პოეტს ნაცნობი ქალისათვის რომ. გაუგზავნია, იგი იხსენებს — მიღმა ქვეყნად წასულ საყვარელ და ნათესავ ადამიანებს, მათ შორის ალექსანდრა ვოეიკოვას, რომელიც „პირდაპირ ჰყვაოდა თავის სანეტარო სიცოცხლეში, ხოლო ახლა ცხინავს საფლავში შორეულ ცის ქვეშ, იტალიაში და ის ცა ისევე ნაცელია, როგორც თვითონ ის ქალი იყო".

რაოდენ გატაცებით და რაოდენ ხშირად იხსენებდა ჟუკოვსკი გოეთეს ამ ლექსს აჩრდილებად და ლანდებათ ქცეულ ახლობლებზე რომლებიც აღარ არიან ჩვენს შორის, ამის შესახებ წერს აკად. ა. ნ. ვეხელოვსკი თავის ნაშრომში „გრძნობისა და გულით წარმოსახულის პოეზია", (1904 წ. გვ. 265).

ასე გაერთიანა გოეთეს ლექსმა ორი სრულიად განსხვავებული პოეტის ფიქრები.

თბილისი რუსთაველის ქ. № 28

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 92-51-81, მთ. რედაქტორის მოადგილის, პ/მგ. შდივნის 99-91-00.

გადაეცა ასაწყობად 16. 04. 93 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 27. 07 93 წ., ანაწყობის ზომა 7¹/₄X12, ქაღალდის ფორმატი 70X108. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი. 16,8, ტირაჟი 3.300. შეკვეთა 576, ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა, კოსტავას ქ. № 14.

ფასი 10 კაპ.

К 28/61.

ინდექსი
76128
ეროვნული
ბიბლიოთეკა